თამაგ ჯანელიძე

რაც მოგონებად აიკინძა

მოგონებები

თბილისი
2008

თამაზ ჯანელიძე
რაც მოგონებებად აიკინძა
პირველი გამოცემა, თბილისი, 2008

გამომცემლობა „აზრი“

არცერთი პერიოდი საზოგადოებრივი ცხოვრებისა არ ყოფილა დაზღვეული დიდი თუ მცირე შეცდომებისგან, მაგრამ უკლებლივ ყველას ჰქონია თავისი ღირსებები: შრომა, შენება, შემოქმედება, ნიჭისა და აზრის გაელვება, ტრადიციათა პატივისცემა, სიახლის განცდა... ასეთია საზოგადოებრივი ცხოვრების ლოგიკა. ვფიქრობ წარსულისთვის მუშტის მოღერება უკვე გარდასულ დროთა მიმართ ღვარძლის ღვრა, სხვა რომ არაფერი, წარსულის ჩაწიხვლის უმადური მცდელობა და ისტორიის უარყოფაა.

თამაზ ჯანელიძე

ბატონი თამაზ ჯანელიძე თავისი წიგნით "რაც მოგონებად აიკინძა" ქართველ მკითხველს ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან ფაქტს თავაზობს. ვისაც ცოცხალი ისტორია და მისი დინამიურობა ხიბლავს – შეუძლებელია გულგრილი დარჩეს ამ წიგნისა და მასში მოთხრობილი ამბების მიმართ, მემუარული პროზა ეს ის ელემენტია ლიტერატურისა, რომელიც ასე აკლია ჩვენს ისტორიოგრაფიას და თავად ლიტერატურას. შემთხვევითი არც ის არის, რომ თამაზ ჯანელიძე თავისი ბიოგრაფიული გამოცდილების ნიაღში მოგვითხრობს იმას რაც მან უშუალოდ განიცადა და რაც მას თავად გადახდა, როგორც ამ წიგნის მთავარ გმირსა და ავტორს. მეოცე საუკუნეა სწორედ მისი ცხოვრებისეული კვლევის საგანი, საუკუნე, რომელიც აღსავსეა უამრავი ისტორიებითა და საიდუმლოებებით და რომელმაც მნიშვნელოვანი ანაბეჭდი დატოვა ბატონი თამაზის ბიოგრაფიაზე, რადგან ის თავად არის დაკავშირებული ცოცხალი ისტორიის პროცესებთან. გემოვნებიან მკითხველს უდაოდ გამოადგება ეს წიგნი, როგორც უტყუარი დედანი ჩვენი უახლესი წარსულისა, რომელიც კონკრეტული ადამიანის ცხოვრებით არის მოტანილი და რაც მოგონებად აიკინძა.

რატი ამღლობელი

ISBN: 978-99928-70-77-8
© თამაზ ჯანელიძე, 2008

სარჩევი

საიდან მოვდიეარ 9

მშობლები 12

კოპიანი ნულკლასელი 20

როგორ დააკარგვინეს ჩვენმა პედაგოგებმა საბჭოთა არმიას სერიოზული პატრიოტული შევსება 23

კარიერა სტუდენტობისას იწყება 25

"ნორა მამიდა", ფლორ დორანე და მიხეილ მამულაშვილის დალოცვა 32

რატომ დაუკავშირდა ერთმანეთს ჩემი რაიკომის მდივნობა და გოლდა მეირის საბჭოური ვიზიტი 36

ის, რაც ჩვენ ყველას ერთად გვიყვარდა კომკავშირში 42

1956 წლის 9 მარტი 60

"ცისკარი" და ჩვენი მოტოციკლეტიანი ყამირი 85

მსოფლიო ფესტივალი – ქართული ქორწილის სტუმარი 95

"უხერხული ხელქვეითი 104

გეოლოგიაში 121

დედაქალაქის მერი 133

ინსტიტუტსა და გეოლოგის დეპარტამენტში 145

ვისაც ცხოვრებამ შემახვედრა 170

თენგიზ აბულაძე 181

ეს ადამიანები რომ არა 191

მამა, რომელსაც შვილებისთვის ყველაზე მეტად ეცალა 198

სიძესიდედრობაც კი მისგან ვისწავლეთ 214

წიაღისეულით, "დერეფნით, ნაეთობსადენით მდიდარი და მაინც ღატაკი საქართველო?! 226

აი, "რამდენი კაცი" ვიყავი! 233

შემომშველებლები 241

თამაზი და... მორჩა! 257

რატომ წამოვედი დეპარტამენტიდან 265

ბოლოთქმის მაგიერ 272

... ჩვენი სტუმრობის დასასრულს თავი
ნახევრად ქართველებად ვიგრძენით.
ოჰ! რომ ყოფილიყო 40 მილიონი ქართველი,
მთელი მსოფლიო სხვანაირი იქნებოდა.
გულითადი სურვილებით

პოლ ნიკიტოვიჩი,
ამერიკელი მეწარმე-მეცნიერი მსოფლიო ასოციაცია
"პერლიტის" პრეზიდენტი 1992 წ.

ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია,
ყოველ ნაცარქექიას სარდლობა.

კონსტანტინე გამსახურდია

რაც მინდოდა მეთქვა

ამ ბოლო ხანებში ჩვენს საზოგადოებაში აშკარად იკვეთება ინტერესი მემუარული ლიტერატურისადმი. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ საზღვარგარეთ ამგვარი საკითხავი ზოგადად, ძალიან პოპულარულია.

ვფიქრობ, საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო ცხოვრებით ვიცხოვრე. უამრავი რამ გადამხდენია თავს, ბევრი რამ, რაც საზოგადოების განსასჯელი არ იყო, შემოუნახია ჩემს მეხსიერებას... ყოველივე ეს, ალბათ, არ უნდა იყოს უინტერესო ჩემი მომდევნო თაობებისთვისაც, რომლებიც წარსულის კრიტიკული გადაფასებისას ფაქტობრივი მასალის სიმწირეს განიცდიან.

წლების მანძილზე ქვეყნის მმართველობით სისტემებსა და სტრუქტურებში მიხდებოდა საქმიანობა. სახელმწიფო თუ პარტიული მართვის იერარქიულ კიბეზე არაერთხელ დავუწინაურებივართ და დავუქვეითებივართ, ბუნებრივია, შევხვედრივარ უამრავ საინტერესო ადამიანსაც. უმთავრესად, ღირსეულ პიროვნებებს, თუმცა, უღიმღამოთაც, ნებისმიერი ქვეყნის მმართველობაში დაუმსახურებლად რომ არიან მოკალათებულნი.

მათ შორის, რა თქმა უნდა, იყვნენ განსაკუთრებული კატეგორიის ადამიანებიც, ეგრეთწოდებული „ბრძენნი", სიტყვითა თუ საქმით არასდროს რომ არ გამოდგომიან ქვეყანასა და საზოგადოებას, მაგრამ ბრძენის სახელი მაინც მოუხვეჭიათ, რადგანაც თავიანთი ულიმღამობის გამომზეურებას მუდამ დუმილს არჩევდნენ.

დღეს ბევრს მოდად ქცევია იმ ეპოქის განქიქება, რომლის შვილებადაც მე და ჩემი თაობის ადამიანებს წარმოგვიდგენია თავი. ეს, რა თქმა უნდა, გულსატკენია. მით უმეტეს, რომ ასეთი განქიქების უკან ხშირად უმაქნისი ადამიანიც დგას; ვისაც უბრალოდ არ ესმის, რომ წარსულისთვის მუშტის მოღერება, უკვე გარდასულ დროთა მიმართ ღვარძლის ღვრა, სხვა რომ არაფერი, წარსულის ჩაწიხვლის უმადური მცდელობაა.

არც ერთი პერიოდი საზოგადოების ცხოვრებისა არ ყოფილა

დაზღვეული დიდი თუ მცირე ადამიანური შეცდომებისგან, მაგრამ უკლებლივ ყველას ასევე ჰქონია თავისი ღირსებებიც... შრომა, შენება, შემოქმედება, ნიჭისა და აზრის გაელვება, ჭირისა და ლხინის თანამოზიარეობა, ადამიანურ ურთიერთობათა სიწრფელე, პროფესიონალიზმი, ერთგულება, ტრადიციათა პატივისცემა და სიახლის განცდა... ასეთია საზოგადოებრივი ცხოვრების ლოგიკა და ვფიქრობ, უმეცრებაა ამ საუკეთესო გამოცდილების გამოუყენებლობა ან უგულვებელყოფა.

საკუთარ თავზე წერა ადვილიც ყოფილა და ძნელიც. ადვილი იმიტომ, რომ ის, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე სათქმელის სახით დაგროვდა, მოგონებათა კრიალოსნადაც აისხმევა და თითქოს ქაღალდზეც უწვალებლად გადადის. ძნელი კი იმიტომ, რომ საკუთარ თავზე ლაპარაკიცა და წერაც გარკვეულ უხერხულობას ქმნის. ამიტომ მკითხველი ალბათ, გაიგებს, რატომ შევეცადე, ჩემს მიერ განცდილი ცალკეული მოვლენები ახლობლების, კოლეგებისა თუ მეგობრების მოგონებებითაც გამეცოცხლებინა. მათი ნააზრევი რომ გადავიკითხე, მესიამოვნა, თუმცა შევწუხდი კიდეც: მეტისმეტად კეთილი თვალით დაუნახავთ მათ ჩემი პიროვნებაცა და ხასიათიც, რომელიც მე თავად უფრო შემტევი, ზოგჯერ კი, უხიაგიც მგონია.

აქვე მინდა დიდი მადლობა მოვახსენო მშვენიერ ქალბატონს — ნინო ხარაზიშვილს, რომლის მონდომებითა და ძალისხმევითაც ჩემი ხმამაღალი ნაფიქრი წიგნად იქცა.

საიდან მოვდივარ

როგორც ბატონი ალექსანდრე ჯანელიძე ბრძანებს, ჯანელიძენი რაჭიდან ვყოფილვართ და იქედან მოგვიანებით წამოვსულვართ.

ამ თვალსაზრისით ქართულ საისტორიო წყაროებში მიმოფანტული თითო-ოროლა ცნობა მეც მომიძიებია.

ასე შევიტყვე არა მარტო ჯანელიძეთა გვარის წარმომავლობა-სადაურობის ამბავი, არამედ ისიც, რომ უკვე XIV-XIX საუკუნეთა სიგელ-გუჯრებში აზნაურნი და გლეხნი ჯანელიძენი იმერეთის მეფეთა, დედოფალთა, ეპისკოპოსთა, თავადთა, აზნაურთა და უაზნოთა «მოწმეებად და მისანდობად» იხსენიებიან: რომ ჩვენი გვარისანი, გლეხნი — კომლზე კაცად, თუ აზნაურნი — ქუდზე კაცად, ომჩაუგდებლად გამოსულან რაჭის ერისთავთა, ჩხეიძეთა თუ აგიაშვილთა დროშების ქვეშ საბრძოლველად სამეფო ლაშქარში.

გადმოცემით მსმენია ჩემი რაჭველი წინაპრის შესახებაც, ერთ ომში რომ უშოვნია გმირობაც, აზნაურობაცა და იმერლობაც. მეფეს მართლა მეფურად დაუსაჩუქრებია ეს თავმომწონე ვაუკაცი: იმერეთში ჯორზე ამხედრებულმა ერთ დღეში რაც სოფლები შემოიარო, შენი ერთგულების ჯილდო იყოსო.

ასე ერთბაშად გავიმერლებულვართ და გავაზნაურებულვართ!.. კარგა მოზრდილი იმერული სოფლებიც მიგვიღია. რამდენადაც მე მსმენია, თერჯოლა, ღვანკითი, სიქთარვა, და ვგონებ, სიმონეთიცა და კიდევ სხვაც. თუმცა მამაჩემ-ბიძაჩემებმა აგრერიგად უკვე ვეღარ იიმერლეს. ასე რომ, ის ჩვენი თერჯოლური კოხტა კარ-მიდამო მოუვლელობით დაიჩაგრა და საბოლოოდ კიდეც გასხვისდა.

ამდენად, თერჯოლური შთაბეჭდილებებით დიდად ვერ დავიკვეხნი, იქაური ბებია-ბაბუა ჩემი სტუმრობებით ნამდვილად არ გამინებივრებია.

მამაჩემის მამა, სიმონ ჯანელიძე — მეფის გადამდგარი პოლკოვნიკი - უკვე ღრმად მოხუცებული მახსენდება. სიბერეშიც კი ძალზე ომახიანი გარეგნობის — წვერით დამშვენებული კეთილშობილი სახის, საკმაოდ ტანმაღალი მოხუცი გახლდათ. ცხოვრობდა თერჯო-

ლაში, თავმოსაწონ ადგილას გამართულ რიგიან კარ-მიდამოში.

სამწუხაროდ, მისი სამხედრო წარმატებების ამბები აღარ შემორჩა ჩემს მეხსიერებას და მასთან ურთიერთობის დეტალების გახსენება მიჭირს — ძალიან პატარა ვიყავი, როდესაც გარდაიცვალა.

გაცილებით ცხადად წარმომიდგება ხოლმე მისი მეუღლე — ეკატერინე, მხეიძის ქალი — ბებიაჩემი. წმინდანებად შერაცხული დავითისა და კონსტანტინეს პირდაპირი შთამომავალი იყო და ეს ხალხის თვალში პატივს მატებდა. ხანდაზმულობაშიც კი ტანაშოლტილი ქალი გახლდათ, ძალიან სახიერი, თავადური წარმოსადეგობისა. იგი შედარებით გვიან გარდაიცვალა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩვილობიდან დედულეთში, ქუთათელაძეებში გამაჩვიეს და იქაურობასთან ურთიერთობის ცხოვრებისეული სურათები უფრო შემომრჩა.

დედულეთი, ხონი ძალიან მიყვარდა. დედაჩემის მშობლებთან და დეიდებთან ყოფნა მართლაც მიხაროდა ხოლმე. ყველას ნებიერა ვიყავი — ბებია-ბაბუისაც, დეიდა-ბიძებისაც, ჩემი ხონელი პატარა ამხანაგებისაც.

ბებიაჩემი დარიკო, პერევისელი წერეთლების ქალი, ძალიან თბილი ადამიანი გახლდათ. დილაობით, შუა თვალების ფშვნეტაში მყოფს შემომაკითხავდა ხოლმე და ლოგინშივე შემომაპარებდა, სადილად რა მოგართვა, რა უფრო გეამებაო. თითით უყვარდა ჩვენება, წიწილას ხომ არ წავაცალო თავიო. ასე რომ, თითქმის ყოველდღე შემწვარ წიწილას გეახლებოდით!

დედაჩემის მამა, ნიკოლოზ ქუთათელაძე საკმაოდ შეძლებული მშრომელი კაცი იყო. ერთ დროს მაღაროში ემუშავა, ჰარიმანთან და ამ შრომით კარგა გვარიანი თანხაც ჰქონდა ნაშოვნი. ყოველ შემთხვევაში, იმდენი კი, რომ რვათვლიანი ოდაც აეშენებინა, საკმაოდ ვრცელი, ხეხილიანი ეზოც მოლით დაემშვენებინა და ასე საუკეთესოდ მოვლილი შეენახა.

აკი ვთქვი, მთელ დედულეთს საფიცრად ვყავდი-მეთქი. მეც კაი ეშმაკის ფეხი ვიყავი და არ ვთაკილობდი თავის განებივრებას. მაგალითად, კარგად მახსოვს, უკვე საკმაოდ ფეხმომაგრებულსაც ვერავინ მაიძულებდა, რომ დამოუკიდებლად ამევლო მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩის აღმართი. მოვრთავდი ხოლმე ღნავილს, ამიხუტეთ, ამიხუტეთ-მეთქი, იქამდე არ მოვისვენებდი, სანამ ასე ხელში ატატებულს, არ წამიყვანდნენ შინისკენ. იქნებ იმიტომაც არ მელეოდა გამნებივრებელი, რომ პატარა ბიჭობაში ცოტა არ იყოს, ჭირიანი მეთქმოდა და დედაჩემის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი

ექიმი ლორთქიფანიძეც, ჩემი ავადმყოფობის გადამკიდე, ჩვენთან ფაქტობრივად, ყოველდღიურად სტუმრობდა.

დედაჩემს ორი და ჰყავდა — ლინა და დუსიკო. ეს ის დუსაა, რომელიც ომის წლებში, ჩემთან და დედასთან ერთად, ჩვენს თბილისურ ციცქნა ბინაში ცხოვრობდა. რაც შეეხებათ ლინასა და მის მეუღლეს — მიშა აბზიანიძეს, ისინი ბოლომდე უღალატო ხონელებად დარჩნენ, წლების მანძილზე ცხოვრობდნენ ბებია-ბაბუასეულში. ბიძაჩემი ერთხანს ხონის მექანიზაციის ტექნიკუმს დირექტორობდა. მოგვიანებით რაიაღმასკომის თავმჯდომარედაც და რაიკომის მდივნადაც იმუშავა. სანამ ისინი იყვნენ, ჩვენს ხონურ ბუდეს ნამდვილად არაფერი გასჭირვებია. ეს მერე იყო, ჩემი დეიდაშვილების ხელში, ჩამკითხავ-მიმხედავი რომ დაუძვირდა და თანდათან გამოიკეტა.

უფრო ცუდად წაუვიდა საქმე ჩემი თერჯოლელი ბებია-ბაბუის ნაამაგარ სახლ-კარს, რომელიც ნამდვილად რიგიანი შესახედაობისა გახლდათ, თუმცა, სოფლური წესისამებრ, ყავრით იყო გადახურული. ასე რომ, დროთა განმავლობაში ეს ყავარი დალპა და წყალს უშვებდა. მამა კი, უსახსრობის გამო, ვერა და ვერ ახერხებდა მის შეკეთებასა თუ ხელახლა გადახურვას — დილიდან გვიანობამდე სამსახურზე იყო მიბმული. ასე რომ, თავის დროზე მართლაც საუკეთესო ის ჩვენი სახლიც საბოლოოდ გასხვისდა. იმ სხვამ დაშალა და თავის ადგილში გადაიტანა. მაშინვე ამბობდნენ, ისეთი სახლი გამოუვიდა, ავ თვალს არ ენახვებაო.

მამას ორი ძმა ჰყავდა: უფროსი — შალვა (ჩემი თანშეზრდილის - ირაკლის მამა), რომელიც ადრევე დაიღუპა და უმცროსი - დათიკო, რომელსაც დიდძალი შთამომავლობა დარჩა.

სამ ძმას ჰყავდა უფროსი დაც — ალექსანდრა, შინაურობაში — ცუცა, რომელმაც ბელინსკის ქუჩაზე მდებარე თავის ერთოთახიან ბინაში ჯერ კიდევ ჩემი პატარაობისას შეიხიზნა ჩვენი სამსულიანი ოჯახი.

ცუცა რუსულ სკოლაში ასწავლიდა ისტორიას. როგორც მაშინ დიდი სიამაყით ამბობდნენ ხოლმე, ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი ნიჭიერი და საყვარელი მოწაფე ყოფილა. ძალიან კარგად მახსოვს, ამ ფაქტს მეც რა მნიშვნელობას ვანიჭებდი.

მშობლები

მამაჩემი, ბესარიონ ჯანელიძე, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი გახლდათ.

დაბადებული იყო გასული საუკუნის გარიჟრაჟზე, 1902 წელს. დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია (რა თქმა უნდა, ბაბუაჩემის მაღალი სოციალური სტატუსის წყალობითაც), რის შემდეგაც ჩაუბარებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე.

მამა აგარის შაქრის კომბინატში აგრონომად სწორედ უნივერსიტეტიდან გაანაწილეს. ვგონებ, იქ საკმაო ხანიც დაჰყო, რადგან ჩემმა ადრეულმა ბავშვობამ, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, ამ ნაცრისფერ, ულიმღამო და უსიხარულო დაბაში ჩაიარა, თუმცა აგარაში დიდხანს არასდროს მამყოფებდნენ, მალევე გამიყენებდნენ ხოლმე ჩემი საყვარელი ხონის გზას. ასე რომ, იმ ცოტა ხანსაც მამის ხათრით ვითმენდი. რა თქმა უნდა, ასეთები აგარაზე დღეს უკვე აღარ ითქმის – გამწვანებულ-გამშვენიერებული პატარა დაბა ხომ ჩვენი შაქრის ნარმოების ცენტრი გახლავთ.

მამას ბაჭიას ეძახდნენ. სიბერემდე შერჩენილი ეს მეტსახელი ბებიაჩემის დანათლულია, მისი ნამდვილი სახელი იშვიათად ახსენდებოდათ. ჩემი სამეგობროსთვისაც კი ბოლომდე ბიძია ბაჭიად დარჩა. თუმცა მის ხასიათზეც რომ არაფერი ვთქვათ, გარეგნობითაც ბაჭიობას ნამდვილად ვერ დააბრალებდი: საკმაოდ მაღალი იყო, უფრო ბრგე, ტანსრული, ძალიან ვაჟკაცური, სპორტული აღნაგობისა და ეს ნარმოსადეგობა თუ ხიბლი ბოლომდე შეინარჩუნა კიდეც.

მამა მკაცრი კაცი იყო. თუმცა ამ სიმკაცრეში სიფაქიზისა და სითბოს გამორევაც შეეძლო და იცოდა. გამორჩეულად შეუვალი იყო ხოლმე შვილებთან, მაგრამ ბევრჯერაც გავუოცებივართ თავისი სირბილითა თუ მისაწვდომობით. ამით იმის თქმა მინდა, რომ სანამ ის იყო, ჩემს მეგობრებს ჩვენს ოჯახში მასზე უკეთესი მომსმენი, გამზიარებელი თუ თანამესუფრე, ვგონებ, არც ჰყოლიათ.

მამაჩემის მეტსახელთან დაკავშირებით მისი ცხოვრების ერთი

ასეთი უწყინარი შემთხვევა მახსენდება...

მამას კოლეგა და უახლოესი მეგობარი სიმონ ხოშტარია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მოღვაწეობის შემდგომ მოსკოვში გადაიყვანეს. ერთი სიტყვით, დააწინაურეს — საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გახდა!

ერთხელაც ჩავიდა მამა მოსკოვში რაღაც საქმეზე და, სხვასთან ერთად, სოფლის მეურნეობის სამინისტროშიც შეუარა ამ თავის ძველ მეგობარს. შესულა სამინისტროს მისაღებში, მდივნისთვის თავი წარუდგენია და უთხოვია, მოახსენეთ ბატონ სიმონს, ბესარიონ ჯანელიძეა მოსული და თუ მიმიღებსო. მდივანს, რა თქმა უნდა, მაშინვე შეუსრულებია ეს თხოვნა და პასუხიც გამოუტანია: ცოტა ხანს ჩამოჯდომა გთხოვათ, ჯერ ხალხს უნდა მოეთათბიროსო.

ერთი სიტყვით, როგორც ასეთ უწყებებში ხდება ხოლმე, კარგა ხანს გაგრძელებულა ეს «ცოტა ხანს ჩამოჯდომა» და ლოდინი. ბოლოს, როგორც იყო, შეუპატიჟებიათ კაბინეტში. მოკლედ, ამისი შესვლა და სიმონის მოძახება ერთი ყოფილა: შე კაცო, ნორმალურად ვერ აუხსენი, რომ ბაჭია ჯანელიძე ხარ, ამდენს ხომ არ გაყურყუტებდითო...

მამას ერთი ნამდვილად ჰქონდა : გრძნობათა გამოხატვის სიძუნწე. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, მისი ეს თავშეკავებულობა სხვისთვის რა გადამდები თუ დამბორკავი შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩემთვისაც კი, შვილისთვის, იგი რაღაც ბარიერივით იყო — უკვე კაცობაშიც კი მორიდებულობის რაღაც ზღვართან შემაყენებდა.

მაგალითად, კარგად მახსოვს, რომ მისი თანდასწრებით სიგარეტი თითქმის არასდროს გამიბოლებია. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ მესამეკურსელი მშობლებისგან მატერიალურად საკმაოდ დამოუკიდებელი ვიყავი და ფრიადოსნის სტიპენდიისა და ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის ხელფასის წყალობით, იმ დროისთვის საკმაოდ ღონიერი შემოსავალი მქონდა.

თითქმის-მეთქი, ალალბედზე ნამდვილად არ წამომცდენია. ეს იყო, თუ არ ვცდები, იმ წლებში, როცა პოლიტექნიკურის პარტკომის მდივანი ვიყავი... გამოვედი შინიდან, ჩამოვირბინე კიბე, ჩამოვამთავრე ის ჩვენი ერთი ციდა ეზო, უკვე ბარნოვზე რომ გვეჭირა, იმ ბინისა და უცებ, ვხედავ: გაჭრიალდა ალაყაფის კარი და მამაჩემი შემოდის.

ამ შეხვედრას იმდენად არ ველოდი, რომ ვერაფრით გავიცნობიერე, პირში სიგარეტი რომ მქონდა გარჭობილი. ჩანს, ეს მამამაც

ვერ შენიშნა. არადა, გავუჩერდით ერთმანეთს, რაღაც ფრაზები გავცვალეთ. მაგრამ გავცდი თუ არა მამაჩემს, მაშინვე შემახსენა თავი ჩემმა ფერფლდაკიდებულმა სიგარეტმა და... ერთბაშად შემომეყარა გულზე!

ასეთი რიდი მამისა მისი სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ მომშლია...

მამა თბილისში რომ გადმოიყვანეს სამუშაოდ, ვიქნებოდი ასე თორმეტიოდე წლისა. სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაინიშნა მარცვლეულის სამმართველოს უფროსად. ეს იყო მნიშვნელოვანი დანინაურება. აღარაფერს ვიტყვი თავად ამ სამმართველოს მნიშვნელობაზე იმ პირობებში, როცა ის-ის იყო, წამოაყენეს ერთ-ერთი სამეურნეო ლოზუნგი: «უზრუნველვყოთ საქართველო საკუთარი წარმოების პურით!»

ეს უკვე ის წლებია, როცა ბევრი აღარაფერია დარჩენილი ომამდე. იმ დიდ საყოველთაო განსაცდელამდე, რომელიც მაშინ უკვე საკმაოდ პოპულარული რადიოდიქტორის — ლევიტანის ხმით შემოვიდა უკლებლივ ყველა ოჯახში და, ბუნებრივია, არც ჩვენი გამორჩენია.

მამა იმავე დღეს გაიწვიეს ჯარში მობილიზაციით. თუმცა, იგი აღმოჩნდა არა ფრონტის წინა ხაზზე, არამედ ირანის რომელიღაც სამხედრო სასწავლებელში, საიდანაც, გარკვეული მომზადების შემდეგ, უკვე ოფიცრის ჩინით, ერთ-ერთ საგანგებო ქართულ დივიზიაში ჩარიცხეს.

მეორე მსოფლიო ომი ამ დროს უკვე მძვინვარებს. სტალინი პოტენციური საშიშროებებისა და საფრთხეებისგან ქვეყნის დასაზღვევად არაფერს იშურებს. ერთ-ერთი ასეთია კავკასიის აზიური გარემოცვა, საიდანაც აგრესია ნამდვილად არის მოსალოდნელი.

აი, კონკრეტულად, რა მოსაზრებით შეიქმნა ის ქართული დივიზიებიც, რომელთაგანაც ერთი ახალქალაქში, მეორე - გორში, კიდევ სხვა - სხვა ადგილას იყო დისლოცირებული. თითოეული მათგანი შედიოდა ქუთაისის კორპუსში, რომელსაც მეთაურობდა თურქეთში ნაომარი პირველი მსოფლიო ომის მონაწილე გენერალი ყუფარაძე. ამბობდნენ, რომ მან თურქეთის მთელი სამხედრო თეატრი ხუთი თითივით იცოდა.

საბედნიეროდ, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე მდგომარეობა არ გამწვავებულა და სტალინს არ დასჭირვებია ამ შენაერთების გამოყენება. ისე მოხდა, რომ მათ სხვა ფრონტებზე გადასროლაც ასცდათ. თუმცა კი, თითოეული ეს დივიზია ძალზე

კვალიფიციური სამხედრო კადრით იყო დაკომპლექტებული.

ასე რომ, ჩვენი ოჯახისთვის ფრონტის ხაზი, ფაქტობრივად, მთელი ომის მანძილზე, გადიოდა ახალქალაქზე, სადაც იმდენად არასაომარი ვითარება იყო, რომ ხანგამოშვებით, ჩვენც ვახერხებდით ხოლმე იქ მამის მონახულებას.

სწორედ ასეთი ერთ-ერთი რიგითი მონახულების დროს გავიცანი ნათელა ვასაძე - დივიზიის მაღალჩინოსნის ქალიშვილი, ჩემზე რამდენიმე წლით უმცროსი გოგონა, ახლა უკვე პატივცემული ქალბატონი და მეცნიერებათა დოქტორი, ვისთანაც კომკავშირული საქმიანობისა თუ მეგობრობის არაერთი წელიწადი მაკავშირებს. ცხადია, ეს ურთიერთობანი იმ ჩვენი ყმაწვილობის დროინდელი ნაცნობობის, ჩვენს ოჯახებს შორის მაშინ გაბმული კეთილმოსურნეობის თავისებური გაგრძელება და გამოძახილია.

აი, როგორ იგონებს ამას თავად ქალბატონი ნათელა:

„მამაჩემი, შალვა ვასაძე, პოლკოვნიკი იყო. საზოგადოებას ახსოვს, თავის დროზე, იგი საქართველოს სამხედრო კომისარიატსაც ხელმძღვანელობდა. ომის დროს მსახურობდა ახალქალაქის ქართულ დივიზიაში, სადაც არანაკლებ თვალსაჩინო სამხედრო თანამდებობა თამაზის მამას - ბესარიონ ჯანელიძესაც ეკავა.

ისე მახსოვს, ომი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრების უსაფრთხოების მიზნით, კავკასიის ქართული დივიზიების დაშლას აჭიანურებდნენ. ამასობაში კი ახალქალაქის სამხედრო ქალაქი, სადაც ეს ჩვენი დივიზია იდგა, სულ უფრო ემგვანებოდა მშვიდობიან დასახლებას, სავსეს არა მარტო ომის მერე ბუნებრივად ფორმაშემორჩენილი მამაკაცებით, არამედ მათი ცოლ-შვილითაც. თუმცა ჩვენთვის, წვრილფეხობისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ბავშვური თამაშობები, პატარა ქალაქს ხან მეომრულ ყიჟინად და ხანაც მშვიდობიან ჟრიამულად რომ გადაუვლიდა ხოლმე.

აი, როდიდან მოსდევენ ჩემს შთაბეჭდილებას კაშკაშა სურათად ცოლ-ქმარი ჯანელიძეები - ჩვენი სამხედრო ქალაქის ლამაზი წყვილი... ძნელად, ვინმეს გვერდით ჩაევლოთ და გულგრილი დაეტოვებინათ.

ესენი იყვნენ თამაზ ჯანელიძის მშობლები. არა მარტო იშვიათი გარეგნობით, დიდი სულიერი ღირსებებითაც შემკული ადამიანები, ჩემთან, პატარა გოგონასთანაც რომ არ უჭირდათ თავის გატოლება თუ დამეგობრება. მე საშუალება მქონდა, დავკვირვებოდი ჩემს მშობლებთან მათ ურთიერთობასაც, რომელიც მერეც გაგრძელდა.

ამიტომაც არ მიჭირს თქმა, რომ თუკი თამაზსა და მის ცოლ-შვილს დღეს რამ სიკეთე გამოარჩევთ, ეს, უპირველესად, იმიტომ, რომ ამ დიდებული წყვილის კეთილშობილებით არიან ნასაზრდოებნი. იმიტომაც, რომ ეს როგორც გარეგნული, ისე შინაგანი ღირსებებით შემკული ადამიანების დანატოვარი ოჯახიცაა».

მამამ თავისი «ჯარისკაცული» ცხოვრების დასრულება თავისებურად აღნიშნა: შემოალო თუ არა კარი, ამოიღო ჯიბიდან «ყაზბეგის» კოლოფი, დადო მაგიდაზე, ამოაყოლა თვითნაკეთი სანთებელა, ჯარისკაცები რომ აკეთებდნენ ტყვიის ჰილზისგან და საზეიმოდ გამოგვიცხადა - მორჩა, პაპიროსს თავს ვანებებო. მართლაც, ეს იყო და ეს - ამის მერე აღარ მოუწევია.

ეს იყო 1945 წელი. მაშინ მამა 43 წლისა გახლდათ.

ამ დროისთვის ჯერ ისევ ბარნოვის 27-ში ვცხოვრობდით. 18 კვადრატულმეტრიანი ერთადერთი ოთახი გვქონდა. ის იყო ჩვენი მისაღებიც, საძინებელიც, ჩემი სამეცადინოცა და სამზარეულოც. აქ ჩაიარა მთელმა ჩემმა მოწაფეობამაც და ყმაწვილობამაც: მივჯდებოდი ხოლმე ერთ კუთხეში ჩემთვის და ვმეცადინეობდი ან ვკითხულობდი. ყველაზე საინტერესოა, რომ ჩემს ამგვარ «შევიწროებას» ჩვენი ოჯახის არც ერთი «რეგულარული» სტუმარი არც შეუცბუნებია და არც დაუფრთხია. ასე რომ, ჩემი მშობლები, ისევე, როგორც ყველა ახალგაზრდა წყვილი, ამ ჩემი სანიმუშო მოწაფეობის ფონზეც საკმაოდ კარღიად და შეუზღუდავად ცხოვრობდნენ.

ჩვენს რამდენიმე ბინიან სახლს სულ რაღაც ერთი ბეწო ადგილი ჰქონდა მართლა ეზოდ სათქმელი და ბიჭებს ფეხბურთი სულ გვენატრებოდა. ერთს გავკრავდით ბურთს ფეხს და უკვე მოგვკიოდნენ აივნებზე აქედან თუ იქიდან გადმომდგარი მეზობელი ქალები, არიქა, მინები არ ჩაგვიმსხვრიოთო.

ამ პერიოდისთვის მამა ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო ინსპექციის უფროსად დანიშნეს. ეს იყო საკავშირო დაქვემდებარების საკმაოდ სოლიდური ორგანიზაცია, რომელიც მთელ საქართველოში გამოყოფილ სპეციალურ ნაკვეთებზე აწარმოებდა სერიოზულ საცდელ სამუშაოებს და წარმატებულ ჯიშებს კოლმეურნეობაში დასანერგად ამზადებდა.

მამას არასდროს უსარგებლია თავისი მდგომარეობით ამიტომაც კარგა ხანს ვერ მოახერხა ცოლ-შვილისთვის მეტ-ნაკლებად გასაძლები საბინაო პირობების შეთავაზება.

ბოლოს ბედმა ჩვენც გაგვიღიმა: ჯიშთა გამოცდის ქართულ სამსახურს საკავშირო სათავო ორგანიზაციის ხელმძღვანელობისგან

საგანგებო დავალება და გარკვეული თანხა ჩამოუვიდა, რომ დაწესებულების უფროსის საბინაო საკითხი მოეგვარებინა. მახსოვს, ეს თანხა იმხელაც არ იყო, რომ რაიმე ახლის პრეტენზია გვქონოდა. ამიტომ საბანი როგორც გაგვწვდა, ისე ვიკმარეთ და იქვე, მეზობლად, ხოშტარიას 13-ში, დავაშენეთ მეორე სართულს სამი ოთახი თავისი დერეფნით.

მაშინ უკვე კარგა სტაჟიანი სტუდენტი და კომკავშირული მუშაკი ვიყავი. მას მერე ათწლეულები გავიდა, არადა, მე და ჩემი მეგობრები, ასევე, მამაც, მშენებლების გვერდით თითქოს გუშინ ვმუშაობდითო... არა უშავს რა ბინა გამოვიდა — ნათელი, ყოველმხრივ მოწესრიგებული. დღეს იქ მანაგაძეების ბუდეა — ჩემი დის მანანასი და ნოდარისა.

დედაჩემი, თინათინ ქუთათელაძე, ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა გახლდათ, როცა მე უკვე საცოლშვილოდ შეღერებული ბიჭი ვიყავი. თითქმის ყმაწვილი გათხოვილა — 17 წლისა უკვე დედა გახლდათ.

პროფესიით იყო ექიმი-სტომატოლოგი, თუმცა უმაღლესი სამედიცინო განათლება გაცილებით გვიან მიიღო. მახსოვს, დიპლომი რომ მისცეს, ომი უკვე დამთავრებული, ხოლო, ჩემი და, მანანა, ახალფეხადგმული იყო, მე კი უკვე სტუდენტი გახლდით.

ალბათ, არასდროს დამავიწყდება, ერთხელ მამამ მოსკოვიდან რომ ჩამოუტანა მთელი სტომატოლოგიური კაბინეტი, ეგებ პაციენტები შინაც მიიღოსო. მაგრამ დედამ ასე ნაგვიანევზე მედიცინაში თავის მოსინჯვას მანანაზე ზრუნვა არჩია.

დედა ძალიან თავმოყვარე, ქმარ-შვილზე გადაგებული ქალი იყო. რაღაცით ნამდვილად ჰგავდა ოთარაანთ ქვრივს. მართლა ისეთი იყო, გაჭირვებაში მყოფმა რომ უნდა ინატრო. ნამდვილად საინტერესო პიროვნება გახლდათ, თუმცა ოჯახში საკმაოდ ძალაუფლებისმოყვარეც ეთქმოდა.

ესეც ჰქონდა: თითქმის არ სცნობდა ავტორიტეტებს. მაგალითად, ისე გამოგიცხადებდა, მაგი ვიცი, შინაურია, ხონელიაო, თითქოს არ შეიძლებოდა, რომ შინაური და ხონელი საზოგადოებისთვის, ან საერთოდ, ვინმესთვის ავტორიტეტი ყოფილიყო.

ჩემი მეუღლე უყვარდა ძალიან და მასთან ურთიერთობაც არასდროს გართულებია. მით უმეტეს, რომ ლამარა ბუნებით ტაქტიანი და მომთმენი ქალია და წვრილმანი გაუგებრობების თავიდან აცილებაც ემარჯვება.

ჩემი მშობლები გულღია და კარღია, გულთბილი ადამიანები იყ-

ვნენ. ჩვენს ოჯახში მეგობრების კულტი იყო, ჩემი ბავშვობის მეგობრებს, თანაკლასელებს სიცოცხლის ბოლომდე შვილებივით უყურებდნენ.

ზურაბ კარგარეთელი (თანაკლასელი და ბავშვობის მეგობარი):

„ მამა სამხედრო პირი მყავდა. ერთხანს რუსეთის ჯარში მსახურობდა. ბოლოს თბილისში, პოლიტექნიკურში ასწავლიდა სამხედრო კათედრაზე. 37-ში დააპატიმრეს. გარკვეული ხნის მანძილზე დედაც მყავდა დაპატიმრებული. ამას იმიტომ ვაზუსტებ, რომ ჯერ კიდევ მოწაფე ვიყავი, ფაქტობრივად, ბედს მინებებული, სრულიად მარტო რომ დავრჩი. ახლა ცოტა ჭირს იმის წარმოდგენა, თუ რა ურთიერთდამოკიდებულება ჩამოუყალიბდათ მაშინ ოჯახებს იმ რეპრესიების გამო. საკმაოდ ბევრს გაუჩნდა მოსაზრება, რომ ტროცკისტების შვილები, ყველანი გარეწრები ვიყავით!

ამასთან დაკავშირებით, ასეთი შემთხვევა მინდა გავიხსენო: ერთხელ ჩემს მეგობარსა და თანაკლასელს ნოდარ მგალობლიშვილს მივყევი ამხანაგთან, რომლის გვარსაც არ დავასახელებ — მამა მინისტრი ჰყავდა. მათთან სულ რაღაც ორიოდ წუთი დავყავით. მერე შევიტყვე, მამამისს ეთქვა: იმ ტროცკისტის შვილის, კარგარეთელის, ფეხი აღარ ვნახო ამ სახლშიო, დაგვლუპავს ეგ ბიჭიო...

იცით, ეს ეპიზოდი რამ გამახსენა? თამაზის სახლიდან ასეთი გულდაწყვეტილი ვერავინ გამოვიდოდა. იქ მე თავს მართლა ბაჭია ბიძიასა და თინა დეიდას შვილად ვგრძნობდი. არავინ მიტრიალებდა თვალწინ თითს ნიშნის მოგებით, მამაშენი ხალხის მტერი და ტროცკისტიაო. მეტიც, მიმაჩნია, რომ იმ ჩემი ძნელი მოზარდობის წლებში თუ გზას არ ავცდი, როგორც ეს ბევრ ჩემს თანატოლს, სხვათა შორის, საუკეთესო ოჯახის შვილს, ასევე, მარტო დარჩენილს დაემართა, იმიტომაც, რომ არსებობდა ფენომენი, სახელად ჯანელიძეების ოჯახი, რითაც მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ“.

იცით, ძალიან საინტერესოდ მეჩვენება, რომ ჩემმა მშობლებმა არა მარტო ჩემი ბავშვობის მეგობრებისადმი, არამედ, საერთოდ, ჩემი მოწაფეობის წლებისადმიც ბოლომდე შეინარჩუნეს რაღაც განსხვავებული, გამორჩეულად სუბიექტური დამოკიდებულება. ეს განსაკუთრებით დედაჩემზე ითქმის. ჩემი და, მანანა, გაიხსენებს ხოლმე: დედას მის მოწაფეობამდეც კი მიჰყვა უკვე წლებისგან გადაყვითლებული ჩემი სასკოლო ქების სიგელებით თავმოწონების ჩვევა თუ მოთხოვნილება.

ჩემსა და ჩემს დას შორის ასაკობრივი სხვაობა 18 წელიწადია და დედას პირდაპირ ხელში ჰყავდა შეკლული მანანა — აბა, შენ იცი,

თამაზიკოს უნდა მიბაძო, არ უნდა ჩამორჩეო.

დედა საკმაოდ საღად მოაზროვნე ქალი იყო. როგორც ანალიზის მოყვარულ ადამიანს, პოლიტიკა გამორჩევით აინტერესებდა. ამაში, ნაწილობრივ, ალბათ, ჩემი „ბრალეულობაცაა“ — ერთადერთი საფიცარი ვაჟიშვილი, კომკავშირულ-პარტიული კარიერის წყალობით, ქვეყნის შიდაპოლიტიკურ პროცესებში საკმად აქტიურად რომ ვიყავი ჩართული.

ავადმყოფურად განიცდიდა იმ წარუმატებლობებს თუ ჩავარდნებს, რომლებიც ნებისმიერი კარიერის თანმხლებია. ამით იმის თქმა მინდა, რომ დედა ყველაფერზე სიცოცხლის ბოლომდე უმძაფრესად რეაგირებდა, მაშინ, როცა მამას, ეს ნაკლებად ახასიათებდა.

ჩვენებისგან გამიგონია, თურმე უჩვეულოდ აამაყებდა ჩემი თუნდაც ყველაზე რიგითი წარმატებაც. ერთხელ ერთ ქალბატონს რაღაცაზე შებმია. სასტიკად გაუნაწყენდა თურმე: ნუ გავიწყდება, რომ მე თამაზ ჯანელიძის დედა ვარო, არაფრად არ ჩაუგდია, რომ არც ის ქალბატონი იყო ნაკლები შვილისა თუ მეუღლის პატრონი.

სოსო ციხკარიშვილი (მარინას მეუღლე):

„ქალბატონი თინა, ანუ თითა ბები ჩემთვისა და ჩემი ცოლ-შვილისთვის განსაკუთრებული ადამიანი იყო. ცხადია, არა იმიტომ, რომ ჩემი მეუღლის — თავისი უფროსი შვილიშვილის „ნათლულია“: ეს ულამაზესი „თითა“ სწორედ მარინას პატარაობის დროინდელი ფანტაზიორობის სახსოვარია.

ამ ქალბატონისგან დიდი სითბო და სიკეთე მახსოვს. ჩემი სწავლის დროს მე და მარინას დაუზარლად წამოგვყვა მოსკოვში, რომ ჩვენთვისაც მოევლო და მაშინ სულ პაწაწკინტელა ზეზვასთვისაც ღამეები ერთგულად ეთია.

თითა ბები შესანიშნავი მოსაუბრე გახლდათ, კამათი დაუსრულებლად შეეძლო და უყვარდა. შეუპოვარი იყო თავისი კრიტიკული შეხედულებების დაცვაში. უზარმაზარი შთაბეჭდილების ქვეშ დამტოვა იმ როგორღაც უფრო აღმოსავლური თუ ბიბლიური სიბრძნით, სრულიად მოულოდნელად, უკვე ღრმა სიბერეში რომ გამოავლინა.

90-ს რომ მიატანა, უცებ, თვითონვე, როგორღაც თავის შიგნით, გადაწყვიტა, მეტხანს სიცოცხლე უკვე უსირცხვილობაა. ერთბაშად აიკრძალა წამალიც, სმა-ჭამაც და ასე უცნაურმა, უშფოთველმა, შინაგანად საოცრად გაწონასწორებულმა თუ ამაღლებულმა, ამაყად დატოვა ეს წუთისოფელი“...

კოპიანი ნულკლასელი

საოცრად ცხადად მაგონდება ჩემი მოწაფეობის პირველი დღე.

მაშინ მამიდასთან ვცხოვრობდით. მანვე მოიწადინა ჩემი მოწაფეობის პირველი დღის მეგზურობაცა და მოწმეობაც.

გუშინდელივით მახსოვს, ხელიხელჩაკიდებულნი რომ გამოვედით შინიდან და დავეშვით ბელინსკის ქუჩაზე. მამიდაჩემს ღონივრად ვეჭირე. მართლა დასაჭერი ვიყავი, აქეთ-იქიდან იმდენნაირი საცთური, თავშესაქცევი თუ სეირი მეძახოდა და მაბრუებდა.

ერთი სიტყვით, ჩემს სტიქიაში ვარ — თვალები იქეთ-აქეთ გამირბის, ცნობისმოყვარეობა არ მასვენებს: პირდაპირ თავს გადამდის ქუჩის ამდენი შთაბეჭდილება, ხმაური და ქოთქოთი. ამასობაში ჩავამთავრეთ ბელინსკის თავდაღმართი, გადავუხვიეთ ლენინის ქუჩაზე და ის იყო, სკოლასაც მივატანეთ, რომ სრულიად მოულოდნელად, პირდაპირ შუბლით უზარმაზარ ხეს არ შევასკდი?! შედეგი — შუბლზე შთამბეჭდავი კოპი!

აი, ამ კოპით დამშვენებული მივედი 0 კლასში, თუმცა კი „კოპები“ ცხოვრებაში არც მერე დამკლებია...

იმ წლებში განცდილ-ნაფიქრი უამრავი რამ ცხადად აღარ მახსენდება და მათ შორის, რასაკვირველია, არც ის, თუ როგორ აღმოვაჩინეთ ხუთმა თანაკლასელმა: მე, ჩემმა ბიძაშვილმა — ირაკლი ჯანელიძემ, ნოდარ მგალობლიშვილმა, ნოდარ გრიგორაშვილმა და ზურაბ კარგარეთელმა, რომ ერთმანეთისთვის არა მარტო უბრალო ამხანაგები და ძმაკაცები, არამედ სულიერადაც რაღაც უფრო ღვიძლები ვიყავით. მაშინ ჯერ კიდევ ბავშვები გახლდით და არ ვიცოდით, რომ ჩვენი ცხოვრების შემდგომი ათწლეულები ერთმანეთს ასე მჭიდროდ დაგვაკავშირებდა.

მაგრამ ჯერ კიდევ მოზარდები ვართ და ჩვენს ბავშვურ თავმოწონებას ისიც ჰყოფნის, რომ თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო, მე-18 სკოლის (რომელიც ჯერ ვაჟთა მე-7, ხოლო მოგვიანებით – 51-ე სკოლად გადაკეთდა) მოწაფეები გვქვია, მასწავლებლებად კი განსაკუთრებული სულიერ-ინტელექტუალური ფასეულობების ადა-

მიანები მოგვიჩინეს: ქეთო კარიჭაშვილი, სონიკო ფხალაძე, ვარო ვარდიაშვილი, ბაბო მჭედლიძე, ვასო აბდუშელიშვილი, ელენე შიუკაშვილი, თამარ ყაზახაშვილი... დღესაც ეს სახელები მაღალ ინტელიგენტობასა და პროფესიონალიზმთან ასოცირდება.

მახსენდება, ჩვენი სკოლის დირექტორი პარმენ ქაჯაია თუ სასწავლო ნაწილის გამგე თამარ ხელაშვილი რამდენს აკეთებდნენ, რომ სკოლაში ეს შემოქმედებითი ინტელიგენტური სულისკვეთება არ გაენელებინათ. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ასე შორს მივყავართ უბრალო ჩამონათვალსაც იმ მე-18 -სკოლელებისას, რომლებმაც სრულიად გამორჩეული წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის, ხელოვნების თუ მეცნიერების განვითარებაში.

საგანგებოდ მინდა გავიხსენო ჩვენი სკოლის დირექტორი ბატონი პარმენი, რომელიც თავისი პიროვნული კოლორიტულობით ჩვენზე, მოსწავლეებზე, უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენდა.

აქსიომაა: რაც უნდა სანიმუშო და სწავლისმოყვარე იყოს, არ არსებობს მოსწავლე, რომელიც მასწავლებლის ხასიათის სისუსტეს თავის სასარგებლოდ არ გამოიყენებს.

პარმენი დიდებული კაცი იყო, ძალიან თბილი, მამაშვილური ადამიანი, თუმცა მოწაფეებთან ურთიერთობისას მას აშკარად ჰქონდა პრობლემა. მიუხედავად დირექტორობისა, მოწაფეები ქილიკსაც და გაკვეთილის არევასაც იოლად ვუბედავდით.

ერთბაშად იცოდა ხოლმე გაცხარება. უცებ აევსებოდა მოთმინების ფიალა და შემოგვიტევდა. დატუქსვაც კი რაღაც განსხვავებული, თავისი ტრადიციული «ტექსტით» იცოდა — ამას როგორ მიბედავთ, როცა მე დამნიშნა ცეკამ, ტეკამ და იმ კაცმაო. ამას რომ იტყოდა, არ შეიძლებოდა, საჩვენებელი თითი არ აეშვირა ჭერისკენ და... უნდა მიმხვდარიყავი, რომ თვით სტალინზე იყო ლაპარაკი!

ამას წინათ პარმენთან დაკავშირებული ერთი ჩვენებური ოინი ზურაბ კარგარეთელმაც გამახსენა:

„ერთხელაც შემოდის ჩვენს კლასში პარმენ ქაჯაია და გვთხოვს, ვისაც მოგიხერხდეთ, წითელარმიელებისთვის თბილი ტანსაცმელი შეაგროვეთო. ეს ის დროა, როცა გამარჯვება ჯერ შორსაა, გერმანელები კი უკვე მოსკოვსაც არიან მომდგარნი. ერთი სიტყვით, გაგვაცნო საქმის ვითარება.

სიჩუმე პირველმა ქართლოს კასრაძემ დაარღვია, შეიძლება ფრენჩიკი მოვიტანოო? ოო, ფრენჩიკი კარგიაო, გაგრძელებით თქვა პარმენმა, ჩაიცვამს ჩვენი წითელარმიელი და გათბებაო. ახლა ნოდარ მგალობლიშვილმა წამოყო თავი, პატივცემულო, თუ შეიძ-

ლება, ორი ფრენჩიკი რომ მოვიტანოთო. რა თქმა უნდაო, პარმენმა, ნამდვილად ჯობია ერთს ორი ფრენჩიკიო.

ამასობაში ვილაცამ იკითხა, ხუთი ფრენჩიკი რომ მოვიტანოთ, თუ შეიძლებაო. პარმენმა ხელად იყნოსა, რომ რაღაცას ვციგნობთ და ერთბაშად ყველას შემოგვიტია, ვინ თქვა პირველმა, ფრენჩიკიო... ორი თავი ვის ჰქონდა და ვინ ეტყოდა?! ასე იყო. ომის თაობა კი გვერქვა, მაგრამ, ნორმალური ბავშვებივით, ხანდახან გაკვეთილებზე ჩვენს მასწავლებლებთან ერთად, ჩვენც ვმხიარულობდით».

მიუხედავად ასეთი უცნაურობებისა, მთელ სკოლას ძალიან გვიყვარდა პარმენი. საოცრად კეთილი კაცი იყო და იმიტომ, რასაც ვუბედავდით, სიყვარულით ვუბედავდით.

როგორ დააკარგვინეს ჩვენმა პედაგოგებმა საბჭოთა არმიას სერიოზული პატრიოტული შევსება

ომი რომ დაიწყო, მე და ჩემი თანაკლასელები 14-15 წლისანი ვიყავით.

უმძიმესი დღეები იდგა. მთელი ქვეყანა რადიომიმღებთან ყურმიდებული ათენებდა და აღამებდა, ფრონტისთვის მუშაობდა ერთი კაცივით. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ ყოველ მეორე მოყვინჩილებულ ბიჭსაც გული აუცილებლად ერჩოდა საკუთარი მიწაწყლიდან ჰიტლერის ჯარების გადასარეკად.

ისე მოხდა, რომ ასეთი სულისკვეთებისა სკოლაში თავდაპირველად, სულ რაღაც ოთხიოდე ბიჭი აღმოვჩნდით. მაგრამ პატარა ხმის გავარდნა და ბარე ორი ამდენი შემოვიმატეთ.

ეს ის შემთხვევა იყო, როცა მიზანი მართლაც ამართლებს საშუალებას. მიზანი კი საკმაოდ შთამბეჭდავი გვქონდა: ჰიტლერისთვის ცხვირ-პირი უნდა ამოგვენაყა, ჩვენი კარგი ბიჭობა და ქართველობა კი მთელი საბჭოეთისთვის დაგვემტკიცებინა.

ზურაბ კარგარეთელი: „ ცხვირმოუხოცავი, ცხოვრებაში თვალაუხელელი ღლაპებისგან აბა რა მეომრები უნდა დამდგარიყო? მაგრამ ჩვენ, ბიჭები თავს ძალიან ვიდებდით და ახლა რომ ვაანალიზებ, ამ ყველაფერში თამაზის — პატარაობიდანვე ჩვენი გამოკვეთილი ლიდერის — დიდი გავლენა იყო.

თამაზი კი მართლა უსაშველო პატრიოტი გვყავდა. მე, რეპრესირებული ოჯახის შვილიც კი, ისე ჩამითრია ამ ამბავში, პირდაპირ სული მელეოდა, რომ ფრონტზე ჩვენს მოხვედრამდე ჰიტლერი როგორმე არ დაემარცხებინათ. არადა, ეს კარგი ამბავი ჯერ სადაა — ჩვენი ჯარისკაცები უკან იხევენ!

სწორედ იმ ხანებში, ბედად, ჩვენი თანაკლასელის — თეიმურაზ გვარიშვილის მეზობლად, პეროვსკაიაზე, ვიღაც რუსი გენერალ-ლეიტენანტი შეასახლეს. ამ ფაქტმა ჩვენი შემართება კიდევ უფრო გააქეზა. შევთანხმდით, მივსულიყავით იმ კაცთან, ჩაგვიწყობდა

ფრონტზე წასვლას და მერე ნახავდა ყველა, ჰიტლერს რაც მოუვიდოდა.

მოკლედ, თემოს გავაკეთებინეთ ეს საქმე — შეგვახვედრა გენერალს.

დავეწყვეთ ყველანი, ავაკითხეთ შინ და მთელი ჩვენი პატრიოტული გრძნობები და ბიჭური შემართება თვალწინ გადმოვულაგეთ. უცებ, შუა მოლაპარაკებაში რომ ვართ, გაიღო გვერდითა ოთახის კარი და შემოვიდა გენერლის მეუღლე. ქალის უნახავს გაგხდიდა, ისეთი იშვიათი სილამაზის რუსი ქალბატონი.

რა თქმა უნდა, ჩვენი ყურადღება უცებ დაიპყრო. რალაცნაირად კი ვაბამდით თავს სათქმელს, მაგრამ ისე გამოგვდიოდა, რომ უკვე გენერალს კი არა, მის ლამაზ ცოლს „ვუპატაკებდით". ისიც დიდი ენთუზიაზმით ჩაერთო ჩვენს მოლაპარაკებებში. ქმარს იდეა წააშველა — ბიჭების მისამართები და ტელეფონის ნომრები ჩაიწერე, საქმეს რომ გაუჩარხავ, ხომ უნდა შეატყობინოო. ერთი სიტყვით, ისე დაგვაიმედა, პარტიზანობა ლამის ჯიბეში ჩაგვიდო. ასე იღბლიანად დამთავრდა ჩვენი მოლაპარაკება.

მაგრამ, მანაც და გენერალმაც, რა თქმა უნდა, ჩვენი წამოსვლისთანავე გასწიეს ყველა საჭირო თადარიგი – სათითაოდ ჩამორეკეს ჩვენს ოჯახებში. თან უკვირდათ თურმე, ვინ არიან ეს სულელი ბავშვები, შუაგულ ცეცხლში რომ ცვივიან, ზოგი ფულსაც ხარჯავს, რომ ამ ომს უვნებლად გადაურჩესო... ასე რომ, მე, პირადად, ჯერ ხეირიანადაც არ მქონდა შეღებული ჩვენი ბინის კარი, რომ ბრახ! — და თავში დედაჩემის ჯოხი მომხვდა!

ასე სამარცხვინოდ ჩაგვეშალა ის საომარი გეგმა, რომელიც ჩვენი ყოჩისა და ლიდერის — თამაზ ჯანელიძის — ბიჭური ავტორიტეტისა და პატრიოტული თავგამოდების საქმე უფრო იყო".

ასე უიღბლოდ დამთავრდა ჩვენი გასამხედროების ამბავი. ამასობაში კი საბჭოთა არმიამაც გაარღვია თავდაპირველ წარუმატებლობათა ჯადოწრე, ბრძოლა ბრძოლაზე მოიგო და ჰიტლერის საქმე სასწორზე შეაგდო. ასე რომ, ჩვენნაირი ყოჩაღი ბიჭების დახმარება აღარაფერში დასჭირდა და ჩვენც დღის წესრიგში, ახლა უკვე ყოველგვარი ყმაწვილური ავანტიურის გარეშე, დაგვიდგა პროფესიის არჩევის საკითხი.

კარიერა სტუდენტობისას იწყება

სკოლის დამთავრების შემდეგ თითოეული ჩვენგანი პირისპირ აღმოჩნდება ხოლმე საკუთარი ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ პრობლემასთან, რომლის გადაწყვეტაც მას ამ ასაკისთვის არსებული რესურსებით, უმეტესწილად, არ შეუძლია. ლაპარაკია მომავალი პროფესიის არჩევაზე.

პირველიდან ბოლო კლასამდე საუკეთესოდ ვსწავლობდი. თუმცა, საშუალო განათლების ატესტატი რომ ავიღე, როგორც ყველა ფრიადოსან ყმაწვილს, თითოეულ საგანს ერთნაირი მონდომებით რომ ეუფლება, საოცრად გამიჭირდა საკუთარ მიდრეკილებებში გარკვევა.

შესაძლოა, ამიტომაც, მიმაჩნია, რომ სკოლა ბევრს ვერაფერს აკეთებს პიროვნების პროფესიული ორიენტირებისთვის. ყოველ შემთხვევაში, მე სკოლას ნამდვილად არ დავუკვალიანებივარ... და რომ არა ქვეცნობიერში დალექილი სიმპათიები ერთი ადამიანის მიმართ, ვინ იცის, შემთხვევა რა საქმეს მიმაყენებდა.

ეს კაცი იყო ავთანდილ (ღუტუ) ჩხეიძე — დედაჩემის დის, დუსას, თაყვანისმცემელი და შემდეგ — მეუღლე, რომლის ხშირი ვიზიტების ადრესატად თავს მე უფრო ვგრძნობდი.

ღუტუ გეოლოგი იყო, ყველა ქვისა თუ მინერალის მცნობი კაცი, მოდებული ათას კლდე-ღრეს, ბუნებასთან სხვაზე უფრო გაშინაურებული. მაშინ ვფიქრობდი და ეს ალბათ, ასეც იყო, რომ მისი გასაოცარი ნაკითხობაც ამ ცოდნიდან მოდიოდა.

ერთი სიტყვით, ეს კაცი ჩემი ცხოვრების ერთი იმ სიყვარულთაგანია, ჩემს შინაგან მისწრაფებებსა თუ შემდგომ ცხოვრებას ღრმა კვალი რომ დააჩნია.

მოკლედ, ხელში მიჭირავს, ქვას რომ გახვრეტს, ისეთი ატესტატი (მაშინ ფრიადოსნებს ოქროს მედლების ნაცვლად, ქების სიგელებს ურიგებდნენ) და მიუხედავად იმისა, რომ ჩემს წინ ყველა უმაღლესი სასწავლებლის კარი ღიაა, ვერ გადამიწყვეტია, სად შევიდე...

მინდა შევნიშნო, რომ მშობლებმა ჩემს არჩევანს სრული ნდობა და თავისუფლება გამოუცხადეს. ამ დამოკიდებულების გამო, რო-

მელიც მე მაშინ უფრო გულგრილობად მეჩვენებოდა, გარკვეული წყენა დღემდე არ ჩამყუჩებია. შესაძლოა, მაშინდელი განცდების გავლენითაც, მე უფრო სხვაგვარი ფსიქოლოგიის მშობელი დავდექი. მაგალითად, პროფესიის არჩევას ვერაფრით ვანდობ 16-17 წლის ყმაწვილის კეთილგონიერებასა თუ შინაგან მისწრაფებას. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევებს ვგულისხმობ, როცა ბავშვის გამორჩეულ შემოქმედებით ნიჭიერებაზე არაა ლაპარაკი.

ამ თვალსაზრისით, მე და ჩემს მეუღლეს, ლამარას, დღემდე სრული თანამოაზრეობა გვაქვს. ორივეს მიგვაჩნია, რომ ახალგაზრდის ნიჭს, თვითგანცდასა თუ ალღოს, მიმართულების მიცემასთან ერთად, თავისებური აღზრდა, განვითარება და გაძლიერება სჭირდება. ოღონდ ბავშვმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იგრძნოს, რომ მის ინტერესებსა თუ სულიერ-ინტელექტუალურ მიდრეკილებებს, მის გარდა, კიდევ ჰყავს სხვა მიმგნები და წამახალისებელი.

ამით იმის თქმას ვცდილობ, რომ როცა ჩვენი ქალიშვილების ცხოვრებაში ასეთი დრო დადგა, ჩვენ მათი პროფესიის არჩევაში ძალზე ენერგიულად, თუმცა დიდი ტაქტით, ჩავერიეთ და ვფიქრობთ, ამით ცუდი არ გაგვიკეთებია, რადგან თავიანთი პროფესიებით მარინამაც და ნანამაც მაქსიმალურად შეძლეს პიროვნული თვითრეალიზებაცა და საზოგადოების სამსახურიც.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ჩემს სიყმაწვილეს... ჯერ ისევ 17 წლისა ვარ, ჩემს ბიძაშვილთან ერთად, დიდი ამბით, შემაქვს საბუთები მექანიკის ფაკულტეტზე და არაფრით დავიჯერებ, ვინმემ რომ მიწინასწარმეტყველოს, სულ რაღაც ათიოდე წუთში ამ შენი საბუთებიანად სამთო გეოლოგიურზე შემსვლელთა რიგში გადაინაცვლებო.

მაგრამ... გადავინაცვლე (ღუტუ ჩხეიძის რომანტიკული ისტორიების გავლენა)! მოვექეცი დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა შუაგულში და სპეციალობად ავირჩიე სასარგებლო წიაღისეულის ძებნა-ძიება, ჩემი აზრით, მართლაც ჩემს ხასიათსა და შინაგან მისწრაფებებს მორგებული საქმე: მე ხომ გარდა იმისა, რომ წიგნებში კირკიტი და კვლევა-ძიება მიყვარდა, უსაშველოდ ჩხირკედელაც ვიყავი?!

პირველ კურსზე გეოდეზია გვეკითხებოდა. გეოდეზია უმძიმესი საინჟინრო დარგია, შესაბამისად, ურთულესი სასწავლო დისციპლინაც. გარკვეულწილად, რა თქმა უნდა, სიმბოლურიც იყო, სამთო გეოლოგიის ფაკულტეტის მთელ კურსს უპირველესი საინსტიტუტო ლექცია გეოლოგიისთვის ამ ერთ-ერთ ფუძემდებლურ დისციპ-

ლინაში რომ წაგვიკითხეს.

ლექტორი გახლდათ თავად ნიკოლოზ (კოლია) თევზაძე - ამავე კათედრის გამგე. მის საქმეს დღეს მისი ვაჟი — პროფესორი მერაბ თევზაძე აგრძელებს. სწორედ ეს უმკაცრესი ლექტორი იქცა მთელი ჩვენი კურსისთვის უპირველეს სტუდენტურ შთაბეჭდილებად. თავს ნებას მივცემ, ჩვენი ეს შეხვედრა მსუბუქი ირონიით მოვიგონო...

ეს იყო გაერთიანებული ლექცია ჩვენი კურსის ყველა ჯგუფისთვის.

მოკლედ, შევედით ჩვენს პირველ სტუდენტურ აუდიტორიაში, პირველ ლექციაზე და შემობრძანდა ბატონი კოლიაც, რა თქმა უნდა, მაშინ არ ვიცნობდით არც ჰაბიტუსითა და არც გვარ-სახელით.

ფეხზე წამოვუდექით. უფრო ყოჩაღად, რას იზლაზნებითო... და უცებ, მოწყვეტით, დაიყვირა: Встать! გავისუსეთ, ერთი კაცივით. წუთში დაამყარა, ჯარს მოგანატრებდა, ისეთი წესრიგი. მერე მოგვდგა და მოგვდგა, რა არ გვეძახა — განათლებისა თქვენ არ გწამთ და სწავლის, პროცენტი რომ პროცენტია, ისიც კი არ იცითო...

მე, რა თქმა უნდა, თავმოყვარეობა შემელახა და თავი წამოვყავი: რას ჰქვია, პროცენტი არ ვიცი-მეთქი. რომელი ხარ მანდ შენო, წამოვდექი. რა გქვიაო. ვუთხარი გვარ-სახელი. აბა, ბრძანე, პროცენტზე რა იციო. მთელის მეასედი ნაწილია-მეთქი. უყურე შენ, გცოდნია პროცენტიო. ასე უბრალოდ და გაუპრანჭავად გავიცანით ერთმანეთი და ამით ჩვენი საინსტიტუტო ყოველდღიურობაც დაიწყო.

თუმცა, მერე და მერე, სხვა პროფესორ-მასწავლებლებივით, ბატონმა კოლიამაც თავი ბევრი სიკეთით გაგვაცნო და დაგვამახსოვრა. მაგალითად, იმით, რომ როგორც ინსტიტუტის უმკაცრეს გამომცდელს, სტუდენტის ჩაჭრა სხვაზე მეტად ემარჯვებოდა. თუმცა, მე, პირადად, მის საცერში არასდროს მოვხვედრილვარ, რადგან ბავშვობიდან, მოზრდილობაშიც კარგა გვარიანი მუყაითი ვიყავი. რაც შეეხება ბატონი კოლიას გამოცდებს, ისე გამოვიდა, რომ მე ის შემთხვევები უფრო დამამახსოვრდა, ფრიადებს თითქმის გამოუკითხავადაც რომ მიწერდა. თუმცა, ეს შედარებით მოგვიანებით იყო, როცა უკვე კარგად გამიცნო და შემატყო, რომ ცოცხალი თავით, გამოცდაზე მოუმზადებლად არ მივიდოდი.

ასე იყო... სტუდენტობა მართლაც უშვენიერესი რამაა თავისი ახალგაზრდობით, ჯანმრთელი ენერგიით, ენთუზიაზმით, მეგობრების შეძენისა თუ სიყვარულის პოვნის შესაძლებლობებით. მე ბედნიერი ვარ, რომ მქონდა ეს წლები, რომლებიც ყოველთვის და

ყველასთვის მართლა შინაგან სიჯანსაღესთან, დაუხარჯველობასთან ასოცირდებოდა. მე მქონდა შესაძლებლობაცა და შინაგანი მოთხოვნილებაც, რომ დავხარჯულიყავი საკუთრივ ჩემსა თუ ჩემივ თაობის ადამიანების ინტერესებით. რაღა თქმა უნდა, აქ იყო ბევრი ილუზიაც, მაგრამ იყო ასევე, საკუთარი კაცობის, პიროვნულობის, მოქალაქეობის გამოცდაც.

შეიძლება ითქვას, რომ ჩემი პიროვნული გაორებაც აქედან დაწყო, მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ ველეოდი ვერც კომკავშირულ-პარტიულ კარიერასა და ვერც მეცნიერული შრომის შემოქმედებითობას.

ალბათ, სხვაგვარადაც შეიძლებოდა მეთქვა — ძალზე ხშირად, თავად შექმნილი სიტუაცია თუ საკუთარი ხასიათის ლოგიკა, არჩევანის გარეშე, გადამისროდა ხოლმე ხან ერთ და ხან მეორე სარბიელზე.

არ ვიცი, ეს, შესაძლოა, ბედისწერის კაპრიზიც იყოს. სამაგიეროდ, კარგად ვიცი, რომ ეს ყველაფერი, საკუთარ შინაგან გაორებას ვგულისხმობ, სწორედ სტუდენტობისას დაიწყო, როცა ინსტიტუტის კომკავშირულმა მუშაკებმა საიდანღაც გამოჩხრიკეს ჩემი, მაშინ უკვე მეორეკურსელი ფრიადოსნის, ჯერ კიდევ მოწაფეობის დროინდელი კომკავშირული აქტივისტობის ამბავი.

მე ყოველთვის ლიდერის ბუნებით გამომარჩევდნენ. ეს თვისება კომკავშირში მუშაობის წლებმა უფრო განმიმტკიცა. რა თქმა უნდა, ეს ხასიათი იყო და ბუნებრივად თუ ჩემდაუნებურად, სხვადასხვა სიტუაციებში კიდეც მჟღავნდებოდა. ბავშვობისა თუ შემდგომი წლების თითქმის ვერც ერთ მნიშვნელოვან მოვლენას ვერ გავიხსენებ, რომ მის რიგით მონაწილედ ან თუნდაც რიგით შემსწრედ დავრჩენილიყავი, ანუ რომ არ გამომეხატა საკუთარი დამოკიდებულება, შეხედულება თუ პოზიცია.

იმ წლებში ასეთი შინაგანი აქტივობის ადამიანისთვის თვითრეალიზების ერთ-ერთ ყველაზე ოპტიმალურ ფორმად მიიჩნეოდა საზოგადოებრივი ასპარეზი, უფრო ზუსტად, პარტიული სამსახური. ჩემს შემთხვევაში, ეს საკმაოდ ადრე მოხდა. ამ გამოცდილების დამალვას უკვე ინსტიტუტში, რა თქმა უნდა, აზრი აღარ ჰქონდა და, სიმართლე გითხრათ, არც მიცდია. ასე რომ, ინსტიტუტის კომკავშირულ ცხოვრებაშიცა და სტუდენტურ სამეცნიერო მუშაობაშიც თავი თითქმის ერთდროულად მოვსინჯე.

იმხანად პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო ბიძინა კელენჯერიძე, მოადგილე კი ოთარ ქარო-

სანიძე, ადამიანი, ვისთანაც მუშაობის შემდგომმა წლებმაც დამაკავშირა. სხვათა შორის, ოთარი ახლაც გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის საექსპერტო სამსახურში მუშაობს. სწორედ მათ გამოიჩინეს განსაკუთრებული გულმოდგინება ჩემს „გამოაშკარავებაში“.

მოკლედ, ამირჩიეს ჯერ ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს შემადგენლობაში, მერე — ბიუროს მდივნად, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის წევრად და ძალიან მალე — ამ კომიტეტის მდივნის მოადგილედაც. ეს უკვე აღარ იყო სახუმარო საქმე, რადგან ჯერ კიდევ მესამეკურსელი ხელფასიანი «თანამდებობის პირი» ვიყავი.

მალე ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანიც გავხდი და უკვე ანგარიშგასაწევი პასუხისმგებლობა დამეკისრა. თუმცა ამ დატვირთვებს ჩემი ფრიადოსნობა თან ნამდვილად არ გადაჰყოლია. სწავლის ჩვეულება, გნებავთ, მოთხოვნილება, უკვე ხასიათში მქონდა.

მით უმეტეს, რომ მაშინ არც კომკავშირი იყო ის ორგანიზაცია, კარგი სწავლისა თუ სამეცნიერო კვლევაში თავის წარმატებით მოსინჯვის სანაცვლოდ ვინმესთვის შეღავათი რომ გაეკეთებინა. ეს იყო ძალზე შრომატევადი, დამღლელი, თუმცა თავისებურად სახალისო ყოველდღიური საქმიანობა, რომელიც არ სცნობდა სამუშაო-არასამუშაო საათებს, თუმცა,სამაგიეროდ, აუცილებლად გაჯილდოებდა თანაინსტიტუტელების გარკვეული სიმპათიებითა და პატივისცემით.

გასული საუკუნის 40-50-იან წლებში არავისთვის არ ყოფილა სადავო, რომ ცენტრალური კომიტეტის დავალება თუნდაც შეუძლებლობის ზღვარზე მყოფსაც კი უთუოდ უნდა შეგესრულებინა.

მახსოვს, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნობის დროს, მირეკავს მამია ზოდელავა — საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი და მეორე დღისთვის, შაბათობაზე ასე სამი ათასი კაცის გაყვანას მავალებს.

გავოგნდი: უკვე პირველი საათია, ნახევარ სტუდენტობას ლექციები აქვს დამთავრებული. თითქმის შეუსრულებადი დავალებაა... ნახევარ დღეში! ახლანდელი იპოდრომის ტერიტორიის დასუფთავებაზე იყო ლაპარაკი, იმ სამუშაოებით, ფაქტობრივად, იპოდრომის მოწყობა მაშინ კიდეც დაიწყო.

მაინც შევეცადე ჩემსას — ჩამოვურეკე ინსტიტუტის თითოეულ დეკანატს, ასეთი ღონისძიებაა და კომკავშირს თქვენი დახმარება სჭირდება-მეთქი.

დავუკავშირდი ინსტიტუტის სამხედრო კათედრის გამგესაც, შესანიშნავ პიროვნებას — გენერალ ილია რაზმაძეს. ვთხოვე, რომ დაეხმარებინა „სტუდებეკერები"— ამერიკული სამხედრო მანქანები, რომლებითაც სტუდენტებს ავტომობილის მართვას გვასწავლიდნენ. ეს ჯერ კიდევ ის პერიოდია, როცა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულ ვაჟებს, დიპლომთან ერთად, საავტომობილო ჯარის ოფიცრობის საბუთიც გვეძლევა და, საერთოდაც, პოლიტექნიკურის სამხედრო კათედრის ავტორიტეტი საგრძნობლად არის გაძლიერებული.

ბატონმა ილიამ ერთი კი მკითხა, აბა, კარგად გამარკვიე, ეს ყველაფერი სად და როდის გჭირდებათო და მეორე დილას, ზუსტად 10 საათისთვის მართლა გასაოცრად ორგანიზებულად მოგვაყენა ეს ამოდენა ტექნიკა!

სხვათა შორის, მე ვიეშმაკე: მარტო ვაჟებით არ შემოვიფარგლე და იმ შაბათობაზე კარგა ბევრი გოგონაც «დავპატიჟე». ასე მხიარულად და სიცილ-კისკისით ჩავამთავრეთ ის სამუშაოც და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მადლობაც დავიმსახურეთ.

ეს ის პერიოდია პოლიტექნიკური ინსტიტუტის ცხოვრებისა, როცა აქაური ნიჭიერი სტუდენტობა საგანმანათლებლო-სამეცნიეროზე არანაკლებ ესწრაფვოდა სხვადასხვა შემოქმედებითი წრეების ჩამოყალიბებასაც.

ჯერ კიდევ 1945 წელს ინსტიტუტში თავი მოიყარეს მომღერალმა ბიჭებმა: დორიან კიტიამ, გურამ მირიანაშვილმა, ზურაბ კარგარეთელმა, ალიკ შახნაზაროვმა და ინსტიტუტის ისტორიაში პირველად, სტუდენტთა ძალებით საშვიდნოემბროდ, შესანიშნავი კონცერტი გაგვიმართეს. საესტრადო შემსრულებლების ტრადიციულ მოწვევაზე პირველად უარი ითქვა.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ მასზე გამოჩნდა პირველი ბირთვი შემსრულებლებისა, რომლებიც ცოტა მოგვიანებით პოლიტექნიკურელთა („გეპეის") ცნობილ ჯაზში გაერთიანდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ წლებში ჯაზს, როგორც „ახალგაზრდობის გამხრწნელსა და ბურჟუაზიული კულტურის გადმონაშთს", ჩვენში დიდი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდა გამოცხადებული.

ცხადია, ყოველივე ეს სისულელე იყო, მაგრამ ასეთი გახლდათ ხელმძღვანელი წრეების განწყობილება, ამიტომაც მაშინ დიდი ბრძოლები იყო ჯაზის გარშემო. გამონაკლისი გახლდათ პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რადგან აქ ჯაზი არა მარტო ახალგაზრდობის

დიდი მონონებით, არამედ კომკავშირული და პარტიული კომიტეტების მხარგაჭერითაც სარგებლობდა.

პოლიტექნიკურის ჯაზს ხელმძღვანელობდნენ ჯერ დორიან კიტია და ალიკ შახნაზაროვი, ხოლო შემდეგ –კოტე კარგარეთელი და სოსო ტულუში. მერე და მერე იგი კიდევ უფრო პოპულარულ კოლექტივად ჩამოყალიბდა. ახლაც თვალწინ დამიდგება ხოლმე მომხიბლავი ლია ლაფერაშვილის, ზურაბ კარგარეთელის, ბაჯული გელოვანის, აბესალომ ლორიას, ირაკლი მამაცაშვილისა და სხვათა საუცხოო შესრულება. ერთ სიტყვით, დაუვიწყარი დრო იყო...

ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი: ომის შემდგომი წლები პოლიტექნიკური ინსტიტუტის ცხოვრებაში განსაკუთრებული წლებია. ანუ დრო, როცა პირდაპირ სკოლის მერხიდან მოსულ გოგო-ბიჭებთან ერთად, ინსტიტუტის დერეფნებსა თუ აუდიტორიებს ავსებენ სამხედრო ფორმიანი, დაჭარმაგებული, ნაფრონტალი მამაკაცები. ამით იმის თქმა მინდა, რომ ხელმძღვანელობა ახალგაზრდული კომუნისტური ორგანიზაციისა, რომელსაც მაშინ მართლა ჰქონდა ძალა და ავტორიტეტი, სულაც არ იყო ისეთი რიგითი მოვლენა, როგორც ეს დღეს ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს.

22 წლისა ვიყავი, როცა გამოყენებითი გეოლოგიის კათედრის ასპირანტურაში ჩარიცხვის პარალელურად, ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივნადაც ამირჩიეს.

ასე გაგრძელდა, ვიდრე 1952 წლის იანვარში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან — კანდიდ ჩარკვიანთან გამომიძახებდნენ კომკავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის პირველ მდივნად ჩემი გადაყვანის საკითხის გადასაწყვეტად.

ნორა „მამიდა“, ფლორ დორანჟ და მიხეილ მამულაშვილის დალოცვა

მე და ლამარა თანაინსტიტუტელები ვართ. მიუხედავად ამისა, „მაჭანკალი“ დაგვჭირდა.

ეს იყო ნორა „მამიდა“ — ჩემი თანაკურსელი შესანიშნავი ქალიშვილი. უსაშველოდ მობილური, აქტიური, ენერგიული, ყველას მოყვარული და აბსოლუტურად ყველაფრის მცოდნე. ყველას „მამიდაც“ ამიტომ იყო...

1946 წლის 1 სექტემბერია. ვდგავართ პოლიტექნიკური ინტიტუტის მთავარი კორპუსის დერეფანში ხუთნი და ვღიღინებთ — ვაწყობთ ახალ სიმღერას. უცებ ვხედავთ, ნორა „მამიდამ“ ჩაგვიქროლა, დერეფანი გადაჭრა და ყველასთვის უცნობ ვიღაც არაჩვეულებრივ გოგონას გამოელაპარაკა.

ეს იყო რაღაც ძალიან ძლიერი, თითქმის შემაკრთობელი შთაბეჭდილება — ალბათ, ერთი ნახვით შეყვარება! სასწრაფოდ მოვთხოვე ნორას, ამ მშვენიერი ქალიშვილის გაცნობა.

მოკლედ, ნორამ იყოჩაღა. აშკარად ისარგებლა იმით, რომ გოგონა პირველკურსელი იყო, მკლავზე ჩამოიბა, წამოდი, აქაურ სტუდენტობას გაგაცნობო და პირდაპირ ჩვენ მოგვაყენა, ცოტა არ იყოს, შეცბუნებული და სახეავარდისფრებული. მე, რაღა თქმა უნდა, სხვებზე უწინ გამოვეჭიმე.

ასე გავიცანი ლამარა ურიდია — ჩვენს ინსტიტუტში ახალშემოფრთხიალებული არცთუ რიგითი და ადვილად მოსაპოვებული ქალიშვილი, მთელი ჩემი ამის შემდგომი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ადამიანი.

მას შემდეგ ალბათ, უფლებაც აღარა მაქვს, არ ვიწამო იღბლიანი შეხვედრებისა!.. მიუხედავად იმისა, რომ ლამარას გაცნობის ბედნიერებას, აბსოლუტურად გულწრფელად, ნორა „მამიდას“ ვუმადლი. მით უფრო, რომ ლამარამ უახლოეს თვეებში ყველას დაგვიმტკიცა, რომ თითქმის არავის შემთხვევაში არ დარჩენილა სასხვათაშორისო მოვლენად თუ შთაბეჭდილებად. ეს კი ლოგიკურად ნიშნავდა თაყვანისმცემელთა იმ ძალიან სოლიდური კონკურენციის

გაძლებასაც, რომელსაც დღიდან ჩვენს ინსტიტუტში ფეხის შემოდგმისა, რაღა თქმა უნდა, ვერ აუდიოდა ეს ჩემთვის უკვე ფრიად საინტერესო ქალიშილი. მაგრამ მე, რასაკვირველია, გავუძელი. არც ასეთი ადვილად მოსარევი და საწყალი ვიყავი. ნორმალური ბიჭური წესებით ხელად ჩამოვიშორე გზიდან ყველა ეს მეტოქე. მით უფრო, რომ გაცნობიდან გარკვეული ხნის შემდეგ ვირწმუნე, რომ ეს მშვენიერი ქალიშვილი აშკარად ჩემსკენ იხრებოდა!

ლამარა ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. ძალიან ნიჭიერი გოგონა იყო, ჯერ კიდევ სტუდენტს სამეცნიერო-კვლევით ასპარეზზე უკვე ჰქონდა გარკვეული ნარმატებები: ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ.

ხშირად ვხვდებოდით, რაღა თქმა უნდა, ყოველდღიური საინსტიტუტო შეხვედრების ჩაუთვლელად. ერთი დაუწერელი კანონიც გვქონდა: აუცილებლად მე უნდა გამეცილებინა შინ.

მახსოვს, ერთხელ, საფერშლო სკოლაში მაგზავნიან კომკავშირული აქტივის კრებაზე დასასწრებად. წაუსვლელობა გამორიცხულია. არადა, წუთი წუთზე ლამარა უნდა ვნახო და, რასაკვირველია, შინაც მივაცილო – მას ლექციები საღამოობითაც ჰქონდა. რაღაც ეშმაკად, ვერც ერთი ჩემი მეგობარი ვერ ვიპოვე, რომ ეს საქმე მისთვის გადამებარებინა. ესეც ჩვენი დაუწერელი კანონი იყო: თუკი მე არ მეცალა, ისინი იყვნენ ლამარას მუშკეტერები და გამცილებლები.

მოკლედ, ბევრი მივდექ-მოვდექი, მაგრამ ვერაფერს გავხდი და გადავწყვიტე, თავად მეპატრონა საკუთარი თავისთვის: ანუ შეთანხმებისამებრ, კი შევხვდი ლამარას, მაგრამ კინოსა თუ თეატრის ნაცვლად გავაქანე პირდაპირ საფერშლო სასწავლებელში. ასე ვთქვათ, ვიეშმაკე — აქტივის კრებას თბილისის კომიტეტის წარმომადგენლის სტატუსით დავასწარი.

რა თქმა უნდა, პრეზიდიუმში ჩემს გვერდით დააბრძანეს! მერე გამომიტყდა, სულ მაცახცახებდა, რაიმე არ მკითხონ და ან სიტყვის წარმოთქმა არ მთხოვონო. არ სცოდნოდა მაინც, რომ ცოცხალი თავით, მასთან არავისი მიმშვები არ ვიყავი!..

სწორედ იმ ხანებში ბაბუა გარდამეცვალა და ხონში მომიხდა ნაჩქარევად გამგზავრება, ისე, რომ ვერ მოვასწარი ლამარას გაფრთხილება. ეკლებზე ვზივარ, სანამ ეს მთელი სამგლოვიარო-საპანაშვიდო ცერემონიალი ჩამთავრდება. არადა, პაემანი ლამარასთან სწორედ ბაბუას გასვენების დღეს მქონდა წინასწარ დანიშნული!

ასე რომ, პირველი ჭიქის აწევისთანავე დავტოვე იქაურობა და თბილისში გამოვიპარე. დედა ისე გამინაწყენდა, აღარც მეგონა, როდესმე შინ თუ შემიშვებდა, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში, მაინც მქონდა მისი გაგების იმედი.

გამიმართლა — ჩავუსწარი პაემანს, შევხვდი ლამარას, როგორც ამას წესი და რიგი ითხოვდა და ისევ გამოვქანდი უკან, ავტოსადგურში, ხონში გამოსაბრუნებლად. მაგრამ ბედი არ გინდა? ქუთაისამდე როგორღაც კი ჩავაღწიე, მაგრამ იმ ნაგვიანევზე უკვე აღარც ერთი ავტობუსი აღარ ჭაჭანებდა და ფეხით მომიხდა ხონამდე დარჩენილი იმ 25კმ-ის ნაჩანჩალება.

ასე ვცხოვრობდით, ერთმანეთის ნახვიდან ნახვამდე.

თუმცა იყო გამონაკლისებიც, როცა ყოველდღიურ შეხვედრებს გარკვეული ხნით იძულებითი უერთმანეთობა ენაცვლებოდა. ასეთებში, უმთავრესად, „დამნაშავე" იყო ხოლმე ლამარას საწარმოო პრაქტიკები, რომლებიც როგორც წესი, საბჭოთა კავშირის უმსხვილეს ქიმიურ ქარხნებში მიმდინარეობდა.

არ შემიძლია, არაფერი ვთქვა იმ ტრადიციულ ძველქართულ დამოკიდებულებაზე, რასაც დღიდან გაცნობისა მამაჩემი ლამარასადმი იჩენდა. შეხვედრისას აუცილებლად მხარზე აკოცებდა ხოლმე მამაშვილური თუ უფრო მამაკაცური მოწიწების ნიშნად. იყო ამაში განსაკუთრებული პატივისცემაც, სიფაქიზეცა და სილამაზეც. მისი ამ არაჩვეულებრივად პატრიარქალური, რაინდული მოპყრობით მეცა და ჩემი მეუღლეც მთელი ცხოვრება აღფრთოვანებული ვრჩებოდით.

ხელი მოვაწერეთ 1951 წლის 15 სექტემბერს, მას შემდეგ რაც ლამარამ მოილია თავისი დიპლომი; თბილისის ერთ-ერთ მმაჩის ბიუროში, რომელიც დღემდე უსიამოვნოდ გვახსენდება. ოთახში მდგარ წითელ ნაჭერგადაფარებულ ერთადერთ მაგიდას განსაცვიფრებლად უსიმპათიო ქალი უჯდა. იქამდე რომ ეთქვათ, ულამაზო ადამიანმა ასეთ საბედნიერო თანამდებობაზეც შეიძლება იმუშაოსო, ალბათ, არაფრით დავიჯერებდი. ერთი სიტყვით, გულდასაწყვეტად არარომანტიკული ხელმოწერა გვქონდა — არავითარი სილამაზე!

სამაგიეროდ, ქორწილი გადაგვიხადეს ძალიან ლამაზი, დაახლოებით 100-კაციანი, იმხანად უფრო დიდ ქორწილს არავინ იხდიდა. თამადად გვყავდა ჩვენი ახლობელი — ბატონი მიშა დემუროვი, ძალზე სასიამოვნო პიროვნება. შესანიშნავი საზოგადოება უსხდა სუფრას — ერთმანეთზე საინტერესო ადამიანები. მათ შორის, რაღა

თქმა უნდა, ირაკლი აბაშიძეც, რომელიც ხონიდან, ქუთათელაძეებიდან გვენათესავებოდა და თავმოყრილ საზოგადოებას შეაქცევდა თავისი საუცხოო პოეზიითა და არანაკლებ საუცხოო იუმორით.

ლამარა, რა თქმა უნდა, ძალიან ლამაზი იყო, თავისი უმშვენიერესი თეთრი კაბითა და უნატიფესი გვირგვინით, რომელიც საგანგებოდ მისთვის დაამზადა ჩვენმა ყვავილების ჯადოქარმა მიხეილ მამულაშვილმა.

რაღაც პანანკინტელა ყვავილებისგან შეკრული გვირგვინი იყო — ხელოვნების ნამდვილი ნიმუში. თუ სწორად ვიხსენებ მის ფრანგულ სახელწოდებას, ფლორ დორანჟ... ამ ყვავილებისგან მთელ მსოფლიოში თურმე მხოლოდ საქორწინო გვირგვინები იწვნება. თითქოს გუშინ იყოო, თავისმა ნათლიდედამ — ქალბატონმა ქიცა თევზაძემ ლამარა მის შესაკვეთად მცხეთაში რომ წაიყვანა.

რაც შეეხება თავად მიხეილ მამულაშვილს, მან მართლაც კეთილ ჯადოქრად დაგვამახსოვრა თავი: ყოველგვარ ანაზღაურებაზე თქვა უარი, მე თქვენ ისე მომეწონეთო... ასეთი საქორწილო საჩუქარი გაგვიკეთა.

რატომ დაუკავშირდა ერთმანეთს ჩემი რაიკომის მდივნობა და გოლდა მეირის საბჭოური ვიზიტი

ინსტიტუტის პარტკომად კი ვმუშაობდი, მაგრამ ასპირანტურასაც უკვე ვამთავრებდი და აშკარად ვგრძნობდი, როგორ ვიხრებოდი სამეცნიერო კვლევებისკენ. ერთი სული მქონდა, ჩავჯდომოდი საველე თუ ლაბორატორიულ სამუშაოებს და ბოლომდე მიმეყვანა ის ჩემი საკანდიდატო დისერტაცია.

მაგრამ, თურმე, ვინ რას გეკითხება?! სასწრაფოდ გამომიძახეს გასაუბრებაზე ძმებ ბალავაძეებთან — პარტიის თბილისის საოლქო და საქალაქო კომიტეტებში. იმათ, თავიანთ მხრივ, ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას და მის გამგეს — კოტე ჭიჭინაძეს გადამაბარეს.

ერთი სიტყვით, საქმე იქითკენ მიდის, რომ ჩემი პერსონით თავად რესპუბლიკის პირველი პირი უნდა იყოს დაინტერესებული. მართლაც, მეორე-მესამე დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის — კანდიდ ჩარკვიანის პირისპირ აღმოვჩნდი.

გუშინდელივით მახსოვს, კარი რომ შევუღე, ბოლთას სცემდა თავის ვრცელ კაბინეტში. ახლაც უცნაური შეგრძნება მიჩნდება, რომ მომაგონდება, რა მჭრელი თვალებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა — თითქმის რენტგენული, გამჭოლი მზერით, თითქოს შიგნიდან ხედავსო.

პირველივე სიტყვით მაგრძნობინა, რომ ზედმიწევნით იცნობდა ჩემს მონაცემებს. თუმცა კი გამოკითხვა, ერთი შეხედვით, ყველაზე ნაკლებად არსებითიდან დამიწყო, ინგლისური საიდან იციო.

ინგლისური ენა მართლაც კარგად ვიცოდი. უფრო მოგვიანებით, 1980-ში, სულმთლად გადავიწყებული რომ მეგონა და საქმეს დასჭირდა, საფრანგეთში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, თითქმის მოუმზადებლად, კარგა მოზრდილი ინგლისურენოვანი მოხსენებაც წავიკითხე.

მაგრამ 1952 წელს საბჭოთა ფუნქციონერს ინგლისური ენის

ცოდნას მაინცადამაინც არავინ ავალდებულებს. ამიტომაც, ცოტა არ იყოს, გაკვირვებას ვარ, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჩემი უცხო ენით ასე რომ ინტერესდება.

მოკლედ, დაბნეული ვარ, თუმცა, ვცდილობ, რომ სათქმელს თავი ნორმალურად მოვუყარო. კარგად ვიცი-მეთქი, კი ვპასუხობ, მაგრამ უცებ ვიაზრებ, არ მოეჩვენოს, ტყუისო და სასწრაფოდ ვუზუსტებ, რომ მეოთხე კლასიდან კერძო მასწავლებელთან მიმაბარეს მშობლებმა. ეს გახლდათ ოლგა ლოსიევა — საკმაოდ ენერგიული და სიმპათიური პედაგოგი, რომელიც იმდენს მამუშავებდა ინგლისურ ლექსიკაზე, რომ საკმაოდ მალე გამართულადაც ამალაპარაკა.

ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ამ დეტალითაც ძალიან დაინტერესდა. წვრილად გამომკითხა ოჯახიშვილობის ამბავი, სად ვცხოვრობდი, მშობლები და მეუღლე რა სპეციალობებისა მყავდა. ახლა ჩემი საინსტიტუტო საქმიანობის შესახებაც გამომკითხა. მოვეწონე, როგორც ჩანს...

ასე შეველიე ჩემს სამეცნიერო მისწრაფებებს სულ პირველად.

ბატონი კანდიდი შეუვალი ავტორიტეტი იყო: მის წინაშე ჩემს პირად გეგმებს რა გადმომალაგებინებდა! სწორედ ჩვენი ეს გასაუბრება გახდა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად ჩემი გადაყვანის საფუძველიც.

ეს იყო კანდიდ ჩარკვიანთან ჩემი პირველი შეხვედრა.

ცოტა მოგვიანებით, უფრო რომ გავუშინაურდი, ერთ-ერთ შეხვედაზე ვკითხე, კომკავშირის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი განა ისეთი რა ფიგურაა, რომ დანიშვნამდე თავად პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი უშუალოდ ესაუბრებოდეს-მეთქი. იმიტომ, რომ ეს უკვე პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურაა და თუ აქ დაუშვებ შეცდომას, ანუ უვარგის კაცს დანიშნავ, მერე იმ უვარგისს ველარ მოიშორებო.

ამრიგად, შევუდექი ჩემი ახალი მოვალეობების შესრულებას, მაგრამ ის იყო, შევეგუე ქალაქისა თუ ჩემი ახალი სამუშაოს მასშტაბებს, რომ ზუსტად ექვსი თვის თავზე, სხვა თანამდებობაზე გამამწესეს.

ეს ამბავი გაცილებით უკეთ ხსომებია ჩემს ძველ მეგობარსა და კოლეგას ბატონ სერგო რიგვავას:

„ისე მოხდა, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან — ვასილ ბალავაძესთან ერთად მომიწია მგზავრობა მატარებლით. ერთ კუპეში მოვხვდით. ბუნებრივია, როგორც ეს მატარებელში ხდება ხოლმე, შევყევით მთისას და ბარისას. ვილა-

პარაკეთ ახალგაზრდობაზე, კომკავშირულ კადრებზე, იმ პერსპექტივებსა თუ ადამიანურ-ინტელექტუალურ რესურსებზე, იმხანად რომ იყრიდა თავს კომკავშირში.

ვასილ ბალავაძე ბუნებით, ცოტა არ იყოს, ჩქარი და შემტევი კაცი კი იყო, მაგრამ უაღრესად განათლებული პიროვნებაც ბრძანდებოდა. ჩანს, ამ თვისებას არანაკლებ ეძებდა და აფასებდა სხვებშიც. რაღაც სწორედ ამ კონტექსტში გამაგონა მაშინ თამაზ ჯანელიძის სახელიც.

თითქმის აღფრთოვანებული მიყვებოდა: ძალიან განათლებული და პერსპექტიული ახალგაზრდაა, პოლიტექნიკურის პარტკომობიდან კომკავშირის თბილისის კომიტეტის პირველ მდივნად გადმოვიყვანეთ, ახლა კი გვინდა, რომ პარტიის ბერიას (ახლანდელი მთაწმინდის - თ. ჯ.) რაიკომის პირველ მდივნად დავაწინაუროთო.

მართლაც, არ გასულა ამ საუბრიდან დიდი დრო და თამაზი სწორედ ამ რაიკომის პირველ მდივნად გადაიყვანეს... 26 წლის ასაკში! იმ დროში ეს არნახული წარმატება იყო".

მაგრამ, დამეთანხმებით, ალბათ, ყოველი ახალი ასეთი წარმატება ცოტა უფრო ნაკლებად სასიამოვნო მხარეებსაც გულისხმობს. მაგალითად, ახალგაზრდულ გატაცებებსა და პირად ცხოვრებაზე უარის თქმას, უზარმაზარი პასუხისმგებლობისა და მუდმივი მოუცლელობის ტვირთის წამიკიდებას, ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობების, მეგობრული თავშეყრების მონატრებებს და სხვას.

თითქმის ერთ წელიწადს ვიმუშავე პარტიის ბერიას რაიკომის პირველ მდივნად და სერგოსი არ იყოს, რასაკვირველია, ვიცოდი, ამ დაწინაურებისთვის მადლობა ვისთვის მეთქმოდა. ეს გახლდათ, რა თქმა უნდა, ჩემდამი საოცრად კეთილგანწყობილი ვასო ბალავაძე და თავად აკაკი მგელაძე — საქართველოს კომპარტიის მაშინ სულ ახალდანიშნული პირველი მდივანი.

ამით ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე რთული და არაერთგვაროვანი პერიოდი დაიწყო. ყოველდღიურობა, რომელიც ალბათ, ერთადერთ სიტყვაში — არანორმირებული — ჩაეტეოდა. მართლაც, არავითარ ადამიანურ ჩარჩოებსა თუ ნორმებში არ ჯდებოდა ის ტემპები და ექსტრემალური ვითარებები, რომლებითაც მე მაშინ მიხდებოდა ცხოვრება თუ მუშაობა.

სამუშაო დღე დილის 9 საათზე მეწყებოდა და პატარა შესვენებებით, მეორე გამთენიის 4 საათამდე მიგრძელდებოდა. ძალიან იშვიათად, დრო რომ მომეპარა და ორიოდე საათით შინ შემერბინა.

ჩემი მეუღლე დღესაც გაიხსენებს ხოლმე, ერთ-ერთი ასეთი „წუთ-შესვენების“ დროს როგორ აღმომაჩინა შინ ბატონმა ვასომ.

ხეირიანად ჩაძინებულიც არ მეთქმოდა, ასე დაახლოებით ღამის 3 საათზე, ტელეფონმა რომ .დარეკა და მეც იმავ წამს აპარატთან გავჩნდი. თითქოს უწყინრად, მაგრამ მაინც რაღაცნაირად შეკავებული მრისხანებით მელაპარაკა. ერთადერთი მომაკვდინებელი შეკითხვა მომცა — რაო, „პროფესორო“, უკვე დაიძინეო (რა თქმა უნდა, მაშინ არავითარი პროფესორი არ გახლდით!)?.. თითქოს არ იცოდა, რამდენიმე ღამის უძინარი რომ ვიყავი, თანაც ცოტა ხანში ისევ რაიკომში უნდა მივბრუნებულიყავი.

რაც შეეხება „პროფესორს“... ამ მეტსახელით ვასო ბალავაძემ დამასაჩუქრა. კარგა ხანს ვერ გადახარშა ჩემი ასპირანტურა და ასე ვთქვათ, მეცნიერული მიდრეკილებანი.

რაკიღა ჩემი სამეცნიერო მიდრეკილებანი ვახსენე, მინდა ბარემ აქვე მოვიგონო შემდგომში თითქმის ჩემს მეორე სახლად ქცეულ კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტთან ჩემი იმჟამინდელი ერთ-ერთი პირველი შეხებაც...

ბერიას რაიკომის მდივნად სულ ახალი არჩეული ვიყავი, რომ თავად აკადემიკოსი ალექსანდრე თვალჭრელიძე მესტუმრა. წარმომიდგინა თავი, როგორც კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორმა, გამაცნო თავისი სამეცნიერო კვლევების ინტერესები, მელაპარაკა ინსტიტუტის კავშირებზე სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან... თითქოს კარგად არ ვცნობოდე, როგორც თავისი ყოფილი სტუდენტი და აღზრდილი.

მაგრამ გასაოცარი დამოკიდებულება გამოამჟღავნა: რაკიღა შეიტყო, რომ რაიკომის მდივნად ახალი პიროვნება მოვიდა, აუცილებლად მიიჩნია, რომ თავად მობრძანებულიყო და გაეცნო ჩემთვის საკუთარი თავიცა და სამეცნიერო დაწესებულებაც, რომელიც ამ რაიონში მდებარეობდა. ეს ყველაფერი უდიდესი სერიოზულობით, გულმოდგინებითა და სუბორდინაციის დაცვით გააკეთა.

ხომ ადრეც ვიცნობდი, მაგრამ მაინც ერთბაშად მოვიხიბლე ამ შესანიშნავი პიროვნებისა და დიდი მეცნიერის ტაქტით, პასუხისმგებლობით, ჩემდამი გამოხატული პატივისცემით.

არ ვიცი, მისმა ამ უშუალობამ გამაბედვინა, თუ რა იყო, უცებ დავდექი ხუმრობის გუნებაზე: ბატონო ალექსანდრე, თუ შეგიძლიათ, რომ ყირა აჭიმოთ-მეთქი. იცით, არ დაიბნა... მეტიც, გიმნასტური და „შევარდენული“ პასუხიც დაუყოვნებლივ მომცა: ახლავეო და თვალის დახამხამებაში, იქვე ჩაეჭიდა, რომ იჯდა, იმ სავარძლის

ძლიერ სახელურებს და დაიწყო ყირის აჭიმვა. რა თქმა უნდა, შეევნუხდი, ვეცი და შევეცადე, რომ დამეოკებინა... რა მოხდა, ეს ხომ არც ისე ძნელიაო.

არადა, მაშინ უკვე 71 წლისა ბრძანდებოდა! ამ ვიზიტითაც და შევარდენული ილეთითაც კი ჩემდამი – თავისი წარმატებული მონაფისადმი განსაკუთრებული პატივისცემა და კეთილგანწყობა გამოხატა.

საქმიანობის ამ პერიოდიდან ბატონ ვასო ბალავაძესთან დაკავშირებული ერთი ასეთი ამბავიც მინდა გავიხსენო:

30 აპრილია — საპირველმაისო გრანდიოზული დემონსტრაციის წინა დღე და ვარ გაგანია სადღესასწაულო სამზადისში. უცებ მირეკავს ვასო ბალავაძე და ამ სადემონსტრაციო ციებ-ცხელებისთვის ცოტა არ იყოს, უჩვეულო დავალებას მაძლევს: ყველაფერი უნდა იღონო, რომ ხვალინდელ დემონსტრაციაზე შენი რაიონის მშრომელთა კოლონებმა მოლოტოვისა და მიქოიანის არც ერთი პორტრეტი არ გამოიტანონო.

ეს ის დროა, როცა პოლიტბიუროს წევრთა ჩამოთვლისას იმასაც კი პრინციპული მნიშვნელობა აქვს, თუ ვის გვარს ვის შემდეგ დაასახელებენ, ზოგჯერ კი ეს რიგითობა ძალზე შთამბეჭდავადაც ირღვევა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლის თუნდაც უმცირესი განაწყენების წყალობით.

ვიაჩესლავ მოლოტოვი და ანასტას მიქოიანი პოლიტბიუროს ყველაზე გავლენიანი და ანგარიშგასაწევი წევრები იყვნენ. მაგრამ ჩანს, ორივე მათგანი რაღაცაში მაინც დაადანაშაულეს, რადგან ამ სადღესასწაულოდ, აშკარად შერისხულთა შორის აღმოჩნდნენ და შესაბამისად, „აზარალეს“ საკუთარი პორტრეტებიც.

რა თქმა უნდა, ეს არ გახლდათ ჩვენს დონეზე განსასჯელი საკითხი. ჩვენ მხოლოდ მითითების შესრულების უზრუნველყოფა გვევალებოდა. ასე რომ, დავალების მიღებისთანავე, გამოვიძახე ჩემი რაიონის 400-ვე პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი და მკაცრად გავაფრთხილე, რომ ეს იყო მითითება, რომელიც უსიტყვოდ უნდა შეესრულებინათ!

ასეც მოხდა. იმ პირველმაისებზე ჩვენს დედაქალაქში მართლაც არ გაჭაჭანებულა პოლიტბიუროს ამ ორი წევრის არც ერთი პორტრეტი, თუმცა, ჩვენთვის, ამ ბრძანების ყველაზე მოკრძალებული შემსრულებლებისთვის, გამოცანა გამოცანადვე დარჩა და, სხვათა შორის, ფრჩხილები არც მერე გახსნილა! თუმცა, მოგვიანებით, იმ პერიოდის მემუარული ლიტერატურის წყალობით, ყოველივე ცნო-

ბილი გახდა.

იმ დღესასწაულებამდე ცოტა ადრე მოსკოვს სწვევია ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი, თავის დროზე ოდესიდან წასული ებრაელი ქალბატონი — ვინმე გოლდა მეირი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი ბრძანდებოდა.

თქმაც არ უნდა, შეუძლებელი იყო, სტალინს გამოპარვოდა მისი ორმაგი მოღვაწეობის ამბები. ამიტომაც საგანგებოდ გაუფრთხილებია მოლოტოვი, ამ ქალბატონს ზომიერად მიმიხედეთ, თავს მაინცადამაინც ნუ გამოიდებთ და მთელ ქვეყანას ნუ მოატარებთო.

მოლოტოვის მეუღლემ, რომელიც გვარად ჟემჩუჟინა, ებრაელი იყო, ლამის ქვეყნის ყველა ქალაქის „გასაღები ჩააბარა" იმ სტუმარს, ყველა კუთხე-კუნჭული მოატარა, რისი ნახვაც ისურვა და ეჭვიც არ შეპარვია, რომ ამით ფარულ აგენტურასთან კავშირის დამყარებაში შეუწყო ხელი.

ბუნებრივია, რომ სტალინი ასეთ „სტუმარ-მასპინძლობას" ვერ მოითმენდა და ვერც ვერავის აპატიებდა. ასე რომ, მოლოტოვის დაუკვირვებლობას მოჰყვა ის, რაც მოჰყვა. მიქოიანის „ცოდვა" კი აგრარულ საკითხებში დაშვებული რაღაც შეცდომები აღმოჩნდა, რის გამოც მკაცრად გააკრიტიკეს კიდეც.

მაგრამ ჯერ ისევ 1953 წელია... და მე მოულოდნელად ვიგებ, რომ ბერიას რაიკომიდან ისევ მაბრუნებენ თბილისის კომიტეტში, ოღონდ ამჯერად — ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგედ.

თუმცა რამდენიმე თვეში ისევ მომიწია „ბარგის შეკვრა": 1954 წლის იანვარში უკვე საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვიყავი.

ის, რაც ჩვენ ყველას ერთად გვიყვარდა კომკავშირში

ქალბატონი ნათელა ვასაძე (საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი 1954-58 წლებში):

„1953 წელი იწურება. უკვე კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივნად ვმუშაობ. ამ დროს მიბარებენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და მეუბნებიან, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში მდივნად გვინდა შენი გადაყვანაო. ოღონდო... „ის მეგრელი" უნდა ჩამოიშოროო. ლაპარაკია ჩემს მაშინდელ მომავალ მეუღლეზე – გუგული დანელიაზე, რომელიც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტკომი გახლდათ.

ეს ის დროა, როცა ე.წ. „მეგრელთა საქმის" ინერციით, მეგრელთა დაპატიმრებები ჯერ ისევ გრძელდება. მაგრამ საბედნიეროდ, არც მე მაბნევს ასეთი „საბედისწერო" არჩევანები და უკეთესს რომ ვერავინ მოიფიქრებდა, ისე გამოვდივარ შექმნილი სიტუაციიდან: პირდაპირ მმაჩის ბიუროში გავრბივარ, რომ ერთხელ და სამუდამოდ „ავუხსნა" ყველა ზემდგომ-ქვემდგომს და, მათ შორის, საკუთარ მშობლებსაც, იმ მეგრელთან რაც მაკავშირებს!

მაგრამ რესპუბლიკის ხელმძღვანელმა მუშაკებმაც გამიგეს თუ დამითმეს... ასე რომ, არ ამცდა ჩემს ახალ დანიშვნასთან დაკავშირებული მოსკოვური გასაუბრება და მასთან არანაკლებ სასიამოვნო სხვა სიურპრიზიც.

ეს გახლდათ თამაზი! ბავშვობიდან ჩემთვის მართლა ძმებში გამოურჩეველი თამაზ ჯანელიძე, დაბარებულივით რომ დამხვდა იმ გასაუბრებაზე, თანაც, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პირველი მდივნის ამპლუაში!

ერთად დაგვამტკიცეს, ახლა უკვე აღარც მახსენდება, საკავშირო ალკკ X თუ XI ყრილობაზე. კიდევ ორი დღეც და უკვე ჩვეულ იდეალურ სამუშაო ფორმაში ვიყავით".

ბატონი სერგო რიგვავა (საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი 1953-56 წლებში):

„ნათელასა და თამაზს ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად სულ რაღაც ერთი ფეხით მივასწარი. თუმცა აპარატის უკვე გამოცდილი თანამშრომელიც მერქვა — სკოლების დარგში ცენტრალური კომიტეტის მდივნად წელიწადზე მეტხანს მქონდა ნამუშევარი. ასე რომ, თამაზის წინამორბედისგანაც მომიწია შთაბეჭდილების მიღება.

ეს მაძლევს უფლებას, ვთქვა: თამაზმა ცენტრალურ კომიტეტში გაცილებით ინიციატივიანი გარემო და ურთიერთობათა სიადვილე შემოიტანა. სწორედ ისეთი გახლდათ, კომკავშირს რომ სჭირდებოდა — განსაცვიფრებლად ენერგიული, მობილური, ინიციატივიანი, ოპერატიული. მე თუ მკითხავთ, ჩქარიც კი, თუმცა ეს სიჩქარე კომკავშირს კიდეც უხდებოდა.

ეს ის დროა, როცა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მთელი აპარატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ერთად, ინგოროყვას ქუჩაზე არცთუ დიდ შენობას ვიყოფთ გაჭირვებით, ჩვენს დაცალკევებას კი საშველი არ ადგება.

ისე მახსოვს, ახალგაზრდობის V მსოფლიო ფესტივალის წინა დღეები იყო, საკითხი მკვდარი წერტილიდან თითქოს რომ დაიძრა და თამაზმაც, იმდენი ჰქნა, თითქმის დაიბევა მაჩაბლის ქუჩის ის დიდებული შენობა, დღემდე ბერიას სახლის სახელით რომ არის ცნობილი, რადგან გარკვეულ წლებში იქ მისი ოჯახი ცხოვრობდა.

მხოლოდ ერთი უხერხულობაა — შენობა სარემონტოა. უფრო სწორად, კი არემონტებენ, მაგრამ იმ რემონტის ხარჯებს გასტუმრება უნდა. ქალაქის საბჭო კი გვიცხადებს, გადაიხდით — ჩაგაბარებთ შენობას, არ გადაიხდით და ჩვენ საჩუქრად არაფერს ვიძლევითო.

ამასობაში თამაზი მოსკოვს მიემგზავრება, რომ იქიდან, როგორც ფესტივალის დელეგატმა, გზა პოლონეთისკენ გააგრძელოს. მე კი, ცოტა არ იყოს, განვიცდი, რომ ამ გადაუჭრელ პრობლემასთან გამკლავება მის გარეშე მომიწევს. თუმცა, ჩასული რომ არ მგონია, საკითხი მოგვარებულიაო, გახარებული მირეკავს უკვე მოსკოვიდან. ახლავე მიდი მიხეილ მაღრაძესთან (ის იყო მაშინ თბილისის საბჭოს თავმჯდომარე) და თუ არ გინდა, რომ შენობა დაგვეკარგოს, სასწრაფოდ გაუკეთე ორგანიზება მაჩაბელზე მთელი ჩვენი აპარატის გადაბარგებასო.

რა თქმა უნდა, ქალაქის საბჭოშიც მაშინვე გავვარდი და ჩვენი განყოფილებების გამგეებთან ერთადაც სასწრაფოდ შევადგინე ახალ შენობაში გადასვლის გრაფიკი. ასე რომ, მეორე დღესვე ყვე-

ლაფერი ორგანიზებულად გაკეთდა — კაცი არ დარჩენილა, რომ არ სცოდნოდა, თავისი ბარგი-ბარხანა რომელ საათზე და რომელი მანქანით უნდა გადაეტანა.

რასაკვირველია, მებარგულებსა თუ დამლაგებლებზე არაფერი გაგვითვლია, ყველანაირი შრომა ჩვენვე გავწიეთ. პირველიდან ბოლო მუშაკამდე, ყველამ ერთნაირად გავინაწილეთ თეთრი თუ შავი სამუშაოები. ეს ყველაფერი ულაპარაკოდ გაკეთდა.

ასე მეგობრულად, ერთმანეთის პატავისცემით ორ დღეში ის შენობა მთლიანად დავიკავეთ".

აქ ვისარგებლებ წიგნის ავტორის უფლებით და ჩვენი ცენტრალური კომიტეტისთვის შენობის გადმოცემის შესახებ სერგოს მონათხრობს ჩემი მოგონებითაც შევავსებ:

მახსოვს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე ამ საკითხის განხილვის დროს, მინისტრთა საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ – ბატონმა გივი ჯავახიშვილმა ბრძანა: კი, მაგრამ ბერიას სახლში კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის აპარატი რომ გადავიყვანოთ, ცოტა უხერხული არ იქნება, იქ ხომ ბერია ცხოვრობდაო?!

თავზარიდამეცა... ბატონი გივი ძალზე გავლენიანი და ავტორიტეტული კაცი იყო, მის საწინააღმდეგო პოზიციას ჩვენი აწყობილი საქმისთვის სერიოზულად შეეძლო ევნო. ამიტომ დაუყოვნებლივ ხმის ამოღება გადავწყვიტე და აქვე, მთელი ბიუროს გასაგონად შევაგებე ბატონ გივის: მაგ ლოგიკით რომ ეხელმძღვანელათ, არც პარტიის ცენტრალური კომიტეტი უნდა შემოეყვანათ ამ შენობაში, რადგან აქაც ლავრენტი ბერია მუშაობდა-მეთქი.

ამ რეპლიკამ ბიუროს შემადგენლობა ერთბაშად გაამხიარულა და იოლად და ძალდაუტანებლად გადაწყვიტა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ის საკითხიც. ასე რომ, მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე, მშვენიერი ბაღით გარსშემორტყმული ის ლამაზი შენობა დაუყოვნებლივ დავიკავეთ. გავასუფთავეთ, გავაკოპწიავეთ და მას შემდეგ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი იქ ბინადრობდა, 90-იანი წლების დასაწყისამდე, სანამ იგი, ყველასთვის ცნობილი პოლიტიკური მოვლენების ფონზე, თვითლიკვიდაციას გამოაცხადებდა.

ერთი ასეთი თემაც მინდა შემოვიტანო... იმ ენერგოობიექტთა დიდ ნაწილს, რომელთა გამოუყენებლობითაც დღეს ჩვენი ქვეყანა დაზარალდა, სწორედ იმ წლებში ვაშენებდით.

ყველა ამ მშენებლობას, როგორც წესი, კომკავშირი შეფობდა. ეს

არ იყო ლიტონი შეფობა. ქვეყანაში თითქმის ყოველ ნაბიჯზე იყო კომკავშირულ-დამკვრელური მშენებლობები და ასეთივე ბრიგადები, რომელთა შორისაც სოციალისტური შეჯიბრებები იმართებოდა.

რატომ ვყვები ამ ყველაფერს, იცით? კომკავშირი არასდროს ყოფილა სათამაშო ორგანიზაცია, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია, არამედ ნამდვილად იყო პრაქტიკულად ქვეყნის მთელი ახალგაზრდული ენერგიის წარმმართველი და მამობილიზებელი. უამრავ სასარგებლო შრომაში გახლდათ ორგანიზაციულად ჩართული... ეს იყო სამკურნალო მცენარეების შეგროვება, კურკოვანი მცენარეების თესლის ჩაბარება, აბრეშუმის ჭიის მოვლა თუ კაკლის გაშენების უზარმაზარი კამპანია..

ამ საქმიანობაში ახალგაზრდები იზრდებოდნენ, შრომით ჩვევებს იძენდნენ და საქმის ორგანიზებას სწავლობდნენ, ხელმძღვანელ მუშაკებად ყალიბდებოდნენ, ეჩვეოდნენ როგორც საკუთარი, ისე სხვისი შრომის დაფასებას.

„ჩემი და თამაზის ურთიერთობიდან – აგრძელებს თხრობას სერგო რიგვავა. - ჩემთვის განსაკუთრებით გულისამაჩუყებელი, ბოლო წლების ერთი ეპიზოდიც მინდა გავიხსენო: ისე მოხდა, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს ციხეში აღმოვჩნდი. დამაბრალეს, თითქოს ვიღაცებთან ერთად, ხალხს მისი მთავრობის დამხობისკენ მოვუწოდებდი. მთელი 13 დღე-ღამე გავატარე საკანში, ვიდრე სრულიად გავმართლდებოდი... დანაშაულის არარსებობის გამო! ამ ფაქტის გახსენება საშინლად არ მიყვარს, ახლაც თამაზის ხათრით ვიგონებ. რადგან თამაზი იყო ის პირველი კაცი, ვინც მოვიდა ჩემთან სახლში მაშინ, როცა ძალზე ბევრი უფრო ახლობელიც კი შორიდან მივლიდა. პირველი მოვიდა, თავის განუყრელ ლამარასთან ერთად. ეს მაშინ დიდი გაბედვა იყო და, სხვათა შორის, უკვე იმ დროს ბევრისგან ასე პატივაყრილი და დავიწყებული დიდი ადამიანობაც“!

ქალბატონი თინა ზარგინავა (საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე და ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი 1955-67 წლებში):

„თამაზ ჯანელიძე ერთი შეხედვით, შესაძლო იყო, ქედმაღალიც მოგჩვენებოდათ, მაგრამ ამ პირველი შთაბეჭდილების მიღმა სულ მალე მიწამდე თავდახრილ კაცს დაინახავდით. გულთამხილავ ადამიანს, რომელსაც ძნელად, გვერდით მყოფის პრობლემა ან საწუხარი რომ გამოპარვოდა.

მე, საერთოდაც, ძალზე ემოციური მეთქმის. ერთხელაც, ვერ ვარ გუნებაზე. მაშინვე შემამჩნია და კაბინეტში შემიყოლა — რა ხდება, რა გიჭირს, გამანდე შენი გულის საიდუმლოო. ამ მოულოდნელმა სითბომ გული კი ამიჩუყა, მაგრამ ჩემი საწუხარით როგორ დავამძიმებდი. მადლობა მოვახსენე ჩემი პრობლემით დაინტერესებისთვის და სასწრაფოდ დავტოვე მისი ოთახი.

მაშინ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით, თუმცა, გულისხმიერება, უბრალოება, თავმდაბლობა, ადამიანის გაკითხვის უნარი ის თვისებებია, რომლებსაც ასაკი ალბათ, არც აქვთ. ეს შინაგანი მოთხოვნილება ადამიანებთან მისვლისა, სხვის გვერდით დგომის ცოდნა თამაზს ყოველთვის აახლოებდა თანამშრომლებთან და ისინიც ყველაზე კრიტიკულ წუთებში მის გვერდით დგებოდნენ, მიჰყვებოდნენ მას და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ძალიან უყვარდათ!

თამაზი ბრწყინვალე ორგანიზატორი იყო, მისი მაღალი თანამდებობრივი ჩინებისთვისაც რომ არ მიგეხედათ, ნებისმიერ საქმეში იგრძნობდით, რომ ეს იყო ბუნებით თაოსანი ადამიანი. მისი ხელმძღვანელობით, ინიციატივითა თუ მხარდაჭერით, იმ წლებში კომკავშირში უამრავი თვალსაჩინო საქმე კეთდებოდა. ეს იყო ყამირი და ნასვენი მიწების გრანდიოზულ კამპანიაში ქართველობის მონაწილეობა, თუ ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკუთრივ ჩვენი ქართული მეურნეობრიობის საქმეები — მიწების ათვისებითა და ციტრუსების გაშენებით დაწყებული წარმოებაში ახალგაზრდების მიზიდვით დამთავრებული.

ამგვარი ინიციატივები თამაზის პირველი მდივნობის დროს ძალიან ხალისდებოდა და აუცილებლად მოდიოდა იქიდანაც, რომ თამაზს ჰქონდა უნარი ადამიანების დარწმუნებისა, საზოგადოებისთვის მაქსიმალურად სასარგებლონი ყოფილიყვნენ. ეს იყო ძალზე მაღალი ინტელექტის ადამიანი, ამ მხრივ საუკეთესო მათ შორის, ვინც კი ოდესმე საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციას სათავეში ჰყოლია“.

ქალბატონი ლია ნადარეიშვილი (საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სააღრიცხვო სექტორის გამგე 1954-67 წლებში):

„ჩემი კომკავშირული ახალგაზრდობის ამ პერიოდის სიმბოლოდ, სრულიად სამართლიანად, წარმომიდგება ხოლმე მაღალი, ათლეტური აღნაგობის, ძალიან მომხიბლავი ახალგაზრდა მამაკაცი; ინტელიგენტი, უაღრესად თანამედროვე და პროგრესული ადამიანი... თამაზ ჯანელიძე, რომელიც ჩვენთვის არა მარტო ლიდერი და პირ-

ველი მდივანი, არამედ კოლექტივის მართლა სული და გული იყო.

ბატონი თამაზი თითოეულ ჩვენგანს ახლობლად მიგვაჩნდა, მასაც ყველანი ასევე ვუყვარდით. ჩვენი ნებისმიერი ავ-კარგი და წვრილმან-მსხვილმანი იცოდა — თანამშრომლები ძალზე ხშირად გულს გადავუშლიდით ხოლმე. გაგება თუ დამშვიდება კი, იცოცხლეთ, ეხერხებოდა — უცებ თითქოს დაიცლებოდი იმ საწუხარისგან, რაც უნდა ცუდ გუნებაზე ყოფილიყავი.

ხომ ასეთი ყურადღებიანი, გულისხმიერი და მისაწვდომი იყო, სუბორდინაციას არაფრით დაგარღვევინებდა. კაცმა რომ თქვას, ასეთები არც ჩვენ ვიყავით. ჩვენმა თაობამ უფროს-უმცროსობა ნამდვილად იცოდა.

მე არ მახსენდება ხმააწეული თამაზი ან ისეთი, თავისი შენიშვნით ვინმე რომ დაემცირებინა. თუ მაინცადამაინც მოგცემდა ამ შენიშვნას, თავმოყვარეობაშელახული ოდნავაც არ რჩებოდი, მეტიც, როგორც კი გამოიხურავდი მისი კაბინეტის კარს, შეიძლებოდა საგონებელშიც კი ჩავარდნილიყავი, ასეთი დანაშაული როგორ მაპატიაო.

მიხარია, როცა გავიაზრებ ხოლმე, რომ ვმუშაობდი ენთუზიაზმით, ურთიერთპატივისცემითა თუ ურთიერთნდობით შეკრულ ისეთ კოლექტივში, ბატონი თამაზის დროინდელი კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი რომ იყო; რომელშიც ყველაფერი თანაბრად ნაწილდებოდა — წარმატებაც, წარუმატებლობაცა და სამუშაოც კი, თითოეულ ჩვენგანზე ისეც საკმაოზე მეტი რომ მოდიოდა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ დადებით ემოციებზე დამყარებული თვითგახარჯვა.

ამ ჭრილში მინდა გავიხსენო კომკავშირული დოკუმენტაციის შეცვლის უზარმაზარი საკავშირო კამპანია, რომელიც ჩატარდა 1955 წლის მიწურულს, თუ 1956 წლის დამდეგს, ზამთარში.

წარმოიდგინეთ, საქართველოს 700 000-კაციანი კომკავშირული ორგანიზაციის მთელი დოკუმენტაცია, რომელიც სპეციალური გამცილებლების თანხლებით, მოსკოვიდან საგანგებო ეშელონით მოდის. ფაქტობრივად, უზარმაზარი ტვირთი, რომელიც კანონმდებლობის თანახმად, ჯერ აუცილებლად ბანკში მიაქვთ და მხოლოდ ამის შემდეგ აბარებენ ადრესატს, ანუ ჩვენ, რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს.

ეს ამანათები, რა თქმა უნდა, თამაზ ჯანელიძის სახელზე მოდის და წარმოიდგინეთ, რა სანახავი იყო ჩვენი უმშვენიერესი პატარა ეზო იმ დღეს, ეს ამდენი ბანდეროლი მთასავით რომ აიხორხლა.

რასაკვირველია, მუშებიც გვყავდა ცენტრალურ კომიტეტში, მაგრამ ამხელა სამუშაოსთვის მარტო ერთი-ორი კაცის გამეტება ნამდვილად საცოდაობა იყო. თანაც, ვინ იქნებოდა ამოდენა ტვირთის რამდენიმე საათში მომრევი?! ჰოდა, მკლავები დავიკაპიწეთ ჩვენებურად. ჩავდექით გრძელ რიგად ეზოს ამ ნაწილიდან საჭირო სართულამდე და ასე, ხელიდან ხელში გადაწოდებით, უკლებლივ ყველა ეს ამანათი თავის ადგილას გადმოვაბინავეთ.

ამ „დამკვრელურ" შრომაში, რა თქმა უნდა, მთელი ჩვენი მდივნობა იყო ჩართული და, მათ შორის, ბატონი თამაზიც, რომელიც ასეთ რამეებში, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მკვირცხლი, უბრალო და დაუზარელიც კი იყო ხოლმე.

იმ წლების კომკავშირული ყოფისთვის, ცოტა არ იყოს, უჩვეულო ერთი დეტალიც მახსენდება — მაგიდის ჩოგბურთის სექცია! სხვათა შორის, პირველი და ვგონებ, ერთადერთიც კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სინამდვილეში!

მახსოვს, ეს „აქტიური დასვენების ზონა" ზედ შემოსასვლელთან, ბუფეტის ახლოს მოგვიწყვეს. ასე რომ, შესვენებაზე წასახემსებლად ჩასულებს საშუალება გვქონდა, თავი თამაშით თუ არა, მოთამაშეთა გულშემატკივრობით მაინც შეგვექცია..

და, საერთოდაც, უფრო მოგვიანო წლებისას ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ თამაზის პირველი მდივნობის წლებში კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი შეზღუდულ პარტიულ-ბიუროკრატიულ სტრუქტურად ყველაზე ნაკლებად აღიქმებოდა.

უფრო სხვა კი ნამდვილად შეიძლება ითქვას, კომკავშირის ამ მმართველი აპარატისთვის ეს ნამდვილად იყო პროვინციალიზმისგან საბოლოოდ განთავისუფლების წლები, ანუ პერიოდი, როცა იგი მართლა იქცა თავისებურ ნავსაყუდელად და, თუ გნებავთ, რეზიდენციადაც, მოწინავე ინტელიგენტი ახალგაზრდობისათვის. ეს კი არ გახლდათ პატარა ამბავი, მით უფრო, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ეს უნდობლობა ახალგაზრდობის ყველაზე წიგნიერ, განათლებულ ნაწილსა და კომკავშირს შორის ათწლეულობით არსებობდა.

მაგრამ თამაზმა იმდენი იმარჯვა, რომ ცენტრალური კომიტეტის აპარატი სრულიად ახლებურად მოაზროვნე, განათლებული ახალგაზრდობითაც შეავსო და გაამდიდრა. პირველად, რესპუბლიკის კომკავშირის ისტორიაში, ცენტრალურ კომიტეტთან მან შექმნა ახალგაზრდული საქმეების კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუყენა დორიან კიტია — შემდგომში კულტურის ცნობილი მოღვაწე.

მახსოვს, თამაზის მდივნობის დროსვე, გადაიდგა პირველი საქ-

მიანი ნაბიჯები კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ახალგაზრდა მეცნიერთა შემოსაკრებადაც. მასთან ერთად, ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი იყო ბატონი გელა ბანძელაძე - მაშინ ჩვენი ცკ-ს ერთ-ერთი მდივანი, შემდგომში ასევე ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი.

ცალკე თემაა თამაზის ურთიერთობა თეატრთან და თეატრალებთან, საერთოდ, ხელოვნებასთან და მის მოღვაწეებთან, რაც არაჩვეულებრივად შთამბეჭდავად აისახებოდა ჩვენს მაშინდელ სამუშაო ყოველდღიურობაზეც.

ეს ის წლებია, როცა ჩვენი ცენტრალური კომიტეტი და მისი შენობა, ფაქტობრივად, რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა მსახიობებით, მუსიკოსებითა თუ კომპოზიტორებით გახლავთ „დასახლებული". ყველასთვის ცნობილია ბატონი თამაზის ძალზე შემოქმედებითი ურთიერთობები ქართული მუსიკის ისეთ გიგანტებთან, როგორებიც ბრძანდებოდნენ რევაზ ლაღიძე და ბიძინა კვერნაძე. ასევე, ჯანსუღ კახიძესთან და მის „შვიდკაცასთან", რომელიც ასევე, ბატონი თამაზის პირმშო იყო.

მახსოვს, ადგილკომის თავმჯდომარედ გვყავდა ლეილა სადრაძე, თამაზისგან ისე წახალისებული და შემართული, რომ კვირას არ გაიყვანდა, რაიმე დიდი ღონისძიება რომ არ მოეწყო. ამ მხრივ განსაკუთრებული მოგონებები დაგვიტოვა ბულატ ოკუჯავასთან შეხვედრამ. არაჩვეულებრივი იყო სომხეთის დელეგაციის ჩვენთან სტუმრობაც. იქაურ პირველ მდივანს, სხვათა შორის, თამაზის ახლო მეგობარს, ჩვენი ლეილა სადრაძე მოეწონა, მაგრამ თამაზი შეუვალი იყო — რას ჰქვია, მოგეწონა, ამას როგორ გაგატანო. ჩვენი, ქართველი გოგოების, ცკ-ის თანამშრომლების, ის თავმოწონებაც დღემდე მახსოვს: თამაზის საზოგადოებაში ყოფნა მის სომეხ კოლეგას აშკარად ჩაგრავდა გნებავთ, გარეგნობისა და გნებავთ, ინტელექტის თვალსაზრისით.

და, საერთოდაც, ვფიქრობ, თანამშრომელთა ჩვენი „თაობა" ნამდვილად ბედნიერები ვიყავით იმით, რომ იმ რამდენიმე წელიწადს ჩვენი ცენტრალური კომიტეტი მართლა იყო არაჩვეულებრივი შემოქმედებითი ურთიერთობების, დისკუსიების, შთამბეჭდავი შეხვედრებისა თუ წამოწყებების თავისებური აკვანი.

სხვათა შორის, ჩვენთან მუშაობდა არაერთი თაობის საყვარელი მომღერალი თემო ნაცვლიშვილიც და ვფიქრობ, კომკავშირისადმი ახალგაზრდობის განწყობას ესეც ძალიან ათბობდა.

და, რაც არანაკლებ მთავარია, ეს ყველაფერი მოდიოდა კომკავ-

შირის თბილისის საქალაქო კომიტეტიდან, რადგან ეს სწორედ ის ხალხი იყო, რომელიც თამაზმა ჯერ კიდევ თავისი ქალაქკომის პირველი მდივნობის დროიდან „შემოიჩვია" კომკავშირში. ამას მიუმატეთ ისეთი ძლიერი კომკავშირული მუშაკები, როგორებიც იყვნენ ქალბატონები: ვიქტორია სირაძე, ნათელა ვასაძე, ბატონები: სერგო რიგვავა, გელა ბანძელაძე, თემურ ბადურაშვილი და გასაგები იქნება ის ენთუზიაზმი თუ თავგამოდება, რაც დამახასიათებელი იყო მთელი ჩვენი კოლექტივისთვის.

მაგრამ ისევ ბატონ თამაზს მინდა დავუბრუნდე... თითქოს გუშინ იყოო, ჭიათურაში რომ გადაჰყავდათ. მახსოვს, სულ ბოლოს როგორ შეგვკრიბა. ნახვამდისო, ერთი ეს გვითხრა, მეტი არაფერი. ნირწამხდარივით იყო. ჩვენ კი, თანამშრომლებს, ასე გვეგონა, რომ საცა იყო, თავზე ცა ჩამოგვექცეოდა"!

ბატონი გურამ გვეტაძე (საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების ინსტრუქტორი 1957 წელს):

„ თამაზ ჯანელიძემ, ფაქტობრივად, გაცნობამდე მოახდინა ჩემს ცხოვრებაზე გავლენა.

ამას იმიტომ ვაზუსტებ, რომ სკოლიდან წარმოებამდე ისე ვიცხოვრე, კომკავშირულ საქმიანობასთან არავითარი შეხება არ მქონია. საუკეთესო მოწაფეობას თავისთავად მოჰყვა ოქროს მედალი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი და კონსტრუქტორობით გატაცება; მანქანათმშენებლობის ფაკულტეტს კი — კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კონსტრუქტორობა, რაც, ფაქტობრივად, უკვე იყო ის, რაზეც ბავშვობიდან ვოცნებობდი.

მაგრამ ახლა უკვე ვიცი, ვის მოვხვდი მაშინ თვალში, ანუ უკვე ჩემთვის გამზადებული კომკავშირის კომიტეტის მდივნობის გადმოსაბარებლად ვისი წყალობით გამომიძახა მაშინ ქარხნის პარტკომმა. ასე რომ, თამაზს ნათლიას ვეძახი, დამამანათლა-მეთქი ეს კომკავშირული მუშაობა.

ასე დაიწყო ჩემი ურთიერთობა კომკავშირთან, მეტიც — კომკავშირული აქტივისტობა. თანაც მთელი ჩვენი ხალხისთვის უმძიმეს პერიოდში, როცა, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, 1956 წლის მარტის ამბებმა თითოეული ჩვენგანის პატრიოტიზმზე, კაცურ თავმოყვარეობასა და ნერვებზე გადაიარა, სერიოზული გამოცდა მოუწყო ჩვენს ეროვნულ თავდაჯერებასა და კომუნისტურ-საბჭოურ მენტალიტეტს და რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის მმართველ რგოლშიც სერიოზული საკადრო ცვლილებანი გამოიწვია.

ისე მოხდა, რომ ამ ტალღაში უნებურად მეც მოვყევი. ერთ დღეს-აც გამომიძახა თამაზ ჯანელიძემ, რომელიც საუცხოოდ იცნობდა ჩვენი ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობას და ცენ-ტრალური კომიტეტის კომკავშირული ორგანიზაციების განყოფი-ლების ინსტრუქტორად გადამიყვანა. ეს ნიშნავდა, რომ როგორც ინჟინერს, მთელი რესპუბლიკის სამრეწველო ობიექტების კომკავ-შირული ორგანიზაციებისთვის უნდა გამეწია კურატორობა.

აქედან დაიწყო ჩვენი კიდევ უფრო უშუალო თანამშრომლობა: ბიუროზე განსახილველი საკითხების მომზადება, რაიონებში გას-ვლა ადგილებზე მდგომარეობის შესასწავლად, წარმოებაში ახალ-გაზრდების მიზიდვისა თუ დამაგრების პრობლემები, უშუალო მო-ნაწილეობა ახალგაზრდა მუშების წინ წამოწევასა და მათი შრომი-თი გამოცდილების განზოგადებაში, რაც იმ პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტენდენცია იყო.

თამაზი, როგორც თავადაც ინჟინერი, ამ ყველაფერს უდიდეს ყუ-რადღებას აქცევდა და ჩემი დაკვირვებით, ამ კურსს ძალიან მიზანმი-მართულად ახორციელებდა. ეს გამოჩნდა იქიდანაც, რომ ჩვენი ხელ-შეწყობით წინ წამოწეული ახალგაზრდა მუშების: ზურაბ სალარიძის, ზუბრიცკის, ეთერ სოლომონიას, გრიშა ბოგვერაძის, ილია ჭუმბუ-რიძისა თუ სხვათა ცხოვრებისა თუ პიროვნული ზრდის მაგალითები მართლაც წამახალისებლად მოქმედებდა დანარჩენ ახალგაზრდობა-ზე, ხოლო იმით, რომ ერთ მშვენიერ დღეს უბრალო მუშა უმაღლესი საბჭოს დეპუტატიც შეიძლებოდა გამხდარიყო, ფაქტობრივად, ორ-მაგდებოდა წარმოებაში მოხვედრის ინტერესიცა და იქ მომუშავე თი-თოეული ახალგაზრდა მუშის ავტორიტეტიც.

ეს უკვე ხრუშჩოვის ეგრეთ წოდებული რეფორმების პერიოდია. ლაპარაკია ცნობილ გარდაქმნებზე, სამინისტროები რომ დაშალა და სახალხო მეურნეობის საბჭოები ჩამოაყალიბა. ეს გარდაქმნები, ბუნებრივია, საქართველოსაც შეეხო. შეიქმნა სახალხო მეურნეო-ბის საბჭო, რომელსაც სამმართველოებად გადაკეთებული სამინის-ტროებიც დაექვემდებარნენ. მთელ ამ ამბავში ჩემთვის საინტერე-სო იყო ის, რომ ჩამოყალიბდა მანქანათმშენებლობის სამმართვე-ლო, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჩემი სპეციალობით!

ერთი სიტყვით, გარკვეული ცდუნების წინაშე აღმოვჩნდი და მა-შინ იყო, ჩემს ცხოვრებაში პირველად, თამაზს პირადი სათხოვრით რომ მივადექი. ამ სამმართველოში ვთხოვე გადაყვანა, იქნებ პრო-ფესია დამაბრუნებინოთ-მეთქი.

სხვათა შორის, კარგა ხანს ვერ მელეოდა. ამიტომ მე ცოტა ხერ-

ხიც ვიხმარე და საქმეში გავრიე ედუარდ შევარდნაძე, რომელიც მაშინ უკვე ჩვენი ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი იყო. იგი ჩვენს სფეროს კურატორობდა. ამის მერე დიდი დრო არ გასულა, რომ ბიუროს დადგენილებით, გადამიყვანეს ამ სახალხო მეურნეობის საბჭოში.

ასე დამთავრდა ჩვენი ხანმოკლე ახლო თანამშრომლობა. სხვათა შორის, ამ ჩემი ამბის მერე თვითონ თამაზიც მალე გადაიყვანეს ჭიათურაში.

მაშინ ასე იყო. შეიტყობდნენ, რომ თანამდებობის პირი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაანაცვლეს და დაიწყებოდა შეფასებები — დააქვეითეს თუ დააწინაურესო. საერთოდაც, ამგვარი შეფასებანი იმ საზოგადოებას განსაკუთრებით ახასიათებდა, მით უფრო — 9 მარტის ცნობილი მოვლენების შემდეგ და იმ სტრუქტურაში, რომელიც რესპუბლიკის ერთ-ერთ მმართველ ორგანოდ იყო აღიარებული.

თამაზი კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობისას უკვე გახლდათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი. მეორე მხრივ, იგი აქამდე მხოლოდ ამ ბიუროს შემადგენლობაში მყოფი კომკავშირელი იყო, ახლა კი პარტიულ თანამდებობაზე გადაიყვანეს — ქალაქკომის პირველი მდივანი გახდა. მით უმეტეს, რომ ჭიათურის ქალაქკომი რესპუბლიკაში ერთ-ერთი უძლიერესი და უმნიშვნელოვანესი იყო.

თუმცა ასეთი მოსაზრებებიც კრთებოდა — იგი საგანგებოდ დასაჯეს. ნაცხრამარტევზე აშკარად დაკომპლექსებულ თუ ჯერ კიდევ დაბნეულ საქართველოს ხელისუფლებას განტევების ვაცი სჭირდებოდა“!

ბატონი გიორგი მახარაძე (საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების ინსტრუქტორი 1955-57 წლებში):

„თამაზ ჯანელიძის პირველი მდივნობის დროს მე, როგორც კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, ვკურირებდი აფხაზეთის კომკავშირულ ორგანიზაციას. ეს ის პერიოდია, როცა აფხაზური სეპარატიზმი უკვე ფეხს იდგამს და გარკვეულწილად, კიდეც იგრძნობა რაღაც კონკრეტულ სიტუაციებში.

ჩემი საქმიანობის სპეციფიკა მაიძულებდა ყოველ ორ კვირაში რამდენჯერმე სოხუმში გამეთია ღამე. ბავშვობიდან მომდევდა რადიოს სიყვარული. ჯერ კიდევ მოწაფეობისას, დაძინების წინ რა-

დიომიმღებს ხმააწეულს ვტოვებდი ხოლმე, რომ ჩემთვის მაღვიძარობაც გაეწია და მისი „აკომპანიმენტით“ დილასისხამზეც მევარჯიშა.

ბუნებრივია, იმ ჩასვლაზეც, ახლა რომ ვიხსენებ, ღამით რადიომიმღები ჩართული დავტოვე. დილით ვუსმენ სოხუმის რადიოს რაღაც რუსულენოვან გადაცემას აფხაზური მუსიკალური ფოლკლორის შესახებ. ვუსმენ, მაგრამ რას ვუსმენ — გულზე ვსკდები!..

ისე გამოდიოდა, რომ მოსკოვიდან თუ თბილისიდან ჩასულმა ვილაცვილაცებმა ეს-ესაა დაიწყეს აფხაზური ხალხური სიმღერების ჩაწერა თუ შესწავლა. ამ აშკარა დემაგოგიამ საშინლად გამაღიზიანა. მაშინვე მივედი კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან — იური კვიწინიასთან, სხვათა შორის, მთელ იქაურებში საუკეთესო პიროვნებასთან, ვაუწყე ამ რადიოგადაცემის შესახებ და ვთხოვე, რომ პარტიის საოლქო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგისთვის — ვინმე ოტირბასთვის ეთქვა ეს ამბავი.

გაცხარებული ვიყავი. თუკი საქართველოში აფხაზური მუსიკალური ფოლკლორის შესასწავლად აქამდე არაფერი გაკეთებულა, მაშინ მე, მახარაძეში გაზრდილმა გურულმა კაცმა ამდენი აფხაზური ხალხური სიმღერა საიდან ვიცი-მეთქი.

კვიწინია შესანიშნავი პიროვნება იყო. ყველაფერი გაიგო ისე, როგორც უნდა გაეგო და ელაპარაკა იმ ოტირბასაც: ჩვენს ორგანიზატორს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტიდან თქვენთან უნდა შეხვედრა ამა და ამ საკითხზეო. იმან, ჯერ გადადო ეს საუბარი, მაგრამ მეტი გზა რომ აღარ ჰქონდა, შემხვდა: უფრო სწორად, მიმიღო, იური კვიწინიასთან ერთად.

ვუთხარი, რაც სათქმელი მქონდა და იმ რადიოგადაცემის ტექსტის ნახვის ნებართვა ვთხოვე. თუ იქაც ისე წერია, როგორც მე მოვისმინე, ეს ძალიან უხეში შეცდომაა და იძულებული ვიქნები, თბილისში ჩავლისთანავე, ამის შესახებ ჩვენს პირველ მდივანს — თამაზ ჯანელიძეს მოვახსენო-მეთქი. თან სიტყვა-სიტყვით გავუმეორე ის, რაც ცოტა ხნის წინათ ვუთხარი კვიწინიას, რომ რამდენიმე აფხაზური ხალხური სიმღერა მახარაძეში გაზრდილმა კაცმა ლამის პატარაობიდან ვიცოდი და მეტი დამაჯერებლობისთვის, ხუმრობით შევთავაზე კიდეც, რომ ერთად გვემღერა.

ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ვასიამოვნე. ეს ის ოტირბაა, ვინც სხვებთან ერთად, აფხაზთა უკმაყოფილებას უდგას სათავეში.

მოკლედ, თავიდან კი ძალიან გამოამჟღავნა თავისი გაღიზიანება, მაგრამ როგორც კი ვუთხარი, რომ ამ ყველაფერს თამაზ ჯა-

ნელიძეს მოვახსენებდი, უნდა გენახათ, რას დაემსგავსა ეს ამხელა კაცი. იმიტომ, რომ იცოდა თამაზ ჯანელიძის ჯერ პრინციპულობისა და მერე კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში ყოფნის ამბავი. რას იზამდა, შემპირდა, აუცილებლად მივიღებ ზომებსო და ის ჩვენი არცთუ სასიამოვნო შეხვედრაც ამით დამთავრდა.

ასეთი ფარი და მახვილი იყო ჩვენთვის თამაზ ჯანელიძე — თავისი მდგომარეობით, ერუდიციითა თუ პრინციპულობით, მიუხედავად იმისა, რომ უშუალო ურთიერთობისას ისეთი უბრალო და მისაწვდომი გახლდათ, რომ კაბინეტის კარსაც თავისუფლად შეუღებდი.

აფხაზეთში სეპარატისტულ განწყობილებათა გაღვივების მაშინდელ მცდელობებათა გახსენებას ერთი ასეთი ამბავიც მინდა მოვაყოლო, სწორედ იმ პერიოდისა, რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციას ბატონი თამაზი რომ ხელმძღვანელობდა.

იმდროინდელ საზოგადოებას შესანიშნავად მოეხსენება: 1954 წელს გამოქვეყნდა პავლე ინგოროყვას კაპიტალური ნაშრომი „გიორგი მერჩულე", რომელშიც პირდაპირ საბუთდებოდა აფხაზთა ქართველური წარმოშობა. ამ მონოგრაფიას ბუნებრივად მოჰყვა 1955 წლის „მნათობის" ერთ-ერთ ნომერში ქეთევან ლომთათიძისა და, თუ არ ვცდები, ნიკო ბერძენიშვილის რეცენზიების დაბეჭდვა.

ჩანს, მეცნიერთა ამ გამოხმაურებამ ნაშრომში დასმული საკითხები ფართო საზოგადოებისთვის უფრო ცნობილი გახადა. ასე რომ, ამის შესახებ აფხაზებმაც შეიტყვეს და ატეხეს ერთი ამბავი, რას ჰქვია, აფხაზები ქართველური ტომები ვართო.

აქედან დაიწყო. ახლა — რითი გამოიხატა ეს ყველაფერი... მდუმარე საპროტესტო აქცია მოაწყვეს ჩოხოსანი ხანდაზმულებისა. ზუსტად პარტიის საოლქო კომიტეტის შენობის წინ!

რაც შეეხება თვითონ აფხაზი და ქართველი ხალხის ურთიერთდამოკიდებულებას, იგი მაშინაც და მერეც განსაკუთრებით უშუალო და თბილი იყო. ამას იქ ჩასული ადამიანი თითქმის ყოველ ნაბიჯზე იგრძნობდა.

მაგრამ მაშინ საქმე ისე წავიდა, რომ ხანდაზმულთა ამ აქციას აფხაზებმა ახალგაზრდული აქციებიც მოაყოლეს. ეს ის დროა, როცა ედუარდ შევარდნაძე უკვე ჩვენთან მუშაობს. ასე რომ, თამაზმა მას დაავალა ჩემთან ერთად ჩასვლა ამ ინციდენტების ცხელ კვალზე სოხუმში.

ედუარდმა მკითხა, როგორ ფიქრობ, კიდევ ვინ შეიძლება, საქმე-

ში რომ გამოგვადგესო. რა თქმა უნდა, თემო ნაცვლიშვილი-მეთქი, მაშინ ის ჩვენთან, სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილებაში მუშაობდა. ღმერთმა ყველაფერი ასე აგიხდინოთ!

ჩავედით თუ არა სოხუმში, ედუარდმა, თავისი ჩვეულებისამებრ, მაშინვე დაიწყო ორგანიზაციების, ამჯერად, სასწავლებლების, შემოვლა. უპირველეს ყოვლისა, მივედით სუბტროპიკულ ინსტიტუტში, სადაც მასა და სტუდენტებს შორის დაახლოებით ასეთი დიალოგი გაიმართა: რამ აგაღელვათ, რატომ მოაწყვეთ დემონსტრაციაო. გვითხრეს, რომ ერი და ხალხი არ ხართ აფხაზებიო. ვინ გითხრათ, ან სად წაიკითხეთო. ჩვენ არ წაგვიკითხავს, მაგრამ „მნათობში" გამოქვეყნებულაო. კი მაგრამ, ქართული წერა-კითხვა ხომ იცით, თავადაც წაგეკითხათ, იქნებ მთლად მასეც არ დაუწერიათ, თქვენ რომ გითხრესო... აი, ეს გახლდათ მთელი იმ გამოსვლების იდეოლოგია, რომლის სულისჩამდგმელიც იყო სწორედ იმ ოტირბას ჯგუფი.

მოკლედ, სკოლების დარგში კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივანთან - ვალერი კობახიასთან ერთად, როგორც იყო, დავამთავრეთ სასწავლებლების შემოვლა და გავემგზავრეთ გუდაუთაში, სადაც კობახიამ დაგვასწრო ცხენოსანთა საწვრთნელ ასპარეზობას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ზალატინსკა აჩბა - სსრკ ჩემპიონი ხმლებით ჩეხვაში (მაშინ არსებობდა ასეთი სპორტული სახეობა, მის გუნდურ პირველობაში სწორედ იმ ხანებში საქართველოს ოთხკაციანი გუნდი ლიდერობდა).

ამ აჩბამ ჩაიბარა ჩვენი უშუალო მასპინძლობაც და მიგვიწვია შუაგულ მინდორში გაშლილ არაჩვეულებრივ სუფრასთან. თუმცა კი, თამადად რომელიღაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე დაგვისვეს, რომელმაც ინჩიბინჩიც არ იცოდა ქართულის.

დაიწყო ჩვენი პურობა, მაგრამ, ასე ვთქვათ, „შეძლებისდაგვარად" ვქეიფობთ... რადგან აშკარაა, ეს სუფრაც ისეთივე ფარული დაძაბულობით მიდის, როგორც მთელი ჩვენი იმდღევანდელი შეხვედრები. სწორედ მაშინ იყო, ბატონმა ედუარდმა თემო ნაცვლიშვილს რომ გადაულაპარაკა, ეგება, იმღერო და ამ ხალხსაც ხმა ამოაღებინოო.

მართლაც, თემომ დაუყოვნებლივ მოითხოვა გიტარა და ერთბაშად იმოდენა სითბო ამოუშვა ყელიდან, რომ მეც მაშინვე ხმა მივეცი — სიმღერა ყოველთვის ძალიან მიყვარდა და ცდუნებას ვერ დავუმაგრდი. თითქოს რაღაც ჯადოსნურმა დაგვქროლაო... სუფრა უცებ დაემგვანა სუფრას! მასპინძელი გოგო-ბიჭებიც ხელად აგვყვნენ. საიდანღაც გამოაჩინეს ფანდური და ისეთი ქართული სიმღერები

გაგვახსენეს, რომ მხოლოდ მტერსა და ავისმდომს თუ გაუჩნდებოდა ეჭვი, რომ ბუნებითა თუ სულით მართლა ნათესავები არ ვიყავით.

ეს იყო ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის ნამდვილი გამოვლენა. ამით იმის თქმა მინდა, რომ რეალობა მაშინაც და შემდეგშიც ასეთი იყო, მაგრამ მაშინაც და შემდეგშიც ეს ყველაფერი ხელოვნურად იმართებოდა ამ ორივე ერის არაკეთილმოსურნეთა ხელით".

ქალბატონი ვიქტორია სირაძე:

„მე საკმაოდ ნაადრევად, გათხოვებისთანავე, მომიხდა კომკავშირიდან წამოსვლა. თუმცა თამაზის ცკ-ის მდივნობის დროს ჯერ ისევ კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვიყავი და ისევ ისეთი სულისკვეთებით, სიყვარულითა და ნდობით ვეთანამშრომლებოდი თამაზს, როგორც ეს ინსტიტუტის წლებში გვჩვეოდა.

ჩვენი თაობა უკვე მშენებელთა თაობა იყო, მაშინ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას სტრატეგიულ ობიექტთა მშენებლობა თავისი ღირსების საქმედ მიაჩნდა და ამ საქმეში ახალგაზრდობაც მაქსიმალურად ჰყავდა ჩართული.

უდიდესი ყურადღება ექცეოდა ჰიდროენერგორესურსების გამოვლენასა და გამოყენებას. ერთი მეორის მიყოლებით შენდებოდა ლაჯანურჰესი, გუმათჰესი, ვარციხჰესი, ჭითახევჰესი და ის დანარჩენი ელექტროსადგურებიც, სულ ცოტა — 45, რომელთა ჰიდროენერგოპოტენციალის დიდი ნაწილი დღეს, ვფიქრობ, უპატიებლად, გამოუყენებელია.

არადა, ფაქტია, რომ საკუთარი ჰიდროენერგოპოტენციალის ამ გამოუყენებლობამაც გვიყო, რაც გვიყო. ძალიან ბევრი სტრატეგიული ობიექტი გაუშვა სახელმწიფომ ხელიდან. ძალიან ბევრი რამ გაიჩეხა თუ თურქეთში გაიყიდა იმათგან, რის შექმნაშიც ერთ დროს ჩვენ მთელ სიყვარულს, ენთუზიაზმსა და ერთგულებას ვდებდით.

ეს ის წლებია, როცა საქართველოში კომკავშირული აქტივის საერთო მომზადების დონე თვალში საცემად ამაღლდა. ეს ცვლილებანი განსაკუთრებით დაიტყვეს კომკავშირის ცენტრალურმა და თბილისის საქალაქო კომიტეტებმა.

ლაპარაკია კომკავშირული ლიდერების თაობაზე, რომელთა კულტურულ-ინტელექტუალურმა დონემაც განაპირობა კომკავშირისა და ინტელიგენციის ურთიერთდაახლოება. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ერსაც და მის ახალგაზრდობასაც ეყო შინაგანი თავდაჯე-

რებაცა და ნიჭიერებაც, რომ არ გახლეჩილიყვნენ პარტიულ თუ უპარტიო ათასებად და გაეგრძელებინათ სულიერი თანაარსებობის ის დიდი ტრადიციები, რომელიც ერმა ოდესღაც დაიწყო.

ასეთი გაცნობიერებული ცოდნა ქვეყნისა და ერისთვის ალბათ, ძალიან მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ეკონომიკა ყოველთვის შეიძლება შექმნა, დარბეული აღადგინო თუ დაკლებული აინაზღაურო, მაგრამ ესეც ფაქტია, რომ სულიერი ღირებულებების გარეშე ყველანაირი მატერიალური კეთილდღეობა არაფრისმომცემი და შინაარსისგან დაცლილია.

ჩვენმა „კომკავშირულმა" თაობამ კი ეს მოახერხა. ეს ის პერიოდია, როცა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა თუ თბილისის ქალაქკომის გარშემო თავს იყრიან ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის უნიჭიერესი ახალგაზრდული ძალები. გამორჩეული თაობა, რომელსაც ერქვა: მიშა თუმანიშვილი, გიორგი ტოვსტონოგოვი, მედეა ჩახავა, კოტე მახარაძე, სულხან ნასიძე, ბიძინა კვერნაძე, რეზო ლაღიძე, ზურაბ ანჯაფარიძე, ოთარ თაქთაქიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, სხვანი და სხვანი. და, მათ შორის, უკვე თავისი სათქმელით გამორჩეული ახალგაზრდა მეცნიერები, ვინც თავისი პოტენციით მაშინ უკვე იპყრობდა ყურადღებას და მართლაც საკმაოდ დიდი დიაპაზონის სწავლულები დადგნენ.

ეს ხალხი ჩვენ ძალიან გვიყვარდა, შეიძლება ითქვას, რომ მეტისმეტადაც ველოლიავებოდით. იმიტომ, რომ გაცნობიერებული გვქონდა, რომ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ისინი იყვნენ ჩვენი ერის დიდი სულიერი და ინტელექტუალური ენერგიის მატარებელნი.

ამ არაჩვეულებრივად მიგნებულ ურთიერთდამოკიდებულებათა ჩამოყალიბებაში თამაზ ჯანელიძის, როგორც მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლისა და უბრალოდ, ნიჭიერი კაცის, ლომის წვლილიცაა. მე ასე ვიტყოდი: ბედნიერები ვიქნებოდით, ხელისუფლებაში დღეს ცალი ხელის თითებზე მაინც რომ ჩამოგვეთვლებოდეს თამაზისნაირი კაცები, მთელი თავიანთი კეთილსინდისიერებით, ერთგულებით, ნიჭიერებითა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ღირსებით რომ ემსახურებოდნენ ქვეყნისა თუ ხალხის კეთილდღეობას.

მინდა, იცოდეთ, რომ ჩვენ ის თაობა ვართ, თავისი ცხოვრების არც ერთ ეტაპზე ნივთიერ სიკეთეებზე რომ არ უხურდავებია თავისი ის ძველი საკმაოდ მაღალი სახელისუფლო რეგალიები; ვინც ათწლეულობით იყო ხელისუფლებაში, მაგრამ დღეს საზოგადოებ-

რივი ტრანსპორტით მგზავრობს, იმიტომ, რომ არასდროს უფიქრია გამდიდრებასა და სიბერის „სათანადოდ" უზრუნველყოფაზე.

თამაზი და მე, გარდა იმისა, რომ ორივე პოლიტექნიკურელები ვართ, გარკვეული დროის მანძილზე ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი-მოადგილე და, აქედან ბუნებრივად გამომდინარე, ძალზე ახლო მეგობრებიც ვიყავით. ორივეს სახელობითი სტიპენდიები გვეძლეოდა, პლუს — საკმაოდ მაღალი ხელფასებიც, მაგრამ ჩვენ არ ვყოფილვართ ფულსა და ანგარიშებს გამოკიდებული თაობა. შინაგანი მისწრაფებებით, მოთხოვნილებებით, იდეებით ყველანი უკლებლივ ენთუზიასტები ვიყავით. ამგვარი იყო მაშინ მთელი ახალგაზრდობის შინაგანი განწყობილება თუ მისწრაფება. ჩვენ ომის ბავშვები ვიყავით. უამრავი რამ გვაკლდა და კიდევ უფრო მეტი გვჭირდებოდა, მაგრამ ფულისთვის არასდროს არაფერი გვიკეთებია.

სამაგიეროდ, ყველანაირ საერთო საქმეში ერთად დგომის დიდი შინაგანი კულტურითა და მოთხოვნილებით ვცხოვრობდით. მუდმივად დატვირთული და ამდენად, ძალზე საინტერესო ყოველდღიურობა გვქონდა: სულ რაღაცას ვფანტაზიორობდით, რაღაცას ვფაციფუცობდით, სულ რაღაც ახალი იდეის ხორცშესხმა გვეშურებოდა.

რაც მე მახსოვს, თამაზი ნიჭიერთა და უნარიანთა შორის ყოველთვის ყველაზე თვალში საცემი და გამორჩეული იყო. ამ არაორდინალურობის გამო, მისი თანამოაზრეობაცა და მასთან მუშაობაც ყოველთვის მომწონდა და მსიამოვნებდა.

ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ მინდა მოვყვე... ჯერ კიდევ ინსტიტუტის კომკავშირში ყოფნისას თავის მოწონება მოვინადინეთ — მთლიანად უცხოენოვანი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია ჩავატარეთ. მოხსენებები კეთდებოდა სამ ენაზე: ინგლისურად, ფრანგულად და გერმანულად. მაშინ ეს, რა თქმა უნდა, უჩვეულო რამ იყო, მაგრამ, ვფიქრობ, „ ზემოთ" სწორედ ეს უჩვეულობა ვერ გვაპატიეს, ათას პარტიულ დოკუმენტსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზეც კი გამოგვაჭენეს. სულ კოსმოპოლიტები გვეძახეს, რადგან ეს შეფასდა, როგორც უცხოეთის წინაშე ქედის მოხრა.

მოკლედ, გულუბრიყვილობა გამოვიჩინეთ. ვერ გავთვალეთ იმ დოგმატიკოსებზე, ყოველ ეპოქასა და სისტემას რომ ჰყავს და რა თქმა უნდა, მაშინაც იყვნენ. მაგრამ მე მაინც არ ვარ მომხრე, რომ ამ თუ სხვა ტიპის რიგი წარუმატებლობები მხოლოდ იმ სისტემის ავ-

ტოკრატულობას (როგორც დღეს დაარქვეს) დავაბრალოთ. რადგან ადამიანი ბუნებით მაინც შემოქმედია, შემოქმედება კი ყველგან, ყველა ეპოქასა თუ სისტემაში, ახერხებდა თავისუფლებას და თითქმის ყოველთვის მაღლა იდგა ნებისმიერ შეფასებაზე. ჩვენ ვფიქრობდით, რომ მთავარია, ეს იცოდე და ამ პოზიციიდან ემსახურო საზოგადოებას.

ეს იყო ჩვენი თავისებური იარაღიცა და სიმართლეც და ამგვარი „შეცდომებისა" თუ ახალგაზრდული თავდაჯერებულობის გამო, თუკი ასეთი რამ გვქონდა, თითქმის არასდროს გვინანია".

აქ ისევ შევეცდები, ჩავერთო ჩემი მეგობრების მონათხრობში და საგანგებოდ შევაჩერებ სიტყვას ქალბატონ ვიქტორია სირაძეზე, რომელთანაც თანამშრომლობისა და მეგობრობის არაერთი წელი მაკავშირებს.

ვიკამ კომკავშირული საქმიანობა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაიწყო, როგორც კი აირჩიეს ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს წევრად. ჭკვიანი, განათლებული, მომხიბვლელი გოგონა გახლდათ, ყველას ძალიან მოგვწონდა. შესანიშნავად მეტყველებდა ქართულადაც და რუსულადაც. იმ წლებშივე ორგანიზაციული ნიჭიც გამოამჟღავნა და როგორც სტუდენტთა, ისე პედაგოგთა დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

თავის დროზე ინსტიტუტიდანვე დააწინაურეს კომკავშირის თბილისის კომიტეტში. იყო პარტიის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი, ცკ-ის მდივანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (რა თქმა უნდა, მე მის მხოლოდ მნიშვნელოვან თანამდებობებს ჩამოვთვლი).

საქმიანი, გულისხმიერი და აქტიური მოღვაწე – აი, როგორი იყო იგი. მაგრამ მიუხედავად ამ მუდმივი დაკავებულობისა, ყოველთვის ახერხებდა თავისი გასაოცარი ქალურობის, მიმზიდველობისა და კდემამოსილების შენარჩუნებას. თქმა არ უნდა, რომ ეს თვისებები ქალს ყველა ასაკში ამშვენებს, ამისი ნიმუში ჩვენი ქალბატონი ვიკა სირაძე გახლავთ.

1956 წლის 9 მარტი

50-იანი წლები საქართველოში საკმაოდ დამთრგუნველი მოვლენებით აღინიშნა. ეს იყო 1956 წლის 5-9 მარტის მშვიდობიანი გამოსვლები, რომელმაც თავისი ყველასთვის მოულოდნელი და უსასტიკესი განვითარებით მთელ ჩვენს მაშინდელ ეროვნულ თვითშეგნებაზე მოახდინა გავლენა. მე მაშინ ჯერ ისევ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახლდით.

ვერაფრით დავეთანხმები მათ, ვინც ცდილობს, მარტის მოვლენები წარმოაჩინოს როგორც არსებული სისტემის დამხობისკენ მიმართული, გარკვეულ პოლიტიკურ რადიკალიზმზე დაფუძნებული საზოგადოებრივი მღელვარება. რადგან ეს, უპირველეს ყოვლისა, გახლდათ ეროვნული თვითშეგნებისა და ღირსების შეგინებით შეურაცხყოფილთა საერთო-სახალხო აღშფოთება, რომელზეც, პროვოკატორთა გავლენით, ზოგიერთი ანტისაბჭოთა მოწოდებაც გაისმა.

საკითხი შეეხო მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ პიროვნებას — სტალინს. ყველაფერს დაემატა მისი ქართველობაც, ერთი შეხედვით, უწყინარი დეტალი, რომელიც მთელი ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის და განსაკუთრებით, ახალგაზრდობის ეროვნული თავმოყვარეობისთვის ყველაზე შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა.

თუ კარგად ჩავუფიქრდებით, 1956 წლის მარტის მღელვარება იყო უზარმაზარი შინაგანი წინააღმდეგობის მატარებელი მოვლენაც. თუმცა ნამდვილად ვერ იტყოდი, რომ რაიმე მსოფლმხედველობრივი თუ მორალური წინააღმდეგობა არსებობდა იმ ადამიანებს შორის, ვინც მაშინ იმ პირობითი „ბარიკადების" გაღმა-გამოღმა აღმოჩნდა.

მოვლენები კი დაახლოებით ასეთი თანმიმდევრობით განვითარდა:

1956 წლის თებერვალში მოსკოვში ჩატარდა სკკპ XX ყრილობა, მის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს დელეგაციაც, რომელში მეც ვიყავი.

თავიდან — თითქოს არაფერი განსაკუთრებული. რამდენი-

მე დღის მანძილზე, რაიმე გამორჩეული აქცენტის გარეშე, ჩვეულებისამებრ იმუშავა ყრილობამ და დაიხურა, როგორც ამას წინა ცხრამეტი ყრილობის განმავლობაში შემუშავებული წესი და რიგი ითხოვდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ რესპუბლიკის დელეგაციებს იმავე საღამოსვე ჩამოგვირეკეს სასტუმროს ნომრებში და გაგვაფრთხილეს, რომ ყრილობა მეორე დილით, 10 საათისთვის, ისევ განაახლებდა მუშაობას.

ამ სახით გაფრთხილებული იყო თითქმის ყველა დელეგატი, აღარ მოუწვევიათ მხოლოდ უცხოელი სტუმრები. ჩვენც კრემლის ყრილობათა სასახლეში დილიდან გამოვცხადდით.

სხდომას უძღვებოდა სსრკ მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე – ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბულგანინი, ჩვეულებრივზე მეტად დაძაბულად გამოიყურებოდა, სხდომის გახსნისთანავე გამოგვიცხადა, მოხსენებას გააკეთებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვიო.

ეს იყო, რასაკვირველია, დღემდე ყველასთვის ცნობილი ის მოხსენება „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ“, რომელმაც, სხვათა შორის, არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა რესპუბლიკებშიც მასობრივი პროტესტი გამოიწვია.

ხრუშჩოვმა მოხსენების კითხვა დაიწყო. მაგრამ დროდადრო ასცდებოდა ხოლმე წინასწარ მომზადებულ ტექსტს და მისთვის ჩვეულ ათასგვარ შეუსაბამობასაც ამატებდა. ერთი სიტყვით, როგორც იყო, ჩაამთავრა ის მოხსენება. დაასრულა, მაგრამ მთელი დარბაზი, დაყრუებულივით, ურეაქციოდ ზის. სამარისებური სიჩუმეა. რა აპლოდისმენტები, ან რის კომენტარი — ხალხი გაოგნებული იყო!

ეს აშკარა უხერხულობა ისევ ბულგანინმა დაარღვია. ამხანაგებო, არის წინადადება, მოვიწონოთ მოხსენება და გთხოვთ, მოწმობების აწევით დაადასტუროთ, ვინ არის ამ წინადადების მომხრე, ვინ – წინააღმდეგი, ან თავი ვინ შეიკავაო.

ეს ისე სწრაფად მიაყოლა, პოზიციის გამოხატვა კიდეც რომ გდომოდა, უბრალოდ, ხელის აწევას ვერ მოასწრებდი. ასე ფართხაფურთხით, ნაჩქარევად და დაძალებული ერთსულოვნებით „მოვიწონეთ“ და „მივიღეთ“ მოხსენებიდან გამომდინარე დადგენილებაც. დელეგატთა ერთმა მეათედმა თუ ასწია ხელი.

ერთი სიტყვით, როგორი პარტიული ხელისუფლებაც გვყავდა, ისეთი ყრილობაც ჩაატარეს!

რაც შეეხება თავად ხრუშჩოვს... მინდა გითხრათ, რომ ხრუშჩო-

ვის ზოგად ინტელექტსა თუ პარტიულ-ადმინისტრაციულ მონაცემებზე მაღალი აზრისა არც ამ ყრილობამდე ვყოფილვარ და მით უფრო მას შემდეგ ვერ ვიქნებოდი. გაკვირვებული კი ვიყავი, როგორ უნდა მოეხერხებინა თავის დროზე ასეთ არცთუ ჭკვიან კაცს სტალინის ნდობის მოპოვება თუ ბერიას გაბრიყვება?! მაგრამ აშკარაა, რომ ძალზე ვერაგი და მუდმივად დისტანციაზე გასაჩერებელი კაცი კი იყო. თუნდაც მისი ამ საყრილობო დემარშიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ეს თავისი პოლიტიკური ავანტიურა ზუსტად სტალინის გარდაცვალების სამი წლისთავის წინა დღეებს რომ დაამთხვია!

რასაკვირველია, გაეგონა იმ სამგლოვიარო მიტინგების შესახებ, სტალინის გარდაცვალების ყოველ წლისთავზე ახალგაზრდობის თაოსნობითა თუ მონაწილეობით რომ იმართებოდა ხოლმე შუაგულ თბილისში და ალბათ, ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ ეს სრულიად უწყინარი თავყრილობები გვირგვინებით შემკული სტალინის ძეგლის წინ ფაქტობრივად, ლიტერატურულ-მხატვრულ საანახაობებად გადაიქცეოდა.

ანუ იყო გულანთებული გამოსვლები, ლექსები, სიმღერები და პატარა ინსცენირებებიც კი, რომელთა ცენტრალური თემაც, რა თქმა უნდა, ბელადი, მისი მოღვაწეობა და გარდაცვალებით გამოწვეული გლოვა გახლდათ... და აუცილებლად გაისმოდა ხოლმე სტალინის უსაყვარლესი — „გაფრინდი, შავო მერცხალო“, როგორც ამ გლოვის აპოთეოზი და შინაგანი ერთსულოვნების გამოხატულება.

რა თქმა უნდა, ხრუშჩოვმა ეს იცოდა, ისევე, როგორც ის, რომ ეს ღამისთევაში გადასული ყოველწლიური სტალინური მიტინგები არასდროს გასცდენია დასაშვების ფარგლებს და არც რაიმე საზოგადოებრივი უწესრიგობის მიზეზი გამხდარა.

მაგრამ 1956 წლის 5 მარტი — ბელადის გარდაცვალების სამი წლისთავი — თბილისში უკვე სულ სხვა სულისკვეთებისა გათენდა. სტალინის ძეგლთან დილითვე თავშეყრილ ახალგაზრდობას თანდათან შეემატნენ საზოგადოების სხვა ფენათა წარმომადგენლებიც. ამ მიტინგის მიზანი იყო უკვე არა იმდენად გარდაცვლილი ბელადის ხსოვნისა და პატივისცემის დადასტურება, რამდენადაც სკკპ XX ყრილობის ანტისტალინური სულისკვეთების გაპროტესტება და ასევე, ხრუშჩოვის გამოსვლის მთელი იმ არგუმენტაციის გაქარწყლება, რომელშიც ასე უღირსად იყო მოხსენიებული ის, ვის მხრებზეც იდგა ათწლეულების მანძილზე ამ ქვეყნის ძლევამოსილებაცა და ღირსებაც.

ასე დაიწყო გამოსვლები. დღე დღეს გადაება, მომიტინგეები გააქტიურდნენ, გაჩნდნენ ლიდერებიც და, რა თქმა უნდა, უკვე საკმაოდ კარგად ორგანიზებულმა ამ გამოსვლებმა თავის უმთავრეს იარაღად აქცია ის მართლაც ყოვლად გაუმართლებელი სუბიექტივიზმი, სტალინის პიროვნული შეფასების ძალზე ბევრ ასპექტში რომ გამოავლინა ცენტრალურმა ხელისუფლებამ და, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, თავად ხრუშჩოვმა.

ამით მაშინვე ისარგებლეს უცხოეთის სადაზვერვო სამსახურებმაც და თავიდან მხოლოდ სტალინის ღირსების დამცველ ამ მრავალათასიან თავყრილობებზე უკვე მესამე-მეოთხე დღეს გაჩნდა შემოგდებული მოწოდებებიც. და ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ გამოიკვეთა საერთო აზრი და განწყობილება, გამოვეყოთ საბჭოთა სახელმწიფოსო.

ერთი სიტყვით, დამოუკიდებელ საქართველოზე დაიწყო ლაპარაკი. ეს კი უკვე ის საკითხი იყო, რომელზეც მაშინ ილუზიასაც ვერ შეიქმნიდი. რასაკვირველია, საბჭოთა კავშირი არ გახლდათ ის სახელმწიფო, რომელიც ასეთ „ანტიპარტიულ" თუ „ანტისახელმწიფოებრივ" აქციებსა თუ მსვლელობებს დაუსჯელად დატოვებდა.

ამასობაში სახალხო მღელვარება სულ უფრო და უფრო მეტ თავდაჯერებასა და პრინციპულობას იძენს და მომიტინგეებიც პირველ, ასე ვთქვათ, „ყოფით" პრეტენზიებს უყენებენ ქალაქის პარტიულ ხელმძღვანელობასა თუ ადმინისტრაციას. მაგალითად, ითხოვენ სტალინის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიისა და ლენინის მოედნის (საითკენაც დაიწყო მიტინგმა ჩანაცვლება) რადიოფიცირებას, რაც დაუყოვნებლივ შესრულდა.

ცხადია, რესპუბლიკის მთელი პარტიულ-კომკავშირული აქტივი, დედაქალაქის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობასთან ერთად, ყველაფერს ვაკეთებდით, რომ რამენაირად მშვიდობიანად გამოვსულიყავით შექმნილი მდგომარეობიდან და ვითარების ნორმალიზებისთვის მიგვეღწია.

ამ სიტუაციაში საქართველოს კომპარტიამ კონკრეტულად კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს დაავალა, რომ შეძლებისდაგვარად, არ დაეშვა ქუჩის დემონსტრაციები, რადგან გამოვიდოდა, რომ ამ გამოსვლებით ჩვენი ახალგაზრდობა ფაქტობრივად, პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს უპირისპირდებოდა და იწონებდა პიროვნების კულტს, რომელიც დაგმო ამ ყრილობამ. ეს კი მაშინ მძიმე ბრალდება იყო!

საპროტესტო აქციის წარმმართველი ძალა, რა თქმა უნდა, სტუ-

დენტობა გახლდათ. ეს გამოიკვეთა სახალხო უკმაყოფილების ჩამოყალიბების პირველივე საათებიდან: დემონსტრანტთა პირველი ტალღები სწორედ ინსტიტუტებიდან დაიძრა. ამ უპირველესთა შორის იყო საქართველოს ზოოვეტერინარული და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების ახალგაზრდობა და, რა თქმა უნდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტობა,

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ უკმაყოფილების გამოხატვის პირველივე საათებიდან არ გამოგვლევია სამუშაო. სამიტინგოდ შემართულ თითოეულ ჯგუფთან ცალკე შეხვედრას ვეშურებოდით, რომ გარკვეული ახსნა-განმარტებებით შეძლებისდაგვარად დაგვეცხრო მათი შელახული თავმოყვარეობა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი აუცილებლად თანხმდებოდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან. მაგალითად, რომ შევიტყვე, სანაპიროზე ჩასაყვანად ზოოვეტში უკვე გამზადებული ჰყავთ რვაასკაციანი კოლონაო, დაუყოვნებლივ ვაცნობე პარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების მაშინდელ გამგეს მამია მეგრელიშვილს, რომ იმ ახალგაზრდების დამშვიდებას საკუთარ თავზე ვიღებდი. თან ისიც ვაუწყე, გორსა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სერგო რიგვავასა და ნათელა ვასაძეს რომ ვუპირებდი გაშვებას და ჯერჯერობით, მარტოოდენ უნივერსიტეტში გასაგზავნი კაცი არ მყავდა.

მამიამ საკუთარ თავზე აიღო უნივერსიტეტის დამშვიდება, მაგრამ მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ იქაურ სტუდენტობასთან შეხვედრა მოუწადინებია თავად ვასილ მუავანაძეს და მისულა კიდეც უნივერსიტეტში. საზოგადოებამ უკვე იცის, ეს დაშოშმინება რითაც დამთავრდა: სტუდენტებმა მაინც არ დაიშალეს სანაპიროზე მყოფ მომიტინგეებთან შეერთება და მეტიც გააკეთეს — სტალინის პორტრეტით ხელდამშვენებულებმა შუაში ჩაიყენეს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი და ამ სახით, სანაპირომდე, მთელი რუსთაველი ჩაატარეს.

რაც შეეხება ჩემს „ვოიაჟს" ზოოვეტში, რომლის შენობაც მაშინ ვაკეში, ახლანდელი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის მეზობლად მდებარეობდა, რომ მივედი, სანაპიროზე ჩასასვლელად გამზადებული რვაასკაციანი კოლონა ინსტიტუტის შენობის წინ იდგა და წუთი-წუთზე უნდა დაძრულიყო. მე მაშინვე მოვიძიე აქციის ორგანიზატორები, მივმართე, განა რა გვიჭირს ისეთი, ამხელა საქმეები რომ ქუჩაში ვარჩიოთ, კლუბში

ავიდეთ და იქ ნორმალურ ვითარებაში შევიმუშავოთ მოქმედების გეგმა-მეთქი.

ინსტიტუტის კლუბში კი ეტეოდა ასე ექვსას კაცამდე. ორასამდეც ფეხზე დადგებოდა... მთელი ექვსი საათის მანძილზე ვიმიტინგეთ. აღშფოთება თითქმის პიკური იყო. რა თქმა უნდა, აბსოლუტურად სწორხაზოვანი და ცალმხრივი პოზიციები ჰქონდათ. რა შეკითხვები არ დამაყარეს და რა არგუმენტები არ მომამარჯვებინეს. არაფრით არ უნდოდათ უკან დახევა: რა დააშავა ასეთი სტალინმა, ვინ არის ასეთი ეგ ხრუშჩოვი, რომ ამდენი გაბედა და საერთოდაც, პარტიამ როგორ დაუშვა ამგვარი დემაგოგიაო.

ერთი სიტყვით, დაყოვნებით კი ვითომ დავაყოვნე, მაგრამ მთლად ისეც არ გამოდიოდა, მათი დამოკიდებულებების სიწრფელისთვის ერთბაშად რომ დაგეპირისპირისპირებინა პარტიისგან მაშინ რეკომენდებული სათუო არგუმენტები. მით უმეტეს, თუ შინაგანადაც ამ აღელვებული მასის თანამოაზრედ გრძნობდი თავს, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული თანამდებობრივი ვალდებულებები გბოჭავდა და ამ ყველაფრის გამო საკუთარ გულისტკივილსა და გულისნყრომას მათსავით გახსნილად ვერ გამოხატავდი.

აქ სხვა ნიუანსიცაა — თავად ხრუშჩოვის ფაქტორი. მე დღესაც მგონია, რომ ის ტრაგიკული 9 მარტი ასცდებოდა საქართველოს, თავად ხრუშჩოვს მეტი კეთილგონიერება ან ტაქტი რომ გამოეჩინა.

რა თქმა უნდა, არც მანამდე და არც მერე არავის უმტკიცებია, ხრუშჩოვი დიდი ადამიანური სიღრმეების კაციაო, მაგრამ ეს კი ყველას დაგვანახა, რომ საკუთარი არასრულფასოვნებით საკმაოდ გაწამებული ადამიანი გახლდათ და სერიოზულადაც იტანჯებოდა პატარა კაცის კომპლექსით.

არადა, მეტი პიროვნული გამჭრიახობა რომ გამოეჩინა, მიხვდებოდა, მასაც და მისნაირებსაც სწორედ სტალინმა რომ გაუადვილა ხელისუფლებაში მოსვლაცა და დამკვიდრებაც: ისეთი ძლიერი და მობილიზებული აპარატი დაუტოვა ცენტრალურ კომიტეტს, გენერალურ მდივნად ბავშვიც რომ დაგესვა, დარწმუნებული უნდა ყოფილიყავი, რომ ივარგებდა, თუ, რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებით არ იფანტაზიორებდა ან მეტისმეტად არ მოეძალებოდა სისულელეები.

მე დღესაც ვფიქრობ, რომ ხრუშჩოვმა ასე სასტიკად იმიტომ გაილაშქრა პიროვნების კულტის წინააღმდეგ, რომ სტალინი ქართველი იყო. თანაც მის მიმართ შურს ვერ მოერია, რადგან ყველაზე უკეთ

თავად იცოდა, რომ ამ წინამორბედს ვერასდროს დაეწეოდა ვერც სახელითა და ვერც საქმეებით (რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ იმ რეპრესიებს, რომლებითაც ხრუშჩოვმა თავი უკრაინაში ისახელა). რასაკვირველია, შვილის დახვრეტის გამო შურისძიების სურვილმა აქ არანაკლები როლი შეასრულა.

ხრუშჩოვის ვაჟი, ლეონიდი, რომელიც სამამულო ომის დროს მფრინავი-გამანადგურებელი იყო, უმაღლესი სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, დახვრიტეს სამშობლოს ღალატის ბრალდებით!

ლეონიდ ხრუშჩოვის პრობლემებში კარგად გახლდათ გარკვეული უშიშროების გენერალი ვ. უდილოვი. ამ კაცმა მთელი 37 წლის მანძილზე იმუშავა კონტრდაზვერვაში. ამდენად, მისი მოგონებები ხრუშჩოვის ვაჟის ამბებთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოდ მიმაჩნია. ეს მოგონებები 1998 წლის 17 თებერვალს გამოქვეყნდა „ნეზავისიმაია გაზეტაში".

ლეონიდ ხრუშჩოვის ფრონტულ ცხოვრებაზე ბევრი არაფრის თქმა შეიძლება: მან პირველსავე ბრძოლაში თავისი ავიაგამანადგურებლით მტრისკენ აიღო კურსი და უკვალოდ გაქრა. არავინ იცოდა, თავისი ინიციატივით ჩაბარდა გერმანელებს თუ იძულებელი გახადეს, თვითმფრინავი დაესვა, საბჭოთა ხელისუფლება გაუნაწყენდა თუ რაიმე მიზეზით, მტერთან გარიგება არჩია. ამ ინციდენტს მოჰყვა სტალინის განკარგულება მისი მოტაცების შესახებ. ოპერაცია განახორციელეს კონტრდაზვერვა „სმერშ"-მა ("Смерть шпионам", რომელსაც მაშინ ხელმძღვანელობდა გენერალ-პოლკოვნიკი აბაკუმოვი) და საზღვარგარეთ ტროცკის ლიკვიდაციის ორგანიზატორმა გენერალ-ლეიტენანტმა პ. სუდაპლატოვმა.

შეგროვდა დოკუმენტები ლეონიდ ხრუშჩოვის „გმირობათა" შესახებ. საქმე კი განიხილა მოსკოვის ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა და ბრალდებულს დახვრეტა მიუსაჯა.

ალბათ, ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ნიკიტა სერგის ძე, რომელსაც ადრეც ორჯერ ჰქონდა პირადად ნათხოვნი (სხვა საქმეებთან დაკავშირებით – თ. ჯ.) ბერიასთვის, სეროვისთვის და სტალინისთვისაც კი თავისი ვაჟიშვილის შეწყალება. მან, რა თქმა უნდა, ბედი კიდევ ერთხელ სცადა: სამხედრო ტრიბუნალის განაჩენის გამოქვეყნებისთანავე, მიმართა ცკ-ის პოლიტბიუროს და მკაცრი სასჯელის შეცვლა სთხოვა.

სტალინმა დაუთმო და პოლიტბიუროს სხდომაზე განსახილველად გაიტანა ეს საკითხი. სხდომას საქმის მასალები გააცნო აბაკუ-

მოვმა –მოახსენა სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი და დატოვა პოლიტბიუროს ოთახი. ამის შემდეგ პირველი გამოვიდა შჩერბაკოვი – მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველი მდივანი, წითელი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი და პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი. მან ყურადღება გაამახვილა კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობაზე და ხმა მისცა განაჩენის ძალაში დატოვებას. თავიანთ შეფასებებში ერთსულოვანნი იყვნენ ბერია, მალენკოვი, კაგანოვიჩი, მოლოტოვი: მათი პოზიციითაც, განაჩენი უცვლელი უნდა დაეტოვებინათ.

სტალინმა თავისი მოსაზრება ბოლოს გამოთქვა. ამ დროს მისი უფროსი ვაჟი, იაკობი, უკვე მტრის ხელში იყო, ასე რომ, თავისი გადაწყვეტილებით განაჩენი თითქოს მისთვისაც გამოჰქონდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხრუშჩოვმა ყოველგვარი ფსიქოლოგიური შემზადების გარეშე დაატეხა მასებს „თავისი სიმართლე". ლაპარაკია საბჭოთა საზოგადოებაზე, ადამიანებზე, რომლებიც სამი ათეული წლის მანძილზე აცხოვრეს სტალინის ზეკაცობის რწმენით. ამ დროს კი გუშინ აღზევებულმა ხრუშჩოვმა გაბედა იმის მტკიცება, სტალინი ერთი ბანალური დიქტატორი იყო, რომელსაც იმდენი სამხედრო მომზადებაც კი არ ჰქონია, რომ ხეირიანად რუკა წაეკითხა.

თანაც ეს ითქვა ქვეყნის მმართველი ორგანოს უმაღლესი ტრიბუნიდან, სულ რაღაც რამდენიმე წლის მერე იმ ძლევამოსილი ომიდან, რომლის დროსაც ადამიანები სამშობლოსა და სტალინის ძახილით ტანკებს ქვეშ უვარდებოდნენ.

რასაკვირველია, ხრუშჩოვის გალაშქრება პიროვნების კულტის წინააღმდეგ, უპირველეს ყოვლისა, სტალინის წინააღმდეგ გალაშქრება გახლდათ. აკი ერთხანობა თავადაც მოახერხა, რომ საკუთარი „კულტიც" შეექმნა, მაგრამ მისმავე „ერთგულმა" თანამოაზრეებმა, როგორც კი მისი პიროვნული ღირებულების სწორი შეფასება მოახერხეს, ლაზათიანად გამოაპანღურეს ყველა იმ თანამდებობიდან და "პერსონალურ პენსიონერად" აქციეს. ჩემი აზრით, ეს უფრო ადრე რომ გაეკეთებინათ, ბევრად მოიგებდა ხალხიცა და სახელმწიფოც.

ასე რომ, სკკპ XX ყრილობამ საკმაოდ დააბნია და დათრგუნა ქვეყნის მოსახლეობა. მაგრამ ამ ფონზეც სრულიად აშკარა იყო — ხრუშჩოვის რევანშიზმმა მაინცადამაინც ვერაფერი არგო მის ავტორიტეტს. ეს საუკეთესოდ გამოჩნდა შემდგომი ნლების მემუარულ ლიტერატურაშიც, რომლებიც სტალინის თანამედროვე და მასთან

უშუალო თანამშრომლობით დაკავშირებულ მსოფლიოს უდიდეს პოლიტიკოსებს, დიპლომატებსა თუ მარშლებს ეკუთვნოდათ. წაიკითხეთ ეს მოგონებები და დარწმუნდებით, რომ ადამიანებს ჯერაც არ ღალატობთ ობიექტურობის გრძნობა!

აი, ამ მსოფლმხედველობრივ და ფსიქოემოციურ ფონზე განვითარდა მთელი ის სახალხო მღელვარება, რომელიც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისგან განსხვავებით, ჩვენთან, საქართველოში, ეროვნულ მოძრაობაში გადაიზარდა. თუმცა ეს არავის უღიარებია არც რესპუბლიკურ და ბუნებრივია, არც საკავშირო დონეებზე.

მღელვარების პირველივე საათებიდან ყველაფერი კეთდებოდა, რომ კომკავშირი არ მოწყვეტოდა საკუთარ ახალგაზრდობას; რომ მისი პასუხისმგებელი მუშაკები ერთთავად მოვლენათა ეპიცენტრში ვყოფილიყავით და თავიდან აგვეცილებინა მოსალოდნელი ექსცესები თუ პროვოკატორთა გავლენები.

აქ მინდა გავიხსენო საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მაშინდელი პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის ერთი, არცთუ რიგითი (როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა) რეაქცია... შესთავაზეს, მომიტინგე ახალგაზრდობას დავშლით წყლის ჭავლით, ბრანდსპოიტებითო. რას ამბობთ, დაცივდებიან ბავშვებიო... აი, ასეთი პასუხი მისცა.

6 მარტს ჩატარდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელსაც, როგორც მაშინ უკვე ბიუროს წევრობის კანდიდატი, მეც ვესწრებოდი. რა თქმა უნდა, თბილისსა თუ რესპუბლიკის სხვა ქალაქებში შექმნილ მდგომარეობაზე იყო მსჯელობა. ცოტა მოგვიანებით, ამ შეკრების კვალზე, გაიმართა პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროსა თუ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირიც. მითითება ერთადერთი იყო, რამენაირად უნდა მიგვეღწია არსებული მდგომარეობის ნორმალიზაციისთვის (პარტარქივი: ფ. 14, ანაწერი 31, საქმე 38).

მაგრამ ისე მოხდა, რომ 7 მარტიდან ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. ერთი შეხედვით, ამის საბაბად იქცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის — მარშალ ჯუ დეს და მის თანმხლებ პირთა თბილისური ვიზიტი. მომიტინგეებმა შეიტყვეს, რომ საპატიო სტუმრები კრწანისში დააბინავეს და დაუყოვნებლივ გადაწყვიტეს, რომ სწვეოდნენ ჯუ დეს და თავიანთ მიტინგზე სიტყვის წარმოსათქმელად მოეპატიჟებინათ.

გამოყვეს რამდენიმე კაცი ჯუ დესთან შესახვედრად, მათ შორის

სტუდენტი კონსტანტინე ციციშვილიც. იგი ჯუ დეს მიესალმა, დიდი პატივისცემით მოიკითხა მაო ძე-დუნი და ორივეს ჯანმრთელობა უსურვა. ამასთან, აუწყა, რომ რაკიღა მისი ჩამოსვლა სტალინის გარდაცვალების სამი წლისთავის აღნიშვნას დაემთხვა, სთხოვს საპატიო სტუმარს, მობრძანდეს სტალინის მონუმენტთან გამართულ მიტინგზე და იქ გამოვიდეს სიტყვით.

ჯუ დემ დელეგაციის წევრებს აუხსნა, რომ ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებს ხალხის თხოვნის შესრულებას, მაგრამ თბილისში, მიტინგზე სიამოვნებით გაგზავნის თავის წარმომადგენელს.

ხალხმა დაუჯერა და თბილისისკენ შემობრუნდა. მას თან ახლდნენ მ. გიორგაძე, ჯუ დეს წარმომადგენელი და თარჯიმანი. საანაპიროზე გამართულ მიტინგზე ჯუ დეს წარმომადგენელმა სულ რაღაც ხუთწუთიანი სიტყვა წარმოთქვა. აღნიშნა. რომ ჯუ დე და ჩინეთის მთელი დელეგაცია კმაყოფილები არიან საქართველოში ჩამოსვლით და თავის რეზიდენციაში, კრწანისში დაბრუნდა.

ეს ის დღეებია, როცა თბილისს ესტუმრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე შიკინი — ტანდაბალი, მრგვალი, ვიწროშუბლიანი ტიპიური ველიკოდერჟაველი შოვინისტი და ანტისტალინისტი, რომელმაც მარტის მოვლენათა ტრაგიკულად განვითარებაში თითქმის ფატალური როლი შეასრულა.

ეს შიკინი წითელი არმიის პოლიტსამმართველოს ყოფილი უფროსი გახლდათ, შესაბამისად — ვასილ მჟავანაძის ყოფილი ზემდგომი ჩინოსანიც, როდესაც ის კიევის სამხედრო ოლქის საბჭოს წევრი იყო. ამდენად, მათ შორის ფსიქოლოგიურად უკვე კარგა ხნის ჩამოყალიბებულია უფროს-უმცროსობაა, ანუ უახლოესი სამხედრო წარსულის ინერციით, ჩინის უაღრესად პატივისმცემელ ჩვენს პირველ პირსაც მორჩილება უკვე ხასიათში უნდა ჰქონდეს გამჯდარი.

თანაც შიკინი სტალინზე გამწყრალი კიდევ ერთი მაღალი სახელმწიფო მოხელეა, იმ თავისი პოლიტსამმართველოს უფროსობიდან გათავისუფლებული და მერე საერთოდაც, არმიიდან გაძევებული. მიუხედავად ამისა, თავისი ძველი არმიული ხელქვეითი მჟავანაძე ძლიერი გავლენის ქვეშ ჰყავდა მოქცეული და იმდენად პარალიზებული, რომ ფაქტობრივად, არავის რჩევას არ იღებდა.

მეტიც შეიძლება ითქვას: მარტის იმ სახალხო მღელვარებით მოცულ თბილისსა თუ ჩვენს სხვა ქალაქებს, მდგომარეობის გართულების საბაბით, არა ერთი მოსკოველი „ჭირისუფალი" და შექმნილი

ვითარების საკუთარ ინტერესთა სასარგებლოდ გამოყენების მოსურნე გაუჩნდა. ბევრი მათგანის მისია გამოჩენისთანავე ნათელი იყო: ხელში აეღო ფაქტობრივი ძალაუფლება და საქართველოს ხელისუფლებისთვის საკუთარი ნების მოხვევის პარალელურად თუ მისი გვერდის ავლით, დამოუკიდებლად ცენტრისთვის ცნობები მიეწოდებინა.

ეს ის დროა, როცა ჩვენ, ანუ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა, ჯერ კიდევ არ ვკარგავთ იმედს, რომ პარტია დაგვრთავს ნებას, პროცესების მიმდინარეობაზე გარკვეული ზემოქმედების მიზნით, სათავეში მოვექცეთ ამ საპროტესტო გამოსვლებს და ამ წინადადებით რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელობას კიდეც მივმართავთ.

ჩვენი ლოგიკა უმარტივესია: გვინდა, რომ მაქსიმალურად ბოლომდე მივყვეთ სტიქიად ქცეულ ამ ახალგაზრდულ ენერგიას, შეძლებისდაგვარად ჩავერთოთ, მაგრამ, სამაგიეროდ, როგორც კი გაჩნდება უფსკრულში ჩაჩეხვის საშიშროება, გვერდზე გადავუხვიოთ უმტკივნეულოდ მთელ ამ უზარმაზარ მასასთან ერთად და ისევ მოვაქციოთ იგი ძველ მშვიდობიან კალაპოტში.

მაგრამ ჩვენს ამ მცდელობას განხორციელება არ ეწერა... ეს წინადადება არ გაითვალისწინა საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ, რადგან სწორედ შიკინის მოსაზრებამ ითამაშა მთავარი საპირისწონის როლი: მაშინ გამოვა, რომ კომკავშირი ანტიპარტიულ და ანტისამთავრობო გამოსვლებს უჭერს მხარს და XX ყრილობის წინააღმდეგ ილაშქრებსო, გამოგვიცხადა შიკინმა და ამით აშკარად შეზღუდა რესპუბლიკის კომკავშირული აქტივის ინიციატივიანობა და მოქმედების არეალი.

ერთი სიტყვით, გადაგვაყოლეს შიკინის ტიპურ ველიკორუსულ მიდგომებს. ხელები შეგვიკრეს, რადგან ასეთი იყო თამაშის წესი: პარტიის ნებადაურთველად კომკავშირი ვერაფერს გახდებოდა.

მაშინ ვითხოვე, რომ ტრიბუნასთან აქტიურობის ნება მაინც მოეცათ. კი, ბატონო, მიბრძანდითო. მაგრამ ახლა თავად მომიტინგენი მოგვეკიდნენ უნდობლად: სახლის კედლები რომ ამოვიყვანეთ, მზამზარეული მოგეწონათო?!. მოკლედ, არ მიგვიშვეს. მეტიც, გამოგვაპანღურეს, თუმცა იყო ცალკეული შემთხვევები, მიტინგზე საკმაოდ დამარწმუნებელი სიტყვები რომ წარმოთქვეს ჩვენმა მუშაკებმა და მათ შორის – კომკავშირის ცკ-ის მდივნებმაც.

მაგრამ იმ უკვე ურთიერთობაგამწვავებულზე, საბოლოოდ მაინც ვერაფერს გავხდით და დღესაც იმას ვამბობ, რასაც მაშინაც

ვგრძნობდი და ვაღიარებდი: იმ ცხელ გულზე და იმ ვითარებაში ნამდვილად დავიმსახურეთ ცხვირწინ კარის მოხურვა!

მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ იმ მიტინგებზე დამახსოვრებული ერთი-ორი სახე დღემდე მომყვება...

ამჯერად ერთი მინდა გავიხსენო : საკმაოდ შეხედული ახალგაზრდა, სხვათა შორის, იშვიათი ორატორიც, თითქოს მართლა ტრიბუნისთვის გაჩნდაო, ლაზათიანი გამოსვლა ჰქონდა; ლექსებსაც ყოჩაღად იშველიებდა. გვარ-სახელიც მახსოვს: ზაურ მაჭავარიანი. მომიტინგეთა შორის გამორჩეული ავტორიტეტი იყო — როგორც იტყოდა ხოლმე, ყველაფერი ისე კეთდებოდა. ეგრეთ წოდებული პრეზიდიუმის წევრი გახლდათ, რომელშიც სხვათა შორის, შედიოდა მაშინაც უკვე ცნობილი კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილიც.

ამ ბიჭთან დაკავშირებით, ჩვენი ურთიერთობის ერთი ასეთი, არცთუ სასიამოვნო ეპიზოდი მინდა გავიხსენო... მე და უშიშროების მაშინდელ მინისტრს — ალექსი ინაურს დაგვეევალა მომიტინგეებთან მოლაპარაკება. ჩავედით სანაპიროზე და დაველაპარაკეთ ამ ზაურს. შევთანხმდით, რომ 9 მარტს, სტალინის დასაფლავების საათისთვის დანიშნული სამგლოვიარო მიტინგის დამთავრებისთანავე, მომიტინგენი შეწყვეტდნენ თავიანთ აქციას.

მოკლედ, იმედიანად ვართ, იმ ზაურმა სიტყვა მოგვცა, ასე ვიზამთო. ასე ვთქვათ, შევთანხმდით კაცურად და ეს იმედიანი ცნობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამდეც მივიტანეთ.

ერთი სიტყვით, კი გამოგვიცხადა ამ ზაურმა, დათქმული დროისთვის მიტინგი შეწყდებაო და გაგვაგონა კიდეც, როგორ გასძახა ეს ხალხს, მაგრამ ესეც იყო, რომ იქვე მდგომ ბიჭებს მიუგდო, მე ჩემი ვთქვი და აწი თქვენ იცითო. ანუ, ვფიქრობ, სხვაგვარად ეს მიტინგის გაგრძელების პაროლი იყო.

ამ მომენტში ჯერ კიდევ ვიმედოვნებდი, რომ რამენაირად მოვახერხებდი მომიტინგეთა ტალღის გარღვევას და ტრიბუნამდე მიღწევას, მაგრამ არ გამოგვივიდა არაფერი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ჩვენმა პასუხისმგებელმა მუშაკმა და მათ შორის, თემო ბადურაშვილმაც, რაღაც სიტუაციებში იმარჯვეს, ტრიბუნაზე შეხტნენ და იქიდან წარმოთქვეს ორიოდე სიტყვა. მაგრამ მაინც მიმაჩნია და მაშინაც მიმაჩნდა, რომ ეს არ იყო ის კონტაქტი, ჩვენ რომ გვჭირდებოდა. ის კი ვერ მივიღეთ იმიტომ, რომ ვერ დავიმსახურეთ!

მომიტინგეთა სახეებიდან კი ერთი ალბათ, სიცოცხლის ბოლო

წუთამდე არ დამავიწყდება კუთხოვანი, უფრო სწორად, კვადრატული სახე ვიღაც ტიპისა, დუგლას ფერბენქსის ულვაშით. ვიღაცას გასძახა, ნიკოლოზ, მოხსენი ერთი 2000 კაცი და კავშირგაბმულობის სახლისკენ გაუშვი, გავაგებინოთ ჩვენი ამბავიო.

ამ განკარგულების გაცემა იყო და ერთბაშად იხუვლა იმ ზღვა ხალხმა და მიაწყდა ცენტრისკენ მიმავალ გზას. ეს ბრძანება ჩვენს შეთანხმებას აშკარად უსინდისოდ ეწინააღმდეგებოდა. რომ დაინახა, ხალხი გაემზადა იქით წასასვლელადო, ალექსი ინაურმა სასწრაფოდ დარეკა: შეამოწმა, რამდენად დაცული იყო კავშირგაბმულობის სახლი, მთავრობის სასახლე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა და სხვა ობიექტები, რომ მათში ხალხის შევარდნის ალბათობა გამოერიცხა.

ამასობაში საქმეში ჩაერთვნენ სამხედროები, ძირითადად – მესაზღვრეები. ამ გადაწყვეტილებამ გაგვახარა: მესაზღვრეები მოსახლეობასთან მუშაობას ნაჩვევი, ძალზე ადამიანური ხალხია, სხვაგვარად ქვეყანას საზღვარს ვერ შეუნარჩუნებენ. სულ კარგით რა, ბიჭებო, იძახეს, გეყოთ, დავამთავროთ, დავიშალოთო, სულ ასე — დაყვავებით, მშვიდობიანად ცდილობდნენ ეგზალტირებული ახალგაზრდების დაშოშმინებას. განსხვავებით მე-8 პოლკის ჯარისკაცებისგან — ბავშვთა სახლებიდან აკრეფილი ფაქტობრივად, უსამშობლო, გაბოროტებული ბიჭებისგან, რომლებიც, როგორც კი ამის საშუალება მიეცათ, იქ შეკრებილ ადამიანებს უსასტიკესად უსწორდებოდნენ.

ასეთ სახიფათო სიტუაციაში გაისმა პირველი გასროლის ხმა. ახლა ამბობენ, ჯარისკაცებმა გაისროლესო. მაგრამ მე ნამდვილად ვიცი, რომ პირველად გასროლის ხმა სწორედ ხალხიდან გაისმა. ვფიქრობ, პროვოკატორმა იმუშავა! ამის მერე ჰაერში სამხედროებმაც გაისროლეს, ავტომატიც კი აკაკანდა.

გავარდა ტყვია და ქაოსიც დაიწყო. დაიშალა კავშირგაბმულობის სახლის შენობისკენ დაძრული მთელი კოლონა. მაგრამ ისე ჩანს, დაპირისპირება ჯერ კიდევ წინაა... რადგან სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან ისევ 2000 კაცამდე დგას და იქიდან ფეხსაც არ იცვლის!

შიკინმა რომ დაინახა, იოლად გავიმარჯვეთო, დაჯდა ჯავშანტრანსპორტიორზე და დაუყოვნებლივ ჩააკითხა სანაპიროზე თავშეყრილებს. ახლა უკვე სანაპიროს მთელი ის ძეგლის ირგვლივი მიდამო მოაქცია ალყაში მე-8 პოლკმა, თუმცა მომიტინგეებმა მაინც სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს და არ დაიშალნენ. აი, მაშინ კი გაიცა ბრძანება: ხალხი დაშალეთო, ბიჭებს ტყვიებითა და ხიშტე-

ბით გაუმასპინძლდნენ, იმასაც ამბობდნენ, მტკვარში კარგა ბევრი გადაყარესო.

83 კაცი დაიღუპა! თუმცა, ხალხში გავრცელდა ათასგვარი ხმა თუ ჭორი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სასწრაფოდ შექმნა ამ ფაქტების შემსწავლელი კომისია, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა მიხეილ გიორგაძე — ყოველმხრივ სანდო და ღირსეული პიროვნება, ხოლო ჩვენი ცენტრალური კომიტეტიდან მის შემადგენლობაში შევიყვანეთ ნათელა ვასაძე. სწორედ ამ ხალხმა, რა თქმა უნდა, კომისიის სხვა წევრებთან ერთად, ნახა და დათვალა ეს მსხვერპლი. 83 ადამიანი დაიღუპა, თუმცა, ეს ციფრი არასდროს გამოქვეყნებულა!

ამდენად, 9 მარტის ტრაგედიამ ერთბაშად გადარეცხა საქართველოს სამომავლო იმედები და ხალხს უმაღლესი პარტიული ხელისუფლების რწმენა საფუძვლიანად შეურყია. ფაქტობრივად, ამ სამარცხვინო ხოცვა-ულეტის დამთავრებისთანავე, იმავე დღეს, უფრო სწორად, ღამით გამოქვეყნდა თბილისის გარნიზონის უფროსის გენერალ-მაიორ გლადკოვის ბრძანება, რომელიც ქალაქში წესრიგის დარღვევის აღსაკვეთად, ქალაქ თბილისის კომენდანტს — პოლკოვნიკ მაკუშევს ფაქტობრივად, იმავე ღამის 24 საათიდან ავალებდა სამხედრო პატრულირების დაწესებას და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევ პირთა დაუყოვნებლივ დაკავებას, თუკი ასეთები გამოჩნდებოდნენ.

გამოქვეყნდა, აგრეთვე, მოსახლეობისადმი პარტიისა და ჩვენი, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების ერთობლივი მიმართვაც, რომელიც, რა თქმა უნდა, ყოველმხრივ აკმაყოფილებდა სახელისუფლო დამოკიდებულებათა იმდროინდელ სტანდარტებს, თუმცა კი როგორც ჩვენი, ისე რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის წმინდა ადამიანური განცდების შესაფასებლად ოდნავაც ვერ გამოდგებოდა.

აქ ერთი ასეთი პატარა ამბავი მინდა მოვყვე იმ დღეების საგანგებო ვითარებასთან დაკავშირებით. კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიებს ეხებათ...

ეს იყო სწორედ გლადკოვის ბრძანების მომდევნო დღეებში: მესტუმრა ცკ-ში ბატონი კონსტანტინე. საკუთარ თავს არ ჰგავდა, საშინლად იყო აღელვებული: თამაზ ბატონო, მგონი, დავიღუპე, ჩემი ბიჭი დაიჭირეს წუხელ რუსთაველზე და უნდა მიშველო რამე, თორემ მეკარგება ბავშვიო... ამ დროს ზვიადი ძალიან ახალგაზრდა იყო.

ახლა — რა მომხდარა... თბილისის მილიციას მაშინ უფროსობდა პოლკოვნიკი ალექსანდრე ძლიერიშვილი — ძალიან აქტიური და ამაყი, ნაფრონტალი კაცი. ერთი თვისება ჰქონდა: დიდკაცების შვილების გამოჭერა უყვარდა! ჰოდა, მოჰყოლია ბადეში ბატონი კონსტანტინეს ვაჟიშვილი.

რაც შეეხება თვითონ ამათ ხულიგნობას... ზვიადი და მისი ამხანაგი, ცოტა არ იყოს, შექეიფიანებულები, მოდიან თურმე ხელიხელ გადახვეულები კავშირგაბმულობის სამინისტროსთან, ღამის ასე 2-3 საათზე. მოდიან, მოიმღერიან, კომენდანტის საათი კი არა, საკუთარი გვარ-სახელიც არ ახსენდებათ.

ამ დროს, ქალაქის ქუჩები უკვე უკაცრიელია, მაგრამ პატრულებით არის სავსე: დადიან წყვილ-წყვილად და ღამის ქალაქს იცავენ!

ერთი სიტყვით, რაღაცნაირად მოუხელთებიათ რომელიღაც ცალად დარჩენილი პატრული, როცა მისი მეწყვილე იქვე ბაღში ყოფილა გადასული და რუსის ბარაბანს რომ არ მოხვედრია, ისე გულიანად ურტყამენ: მუშტებით, წიხლებით. ესეც არ აკმარეს და იარაღიც აართვეს თურმე.

ამასობაში შემოსწრებიათ მისი მეწყვილეც და ორივესთვის მოუშვერია ავტომატი. ცოტა ხანში მილიციაც შემოშველებიათ, შეუპყრიათ ეს ორივე და მიუყვანიათ მილიციის განყოფილებაში. რასაკვირველია, „კუტუზკაში“ ჩაგდებამდე გვარიანად უთაქებდნენ. ზვიადს მუხლი ჰქონდა მიყენებული, ხუთი წლით ყველაფერს ატოვებინებდნენ!

რა თქმა უნდა, ეს დეტალები ბატონი კონსტანტინესგან არ შემიტყვია — თავად ძლიერიშვილთან დავადგინე. ერთი სიტყვით, ვთხოვე, რომ ზვიადი დაეხსნათ იმ შარიანი ამბიდან. თორემ ასეთ ყმაწვილურ ასაკში რომ ჩაესვათ, ვინ იცის, მერე როგორ წასვლოდა საქმე.

ჩანს, მარტო მამამ კი არა, შვილმაც დამიმახსოვრა ეს პატარა სამსახური. ამას იმიტომ ვაზუსტებ, რომ ამ 15-16 წლის წინათ, ზვიადი ხელისუფლებაში რომ მოვიდა და მეც კომუნისტების სიით გასული უზენაესი საბჭოს დეპუტატი გახლდით, არაერთგზის მაგრძნობინა, რომ იმ ჩვენი ძველი ნაცნობობის ამბავი ნამდვილად ახსოვდა. ვერ ვიტყვი, რომ რაიმე წინადადებით გამოვსულიყავი პარლამენტში და ის განსაკუთრებული გულისყურით არ მოჰკიდებოდა. ერთი-ორი კაციც გამახსენდება, ვინც სწორედ ჩემი რეკომენდაციით შეიყვანა საპარლამენტო კომისიებში და იმ ხალხმა იქიდან სულ აღმა-აღმა იარა და წარმატებებსაც მიაღწია.

აქ ერთი ასეთი რამაც მინდა გავიხსენო:

1973 წლის სექტემბერში ქალაქის საბჭოში მეწვია ბატონი კონსტანტინე გამსახურდია და მცირეოდენი მოკითხვისა და გასაუბრების შემდეგ საჩუქრად მომართვა თავისი ცნობილი რაინდული რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“, რომლის თავფურცელზეც დაეწერა:"თამაზ ჯანელიძეს, ტფილის-ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეს, შესანიშნავ მამულიშვილსა და ვაჟკაცს. დიდის პატივისცემით, კონსტანტინე გამსახურდია“.

გამოგიტყდებით, ეს საჩუქარიცა და ნარწერაც ძალზე მესიამოვნა.

ამ პატარა ჩანართის შემდეგ ისევ უნდა დავუბრუნდე 1956 წლის 9 მარტის მომდევნო დღეების რეალობას, როცა საქართველოს ყოველდღიურობამ მოჩვენებითი სიმშვიდე დაიბრუნა. თუმცა უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა კაბინეტებში გრძელდებოდა მომიტინგე აქტივისტთა მოზრდილი ჯგუფის დაკითხვები ტერორისტული აქტების დაგეგმვის ბრალდებით.

სწორედ იმ დღეებში მჟავანაძემ დამირეკა და მთხოვა ინაურის მიერ აყვანილი „ბავშვების“ ამბის გარკვევა, თვითონ ინაურმა კი მითხრა, რადგან ამ საკითხით თავად მჟავანაძეა დაინტერესებული, მიდი, გაიარე ოთახებში და ყველაფერი საკუთარი თვალით ნახეო...

რასაკვირველია, ასეც მოვიქეცი. შევედი ერთერთ კაბინეტში და ვხედავ, მაგიდას მისჯდომია განყოფილების უფროსი ბორია კაციტაძე, რომელთანაც კომკავშირში მიმუშავია, წინ კი გულამომჯდარი, სულმთლად ბავშვი გოგო უზის. გაღვარღვარებულ ცრემლებშია. თან ახლა ნახეთ ამისი განცვიფრება: კაცმა არ იცის, სტალინის სიყვარულისთვის რა სასჯელს უმზადებენ და აგერ, დაკითხვაზე, უშიშროების კომიტეტის შენობაში, სოლიდური თანამდებობის პირს, კაცი რომ არ სჯის ისე, კედელზე, სრულიად აშკარად და დაუფარავად, სტალინის პორტრეტი არ უკიდია?!

ამით რა მინდა, ვთქვა... საბჭოთა ხელისუფლებამ სკკპ XX ყრილობაზე გამოტანილი იმ თავისი სრულიად მოულოდნელი და არცთუ ტაქტიანი ვერდიქტით, სტალინის პიროვნებასთან დაკავშირებით, უზარმაზარი დაბნეულობა დათესა ადამიანთა შორის. ხალხი ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა, ვინ ვის უპირისპირდებოდა, ვინ ვის ცოდვას იდებდა. რაც ყველაზე ტრაგიკომიკურია, ასეთ დაბნეულობაში იყვნენ არა მარტო მიტინგებს მიძალებული ადამიანები, არამედ თანამდებობის პირებიცა და ნომენკლატურული მუშაკებიც, მიუხედავად იმისა, რომ მარტის იმ საბედისწერო დღეებში

ხელისუფლების საყრდენს ერთი შეხედვით, ისინი წარმოადგენდნენ და ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ახალმა საკავშირო ხელისუფალმა თავისი ჩანაფიქრი მთლიანად მათი ხელით თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მათი იგნორირებით განახორციელა!

ვფიქრობ, სწორედ ამ შინაგან წინააღმდეგობაშია 1956 წლის მარტის იმ დღეების მთელი პარადოქსულობაცა და ტრაგიზმიც. ის, რომ მშრალ ხიდთან სტალინის პორტრეტებით „შეიარაღებული" ახალგაზრდობის ასალაგმავად გამოყვანილ ტანკებსაც სტალინის პორტრეტებით ამკობდნენ!

მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ჩვენი ობიექტური რეალობა იყო. დაბნეული, ბელადზე ანგარიშმიუცემლად შეყვარებული ადამიანების განწყობა, რომელიც შიკინის მსგავსმა პათოლოგმა ანტისტალინისტებმა თავიანთი ღვარძლის ამოსანთხევად გამოიყენეს!

აქ, არ შემიძლია, არ დავუბრუნდე ცოტა ზემოთ ნახსენებ გვარსახელს ლიდერისას, რომელმაც მე და ალექსი ინაურს, პირველი შთაბეჭდილებით, თითქოს კაცური სიტყვა მოგვცა!.. ერთხელაც, ბედმა თუ შემთხვევამ ინება, რომ გარკვეული ხნის მერე ჩემთან — კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კაბინეტში — მოხვედრილიყო ის ზაურ მაჭავარიანი. პირადი სათხოვრით მომადგა, კომკავშირში აღმადგინეთო. მარტის ამბებში მონაწილეობისთვის იყო გარიცხული. ჩასუქებულიყო, თავისი კარგი ბიჭური შესახედაობა უკვე დაეკარგა.

გამახსენა ის ჩვენი ძველი, ყველასთვის საერთო ამბები და მეც თავისი უპირობა გავახსენე: მე და ინაურს ერთი რომ შეგვპირდა და იქვე, ხელდახელ, სრულიად საწინააღმდეგო წამოიწყო... მოკლედ, კარგად შევარცხვინე, გავთათხე და არც აღვადგინე! თუმცა ცოტა მოგვიანებით, კომკავშირის რიგებიდან ყველა გარიცხული აღადგინეს.

კიდევ ერთი რამ მინდა გავიხსენო მარტის იმ მოვლენებიდან... არ გასულა ამ ამბებიდან დიდი ხანი, რომ ერთ დღესაც სამსახურში ფეხით მივდივარ. ვხედავ, ჩემს წინ ვიღაც კაცი მიაბიჯებს.

უცებ... მოიხედა. რაღაცით მეცნო. თითქოს მარტის იმ დღეებში თვალმოკრული მომაგონდა. ის იყო, ვიფიქრე, ნამდვილად მეშლება-მეთქი, რომ ისევ მომხედა.

ახლა უკვე ნამდვილად ვიცანი! ის იყო — პროვოკატორი! სწორედ ის — დუგლას ფერბენქსის ულვაშით! შევეცადე, შეუმჩნევლად ნაბიჯი ამეჩქარებინა. იმანაც აუჩქარა. აშკარა იყო, არ მეშლებოდა!

ერთი სული მაქვს, როდის შევვარდები ცკ-ის ეზოში და ბიჭებს დავიხმარ, მაგრამ ესეც კარგა მაგარია — გარბის.

ერთი სიტყვით, გამექცა მწერალთა კავშირის შენობისკენ. შევარდა შიგ და კვალიც დავკარგე. შევყარე მთელი ჩვენი ხალხი. გამოვიდნენ, დაათვალიერეს მთელი ის შენობა თუ შემოგარენი, მაგრამ ვერსად მიაგნეს!

აქ კიდევ ერთი რამ მინდა გავიხსენო... ის უბედურება რომ დატრიალდა, სწორედ იმ ღამეს უშიშროების ხალხი დაუსრულებლად მიჩვენებდა ვიღაცების ფოტოსურათებს, რომ როგორმე იმ ბრძანების გამცემის პიროვნების იდენტიფიცირება მოგვეხერხებინა, მაგრამ სად იყო... „დუგლას ფერბენქსის" სახე დაფიქსირებული არ აღმოჩნდა.

არ იყო გამორიცხული, რომ უცხოური დაზვერვიდანაც ყოფილიყო. ომის შემდგომ პერიოდში უცხოური აგენტურა ჩვენში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი.

9 მარტს მოჰყვა საზოგადოების დათრგუნვა და გაოგნება. იმიტომ, რომ ასეთი უკიდურესი ნაბიჯის გადადგმას ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, მოსახლეობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ვერც საქართველოს ხელმძღვანელობა წარმოიდგენდა. უამრავი ისეთი კითხვა გაჩნდა, რომელიც დაუყოვნებლივ პასუხს ითხოვდა.

სწორხაზოვანი და ცალსახა იყო ახალგაზრდობის იდეურ აღზრდაში დაშვებულ რიგ შეცდომათა გამო საქართველოს კომპარტიის მიერ ჩვენთვის გამომეტებული დატუქსვებიცა და საყვედურებიც. ამ ყველაფრის გვირგვინი იყო საკავშირო ალკკ ბიუროს აგვისტოს გადაწყვეტილებით, ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციისთვის გამოტანილი განაჩენი: რომ ჩვენ ვერ შევძელით რესპუბლიკის თითოეულ ახალგაზრდამდე სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა მიტანა.

ეს უკვე ის პერიოდია, როცა საქართველოს კომპარტია განტევების ვაცს ეძებს და, რასაკვირველია, პოულობს კიდეც რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის სახით. მწიფდება განწყობილება, რომ ყველაფერში დამნაშავედ გამოეცხადებინათ ახალგაზრდობა, ანუ არ ელიარებინათ ის, რომ პარტიამ ვერ შეძლო შექმნილი სიტუაციის ვერც მართვა და ვერც ელემენტარული შინაგანი მობილიზება. მაგრამ, საბედნიეროდ, იქვე აღმოჩნდა კომკავშირი, დაბალი ღობე, რომელსაც ყველა შეცდომა უმტკივნეულად შეიძლებოდა გადაბრალებოდა!

ამასობაში დაინიშნა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის

პლენუმი და მასზე სიტყვით გამომსვლელთა შორის მეც ჩამწერეს. როგორია ახლა ამხელა აუდიტორიის წინ გამოსვლა და ქართულ მენშევიზმსა თუ სსრკ-სგან საქართველოს გამოყოფაზე მოარული ათასგვარი კულუარული ჭორის ერთბაშად გაქარწყლება?!

მოკლედ, გამოაცხადეს, სიტყვით გამოდის საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანიო. დავიწყე მაქსიმალურად ტრადიციულად: თუ როგორ იბრძვის საქართველოს ახალგაზრდობა სკკპ XX ყრილობის დადგენილების შესასრულებლად. ერთი სიტყვით, ვცდილობ, ჩავეტიო არსებულ სტანდარტებში. ანუ ვთქვა ის, რაც სავალდებულოა, რომ ითქვას. მაგრამ ვგრძნობ, დარბაზი არ მომყვება. უფრო მეტიც, ზუზუნია — კაციშვილი არ მისმენს. თუმცა, როგორც კი გამოვაცხადე, რომ ეგრეთ წოდებულ მარტის მოვლენებზე მინდოდა დამეწყო ლაპარაკი, ხელად ჩამოვარდა ერთბაშად მოსხეპილივით, სიჩუმე...

მეც დავიწყე თავიდან და მოვყევი, რაც იყო და როგორც იყო. განვაცხადე: "Вы удивляетесь, что молодежь поступила так. Мы ведь засыпали и просыпались с именем вождя". გარდა ამისა, ვთქვი, რომ ეს ასე მოხდა, რადგან რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა თვითონ დაიბნა, კომკავშირს კი არ მისცა მოვლენების აყოლისა და წარმართვის უფლება.

როგორც კი შესვენება გამოცხადდა, შემომეხვიენ საოლქო კომიტეტის მდივნები და დეტალურად დაიწყეს თავიანთი ინფორმაციის გადამოწმება. ასე რომ, ვფიქრობ, იმ პლენუმზე გამოსვლით, ჩემი მისია ნამდვილად შევასრულე: ვთქვი სიმართლე!

მოკლედ, რაც გულში მქონდა, მთლიანად ამოვიღე. იქვე, პრეზიდიუმში იჯდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, მაგრამ ერთი რეპლიკაც არ უსვრია. კაცმა რომ თქვას, ანკი რა უნდა ეთქვა — ახალგაზრდების შეურაცხყოფილ გრძნობებზე ვლაპარაკობდი. ეს ჩემი სიმართლე იყო და ვიცოდი, რომ იმ წუთში პლენუმის აბსოლუტურად ყველა მონაწილეც ჩემს მხარეზე იდგა.

ამის შემდეგ საქართველოს კომპარტიის აქტივის კრებაზე მომიწია სიტყვით გამოსვლა. აქაც იგივე გავიმეორე, ზუსტად ის მოტივაცია დავასახელე, რაც მოსკოვში. ყველაფერი ვთქვი, ცხადია. ისიც ვიგრძენი, რომ რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა მტრად მოვიკიდე. ამ აქტივის კრების მთავარი განწყობა იყო, რომ მარტის ის ამბები ახალგაზრდობისთვის, კომკავშირისთვის და მისი ლიდერისთვის — თამაზ ჯანელიძისთვის დაებრალებინათ. ასე რომ, ამ შემთხვევის მერე საკმაოდ მალე ვარიანტების შერჩევაც დაიწყეს

პირველი მდივნის თანამდებობაზე ჩემს შესაცვლელად.

მაგრამ ამ ჩანაფიქრის განხორციელებამდე კომკავშირმა თავის ძველ ლიდერთან ერთად, ჯერ კიდევ უნდა აკეთოს გარკვეული საქმეები და მოიპოვოს, ვისთვის მნიშნელოვანი და ვისთვის შედარებით უმნიშვნელო ერთი-ორი წარმატებაც.

ყველასთვის თვალსაჩინო გახდა უნდობლობაც, ერთბაშად რომ გაჩნდა ხალხსა და ხელისუფლებას შორის. მეორე მხრივ, თითქოს ყველაფერი ჩაწყნარებულია, თუმცა კი, ალბათ, საცაა დაგვიძახებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროზე საქართველოს საკითხის განსახილველად. თითქმის დარწმუნებულები ვართ, რომ დაგვფერთხავენ სუყველას, შესაძლოა, კიდეც დაგვაპატიმრონ და კაცმა რომ თქვას, ყველანაირ პასუხისმგებლობაზე წამსვლელები ვართ, უკვე ისეთი სიტუაციაა.

მაგრამ სანამ „დასაკითხად“ მოსკოვში დაგვიბარებდნენ, თბილისში კვლავ და კვლავ გვაკითხავენ ზემდგომთა დელეგაციები. ჩამოდიან სკკპ ცკ-ის განყოფილების გამგის მოადგილე შიკინი და ინსპექტორი ტუჟიკოვი, საკმაოდ მაღალი თანამდებობების მქონე პარტიული მუშაკები და მათთან ერთად, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ალექსანდრე შელეპინი და მდივანი იდეოლოგიის დარგში ნიკოლოზ მესეცევი.

და, წარმოიდგინეთ, იმ არეულობის დროს, ლამის საქართველოს მთელ მთავრობას თითქმის დასაჭერად რომ გვაქვს საქმე, ეს ხალხი შინ სადილად მოვიპატიჟე. სხვათა შორის, სიამოვნებით დამთანხმდნენ, მახსოვს, ამ სუფრას მამია მეგრელიშვილიც უჯდა.

გულახდილად ვისაუბრეთ, მოგეხსენებათ, სუფრასთან და მით უფრო, შინაურ გარემოში, უფრო გულახდილი და პირუთვნელია ხოლმე საუბარი. შელეპინმა ჩვენი მთელი ეს ამბები სწორად გაიგო. იმიტომ, რომ თვითონაც დადებითი პიროვნება და საკმაოდ მამაცი ადამიანი გახლდათ. ჯერ კიდევ ომის დროს თავი გამოიჩინა იმით, რომ მოხალისეთა ჯგუფები ფრონტზე ჩაჰყავდა და მათთან ერთად საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა.. მაგრამ ასეთი ხალხის ფასი არც ხრუშჩოვის მემკვიდრე ბრეჟნევმა იცოდა და თავის დროზე აკი ეს შესანიშნავი პიროვნება და ყოველმხრივ გამოცდილი მუშაკიც თავიდან მოიშორა. ვფიქრობ, — როგორც კონკურენტი.

ერთი სიტყვით, როგორც მოველოდით, დაგვიძახეს მოსკოვში, პოლიტბიუროს სხდომაზე, საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს მთელი შემადგენლობა. შეგვიყვანეს სტალინის ყოფილ ოთახში, რომელშიც ახლა უკვე თავად ნიკიტა ხრუშჩოვი ბრძანდებოდა. ასე რომ, მზად-

ყოფნაში ვართ, რომ გამოვიდეთ და რა როგორ იყო, ვილაპარაკოთ.

საკითხის განხილვა დაიწყო ვასილ მუავანაძის მოსმენით, რომელმაც, გულწრფელად თუ ვიტყვით, ცოტა დაბნეულმა ილაპარაკა. ამის მერე ერთი-ორი ვილაც კიდევ წამოდგა, მთავარი მოხსენება კი გააკეთა შიკინმა.

გუშინდელივით მახსოვს, შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალი ვლადიმერ ჯანჯღავა, პარტიის ცკ-ის მაშინდელი მდივანი ზინაიდა კვაჭაძე და მე გვერდიგვერდ ვისხედით. ისე მახსოვს, რომ მე და ბატონი ვლადიმერი რაღაცის თქმასაც ვაპირებდით, მაგრამ ზინამ ორივე თავისებურად შეგვაჩერა და დაგვაცხრო: თავი შეიკავეთ, რაიმე სისულელე არ წამოგცდეთო.

ახლა — რა სისულელე... რა თქმა უნდა, სიმართლეზე იყო ლაპარაკი. ერთ მოუზომავ სიტყვასაც კი ყველაფერი შეიძლებოდა გაერთულებინა. გავჩერდით. ბურთი და მოედანი კი შიკინს დარჩა! თუმცა ზუსტი და ობიექტური სურათი კი დახატა მარტის იმ დღეებში მომხდარისა. მაგრამ ჩვენ შევრცხვით, ცალკე ჩვენი პარტიული ხელმძღვანელობის დაბნეულობისა და ცალკე საკუთრივ ჩვენი, ანუ კომკავშირელი მუშაკების ხელოვნური შებოჭილობის გამო. სხვათა შორის, მე პირადად, მიუხედავად ყველაფრისა, დღესაც პრინციპულად მიმაჩნია, რომ ჩვენთვის, რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის მესვეურთათვის, მაშინ ხელები ასე რომ არ შეეკრათ, იმ საბედისწერო სისხლისღვრას ავიცდენდით.

ამ მოსაზრებას საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებს ქუთაისის მაგალითი, სადაც კომკავშირის ქალაქკომს იმხანად ხელმძღვანელობდა ედუარდ შევარდნაძე. პარტიის ქალაქკომის პირველმა მდივანმა გრიგოლ კიკნაძემ მას მომიტინგე ახალგაზრდობასთან თავისუფალი ურთიერთობისთვის ყოველგვარი პირობა შეუქმნა და ქალაქიც გადაურჩა უაზრო მსხვერპლსა და უბედურებას. სხვათა შორის, ამ დროს ქუთაისში დისლოცირებული ქართული დივიზიაც კი განაიარაღეს. არც ამას შეუშლია ხელი!..

დაიწყო პოლიტბიუროს წევრთა გამოსვლები. მოვიყვან ფრაგმენტებს ამ გამოსვლებიდან:

მალენკოვი:"ის, რაც საქართველოში მოხდა, იმის ბრალია, რომ პარტია მოსწყდა ხალხს, ცენტრალური კომიტეტი კი –პარტიას";.

მოლოტოვი: „საქართველოში მენშევიზმი ყოველთვის ძლიერი იყო. ეს ყველაფერი კი მენშევიზმის ბრალია, მისი გავლენა საზოგადოებაზე დღესაც მნიშვნელოვანია";

პერვუხინი:"საქართველოში რუსები არ უყვართ. ტრამვაიში

კონდუქტორს რუსულად რომ მიმართავ, არც კი გიპასუხებს, ბილეთსაც არ მოგიხევს (საიდან უნდა სცოდნოდა, როდის მჯდარა თბილისურ ტრამვაიში? –თ. ჯ.)".

ერთი სიტყვით, ვუგდებ ყურს ამ სოლიდურ ხალხს – სკკპ პოლიტბიუროს წევრებს და მიკვირს, რომ ასეთი ბრიყვები არიან ეს ჩვენი „ბელადები" და ამდენ სისულელეს ლაპარაკობენ.

ამის მერე მოსაზრება გამოთქვა ნიკიტა ხრუშჩოვმა, რომელმაც თავდასხმის უპირველეს ობიექტად მჟავანაძე შეარჩია. შეუტია და რა შეუტია. ერთი შეხედვით, შინაურულად კი ყველას გვაუწყა: მაშინვე ვერ გადახარშა სტალინის კრიტიკა და ვერც კრიტიკის მიზეზი გაიგოო. რადგან მახსოვს, ყრილობის დამთავრებისთანავე, როგორ იჩქარეს ცკ-ის მდივნებმა, რომ თავიანთ ორგანიზაციებამდე მიეტანათ ყრილობაზე დეკლარირებული ერთადერთი სიმართლე, ამ დროს კი მჟავანაძემ მხოლოდ მატარებლით საქართველოში გამგზავრების ნებართვა მთხოვა, აქაოდა, თავს ცუდად ვგრძნობ და ფრენას ვერ შევძლებო. საერთოდ კი გაციების მომიზეზება რა საჭირო იყო მაშინ, როცა შესანიშნავად ვიცოდი, რაც დაემართა და ნერვებმა რატომაც უმტყუნაო.

ერთი სიტყვით, სულ მჟავანაძეს დაატეხა თავს, რაც აღიზიანებდა მისი საყრილობო დემარშისადმი ქართველთა მთელ ამ შეურიგებლობაში.

ალბათ, არასდროს დამავიწყდება ის თითქმის საანეგდოტო ამბავი, რომლითაც ხრუშჩოვმა გაამათრახა ქართველთა მოძულე პერვუხინი. სისულელეა ეს ყველაფერი, რადგან მე თვითონ ვარ ქართველების ჩვენდამი დამოკიდებულების მოწმე ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა 1921 წელს აჯამეთში ვიდექიო... და ამ შესავალს ვილაც რუსი ჯარისკაცის ამბავი მოაყოლა, რომელიც შეუკედლებია ერთი სტუმართმოყვარე ქართველი გლეხის ოჯახს. თურმე, ასვეს, აჭამეს, დააძინეს. გამორჩეული პატივისცემის ნიშნად, მასპინძლის ქალიშვილს მისთვის ფეხებიც კი დაუბანია.

ამ უმადურს კი წიხლი უკრია მთელი ამ სიკეთისთვის და იმ გოგოს გასაუპატიურებლად წატანებია. მაგრამ იმათ, მოკვლის ნაცვლად, თავისი სამხედრო ნაწილის გზაზე მშვიდობიანად დაუყენებიათ ის უსინდისო ბიჭი. ეს 1921-ში მოხდა და არა მგონია, რომ ამ თვალსაზრისით, დღეს საქართველოში უარესი სიტუაცია იყოსო. ასე დაგვიმოძღვრა პერვუხინი ამდენ ქართველს ცხვირწინ ხრუშჩოვმა.

აქ თავს ნებას მივცემ და დავიხმარ საქართველოს კომპარტიის

ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი მდივნის – ქალბატონი ზინაიდა კვაჭაძის იმდროინდელ მოსკოვურ შთაბეჭდილებებსაც:

„სხდომა წარიმართა იმგვარად, რომ მახვილი კეთდებოდა ქართველებზე, როგორც ნაციონალისტებზე, რომლებიც ასევე პარტიის გენერალური ხაზის მოწინააღმდეგები იყვნენ. შეფასებებში განსაკუთრებით მკვეთრი იყო მიქოიანი. ჯერ კიდევ გასაბჭოების დროინდელი საქართველო გაიხსენა, ყოველთვის მენშევიკების ბუდე იყოო. მთელი ქართველობა ნაციონალისტებად გამოგვიყვანა და არც კონსტანტინე გამსახურდია დავიწყნია – იმას ჰქონდა ანტისაბჭოთა განწყობილებაო.

საერთოდაც, პოლიტბიუროს წევრთა ერთსულოვანი პოზიციით, რაკიღა საქართველოში ანტისაბჭოთა ელემენტებს „ბუდე“ ჰქონდათ, 9 მარტის მოვლენებიც აუცილებლად იმათგან იმართებოდა. მაგრამ, რაც უნდა პარადოქსული იყოს, ამ თავდასხმებისგან მაშინ დაგვიცვა ისევ და ისევ ხრუშჩოვმა: ალბათ, არ ღირს ქართველთა ამ ანტირუსული განწყობილების ხაზგასმა, რადგან ეს რომ ვაღიაროთ, კიდეც დაკანონდება ეს ყველაფერი, სხვა რესპუბლიკებშიც ააგულიანებს მსგავს ექსცესებს და ამით გაცილებით მეტს დავკარგავთო“.

ხრუშჩოვისგან ამოდენა ლოიალობას არ მოველოდი. თუმცა დღემდე ღრმად მწამს, რომ სტალინი გვარად ვთქვათ, ივანოვი რომ ყოფილიყო, არც მის კულტთან დაკავშირებით ატყდებოდა ამდენი დავიდარაბა და არც მისი ეროვნების აქცენტირებით დატრიალდებოდა ამისთანა საშინელი ამბები. ისევე, როგორც ის ვიცი, რომ 9 მარტის დღეები ვინმესგან დაგეგმილი და ორგანიზებული პოლიტიკური აქცია თუ დემარში არ ყოფილა. ეს იყო სახალხო სტიქიური მღელვარება, რომელმაც საუკეთესოდ გამოამჟღავნა ადამიანთა გულისთქმა და მათი გულწრფელი სიყვარული. ახლა, როცა ამ მოვლენებს უკვე ამდენი ათწლეული გვაშორებს, კიდევ უფრო დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ის, რაც მარტის უმძიმეს დღეებში ხდებოდა საქართველოში, გახლდათ არა იმდენად ვინმეს პიროვნების კულტის ბრალი, რამდენადაც იმ სისტემისა და დაპყრობითი რუსული პოლიტიკისა, თავისუფლებისმოყვარე ქართული სული მუდამ რომ უმხედრდებოდა.

ასე და ამგვარად დასრულდა ჩვენი იმჟამინდელი მოსკოვური მოგზაურობაც. გაგვაკრიტიკეს. გაგვცოცხეს და უკან გამოგვისტუმრეს!

თუმცა ჩვენთვის, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის აპა-

რატის მუშაკებისთვის, ამ საერთო-სახალხო მღელვარებებთან დაკავშირებული პირადი მღელვარებები არც მთლად უეკლად დამთავრებულა. რადგან ნაცხრამარტევის ანალიზსა თუ დაშვებულ შეცდომათა „გასწორებას“ თან გააყოლეს რამდენიმე სრულიად უდანაშაულო „ჩვენიანიც“, რომელთა შორისაც პირადად, ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო სერგო რიგვავას — ჩვენი ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნისა და ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნების — გათავისუფლება. მით უფრო, რომ შემთხვევა, ის რომ შეეწირა, სრულიად გაუთვალისწინებელი და შეიძლება ითქვას, რომ ბრმაც კი იყო.

მარტის მთელი ამ გამოსვლების დროს გორში შექმნილმა განსაკუთრებულმა დაძაბულობებმა ფაქტობრივად, სერგოს ენერგიასა და ნერვებზე გადაირა. ამ დღეებში იგი ფეხმოუცვლელად გორში იყო, რომ ახალგაზრდობის ის გამოსვლები რამენაირად პროვოკატორთა ზემოქმედებისგან დაეცვა.

ისე მოხდა, რომ იმ დღეებში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორთან — შალვა ყარყარაშვილთან ერთად, გორსა და ხაშურში ისევ მას მოუწია გამგზავრება.

ერთი სიტყვით, ჩავიდა გორში, მოიარა იქაური დაწესებულებები და კომკავშირული ორგანიზაციები, შეხვდა მშრომელებს, დაესწრო ადგილობრივი კომკავშირული აქტივის კრებას და საღამოს შალვასა და ადგილობრივ მუშაკებთან ერთად შესულა სავახშმოდ სასტუმრო „ინტურისტის“ რესტორანში. სწორედ იმ დღეებში ბიჭის მამა გახდა და გორელ კომკავშირულ მუშაკებს დაუყენიათ, ასე ბავშვის უდღეგრძელებლად როგორ უნდა გაგიშვათ თბილისშიო.

მეზობელ მაგიდასთან მსხდარან ამერიკელი ჟურნალისტები, ამ დროს ვიღაც გორელი მძღოლებიც შესულან და მათ შორიახლოს მისხდომიან სუფრას. ცოტა ხანში ამ ამერიკელებსაც მათთან გადაუნაცვლებიათ და ყველას ერთად დაუწყია სმა-ჭამა და საუბარი.

სერგო რიგვავას უფიქრია, ღმერთმა უწყის, ეს მძღოლები ამ ამერიკელებს ჩვენს 9 მარტზე რა ტყუილსა და მართალს უამბობენო და ისე მოუხერხებია, რომ თვითონაც შეერთებია მათ კამპანიას. ცხადია, მისი მონათხრობი იმაზე, რაც ამერიკელ ჟურნალისტებს ასე აინტერესებდათ, უფრო კვალიფიციური და ოფიციალური ცნობების შემცველი იყო.

ჩამოვიდა თუ არა, სერგომ მიამბო მომხდარის შესახებ. მეც ჩემი მხრივ მჟავანაძეს მოვახსენე. ალექსი ინაურის პოზიცია კი ასეთი იყო: ამერიკელები ხომ ისეც უამრავ ინფორმაციას ფლობენ იმაზე,

რაც ჩვენთან მოხდა, ისინი თავიანთი ნებისმიერი ინფორმაციის წყაროდ სერგოს, როგორც ოფიციალურ პირსა და საქართველოს კომკავშირის ცკ-ის მეორე მდივანს, დაასახელებენ და რასაც საჭიროდ ჩათვლიან, იმას მიაწერენო.

მოკლედ, ეს ერთი შეხედვით, უწყინარი საქმე არაფრისგან მაინც ააგორეს. გიორგაძემ, კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა, ინაურს ამ გორული შემთხვევის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია მოსთხოვა, რის შედეგადაც რამდენიმე დღის შემდეგ პარტიის ცკ-ის ბიურომ პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნებისთვის თანამდებობიდან გაათავისუფლა იმ უწყინარი ვახშმის ყველა მონაწილე. ანუ: შალვა ყარყარაშვილი, პარტიის გორის რაიკომის მეორე მდივანი ბიბილეიშვილი, საორგანიზაციო განყოფილების გამგე მახარობლიშვილი, კომკავშირის რაიკომის მდივანი მახარაშვილი და მათთან ერთად სერგო რიგვავაც, რომლის კანდიდატურაც, ბევრი დავა-მტკიცების მიუხედავად, ვერ შევინარჩუნეთ.

ეს საკითხი კპ ცკ-ის ბიუროს მსჯელობის საგნადაც იქცა. მე აქტიურად ვიცავდი სერგოს, ვცდილობდი, ყველასთვის ამეხსნა მისი მოქმედების მოტივები, ყველას ვარწმუნებდი მის გონიერებასა და გამოცდილებაში. მაგრამ ბიურომ ალექსი ინაურის პოზიცია გაიზიარა: სერგო მაინც გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და ჩვენთვის ეს ძალიან დიდი დანაკლისი იყო.

„ცისკარი“ და ჩვენი მოტოციკლეტიანი ყამირი

1956 წლის უმძიმესმა მოვლენებმა გარკვეულწილად დაძაბა საქართველოს კომპარტიასა და კომკავშირს შორის ურთიერთობები. თუ აქამდე თვალებში შემოგვციცინებდნენ და ჩვენს ავტორიტეტზე ფიქრობდნენ, ახლა ეს შეიცვალა: ძალიან იოლად გვაკრიტიკებდნენ, ოღონდ რაიმე მომხდარიყო, ან ვინმეს რაიმე შეშლოდა, რომ „ეგზეკუციასაც“ არ დააყოვნებდნენ ხოლმე.

სამაგიეროდ, საკავშირო ალკკ ხელმძღვანელობა უკეთ გაერკვა მომხდარის არსში და ჩვენს მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა. სწორედ მათი მხარდაჭერა დაგვეხმარა ახალგაზრდული ლიტერატულ-პუბლიცისტური ჟურნალის დაარსების საქმეშიც. ერთი სიტყვით, იმ არაჩვეულებრივი გამოცემის გაცოცხლება დავაპირეთ, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ჩვენში „ცისკრის“ სახელწოდებით რომ გამოდიოდა.

მახსოვს, პირველი, ვისაც ეს იდეა გავუზიარე, ირაკლი აბაშიძე იყო. ხელად აენთო, როგორც იცოდა ხოლმე და მწერალთა მხრიდანაც დიდ მხარდაჭერას შეგვპირდა. მაგრამ რაკიღა ეს ჩვენი ლიტერატულ-პუბლიცისტური ჟურნალი ახალგაზრდულიც და ამასთან, ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ორგანოც უნდა ყოფილიყო, მისი გამოცემის ბედი აუცილებლად სკკპ ცენტრალურ კომიტეტს უნდა გადაეწყვიტა.

ახლა ამ ამბებზე რომ ვფიქრობ, ბევრი ისეთი რამეც მახსენდება, მარტო მხარდაუჭერელობას კი არა, ხელისშეშლას უფრო რომ დავარქმევდი. მაგალითად, ვერ ვიტყვი, რომ მაინცადამაინც მიამიტი ვიყავი, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი, ამ ჩვენი კარგი წამოწყების გამო თანამოაზრესა და მოკეთეზე მეტი მოწინააღმდეგე და მტერი თუ გაგვიჩნდებოდა. გვარების დასახელებას მოვერიდები, რადგან მათ შორის ბევრი ჩვენი სახელოვანი მოქალაქეც გახლდათ.

მაგრამ მიუხედავად ნაკლებ კეთილგანწყობილთა ნაკლები კეთილმოსურნეობისა, „ცისკარი“ მაინც დაიბადა და, ვფიქრობ, ამ ფაქტმა 60-იანელთა უნიჭიერესი ლიტერატურული თაობის ასპა-

რეზზე გამოსვლასაც საკმაოდ ძლიერი სტიმული მისცა.

არაჩვეულებრივი გახლდათ ჟურნალის რედაქციის ის პირველი შემადგენლობაც. სხვათა შორის, დღემდე ერთ სიამაყედ მარტო ისიც მყოფნის, რომ ეს ქართული საქმე თავიდანვე ჩვენს უნიჭიერეს მწერალს ბატონ ვახტანგ ჭელიძეს მივანდეთ.

როცა „ცისკარზე" ვლაპარაკობ, მიჭირს, არ ვიყო ემოციური. ამ გამოცემის მიმართ წმინდა ლიტერატურულ ინტერესზე გაცილებით მეტს, რაღაც უფრო მამობრივ სუბიექტურობას ვამჟღავნებ ხოლმე. განსაკუთრებით მაშინ, როცა სიტყვა მის დაბადებასთან დაკავშირებულ ნიუანსებს შეეხება. ალბათ, ამ „სუბიექტურობის" ბრალია, მთელი ამ ათწლეულების მანძილზე დასტამბულ მის ნომრებსაც დღემდე ერთგულად რომ ვინახავ საოჯახო ბიბლიოთეკაში. მათ შორის გახლავთ ჟურნალის 1982 წლის მაისის საიუბილეო ნომერიც, რომელშიც იმ პირველ ცისკრელთა მოგონებებს შორის არის ნოდარ დუმბაძის მოგონებაც. თავს ნებას მივცემ, გავახსენო ის მათ, ვისაც თავად ნოდარიცა და მისი უთბილესი სიტყვაც უყვართ და ენატრებათ:

„ჩემს წინ შავ ლიდერინგადაკრული კარი იღებოდა და იხურებოდა, იღებოდა და იხურებოდა. კარს მიღმა, ჯადოსნურ ოთახში, უჩინონი და არაფრის მქონენი შედიოდნენ, ხოლო იქიდან ჩინიანნი და უსაშველოდ ამაყნი გამოდიოდნენ:

პირველი რეზი თვარაძე გამოვიდა ჯადოსნური ოთახიდან პასუხისმგებელი მდივნის ჩინით.

მეორე — გიორგი შატბერაშვილი, პროზის განყოფილების გამგის ჩინით.

მესამე — გიორგი ბედინეიშვილი, კრიტიკის განყოფილების გამგის ჩინით.

მეოთხე — მუხრან მაჭავარიანი, პოეზიის განყოფილების გამგის ჩინით.

მეხუთე — მედეა კახიძე, ლიტმუშაკის ჩინით.

მეექვსე — ციალა ჩხეიძე, ლიტმუშაკის ჩინით.

მეშვიდე — ჯანსუღ ჩარკვიანი, კორექტორის ჩინით.

მერვე — რაულ ჩაჩანიძე, გამომშვების ჩინით...

მეცხრე — ნანული ჟორჟოლიანი, მდივან-მემანქანის ჩინით.

მეათე — ალექსანდრე ბანძელაძე, მხატვრის ჩინით.

— დუმბაძე! — დამიძახეს მე. შევედი. — ეს რაღად გინდათ? — ჰკითხა ჯადოსნური ოთახის ერთმა ბინადარმა მეორეს. — ლიტმუშაკად! — უპასუხა მეორემ. — გაუძღვება? — დაეჭვდა პირველი. —

რა ვიცი, თვითონ ამბობს, გავუძღვებიო და... — გაეღიმა მეორეს.

ოთახიდან ლიტმუშაკის ჩინითა და 90 მანეთიანი ხელფასით გამოვედი. სულ ბოლოს იმ ჯადოსნური ოთახიდან ის მეორე ბინადარი, ბატონი ვახტანგ ჭელიძე გამოვიდა, ახლად დაარსებული, ახალგაზრდული ჟურნალის „ცისკრის" მთავარი რედაქტორის ჩინით.

ის ჯადოსნური ოთახი კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ბატონ თამაზ ჯანელიძის ოთახი გახლდათ.

... და რადგან ჯერ არც სახლი, არც კარი, არც ქაღალდი და არც სკამი არ გაგვაჩნდა, ბატონმა ვახტანგ ჭელიძემ თავის სახლში წაგვიყვანა, დილამდე გვაქეიფა და გარიჟრაჟზე, როდესაც მზემ თბილისის აღმოსავლეთის კარი შემოაღო, ადგა და ასე დაილოცა. - „ცისკარს" გაუმარჯოს!

ასე დაიბადა 1957 მაისში ჟურნალი „ცისკარი" და ასე გაჩნდნენ შემდეგ ცისკრელებად წოდებული მთელი თაობები".

აქვე მინდა შემოგთავაზოთ მცირე მოგონება ბატონ ვახტანგ ჭელიძისა, ნიშნად იმისა, რომ ჩვენი თაობის ლიტერატორები და პარტიულ-ნომენკლატურული მუშაკები ვახერხებდით თანამოაზრეობას, როცა კი საქმე ჩვენთვის, ყველასთვის უძვირფასესს — ეროვნულ ცნობიერებას შეეხებოდა...

აი, ეს მოგონებაც:

„ნახევარი საუკუნე სრულდება „ცისკრის" პირველი ნომრის გამოსვლიდან და ახლა ბევრმა ალბათ, არც იცის, რომ მის დაარსებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა კომკავშირის ცკ-ს მაშინდელმა პირველმა მდივანმა თამაზ ჯანელიძემ. ეს კი ადვილი არ იყო, რადგან ჟურნალის დაარსებას იმ დროს პოლიტბიუროს დადგენილება სჭირდებოდა და იშვიათად იძლეოდნენ ამის ნებართვას...

„ცისკარი" კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანოც იყო და მწერალთა კავშირისაც — ორი პატრონი გვყავდა. იქნებ გაგიკვირდეთ, მაგრამ სალიტერატურო-სამწერლო ჟურნალს მწერალთა კავშირზე უფრო სწორედ კომკავშირის ცკ და მისი პირველი მდივანი პატრონობდნენ და ქომაგობდნენ.

რედაქციას პირველ ხანებში ბინა არ ჰქონდა და თამაზ ჯანელიძემ კომკავშირის ცკ-ის შენობაშივე დაგვითმო სხდომათა ვრცელი დარბაზი და რამდენიმე ოთახი. იგი ყველანაირად უწყობდა ხელს რედაქციის მუშაობას, მის საქმიანობაში კი არ ერეოდა; რედაქციას სრული თავისუფლება ჰქონდა, თავად განესაზღვრა ჟურნალის თემატიკა და მიმართულება...

გამოვიდა ჟურნალის პირველი ნომერი და მაშინვე აშკარა გახ-

და, რომ რედაქციას, მრავალ კეთილმოსურნესა და მეგობართან ერთად, მტრებიც გამოუჩნდა. სამწუხაროდ, ეს მტრები სწორედ მწერალთა შორის აღმოჩნდნენ — გამოცდილი დემაგოგები და ინტრიგანები, რომელთაც მთავრობაში ანგარიშს უწევდნენ; მგონი, ეშინოდათ კიდეც მათი. ეს ხალხი არ თაკილობდა არც ცილისწამებას, არც აშკარა თუ საიდუმლო დაბეზღებას; ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ ახალდაარსებული ჟურნალისთვის; ამტკიცებდნენ და თავისებურად ასაბუთებდნენ, რომ ჟურნალის კურსი პარტიის გენერალურ ხაზს ეწინააღმდეგებოდა.

ეს საშინელი ბრალდება იყო. ასეთი ბრალდებით შეიძლებოდა არა მარტო დახურვა ჟურნალისა, არამედ ჟურნალის თანამშრომლების ფიზიკური განადგურებაც... ასეთ ვითარებაში ჟურნალის რედაქციას ქომაგად სწორედ კომკავშირის ცკ და მისი პირველი მდივანი მოევლინენ.

გუშინდელივით მახსოვს ერთი შემთხვევა... ჟურნალის მესამე ნომერში მეტად არასასურველი და პოლიტიკურად უხერხული შეცდომა გაიპარა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამას მაშინვე ჩასჭიდეს ხელი ჩასაფრებულმა დამბეზღებლებმა და განგაში ატეხეს... საქმე პარტიის ცკ-ს სამდივნოს უნდა განეხილა. მტრები წინასწარ ზეიმობდნენ გამარჯვებას. მდგომარეობას ისიც ამწვავებდა. რომ მჟავანაძე, რომელიც ერთგვარი ლმობიერებით გამოირჩეოდა, შვებულებაში იყო, მას ცვლიდა პარტიის ცკის მეორე მდივანი კოვანოვი. სწორედ კოვანოვს უნდა ჩაეტარებინა სამდივნო.

კოვანოვი ქართველების დიდი სიყვარულით არ გამოირჩეოდა. ეს მან ცხრა მარტის დღეებშიც დაამტკიცა. ერთი სიტყვით, მტრებს მართლაც ჰქონდათ საფუძველი ზეიმისა. და ამ დროს გამოიჩინა სწორედ საოცარი შეუპოვრობა და ახალგაზრდული ჟურნალისადმი ერთგულება თამაზ ჯანელიძემ.

სამდივნოზე, ჩემს გარდა, გამოძახებულები იყვნენ თამაზ ჯანელიძე და ირაკლი აბაშიძე. თამაზი ირაკლის შეუთანხმდა, მათ სხდომის დაწყებამდე ჩამოუარეს ყველა მდივანს (მგონი, მაშინ ექვსი მდივანი იყო), გულითადად სთხოვეს, მხარი დაეჭირათ რედაქციისთვის და გადაიბირეს კიდეც ყველანი. ხოლო სამდივნოს სხდომაზე თამაზმა დაბეჯითებით მოითხოვა, კომკავშირის ცკ-ის ბიუროსთვის გადაეცათ განსახილველად ეს საკითხი, რათა ასეთი უპასუხისმგებლობისთვის რედაქცია სათანადო სიმკაცრით სწორედ კომკავშირის ცკ-ს დაესაჯა... კოვანოვი ჯერ კი ყოყმანობდა, მაგრამ რაკი სხვა მდივნებმაც დაუჭირეს მხარი ჯანელიძეს, მანაც

მიიღო ეს გადაწყვეტილება.

თამაზმა მეორე დღესვე მოიწვია კომკავშირის ცკ-ის ბიუროს სხდომა, კორექტორს უბრალო მითითება მისცა და სიცილით მოგვმართა: მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ, თქვენს მტრებს ნუ გაახარებთო...

ამის შემდეგ თამაზ ჯანელიძე მალევე სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს".

„ცისკარი"... თაობათა უსაყვარლესი ჟურნალი. გამოცემა, რომელმაც შეძლო ათწლეულების მანძილზე ძალიან ბევრი ოჯახისთვის დარჩენილიყო სამაგიდო ჟურნალად. უდიდესი პატივისცემით ვარ გამსჭვალული რედაქციის თანამშრომელთა ყველა თაობისადმი და მათ შორის, იმათ მიმართაც, ვინც ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, ჯიუტად ცდილობს მას არსებობა გაუხანგრძლივოს, მაგრამ მაინც ვიტოვებ უფლებას, განვაცხადო, რომ შემოქმედებითი კოლექტივი, რომელიც ჩვენ 1957-ში, ბიუროზე დავამტკიცეთ, ჟურნალის შემდგომ კოლექტივთა შორის მართლა საუკეთესო გახლდათ!

50-იან წლებში მთელ საბჭოთა კავშირში ძალზე პრინციპულად დადგა ყაზახეთის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საკითხი. ეს იყო მთლიანად ახალგაზრდული ენთუზიაზმის საქმე და ახალგაზრდების ხელითაც კეთდებოდა. მასში მონაწილეობა უკლებლივ ყველა მოძმე რესპუბლიკისთვის დიდი პატივი იყო: ჩვენი თაობის ვაჟკაცებში ძალზე ცოტას შეხვდებოდით ისეთს, ამგვარ საერთოსახალხო მოძრაობაში მონაწილეობა რომ არ ესახელებოდა.

საქართველოს, როგორც შედარებით მცირერიცხოვანს, სხვა მოძმე რესპუბლიკებთან შედარებით, ცოტა მუშახელი, დაახლოებით ასი კაცი, უნდა გაეგზავნა ამ სამუშაოების შესასრულებლად. სხვათა შორის, დაძალება არასდროს დაგვჭირვებია. ახალგაზრდობა თვითონ იჩენდა ინიციატივას და ჩვენც, კომკავშირის რაიკომებისა თუ პირველადი ორგანიზაციების მეშვეობით, ვარჩევდით მათ შორის ყველაზე ღირსეულთ და შრომისმოყვარეთ. თითოეულ ამ მოხალისეს კომკავშირულ საგზურთან ერთად წინასწარ რამდენიმე თვის ხელფასი გადაეცემოდა.

კომკავშირის ცკ-ში ამ კამპანიის საკურატოროდ შეიქმნა საგანგებო შტაბი, რომლის ხელმძღვანელიც იყო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი. ამ ახალგაზრდული მოძრაობის დასაწყისში, ანუ 1954 წელს, ეს გახლდათ სერგო რიგვავა, რომელიც 1956 წლის მარტის მოვლენების მერე ახალმა მეორე მდივანმა

ედუარდ შევარდნაძემ შეცვალა.

ამით იმის თქმა მინდა, რომ მეყამირეთა პირველი ეშელონი საქართველოდან 1954 წლის 31 მარტს გავიდა სერგო რიგვავას მეთაურობით. თუმცა, ვფიქრობ, ამ პირველი მოგზაურობის ამბებს თავად უკეთ გვიამბობს:

„ჩვენი 70-კაციანი ეშელონი ღამის 1 საათზე გავიდა თბილისის ვაგზლიდან. სულ დარჩეული, ჯანმაგარი ბიჭები შეგვიგროვდა. ძალიან შემართულები მიემგზავრებოდნენ. ერთი სული ჰქონდათ, როდის შეუდგებოდნენ მუშაობას. ეს განწყობილება რომ არ განელებოდათ, ჩვენი მხრიდანაც ცდა არ დაგვიკლია: წინასწარ დავასაჩუქრეთ მთელი ოთხი თვის ხელფასებით, შეძლებისდაგვარად, ნორმალური სამგზავრო თუ სამუშაო პირობები შევთავაზეთ. როგორც ეს ხდება ხოლმე, მატარებელშივე დამეგობრდნენ და ჩვენც, მათი გამყოლი კომკავშირული მუშაკები, იმედიანად ვიყავით: ისეთი პირი უჩანდა, რომ ნორმალურ შრომით კოლექტივად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ.

თუმცა, ცოტა ფათერაკიანად კი ვიმგზავრეთ, პატარ-პატარა თავგადასავლები ჯერ კიდევ მატარებელში დაგვეწყო. ისე მოხდა, რომ ბიჭების მეტ-ნაკლებად დაბერილ საფულეებს მტერი გაუჩნდა — ჩანს, მატარებელში ქურდებიც ავიყოლეთ. კიდევ კარგი, რომ არც მე გამოვიჩინე მიამიტობა და თბილისიდან გაგრამდე ასე 14-კაციანი ოპერჯგუფიც ავიმგზავრე. მაგრამ ხაშურთან ინციდენტი მაინც მოგვიხდა: ერთ-ერთი მეყამირე გაგვიძარცვეს, თანაც ფულს კომკავშირული საგზურიც გააყოლეს თან. თუმცა ქურდიც დავიჭირეთ — ვიღაც რუსთაველი ბიჭი. არ მინდოდა ბიჭებში არეულობა შემეტანა: ცალკე დაველაპარაკე იმ ქურდს. ვურჩიე, ყველაფერი თავის ადგილას დაედო.

მახსოვს, ტამბურში იწვა. სწორედ იქ დავაყენე თავს ოპერჯგუფიცა და სხვა რუსთაველი ბიჭებიც. დანარჩენების აფორიაქებას მოვერიდე. თანაქალაქელებს გავაჩხრეკინე. ბიჭები გაოცდნენ, ისეთი ოსტატური სამალავები ჰქონდა მოწყობილი: ორმაგი ჯიბე დაეტანებინა შარვალზე — შარვლის ტოტის ბოლომდე მიდიოდა. ის რუსთაველი ბიჭები საშინლად იყვნენ შეურაცხყოფილები, რომ ასე უმსგავსად სწორედ მათი თანაქალაქელი მოიქცა.

ერთი სიტყვით, ის მოპარული ოთხი თვის ხელფასიცა და კომკავშირული საგზურიც უხმაუროდ პატრონს დავუბრუნეთ და ქურდიც ასევე მშვიდობიანად და უხმაუროდ გადავულოცეთ რომელიღაც სადგურზე ვაგზლის მილიციის განყოფილებას. სხვათა შორის, არც

ქურდის კომკავშირული საგზური დაგვკარგვია: ისიც საიმედოდ „დავაბინავეთ“: ერთ-ერთი მეყამირის ცოლს გადავეცით, რომელიც ქმარს ყაზახეთში მოჰყვებოდა.

მოკლედ, ამ ფათერაკზე გადავიდა მთელი ჩვენი იმ დროინდელი უსიამოვნებანი, რადგან სხვა მხრივ, არაჩვეულებრივად მხიარულად ვიმგზავრეთ და შვიდი დღე-ღამის მერე, როგორც იყო, ჩავაღწიეთ დანიშნულების პუნქტამდე. ეს იყო აქტიუბინსკის ოლქი, ჩვენი მეყამირეების სამუშაო ადგილი.

დავბინავდით: სულ რაღაც ოციოდე წუთში კი ის უდაბური ველი ჩვენი ბიჭების კარვებმა დაფარა. ასეთი იყო დასაწყისი. ჩვენი ჯგუფი ერთ-ერთი გახლდათ იმ პირველთა შორის, ვინც ისტორიამ მეყამირეებად დაიმახსოვრა. ან, სხვაგვარად, ვისაც ყაზახეთმა დაახვედრა დაუმუშავებელი უკიდეგანო მინდვრები, ვინც იქაურობა ულამაზეს ბაღნარად აქცია.

ქართველ მეყამირეთა ამ პირველი ჯგუფის საქმიანობაზე ჩვენს ახალგაზრდულ გაზეთებში საკმაოდ ბევრი დაიწერა. განსაკუთრებით სიამოვნებით მაგონდება იოსებ ნონეშვილის — ჩვენი სასიქადულო პოეტის — ლექსების ცნობილი ციკლი. იოსები თან გვახლდა იმ პირველი ჩასვლის დროს ყაზახეთში და ის მშვენიერი ლექსებიც სწორედ იმ თავისი პირველი შთაბეჭდილებებისა და განცდების გავლენით დაგვიწერა“.

სერგოს მონათხრობზე კიდევ ერთი ჩვენი უნიჭიერესი შემოქმედის „ყამირული შთაგონების“ ამბავი მახსენდება. ეს გახლავთ ქართული მუსიკის კლასიკოსი, კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე, რომელმაც ჩემი თხოვნით, ჩვენს ყამირელ ბიჭებს არაჩვეულებრივი სიმღერა, თუ უფრო ჰიმნი დაუწერა. და თანაც სულ რაღაც ნახევარ დღეში! პირდაპირ გამაოგნა, ისე ოპერატიულად შეთხზა და მეორე დღესვე მომიტანა კაპელას შესრულებით ჩაწერილი.

მთლიანად ვეთანხმები ბიძინა კვერნაძეს: ამ სიმღერას სიტყვა „პარტია“ მხოლოდ საცენზუროდ და შესანიღბად დასჭირდა (მიხვდებოდით, ალბათ, ლაპარაკია ჰიმნზე — „როცა გვიხმობს პარტია“, რომელიც სინამდვილეში ასე უნდა აუღერებულიყო: „როცა გვიხმობს სამშობლო“)! ეს სიმღერა-ჰიმნი დღესაც გვატყვევებს თავისი პატრიოტული სულისკვეთებით. ასე რომ, ყამირულმა მოძრაობამ ქართული მუსიკა ნამდვილად ზღაპრულად დაგვისაჩუქრა!

მით უფრო, რომ საქართველო ამ მოძრაობაში ახალგაზრდების მარტო ერთი გაყვანით არ შემოფარგლულა და, შესაბამისად, კამპანია გაგრძელდა იმ ჩვენი 9 მარტის შემდეგაც. იმ განსხვავებით, რომ

სერგო რიგვავას შტაბში ჩაენაცვლა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ახალი მეორე მდივანი — ედუარდ შევარდნაძე.

ასე რომ, შემდეგი, თუ არ ვცდები, 100-120-კაციანი ეშელონი უკვე მისი ხელმძღვანელობით გავუშვით. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ მეყამირეთა გამცილებელი ის რამდენიმე კომკავშირული მუშაკი, ედუარდთან ერთად, საკუთარი ორგანიზაციების კუთვნილი მოტოციკლეტებით „შეიარაღებულნი" გავისტუმრეთ. ეს იყო მათი სამარქაფო ტრანსპორტი. პირობა ასეთი გვქონდა: როგორც კი დააბინავებდნენ ბიჭებს კოკჩეტაუს ოლქში, ყველა ეს კომკავშირული მუშაკი საქართველოში სწორედ ამ მოტოციკლეტებით უნდა დაბრუნებულიყო.

თუმცა მათმა არცთუ უწყინარმა ოდისეამ აჩვენა, რომ რომანტიკოსობასაც აქვს საზღვარი... ერთი სიტყვით, სადღაც დაიკარგნენ. ვერც ხმას გვაწვდენენ და შესაბამისად, არც მათი გასაჭირებისა ვიცით რაიმე. ეს ის პერიოდია, როცა ბედად, ჩვენი სასკოლო მდივანი ნათელა ვასაძე მოსკოვში გვყავს მივლინებული. ნათელამ იყოჩაღა. იგი იხსენებს:

„თამაზმა რომ დამირეკა თბილისიდან, შევარდნაძე და მასთან, მთელი ჩვენი კომკავშირული აქტივი დავკარგეთ და იქნებ მანდედან მაინც მიხედო საქმესო. იმავე წამს შევედი სემიჩასტნისთან, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანთან და ვთხოვე ოპერატიული დახმარება ამ საქმეში. მართლაც არ გასულა რამდენიმე საათი და ბიჭები ნაპოვნები იყვნენ.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოსკოვიდან სულ რაღაც 500 კმ-ში, რომელიღაც მიყრუებულ რაიონულ ცენტრსა თუ დაბაში! მოტოციკლეტები დაზიანებოდათ, ფული შემოლეოდათ. თურმე წვანან რომელიღაც პროვინციული სასტუმროს საძაგელ ნომერში, თითო საწოლში ორ-ორნი, დაუბანელები, დამტვერილ ბუშლატებში გახვეულები, მშივრები და ელიან ციდან მანანას დანვიმებას.

რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის მოწმე მას მერე გავხდი, რაც სემიჩასტნის მანქანა მოვთხოვე, ბიჭებს რაც შეიძლება, მალე უნდა ჩავაკითხო-მეთქი. იქნებ ხვალ ჯობდეს, უკვე ბინდდებაო. მაგრამ რას დამაშლევინებდა — წასვლა აღარ გადავდე. ეგ იყო, გამგზავრებამდე თამაზს დავურეკე თბილისში და შევატყობინე, ბიჭები ვიპოვნე-მეთქი.

საჭმელი მაინც წაიყოლე, ხომ იცი, მშივრები ისხდებიანო. მაგაზე არ ინერვიულო-მეთქი. მართლაც, გავიარე „არაგვში", მოსკოვის ცნობილი ქართული რესტორანი რომ იყო. დირექტორს, გვარიც კი

მახსოვს მისი, სტაჟაძე ლონგინოზი იყო, გავავსებინე მთელი მანქანა ჩვენებური სასმელ-საჭმელით და ასე დახუნძლული და იმედიანი, გამთენიისას როგორც იყო, ჩავედი იმ დაბაში.

ბედად, მილიცია გამახსენდა და იმათი საშუალებით მივაგენი იმ სასტუმროს. ასე რომ, ჩვენს დაკარგულებს დილის 6 საათზე დავადექი. ახლაც თვალწინ მიდგას მათი სახეები, სიხარულისგან აღარ იცოდნენ, რა ექნათ.

ერთი სიტყვით, მცირე ხანს ძლივს გავძელი იმ ჩახუთულ საშინელ ოთახში. დავუტოვე ბიჭებს მთელი ჩემი ხორაგეული და მოსკოვში დაბრუნებისთანავე დავურეკე თამაზსაც და სემიჩასტნისაც, რომ ბიჭების ამბები მეცნობებინა.

მოკლედ, ყველანაირი დახმარება გაეწიათ. ის მეორე დღე ტექნიკის შეკეთებასა და ამ ჩვენი გმირი მეყამირეების გარეგნულ მონესრიგებას მოხმარდა. მესამე დილისთვის კი ჩვენს ქართულ კოლონას უკვე მოსკოვის შესასვლელში ელოდნენ. მართლაც გრანდიოზული მისალმება მოუწყოთ საკავშირო ალკკ ხელმძღვანელობამ და იქიდანაც ასევე მოტიციკლეტებით, ოღონდ გაცილებით იმედიანად და უხიფათოდ, გამოისტუმრეს“.

ნათელას მონაყოლს აუცილებლად მინდა დავამატო, რომ არაჩვეულებრივი იყო ამ ყამირმოვლილი ჩვენი მეგობრების თბილისში შემოსვლაც... აქ მინდა გავიხსენო, რა თქმა უნდა, მათი გასაოცრად გულთბილი დახვედრა დედაქალაქის შემოსასვლელში, საიდანაც ერთ-ერთ მოტოციკლეტზე მეც შემოვჯექი და ასე კოლონად ლენინის მოედნამდე ჩავიარეთ მთელი ქალაქიცა და რუსთაველის პროსპექტიც. ლენინის მოედანზე კი საზეიმო მიტინგის ჩასატარებლად უკვე მთელი თადარიგი გვქონდა გაწეული.

მართლა ეფექტური იყო ის ჩვენი ჩავლა რუსთაველზე. ხალხი ჩამოსულებს ძალზე თბილად ხვდებოდა. აქ ამ ამბავს ერთი კურიოზიც მინდა მოვაყოლო. ისე მოხდა, რომ სრულიად შემთხვევით, მამაჩემიც შესწრებია ამ ჩვენს საზეიმო მსვლელობას რუსთაველზე და, რაღა თქმა უნდა, თავისი ერთადერთი ვაჟიც დაუნახავს მოტოციკლეტზე თავზეხელაღებული ბიჭუკელასავით ამხედრებული. საშინლად განრისხებულა და აქედან პირდაპირ ჩემს მეუღლესთან გავარდნილა: ეს რა ვნახე, როდის ყოფილა, კომკავშირის ცკ-ის პირველი მდივანი და კომპარტიის ცკ-ის ბიუროს წევრი მოტოციკლეტს შუა ქალაქში პატარა ბიჭივით რომ დააგელვებდაო.

ერთი სიტყვით, ორივეს შავი დღე გვაყარა, თუმცა მე ნამდვილად ვერ გავიზიარე მისი აღშფოთება. თავად ყოველგვარი თანამდებობ-

რივი „თავდაჭერის“ არმცნობს ასეთი ცერემონიულობის გაგება ცოტა არ იყოს, მიჭირდა. მოკლედ, მამაჩემის არგუმენტები, ჩემი ჭკუით, კი მოვიგერიე მაშინვე სიცილით, მაგრამ ის „ჭოჭი“ მაინც არ გამოდგა ჩემთვის მთლად მსუბუქად გადასახარში. ახლა უფრო შემიძლია, გავუგო: მამაჩემი ძველი ყაიდის კაცი იყო და ასეთი „ამ-ჩატების“ უფლებას თავს არასდროს მისცემდა.

მსოფლიო ფესტივალი – ქართული ქორნილის სტუმარი

ამ ამბებს სულ მალე მოჰყვა ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალი, თავისთავად, გრანდიოზული ღონისძიება... მსოფლიო ფორუმი, რომელსაც საფესტივალო მოძრაობის ისტორიაში პირველად უმასპინძლა მოსკოვმა.

ეს იყო 1957 წლის ივლის-აგვისტო. მთელი მსოფლიოსთვის უმნიშვნელოვანესი ორი კვირა, პირადად ჩემთვის კი, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი სოლიდური ღონისძიება, რომელშიც საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის სტატუსით ვმონაწილეობდი.

ასეთი ფესტივალი ყველგან და ყოველთვის ახალგაზრდობასთან, ახალ კონტაქტებთან, საინტერესო ურთიერთობისა და შემოქმედების სიხარულთან ასოცირდება. რა თქმა უნდა, ყველა ამ სიკეთით ბრწყინავდა 1957 წლის ზაფხულის იმ დღეების მოსკოვიც: მაშინ უკვე ცნობილი რეჟისორის — ბება (იოსებ) თუმანიშვილის მიერ უნაკლოდ დადგმული ყოვლისმომცველი ფერადოვნება და გამაოგნებელი წარმოდგენები; სტუმართმოყვარეობის ნამდვილი ზეიმი, რომელიც უხვად იყო გაჯერებული კონცერტებით, შემოქმედებითი კონკურსებით, ინტელექტუალური ასპარეზობებით, ამხანაგური მატჩებით.

უაღრესად შთამბეჭდავი იყო საფესტივალო სტატისტიკა. მნახველს განაცვიფრებდა ფესტივალის დელეგატთა მომსახურე კულტურული, საგანმანათლებლო, საკომუნიკაციო-სატრანსპორტო თუ ჰიგიენის ობიექტთა და საშუალებათა ყველაზე უწყინარი ჩამონათვალიც კი. რა თქმა უნდა, ლაპარაკი აღარაა ფესტივალის გეოგრაფიაზე, იმაზე, რომ მასზე მსოფლიოს 122 ქვეყანა იყო წარმოდგენილი, საკმაოდ სოლიდური ოფიციალური თუ საკარნავალო დელეგაციებით.

ასე რომ, წარამარა ვფურცლავდით კარგა გვარიანად სქელტანიან საფესტივალო პროგრამას, რომ ჩვენთვის უფრო საინტერესო ღონისძიება შეგვერჩია იმ 400-დან, ყოველდღიურად რომ იმართე-

ბოდა. საფესტივალო კარუსელში იყო ჩართული მოსკოვის თითქმის ყველა საუკეთესო თეატრი, კინოთეატრი, სპორტული არენა თუ საკონცერტო დარბაზი. გვიან ღამემდე აქ მოხვედრის მსურველებს ვერ აუდიოდა „შეხვედრების საერთაშორისო კლუბი", რომელიც, აღმოჩნდა, რომ ამ საფესტივალო მოძრაობის ისტორიაში პირველად, სწორედ მოსკოვის ფორუმზე გაიხსნა. ამიტომ მეგობრულ შეხვედრებს, ფოლკლორულ საღამოებს, დისპუტებს თუ მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერთა და მწერალთა სემინარებს საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებშიც აწყობდნენ. მაგალითად, ერმიტაჟის ბაღში, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ტურგენევის სახელობის ბიბლიოთეკაში თუ კაფეებში, რომლებიც მოსკოვს მაშინაც არ აკლდა.

და, საერთოდაც, შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდობის ეს ფორუმი, დღიდან გახსნისა, ბრწყინავდა უდიდეს პროფესიონალთა სახელებითაც. ფესტივალს აღფრთოვანებით მიესალმნენ შოლოხოვი, შოსტაკოვიჩი, მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში სმისლოვი, ნობელიანტი აკადემიკოსი სემიონოვი. დელეგატ ლიტერატორებს სემინარები ჩაუტარეს ჟორჟი ამადუმ, ნაზიმ ჰიქმეთმა, ალექსეი სურკოვმა, კონსტანტინ ფედინმა, პაველ ანტაკოლსკიმ, ჯო უოლესმა, ილია ერენბურგმა. ამ შეხვედრებში მონაწილეობდა ქართველი პოეტი იოსებ ნონეშვილიც. ასეთივე მეცადინეობები უტარდებოდათ ახალგაზრდა მეცნიერებსაც.

თვალს იტაცებდა ეროვნული თეატრალური ქორეოგრაფიული სანახაობანი, ქრონიკულად არჩევანის წინაშე გვაყენებდა საფესტივალო აფიშა. მაგალითად, ვერაფრით გადაგვეწყვიტა, რა დაგვეჭაშნიკებინა, იაპონური ჩრდილების თეატრის წარმოდგენა, ფრანგი მიმების ინსცენირება თუ ბრიტანელთა ან კუბელთა სპექტაკლი.

მოკლედ, თვით ყველაზე დიდი თეატრალიცა თუ სანახაობის მოყვარულიც შეგეცოდებოდა მთელი ამ ადამიანური მშვენიერებისა და ნიჭიერების ერთბაშად აღმქმელად. სხვათა შორის, ფესტივალის მონაწილეთა შორის აღმოჩნდა ერთი მოხალისე, რომელმაც არ დაიზარა და დაიანგარიშა, ყველა ამ სიკეთეზე დასწრებას ერთი ადამიანი რა დროს მოანდომებდა... ეს მოხალისე იყო იაპონელი კაძი ტაკესი, ხოლო მის მიერ გამოთვლილი ეს დრო... 100 წელიწადი. ესეც შენი ერთი სიცოცხლე! რაგინდ ცნობისმოყვარეც უნდა იყო, სცადე და მოსწარი! ასე რომ, იმ დღეების მოსკოვში ასეთი უნიკალური ადამიანური მოთხოვნილებაც ძალზე ჩვეულებრივად იბადებოდა.

საფესტივალო პროგრამა შედგებოდა სამი პირობითი ნაწილისგან. პირველი გულისხმობდა უცხოელებთან შეხვედრას, ანუ მათსავ საფესტივალო რეზიდენციებში დელეგატთა ორმხრივ სადისკუსიო თუ გასართობ ვიზიტებს. მესამე იყო გალაკონცერტი, რომელზეც თითოეულ ქვეყანას საკუთარი შემოქმედებითი ნიჭიერება მაქსიმალურად უნდა წარმოეჩინა. მეორე კი სოფლის ახალგაზრდობის ზეიმი, რომელზეც ალბათ, ცოტა მოგვიანებით უნდა გიამბოთ, რადგან, ვფიქრობთ, რომ ქართულმა დელეგაციამ შეძლო, ეს ღონისძიება ქართული ეროვნული ზნე-ხასიათისა თუ კულტურის თავისებურ ჩვენებად ექცია.

მაგრამ სანამ სოფლის ახალგაზრდობის ზეიმის ჩვენეულ, ქართულ ინტერპრეტაციაზე მოგახსენებდეთ, მინდა გავიხსენო ჩვენი რესპუბლიკის საფესტივალო დელეგაციის შემადგენლობა. გარდა ოფიციალური დელეგაციისა, რომელიც კომკავშირის ცკ-ის მდივნების, სხვა პასუხისმგებელი მუშაკებისა და ჩვენი ახალგაზრდული გაზეთებისა და რადიოს წარმომადგენლებისგან შედგებოდა, ფესტივალზე გაემგზავრა შემოქმედებითი ჯგუფიც, რომელშიც თავმოყრილი იყო მთელი ჩვენი მაშინდელი უნიჭიერესი თეატრალური ახალგაზრდობა და ასევე, მომღერალი თუ ქორეოგრაფიული ძალები.

ესენი გახლდნენ შემდგომში უკვე არაერთი თაობის საყვარელი მსახიობები და მომღერლები, როგორც რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის, ისე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრებიდან: გურამ საღარაძე, რამაზ ჩხიკვაძე, ირაკლი უჩანეიშვილი, ელენე ყიფშიძე, მერი მიქელაძე, ბელა ჯაფარიძე, ლეო ფილფანი, კოტე მახარაძე, მედეა ჩახავა, გოგი გელოვანი, კოტე აბაშიძე, დოდო აბაშიძე, კარლო საკანდელიძე, ზურაბ ანჯაფარიძე, მედეა ამირანაშვილი, ნოდარ ანდღულაძე, ნანი ბრეგვაძე, თენგიზ მუშკუდიანი... შემოქმედებით ჯგუფს ხელმძღვანელობდა მაშინ უკვე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნოდარ ჩხეიძე, რომელმაც დადგა „ჩხიკვთა ქორწილი". თან გვახლდნენ ახალგაზრდა ხელოვანები – მხატვარი გოგი თოთიბაძე და კინორეჟისორი რეზო ჩხეიძეც, რომლის ფილმმა „ჩვენი ეზო" ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფორუმის კინოფესტივალის ოქროს მედალი და აღფრთოვანებული პრესა დაიმსახურა.

ამ ფილმთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ამბავი მახსენდება: ცნობილი ინდოელი მსახიობი და კინორეჟისორი რაჯ კაპური გულწრფელად მოიხიბლა გიორგი შენგელაიას კინოგმირით და რე-

ზოს საგანგებოდ სთხოვა, ეს ახალგაზრდა მსახიობი პირადად მომიკითხეთო. იმასაც ჰყვებოდნენ, რომ მასვე ერთხელ ფოიეში ჩვენი ლეილა აბაშიძისთვის მოუკრავს თვალი და მაშინვე სულხან ცინცაძის „ჭრიჭინას სიმღერა" წაუღიღინებია.

მახსოვს, მხატვრულ ნაწარმოებთა საფესტივალო კონკურსში ასევე, ძალიან იმარჯვა მაშინ სულ ახალგაზრდა პოეტმა მუხრან მაჭავარიანმა. მას საკავშირო ფესტივალის ლაურეატობა მიენიჭა და ვერცხლის მედალი გადაეცა, მისი ლექსთა კრებული კი მეორე პრემიით აღინიშნა.

ჩეხებს შორის წარმოუდგენელი პოპულარობით სარგებლობდა კოტე მახარაძე, რომელმაც სწორედ წინასაფესტივალო პერიოდში ჩეხი პატრიოტის — იულიუს ფუჩიკის არაჩვეულებრივი სახე შექმნა.

კლასიკური სიმღერის კონკურსის ვერცხლის მედალოსნები გახდნენ ჩვენი შესანიშნავი საოპერო მომღერლები — ზურაბ ანჯაფარიძე და ნოდარ ანდღულაძე. საესტრადო ორკესტრების კონკურსის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა საკავშირო ფესტივალის ლაურეატმა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრმა, სოსო ტუღუშის ხელმძღვანელობით.

ფესტივალის ლაურეატთა შორის იყვნენ: მედეა ამირანაშვილი, თენგიზ მუშკუდიანი, ლილი მითაიშვილი, ემა აფხაზავა, ელენე კირვალიძე, მარეხ გოძიაშვილი, კონსტანტინე მაკარიძე, თენგიზ დათუაშვილი, ალექსანდრე კაციშვილი, ალა მურადოვა, ირაკლი შუშანია.

სიამოვნებით მინდა ვახსენო „შვიდკაცა", მაშინ ასევე ძალიან ახალგაზრდა შესანიშნავი მუსიკოსის — ბატონი ჯანო კახიძის ხელმძღვანელობით. ამ გუნდმა ფესტივალის გრან-პრი მოიპოვა. მე, პირადად, ამ ანსამბლის „მშობლობის" პატივს ვერაფრით ველევი. მიმაჩნია, რომ „შვიდკაცა" დორიან კიტიასა და ჩემი პირმშოა. მომღერალთა ამგვარი ჯგუფის შექმნა სწორედ ჩვენ ჩავიფიქრეთ. საათობით გვიკამათია, ვაჟთა როგორი გუნდი გვჭირდებოდა. ისიც თავიდანვე ჩამოგვიყალიბდა, რომ სწორედ ჯანოს დონის მუსიკოსი უნდა ჩადგომოდა ამ კარგ საქმეს სათავეში.

„შვიდკაცა" ერთი დიდებული გურული ხალხური სიმღერის სახელწოდებაა. მისი გამოტანა ანსამბლის სახელწოდებად დორიანის იდეა იყო, ჩემი აზრით, საუცხოო მიგნება. ამ ბიჭებმა თავი ძალიან შეგვაყვარეს, ამიტომ მათთან დაკავშირებული უამრავი, არცთუ მნიშვნელოვანი დეტალი დღესაც სიამოვნებით მახსენდება. მაგა-

ლითად, მახსოვს, მე და დორიანს რა კამათი გვქონდა, როცა ჯერი ამ რვა ბიჭის — „შვიდკაცასა“ და მათი ხელმძღვანელის — საფესტივალო-საკონცერტო შემოსვაზე მიგვიდგა. მე, ჩემი მხრით, საკითხი თითქოს თავიდანვე გარკვეული მქონდა: ყველანი თეთრ ჩოხა-ახალოხებში უნდა გამოგვეწყო, მაგრამ როცა ჯანო მომიყვანეს, მაშინვე ნირი წამიხდა და დორიანს შევუტიე, ეს თეთრი კაცი თეთრ ჩოხით რა იქნება-მეთქი.

ბოლოს გადავწყვიტეთ, ჯანო კახიძე, როგორც ხელმძღვანელი, სცენაზე ცოტათი განსხვავებულად, შავი ჩოხით გამოგვეყვანა. გვასახელეს ამ ბიჭებმა: სულ პირველები იყვნენ, ფესტივალის მონაწილე ყველა უცხოელს პირზე ეკერა მათი სახელი. მე დღესაც სიამოვნებით ვიხსენებ თითოეულ მათგანს: მამია ხატელიშვილს, ვანიკო მაჭავარიანს, გოგი გუგუშვილს, ჯონდო მიქელაშვილს, მიშა შავიშვილს, თენგიზ კორინთელს, თენგიზ კახიძეს — ჯანოს ძმას და თავად ჯანოს – უნიჭიერეს პიროვნებასა და დიდ მაესტროს, რომელმაც თავისი შესანიშნავი შემოქმედებით ქართველ საზოგადოებას ამის შემდგომ წლებში გაცილებით მეტი სიამოვნება მიანიჭა.

და საერთოდაც, ამ ფესტივალზე ქართველები უამრავი ნიუანსით ვგრძნობდით, რომ ჩვენი ხალხური შემოქმედება თუ ჩაცმულობა უცხოელებზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა. ამ მხრივ გამორჩეული გახლდათ „მოსსოვეტის“ თეატრში გამართული ჩვენი დელეგაციის შეხვედრა როგორც დემოკრატიული, ისე ფედერაციული გერმანიის და ასევე, ლაოსისა თუ ტაილანდის დელეგაციებთან. ეს იყო უგულითადესი შეხვედრა თავისი ოფიციალური და საკონცერტო ნაწილებით, უშუალო საუბრებითა და კიდევ უფრო უშუალო ცეკვებით, თეატრის ფოიეშიც რომ გადმოგვყვა. თეატრის თანამშრომლებიც კი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თავიანთი აღტაცების გამოხატვაში: ეს უკვე მერამდენე შეხვედრაა, აქ რომ ეწყობა, მაგრამ ასეთი არაფერი გვინახავს, ყველას თქვენ აჯობეთო.

უჩვეულო გახლდათ სტუმრების დაჯილდოების ცერემონიალიც, რომელსაც ჩვენი ბიჭების იმწუთიერმა იმპროვიზაციამ მეტი უჩვეულობა შემატა. მაგალითად, იყო ასეთი სცენა: ნაბდიანი ექვსი უმშვენიერესი ვაჟკაცი, მსახიობ გოგი გელოვანის წინამძღოლობით, მთავარი შემოსასვლელიდან სიმღერით შემოვიდა დარბაზში. გაიარეს პარტერი, უკან მოიტოვეს ავანსცენა და უცხოეთის დელეგაციის ხელმძღვანელობისკენ გაემართნენ, რომ თითოეული ამ ნაბდებით დაესაჩუქრებინათ. მიუახლოვდნენ და იქვე, ხელდახელ მოახურეს სათითაოდ ყველას ეს ნაბდები. მთელი დარბაზი ოვაციით შეხვდა

ამ უჩვეულო სანახაობას, რომელმაც მაყურებელი ცოტა არ იყოს, კიდეც გაგვიმხიარულა. ამის მიზეზი გახლდათ ლაოსელთა დელეგაციის ხელმძღვანელი, ბავშვურად ჩია კაცი, რომელიც კინაღამ მოცელა ნაბდის მოსხმამ. კიდევ კარგი, რომ ჩვენმა ბიჭებმა იმარჯვეს, დროზე შეაშველეს ხელი. ის ნაბადი კი საერთოდაც, დაუკეცეს, თორემ შევრცხვებოდით იმდენ ხალხში მთელი ქართველობა. მოგვეჭრებოდა თავი — სტუმრის მოვლა არ იციანო. ეს ყველაფერი, ამდენი წლის მერე, კიდევ უფრო სასიმოვნოდ მახსენდება...

ასევე ხმაურიანად და საკმაოდ შთამბეჭდავად წარსდგა საქართველო ფესტივალის გალაკონცერტზეც. ესეც ორაზროვნად ითქმის. იმიტომ, რომ მთლად უკურიოზოდ არც აქ გადავრჩენილვართ. თვითონ კონცერტმა დიდებულად ჩაიარა, თუმცა უხიფათოდ მაინც ვერა. ერთი სასაცილო ამბავი შეგვემთხვა... ჩაფიქრებული გვქონდა, რომ კონცერტის დამთავრებისას ქანდარებიდან პარტერისკენ დროშა თანდათან უნდა დაშვებულიყო, ამ ნელი დაშვებით მისულიყო სცენამდე და იქ გადაფარებოდა ყველაფერს ერთიანად. ერთი სიტყვით, ძალიან ლამაზი სანახაობის მოლოდინი გვქონდა, მაგრამ რაღაც კონსტრუქციული შეცდომის გამო, ტროსი გაწყდა, დროშა შუა დარბაზში ჩამოვარდა და სცენის ნაცვლად, მაყურებელი დაფარა. რა თქმა უნდა, ატყდა ერთი ჟივილ-ხივილი და სიცილ-ხარხარი. თუმცა, რასაკვირველია, ამას კონცერტის ჩავარდნა არ ერქვა, რადგან იქამდე შესანიშნავი საყურებელი იყო.

ამ ყველაფრის უკან, როგორც სხვა დანარჩენისაც, ჩვენი რესპუბლიკის საფესტივალო ექვსკაციანი შტაბის ენთუზიაზმი, ორგანიზატორული მარიფათი და რეჟისორული ოსტატობა იყო. ამ შტაბში, ჩემთან ერთად შედიოდნენ თენგიზ მენთეშაშვილი, დორიან კიტია, ოთარ ლითანიშვილი და მაშინ უკვე ცნობილი რეჟისორები — მიშა თუმანიშვილი და გიგა ლორთქიფანიძე.

ახლა კი მინდა გიამბოთ ჩვენთვის, ქართველი დელეგატებისთვის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაზე, რომელიც ჩვენ ჩავიფიქრეთ, როგორც ქორწილი – უცხოელთათვის ქართული კულტურის, ტრადიციებისა და ხასიათის წარმოჩენის ორიგინალური საშუალება. იდეის დაბადებისთანავე, შევთანხმდით, რომ ეს იქნებოდა იდეალური თემა, რომელზეც დამდგმელი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე, ჩვენი ეროვნული საქორწინო რიტუალის ყველა ნიუანსის ჩვენებით, ჭეშმარიტად ქართულ ხალხურ კოსტიუმირებულ სანახაობას წარმოადგენდა.

ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ წინასაფესტივალო პერიოდში დე-

ტალურად მოვიფიქრეთ ეს ყველაფერი, ნეფე-პატარძლადაც ჩვენი ახალგაზრდა მსახიობთა წყვილი — მედეა ჩახავა და კოტე მახარაძე შევარჩიეთ და მივედი ვასილ მჟავანაძესთან, პარტიის ცკ-ში, რომ ეს ჩვენი ჩანაფიქრი მისთვისაც გაგვეცნო. დაწვრილებით მოვუყევი, რის გაკეთებასაც ვფიქრობთ. შუა მოყოლაში რომ ვიყავი, ვიგრძენი, რომ ძალიან დაინტერესდა, მერე იცით, ნეფე-პატარძალი ვინ იქნებაო? მედიკოსა და კოტეს ვფიქრობთ-მეთქი. იდეა კარგია, მაგრამ ეგენი არ გამოდგებიან. რაკიღა ამოდენა სიკეთეს შვრებით, მონახეთ შეყვარებული ლამაზი ბავშვები და ბარემ იმათ გადაუხადეთ ქორწილიო.

მოკლედ, არაჩვეულებრივად კარგი რჩევა მოგვცა. მაშინვე დამიჯდა ჭკუაში. დავიწყეთ ამ შეყვარებული ახალგაზრდების ძებნა. მივდექ-მოვდექით და ჩვენი ცნობილი ქორეოგრაფის — ბუხუტი დარახველიძის ხალხური ცეკვის ანსამბლში ორი შესანიშნავი შეყვარებული ახალგაზრდა აღმოვაჩინეთ: სოფიკო იაშვილი და ჯემალ კიკნაველიძე - სულ რაღაც ერთი თვის შეუღლებული, შველივით წყვილი. გოგო ხომ, თავისთავად, მშვენიერი სახისა და აღნაგობისა გახლდათ, ბიჭიც მთიდან ჩამოტეხილი ლოდივით შეკრული იყო. თვალს უხაროდა, ისეთები იყვნენ. სწორედ ამათ გადავუხადეთ 7 აგვისტოს მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საქართველოს პავილიონში ის ულამაზესი ქორწილიც.

ცოტა მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს იყო ამ მსოფლიო ფესტივალის ყველაზე ხანგრძლივი და შთამბეჭდავი ღონისძიება. ფესტივალის უცხოელ და სხვა საბჭოთა სტუმართა ინტერესს ის უფრო აცხოველებდა, რომ ეს გახლდათ არა საჩვენებელი საკონცერტო იმპროვიზაცია, არამედ ნამდვილი ეროვნული ქორწილი, ნამდვილი ნეფე-დედოფლითა და მაყრიონით, ღვინითა და ტრადიციული ქართული მოლხენით. ყველა აღიარებდა, რომ სწორედ ჩვენი ქორწილი ექცა ფესტივალს გვირგვინად. ამ დღეს საქართველოს პავილიონთან უბრალოდ, არ მიისვლებოდა. ყველას უნდოდა ჩვენს ღონისძიებაზე მოხვედრა. ჩვენმა დელეგაციამ თავი მაქსიმალურად გამოიდო: 1200-კაციანი ქორწილი გადავიხადეთ! რა თქმა უნდა, ფიზიკურად შეუძლებელი იყო ფესტივალის ათობით ათასი მონაწილის მოპატიჟება. გულდაწყვეტილთა შორის დაგვრჩნენ როგორც ჩვენი საბჭოთა, ისე უცხოური პრესისა და რადიოს წარმომადგენლებიც (მაშინ ჟურნალისტებს დღევანდელივით, ხელისგულზე როდი ატარებდნენ).

რა თქმა უნდა, წესისამებრ, სტუმრები სპეციალური მოსაწვევი

ბარათებით მოვიპატიჟეთ. „ძვირფასო მეგობარო, — ეწერა ამ ბარათებზე. — საქართველოს სსრ დელეგაცია გთხოვთ, თქვენი მობრძანებით გააბედნიეროთ ჩვენი ნეფე-დედოფალი — სოფიკო იაშვილი და ჯემალ კიკნაველიძე. დაესწარით მათ ქორწილს"! ეს იყო არა მარტო ჩვენი ქართული სტუმარ-მასპინძლობის თავისებური დემონსტრირება.

მართლა მამაპაპური ქორწილი გამოვიდა. ჩვენი ხალხური სიმღერებითა და ცეკვებით, ნეფე-დედოფლის დალოცვის თუ სტუმართა დღეგრძელობის ქართული ადათით. უცხოელი სტუმრებისთვის ქორწილს ნამდვილ სანახაობად აქცევდა ისიც, რომ მასზე მყოფი მთელი ჩვენი დელეგაცია, ნეფე-დედოფლითა თუ თამადით დაწყებული და ქორწილის დისახლისით დამთავრებული, ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში ვიყავით გამონკეპილები.

ქორწილის თამადობაში არავინ შემცილებია, მიუხედავად იმისა, რომ იქ მყოფ ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ და საყვარელ არაერთ შესანიშნავ ადამიანს ჰქონდა ამის სურვილი და უნარი. მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როცა სუფრისთვის აუცილებლად მე უნდა მეხელმძღვანელა; რომ ვითარების ყველა ძაფი და სადავე მე მქონოდა ხელში. ასე ჯობდა საქმისთვისაც.

ქორწილის დიასახლისი გახლდათ ჩვენი ცკ-ის მდივანი ნათელა ვასაძე — მასაც ულამაზესი ქართული კაბა ეცვა. როგორც სცენარით იყო გათვალისწინებული, შემოვიდა დარბაზში და ლანგრით ნეფე-დედოფალს საჩუქრები მიართვა. ეს გახლდათ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის სახსოვარი — ოქროს საათები ნეფე-პატარძლისა და ოქროს ბეჭედი პატარძლისთვის. მოკლედ, შემოიტანა ის საჩუქრები ნათელამ და მივაწოდე ყანწი, რომ ახალგაზრდების ბედნიერებისა შეესვა. მოლაპარაკება ასეთი გვქონდა, რომ როგორც კი დაიწყებდა მოსმას, უნდა ჩამომერთვა ის ყანწი, რის მერე რიტუალი თავისი რიგით უნდა გაგრძელებულიყო.

ერთი სიტყვით, ის ყველაფერი სცენარის მიხედვით კი გაკეთდა, მაგრამ ნათელასთვის ყანწის ჩამორთმევა ნამდვილად არ მიჩქარია. მეტიც: ვუყურებ, ვითომც არაფერი მახსოვდეს და ვუკრავ ტაშს, ტაშს უკრავენ ჩვენი „შვიდკაცას" ბიჭებიც. არადა, ხომ ვერ დადგამდა?! პატიოსნად დაცალა ის ერთჭიქიანი ყანწი, რასაც ჩემი და ნათელას „ქართული" მოჰყვა. ჩამოვუარეთ ერთი-ორი წრე ლაზათიანად და გამოვიწვიეთ ჩვენი ნეფე-დედოფალი, რომელთა „ქართულმაც", რა თქმა უნდა, გაცილებით დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

ქორწილი დაგვიმშვენა ჩაქურაში გამოწყობილმა 102 წლის გერასიმე ბოლქვაძემაც, გურულმა ბერიკაცმა, რომელმაც, ძველი ქართული ადათისამებრ, ნეფე-პატარძალს ხილით სავსე ხონჩა მიართვა. გუგუნებდა დათიკო გამრეკელისა და ზურაბ ანჯაფარიძის არაჩვეულებრივი „მრავალჟამიერი“, თქმა არ უნდა, ყური უკეთესს ვერაფერს მოისმენდა! საუცხოო იყო ეს ჩვენი ახალბედა „შვიდკაცაც“. ამ უნიჭიერეს პოლიფონიას კიდევ უფრო აღრმავებდა ბათუმისა და ოზურგეთის გაერთიანებული გუნდიც, ბატონების — მირიან ჩხიკვიშვილისა და ვლადიმერ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. იქ იყო სკოლის მოწაფე ნიჭიერი ყმაწვილი ანზორ ერქომაიშვილიც. მაშინვე მისახვედრი იყო, ქართულ ხალხურ სიმღერას მისი სახით დიდი გულშემატკივარი და ქომაგი რომ გაეზრდებოდა.

„უხერხული ხელქვეითი“

ამასობაში, თურმე, ჩემი კომკავშირული კარიერა სულს ღაფავს... უკვე მეოთხე წელიწადია, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მქვია და რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელობას, კერძოდ კი, მუავანაძეს, ჩემი თავიდან მოშორების იდეა არ ასვენებს!

რაკიღა 1956 წლის მარტის მოვლენების განვითარება და შედეგები ახალგაზრდობასა და კერძოდ, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს ვერ გადმოგვაბრალეს, პარტიის ცკ-ის ხელმძღვანელობამ ამითვალისწუნა. ყველანაირად შეეცადნენ თანამდებობიდან ჩემს გაშვებას. შემცვლელი კანდიდატურებიც კი შემირჩიეს და შესათანხმებლად მოსკოვში გაგზავნეს, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა მაინც ვერ გაბედეს, რადგან საქართველოს კომკავშირის ცკ-საც და პიროვნულად მეც საკმაოდ მაღალი ავტორიტეტი გვქონდა. თუმცა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საბოლოოდ, მაინც იპოვა გამოსავალი. მის გადაწყვეტილებას კი წინ ვერაფერი დაუდგებოდა, უბრალოდ, ქვეყანას მაშინ თამაშის ასეთი წესები ჰქონდა!

მოგეხსენებათ, ეს ის დროა, როცა ჭიათურის მარგანეცის საბადოს ექსპლოატაცია ინტენსიურად წარმოებს. ჭიათურა მაშინ მანგანუმის წარმოების ფლაგმანი იყო საბჭოთა კავშირში, მაღაროთა და ტრესტ „ჭიათურმანგანუმის“ გამართულ მუშაობაზე მთელი ქვეყნის მეტალურგიის ბედი იყო დამოკიდებული. მართალია, არსებობდა მეორე, უკრაინული საბადოც, ნიკოპოლისა, მაგრამ ჭიათურისა მას ბევრად აღემატებოდა, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

და, აი, ამ ვითარებაში „ჭიათურმანგანუმი“ სამუშაო გეგმებს ვერ ასრულებს — ვერც ექსპლოატაციისას და ვერც მშენებლობისას! შესაბამისად, მარგანეცით გემების დატვირთვა ფოთის ნავსადგურშიც მუდმივად შეფერხებულია. პორტში შემოსული გემების ამ საათობრივ მოცდენას კი სახელმწიფო საკუთარი ჯიბიდან ვალუტით ანაზღაურებს. არადა, ჭიათურაში სამუშაო რეჟიმია, ერთი დღის ჩავარდნა მთელი წლის გეგმას ანგრევს და აზარალებს.

ჩემი ფიქრით, ეს იყო შედეგი იმისა, რომ არც საკავშირო, არც რესპუბლიკური და არც ადგილობრივი ორგანოები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებოდნენ ჭიათურასა და მის პრობლემებს. მიუხედავად იმისა, რომ ჭიათურის მნიშვნელობა დღესაც განუზომელია — მისი მანგანუმი სასოცოცხლოა მეტალურგიის განვითარებისთვის, საფუძველია ფოლადის წარმოებისთვის.

აი, ასეთ მოუთმენელ ვითარებაში, ერთ დღესაც, რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ, იქვე, სხდომათა დარბაზის გვერდითა სამუშაო ოთახში, შეგვკრიბა ვასილ პავლეს ძე მჟავანაძემ ცკ-ის ბიუროს მთელი შემადგენლობა; კონკრეტული დავალებები მისცა დამსწრეთ, ჩამოაგდო სიტყვა ჭიათურაში შექმნილ მდგომარეობაზე და ამასვე მოაყოლა, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხიც გვაქვს გადასაწყვეტიო. ახლა ჭიათურას ისე უჭირს, ადგილობრივი პარტორგანიზაციის გასამაგრებლად, ჩვენი რიგებიდან ერთი ახალგაზრდა სპეციალისტი მაინც უნდა დავახმაროთო.

ამის გაგონებაზე პირკატა მეცა: ბიუროს წევრებში, ერთადერთი „ახალგაზრდა“ და თანაც „სპეციალისტი“ — გეოლოგი, სამთო საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედული, მე ვიყავი! ამ მიხვედრაში რომ ვარ, მჟავანაძის უკვე შემდეგი ფრაზა მომესმა: ამხანაგებო, ასეთ კანდიდატურად პირადად, მე ამხანაგი თამაზ ჯანელიძე მეგულება, არის წინადადება, ის გავუშვათ ჭიათურის პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად და თქვენ რას იტყვითო.

ეს ჩემთვის იმდენად მოულოდნელი გადაწყვეტილება იყო, უნებლიე კითხვა წამცდა, მე? დიახო, მომიჭრა მჟავანაძემ. კი, ბატონო, მივუგე უმალ. ბიუროს სხვა წევრები კი თავჩაღუნულები სხედან, ხმას არავინ იღებს, ხედავენ, რომ მათ თვალწინ სპექტაკლი თამაშდება.

მჟავანაძემ, თითქოს ვერ დაიჯერა, ცენტრალური ხელისუფლებიდან ექსორიაქმნას ასე ერთბაშად რომ დავთანხმდი და ამ ფრაზას ისევ და ისევ მიმეორებდა. მეც, ყოველ ჯერზე, ფრიადოსანი მონაფის სისხარტით ვპასუხობდი, კი, ვასილ პავლოვიჩ-მეთქი. მაგრამ ამასობაში მოვასწარი გონს მოსვლაცა და სიტუაციის შეფასებაც... თვალწინ დამიდგა ჩემი მოხსნა, პარტიიდან გარიცხვა, პრესაში გამოჭენება და სხვა უბედურებები და მეტი დამაჯერებლობისთვის, ფრთიანი ფრაზაც მოვიშველიე: “Партия говорит – надо, а комсомол отвечает -есть”! გულწრფელად ვთქვი, ამ სიტყვებში მისხალი ირონია არ გამირევია. ალბათ, ქვეცნობიერად, თავდაცვის

ინსტინქტმა იმუშავა.

ეს რომ გაიგონა, ვიგრძენი, როგორ ამოისუნთქა კაცმა, ადგილი ასე უბრძოლველად რომ დავთმე. არადა, სხვაგვარად არ შემეძლო. თუ პირველი მდივანი და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მთელი შემადგენლობა ასე ფიქრობდა, ცხადია, არც მე მქონდა, უფლება, რომ სხვაგვარად მეფიქრა, ან მოვქცეულიყავი. ასე ვიყავით აღზრდილები!

დამინყეს მოლოცვა და სიყვარულის ახსნა. მჟავანაძე იმასაც კი დამპირდა, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აგირჩევთო. რასაკვირველია, მსგავსი არაფერი გაუკეთებია, გარდა ერთისა: იყო ჭიათურაში საქმის აწყობის უმკაცრესი მოთხოვნები!

რაც შეეხება ჩემს დეპუტატობას... კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობის დროს მე სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატიც ვიყავი. მაგრამ როგორც პარტიის ჭიათურის ქალაქკომის პირველ მდივანს, ამ დონის დეპუტატობა აღარ მეკუთვნოდა. ესე იგი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობას უნდა დავჯერებოდი.

ასე სახელდახელოდ და დაძალებით გამამწესეს ჭიათურაში, მაგრამ მე ჯერ აქაური ამბები მადარდებს. განვიცდი, კომკავშირში ჩემს მერე როგორ წავა საქმე. მინდა, ღირსეული მემკვიდრე დავტოვო, ვინც, ჩემი ფიქრით, არაფერს გაუჭირვებს ჩვენს 700 ათასკაციან ახალგაზრდულ ორგანიზაციას.

აქ ერთი ნიუანსიცაა: რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობა არადროს ყოფილა ხელწამოსაკრავი თანამდებობა, მაგრამ სამსახურებრივი პასუხისმგებლობა განსაკუთრებით დაამძიმა 1956 წლის მარტის მოვლენებმა და იმან, რომ იქ, ცენტრში ჩვენცა და ჩვენი პარტიული კოლეგებიც მენშევიკებად გამოგვაცხადეს.

ეს ვითარება ძალიან მაფიქრებდა, ამიტომ გავუბედე მჟავანაძეს თხოვნა თუ მოთხოვნა, ბარემ ჩემს გადაყვანამდე გადაგვეწყვიტა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კანდიდატურის საკითხიც. მაგი უკვე გადავწყვიტეთ მე და შელეპინმაო, მივიღე პასუხად. მე, რასაკვირველია, ვიცოდი, რომ ნათელა ვასაძეზე მიმანიშნებდა. ნათელა შესანიშნავი მუშაკი იყო — გამოცდილიც, ენერგიულიცა და საკმაოდ პრინციპულიც, მაგრამ როგორც ახალგაზრდა ქალი, ვერ გავიმეტე იმ გაუსაძლისი დატვირთვებისთვის, რასაც პირველი მდივნობა თავისთავად გულისხმობდა. ამ ერთადერთი მოტივაციით ვხელმძღვანელობდი, როდესაც ვთხოვე

მჟავანაძეს, რომ ჩვენი მეორე მდივანი ედუარდ შევარდნაძე პირველ მდივნად გადმოგვეყვანა.

კი, ბატონოო, მომინონა არჩევანი მჟავანაძემ. აღმოჩნდა, რომ შევარდნაძის კანდიდატურის საწინააღმდეგო პირადად, მას არაფერი ჰქონია. ერთი სიტყვით, გადავწყვიტეთ ეს საკითხი. მე კი მაშინვე ჩემს ხალხთან გავვარდი, რომ ცკ-ის მთელი აპარატისთვის ჩემი და ედუარდის გადაყვან-გადმოყვანის ამბები შემეტყობინებინა.

ჭიათურაში მეორე თუ მესამე დღეს გავემგზავრე. გრიგოლ ქადაგიძესთან ერთად, რომელიც როგორც პარტიის ცკ-ის მდივანი, რესპუბლიკის მრეწველობას კურირებდა. ბატონი გიგიშა, როგორც მას შინაურულად ვეძახდით, ყოფილი რკინიგზელი გახლდათ. რუსეთმოვლილი კადრი იყო — იქ რომელიღაც გზის უფროსად ემუშავა, სანამ საქართველოში გადმოიყვანდნენ.

ეს იყო ძალიან გონიერი, საქმიანი და განათლებული ადამიანი, გაბრაზებულსა და მოჩხუბარს ვერ დაინახავდით, კეთილი სიტყვით თუ უსიტყვოდ კი ყველა ემორჩილებოდა და პატივს სცემდა. ჭიათურაში სწორედ მან წამიყვანა თავისი ვაგონით.

კარგად მახსოვს, სადგურზე დაგვხვდა ვინმე გაფრინდაშვილი — ვაგზლის უფროსი; დაბალი, ჩამრგვალებული კაცი, თავზე კოკარდიანი დიდი წითელი ქუდით, „ჩესტი" ჰქონდა აღებული — დიდი ზარ-ზეიმით მიგვიღო.

მივედით ქალაქკომში, სადაც 10 საათისთვის შეიკრიბა პლენუმი და, რასაკვირველია, ერთხმად ამირჩიეს.

მარტივად გადაწყდა ჩემი დაბინავების საკითხიც. ტრესტის გვერდით ახალი საცხოვრებელი კორპუსი აეშენებინათ თანამშრომლებისთვის და მეც იქ მომცეს მშვენიერი ოთხოთახიანი ბინა, თუმცა მე იგი მაშინვე გავუცვალე ჩემს პირდაპირ მცხოვრებ ტრესტის თანამშრომელს, წვრილშვილის პატრონს — ვინმე იობაშვილს სამოთახიან ბინაში. ის კაცი სიხარულით გადაირია, ჩემთვის კი ის სამოთახიანიც სავსებით კმაროდა.

საქმიანობა ჭიათურაში დავიწყე სიტუაციის გაცნობით. ჩავიცვი კირზის ჩექმა, მოვირგე „ტელოგრეიკა", დავიხურე მეშახტის „კასკა" და დავიწყე მაღაროების, კარიერების, სანგრევების, სამშენებლო უბნების შემოვლა.

მაღარო არ არის რიგითი ობიექტი და ყოველდღიურ ერთსაათიან შესვენებებსა თუ საკვირაო უქმეებზე გათვლილი რომელიმე ჩვეულებრივი წარმოება. ეს არის სამუშაოების უწყვეტი ციკლი, წუთჩაუგდები სამუშაო ყოველდღიურობა, რომელიც ადამიანისგან

თავდადებულ შრომასთან ერთად, ცხოვრების განსაკუთრებულ წესსაც ითხოვს. სანგრევი ვეშაპივითაა, ვერ წარმოიდგენთ, რა სისწრაფით ნთქავს ბიგებად ქცეული ხე-ტყის უზარმაზარ ულუფებს.

მაღარო ჭიათურელთა მთავარი მარჩენალია. ყოველი მეორე აქაური მაღაროში მუშაობს. ეს კავშირი ორმხრივი და ორგანულია, იმიტომ, რომ რა ხანია, არც ჭიათურა არსებობს უმაღაროდ და არც მაღარო უჭიათუროდ. ქალაქი მუდამ თავს იწონებდა მაღაროელთა მრავალრიცხოვანი ოჯახური დინასტიებით, ოჯახების მამებით, შვილებითა და ქმრებით, რომლებიც მეტს თუ არა, თავიანთი სიცოცხლის ნახევარს მაინც მიწისქვეშ ატარებდნენ.

მოსახლეობა ჭიათურასა და მის ზონაში თითქმის მთლიანად ქართულია. ერთხელ, რაღაც საიუბილეო დღეებში, დასაჯილდოებლებში გამოსაჩენად რუსი დამჭირდა და იქაურ პარტკომს სიქა გავაცალე, რომ ერთი მაინც აღმოეჩინა. რომ შემომიყვანეს კაბინეტში და თავის ენაზე ვკითხე, რა გვარი ხარ, სად მუშაობ და რას აკეთებმეთქი, ისე ააპარპალა თვალები, ბავშვიც მიხვდებოდა, რომ არ ესმოდა რუსულის ინჩიბინჩი. მაგრამ ქართულად, ზემოიმერულად რომ ვკითხე: ჭიათურელი ხარ, ბიჭო, შენე? აპა, არაო? – თვალგაბრწყინებულმა მიპასუხა. გვარით უკრაინელი იქნებოდა —- სკრიპნიკი, სახით კი ტიპური რუსაპეტა იყო: ცხვირპაჭუა და მწითური, მაგრამ ისე უქცევდა ჭიათურულად, მთელი ზემო იმერეთი დაიწვებოდა შურით.

აი, ეს დიდი ღირსება ჰქონდა ჭიათურას, მის მაღაროებსა და ფაბრიკებს, საერთოდ, მთელ იმ მხარეს — აქ ქართული მოსახლეობა შრომობდა.

თუმცა კი,წლიდან წლამდე ჭიათურა რჩებოდა მიყრუებულ სამრეწველო ქალაქად, რომლისგანაც თავდაუზოგავი შრომისა და „შავი ქვის" გარდა, არავის არაფერი უნდოდა, მისთვისაც არაფერს იმეტებდნენ.

საჭირო იყო ამ სტერეოტიპის დამსხვრევა. ჭიათურა თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, ნიჭიერი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით, მუშახელით თუ შესანიშნავი მოსახლეობით, უკეთეს ხვედრს ნამდვილად იმსახურებდა!

გამომდინარე აქედან, ათასგვარი საჭირბოროტო საკითხი გვექცეოდა ხოლმე განხილვისა თუ გადაწყვეტის საგნად მდივნებთან, ბიუროს სხდომებზე თუ ქალაქკომის განყოფილებებში. ეს მიღებული გადაწყვეტილებები, ჭიათურის სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად, უმკაცრესად კონტროლდებოდა, რაც, რასაკვირველია,

ხელს უწყობდა მათ შესრულებას.

დღემდე მიმაჩნია, რომ თუ სადმე მართლა ნაყოფიერად ვიმუშავე და ჩემი ყოველდღიური საქმიანობით რაიმე კვალი დავტოვე, ეს იყო ჭიათურა. ჭიათურული პერიოდი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი, საქმიანი, გადამდებად ენთუზიასტური და მობილური პერიოდია. დღიან-ღამიანად საქმეში ვიყავი. რასაკვირველია, იმის წყალობითაც, რომ იქ თავიდანვე უცოლშვილოდ აღმოვჩნდი და ყოველდღიური ოჯახური საზრუნავები ნაკლებად მაწუხებდა.

გადაყვანისთანავე ისე ითქვა, ერთი-ორი წლითო, რომ ასეთი ხანმოკლე გადაბარგება-გადმობარგებისთვის ვერ გავიმეტე ცოლ-შვილი და ისევ მარტოხელობა ვამჯობინე. იმიტომ, რომ გარდა გოგონების მოწაფეობისა, მაშინ დღის წესრიგში იდგა ჩემი მეუღლის დისერტაციის საკითხიც და იქ რომ გამომყოლოდა, რასაკვირველია, ეს ყველაფერი კიდევ უნდა გადადებულიყო. რა თქმა უნდა, არც ის მინდოდა, რომ ბავშვები წლობით შეჩვეული სკოლისა თუ სკოლის-გარეშე დატვირთვებისთვის მოგვეწყვიტა. მით უფრო, რომ მიუხედავად ფიზიკური სიშორისა, არც მთლად ცოლ-შვილის უნახავობა გამომდიოდა. თითქმის ყოველკვირა მიწევდა თბილისში ყოფნა — თათბირებზე თუ სხვა საქმეებზე და, რაღა თქმა უნდა, შინ შერბენას წინ რა დაუდგებოდა. თავის მხრივ, ცოლ-შვილიც ჩამომაკითხავდა ხოლმე, ძირითადად — სასკოლო არდადეგებზე. ზაფხულობითაც, ჭიათურისკენ ვასვენებდი — პერევისაში, ულამაზეს იმერულ სოფელში, წერეთლებთან.

ასე რომ, მთლიანად საქმეს ვეკუთვნოდი. მთელ ჩემს სამუშაო-არასამუშაო დროს მაღაროების, გამამდიდრებელი ფაბრიკების თუ ქალაქის მშენებარე ობიექტების შემოვლას ვახმარდი. კაბინეტამდეც დღის მეორე ნახევარში თუ მივაღწევდი ხოლმე. სულ ხალხში ვტრიალებდი — ხან მნგრეველებთან, ხან — არქიტექტორებთან და ხანაც გზის გამყვანებთან.

ჭიათურაში რომ გამიშვეს სამუშაოდ, როგორც ეს საერთოდ, ადამიანებს სჩვევიათ, ძალზე ბევრმა ჩათვალა საჭიროდ, რომ ჩემთვის გარკვეული რჩევები მოეცა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით დამამახსოვრდა საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივანი პაველ კოვანოვი, რომელიც ჩემს მიმართ ყოველთვის კარგად იყო განწყობილი. საკმაოდ საგულისხმო რჩევა მომცა, რომლითაც მთელი ჩემი პარტიულ-სამეურნეო კარიერის მანძილზე ვცდილობდი მეხელმძღვანელა. კოვანოვმა კი მითხრა, ახალ სკამზე რომ დაჯდე-

ბი, მაინცადამაინც ნურც კუდებს მიიყოლებ და ნურც ძალიან დაეშურები ხალხის გამოცვლას. შეეცადე, ვინც დაგხვდება, იმათთან ითანამშრომლო და თანაც ისე, რომ შედარებით ცუდები გაცილებით უკეთესები გახადოო.

მართლაც, თუ დაუკვირდები, მაინცადამაინც მოსაწონი ვერაა, როცა ახალდანიშნული თანამდებობის პირი სამუშაო ადგილზე თავის „კუდებს" მიიყოლებს. თუმცა, ჩვენთან ამას დაუწერელი კანონივით აღიარებენ (ახლა უკვე ამაყად, „ ჩემს გუნდს" ეძახიან). არადა, ეს არც კორექტული და კაცმა რომ თქვას, არც ძალიან გონივრული საქციელია. იმ გამოცვლილ მუშაკთა ავკარგიანობასაც რომ არ მივხედოთ, განა გამორიცხულია, იმ ახალ დანიშვნებში უფრო უხეში შეცდომები რომ დაუშვა?!

კოვანოვს დავუჯერე და ეს არასდროს მინანია, მით უფრო, რომ ჭიათურაში შესანიშნავი პროფესიონალური გარემო დამხვდა.

ამ მხრივ განსაკუთრებით „მანგანტრესტის" მმართველი შალვა შეყლაშვილი მახსენდება — ძალზე განათლებული სამთო ინჟინერი და გამოცდილი მუშაკი. კარგა ხანს მუშაობდა ჭიათურაში და როგორც შავი მეტალურგიის სამინისტროს, ისე საგეგმო კომიტეტისა და მთავრობის დიდი მხარდაჭერითაც სარგებლობდა. საკმაოდ მეგობრული თანამშრომლობა ჩამოგვიყალიბდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემგან ძალიან პრინციპული მომთხოვნელობა იყო. მაგრამ ერთმანეთთან პიროვნული საჭიდაო ნამდვილად არასდროს არაფერი გვქონია. ამიტომაც, უკვე უახლოეს თვეებში საერთო გამარჯვებას — გეგმების შესრულებას ვზეიმობდით.

კოვანოვთან დაკავშირებით ერთი სახუმარო ამბავიც მახსენდება. ეს იმდროინდელი ისტორიაა, ხრუშჩოვმა თავისი რეფორმატორული ზეშთაგონების რომელიღაც ეტაპზე მთელ კავშირს გოჭების დაკვლა რომ აუკრძალა, აქაოდა, რომ დააღორებთ, მხოლოდ ამის მერე დაკალით და მიირთვითო. ეს გოჭების საქომაგო პოლიტიკურ-ეკონომიკური აქცია მთელ ქვეყანაში დიდი გულმოდგინებით კონტროლდებოდა. ამ ღონისძიებაში ჩართული იყო კოვანოვიც, რომელსაც ქართველების პურმარილიანობა საკუთარ თავზე კი ჰქონდა გამოცდილი, მაგრამ სადაც ჩადიოდა, შეძლებისდაგვარად, ამ აკრძალვის კვალზე, შესაფერის აგიტაციას მაინც ეწეოდა.

ერთხელაც... ჩასულა მარნეულში, მგონი, ჯიბლაძის რაიკომის მდივნობის დროს. უპურმარილოდ ვინ გამოუშვებდა და, რასაკვირველია, გოჭიც მიურთმევიათ, ოღონდ მთელი კი არა, დაჭრილი. კითხვით კი უკითხავს, ეს რა არისო, გოჭიო, დიდი ამბით, მაგრამ

რატომღაც ქართულად აუხსნიათ მასპინძლებსაც. მოწონებია რომელია... ყოჩაღად გაუსვ-გამოუსვა თურმე ხელი, ერთთავად ამას გაიძახოდა თურმე, „გოჩი, გოჩიო" მაგრამ ის სუფრა რომ შეირგო, მერე, შემთხვევით, ვიღაცისგან შეუტყვია, რომ სწორედ „პარასიონოკი" იყო ის მისი მოწონებული გოჭი და გადარეულა, მაგრამ გადარჩა – ხრუშჩოვს არაფერი შეუტყვია!

მრეწველობის განვითარება ქვეყანაში დიდად იყო დამოკიდებული შავი მეტალურგიის განვითარებაზე. ამიტომ ჭიათურის მოთხოვნებს, როგორც წესი, მწვანე გზა ეძლეოდა.

თუმცა, საქმე არც მთლად ასე მარტივად გახლდათ ხოლმე, ყველაფრისთვის ბრძოლა იყო საჭირო. ჭიათურის მრეწველობის განვითარების საკითხები რესპუბლიკის გარეთ, ცენტრში წყდებოდა და ამდენად, რასაკვირველია, ადგილობრივი ორგანოების გავლენა გაცილებით ნაკლები იყო.

აი, სწორედ ეს სტერეოტიპი იყო შესაცვლელი, ეს კი საკმაოდ რთული გახლდათ. თუმცა, საბოლოოდ, ეს მაინც მოხერხდა. და აქ, რასაკვირველია, ძირითადი გახლდათ კადრების სწორი შერჩევა და გადანაწილება. ჭიათურაში, ტრადიციულად, საკმაოდ მაღალი დონის ტექნიკური ინტელიგენციაა. ძირითადად მოღვაწეობენ, რა თქმა უნდა, სამთოელები, პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები. ასე რომ, ინსტიტუტში სწავლისა თუ მუშაობის დროიდან ბევრ მათგანს ვიცნობდი და ზოგიერთთან კიდეც ვამხანაგობდი.

ჭიათურაში სამთო მრეწველობის განვითარება, ბუნებრივია, მოითხოვდა სამშენებლო საქმის ფორსირებულ განვითარებას. „მარგანტრესტში" არსებული სამშენებლო სამმართველო საქმეებს უკვე ველარ აუდიოდა. ამიტომ შესაბამის ორგანოებთან შუამდგომლობით, ჩვენ შევქმენით მეორე დიდი სამშენებლო ტრესტი — „ჭიათურმანგანმშენი" და სათანადოდ დავაკომპლექტეთ კიდეც ინჟინერ-მშენებლებით.

ტრესტის უფროსად დაინიშნა ვასილ გოგუა — საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყოფილი თავმჯდომარე. ძალიან საქმიანი, მონდომებული და სასიამოვნო ადამიანი გახლდათ და ამდენად, არც ჭიათურელ მშენებელთა რიგებში გასჭირვებია ჩაწერა.

ასე რომ, ჭიათურას უკვე ორი მძლავრი ტრესტი გაუჩნდა: ერთი იყო საექსპლოატაციო, ანუ „ჭიათურმანგანუმი", მეორე კი — „ჭიათურმანგანმშენი", ამ ყველაფერმა კი, ბუნებრივია, ხელი შეუწყო საქმეთა უკეთ წარმართვას.

ორი წელი ვიმუშავე ჭიათურაში, ვფიქრობ, არცთუ ცუდად, რად-

გან უკვე მესამე-მეოთხე თვეში გეგმების საქმე სასიკეთოდ შემოვატრიალეთ. გამოსწორდა მანგანუმის მოპოვებისა და მშენებლობის მაჩვენებლებიც. მეორე მხრივ, ეს ახალი თანამდებობრივი დატვირთვა თუ პასუხისმგებლობა მეც არანაკლებ წამადგა, რომ ენერგიისა და ენთუზიაზმის ყველა რესურსი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავში მეპოვნა.

ამით იმის თქმა მინდა, რომ ჭიათურამ სულ სხვაგვარი გამოცდილება მომცა. ჩემი შინაგანი განწყობით. ფაქტობრივად, მეც მაღაროელად მაქცია. წუთიც არ მქონია, რომ არ მეგრძნო, როგორ ვჭირდებოდი ხალხსაც და საქმესაც. უთენია გამოვიხურავდი ხოლმე ბინის კარს და ასე 3-4 საათამდე უკვე ყველა მაღარო მოვლილი მქონდა. ამის მერე ვინ უნდა შემოსულიყო ჩემთან, კაბინეტში და რა ცინცხალი პრობლემა უნდა შემოეჩივლა, რომ ჩემი მხრივ მეც ხელად არ მიმეგებებინა ადგილზევე მიღებული ინფორმაციით უკვე ჩამოყალიბებული შეხედულება თუ მოსაზრებები.

ამ საქმიანობით სულ მალე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ჭიათურიდან მარტო მარგანეცი უნდოდათ, თორემ თავად ქალაქის, მისი მოსახლეობისა და მაღაროელთა ბედით დიდად არავინ ინტერესდებოდა. ეს განსაკუთრებით ითქმოდა სსრკ საგეგმო კომიტეტზე, რომელზეც ძალიან ბევრი აქაური პრობლემის მოგვარება იყო დამოკიდებული, მრეწველობისა და მშენებლობის გარდა ქალაქს ჰქონდა უამრავი სხვა პრობლემაც. მართალია, სსრკ შავი მეტალურგიის სამინისტრო ითვალისწინებდა ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარების თანხებსაც, მაგრამ აქაურები მას წლიდან წლამდე ვერ ითვისებდნენ, ან თუ აშენებდნენ, ხეირიანს – ბევრს ვერაფერს.

ჩემი საქმიანობის ჭიათურული პერიოდიდან ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო. მით უფრო, რომ გარკვეულწილად, იგი საბედისწერო გამოდგა ჩემი პარტიული კარიერისთვისაც... იმდენად, რამდენადაც კიდევ ერთხელ, კონკრეტული ფაქტით გამოვხატე ზემდგომთა გულარხეინობასა თუ ინერტულობასთან ჩემი ხასიათის შეუთავსებლობა:

მოგეხსენებათ, სამაგრი ხე-მასალა სამთო წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მაღაროში, წმენდითი სამუშაოების წინსვლასთან ერთად, კედლებისა და ჭერის გამაგრებაცაა საჭირო. ეს ხდება ე. წ. ბიგებით, ძირითადად, წიწვოვანი ჯიშების 20-25 სმ მრგვალი ხის მასალით. ეს მასალა იგზავნება ეშელონებით კრასნოიარსკიდან და ვაგონებიდან პირდაპირ საქმეში მიდის. უადგილობის გამო, არავითარი საშუალება არ გვქონდა ამ საგანძურის

დასანყობებისა, რომ რაიმე მარაგის შექმნაზეც გვეფიქრა. არადა, დღეში ერთი ეშელონი ხე-მასალა მაინც უნდა შემოვიდეს, რომ სამუშაო არ შეფერხდეს.

მაგრამ 1958 წელს მოხდა ისე, რომ შეგვინყდა კრასნოიარსკიდან ბიგების მოწოდება, ატყდა ერთი ალიაქოთი: ბიგა არ შემოდის, ესე იგი, სანგრევიც წინ ვერ იწევს, წმენდითი სამუშაოები შეჩერებულია და შესაბამისად, მარგანეცით ეშელონებიც ვეღარ იტვირთება. შედეგად კი ფოთში უცხოური გემების მოცდენისთვის ქვეყანას ჯარიმის გადახდა უწევს ოქროთი.

დახმარება ვთხოვე საქართველოს ცკ-ის მეორე მდივანს, კოვანოვს. მირჩია, სამინისტროს მიმართეო; დავურეკე მუავანაძეს — რეაქცია არ არის; ვუდეპეშე სკკპ ცკ-ის მრეწველობის განყოფილების გამგეს, რუდაკოვს — ყური არც იმან მათხოვა. არადა, უკვე ორი დღეა, მაღაროები ცდება, ესე იგი, წლის გეგმა უკვე ჩაგვივარდა!

ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში რომ ვართ, ვიფიქრე, ვიფიქრე და პირდაპირ ნიკიტა ხრუშჩოვთან ვაფრინე დეპეშა! ასეთი ტექსტით: "Москва, Кремль, Хрущову! Поступление рудостройки из Красноиярска приостоновлено, добыча руды не производится, в Поти корабли не грузятся, государство платит золотом за простой. Прошу помочь. Секретарь Чиатурского горкома Партии Джанелидзе".

იმავე დღეს, ცოტა მოსაღამოებულზე, კრებაზე რომ ვარ, მომნახეს რომელიღაც მაღაროში, სასწრაფოდ მოსკოვიდან გირეკავენო. ავიღე ყურმილი და თავად ხრუშჩოვის თანაშემწე მელაპარაკება: "Никита Сергеевич получил вашу телеграмму, дано указание, составы с крепежным лесом направлены в ваш адрес".

ეს, რასაკვირველია, საუცხოო ამბავი იყო, მაგრამ საქართველომდე იმ შემადგენლობის მოღწევას კი სჭირდებოდა ასე ორ კვირამდე. მეტი რა გზა გვქონდა — მოვუცადეთ. ის ამოდენა დრო კი, ბუნებრივია, წარმოებამ, ქალაქმა და ქვეყანამ იზარალა!

ამით იმის თქმა მინდა, რომ ცენტრალური ხელისუფლების რეაგირება ნამდვილად ელვისებური იყო: დათქმულ დროში ეშელონები მართლაც ჩამოვიდა, ბიგა გაჩნდა, მუშაობა გახურდა და ჩვენც ყველამ ამოვისუნთქეთ. თუმცა, პირადად ჩემთვის ამ ხმაურს არც მთლად უმტკივნეულოდ ჩაუვლია: რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ არცთუ სასხვათაშორისოდ მაგრძნობინა, რას ჰქვია, გენერალური მდივანი შეაწუხე ასეთ წვრილმანზეო. მაგრამ... ალბათ, გააჩნია, ვისთვის რას შეიძლება ეწოდოს წვრილმანი! მე დღესაც ვერ ვხვდე-

ბი, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ჭიათურის მაღაროების გაჩერებაზე უფრო მსხვილმანი ქვეყნისთვის. რადგან, კიდევ გავიმეორებ, რომ ეს იყო წარმოება, რომლის ერთი ზარალიანი დღეც წლიურ გეგმას აგდებდა!

მოკლედ, ამ ეპიზოდმა გამირთულა ურთიერთობა ხელმძღანელობასთან. ალბათ, სკკპ ცენტრალური კომიტეტიდან უსაყვედურეს, ჭიათურას ყურადღებას რატომ არ აქცევთო... მით უფრო, რომ თავიდანვე მქონდა შეუპოვარი ხელქვეითის რეპუტაცია. თუ სიმართლე ჩემს მხარეზე იყო, ზემდგომს არაფერს შევარჩენდი და აუცილებლად, შევებმებოდი სიტყვაში. შესაძლოა, ბევრისთვის გაუგებარია ტაქტიკა, რომლითაც ვხელმძღვანელობდი: ზემდგომებს ვეკამათებოდი და ქვემდგომებს ვეფერებოდი. რაც შეეხება ჩემი უტეხი და უკმეხი ხასიათისადმი საკუთრივ ჩემსავ დამოკიდებულებას... მიმაჩნია, რომ მან ჩემს კარიერას ნამდვილად შეუქმნა არაერთი დაბრკოლება. ბევრი ამქვეყნიური სიკეთე ამარიდა, არც პიროვნულ თვითრეალიზებაში შემიწყო ბოლომდე ხელი, მაგრამ თავი არასდროს დამიდანაშაულებია და არც ერთი ნაბიჯი სანანებლად არ გამხდომია.

მარტო პრინციპული კი არა, აბეზარიც შემეძლო ვყოფილიყავი, თუკი საკუთარი სიმართლის დაცვა მიხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მეც იმ საზოგადოების წევრი გახლდით, უფროსისთვის კვერის დაკვრას რომ მიაჩვიეს; რომელსაც თავხედობად მაინც ჩამოერთმეოდა, ხელმძღვანელობის თანდასწრებით საკუთარი, საწინააღმდეგო მოსაზრება რომ გამოეთქვა.

მახსოვს, ერთხელ ამ ხასიათის გამო, ჩემმა მეუღლემ უხერხული ხელქვეითი მიწოდა! ვფიქრობ, უზუსტესი შეფასებაა. დიახ, ჩემი ცხოვრების ყველა ეტაპსა თუ კრიტიკულ ვითარებაში მე სწორედ ასეთი ვიყავი და ამიტომაც განვვლე ისეთი გზა, როგორიც განვვლე...

კიდევ ერთი რამ მეჩვენება ძალზე მნიშვნელოვნად ჩემი იმდროინდელი შთაბეჭდილებებიდან: ჭიათურელი ალბათ, მსოფლიოში ერთადერთი ტიპია ქალაქელისა, რომელიც არ მალავს და კაცმა რომ თქვას, არც სოციალური პირობები აძლევს ამის დამალვის საშუალებას, რომ რეალურად იგი წარმოებაში დასაქმებული გლეხია. თავისი ბუნებით, მეურნე კაცი, რომელიც მაღაროელის უმძიმესი შრომის მიუხედავად, ვერა და ვერ ელევა სადღაც მთის კორტოხზე დაკიდებულ მინის ციცქნა ნაჭერსაც. თუმცა სად მიწა და სად ჭიათურა — სულ მთა, კლდე და ფერდობებია. ქალაქის მოსახლეობას

მინა დასამუშავებლად კი არა, საცხოვრებლადაც არ ყოფნის.

მაღარო აქაური სოფლელებისთვისაც დაუყვედრებელი მარჩენალია. ვფიქრობ, ეს ასე იყო ამ უკანასკნელ ათწლეულამდეც და მით უფრო, ეს ასე გახლდათ მაშინ – საუკუნის 50-იანების მიწურულს. უნდა გენახათ, როგორ ჩამოდიოდნენ, უმეტესწილად, ფეხით, ჭიათურის საკმაოდ მაღალმთიანი სოფლებიდან ქალაქში. მაღაროში რვასაათიანი სამუშაო ცვლებია, მაგრამ ეს საცოდავები სამ-სამ ცვლას ერთბაშად მოითავებდნენ ხოლმე, სამი დღის ცალკე გზისა და ცალკე მაღაროში შრომის სიმძიმე ერთად რომ მოელიათ და დარჩენილი „თავისუფალი" დრო ოჯახისა თუ მეურნეობისთვის მოეხმარებინათ.

მოგეხსენებათ, ეს დაუზარელი „ფეხოსნები" უღარიბესთა შორის მეტნი იქნებოდნენ, თუმცა, ისე მახსოვს, რომ მაღალმთიანი სოფლებიდან ჭიათურამდე ავტობუსები მაშინაც დადიოდა. რაც შეეხება გზებს, ისევე, როგორც საქართველოს მთელ მაღალმთიანეთს, ჭიათურასა და მის ზონასაც გზები შემაწუხებლად უჭირდა და მეც ჩასვლისთანავე, ქალაქის პირველი დანაზოგები სწორედ მათი შეკეთება-მოწყობისკენ მოვმართე, ვცდილობდი ამ უბრალო მშრომელი ხალხისთვის ცხოვრების ტვირთი რამენაირად შემემსუბუქებინა.

გარდა ადგილობრივებისა, საჩხერლებიც მუშაობდნენ ჭიათურაში. საჩხერესა და ჭიათურას შორის სულ რაღაც 10-11 კმ-ია. ეს გზა მაშინ წარმოუდგენლად იყო დანგრეული და გატიალებული. რასაკვირველია, იმიტომაც, რომ მასზე, გარდა ჩვეულებრივი სამგზავრო ტრანსპორტისა, დახრიგინებდნენ 25-ტონიანი „მაზები", „კრაზები" და სხვა ასეთები. დაუსრულებლად ეზიდებოდნენ სამშენებლო ტვირთებსა თუ მადანს. ასე რომ, პირველ რიგში, ამ გზის მოწესრიგება დავიწყეთ, განიერი გზა გაკეთდა, ბეტონის.

ამას წინათ ერთმა ჩემმა ნაცნობმა მაუწყა, 80-იან წლებში ჭიათურაში ჩაუტარებიათ მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვა და მის შედეგებს გამოუკვეთავს იქაურების ასეთი აზრიც, თამაზ ჯანელიძე ქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო თავკაცი იყოო. მკითხველს ვთხოვ, ნუ დამაბრალებს თავდაჯერებას. არც ერთი პერიოდის საკუთარ ნამუშევარზე არ ვარ განსაკუთრებული აზრისა და ეს, რასაკვირველია, ჩემი ცხოვრების ჭიათურულ წლებზეც ვრცელდება... მაგრამ ჭიათურაში გატარებულ ორ წელიწადზე რომ ვფიქრობ, საკუთარი თავით უკმაყოფილებისთვის გაცილებით ნაკლები საბაბი მიჩნდება. იმიტომ, რომ მართლა გულით ვაკეთებდი, რაც იქ

გავაკეთე და ამ მცდელობაში ვგონებ, მცირე რაღაცის დატოვება მაინც მოვახერხე ქალაქისთვის.

მაგალითად, სწორედ ჩემი მდივნობის დროინდელია ჭიათურის სამგზავრო საბაგირო გზა, კულტურის სახლი, რომელიც, როგორც მაშინ ამბობდნენ, ცუდი არ გამოსულა. ასევე, მაშინ აშენდა დახურული ბაზარი, სტადიონი, კალათბურთის მოედანი, ფიცარნაგიანი საფარით, რომელიც ძალზე საინტერესო კონსტრუქციისა გახლდათ — მდინარის პირას იყო აღმართული და კონსოლებზე გადმოკიდებული ტრიბუნებით ზედ მდინარის თავზე გამოდიოდა.

უჩვეულოდ შთამბეჭდავი ნაგებობა იყო. სწორედ მისწრება ჭიათურისთანა მცირემიწიანი ქალაქისთვის. ეს ობიექტი შედარებით ძვირი დაგვიჯდა, მაგრამ ჭიათურა ამ მხრივ გამონაკლისი იყო — ქალაქის ბიუჯეტს ფული ნამდვილად არ უჭირდა. მისი მაღაროები, საკავშირო დაქვემდებარების წყალობით, საკმაოდ კარგად ფინანსდებოდა.

მახსოვს, სწორედ ამ სტადიონზე ჩავატარეთ საქართველოს ახალგაზრდული გუნდების პირველობა, რამაც დიდი სიხალისე შემოიტანა ქალაქში.

რომ ჩავედი, ერთადერთი, რაც ამ ქალაქს ჰქონდა, იყო თეატრის შენობა. მშვენიერი ნაგებობა, თუმცა გარეგნულად საკმაოდ შელახული. ჭიათურელებს თეატრი უყვართ. თბილისური დასების ჩამოსვლა მათთვის ყოველთვის დიდი ზეიმი იყო. მაგალითად, მახსოვს, რომ ჩემს იქ ყოფნაში რუსთაველის თეატრი ერთკვირიანი თუ ათდღიანი გასტროლებით გვესტუმრა. რასაკვირველია, სპექტაკლები დიდი წარმატებით ჩაატარეს. თანაც, ჭიათურელები ძალიან პურმარილიანი ხალხია და თითქმის ყოველი სპექტაკლის მერე საქეიფოდ და დროის გასატარებლად ეპატიჟებოდნენ. ცალკეული ოჯახები მასპინძლობდნენ ხოლმე.

აი, ბანკეტი კი რესტორანში გადავუხადეთ. რესტორნის გამგე, გერვასი ვაშაძე, გამოცდილი რესტორატორი და დიდი ხუმარა კაცი იყო. დღემდე არ მავიწყდება ჩვენი სუფრის წევრ ერთ-ერთ ბრწყინვალე მანდილოსანს რომ გადაულაპარაკა, მანამ იცოცხლეთ, სანამ მე ლენინის ორდენს არ მომცემენო. ამ სიტყვებზე ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი, მართლაც მაშინ რესტორნის დირექტორს ლენინის ორდენს ვინ მისცემდა?!

დიახ, ჭიათურა ნამდვილად თეატრალური ქალაქი იყო, მაგრამ სხვა ყველაფერი უჭირდა — გზები იქნებოდა ეს თუ საცხოვრებელი სახლები. მე შევეცადე ბინათმშენებლობის მასშტაბები გა-

მეფართოებინა. სწორედ იმ მოკლე ხანში გაშენდა ქალაქის რიგი საცხოვრებელი უბნები. იმ ხუთსართულიანებში, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მუშები შევასახლეთ. მაგალითად, ჭიათურაში დღემდე არსებობს ნაგუთის დასახლება, მისი მოსახლეობა მთლიანად მაღაროელებისა და ტრესტის თანამშრომლებისგან შედგება. ესეც ჩემი დროინდელია. იმ ინტენსიური მშენებლობებით მაშინ საკმაოდ ბევრმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები და ამის გათვიცნობიერება ნამდვილად იყო დიდი სიამოვნება.

დავიწყე, აგრეთვე, გზების მოწესრიგებაც. უპირველეს ყოვლისა, მაღაროებამდე მისასვლელი გზებისა. გავიყვანეთ ჭიათურა-საჩხერის დამაკავშირებელი ტროლეიბუსის ხაზი. ბევრი რამ ჩემს დროს მოესწრო, ბევრიც ზურაბ პატარიძის პერიოდში დაიწყო და გაკეთდა. ისე მოხდა, რომ შიდა გზების გაჭრა-მოწესრიგება თუ შეკეთება, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ორივემ ნომერ პირველ გადასაწყვეტ პრობლემად გავიხადეთ.

ითხვისის მაღარო მახსენდება, რომელზეც მადნის მოპოვების ლომის წილი მოდიოდა. ეს მაღაროთა ს სამმართველო ექსპლოატაციაში სწორედ ჩემი პირველი მდივნობის დროს შევიყვანეთ. მაქსიმალურად მექანიზებული მაღარო იყო, ამწმენდი და სატვირთო მანქანები და ათასგვარი სხვა ტექნიკა ჰქონდა. მაგრამ მის მექანიზმებთან მუშაობას ყველა უფრთხოდა. ალბათ, ამიტომ თავიდან ცოტა გაგვიჭირდა სერიოზული სპეციალისტებით მისი დაკომპლექტება. მის დირექტორად კი დავნიშნეთ ახალგაზრდა ენერგიული ინჟინერი ზურაბ პატარიძე, რომელსაც მე ჯერ კიდევ პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან ვიცნობდი.

მაშინ ჩვენ პარტიული მობილიზაცია გამოვაცხადეთ და ქალაქკომის დადგენილებით, 100 კომუნისტი საუკეთესო მუშა და სპეციალისტი ახალი ითხვისის მაღაროთა სამმართველოში გადავიყვანეთ.

მახსოვს, ერთხელ ერთი მოსკოველი ახალგაზრდა ჟურნალისტი გვესტუმრა. მაღაროელთა ცხოვრება და შრომა აინტერესებდა, პუბლიკაცია უნდა მოემზადებინა რომელიღაც საკავშირო გაზეთისთვის. რა თქმა უნდა, ქართულის არაფერი ესმოდა. არადა, ქართული გვარის კაცი იყო – ასე ოცდაათიოდე წლისა, ცოტა ინტელიგენტური, ცოტა პრანჭია და თანაც – მაღაროში შესვლას მოითხოვს. გავაყოლე კაცი: წაიყვანე ერთი, დაათვალიერებინე-მეთქი. ვისაც გამოუცდია, დამემოწმება, მაღაროში შრომა კი არა, სიარულიც საოცრად დამღლელია. მოატარეს მთელი გვირაბები, გააძვრეს სიქა.

ერთი სიტყვით, ისეთი გალახული და გასაცოდავებული დამიბრუნეს, არასდროს დამავიწყდება, როგორ შემომხედა. მივუახლოვდი და ვკითხე, Ну как, ადვილია მაღაროელის შრომა-მეთქი?

რა ადვილი... მეშახტეობა ხომ უმძიმესი პროფესიაა, თავად დარწმუნდა, რომ არაფერი სცოდნია იმ უმძიმეს შრომაზე, მაღაროელები რომ ეწევიან.

ასე ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, საერთო შრომითა და მოწადინებით, ჭიათურა იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრად. ეს მოხერხდა ადგილობრივი ტექნიკური ინტელიგენციისა და ქალაქის ხელმძღვანელობის თავდაუზოგავი შრომით, რომელშიც ყველა ჭიათურელი თავისებურად მონაწილეობდა.

ასე მიდიოდა საქმე, ვიდრე ჩვენმა წარმატებებმა რესპუბლიკური თუ საკავშირო ჟღერადობა არ შეიძინა. ამასობაში ამუშავდა ნაცნობი სტერეოტიპი: სრულიად მოულოდნელად, გამომიძახეს ცკ-ში და გამომიცხადეს, რომ სამეცნიერო სამუშაოზე მიპირებდნენ გადაყვანას. თუმცა, მიუხედავად ამ წინადადებისა, შემომთავაზეს სხვა ადმინისტრაციული თანამდებობებიც. მაგალითად, რომელიღაც სამშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილეობა. მაგრამ მე დიდი მადლობით მოვახსენე, რომ ჩემთვის სამსახურის ძებნით თავი არ შეეწუხებინათ და უფროს ინჟინრად წავედი გეოლოგიის ინსტიტუტში.

მოკლედ, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კი მიიღო თანამდებობიდან ჩემი გათავისუფლების გადაწყვეტილება, მაგრამ ახლა საჭირო იყო, რომ ჭიათურაშიც მოეწვიათ ქალაქის კომიტეტის სხდომა და ეს დადგენილება განეხორციელებინათ. ანუ ქალაქკომს ღია კენჭისყრით გავეთავისუფლებინე.

ამ ოპერაციის ჩასატარებლად, ჭიათურაში მოავლინეს საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი იდეოლოგიის დარგში — ისიდორე დოლიძე. გაუგებარი იყო, მის ნაცვლად რატომ არ გამოგზავნეს, მაგალითად, გრიგოლ ქადაგიძე, რომელიც ჭიათურის მრეწველობას კურირებდა!

დაუყოვნებლივ მოიწვიეს ჩვენი ქალაქკომის პლენუმი — ქალაქკომის წევრები, მისი წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები და აი, სწორედ ამ ადამიანებს გამოუცხადა ისიდორე დოლიძემ, თამაზ ჯანელიძემ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს თხოვნით მიმართა, რომ გაეთავისუფლებინათ პარტიის ჭიათურის ქალაქკომის პირველი მდივნობიდან და სამეცნიერო სამუშაოზე გადაყვანა ითხოვაო.

გამოვიდა, რომ ბატონმა ისიდორემ ცოცხალი ტყუილის თქმა იკადრა, რადგან მე ნამდვილად არავისთვის მიმიმართავს თანამდებობიდან გათავისუფლების თხოვნით.

ამიტომ, რასაკვირველია, ეს არ მოვითმინე და მაშინვე განვაცხადე, რომ არავისთვის არაფერი მითხოვია. ცხადი იყო, ჭიათურაში დაშვებული „შეცდომების" გამო, „კეთილმოსურნენი" თავიდან მიშორებდნენ! შემითხზეს სიყალბე, თითქოს სამეცნიერო სამუშაოზე გადაყვანა მე თავად ვითხოვე.

შეიქმნა ძალზე უხერხული მდგომარეობა: პლენუმი არ მათავისუფლებს.

არადა, ეს ხმაური სულაც არ მჭირდებოდა! კიდეც რომ გამემარჯვა, შემომასევდნენ რევიზორების ჯარს, დამიდებდნენ სადღაც კვანტს და ჭიათურას უფრო გალანძღულს დამატოვებინებდნენ. ცენტრალურ კომიტეტთან ჭიდაობა არ შეიძლებოდა. ამიტომ არც მე მოვიწადინე მასთან კონფრონტაციაში შესვლა, ჩავერიე ამ საკითხის გადაწყვეტაში და აქტიურად მივეცი ხმა თანამდებობიდან ჩემს გათავისუფლებას.

ამის მერე პლენუმის წევრებსაც რა უნდა ექნათ, მომბაძეს — ზლაზვნით, კანტი-კუნტად ასწიეს ხელები და გამათავისუფლეს თანამდებობიდან. საერთოდ კი, ასეთი გახლდათ ურჩი თუ უხერხული მდივნების ბედი!

ასე რომ, გამოვემგზავრე ჭიათურიდან ტრესტის „კოლხოზნიკით", მეუღლესთან ერთად და იქ შეძენილი წიგნებიც წამოვიღეთ.

როგორც მოგვიანებით გამაგონეს, ჩემი ამ „ნებაყოფლობითი" გადაყვანის მთელი მოტივაცია ყოფილა ის, რომ აბსოლუტურად ყველაფერზე მქონდა საკუთარი მოსაზრება თუ შეხედულება. აი, ასეთი პარადოქსული მენტალიტეტის საზოგადოება ვართ: თითოეული ჩვენგანის სიტყვა თუ საქციელი, გაზონის ბუჩქებივით, თანაბარ სიგრძე-სიგანეზე აჭრილი და გადასწორებული უნდა იყოს! მაგრამ... დღევანდელო მკითხველო, მიგაჩნიათ, რომ განვიკურნეთ ამ პარტიული სენისგან?

მოგვიანებით შევიტყვე იმ წინაისტორიის შესახებაც, ჩემს ამ თბილისურ გადმოყვანას რომ ჰქონია... ეს დეტალები სხვადასხვა დროს მიამბეს ბატონმა გრიგოლ ქადაგიძემ — მრეწველობის დარგში ცკ-ის მაშინდელმა მდივანმა და ვლადიმერ ჯანჯღავამ, რომელიც მაშინ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი იყო.

თურმე ცკ-ში შეთანხმებულან და მე პარტიის თბილისის კომიტეტის პირველ მდივნად მიპირებდნენ გადმოყვანას. სწორედ იმ

ხანებში, ერთ-ერთი ნადირობის დროს, რომელზეც, სხვებთან ერთად, ყოფილან ვლადიმერ ჯანჯღავაცა და გრიგოლ ქადაგიძეც, კონკრეტულ პიროვნებას უთქვამს მჟავანაძისთვის: ვასილ პავლოვიჩ, რა დავუშავე ასეთი თამაზ ჯანელიძეს, ხმებს რომ მიყრის, თითქოს ქრთამად ოქროს ვიღებ და თანაც — ასანთის კოლოფებითო. ვასილ პავლეს ძეს დაუჯერებია ეს მონაჭორი (საერთოდ, მას ამ პიროვნებისა ყველაზე მეტად სჯეროდა) და ჭიათურიდან ჩემს გათავისუფლებასაც ეს ქცევია მიზეზად.

რაც შეეხება სამეცნიერო საშტატო ერთეულს, ისიც ჩემი მოსაპოვებელი შეიქნა. ინსტიტუტს არ აღმოაჩნდა არავითარი ვაკანსია. ასე რომ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელ პრეზიდენტს – ნიკო მუსხელიშვილს ვეახლე შესაბამისი თხოვნით, ბატონმა ნიკომ მაშინვე გასცა განკარგულება და ყველაფერი ნახევარ საათში მოგვარდა.

გეოლოგიაში

რაც თავი მახსოვს, სულ პარტიულ და სამეცნიერო მოღვაწეობას შორის ვმერყეობდი. მთელი ცხოვრება აქაც ვიყავი და იქაც, ეს კი არც ისე ადვილია.

ერთი ძველი მეგობარი მყავდა, დოდიკა — ცნობილი მეცნიერი გიორგი თვალჭრელიძე, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დამაარსებლის, ალექსანდრე თვალჭრელიძის ვაჟი. ის გაიხუმრებდა ხოლმე:

«Когда Тамаза с партииной работы первый раз выперли, он рассердился и защитил кандидатскую диссертацию; когда второи раз – защитил докторскую, а когда третий раз выперли, его избрали академиком Инжинерной Академии».

ამ ხუმრობაში არის სიმართლის მარცვალი. მეტიც, ეს ხუმრობაც არაა. ეს ჩემი ცხოვრებაა — ბიოგრაფია, რომელიც, ჩემთვისაც მოულოდნელად, თვალში საცემად ზიგზაგურად განვითარდა. და, რაც არანაკლებ არსებითი მგონია, მოცემულ კონკრეტულ ვითარებებში ეს მოხდა ჩემი სურვილებისა თუ ადამიანური პოზიციების აბსოლუტურად გაუთვალისწინებლად.

ერთი სიტყვით, დავბრუნდი მშობლიურ წიაღში, მაგრამ სპეციალობა თითქმის გადავიწყებული მაქვს და ეს, რასაკვირველია, მიქმნის გარკვეულ პრობლემებს.

გეოლოგიის ინსტიტუტს მაშინ ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი პეტრე გამყრელიძე, რომელმაც მისვლისთანავე შემომთავაზა, რომ მასთან მემუშავა, მაგრამ მაშინვე ანალოგიური შემოთავაზება მივიღე აკადემიკოს გიორგი ძოწენიძისგანაც, რომელსაც ებარა ჩემთვის გაცილებით საინტერესო პალეოვულკანოლოგიის ლაბორატორია.

პალეოვულკანოლოგია საქართველოს გეოლოგიური რეალობისთვის უმნიშვნელოვანესი დარგია. ჩვენი ტერიტორიის დიდი ნაწილი ხომ სწორედ ვულკანური ქანებით არის აგებული. ძველი ვულკანებისგან წარმოშობილი ქანების შესწავლა ადრეც მინდოდა. არანაკლებ მაცდუნებლად მეჩვენებოდა ისიც, რომ მისი სახით საბჭოთა

პალეოვულკანოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებელთან მეძლეოდა მუშაობის შესაძლებლობა. აკადემიკოსი გიორგი ძოწენიძე უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში. ვფიქრობ, იგი, როგორც ადამიანი და მეცნიერი, სანიმუშო არამარტო ჩემთვის გახლდათ. ყველანი მოხიბლულები ვიყავით მისი აზროვნების დიაპაზონით, სიღრმითა და მასშტაბურობით. ერთი შეხედვით, არცთუ ღირებულ ფაქტსა თუ მოვლენას ისე განაზოგადებდა, რომ ხელად დაგარწმუნებდა მის პლანეტარულ მნიშვნელობაში.

ბატონი გიორგი დიდი სიყვარულით შემხვდა, მონაწილეობა მიიღო ჩემი სამუშაო გეგმის შედგენასა და სადისერტაციო თემის შერჩევაში. არ დაიზარა და პირველ საველე მარშრუტზეც თან წამომყვა, რომ პროფესიის პირველი პრაქტიკული სიძნელეების ათვისებაში დამხმარებოდა. ერთი სიტყვით, მისი ლაბორატორიის თანამშრომელი გავხდი.

მაშინ გეოლოგიის ინსტიტუტი რამდენიმე მისამართზე მდებარეობდა: ერთი ნაწილი ლენინის ქუჩის დასაწყისში გახლდათ განთავსებული, სხვები კი — ორჯონიკიძის რაიკომის მესამე სართულზე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სწორედ უნივერსიტეტის გეოლოგიური მუზეუმის დიდ დარბაზში, დამიდგეს სკამ-მაგიდა და მეც შევუდექი გეოლოგიური წიგნებისა და დისციპლინების შტუდირებას, ასევე, ყველა გეოლოგისთვის კარგად ნაცნობი, შლიფებთან დაკავშირებული მძიმე სამუშაოების ჩატარებას. ახლა ამას იოლად კი ვყვები, მაგრამ, დამერწმუნეთ, ძნელად, უფრო დამღლელი, ერთფეროვანი და რუტინული სამუშაო იპოვოს კაცმა.

იცით, რა მინდა ვთქვა? ჯერ ინსტიტუტი რას გაძლევს იმდენს, რომ სერიოზული მეცნიერებისთვის მაშინვე ივარგო, მე კი ჯერ კიდევ სტუდენტობასა და ასპირანტობაშიც ათასგვარი პასუხისმგებლობა დამეკისრა. რამდენიმე საკმაოდ მაღალი კომკავშირული, პარტიული თუ საბჭოთა თანამდებობა შევიცვალე, რომლებმაც საკუთარ პროფესიულ მომზადებას თუ არ დამაშორეს, არც დავუახლოებივარ.

ამდენად, პირველ ხანებში ცოტა არ იყოს, გამიჭირდა ასეთ მდორე სამუშაო რიტმთან შეჩვევა. მთელი ჩემი დღე და მოსწრება გადარბენაზე ვიყავი. სულ ვიღაცას ვჭირდებოდი, ცენტრალური კომიტეტი იყო, ქალაქკომი, ტრესტი თუ კოლმეურნეობა, ცალკეული პიროვნებები თუ ორგანიზაციები, ყველა თავისკენ მეწეოდა. უეცრად კი აღმოჩნდა, რომ არავინ მეძებს, აღარავინ აღარაფერს მეკი-

თხება, არავის ვჭირდები და მარტოდმარტო ვარ — წიგნებთან!

რასაკვირველია, მიჩვევა უნდოდა სამეცნიერო დაწესებულების სამუშაო რეჟიმსაც. თანაც მართლა თავიდან მომიხდა ცოდნის აღდგენა. რასაკვირველია, ეს იოლი არ ყოფილა, თუმცა ეს ჩემთვის დაბრკოლებად ნამდვილად არ ქცეულა.

აქ სხვა ნიუანსსაც ჰქონდა მნიშვნელობა... ჭიათურის ქალაქკომის მდივნობიდან რომ გამათავისუფლეს, 33 წლის ვიყავი. არც იმდენად ყმაწვილი, საკუთარი თავის ძიება ხელახლა რომ დამეწყო და არც ისეთი ასაკოვანი, რომ ჯერ კიდევ სტუდენტობისას გულზე ამოჭრილი ოცნების ასრულებაზე უარი მეთქვა. რა თქმა უნდა, ამას ბუნებრივად მიემატა საველე ექსპედიციებსა თუ სემინარებში, ინტენსიურ კვლევებსა და თუნდაც იმ 3000 შლიფის დამზადებაშესწავლაში გახარჯული ის ოთხი წელიწადიც, ჩემს საკანდიდატო ნაშრომს რომ დასჭირდა.

ეს ის წლებია, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ქართული გეოლოგიის ერთ-ერთი პატრიარქი, გეოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელი ალექსანდრე ჯანელიძე. იგი ჩვენს სემინარულ მუშაობას ხელმძღვანელობდა.

ალექსანდრე ჯანელიძე გამორჩეული სახელია ჩვენს სამამულო გეოლოგიაში, და საერთოდ მეცნიერებაში. ეს იყო საფრანგეთში განსწავლული, ძალზე ფართო დიაპაზონის მეცნიერი და პიროვნება, ვინც ასეთივე დიდ მეცნიერებთან — კალისტრატე გაბუნიასა და ალექსანდრე თვალჭრელიძესთან — ერთად, იდგა ქართული გეოლოგიური სკოლის სათავეებთან. სწორედ ამ სამ მოღვაწეს უნდა დაუმადლოს ჩვენმა განათლებულმა საზოგადოებრიობამ არა მარტო გეოლოგიური სკოლის დაფუძნება საქართველოში, არამედ პირველი გეოლოგიური ორგანიზაციების ჩამოყალიბებაც. მაგალითად, გეოლოგიის სამმართველოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის შესაბამისი კათედრებისა, რამაც მეცნიერების ამ დარგს ჩვენში საბოლოოდ გაუმაგრა ხერხემალიცა და მომავალიც.

დღიდან ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ამ კათედრების დაარსებისა, საქართველოში გეოლოგიური განათლების ერთგვარი პოპულარიზაცია დაიწყო. ახალგაზრდობა ერთბაშად დაინტერესდა ამ რომანტიკული, ვაჟკაცური პროფესიით და ეს ჩვენი პროფესიონალური სკოლის განვითარების ამჟამინდელ დონესაც აშკარად ატყვია. ამით იმისი თქმა მინდა, რომ უკვე ჩემი სტუდენტობისას სამთო გეოლოგიური პოლიტექნიკურის ერთ-ერთ საუკეთესო ფა-

კულტეტად ითვლებოდა. მახსოვს, სამთო-გეოლოგიური სპეციალობების სტუდენტები ინსტიტუტში რაღაც საგანგებო ფორმებითაც გამოარჩიეს და ეს საკმაოდ ლამაზი ჩაცმულობაც არანაკლებ იზიდავდა ახალგაზრდობას. ფაკულტეტის საუკეთესო რეკლამა იყო საკმაოდ მაღალი სტიპენდიებიც, რომლებიც ყველა სხვა სპეციალობის სტუდენტებისას აღემატებოდა და ეს რასაკვირველია, დარგის უაღრესად სტრატეგიულობითაც აიხსნებოდა.

სხვათა შორის, ყველა ეს ღონისძიება ამართლებდა და ჩვენს ფაკულტეტზე მართლაც საუკეთესო ხალხს უყრიდა თავს — სულ დარჩეულ, ნიჭიერ ახალგაზრდებს. მაგალითად, ჩვენს 24-კაციან სტუდენტურ ჯგუფში ერთდროულად 15 ფრიადოსანი ვიყავით, რაც იშვიათია.

მე და ჩემი მეგობრები გეოლოგიაში თავის დროზე სწორედ ამ ტალღაზე მოვედით. მერე, ვისაც ჭკუა ეყო, არ მოწყვეტია პროფესიას. მე კი, ისე მოხდა, რომ პროფესიული პაუზა გამიჭიანურდა და ოცდაოთხი-ოცდახუთი წლის ასაკში გასაკეთებელს ოცდათოთხმეტი-ოცდათხუთმეტი წლისა მოვუბრუნდი. მაგრამ როცა ეს გავაკეთე, წარმოუდგენლად ჩამითრია გეოლოგიამ, რომელიც მთლად ისეთი რომანტიკულიც არ გახლავთ, ზოგიერთს რომ ეჩვენება. მაგალითად, პოლარიზაციულ მიკროსკოპში საათობით ჭვრიტინში ნამდვილად ვერაფერი ვიპოვნე რომანტიკული.

მაგრამ ქანების შესწავლა სამთო ინჟინერ-გეოლოგისთვის, რაგინდ საკირკიტო და მოსაბეზრებელიც უნდა იყოს, წერა-კითხვის შესწავლასავით აუცილებელი შრომაა. ზიხარ საათობით მიკროსკოპთან, ამზადებ შლიფებს — თხელ მინაზე დაკრულ, პატარა გამჭვირვალე ფირფიტებს და ამ ოპტიკური ხელსაწყოს მეშვეობით, სწავლობ, რა ქანები და რა მინერალებია. ერთი სიტყვით, მონაცემთა სრული სურათი იხატება. საუცხოოდ ჩანს როგორც ქანის მინერალური შემადგენლობა, ისე მინერალის აგებულება.

თუმცა, მე რომ მკითხოთ, ამ გაუთავებელ ჭვრიტინს თავისი უპირატესობებიც ჰქონდა. თუნდაც ის, რომ ამ მოსაბეზრებელ სამუშაოს ღიღინსა თუ გვერდით მყოფთან საუბარსაც მშვენივრად შეუთავსებდი. ყოველ შემთხვევაში, მე და გურამ ნადარეიშვილს, მთელი თოთხმეტი წლის მანძილზე, ბატონ გიორგი ძოწენიძეს რომ ვესხედით ოთახში, ამ თვალსაზრისით, საქმე არცთუ მთლად უიმედოდ გვქონდა. რა თქმა უნდა, ამ ერთფეროვანი სამუშაოსთვის პატარ-პატარა დროის მოპარვას ვახერხებდით და მშვენიერ საჭადრაკო ბლიცტურნირებსაც ვიწყობდით.

აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის მაგიდას ერთი განსაკუთრებული უჯრა ჰქონდა. ფაქტობრივად, ჩვენი ერქვა — იქ ჭადრაკს, საათსა და ჩვენი ტურნირების ანგარიშებს ვინახავდით. ეს ბლიცტურნირები ჩვენთვის გადარჩენასავით იყო. სხვა თუ არაფერი, გალევა ხომ უნდოდა იმ თოთხმეტ წელიწადს, ჩვენ ერთმანეთის წინ მსხდომებმა რომ გავატარეთ? ასე რომ, შლიფებისა არ იყოს, ნაკლებ იმედსა და გულმოდგინებას არც ჭადრაკს ვახარჯავდით. იმ უჯრაში საგანგებო ფურცელიც გვედო, რომ ზედ ჩვენი ტურნირების ანგარიშები ჩამოგვეწიკწიკებინა. უკვე თითქმის ასტრონომიულ ციფრებში ვიყავით გადასულები. ერთი სიტყვით, ამ საქმისთვის არც დრო, არც ენერგია და არც ხალისი გვენანებოდა.

ერთ მშვენიერ დღესაც, მობრძანდა ბატონი გიორგი, სამუშაო ხალათი ჩაიცვა, ჩვეულებისამებრ, მიუჯდა თავის მაგიდას და არ გამოაღო სწორედ ის, „ ჩვენი" უჯრა, თავის დღეში რომ არ გამოუღია?! ამოაცურა რაღაც ფურცელი, დაიდო წინ და ზედ იდაყვებით დაეყრდნო. მე და გურამს გულები დაგვისკდა. ეს იყო ჩვენი ანგარიშის ფურცელი! მაგრამ ბატონ გიორგის ნირიც არ შეცვლია და ჩვენც სული მოვიბრუნეთ, იქნებ ჩვენი ჭადრაკის ამბავი საერთოდ ვერ შეამჩნიაო. მან კი, მოამთავრა ჩვენთან გასაუბრება, თავიდან ბოლომდე გაიარა ჩვენი ვეებერთელა ოთახი და უკვე კართან მდგომმა გვესროლა: კი მარა, ეს 1532:1538 რაღა ღვთის წყრომაა, ის მაინც თუ იცით, წინ რომელი ხართო. ეს იყო და ეს — შეგვარჩინა ის ჩვენი თამაში. მაგრამ მერე კარგა ხანს გვამუშავებდნენ ინსტიტუტში, განყოფილებაში სულ ჭადრაკს თამაშობენო. თუმცა ამ ამბავს უწყინარი მითქმა-მოთქმის მეტი არაფერი მოჰყოლია.

ასეთი გახლდათ, თვეში ორ-სამჯერ მოგვინახულებდა ხოლმე. დაგვსვამდა ყველას და დაგვიწყებდა სათითაოდ გამოკითხვას, ვინ რა ვაკეთეთ. ტყუილს როგორ ვაკადრებდით. იმ წუთში გამოგიჭერდა. ლაბორატორიაში სულ რამდენიმე თანამშრომელი ვყავდით: მანანა ლორთქიფანიძე, გივი მიქაძე, მერაბ ტატიშვილი, ალეკო ყანჩაველი, გურამ ნადარეიშვილი, ვლადიმერ გუგუშვილი და მე. ამ სათითაო გამოკითხვის დროს ყველაფერს დეტალურად დაგვაზუსტებინებდა, ვის რა გვიჭირდა, ან რა სახის დახმარებას ვსაჭიროებდით.

მახსოვს, ერთხელ ალეკო ყანჩაველს ასე, ძირამდე, ჩაეკითხა. ალეკო ძირულას მასივზე მუშაობდა, შროშის მიდამოებზე. რატომღაც ენა დაება, ბრინჯივით დაიბნა. მარტო ამას იმეორებდა, შროშა, შროშაო. ჩვენ სიცილით გავიგუდეთ, ბატონო გიორგი გაბრაზდა. არადა, გაბრაზება იცოდა, დაგვშკომპლავდა ერთიანად ყველას,

გაგვჯორავდა, მაგრამ მოგეფერებოდა კიდეც, ყოველ შემთხვევაში, ნაწყენი ვერ დაურჩებოდი. მისებურად, ეს სითბოს გამოხატვა იყო. ყველანი ძალიან ვუყვარდით.

მახსოვს, ერთ-ერთი ასეთი „ეგზეკუციის" დროს გივი მიქაძეს მიადგა და საცაა, უნდა დააცხრეს, რომ გივიმ იეშმაკა და შეკითხვა იქეთ დაასწრო, თათული როგორ გყავთ, ბატონო გიორგი... თათული როგორ არისო და ბატონი გიორგიც მთლიანად გადაერთო თათულის ამბების მოყოლაზე. თათული მისი უსაყვარლესი შვილიშვილი გახლდათ. ასე რომ, იცოდა გივიმ, როგორ უნდა დასხლტომოდა შეფის რისხვას!

ერთი კარგი ტრადიცია გვქონდა დამკვიდრებული ლაბორატორიაში, გიორგი ძოწენიძის წყალობით. ყოველ ახალ წელს, პირველ იანვარს, პირველი საათიდან უკლებლივ ყველა თავის მოწაფეს გვიყრიდა თავს ოჯახში, თავისი მეუღლის, ქალბატონი დარეჯანის მიერ გაშლილ დიდებულ სუფრასთან და გვქონდა ერთი მხიარულება და კარგი სჯა-ბაასი. რამდენადაც ვიცი, მერე ეს ჩვენი ტრადიცია ჩვენი ინსტიტუტის უფროსი თაობის სხვა ცნობილმა მეცნიერებმაც გადაიღეს და თავიანთ მოწაფეებთან ერთად, საკუთარ ოჯახებში ისინიც აღნიშნავდნენ ხოლმე ახალი წლის დადგომას.

აკადემიკოსი გიორგი ძოწენიძე უდავოდ, დიდი მეცნიერი და მოღვაწე იყო, მაგრამ, ჩემი არ იყოს, არ დააცალეს თავის დარგში მუშაობით გულის მოჯერება. მაგალითად, საზოგადოებას საუკეთესოდ ახსოვს ის წლები, როცა იგი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა. თავს ნებას მივცემ, იმ წლებიდან გავიხსენო ერთი დელიკატური შემთხვევა:

ერთხელ ბატონ გიორგის მაღალი რანგის რომელიღაც უცხოელის გამასპინძლება დაავალეს, ახლა არ მახსენდება, ალჟირელი თუ ტუნისელი პრეზიდენტისა. ყველაფერი რომ დაათვალიერებინეს, რაც ვიზიტით იყო გათვალისწინებული, ბატონმა გიორგიმ სტუმარი მის პატივსაცემად რესტორან „არაგვში" მოწყობილ ბანკეტზე მიიპატიჟა. ამ წვეულებაზე კულტურის რამდენიმე ცნობილი მოღვაწეც მიიწვიეს, რომ სტუმრისთვის სასიამოვნო თანამესუფრეობა გაეწიათ. მათ შორის გახლდათ ლამარა ჭყონიაც — ჩვენი შესანიშნავი საოპერო მომღერალი.

მოხდა ისე, რომ სუფრა უკვე ეშხში შესული იყო, ლამარა რომ შემოგვესწრო. რასაკვირველია, როგორც ყოველთვის, დიდებული სანახავი იყო, მაგრამ აშკარად შევატყვე, მის დანახვაზე ბატონ გიორგის სახე მოექუფრა: ქალბატონს შარვლიანი კოსტიუმი ეცვა! მე თუ მკითხავთ, გამორჩეულად კოხტა და ელეგანტური იყო, მაგ-

რამ ჩანს, ძოწენიძემ ასე არ ჩათვალა. მეტიც — გადაირია. არ ვიცი, მაშინ ქალებს ოფიციალურ მიღებებზე მსგავსი ჩაცმულობა ეკრძალებოდათ, თუ რა იყო, ფაქტია, რომ გაბრაზდა და რაკიღა გვერდით ვეჯექი, მე გადმომილაპარაკა, ახლავე მიდი და უთხარი, ნავიდეს, გამოიცვალოსო.

არ გინდა ამისი თქმა? ქალისთვის ასეთი შენიშვნის მიცემა როგორი საქმეა, მით უმეტეს, აქ პრიმადონაზეა ლაპარაკი! მაგრამ მეტი რა გზა მქონდა — გადავეცი ყველაფერი სიტყვა-სიტყვით. რასაკვირველია, ხმა არ ამოუღია, სახის გამომეტყველებითაც კი არ დაუტყვია არაფერი. ცოტა ხანს კიდევ შეიცადა სუფრასთან, მერე წამოდგა, მოიბოდიშა და დატოვა საბანკეტო დარბაზი. რა თქმა უნდა, აღარ მობრუნებულა.

X X X

მოგეხსენებათ, გეოლოგობა, როგორც წესი, ექსპედიციებთან, საველე გასვლებთან, კლდე-ღრეში ძრომიალთან ასოცირდება და სამართლიანადაც, რადგან, გეოლოგი უპირველესად, ქვების შემგროვებელი კაცია. ეძლევა გარკვეული სამივლინებო თანხა — ბინისა თუ ცხენის დასაქირავებლად და სადაც დაუღამდება, იქ უნდა გაითენოს — კარავში, ადგილობრივ მცხოვრებთან, ან შორიახლო მიტოვებულ ნაგებობაში. ჩვენი საექსპედიციო ჯგუფები ერთ-ორკაციანი და საუკეთესო შემთხვევაში, სამკაციანია. რაც თავი მახსოვს, სამ კაცზე მეტი არ გავსულვართ ველზე.

ერთხელ სამეგრელოში, სენაკის რაიონში ვართ, 3200 მეტრის სიმაღლეზე, ულამაზეს მთასთან, რომელსაც აქაურები ტეხურიში დუდის (ტეხურის თავს) ეძახიან. კაცის ჭაჭანება არაა... ალპური ზონაა. და, რა თქმა უნდა კარვებში ვცხოვრობთ. მაგრამ საკვები გვაკლია — ამ სიმაღლეზე ადგილობრივს ვინ მოიხელთებდა, რომ მისგან რძე ან ხორცი შეეძინა. ერთ დილასაც, ვხედავთ, იქვე, ჩვენს მისახედ-მოსახედში, ვეებერთელა ღორი არ დარბის? ვბუთქეთ ტყვია და გავაგორეთ! მოამზადეს ბიჭებმა, როგორც საჭირო იყო და იცოცხლეთ, მოვილხინეთ ღორის მწვადებით იმ დამშეულზე, მაგრამ მტერს, ჩვენ ღამე დაგვიდგა! კინაღამ დაგვხოცა იმ ღორის ხორცმა — გვაწყინა! ცოდვით თუ მოგვივიდა.

ასეთი შემთხვევებიც ყოფილა, რადგან, ძირითადად, ალპურ ზონაში გვიწევდა ყოფნა, მე რომ ვსწავლობდი, ის ქანები, ძალზე მა-

ღალ დონეებზე იყო საძიებელი და ეს, ძალაუნებურად, გვაშორებდა ადგილობრივ მოსახლეობას. ასე რომ, ხელის შეშლისთვის ნამდვილად ვერავის ვუჩივლებდით, ვიყავით ჩვენთვის მშვიდად — ჭრილებს ვაკეთებდით და ვარკვევდით ზედ შრეების თანმიმდევრულობას, რა რის თავზე იდო და რა შემადგენლობისა იყო და სხვა.

ზოგჯერ არც მთლად ასეთი უკაცრიელობა იყო. ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ ორი ან სამი ექსპედიციის ხალხი ერთმანეთს გადავეყრებოდით და მაშინ იყო, თუ იყო, სახელდახელო მეგობრული სუფრები. ეს გახლდათ, რა თქმა უნდა, თითოეული ჩვენგანისთვის უთბილესი წუთები, ისეთი რამ, რისი გახსენებაც კაცს ყოველთვის სიამოვნებს. ამას წინათ ჩემმა ძველმა კოლეგამ ასლან სულაძემ ერთი ასეთი შემთხვევა გაიხსენა:

„ ეს იყო 1965 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების ერთ-ერთი მორიგი სამეცნიერო-საექსპედიციო სამუშაოების ჩატარებისას. დაახლოებით ათკაციანი საექპედიციო ჯგუფი ვიყავით. ვცხოვრობდით სურამთან, სოფელ ჩუმათელეთში, სოფლის დაწყებითი სკოლის შენობაში. ბატონ თამაზ ჯანელიძეს სწორედ იქ შევხვდი პირველად. უფრო სწორად, სანამ თავად მას შევხვდებოდი და გავეცნობოდი, „შევხვდი" და „გავეცანი" მის ხმას, მისი ხმის ტემბრს, თავისი განსხვავებულობით ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება რომ მოახდინა.

ბარემ მოვყვები ამ ამბავს და განვმარტავ, რას ვგულისხმობ ამ განსხვავებულობაში... ერთ საღამოსაც, მარშრუტის დამთავრების შემდეგ, ჩვეულებისამებრ, შინ რომ დავბრუნდით, ეზოში ფეხის შედგმისთანავე რაღაც მუსიკის ჰანგები შემოგვესმა. ამისთვის, რა თქმა უნდა, დიდი ყურადღება არავის მიგვიქცევია, მაგრამ სანამ გავერკვეოდით, თუ რა ხდებოდა ჩვენს ბინაში, ვიღაცის, ცოტა არ იყოს, კატეგორიული ფრაზაც შემოგვესმა. სიტყვებიც კი მახსოვს დღემდე: "Я попрошу музыку потише"!

ამ ხმამ მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება, იქნებ იმიტომ, რომ მანამდე არც ერთი ხმის ტემბრში არ მიგრძვნია თხოვნისა და იმპერატივის ასეთი ნაზავი, თუმცა კი საკმაოდ გავლენიან ოჯახში გავიზარდე, ანუ ძლიერთა ამა ქვეყნისათა მეტყველების მანერას ყური ასე თუ ისე შეჩვეული ნამდვილად მქონდა. გამიკვირდა, ვინ შეიძლება იყოს ეს კაცი-მეთქი და ხუთიოდე წუთში აღმოვაჩინე, რომ ეს გახლდათ თამაზ ჯანელიძე — მაშინ გეოლოგიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, უკვე დამშვიდობებული თავის

პარტიულ კარიერასთან. ტრადიციულად, აფხაზეთში მიემგზავრებოდა, საველე სამუშაოებზე, თან ინსტიტუტის სომეხი მძღოლი სერგო ახლდა. მისი ეს სომხობა ნაციონალისტობის გამო არ მიხსენებია, ამ კაცის ეროვნებაც ბატონმა თამაზმა დამახსოვრა.

ერთი სიტყვით, დავტრიალდით სტუმარ-მასპინძლიანად და სუფრა გავშალეთ ისეთი, რომ თქვენი მოწონებული. ისე მოხდა, რომ ჩვენს საექსპედიციო ჯგუფში იყო ცნობილი გეოლოგი კუკური დევდარიანიც. ისა და ბატონი თამაზი ინსტიტუტელი თანაჯგუფელები ყოფილიყვნენ. რა თქმა უნდა, პირველი ის შემოუერთდა ჩვენს ამ თავყრილობას. თამადად, რასაკვირველია, თამაზ ჯანელიძე დაჯდა სუფრის თავში, ერთ გვერდზე კუკური მოისვა, მეორეზე — ის სერგო და იმას სეროჟაზე და ამას — კუკურიზე ანეკდოტების მოყოლა დაავალა. მოკლედ, პატარა ხანი და ისეთი ქეიფი გახურდა, უკეთეს ადგილას ვერ მოხვდებოდი. ასე გავიცანი ბატონი თამაზ ჯანელიძე და მასთან უშუალო შეხვედრამდე, ჩემდაუნებურად, გამოვიცანი მისი ხასიათიც, რაც, გულწრფელად გითხრათ, კიდეც მეამაყება".

X X X

მე თითქმის არასდროს მეცალა. სულ სადღაც მიმეჩქარებოდა. ამ მხრივ ლამარას ჩემთან იოლი ცხოვრება ნამდვილად არ ჰქონია, თუმცა შეძლებისამებრ, ყველგან დამყავდა.

განსაკუთრებით ახსენდება ხოლმე სოხუმი. ნანა რომ გაგვიჩნდა, მაშინ წავიყვანე. იქაც სულ მოუცლელი ვიყავი. დილიდან დაღამებამდე საქმეს ვეკიდე. მაგრამ ლამარას ჩემი უნებლიე უყურადღებობა არც დაუმჩნევია.

სოხუმი მაშინ არაჩვეულებრივი იყო — მზიანი, რბილი, ხავერდოვანი. არაფერი ჯობდა იქ ყოფნას. მაშინ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით, იმდენადაც კი, რომ ის ჩემი მუდმივი ურეჟიმობაცა და არარეგლამენტირებულობაც ბევრს ვერაფერს გვიშავებდა. სამაგიეროდ, ერთი თავისუფალი საათი მაინც თუ გამოგვიხტებოდა, კარგ გართობასაც ვასწრებდით.

ლამარა შეგუებული იყო ჩემს მუდმივ მოუცლელობას. იმასაც, რომ არ მიყვარდა, თუ შინ არ მხვდებოდა.

ჩვენ ყოველთვის საუკეთესო მეგობრები ვიყავით, მიუხედავად საკმაოდ განსხვავებული ხასიათებისა. ხომ არსებობს ოჯახები, სადაც შეიძლება, ცოლმა რაიმე იცოდეს და ქმარს არაფერი უთხრას?

ჩვენს ურთიერთობაში ამგვარი რამ გამორიცხული იყო. მაგალითად, ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა რაიმე დეტალი, ლამარასთვის რომ არ გამეზიარებინა.

ერთადერთი, რაშიც არ ჩავრეულვარ, ჩემი მეუღლის სამეცნიერო კარიერა იყო. არაფერი ვიცოდი, ისე მიიღეს მეცნიერ-მუშაკად კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში, თუმცა სწორედ იმ დროს პარტიის ბერიას სახელობის რაიკომის პირველი მდივანი გახლდით, ანუ სწორედ იმ რაიონისა, რომელშიც ეს ინსტიტუტი შემოდიოდა. ასევე, ჩემი მონაწილეობის გარეშე დატოვა ლამარამ ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგის თანამდებობაც, მე კი ეს ამბავი მისი ოფიციალური გათავისუფლების შემდეგ შევიტყვე.

მაგრამ, სხვა მხრივ, მუდამ ირკვეოდა, რომ თურმე, თანამოაზრეები ვართ. ისე მოხდა, რომ ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე არა მარტო შინ, სამსახურშიც ერთად ყოფნა გვიწევდა. მე კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ რომ დამნიშნეს, ლამარა იქ უკვე კარგა სტაჟიანი მეცნიერ-თანამშრომელი იყო. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტის ერთ-ერთ წამყვან ლაბორატორიას, მოდიფიცირებული ბუნებრივი სორბენტების მიღებისა და გამოყენების საკითხების საკმაოდ ცნობილი სპეციალისტია. მისი საკანდიდატო ნაშრომიც ამ თემატიკას ეხებოდა, მაგრამ სადოქტოროზე აღარ უფიქრია. რამდენჯერაც შევახსენებდი, ერთადერთი არგუმენტით მიგერიებდა — ჩემი სადოქტორო ჩემი შვილებიაო.

ჩემმა მეუღლემ ეს „სადოქტორო" საკმაოდ შთამბეჭდავად დაიცვა, თუმცა, ძალიან გულდასაწყვეტია, რომ სადოქტორო დისერტაციად არ გააფორმა ქისათიბის საბადოს უნიკალური დიატომიტის რაციონალური გამოყენების მიზნით ჩატარებული მრავალწლიანი კვლევები და საინტერესო ვრცელი მასალა. იმედი მაქვს, ეს ნაშრომი წიგნად მაინც გამოიცემა.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, ჩემსა და ჩემი მეუღლის ცხოვრებაში არსებობს თარიღი – 15 სექტემბერი – ჩვენი ქორწინების დღე, რომელიც აუცილებლად ერთად უნდა გავატაროთ! ეს ჩვენი დაუწერელი კანონია.

არ მახსოვს, რომელი წელი იყო, მივლინებაში ვარ... მოახლოვდა 15 სექტემბერი და ვიცი, ლამარა უკვე ჩემს მოლოდინშია. დავარეკინე თანამშრომელს, უთხრა, საქმე გართულდა და თამაზი თუ ვერ ჩამოვიდა, ნუ შეგეშინდებათო. ერთი სიტყვით, თავი კი დავიზღვიე, მაგრამ ფიქრით მაინც ვფიქრობ, რომ ლამარა მელოდება და ვერ

ვისვენებ. მოკლედ, ისე ვიყოჩაღე, მაინც გამოვაღწიე იმ საქმიანი ჯოჯოხეთიდან და ჩამოვედი თბილისში.

ასე ღამის 2 საათისთვის მოვადექი ჩვენს კორპუსს, მაგრამ რად გინდა, სადარბაზო დაკეტილია! „დომოფონს" რაღაც სჭირს და სახლში ვერ ავდივარ. ხმას აქედან მეხუთე სართულამდე ვერაფრით ვაწვდენ. უცებ ვხედავ, სანაპიროს მხრიდან ჩვენი ბინის ერთი ფანჯარა ღიაა. დავდექი, მოვიკრიბე მთელი ჩემი ვოკალური ძალები და ვყვირი: ლამარა, ლამარა!..

მივუსწარი სულზე 15 სექტემბერს! ავედი შინ და, რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, რომ სუფრა გაშლილია და ალბათ, ჩვენი მეგობრებით სავსეც. მსგავსი არაფერი. მაგრამ მთავარი სხვა იყო — იმ დღეს ისევ ერთად ვიყავით!

სხვა მხრივ, მე ყოველთვის არა მარტო საკმაოდ რთული ადამიანი, ბევრ რაიმეში არცთუ ისე იოლი მოსათმენიც ვიყავი, საკმაოდ ექსპრესიული და მოუსვენარი გახლდით და ახლა რომ ვჩანვარ, არც ისეთი მშვიდი ვყოფილვარ. ლამარას ხასიათში ბევრი კარგი მხარეა, მაგრამ, ვფიქრობ, ამათში საუკეთესოა ის, რომ, მაგალითად, მას შეუძლია ამაღლდეს იმ წვრილმან უსიამოვნებებზე, რომლებიც შესაძლოა ყოველგვარ ხანგრძლივ ურთიერთობას ახლდეს თან. მან იცის, რომ ყოველგვარ ურთიერთობაში და განსაკუთრებით, ცოლქმრულში, არსებობს ყველაზე სათუთი, მოსაფერებელი და თუ გნებავთ, ანგარიშგასაწევი დეტალები და მათ განუწყვეტლივ მოფრთხილება სჭირდება.

ყოველგვარ ურთიერთობაში — ოჯახურშიც, სამსახურებრივშიც, მეგობრულშიც — არსებითია, იცოდე, რა არის მთავარი. როცა ამას ვერ ხვდები, მაშინ უშვებ სწორედ საბედისწერო შეცდომას. ვფიქრობ, თავისი სანიმუშო მეუღლეობით ლამარა თავისებურ მაგალითად იქცა ჩვენი ქალიშვილებისთვისაც, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ეს ჩვენი სანიმუშო მეუღლეობაც თავისით ციდან ნამდვილად არ ჩამოფრენილა. ყველა მშობელი თავისებური მაგალითი ან ანტიმაგალითია საკუთარი შვილებისთვის და ჩვენთვის ასეთი მაგალითები ნამდვილად იყვნენ ჩვენი მშობლები, მათ კი გასაოცრად თბილად დაგვამახსოვრეს ყოველგვარი ოჯახური სიკეთე.

ასე მოვდივართ უკვე 55-ე წელიწადია. ოქროს ნეფე-პატარძლობის ასაკიც კი უკან მოვიტოვეთ. სხვათა შორის, 2001 წლის 15 სექტემბერს, ქორწინების 50 წლისთავზე, შვილებთან, შვილიშვილებთან და უახლოეს მეგობრებთან ერთად კი ვფიქრობდით ამ ამბის აღნიშვნას, სუფრაც დავუკვეთეთ და სტუმრებიც მოვიპატიჟეთ,

მაგრამ რომ სწორედ იმ დღეებში — 11 სექტემბერს — ნიუ-იორკში საშინელი ტერაქტი განხორციელდა, უამრავი ადამიანი დაიღუპა და მიუხედავად იმისა, რომ ქორწილის თადარიგი უკვე დაჭერილი გვქონდა, ჩავთვალეთ, რომ ამდენ გაუბედურებულ ადამიანთან მიმართებაში უზნეობა იქნებოდა საკუთარი ბედნიერებით ტკბობა. ასე რომ „ოქროს ქორწილი" არ შედგა...

დედაქალაქის მერი

1972 წელია. საქართველოს კომპარტიას ახალი პირველი მდივანი ჰყავს. ეს არის ედუარდ შევარდნაძე — ახალგაზრდა, გადამდებად ენერგიული კაცი, რომლისგანაც საზოგადოება რადიკალურ ცვლილებებს ელოდება. მაგრამ სიტყვას „კორუფცია“ ჩვენში ჯერ კიდევ არ იყენებენ. ითვლება, რომ იგი დასავლური წარმოშობისაა და საბჭოთა სინამდვილისთვის პრინციპულად მიუღებელი. სამაგიეროდ, ჩაითვალა, რომ ჩვენს რეალობას გაცილებით უკეთ ერგება „მექრთამეობა“, შევარდნაძემ მექრთამეებს შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა და პირველი გამარჯვებებიც მოიპოვა.

შევარდნაძის ნებისყოფა თუ ინიციატივა კი მართლაც შესაშური იყო. თავიდანვე თითქმის იდეალურ შორსმჭვრეტელობას იჩენდა. თამამი გადაწყვეტილებების მიღება მისი სტიქია იყო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის უკვე კარგა მოშინაურებული უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ვიყავი, როცა ერთხელ შინ ოთარ ქინქლაძემ დამირეკა. ოთარი, თავის დროზე, ჩემი და ედუარდის პირველი მდივნობის დროს კომკავშირში, ახალგაზრდულ გაზეთს „მოლოდოი სტალინეცს“ რედაქტორობდა. მის ხელში ეს გაზეთი განსაკუთრებით ცოცხალი და საინტერესო მახსოვს. ეს იყო ძალიან ჭკვიანი და გამოცდილი მუშაკი, უღალატო და ერთგული ამხანაგი. ჩემთანაც და ედუარდთანაც მეგობრობდა.

მოკლედ, დამირეკა და მითხრა, მინდა გნახო, თანაც, ისე კონსპირაციულად შემხვდა, ვერის რომელიღაც მიყრუებულ ქუჩაზე, ვიფიქრე, აჯანყებას ხომ არ ამზადებს-მეთქი.

აი, რა მითხრა: ედუარდმა შემოგითვალა, თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ თუ წახვალო. დაუყოვნებლივ მთხოვდა პასუხს. თავის დროზე პარტიული სამუშაო ისე უსინდისოდ დამატოვებინეს, რომ ყველასა და ყველაფერზე აღრენილი ვიყავი, ალბათ, ასე ამიტომ დამიყენეს საკითხი.

მაგრამ ახლა უკვე სხვა სიტუაცია იყო — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვა-

ნელობდა, ედუარდი კი ის კაცი იყო, ვისიც ნამდვილად მწამდა და მჯეროდა. ამასთან, თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეობაც იყო ის სამუშაო უბანი, რომლისთვისაც თავისუფლად შეიძლებოდა დაგეთმო საკუთარი ინტერესები, კეთილდღეობა თუ დისერტაციები.

ისიც გასაგები იყო, რომ სანამ ჩემს კანდიდატურას წამოაყენებდა, ედუარდს აინტერესებდა, რამდენად მისაღები იქნებოდა ჩემთვის ეს თანამდებობა. ამიტომ, რასაკვირველია, დავთანხმდი. ამ თანხმობიდან ხუთი თვის მერე უკვე თბილისის საბჭოს აღმასკომის თავჯდომარე, ანუ ახლებურად, მერი ვიყავი!

საერთოდ, გამორჩეულად გავლენიან თანამდებობათა იერარქიაში, მნიშვნელობის მიხედვით, მაშინ ყველას აღემატებოდა პარტიის ცკ-ის პირველი მდივანი. მას მოსდევდა ჯერ პარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი, მერე — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ამ თანამდებობაზე შოთა ბუხრაშვილი შევცვალე. ბახვა ლობჟანიძე მაშინ სულ რაღაც რამდენიმე თვის დანიშნული პირველი მოადგილე გახლდათ. ისე მოხდა, რომ მან და შოთამ, ფაქტობრივად, ხეირიანად თანამშრომლობაც ვერ მოასწრეს. ბახვასგან გამიგონია, ბუხრაშვილს პირველ სამუშაო დღესვე უთქვამს მისთვის, მე აქედან ძალიან მალე წამსვლელი კაცი ვარ, სხვაგან გადამიყვანენო. შოთას გადაყვანის მერე ბახვას ცოტა ხნით შეათავსებინეს თავმჯდომარის მოვალეობა, მერე კი მე დავინიშნე.

ეს იყო 1973 წლის თებერვალში. სწორედ ამდროინდელია ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელიც წარსულის გადმონაშთებს უპირისპირდებოდა. ამჯერად მიზანში ამოიღეს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი რელიგიური წეს-ჩვეულებანი, დღესასწაულები და ხალხური რიტუალები, რომლებიც აშკარად ვერ ჯდებოდა საბჭოთა სახელმწიფოებრივ მორალსა და ვიწრო პარტიულ ჩარჩოებში და ჩნდებოდა მათი ერთგვარი სახეცვლისა თუ ტრანსფორმირების ტენდენცია მხიარულ სახალხო დღესასწაულებად, გართობებად და სხვა ასეთებად.

ამ ბრძოლას, რა თქმა უნდა, პარტიული ორგანოები ხელმძღვანელობენ. თანაც დღე-დღეზე აღდგომაა და ეს შესანიშნავი საბაბია პარტიის ამ მითითების აღსრულებისთვის.

მახსოვს, მაშინ უკვე ჩემი მერობის დროს, აღდგომის წინა დღეს დამირეკეს პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან: თამაზ ბესარიო-

ნოვიჩ, მეუბნება ცკ-ის პასუხისმგებელი მუშაკი, ქალაქში პასკების გაყიდვა დაიწყო და აუცილებლად სათანადო ზომები მიიღეთო. ეს სიტყვები ბრძანებასავით ულერდა. ამ ადამიანმა თქვა, რომ ის, რაც ხდება ქალაქში, უბრალოდ, შეურაცხმყოფელია. მერე აღმოჩნდა, რომ მას ამგვარი „ინსტრუქტაჟი" მარტო ჩემთვის არ ჩაუტარებია, რის შესახებაც შეუტყვია შევარდნაძესაც. და, აი, ყველასთვის მოულოდნელად, პირველმა მდივანმა მხარი დაუჭირა მათ, ვინც უარი თქვა ამ მკრეხელური ბრძანების შესრულებაზე.

წარმოიდგინეთ, ეს რა ეპოქაში ხდება: მაშინ ამგვარი გაბედულება, მით უმეტეს — რესპუბლიკის პირველი პირისა, ფაქტობრივად, დაუმორჩილებლობის ტოლფასი იყო!

... იმ დროს, 1973 წლის აპრილში, სააღდგომოდ, ტრადიციულად, ეკლესიებში დიდი კომკავშირული რეიდების ჩატარებას აპირებდნენ. რა თქმა უნდა, ამ ღონისძიებათა მიზანი ყველასთვის ცხადზე უცხადესი იყო: მაქსიმალურად უნდა შეზღუდულიყო სააღდგომო რიტუალები და განსაკუთრებით, ამ რიტუალებზე ახალგაზრდობის დასწრება.

დაახლოებით ერთი წლის წინათ ეს კიდეც მოვყევი გაზეთ „სვობოდნაია გრუზიაში" გამოქვეყნებულ ჩემს ერთ-ერთ ინტერვიუში. აქ ერთი საინტერესო ნიუანსიც იყო — შუა საუბარში გაზეთის კორესპონდენტმა თავისი ის ძველი ჩანაწერები გაიხსენა, როცა ჟურნალისტებთან ერთად, სწორედ იმ სააღდგომო რეიდებში მათი ჩართვის საკითხს ვიხილავდი.

ანუ მოვიგონეთ დრო, როცა რომელიღაც სამართალდამცველმა ჟურნალისტებს გარკვეული ინსტრუქტაჟი ჩაუტარა და მისცა სათანადო რჩევა-დარიგება, თუ რითი უნდა ეხელმძღვანელათ რეიდში მონაწილეობისა თუ პრესაში მისი გაშუქების შემთხვევაში. მაგრამ ისე მოხდა, რომ უკვე ჩემთან შეხვედრისას რამდენიმემ ამ რეიდში მონაწილეობაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ეს რომ დავინახე, მაშინვე ავიღე სამთავრობო ტელეფონის ყურმილი და უშუალოდ ბატონ ედუარდს დაველაპარაკე. ავუხსენი შექმნილი სიტუაცია, ეს იყო და ეს. ორი სიტყვითაც მიხვდა მისახვედრს და მომენტალურად, ჩემი ვიზიტიორების სურვილისამებრ, გადაწყვიტა იმ ჩვენი კომკავშირული რეიდების საკითხიც. ანუ მეორე დღეს ეკლესიები არავის შეუწუხებია!

კიდევ დავაზუსტებ: ეს 1973 წელია... დრო, როცა ჩვენი სახელისუფლებო იდეოლოგიური პლატფორმა და ამოსავალი მსოფლმხედველობა მარქსიზმ-ლენინიზმი გახლავთ. მაგრამ ედუარდ

შევარდნაძე, სხვა პარტიულ ლიდერთაგან განსხვავებით, რელიგიისადმი იმთავითვე ლიბერალურად იყო განწყობილი. მიაჩნდა, რომ საზოგადოების სულიერ ცხოვრებას თვალისჩინივით სჭირდება გაფრთხილება.

როგორც ხედავთ, არც შემცდარა: დრომ აჩვენა, რომ აქაც, როგორც ბევრ სხვა რამეში, მართალი იყო. ამით იმის თქმა მინდა, რომ ამ ადამიანში ყოველთვის ძალზე შთამბეჭდავი იყო ყველაფრის წინასწარ განსჭვრეტის უნარი. გამოხდებოდა ხანი და მთელი საზოგადოება თუ მის გვერდით მყოფნი, რწმუნდებოდნენ, რომ იგი არ ცდებოდა!

მაშინ თითქმის მთელი საზოგადოება ასეთი შეხედულებისა იყო შევარდნაძეზე. თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში ის ასეთი იყო კიდეც, მაგრამ შემდეგ, დაახლოებით 1997 წლიდან მდგომარეობა იცვლება... ამაზე – ქვემოთ.

რაც შეეხება აღმასკომში ჩემს მოღვაწეობას, სულ რამდენიმე თვეში გაირკვა, რომ ეს არ ყოფილა ჩემთვის მაინცდამაინც იღბლიანი დაწინაურება.

მაშინ პარტიიის თბილისის კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა პავლე გილაშვილი. ჩვენ ძველი მეგობრები ვიყავით, მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ ჯერზე ვერ მოვრიგდით რადგან საქმიანობაზე სრულიად განსხვავებული შეხედულებანი გვქონდა და ამან კონფლიქტი წარმოშვა ჩვენს შორის. მოგეხსენებათ, სადაც კონფლიქტია, იქ მიზეზიც სულ ადვილად მოინახება ხოლმე. პარტიულ და სამეურნეო მუშაკს შორის არჩევანი კი, ცხადია, პარტიული მუშაკის სასარგებლოდ გადაწყვიტეს.

ბახვა ლობჟანიძე (თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე 1972 (დეკემბრიდან)-74 (ნოემბრამდე) წლებში):

„მოკლედ, ცოტა ხანს შემასრულებინეს თავმჯდომარის მოვალეობები და თამაზიც გამოჩნდა. თამაზს არ ვიცნობდი. ისე მოხდა, რომ მიუხედავად ჩვენს შორის არსებული არცთუ თვალში საცემი ასაკობრივი სხვაობისა, აქამდე ერთმანეთს არ შევხვედროდით. ამის მიზეზი უფრო ჩემშია — თბილისის რკინიგზის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მთელი 12 წელიწადი საქართველოს გარეთ მქონდა გატარებული.

მაგრამ გაცნობისთანავე შევეწყვეთ, რადგან ეს იყო არაჩვეულებრივად თბილი, კონტაქტური და ინტელიგენტი ადამიანი, მთელი რესპუბლიკის აქტივი იცნობდა. მაშინ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, კომკავშირულ-პარტიულ თანამდებობებზე თუ გქონდა

ნამუშევარი. ამას გარდა, უჩვეულოდ დიდი სანაცნობო ჰყავდა. ასე რომ, ჩვენს გარემოში ჩაწერა არ გასჭირვებია.

მაშინ დრო იყო ისეთი, ცენტრალური კომიტეტის ახალ მდივანს ახალი კადრები მოჰყავდა. შევარდნაძის დანიშვნით მუშაობის რიგი მიმართულებები შეიცვალა. შეჯერდა პრიორიტეტები, გადაისინჯა საკითხებისადმი მანამდე ჩამოყალიბებული მიდგომები. ამ ყველაფერს გააზრება სჭირდებოდა. ამას მიუმატეთ უმძიმეს საკითხთა წრე — ქალაქის მეურნეობა.

თბილისი მეურნეობრიობის თვალსაზრისით, ურთულესი ქალაქია. ახლა რამდენადაც ვიცი, თბილისის მერია რიგი ფუნქციებისგან მეტ-ნაკლებად გამოათავისუფლეს. მაშინდელი სტრუქტურით კი, ჩვენი კომპეტენცია გაცილებით მეტ საკითხზე ვრცელდებოდა. მაგალითად, ადგილობრივ მრეწველობაზე, რაც დღეს, უბრალოდ, აღარ არსებობს... აღარაფერს ვამბობ მედიცინაზე, განათლებაზე, მილიციასა თუ მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებაზე — წყალმომარაგებაზე, გაზით უზრუნველყოფაზე, ქალაქის დასუფთავებაზე. უამრავი საკითხი იყრიდა ხოლმე თავს, ჯერ სათანადოდ გარკვევა და მერე მართვა რომ სჭირდებოდა. ასევე, მუდმივი პრობლემა იყო თანხებიც, რომელიც, როგორც წესი, არც ერთ ქალაქს არადროს ყოფნის. ეს პრობლემაა როგორც თბილისისა და გორისთვის, ასევე, ნიუ-იორკისთვისაც.

თამაზსა და მე, ფაქტობრივად, ერთად მოგვიწია ამ ყველაფერში ჩახედვა. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნულად, მე ამ თანამდებობაზე ქალაქმეურნეობაში მუშაობის გარკვეული გამოცდილებით მოვედი,ა აგრე ადვილად კაპიკს ვერ გამაგდებინებდი ხელიდან, სამუშაო პრაქტიკის წყალობით, ისეთი ხელმოჭრილობა გამოვიმუშავე. პირიქით, სულ იმის ცდაში ვიყავი, ქალაქისთვის საჭირო თანხები, იქიდან თუ აქედან, რაც შეიძლებოდა, მეტად ამომექაჩა. დღე ერთი იყო და მთხოვნელი ათასი თუ ათასგვარი მოდიოდა: კერძო პირები, საზოგადოებისგან დასაფასებელი, მოღვაწე ადამიანები, სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებების, საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ყველა თავისას შემოგჩიოდა, დახმარებას გთხოვდა. რა თქმა უნდა, ამას ემატებოდა იმათი ინტერესებიც, ვისაც ჩვენს იქით წასასვლელი მართლა არ ჰქონდა.

თამაზს ყველას პრობლემა გულთან მიჰქონდა, უნდოდა, ყველას დახმარებოდა. ბუნებრივია, ასეთი პოსტიდან გაცილებით ადვილდება ადამიანთა გახარება თუ თუ მათთვის ანგარიშის გაწევა. თამაზი ასეთებში შეუდარებელი იყო. ალბათ, მეტსაც გააკეთებდა,

საშუალება რომ ყოფილიყო. საქმეში კარგად ვიყავით შეწყობილები. კიდევ გავიმეორებ: მიუხედავად იმისა, რომ ამ სამსახურამდე ერთმანეთს არც კი ვიცნობდით, უცებ მოვახერხეთ თითქმის იდეალური შეთანამშრომლება, ძალიან მეგობრული და ალალი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა გაცნობისთანავე.

თამაზს უამრავი იდეა ჰქონდა. „თბილქალაქპროექტი" ჩვენ გვექვემდებარებოდა და არქიტექტორებს ძალიან მჭიდროდ ვეთანამშრომლებოდით. დამპროექტებლებთან საკმაოდ შედეგიანად ვიმუშავეთ — მთელი თბილისის განაშენიანების პროექტი კეთდებოდა. ამოცანა იდგა ისე, რომ ბინათმშენებლობის გეგმა აუცილებლად უნდა შეგვესრულებინა. ეს ის დროა, როცა დიღმის მასივის განაშენიანება ჯერ არ დამთავრებულა, ასევე, ვარკეთილისა და საბურთალოს მასივების მხოლოდ 70% -ია განაშენიანებული. თბილისში საბინაო აღრიცხვაზე 35 000 ოჯახი დგას: სამამულო ომის სამივე ჯგუფის ინვალიდები, სარდაფებისა და ბარაკების მცხოვრებნი, მოგეხსენებათ, 70-იანი წლების დასაწყისში ნახევარი თბილისი ასეთ ადგილებში ცხოვრობდა, ამას ემატებოდა 1971 წლის წყალდიდობით დაზარალებული თბილისელებიც.

ამ ყველაფერს მოვლა უნდოდა. ამ ხალხის გაყვანა და მათი საცხოვრებლების დანგრევა უკვე გადაწყვეტილი ამბავი იყო. ხალხს უნდა ეგრძნო, რომ ახალი ტალღა მოვიდა. ერთმანეთის პარალელურად უამრავი საკითხი წყდებოდა, მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო აეროპორტის გზის საკითხი. ლაპარაკია შავი ზღვის ქუჩიდან და პეტრე-პავლეს სასაფლაოდან აეროპორტამდე არსებული უზარმაზარი ტერიტორიის კეთილმოწყობაზე. ერთი სიტყვით, ცუდად არ ვიმუშავეთ, რადგან რამდენიმე თვეში აეროპორტსაც მოევლო და რიყეც გაინმინდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ თამაზმა რაღაც უსიამოვნო ინციდენტის გამო, მალე დაგვტოვა".

ანზორ ერქომაიშვილი (საქართველოს სახალხო არტისტი, ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი):

„ბატონი თამაზი ჯერ კიდევ მოსკოვიდან მახსოვს, როგორც საფესტივალო ქორწილის თამადა და თეთრჩოხიანი მშვენიერი ვაჟკაცი. ეს ჩემი ჯერ კიდევ ყმაწვილობის დროინდელი შთაბეჭდილებაა — მაშინ სკოლის მოწაფე ვიყავი. მერე, გურიიდან თბილისში ჩამოსულმა, „გორდელასა" და „რუსთავში" რომ დავიწყე სიმღერა, ყოველთვის მცნობდა და ჩემდამი კეთილგანწყობასაც ამჟღავნებდა. მაშინ ახალი ჯარმოხდილი ვიყავი და ვაკის სტუდქალაქში ვცხოვრობდი. ხელმოკლედ ვიყავი, ბინა არ მქონდა, უკვე 32 წლის

კაცსაც კი ამ სტუდქალაქში მიხდებოდა ცხოვრება. ბატონი თამაზი ამ დროს ახალდანიშნული მერია. ერთხელაც, სადღაც შემხვდა და დაინტერესდა ჩემი მდგომარეობით. მაშინ შეიტყო, რომ უბინაო ვიყავი. გამომიარე სამსახურში, საღამოს 6 საათისთვისო... სამუშაო საათებში კი არ დამიბარა!

მისვლისთანავე, შინაურულად დამსვა მაგიდასთან, რაღაც დასალევი გამოიღო, დავლიოთო. მახსოვს, ტელევიზორი ჩართული ჰქონდა — ჩვენები „სპარტაკს" ეთამაშებოდნენ. მამაშვილურად ვისაუბრეთ: ხელოვნებაზე, ანსამბლზე, ქართულ ტრადიციებზე. მერე, შეუმჩნევლად, ჩემი ოჯახისა და გვარის ამბებზე გადავიდა — სახტად დამტოვა ამ ყველაფრის ცოდნით. ძალზე თბილად მელაპარაკა, უკვირდა, როგორ მოხდა, რომ ამდენ ხანს უბინაოდ დარჩიო. მე ავუხსენი, მეგონა, საბინაო აღრიცხვაზე ვიდექი, მაგრამ ტყუილი აღმოჩნდა, ჩემი საბუთები გადადებული ჰქონიათ-მეთქი. თამაზი დაინტერესდა ამ ისტორიით და ყველაფერი ორ დღეში გამოასწორა. მერე მითხრა, ახლა რომ ბინა გამოჩნდება, ის აუცილებლად მამია ხატელიშვილს უნდა მივცე, მაგრამ პირობას გაძლევ, მეორე შენი იქნებაო. ასე ერთ-ორ თვეში აუცილებლად დაგირეკავენო.

მართალი გითხრათ, თავი არ დამიიმედებია. ამ ლაპარაკიდან ასე ერთ კვირაში მამიამ ბინა მიიღო, ხოლო ორ კვირაში მეც დამირეკეს და საბურთალოზე ახალაშენებული ოროთახიანი ბინის გასაღები ჩამაბარეს. მახსოვს, იმ ბინის სანახავად ჩემს საყვარელ მასწავლებელთან — გივი ორჯონიკიძესთან ერთად წავედი. ბატონი გივი კონსერვატორიის პრორექტორი გახლდათ, მამასავით მყავდა. რა თქმა უნდა, წამომყვა, მით უფრო, საშინლად აღელვებული ვიყავი: სულ ერთი ოთახი მენატრებოდა და ერთბაშად ის ორი ოთახი, თავისი აივნიანად, იმოდენა მომეჩვენა, ცრემლებს ვერ ვიკავებდი.

მას მერე სულ მგონია, რომ ხეირიანი მადლობაც ვერ ვუთხარი ამ დიდი საჩუქრისთვისაც და იმ ყურადღებებისთვისაც, წლების მანძილზე მისგან დაუსრულებლად რომ ვგრძნობდი. მუდმივად ვყავდი მხედველობის არეში, ეს ვიცი. სხვა არავინ მახსენდება, ჩემთვის თუ სხვა გვერდით მდგომისთვის სიკეთე ასე ვაჟკაცურად და დაუმადლებლად რომ გაეკეთებინა. ბატონ თამაზს კი, იმოდენა მადლი აქვს ჩემთვის თუ ჩემი მეგობრებისთვის — ხელოვნების ხალხისთვის — გაღებული, ღმერთმა ნუ დაუკარგოს ნურც ერთი. ბატონი თამაზი პირველი თუ არა, ერთ-ერთი პირველია მათ შორის, ვისაც ჩემს ოჯახში შესმული მოკეთეების სადღეგრძელო ერგება".

დორიან კიტია (კულტურის ცნობილი მოღვაწე, მეგობარი):

„ისე მოხდა, რომ თამაზის მერობის დროს მე „ხუთფონდის“ დირექტორი გახლდით. ეს ის დროა, როცა რუსთაველის თეატრის დირექტორობა, ევროპაში გაქცეული ნუგზარ შარიას წყალობით, უკვე უკან მაქვს მოტოვებული. მაშინ მხატვართა შორის განსაკუთრებით ბევრი მეგობარი მყავდა და ზოგ მათგანს თხოვნებსაც ვუსრულებდი. ერთხელ გიორგის შავგულიძის ვაჟი მესტუმრა, აღარ მახსოვს, ვინ მომიყვანა. ვიღაც გარდაცვლილი მეზობლის გამოთავისუფლებულ ბინაში გიორგი შავგულიძის სახლ-მუზეუმის გახსნა უნდოდათ და იქნებ თამაზ ჯანელიძესთან გვიშუამდგომლოო.

შავგულიძეები თერთმეტსართულიანში ცხოვრობდნენ. მათ გვერდითა ბინაზე იყო ლაპარაკი. რა თქმა უნდა, მაშინვე დავურეკე თამაზს და როგორც ველოდი, მასაც ელვისებური რეაქცია ჰქონდა — სიტყვა არ დამამთავრებინა, ერთბაშად ჩამომძახა ყურმილში, მანდ დამხვდით, ახლავე მოვდივარო. მართლაც, ისე ბრძნულად და თანაც, ორ წუთში გადაგვიწყვიტა საკითხი, მთელი ოჯახი განცვიფრებული დატოვა. ვერ წარმოედგინათ, ასე სწრაფად, უმტკივნეულოდ და ყოველგვარი ბიუროკრატიის გარეშე თუ შეიძლებოდა ამ პრობლემის შემოვლა. ასეთ რამეებში თამაზი უბრალოდ, შეუდარებელი იყო. მან იცოდა საზოგადოებისთვის ღირებული, მოღვაწე ადამიანების დანახვა და დაფასება. ამისი ნიჭი ყოველთვის ჰქონდა.

და, საერთოდაც, კარგი წამოწყების, ნიჭიერების ხელშეწყობა, შეიძლება ითქვას, რომ მისი ჰობი გახლდათ. არასდროს დამავიწყდება, ისევ იმ „ხუთფონდის“ დირექტორობის დროს, რომ მოვიწადინე თბილისში ბავშვთა სამხატვრო გალერეის დაარსება და ამ იდეამ იმდენად გამიტაცა, რომ ამ ამბავში თენგიზ მირზაშვილიც ჩავითრიე. თენგიზმა, მთელი ცხოვრებაა, ამის გაკეთება მინდა და შენ თუ წამოიწყებ, მეც აქა ვარო.

სწორედ იმხანად ფილარმონიის ზედა სართულზე რესტორანი იყო გამართული. მისი დირექტორიც კი მახსოვს, სირაძე იყო გვარად. ამავე შენობის პირველ სართულზე, ახლანდელი კოსტავას ქუჩის მხრიდან, გარკვეული ხნის მერე გაჩნდა ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა კლუბი. ერთი სიტყვით, ერთი დავა იყო, ამ ბავშვთა გალერეისთვის ადგილი ამ რესტორანს თუ კლუბს უნდა დაეთმო. ბოლოს ამ გალერეამ რესტორნის სართული დაიკავა და ეს თამაზის დახმარების შედეგი იყო“.

თბილისის მერობის დროს რამდენიმე ღირსშესანიშნავი მოვლენის თანამონაწილე გავხდი. ამათგან უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია

ვაჟა-ფშაველას ძეგლის დადგმა თბილისში. ძეგლის ავტორი გახლავთ ჩვენი სახელოვანი მოქანდაკე გოგი ოჩიაური. აქვე მოვიყვან ძეგლის გახსნის ცერემონიალზე ჩემს მიერ წარმოთქმულ სიტყვას:

„მეგობრებო, ჩვენ დღეს აქ ვაჟა-ფშაველას ძეგლის გახსნაზე შევიკრიბეთ. თუმცა, ალბათ უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რომ მისი ძეგლი ჩარგალში დაედგათ. ძეგლი კი არა, ალბათ, უფრო კლდე, უბზარი კლდე, რომელსაც ვაჟას სახელი დაერქმეოდა. მაგრამ თბილისს უყვარს თავისი რაინდები და ეს ძეგლიც ამ სიყვარულის გამოვლენაა.

ვაჟას ნაწარმოებთა წაკითხვისას ყველაზე დიდი გრძნობა, ადამიანს რომ ეუფლება, სიყვარულია – სამშობლოს სიყვარული, მიწის სიყვარული, სიცოცხლის სიყვარული. ვაჟა ერთნაირი სითბოთი და ალერსით მიმართავს პატარა ლურჯ იას და გაქვავებულ ხმელ ნიფელს, შეუპოვარ ალუდას და ბრძენკაც მინდიას, თავზარდაცემულ აღაზასა და სამშობლოსთვის თავდადებულ კვირიას. ამ მთაკაცის სიყვარული ჰყოფნის და ავსებს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ დედამიწასაც. იგი იღვრება მთელ დედამიწაზე და ეფინება მას სიკეთედ და კაცთმოყვარულ სითბოდ.

ვაჟა მთის შვილი და ტრფიალი იყო! ზურმუხტისფერ იალაღებს დანატრულს სიკვდილის წინ ბალახი მოუნდა და იქნებ ბუმბერაზ მთებს, მქუხარე ჩანჩქერსა და უკიდეგანო საძოვრებს ჩვეულ მის შეუპოვარ სულს კიდეც გაუჭირდეს ასფალტის გზატკეცილებით, მრავალსართულიანი სახლებითა და რკინა-ბეტონის ახალშენებით აბჯარასხმულ ჩვენს ქალაქთან შეგუება. სწორედ ამიტომ მას თბილისმა თავისი ერთ-ერთი ყველაზე ნათელი, ფართო და ლამაზი ქუჩა დაუთმო. ეს ქუჩაც ვაჟა-ფშაველას სახელს ატარებს.

და აი, დგას ვაჟა აქ, თავის ქუჩაზე და გაჰყურებს თბილისს, რომელიც დღითი დღე სულ უფრო იზრდება; ამიერიდან იგი ჩვენი ქალაქის მკვიდრია, თბილისის ყველა სიხარულისა და მწუხარების თანამონაწილე და მის სადარაჯოზე მდგარი მთის მრისხანე არწივია“.

რახან დიდი ქართველი პოეტის ძეგლის გახსნა ვახსენე, აქვე გავიხსენებ დიდი რუსი პოეტის – ვლადიმერ მაიაკოვსკის თბილისური ძეგლის გახსნას და მასზე ჩემს მიერ წარმოთქმულ სიტყვასაც. ძეგლი დაიდგა დიღმის მასივში, მეგობრობის პროსპექტზე არსებულ სკვერში, 1973 წლის 13 ივლისს. აი, ეს სიტყვაც:

«Сегодня на этом шумном, многолюдном проспекте, на просреке Дружбы мы являемся свидетелями рождения нашего

Тбилисского Маяковского- горластого - задиристого, дерзкого трибуна революции!

Наверно, нет в нашей стране человека, которйи не любил бы Маяковского. Но грузины любят и видят в нем еще и Маяковского-грузина и неспроста – рос он на грузинской земле, под грузинким небом и может быть, это горластость и задиристость, это бурляшая и горячая кровь дана ему грузинским солнцем.

Как-будто какой-то злой рок висит над поэтами-борцами: все они рано уходят из жизни.

Вспомните Байрона и Петефи, Бараташвили и Лермонтова, Эсенина и Маяковского.

А может быть, это потому, что они не тлеют медленным, тихим огнем, как обыкновенные смертные, а горят ярким факелом сгорая дотла, освещая своим огнем путь другим людям.

«Все земное, телесное, бьющая горячей кровью, полное непосредственной жаждой существования –все это он испытал с величайшей силой~ – писал Луначарский о Маяковском.

Вот такому человеку закладываем мы сегодня памятник и на этом самом месте, на проспекте Дружбы будет стоять наш Маяковский –поэт звонких чистых стихов, певец революции и свободы».

დავით გურამიშვილის საიუბილეო დღეების სამზადისია... ჩამოვიდნენ სტუმრები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, საბჭოთა კავშირისა და ევროპის სხვადასხვა ქალაქებიდან. გაიმართა საიუბილეო საღამო, ერთმანეთს ცვლიან დელეგაციები. ყველა სითბოსა და სიყვარულს ასხივებს. ერთი სიტყვით, საიუბილეო ღონისძიებები კარგად, აწყობილად მიმდინარეობს.

რა თქმა უნდა, დაგეგმილია სტუმრების გაყვანა საგურამოში და მერე სადმე, მინდორში სუფრის გაშლაც. მაგრამ სუფრისა და ამოდენა ხალხისთვის სამყოფი პურ-მარილი აშკარად არ არის და მწერალთა კავშირი საგონებელშია ჩავარდნილი. თავს ხომ არ შეირცხვენენ, არადა, გამოსავალი არ ჩანს (ასეთ შემთხვევებში, ხარჯაღრიცხვაში საპურმარულო თანხებს, რა თქმა უნდა, არავინ ითვალისწინებდა!).

მე და ირაკლი აბაშიძე მწერალთა კავშირში ვსხედვართ, ვიტეხთ თავს. რა გამოსავალი მოვნახოთ. უცებ იდეამ გამიელვა, რომ შოთა ჭანუყვაძისთვის წერილი-ლექსი მიგვეწერა და დახმარება გვეთხო-

ვა. ირაკლის ეს აზრი ძალიან მოეწონა, აიღო ფურცელი, მოიმარჯვა კალამი და სულმოუთქმელად, ხუთ წუთში ლექსი გამოაცხო. აი, ეს ლექს-წერილიც:

„გურია, მახარაძე, პარტრაიკომი, შოთა ჭანუყვაძეს!

სულ სწორდება – ჩვენს საქმეში
რაც ნაკლი გვაქვს, რაც ხელს გვიშლის,
ცხრა ოქტომბერს ზეიმს ვუხდით
პოეტ დავით გურამიშვილს.
შავ „ზიმებში“ გაჯგიმული,
ბაშლიყგადახურულები,
საგურამოს სანახებთან
მომაშველე გურულები.
თან პურ-ღვინო წამოიღონ,
ღვინით სავსე კი გაქვთ ჭური,
დასხდნენ იქ და შემოსძახონ
„კოდალა“ და კრიმანჭული“.

მართლაც, საგურამოში, ღარიბული სუფრა რომ გვაქვს გაშლილი, მოგვადგა პურ-მარილით – გოჭებით, ციკნებით, ინდაურებით, ქათმებით, ხაჭაპურებით, ხილით და ვინ მოთვლის, კიდევ რით აღარ – გაძეძგილი სამი შავი „ზიმი“. გაიშალა ახალი დიდებული სუფრა, სტუმარ-მასპინძელმა უცებვე მასთან გადაინაცვლა და გაჩაღდა ერთი დროსტარება, მხიარულება და ცეკვა-სიმღერა. გურულებმა კი „კოდალაც“ შემოსძახეს, კრიმანჭულითაც გვასიამოვნეს და „ხასანბეგურაც„ მოგვასმენინეს.

ჩემი მერობის პერიოდი, ვერ ვიტყვი, რომ დედაქალაქისთვის იოლი იყო. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, დაიწვა ოპერისა და ბალეტის თეატრის ის საუცხოო შენობა. ეს გახლდათ შემზარავი სანახაობა. მთელი თბილისი რუსთაველზე იყო შეყრილი, ხალხი სასოწარკვეთისგან ტიროდა. იმ დღეებში მთელი ქალაქი დაზაფრული და თავზარდაცემული გახლდათ.

მერე იყო დისკუსიები, თუ როგორი უნდა ყოფილიყო თბილისის საოპერო თეატრის ახალი შენობა. ფაქტობრივად, ეს იყო საყოველთაო დისკუსია — აზრთა სხვადასხვაობა ჩანდა არა მარტო სპეციალისტთა შორის, არამედ საზოგადოების ყველა ფენაში. ეს ბუნებრივი იყო: შეუძლებელი გახლდათ, ასეთ ელდას ვინმე გულგრილი დაეტოვებინა.

მე მაშინ არქიტექტორთა მოსაზრებას ვიზიარებდი — უფრო

ქართული არქიტექტურული ელემენტების მქონე ახალი შენობის დაპროექტება გვინდოდა, რადგან ის, ძველი მავრიტანული სტილისა იყო, თუმცა სიყვარულით სხვა თბილისელებზე ნაკლებად არც ჩვენ გვიყვარდა. ისე მახსოვს, ამ დღეებში, ყველაზე ცხარე ოპონენტები სწორედ ოჯახში გავიჩინე — ყველანი, უკლებლივ, თეატრის ძველი შენობის შენარჩუნებას ემხრობოდნენ. ცნობილია, რომ ბოლოს ამ საზოგადოებრივმა პოზიციამ გაიმარჯვა კიდეც და ჩვენმა ოპერამაც აღიდგინა ძველი იერსახე.

რა თქმა უნდა, ეს ამბები მე აღარ მომსწრებია. ამ ყველაფერს იმიტომ ვიხსენებ, რომ ამ თანამდებობაზე ცოტაც რომ დამცლოდა, ჩემი მხრივაც, ძალიან ბევრი იდეა თუ გეგმა მქონდა თბილისის გეგმარებით და არქიტექტურულ განვითარებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი. მაგრამ ამჯერადაც არ მაღალატებინეს «ტრადიციისთვის» — მორიგი ინტრიგის მსხვერპლი გავხდი. ისევ ფეხი დამიდეს და რაკიღა მეც მიამიტურად წავიბორძიკე, მეტი რა გზა მქონდა... უნდა წამოვსულიყავი და კიდეც წამოვედი!

ინსტიტუტსა და გეოლოგიის დეპარტამენტში

მოკლედ, ისევ გეოლოგიას დავუბრუნდი — 1974 წელს კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში დავინიშნე სამეცნიერო დარგში დირექტორის მოადგილედ. მოგვიანებით კი (1977წ.), დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად, ბატონი ნიკო გომელაურის, გარდაცვალების შემდეგ — დირექტორადაც.

ეს მოხდა სსრკ გეოლოგიის სამინისტროს თაოსნობითა და საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის თანხმობით. ამ შემთხვევაში ედუარდ შევარდნაძემ ინიციატივა ჩვენს მინისტრს ე. კოზლოვსკის დაუთმო, ვფიქრობ, იმიტომ, რომ თავის „ძმაკაცებს" აწინაურებსო, მერე არავის წამოეყვედრებინა.

თუმცა, სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, ფაქტობრივად, მთელი წლის მანძილზე დირექტორის მოადგილისა და დირექტორის მოვალეობებს ვითავსებდი.

დავაზუსტებ: კავკასიიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, რომელიც დღესაც ძალზე სოლიდური რეგიონული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი გახლავთ, იმ წლებში საკავშირო დაქვემდებარების დაწესებულებაც იყო. საბჭოთა კავშირს ასეთი, ანუ რეგიონული ტიპის, რვა ინსტიტუტი ჰქონდა — შუა აზიაში, შორეულ აღმოსავლეთში, ჩვენთან, კავკასიაში და კიდევ სხვა ხუთიოდეც.

ჩვენს ინსტიტუტს გაუმართლა. ამით იმის თქმა მინდა, რომ მას იმთავითვე ჩამოუყალიბდა არა მარტო საკმაოდ მაღალი სამეცნიერო პოტენციალი, არამედ ასევე, საკმაოდ მაღალ სამეცნიერო ინტერესთა მემკვიდრეობის გარკვეული ტრადიციაც.

მართალია, უკვე 70-იანი წლების მეორე ნახევარში, მე რომ ვიგონებ, მეტ-ნაკლებად დაკნინებული იყო მისი მნიშვნელობაცა და საკავშირო ავტორიტეტიც, მაგრამ ჩვენი გუნდის მცდელობით, მეცნიერ თანამშრომელთა, ტექნიკოსთა თუ ლაბორანტთა საერთო ძალისხმევით, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი იქცა ყოფილი კავშირის არა მარტო ერთ-ერთ მოწინავე, არამედ ყველასთვის საინტერესო სამეცნიერო დაწესებულებად.

ეს წარმატებები კი მოიტანა თანმიმდევრულმა და მოწადინე-

ბულმა შრომამ, რასაც წლების მანძილზე ჩემს მოადგილეებთან — გიორგი თვალჭრელიძესთან, ვაჟა ბუაძესთან (გეოლოგიის დარგში), ოთარ მდივნიშვილთან (ტექნოლოგიის დარგში), გიორგი კვირიკაძესთან (ეკონომიკის დარგში), ლაბორატორიებისა და სექტორების გამგეებთან ერთად, საქმის კარგი და სწორი ორგანიზაციით ვაღწევდით.

შევეცდები მათ ჩამოთვლას: გიგული მაჩაბელი, ბენო გოგიშვილი, ლევან დოლაბერიძე, ვიქტორ შაფაქიძე, სერგო კეკელია, გიორგი მაღალაშვილი, გურამ ნადარეიშვილი, მიხეილ მერაბიშვილი, დათო არევაძე, ანდრო ხუცაიძე, ლამარა ურიდია, მერი ტევონიანი, ნინო შუკაკიძე, იზა ჭოღოშვილი, სვეტლანა სულხანიშვილი, მარინე კანდელაკი, ხათუნა თოდრაძე, ლენა ულენტი, თამარ ფანცულაია, ლეილა მახარაძე, თამაზ სპარსიაშვილი, რაულ (ფისო) მელაძე, ლევან ცუცქირიძე და სხვები.

ვთქვი, ინსტიტუტს თავიდანვე გაუმართლა... ვფიქრობ, მარტო იმითაც, რომ მისი უშუალო ხელდამსმელი ქართული გეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი ალექსანდრე ანტონის ძე თვალჭრელიძე გახლდათ.

ყველაფერი კი დაიწყო 1919 წელს, ახალდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში მინერალოგიის კათედრის ამოქმედებით. მისი ხელმძღვანელი გახდა თავად ივანე ჯავახიშვილის მიერ პროფესორად წარდგენილი და არჩეული, რუსეთიდან საგანგებოდ მოწვეული ალექსანდრე თვალჭრელიძე – მოსკოვის უნივერსიტეტის 1912 წლის კურსდამთავრებული დიდი მეცნიერის, ვლადიმერ ვერნადსკის მოწაფე და მიმდევარი.

ახლა ცოტა რამ იმ მოვლენებზე, ამ ფაქტს წინ რომ უსწრებდა...

1915 წელს აკადემიკოსმა ალექსანდრე ფერსმანმა დააყენა ე. წ. "ფულერული მიწების", იგივე, მონტმორილონიტური თიხების (რაც ასე სჭირდებოდა ნავთობის მრეწველობას) ძიების პრობლემა.

ახალგაზრდა ალექსანდრე თვალჭრელიძეს კი, რომელიც ამ დროისთვის უკვე ფერსმანთან მუშაობს, ბავშვობიდან ხსომებია, როგორ ჩამოჰქონდა მამამისს დასავლეთ საქართველოდან სტავროპოლში (სადაც მაშინ მათი ოჯახი ცხოვრობდა) „თავსაბანი მიწის“ ძელაკები. ახლა კი, ინტუიციამ უკარნახა, რომ ეს „მიწა“ „მაუდის სათელავი“ მათეთრებელი თიხის ანალოგი უნდა ყოფილიყო.

აქედან იწყება ისტორია, რომელმაც, საბოლოოდ, საქმე მიიყვანა კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დაარსებამდე... ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა მეცნიერების ორგანიზაციის სფე-

როში დიდი ნაბიჯი წინასწარ შემუშავებული მოდელის მიხედვით ნამდვილად არ გადადგმულა.

1916 წლის ზაფხული. ბატონი ალექსანდრე დასავლეთ საქართველოშია. იგი აქ მოავლინა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ, ალექსანდრე ფერსმანის ინიციატივით. ახალგაზრდა მეცნიერს „ფულერული მინის მოძიება და გამოკვლევა დაევალა.

ბედმა გამიღიმაო... ქუთაისის ბაზარში შემთხვევით წაწყდომია გლეხს, რომელიც ყურძენთან ერთად ყიდდა «თავსაბანი მინის» ძელაკებსაც. 40 წლის შემდეგ იგი მოიგონებს, როგორ შეიძინა ამ გლეხისგან ეს ოცივე ძელაკი და მასთან, მთელი ყურძენიც. გამოკითხა, სად ცხოვრობდა და ესტუმრა მეორე დღესვე სოფელ გუმბრში.

ასე, ერთი შეხედვით, მარტივად და უწვალებლად აღმოაჩინა დიდმა მეცნიერმა გუმბრინის საბადო.

„ფულერის მინის" დიდი საბადოს აღმოჩენამ ახალი საზრუნავი მოიტანა. საჭირო გახდა იმის მტკიცება, რომ გუმბრის თიხები თავისი მათეთრებელი თვისებებით ბევრად ჯობდა საზღვარგარეთულ თიხებს.

ამ ბედნიერ შემთხვევას მოჰყვა ხანგრძლივი ლაბორატორიული და ქარხნული კვლევები, რომლებმაც პრაქტიკულად დაადასტურა, რომ ქართული საბადო გაცილებით ჯობდა იმ ამერიკულ თიხებს. ეს აუცილებელი იყო იმისთვის, რომ ქვეყანა გათავისუფლებულიყო ძვირადღირებული თიხის იმპორტისგან, ნავთობპროდუქტების გასაწმენდად რომ გამოიყენებოდა.

დაიწყო დაძაბული შრომა – ხანგრძლივი ლაბორატორიული და ქარხნული ცდები გუმბრინისა და ატაპულკოს (აშშ, ჯორჯიას შტატი) თიხების ერთმანეთთან შესადარებლად. ამ ცდებმა დაადასტურა გუმბრინის თიხის ვარგისიანობა, რასაც ქვეყნისთვის დიდი ეკონომიკური მოგება უნდა მოეცა.

ანუ როგორც თავად ალექსანდრე თვალჭრელიძე აღნიშნავს, „საქართველოში შეიქმნა მომპოვებელი მრეწველობის ახალი დარგი, რომელმაც ჩვენი ნავთობის მრეწველობა გაათავისუფლა „ფულერის მინის" ამერიკული იმპორტისგან და ქვეყანას დაუზოგა არაერთი ათეული მილიონი ოქროს მანეთი".

ამ მუშაობამ განუზომლად აამაღლა უნივერსიტეტის მინერალოგიის კათედრის ავტორიტეტი და ხელი შეუწყო მასთან თიხების შემსწავლელი სპეციალიზებული ლაბორატორიის ჩამოყალიბებას, რომელიც სულ რაღაც ერთ წელიწადში გადაიქცა მინერალური

ნედლეულის საკავშირო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალად, ხოლო მოგვიანებით – ამიერკავკასიისა და კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტად.

აი, «როგორ აღმოცენდა თიხიდან ინსტიტუტი» (ეს სიტყვები ბატონ ალექსანდრეს დავესესხე. ასე დაასათაურა მან თავისი მონათხრობები იმ მოვლენათა შესახებ, რომლებიც ამის შემდეგ განვითარდა)...

ინსტიტუტი დაარსდა 1929 წელს, ჩატარებულმა სერიოზულმა სამუშაოებმა მას სულ მალე დაუმკვიდრა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტატუსი, დაარსების ოცი წლის იუბილეზე კი საგანგებოდ აღინიშნა ჩვენი ინსტიტუტისთვის საეტაპო ყველა მიღწევა. მათ შორის, ტრესტების — «საქგუმბრინისა» და «საქმარმარილოს» შექმნა, მათეთრებელი მიწების იმპორტის შეწყვეტა, «აზნეფტის» ქარხნების გადაყვანა ნავთობპროდუქტების გუმბრინით გაწმენდაზე, გადამუშავებული გუმბრინის გამოყენება აფშერონის ნიადაგების გასანოყიერებლად, სახურავი ფიქლების საწარმოების შექმნა კახეთში, მჟავაგამძლე ანდეზიტების წარმოება ბაკურიანში, მეტალური დარიშხანის წარმოების ორგანიზება ლუხუმის საბადოზე, აქტივიზებული თიხის „ასკანიტის“ წარმოების შექმნა ქ. მახარაძეში, ბენტონიტური თიხის „ასკანგელის“ გამოყენება მანქანათმშენებელ ქარხნებში დეტალების ჩამოსასხმელი საყალიბე ფორმების დასამზადებლად, ქალცედონური ნედლეულის აღმოჩენა და მისი გამოყენება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წარმოებაში, შესანიშნავი სამშენებლო ტუფების აღმოჩენა და სხვა მრავალი.

ამ მიღწევების შემდეგ ინსტიტუტმა კიდევ უფრო გააფართოვა თავის მნიშვნელოვან კვლევათა მასშტაბები.

არსებობის მესამე ათწლეულში მისი ახალი სამუშაო მიმართულებები გახლდათ მეტალოგენიის, მასთან დაკავშირებული პალეოვულკანოლოგიისა და ვულკანოგენიური მადანწარმოშობის, სედიმენტოლოგიისა და დანალექი მადანწარმოშობის, პალეოტექტონიკის, მაგმატური და მადანწარმომქმნელი სისტემების ევოლუციური ტექტონიკური რეჟიმების კვლევა და პრაქტიკული გამოყენება.

კვლევის ამ მიმართულებებს იმთავითვე სათავეში ედგა და კარგა ხანს ხელმძღვანელობდა კიდეც აკადემიკოსი გიორგი (დოდიკა) თვალჭრელიძე, დიდი მეცნიერი და ყველასადმი კეთილგანწყობილი, გულისხმიერი ადამიანი – ჩვენი ინსტიტუტის დამაარსებლის ვაჟიშვილი.

ეს უკვე ის წლებია, როცა ინსტიტუტში ტარდება საფუძვლიანი

მეტალოგენური დამუშავებები, მუშავდება ს დედამინის ქერქის ერთიანი მეტალოგენური მოდელის მაკეტი (რეგიონის სპეციალური რუკის სახით, 1959წ., მასშტაბი — 1:500 000), რომელიც ამ დრომდე პერმანენტულად ახლდება.

უკვე შემდგომ ათწლეულებში ფართო გასაქანი მიეცა წიაღისეულის საპროგნოზო სამუშაოებს, სხვადასხვა მასშტაბის რუკების შედგენას, პროგნოზული რესურსების შეფასებას, ასევე, რეგიონის სხვადასხვა სახის გეოსტრუქტურების დიფერენცირებულ შესწავლასა და სხვას.

წლების მანძილზე ინსტიტუტში ტარდებოდა სერიოზული ტექნოლოგიური სამუშაოები. ლაპარაკია მადნეული და არამადნეული ნედლეულის ქიმიურ-მინერალოგიური შესწავლის, გამდიდრების, ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიური სქემების დახვეწისა თუ ახლის დამუშავების სრულყოფაზე, ასევე, ნედლეულის გადამუშავების პროცესებში ბაქტერიალური მეთოდების გამოყენებაზე.

აღსანიშნავია, რომ არამადნეული ნედლეულის გადამუშავების პროცესები მოიცავდა ისეთი ტექნოლოგიური რეჟიმების შემუშავებას, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გამოყენებისთვის, გამიზნული თვისებების მქონე პროდუქტის მიღებას (დიატომიტები, პერლიტები, ცეოლითები, თიხები) უზრუნველყოფდა.

მიმდინარეობდა მეტად მნიშვნელოვანი სამუშაოები წარმოებაში პოლიმეტალური მადნების გამდიდრების არატოქსიკური ტექნოლოგიების (ციანიდური მეთოდის ნაცვლად) დასანერგავად.

ინსტიტუტში დაინერგა ალის ფოტომეტრიული და ატომურ-აბსორბციული მეთოდები, რის შედეგადაც შრომატევადი ქიმიური მეთოდები შეიცვალა თანამედროვე ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით; ჩამოყალიბდა სპექტროქიმიური (შემდგომში ანალიზის ფიზიკური მეთოდების) ლაბორატორია; ათვისებული იყო ელემენტების განსაზღვრის რენტგენორადიომეტრული, რენტგენოსპექტრალური და ლაზერული მიკროსპექტრალური მეთოდები. კვლევებისთვის, გარდა რენტგენოსტრუქტურული და თერმოგრავიმეტრული მეთოდებისა, გამოყენებული იყო სპექტროფოტომეტრული მეთოდები ულტრაიისფერ, ხილულ და ინფრაწითელ უბნებში. გაცილებით დიდი მნიშვნელობა და წონა შეიძინა ინსტიტუტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითმა საქმიანობამ, ხოლო მისმა სამეცნიერო პოტენციალმა ფართო აღიარება ჰპოვა მთელი კავშირის მასშტაბით.

ინსტიტუტში მრავალი წლის მანძილზე ფუნქციონირებდა გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ხარისხების (დოქტორისა და კანდიდატის) მიმნიჭებელი სპეციალიზებული რეგიონული საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს მეცნიერებათა დოქტორები: ვ. ბაბა-ზადე, ს. ბექთამი, ე. მალხასიანი, ვ. ფანცულაია, გ. ოდიკაძე, ვ. გუგუშვილი, გ. ლორთქიფანიძე, გ. მაღალაშვილი, გ. თვალჭრელიძე, ალ. თვალჭრელიძე, რ. ჯარბაშიანი, გ. მუსტაფაევი. ვ. შეგლოვი, გ. კობილევი, ი. ბოგუში, ვ. სოდლეცკი, ვ. ტრუფანოვი, სწავლული მდივანი ნ. ხამხაძე, საბჭოს თავმჯდომარე თ. ჯანელიძე.

სადოქტორო საბჭოს, გარდა თავისი მაღალი სამეცნიერო პოტენციალისა, თავის რეგიონებში დიდი სამეცნიერო-პოლიტიკური წონაც ჰქონდა, ხოლო მის წევრებს ყოველთვის ურთიერთპატივისცემა და ურთიერთთანამშრომლობა აკავშირებდათ.

სადოქტორო საბჭომ ფუნქციონირება დაიწყო 1981 წელს და შეწყვიტა 1992 წელს (საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად). საბჭომ სამეცნიერო ხარისხები (მეტწილად, დოქტორისა) მიანიჭა 70 სპეციალისტს, ხოლო მის მიერ „გადოქტორებული" მეცნიერები სხვადასხვა მეცნიერებათა აკადემიების წევრები, ინსტიტუტების ხელმძღვანელები და წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლები გახდნენ.

ერთი საინტერესო დეტალიც: ბაქოს უნივერსიტეტის პროფესორმა სუბხი ბექთაშიმ (აზერბაიჯანის მაღალი გვაროვნული წრის წარმომადგენელი!) საკუთარი სახლიდან, ბუზოღლების ბიბლიოთეკიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მუზეუმს გადასცა ზაქარია ფალიაშვილის ხელნაწერი „აბესალომ და ეთერის" პარტიტურა.

ეს მეგობრული ურთიერთობა დღესაც გრძელდება, ურთიერთპატივისცემამ და სიყვარულმა ხომ საზღვრები არ იცის.

ჩვენი ინსტიტუტი წლების მანძილზე იყო ორიენტირებული ახალ ტექნოლოგიათა და მიდგომათა რეალიზებაზე, უპირველეს ყოვლისა კი, იმაზე, რაც სასიცოცხლოა ქვეყნის მინერალურ-რესურსული კომპლექსების შემადგენელ ნაწილთა სამრეწველო პოტენციალის განსაზღვრისთვის.

ინსტიტუტში შემუშავდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მინერალურ-რესურსული ფაქტორების მოდელი, რაზეც ინსტიტუტის სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის ყველა ასპექტი იყრის თავს და საიდანაც ალბათ, არ უნდა გაჭირდეს მისი სამომავლო ორიენტირების განსაზღვრაც.

კავკასიის მინერალური ნედლეულის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, ისევე, როგორც გეოლოგიის დეპარტამენტს, თავისი სამუშაო თემატიკით უშუალო კავშირი აქვს ენერგეტიკის პრობლემებთან.

საქართველოში ქვანახშირის მრეწველობის სრულფასოვანი რეაბილიტაციისთვის ვფიქრობ, აჯობებდა, რომ უპირველესად, რიგი საბაზო გეოლოგიური ამოცანების გადაწყვეტას ითვალისწინებდეს ტყიბულის შახტების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისა და თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროექტები. ამ მიმართებით, ინსტიტუტს მართლაც ბევრი აქვს გაკეთებული, რომ არაფერი ვთქვათ იმ კვლევების შედეგებზე, რომლებითაც იგი უკვე რა ხანია, მეწინავეობს არა მარტო დსთ-ს სივრცეში.

ჩვენი ინსტიტუტი თავისი საკვლევი პრობლემატიკით ასევე, ძალზე მჭიდროდაა დაკავშირებული დედამიწის სიღრმისეული სითბოს, იმავე, თერმული წყლების სითბოს, ათვისების პრობლემასთან. საკმაოდ მასშტაბურია მისი საქმიანობა ტერიტორიული მინერალურ-რესურსული კომპლექსების გეოლოგიურ-ტექნოლოგიურ-ეკონომიკური მოდელების დამუშავების კუთხითაც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ მოდელებმა უნდა ასახოს თანამედროვე რეალობით ნაკარნახევი დარგთაშორისი კავშირები, რაც, საბოლოოდ, ქვეყნის მინერალურ-რესურსულ პოლიტიკაში ძალთა ეფექტურ გადანაწილებასაც შეუწყობს ხელს და მასში ინსტიტუტის ადგილისა და მოვალეობების განსაზღვრასაც.

მინერალურ-რესურსულ პოლიტიკას, როგორც წესი, მინერალურ-რესურსული ბაზის მონიტორინგი არეგულირებს. ინსტიტუტი რა ხანია, მუშაობს მის შექმნასა და განვითარებაზე, რასაც აგრეთვე, სახელისუფლო მხარდაჭერა სჭირდება.

არანაკლებ საგულისხმოა ისიც, რომ ყველაფერი, რაზეც ამ საკმაოდ ნიჭიერი კოლექტივის ინტელექტუალური ენერგია იხარჯება, მიმართულია მასშტაბური გეგმებისკენ, რომლებიც კავკასიის სახელმწიფოების მეცნიერთა და სპეციალისტთა გონებრივი პოტენციალით შექმნილი კავკასიის გეოლოგიური სახლის განმტკიცების იდეას ემსახურება. მე მიმაჩნია, რომ ინსტიტუტი, უბრალოდ, ვალდებულია, ეს გააკეთოს, თუმცა რეგიონის სახელმწიფოთა გეოლოგიურ სამსახურებს შორის დღესდღეობით გაწყვეტილი საქმიანი კავშირები სერიოზულად აბრკოლებს იმის ხორცშესხმას, რასაც მშვიდობიან კავკასიაში ცხოვრება ჰქვია.

ამ იდეის ბოლომდე გატანა მხოლოდ რიგი გამაერთიანებელი ინი-

ციატივების დემონსტრირებითა და რეალური ეკონომიკური ნაბიჯებით შეიძლება. ამ მიმართებით ინსტიტუტი, ჩრდილო კავკასიის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სხვა გეოლოგიურ სამსახურებთან ერთად, ძალზე მოცულობით სამუშაოებს ასრულებდა.

იგულისხმებოდა დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა მიღწევების ერთიანი პროგრამა, რომლის საბაზისო ვარიანტიც რუსეთის ფედერაციის გეოლოგიური სამსახურის წამყვან სპეციალისტებთან ერთად, იყო შემუშავებული. საკითხი ეხებოდა კავკასიასა თუ განსაზღვრულ სახელმწიფოებში (ირანი, თურქეთი, ერაყი) ინტეგრირებული მრავალფაქტორიანი გეოლოგიური მოდელის შექმნას, რაც საშუალებას მოგვცემდა, რომ თანამედროვე ცოდნის დონეზე წარმოგვედგინა კავკასია-ირან-თურქეთ-ერაყის გეობლოკის ფაქტოლოგიური სისტემები.

ამ ყველაფრის უკან არა მარტო მშვიდობიანი, არამედ ეკონომიკურად აღორძინებული კავკასიის იდეაც დგას; იდეა, რომელზეც ჩვენი ინსტიტუტი, როგორც რეგიონის უმსხვილესი სამეცნიერო-კვლევითი მინერალურ-რესურსული დაწესებულება, თავისი ინტელექტუალური მისწრაფებებით ყოველთვის უმძაფრესად რეაგირებდა და კავკასიის სხვა სახელმწიფოთა გეოლოგიური სამსახურების მხრიდანაც ჰქონდა გარკვეული ინტერესი და მხარდაჭერა.

აქ თავს უფლებას მივცემ და მოვიყვან გამოჩენილი მეცნიერი მოღვაწეების გამონათქვამებს ჩვენი ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ:

«Было бы непростительно перед будущими поколениями государств Кавказа не использовать научный потенциал Кавказского института Минерального сырья (КИМС)».

Николай Межеловский,
Академик РАЕН
2001г.

«Со статусом КИМС-а тесно сопряжена идея о Мирном Кавказе. Она крайне плодотворна, а роль института в ее реализации неоценима».

Николай Милетенко,
Руководитель Департамента науки и информационных систем
Министерства природных ресурсов Российской Федерации
«Свободная Грузия», 17 марта 2001г.

«Волею исторических судеб и имеющего научного потенциала, КИМС оказался на своде арок и `глобального моста~, соединяющего Европу и Азию. В современной системе организации целевых исследований в интересах мирового сообщества трудно найти обьективную альтернативу КИМСу».

Анатолий Кривцов,
Академик РАЕН и Международной академии минеральных ресурсов,
лауреат Государственной премии СССР (ЦНИГРИ)
2001г.

«Если бы в нашем распоряжении не были бы исследования КИМСа, было бы невозможным делать определенные прогнозы по территории Северного Кавказа. Проблемы минерально-сырьевых ресурсов, экологии и сейсмических зон опасностей нуждаются в совместном изучении. Поэтому вклад грузинской геологии и КИМСа в этом направлении просто бесценен».

Дмитрий Рундквист,
Академик Российской Академии наук
2001г.

სამწუხაროდ, ბოლო წლების უსახსრობა სულ უფრო ნაკლებად იძლევა ამგვარ რეჟიმში მუშაობის შესაძლებლობას. ასევე დასანანია, რომ ეს შეეხო გეოლოგიური კვლევების დარგში ევროპულ თანამეგობრობასთან არსებულ უმდიდრეს კავშირებსაც.

ლაპარაკი მაქვს ბულგარეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უკრაინისა და განსაკუთრებით, რუსეთის მეცნიერებთან წლობით ჩამოყალიბებულ პროფესიონალურ კავშირებზე, რომლებსაც ამ ეტაპზე გაღრმავებაზე მეტად გადარჩენა სჭირდება. რასაკვირველია, ვგულისხმობ იმ კონტაქტებსა და მასთან, საერთაშორისო ავტორიტეტსაც, ჩვენს სამეცნიერო-კვლევით ცენტრს ევროპაში, აზიაში, ლათინურ ამერიკასა თუ აფრიკაში რომ მოუპოვებია თავის მეცნიერთა და სპეციალისტთა მრავალწლიანი საკონსულტაციო მივლინებების წყალობით.

აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ერთ დროს 800-კაციანი რეგიონული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება დღეს მხოლოდ 105

თანამშრომელს ითვლის; რომ უკვე რა ხანია, უპირველეს საზრუნავად გვაქვს ინსტიტუტის საერთაშორისო მნიშვნელობის შენარჩუნების საკითხი.

ცოტა ზემოთ მოგახსენეთ, რომ ჩვენს ინსტიტუტს, სამუშაო თემატიკით, ენერგეტიკის პრობლემებთან აქვს უშუალო შეხება. უთუოდ, ამ ნიშნით, 90-იანი წლების დასაწყისში, ჯერ სამხედრო და შემდეგ — სახელმწიფო საბჭოების დროს, როგორც მმართველობითი ორგანოების წევრს, ენერგეტიკული საკითხების კურირება დამავალეს. ამან საშუალება მომცა, შედარებით ახლოს გამეცნო ქვეყნის მაშინდელი ენერგეტიკული კორპუსის ხელმძღვანელობა და დარგის უკეთ ფუნქციონირებისთვის, მათთან ერთად, გარკვეული პრაქტიკული სამსახური მეც გამეწია.

უპირველეს ყოვლისა კი, აი, რა მინდა ვთქვა: ენერგეტიკაში მაშინაც არაერთი ღირსეული და განათლებული სპეციალისტი მოღვაწეობდა. ეს აშკარა იყო, ისევე, როგორც ის, რომ ჩვენს ქვეყანას ამ წლებში ნამდვილად არ დაწყებია ელექტროენერგიის წარმოების სფეროში პრობლემები. განვითარების ტემპების მხრივ, ენერგეტიკა, ჩვენში მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას ყოველთვის ჩამორჩებოდა!

ამდენად, ვფიქრობ, გარკვეულწილად, გამართლებული იყო, თავის დროზე საქართველოშიც რომ დადგა ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის საკითხი, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია. გახსოვთ, ალბათ, ჩვენმა «მწვანეებმა» ფართო საზოგადოებრიობა რომ აიყოლიეს, თავი განსაკუთრებით გამოიდეს ჰუმანიტარებმაც — ფილოსოფოსებმა, ისტორიკოსებმა, ლიტერატორებმა, მაშინ, როცა საინჟინრო ელიტისთვის ყურის დაგდება არავის უფიქრია და ასე, ფაქტობრივად, არარსებულ ეკოლოგიურ საშიშროებებზე ყურადღების გამახვილებით, ჩაიშალა ეს პროექტიც!

მაშინ, როცა მსგავს საშიშროებებს არ მორიდებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთსა და აგერ, ჩვენს კარის მეზობელ სომხეთშიც კი. თითოეულმა ამ ქვეყანამ მოახერხა, რომ ეს პრობლემა ოპტიმალურად გადაეწყვიტა. ჩვენ კი ისე შევშინდით, თითქოს სომხეთის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის შემთხვევაში, ყველა კავკასიური და ახლოაღმოსავლური ქვეყანა და მათ შორის, ჩვენც, ერთიანად არ დავზარალდებით!

აქ სხვა მხარეცაა გასათვალისწინებელი: დღეს უკვე არსებობს ტექნოლოგიები, რომლებსაც ასეთი სახიფათო პროცესებისგან როგორც წარმოებისა და მოსახლეობის, ისე გარემოს საიმედოდ

დაცვაც შეუძლია! ასე რომ, ალბათ, ასეთ უკიდურესობებშიც არ უნდა გადავვარდეთ. რადგან მაქსიმალურად უსაფრთხოდ ცხოვრების იდეას თუ გამოვეკიდებით, მაშინ ალბათ, საერთოდ, უარი უნდა ვთქვათ ტექნიკურ პროგრესზეც და ისევ გუთანსა თუ კავს მივუბრუნდეთ, ანუ ვიცხოვროთ ისე, როგორც ჩვენს შორეულ წინაპარს უცხოვრია.

იგივე შეიძლება ითქვას ხუდონჰესზეც, რომლის მშენებლობის შეჩერება, თავის დროზე, ნამდვილად დიდი ვერიფერი ჭკუა იყო. პრობლემის გადაწყვეტა ყურით მოთრეულ ეკოლოგიურ ფაქტორებს გადავაყოლეთ. არადა, რეალური ეკონომიკური თუ საინჟინრო გამოთვლებით, შეუძლებელია, რომ ხუდონჰესის კაშხალმა შეზღუდოს შავ ზღვაში ნატანის ჩამოტანა, რადგან იგი უკვე შეზღუდულია ენგურჰესის კაშხალით. ხოლო «ხუდონის ზღვის» მიდამოებში ტენიანობის ამაღლების პრობლემა, უბრალოდ, არ არსებობს. 1,5 სიგრძისა და 0,5-1 კმ-ის სიმაღლეზე ტენიანობის 1-2%-იანი მატება საერთოდ არ გახლავთ მხედველობაში მისაღები. ანალოგიური ვითარებაა ნამახვანჰესის საკითხშიც. თანაც, იქვე, ყურისძირში წყლის ვეებერთელა აუზი გვაქვს – შავი ზღვა.

მართალია, ეს ჰესები ჩვენი ფულით გვაქვს ასაშენებელი, მაგრამ, ვფიქრობ, ეს უნდა გავაკეთოთ. ჯერჯერობით, სხვა გზა არ ჩანს, მით უმეტეს, რომ პრობლემას ამ მასშტაბით ვერც არატრადიციული ენერგეტიკული წყაროები — ქარისა თუ მზის მცირე ჰესები — გადაგვიწყვეტს, რადგან მათ შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდეთ.

აქ სხვა დეტალიცაა, ასეთ სტრატეგიულ საკითხთა გადაწყვეტისას, არ შეიძლება, არ გამოგვრჩეს ერთი ობიექტური ფაქტორიც: ათწლეულთა მანძილზე, სრულიად გამიზნულად, მოსკოვი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ცალკეულ რესპუბლიკებსა თუ რეგიონებს ენერგეტიკული დამოუკიდებლობა არ ჰქონოდათ! შენდებოდა გრანდიოზული ჰიდროელექტროსადგურები, მაგალითად, სტალინგრადისა თუ კუიბიშევისა, სწორედ იმისთვის, რომ მთელი ქვეყანა უზრუნველეყო ელექტროენერგიით. ანუ ამითაც ყველანი ერთად და ერთნი უნდა ვყოფილიყავით!

დაგჭირდებოდა, ვთქვათ, თბილისში, დამატებით ელექტროენერგია? მაშინ კეთილი უნდა ენება შენს დისპეტჩერს და დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა ეს ცენტრისათვის. ისიც მოხსნიდა ასე 600-1000 კილოვატს ციმბირიდან ან შუა აზიიდან და უმტკივნეულად გადმოგცემდა.

თუმცა, არსებობს საკმაოდ საფუძვლიანი იმედებიც, რომ ნავთობსადენისა თუ გაზსადენის საქართველოზე გავლით, ენერგოდეფიციტი, გარკვეულწილად, უნდა შეგვიმსუბუქდეს. ამ გამოსავლის პოვნა უდავოდ, წინა ხელისუფლების დამსახურებაა. თუმცა, მინდა, თავს მაინც უფლება მივცე და შევნიშნო, რომ საკუთარ ჰიდრორესურსებზე დამყარებული ენერგეტიკა უფრო საიმედოდ მეჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ ამას სჭირდება ჩვენთვის ჯერჯერობით მიუწვდომლად დიდი სახსრები, სხვაგვარად, ინვესტიციები.

ჩვენმა პატარა ქვეყანამ კი, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, საკუთარი თავისა თუ ბუნებრივი და ადამიანური რესურსის აღიარება, დაფასება და მართვა უნდა ისწავლოს. ეს ძნელია, მაგრამ მოსარევი და დასაძლევი, თუ ერთად დგომას ვისწავლით და პირველკაცობის ამბიცია დაგვიჩლუნგდება! და კიდევ, ბატონი კონსტანტინე გამსახურდიას დიდებული შეგონებისა არ იყოს, თუ ყოველ ნაბიჭვარს არ მოსწყურდება აზნაურობა და ყოველ ნაცარქექიას – სარდლობა!

წესრიგისა და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების კულტურა – აი, ალბათ, უპირველესი, რაც უნდა დავამკვიდროთ საზოგადოებაში. ამასთან დაკავშირებით ჩვენი უახლოესინარსულიდან ერთი ასეთი ფაქტი მახსენდება:

ინსტიტუტის დირექტორად ჩემი მუშაობის წლებში, ერთხელ მოხდა ისე, რომ თანამშრომლებისთვის ხელფასის დარიგება ერთი დღით დაგვიგვიანდა, ისიც ბანკის მიზეზით, მაგრამ, როგორც ჩანს, ამის შესახებ ვიღაცამ რაიკომს აცნობა. რაიკომის მდივნად მაშინ ნათელა ლაღიძე იყო. გამოგვიძახა მე და მიშა კოდუა (ვინც ამ საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობდა) რაიკომის ბიუროზე და კარგა მაგრად გაგვცოცხა: სადა აქვს მეცნიერ-მუშაკს იმის საშუალება, რომ ხელფასი თუნდაც ერთი დღით დაუგვიანოთო...

დღეს ასეთ დარღვევაზე კაცს მარტო გაეცინება, ერთი დღით დაგვიანება რა სათქმელია, როცა აგერ უკვე მეორე ათწლეულია, ვერ გავუგეთ ამ პრობლემას თავი და ბოლო...

რაკიღა სახელმწიფო საბჭოს მმართველობის პერიოდი გავიხსენე, არ შემიძლია, არაფერი ვთქვა ფაქტობრივად, ჩვეულებრივობად ქცეულ იმ დაყაჩაღებებზეც მატარებლებისა და ტვირთებისა, რომლებიც მაშინ ძირითადად, სოჭი-თბილისის მაგისტრალზე ხორციელდებოდა და რომლებითაც ხელს ითბობდა ათასი ჯურის ბანდა თუ დანაშაულებრივი დაჯგუფება.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა დასავლეთ საქართველოს მონაკვეთზე იყო შექმნილი. მახსოვს, საბჭომ

მაშინ ნამდვილად დაავალა თავის შეიარაღებულ ფორმირებებს, აღეკვეთათ ეს უმსგავსობა და თავად სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემაც მიუთითა მათ უმკაცრესად, რომ დაეცვათ სარკინიგზო მაგისტრალები, ოღონდ ისე, რომ ქალაქებში არ შესულიყვნენ (სხვათა შორის, ამაზე არძინბასაც შეუთანხმდნენ).

მაგრამ ამ ფორმირებებმა ეს მითითებანი არად ჩააგდეს და შევიდნენ, მაგალითად, სოხუმში, რასაც აფხაზეთში მთელი ის ომი და დავიდარაბა მოჰყვა. თავდაცვის მაშინდელმა მინისტრმა კი ამ უთანხმოებათა პროვოცირებით კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება.

ასე რომ, იმ ქართულ-აფხაზურ შეიარაღებულ დაპირისპირებას წინ ბევრი არაფერი დადგომია, ხელშემწყობი გარემოება და წინაპირობა კი ცოტა არ ჰქონდა. ისიც ცნობილია, რომ არც იმ წინაპირობებს აკლდა თავის დროზე გამღვივებელი — აფხაზ სეპარატისტთა სახით.

რა თქმა უნდა, ცალკე სასაუბროა, თუ მთელი ამ წლების მანძილზე ვინ როგორ ახალისებდა სეპარატისტებს, ან ვის აწყობდა, რომ აფხაზეთი თუ ოსეთი საქართველოსთვის მოეწყვიტა.

ცხადია და, რასაკვირველია, მაშინაც ცხადი იყო, რომ ამ ყველაფრის უკან იდგა რუსეთის ცარისტულ-იმპერიალისტური სურვილები, მისი დაუსრულებელი ამბიცია სხვისი მიწების მიტაცებისა და ყველგან საკუთარი წესრიგის დამყარებისა.

ამ გარემოებათა გახსენებით იმის თქმას ვცდილობ, რომ იმ უმძიმეს წლებში გაჩენილ თითქმის ყველა კითხვას დღემდე რიტორიკული ჰქვია, იმიტომ, რომ საქმითა თუ პოზიციით, მათზე პასუხები ჯერაც არ გაცემულა! თუმცა კი, 2004 წლის მაისში აჭარაში მომხდარმა ამბებმა ხალხს დიდი იმედი ჩაუსახა!

აქვე მინდა ერთი ასეთი დეტალის გახსენებაც: სამხედრო და ცოტა მოგვიანებით, რეორგანიზებული სახელმწიფო საბჭოების წევრობის დროს, სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობისას, მე თავს უფლებას ვაძლევდი, რომ გამომეხატა ჩემი აზრი თუ პოზიცია (ასევე იქცეოდნენ სხვა წევრებიც – ნოდარ ლომოური, ირინა სარიშვილი და ა. შ.). მახსოვს, ერთ-ერთი ასეთი მსჯელობისას ერთმა ჩვენმა საერთო მეგობარმა, რომელიც მაშინაც პრეზიდენტის გუნდში იყო და დღესაც ახალი პრეზიდენტის გუნდშია, მირჩია, პრეზიდენტს ნერვებს ნუ უშლიო...

როგორ მოგწონთ ამგვარი პოზიცია? რას ჰქვია, ნერვებს ნუ ვუშლი? რა ჰქვია ამგვარ თავშეკავებას თუ არა პრეზიდენტისთვის დათვური სამსახურის გაწევა? განა შესაძლებელია, რომ ქვეყნის

პრეზიდენტმა მიმდინარე პროცესებზე რაიმე არ იცოდეს? რომ ერთნაირად არ იყოს ინფორმირებული კარგზეც და ცუდზეც, მნიშვნელოვანზეცა და უმნიშვნელოზეც, მტერზეცა და მოყვარეზეც?

დაახლოებით იმ ხანებში, ასე 1993 წლის ნოემბერში, ერთხელაც ვეახელი ედუარდ შევარდნაძეს, რომელსაც კაბინეტი მაშინ «იმელის» შენობაში ჰქონდა. რაღაც ენერგეტიკულ საკითხებზე შეიქნა საჭირო მასთან მოთათბირება. საუბარს რომ მოვრჩით და წამოსვლა დავაპირე, სრულიად მოულოდნელად, შემაყოვნა და მითხრა, გეოლოგიაში დაბრუნებაზე რას იტყოდიო. მაშინ უკვე კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის 15-წლიანი სტაჟის მქონე დირექტორი გახლდით და გასაგები იყო, რომ გეოლოგიური სამსახურის, ანუ მთელი დარგის, ხელმძღვანელობას გულისხმობდა.

ამ შემოთავაზებას ნამდვილად არ ველოდი! ახლა რომ ვიხსენებ, მაშინ ამ ამბავს არც მაინცადამაინც გავუხარებივარ, რადგან ინსტიტუტსაც და მის კოლექტივსაც მაშინ უკვე საკმაოდ შეჩვეული და მორგებული ვიყავი.

ასე რომ, დიდად არაფერში მეჭაშნიკა საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტში გადასვლა და ვიწრო ჩარჩოებში ჩაკეტვა. დიდი ვერაფერი სახარბიელო საქმე იყო ის, რომ წინ წადგმული თითქმის ყველა ნაბიჯი რიგითი ინჟინრის დონეზე მყოფ, სახელმწიფო კანცელარიის კურატორთან უნდა შემეთანხმებინა. მაგრამ, რასაკვირველია, ამას შევარდნაძესთან ვერ მოვიმიზეზებდი. კაცი სერიოზულ თანამდებობას, სახელმწიფოებრივ პასუხისმგებლობას მთავაზობდა და ბუნებრივია, ელოდა, რომ მეც, ასევე, მთელი პასუხისმგებლობით მიღებულ გადაწყვეტილებას მივაგებებდი.

ამიტომ, რასაკვირველია, დავთანხმდი. ჩვენი რანგის პირობებში — ვაჭრობა, უარი, მოვიფიქრებ, ცოლს ვკითხავ და სხვა ასეთები — უბრალოდ, არ გამოდის! გთავაზობენ, ესე იგი, დავალებაა და ასეც უნდა მიიღო.

ასე რომ, უკვე 1994 წლის აგვისტოში დაიწერა მინისტთა საბჭოს თავმჯდომარის სათანადო განკარგულება და მეც ახალ თანამდებობაზე შევუდექი მუშაობას.

გეოლოგიური სამსახური ტრადიციული სამსახურია. ჩვენთან იგი 1929 წლიდან არსებობს, ხოლო რუსეთში, ისევე, როგორც ევროპაში, ჩამოყალიბებულა XIX საუკუნის მიწურულს. თუმცა, უთუოდ, სპეციფიკისა და სირთულის გამო, ადრევე ჩამოყალიბებული ორგანიზაციული ფორმა შემდგომ პერიოდებში დიდად არ შეცვლია. ეს თავიდანვე ასე მოხდა, ცხოვრებისა თუ საქმიანობის მოთხოვნითა

და კარნახით.

რაც შეეხება იმ «რეორგანიზაციულ ქავილს», რომელიც ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკს მაშინვე აუტყდა და დღემდე არ მობეზრებია... ვფიქრობ, ეს ცხოვრებასა თუ საქმიანობაში მათი გაურკვევლობის ბრალი უფროა. მიაჩნიათ, რომ მხოლოდ ორგანიზაციული ფორმებია მთავარი. სულაც არა, გაცილებით მთავარია საქმის კეთება, ეს შეჩვენებული ორგანიზაციული ფორმები კი თავისთავადაც ჩამოყალიბდება!

ამ ჭრილში ცოტა რამ მინდა ვთქვა გეოლოგიური სამსახურის იერარქიაზეც... რაზმში (ეს იგივეა, რაც გეოლოგიური პარტიის ნაწილი) მუშაობს ორი-სამი სპეციალისტი: კონკრეტულ ამოცანაზე. ფაქტობრივად, პარტია პირველი სტრუქტურული ერთეულია, რომელიც ამა თუ იმ ლოკალურ საკითხზე კონცენტრირდება.

მეორე სტრუქტურული დანაყოფია ექსპედიცია, რომელიც გაცილებით მასშტაბურად უდგება რეგიონული საკითხების გადაწყვეტას. შემდეგი არის სამმართველო (დეპარტამენტი, სამინისტრო), რომელიც დარგის ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს.

თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არიან ვაიხელმძღვანელებიც, რომლებიც იმ თავიანთ ავადსახსენებელ „რეორგანიზაციულ ქავილებს“ ხშირად საქმესაც თან გადააყოლებენ ხოლმე. გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეობის დროს, ერთი-ორჯერ მეც მაიძულეს ამ „რეორგანიზაციული ქავილის“ ინიციატორთა მხარდაჭერა თუ აყოლა. თუმცა, ჩვენ მაინც შევეცადეთ, რომ ამ საქმეში მაქსიმალურად ფორმალობა გამოგვეჩინა, ანუ ვმოქმედებდით ისე, რომ ფაქტობრივი იერარქია არ დაგვერღვია.

რასაკვირველია, დეპარტამენტის მაღალკვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტების დახმარებით, მე გარკვეულ პრიორიტეტებს განვსაზღვრავდი, ამა თუ იმ ამოცანას წინ წამოვნევდი და მუშაობაც თავისთავად ეწყობოდა. მაგრამ სულ უფრო ხშირად გვახსენებდა თავს ჩვენი აქილევსის ქუსლიც — დაფინანსების სიმწირე!

სახელმწიფოს სულ უფრო უჭირდა საექსპლოატაციო ორგანიზებისთვის თანხების გამოყოფა, მაშინ, როცა ზოგადი გეოლოგიური სამუშაოები ქვეყანაში უპირველეს ყოვლისა, სწორედ სახელმწიფოს დაკვეთითა და დაფინანსებით უნდა წარმოებდეს! და ისინი ასევე, აუცილებლად უნდა იტევდეს კონკრეტული საბადოს მარაგების გაზრდის, ანუ საწარმოო დაზვერვის ხარჯებსაც.

ბოლო დროს კი საოცარი სიტუაცია შეიქმნა: გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი, როგორც დამოუკიდებელი სამთავრო-

ბო სტრუქტურა, საერთოდ გააუქმეს! პარადოქსია... წიაღისეული სახელმწიფო საკუთრებაშია, ხოლო მისი შემსწავლელი, დამცველი, გამავითარებელი სახელმწიფო სტრუქტურული ერთეული აღარ არსებობს! უფლებააყრილი და დაკნინებული, იგი დღეს გარემოს დაცვის სამინისტროს მიაკუთვნეს (ამ ორი სტრუქტურის ერთად არსებობა საერთოდ ნონსენსია, რადგან ისინი ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით საქმიანობენ).

მაგრამ განა გამორიცხულია, რომ ამ პრობლემამ უკვე ხვალ-ზეგ თავი იჩინოს? გავა რამდენიმე წელიწადი და „აღმოვაჩენთ", რომ მინერალური რესურსები ამოგვწურვია, ხოლო მათი ძებნა-ძიების დრო უკვე ხელიდან გვაქვს გაფშვნილი!

მირიან თოფჩიშვილი (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):

„თამაზ ჯანელიძე, ცოტა არ იყოს, არაორდინალურ ვითარებაში გავიცანი, ჯერ კიდევ სტუდენტმა, როცა ის უკვე საქართველოს კომკავშირის ცკ-ის ხელმძღვანელობდა.

ჩემდა საუბედუროდ, ის იყო, ჯგუფის კომკავშირის მდივნად ამირჩიეს, რომ ბიჭური სიამაყისა თუ კიდევ რაღაცების გამო, ფაკულტეტის კომკავშირის მდივანი შემომელახა. ამას კი ისეთი ხმაური მოჰყვა, რომ მარტო კომკავშირიდან გარიცხვა რა არისო და ინსტიტუტიც დამატოვებინეს.

სწორედ მაშინ მოვხვდი პირველად ბატონ თამაზთან. ძალიან პრინციპულობას იჩენდა და ცოტა არ იყოს, მაწვალა, სანამ აღმადგენდნენ ჯერ კომკავშირსა და მერე — ინსტიტუტში.

ეს იყო ადრეულ ახალგაზრდობაში. რაც შეეხება ჩვენს კოლეგიალობასა და დაახლოებას, ეს უკვე 60-იანი წლების დამდეგიდან დაიწყო, როცა ბატონი თამაზი ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი გახდა და გარკვეულ პროფესიულ სირთულეებში ჩახედულ, თავისზე გაცილებით ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად, შეეცადა მორგებოდა თავისი წინა დატვირთვებისგან დიამეტრულად განსხვავებულ სამუშაოს, რაც ალბათ, არ უნდა ყოფილიყო ადვილი.

მაგრამ ბატონმა თამაზმა ეს გააკეთა და თავაუღებელი შრომით, რომელიც დიდად მნიშვნელოვნად თავად არასდროს მიუჩნევია, მიაღწია პირველ წარმატებებსაც. ეს იყო მისი საკანდიდატო ნაშრომი გეოლოგიის ურთულეს დარგში — პეტროლოგიაში, რომელსაც ათიოდე წელიწადში მოაყოლა ასევე, ძალიან სერიოზული სადოქტორო ნაშრომიც საქართველოში ფართოდ გავრცელებული

იურული ვულკანიზმის შესახებ.

მინდა აღვნიშნო, რომ პირველად ამ საკითხებს აკადემიკოსმა ალექსანდრე ჯანელიძემ მიაქცია ყურადღება. შემდგომ წლებში, ამავე საკითხზე იმუშავა გამოჩენილმა მეცნიერმა, ბატონი თამაზის მასწავლებელმა — აკადემიკოსმა გიორგი ძოწენიძემაც. ამ თავისებური წიაღსვლით იმის თქმას ვცდილობ, რომ ასეთი რანგის მეცნიერთა მერე ამ დარგში რაიმე ახლის თქმა ასგზის უფრო ძნელი იყო, მაგრამ ბატონმა თამაზმა წარმატებით გადაწყვიტა ეს ამოცანა — მართლაც შესანიშნავი სადოქტორო დაწერა და ეს შეძლო თავაუღებელი შრომისა და ნიჭიერების წყალობით.

თუმცა, აღმოჩნდა, რომ წყვეტილობა ნებისმიერ სამოღვაწეო ასპარეზზე ადამიანებმა თუ გარემოებებმა მისი ბედისწერის აუცილებელ დეტალად აქციეს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ რამდენიმეწლიანი გეოლოგობის შემდეგ მას კვლავ დაუძახეს ადმინისტრაციულ სტრუქტურებში, ამჯერად — ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. ჩემს მიმართ ადრე ჩადენილი „შეცდომაც" იქ „გამოასწორა" — მანქანა გამომაყვანინა, რაც მაშინ საკმაოდ ძნელი იყო.

რა თქმა უნდა, ამის აღნიშვნით თავს ხუმრობის უფლებას უფრო ვაძლევ, თორემ ვინც თამაზს ახლოს იცნობს, მან იცის, რომ ადამიანური ყურადღების გამოჩენა მისი ბუნებაა, რომ მას უბრალოდ, არ შეუძლია ცხოვრება მოყვასის თანადგომის, დახმარებისა თუ გახარების გარეშე.

ამით იმის თქმა მინდა, რომ თავის მზრუნველობას ის, როგორც წესი, უკლებლივ ყველა თანამშრომელზე, ნაცნობსა თუ უცნობზე ავრცელებდა ხოლმე და ეს ასე იყო ქალაქის მერობიდან ისევ გეოლოგიაში მისი დაბრუნების შემდეგაც.

ბატონი თამაზი დღემდე შეუდარებლად ინიციატივიანია ყველაფერში, რაც გეოლოგიის დაწინაურებასა თუ წინსვლას, ან გეოლოგთა შორის კონტაქტების გაღრმავებას წაადგება. წლების მანძილზე გახლდათ სსრკ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული პალეოვულკანოლოგიური კომიტეტის თავმჯდომარე და უამრავი საკავშირო და საერთაშორისო თათბირის ორგანიზატორი. სისტემატურად მონაწილეობდა ამ დონის პროფესიონალურ თავყრილობებში, მათზე მისი კვლევის შედეგებს შესაბამისი აღიარებაც ჰქონია.

სწორედ ამ მეცნიერულმა წარმატებებმა და მასთან, ორგანიზაციულმა ნიჭმაც, განაპირობა ის, რომ ერთ დღესაც ბატონი თამაზი

მოგვევლინა ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ისეთი გეოლოგიური დაწესებულების ხელმძღვანელად, როგორიც გახლავთ კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, რომლის პარალელურადაც, იგი სულ მალე საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტსაც სათავეში ჩაუყენეს.

ეს იყო თანამდებობა, რომელზეც მისმა ინიციატივიანობამ, ორგანიზატორულმა თვისებებმა თუ მუდმივად ახლისკენ სწრაფვის შინაგანმა სურვილმა ქართულ გეოლოგიას მართლაც საგულისხმო სამსახური გაუწია. დარგის განვითარება-დაწინაურებისთვის საშური ძალზე ბევრი საქმე წამოიწყო. მისი ხელმძღვანელობით, თეორიულ თუ გამოყენებით გეოლოგიაში უამრავი საინტერესო და საჭირო სამუშაო ჩატარდა. და აქვე, კიდევ ერთხელ, ყველას დასანახავად, გამჟღავნდა მისი პრინციპულობაც, რაც მასთან შედარებით ახლოს მყოფებმა ისეც საუცხოოდ ვიცოდით.

ვგულისხმობ, მისი, როგორც დარგის ხელმძღვანელის, ბოლო კონფლიქტს ხელისუფლებასთან, რომელმაც ამ დარგისა თუ დაწესებულების ინტერესები ოდნავაც არ გაითვალისწინა! ამ უსულგულობის პასუხად, თამაზმა, ყოველგვარი გულდაწყვეტის გარეშე, გამოიხურა თავისი, ანუ დეპარტამენტის თავმჯდომარის, კაბინეტის კარი და ამით თავისი უზადო პრინციპულობა კიდევ ერთხელ შეგვახსენა.

ვფიქრობ, ამას, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის უღალატობა ჰქვია. ძალიან ცოტას ვიცნობ, ვინც გაბედავდა და გადადგამდა ამგვარ ნაბიჯს! ეს რჩეულთა ხვედრია და ბატონმა თამაზმა დაამტკიცა, რომ ნამდვილად არის ასეთი რჩეული“!

ლევან მახვილაძე (საქართველოს საინჟინრო აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი):

„ბატონი თამაზ ჯანელიძე ჯერ კიდევ ჩემი სტუდენტობიდან მახსოვს. მაშინ ის ჩვენთან, პოლიტექნიკურში, პარტიულ კომიტეტს ხელმძღვანელობდა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც იმ პერიოდიდან მახსენდება, ეს არის მისი ავტორიტეტულობა: თავისი ჰაბიტუსით, ქცევის მანერით, გამონათქვამებითაც კი, სტუდენტთა შორის გასაოცარი პოპულარობით სარგებლობდა.

მერე, როგორც ეს ხდება ხოლმე ცხოვრებაში, ერთმანეთს ბუნებრივად დავცილდით, მაგრამ აი, გავიდა კიდევ გარკვეული დრო და ინტერესთა თანხვედრამ კვლავ შეგვახვედრა.

ეს მოხდა უკვე 90-იანი წლების დასაწყისში, როცა ახალ პოლიტიკურ-მენტალურ ტალღაზე, ჩვენშიც მომწიფდა საინჟინრო აკა-

დემიის დაარსების საკითხი. ამ ჩვენს შეხვედრას წინ როგორც საკუთრივ ჩემი, ისე სხვა რამდენიმე ადამიანის, განსაკუთრებული აქტივობა უძღოდა.

ესენი იყვნენ ბატონები — აწ განსვენებული გიორგი ზარიძე, ირაკლი ჟორდანია, კარლო თაბუკაშვილი და ივანე გოგლიძე. მახსოვს ჩვენი პირველი შეკრებაც — გურამ მირიანაშვილის კაბინეტში, რომელიც მაშინ მშენებლობის მინისტრი იყო. დავუკავშირდით ნოდარ მეძმარიაშვილსაც, რომელიც იმხანად საგეგმო კომიტეტში მუშაობდა.

ეს ის დროა, როცა უკვე არსებობს როგორც რუსეთის, ისე საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის დაარსების პრეცედენტები და შესაბამისად, ამ უმდიდრესი გამოცდილებით სარგებლობის შესაძლებლობაც. მე ამ ორივე საინჟინრო აკადემიის წევრი გახლდით და, რა თქმა უნდა, მქონდა შესაძლელობა მოსკოვში საკმაოდ საგულისხმო მასალის მოპოვებისა, რომ ეს ყველაფერი საქართველოში საინჟინრო აკადემიის ჩამოყალიბებისთვის გამოგვეყენებინა. მით უფრო, რომ მეცა და ყველა ამ ზემოთ ჩამოთვლილმა მეგობარმაც ვიცოდით, რომ ჩვენში ნამდვილად არსებობდა ამ საქმის წამოსაწყებად აუცილებელი ენერგიული სურვილი და პოტენციალი.

ამ დროისთვის უკვე მუშაობაში ჩაგვერთო ბატონი ივერი ფრანგიშვილიც — რუსეთისა თუ საქართველოს სამეცნიერო წრეებში დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება, მოსკოვის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც შემდეგ ჩვენი აკადემიის პრეზიდენტი გახდა.

ასე გავერთიანდით საქმის დამფუძნებელთა ერთ გუნდად. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ამ წამოწყებას დიდი ენთუზიაზმით შეხვდა მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე ბატონი თენგიზ სიგუა და მუშაობაში სრული მხარდაჭერაც აღგვითქვა.

ამ ყველაფერს ასე დეტალურად იმიტომ ვყვები, რომ ვაჩვენო, აკადემიის დამფუძნებელი ეს ორივე მხარე რაოდენ ფუნდამენტურად ვემზადებოდით, იმდენადაც კი, რომ საქმის დაწყებას საშველი ვერა და ვერ დაადგა.

აი, სწორედ მაშინ იყო, ჩვეული ინიციატივა რომ გამოამჟღავნა ბატონმა თამაზ ჯანელიძემაც. ბატონი თამაზის დამსახურება გახლავთ ის, რომ მან ამ ჩვენს გაჭიანურებულ საქმეს მოწყვეტით დაუსვა წერტილი. ერთი ხელის დაკვრით დაგვინიშნა საინჟინრო აკადემიის დამფუძნებელი სხდომა და კიდეც ჩაგვატარებინა

გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის შენობაში!

ეს კი გააკეთა არა იმიტომ, რომ თავი გამოეჩინა, ან აკადემიის დამაარსებლის პატივი დაეჩემებინა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, არგო საქმის ინტერესებს. რადგან, მოგეხსენებათ, საქმის დროულად დაწყებაც თავისებური ხელოვნებაა, ისევე, როგორც მისი დროულად დამთავრებაც.

ასე დაიწყო საქმიანობა ჩვენმა აკადემიამ, რომლის დამფუძნებელნი სულ 21-ნი გახლდით. ეს მოხდა 1992 წელს, სულ მალე კი, ყველა დარწმუნდა, რომ ეს იყო მართლაც ქვეყნისთვის სასიცოცხლო წამოწყება.

რაც შეეხება ჩვენი აკადემიის ხელმძღვანელობის საკითხს, აქ ფუნქციები, პრეზიდიუმის პირველსავე სხდომაზე, შემდეგნაირად გადანაწილდა: როგორც უკვე მოგახსენეთ, პრეზიდენტად ავირჩიეთ აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებად — პროფესორები თამაზ ჯანელიძე, კარლო თაბუკაშვილი და ასევე, თქვენი მონა-მორჩილი.

ჩვენი აკადემია, უპირველეს ყოვლისა, ჩაფიქრებულია, როგორც ყოვლისმომცველი შემოქმედებითი გაერთიანება ტექნიკისა და ტექნოლოგიების დარგში მოღვაწე პროფესიონალებისთვის; რა თქმა უნდა, იმის ანგარიშის გაწევით, რომ არსებობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაც, რომელიც ძირითადად, მეცნიერების ფუნდამენტურ დარგებს აერთიანებს. მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ ფუნდამენტურ კვლევებს, როგორც წესი, უჭირთ ხოლმე წარმოებაში დანერგვა.

რასაკვირველია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ უდიდესი შრომა გასწია, იმ დიდი იმპერიის პირობებში ჩვენს ქვეყანას თვითმყობადობა რომ შეენარჩუნებინა და სწორედ ისტორიის, არქეოლოგიიის, ლიტმცოდნეობისა თუ ენათმეცნიერების განვითარებაზე გამორჩეული ზრუნვით, ეროვნული ღირებულებებიც გადაერჩინა; მაგრამ უკვე 90-იანი წლებისთვის, გეგმიური ეკონომიკის საბაზროთი შეცვლის გარკვეული წინაპერიოდისთვის, აუცილებელი გახდა, რომ მეტი ყურადღება მიქცეოდა მეცნიერების გამოყენებით დარგებს, საინჟინრო საქმესა და ახალ ტექნოლოგიებსაც, რადგან ეს ყველაფერი ქვეყნის ბიუჯეტის შევსების, პროდუქციის შექმნისა თუ საკუთარი ბაზრის დაპყრობის საშუალებადაც შეიძლებოდა ქცეულიყო.

ამ თვალსაზრისით, ჩვენს აკადემიას არა მარტო მასშტაბური გეგმები, არამედ გარკვეულწილად, დიდი მისიაც აქვს შესასრულე-

ბელი. დარგებში უამრავი იდეა და წინადადებაა, ჩვენთან საინტერესო მოსაზრებითა თუ იდეით ყოველდღიურად ათობით ნიჭიერი ადამიანი მოდის. ჩვენ ამ წინადადებათა თუ იდეათა თავისებური შემკრებნიც გახლავართ. რა ხანია, ვაგროვებთ ამ აქტუალურ თემატიკას. აკადემიაში დარგების მიხედვით თავს იყრის უამრავი პროფესიონალი და ჩვენც დარგების მიხედვით განვიხილავთ ამ პროგრამებს.

როცა ჩვენს აკადემიასა და მასში გაერთიანებულ ადამიანებზე ვფიქრობ ან ვლაპარაკობ, არ შემიძლია, არ გამოვყო ერთი ნიუანსიც: საინჟინრო დარგში არსებობს ერთადერთი უმაღლესი შეფასება — ინჟინერი! სამეცნიერო ნაშრომების რა მთაც უნდა დაგიდგას მავანმა, კოლეგების ამგვარი შეფასება თუ ვერ დაიმსახურა, უნდა ჩათვალოს, რომ შრომა წყალში აქვს გადაყრილი!

რასაკვირველია, პარადოქსია, მაგრამ ჩვენში რატომღაც მეცნიერებათა დოქტორები სჭარბობენ დახვეწილ პროფესიონალებს. აი, სწორედ ამ რაოდენობრივი დისბალანსის გასწორება იტვირთა ჩვენმა აკადემიამ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ აკადემიაში სპეციალისტებს ვაფასებთ არა ჩინ-მედლების, არამედ კონკრეტულ დანერგვათა თუ დამსახურებათა მიხედვით, ანუ მწვანე გზას ვაძლევთ მხოლოდ იმას, ვისაც დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა შეუძლია.

ამ თვალსაზრისით, მინდა გამოვყო ბატონი თამაზ ჯანელიძის ინჟინრული ხედვა თუ ალღო, რომელიც განსაკუთრებით ვლინდება ქვეყნის აღმშენებლობასთან დაკავშირებულ რიგ სტრატეგიულ საკითხთა გადაწყვეტისას. ბატონი თამაზი შესანიშნავი სპეციალისტია, ანუ ჩვენი უმაღლესი შეფასებით — ინჟინერია! საუკეთესოდ იცის მინერალურ-რესურსული პოლიტიკაცა და კონკრეტულად, ჭიათურის საბადოების საკითხიც, აღარაფერს ვიტყვი დარგის განვითარების მისეულ ხედვასა და გეოლოგიისათვის დღემდე გადაუჭრელ სხვა პრობლემებზე.

მის ინტუიციაზე კი აი, რა მინდა ვთქვა... თითქმის მთელი წელიწადი მოვანდომეთ საქართველოს ენერგეტიკული განვითარების კონცეფციის შექმნას. რასაკვირველია, ამ სამუშაოში მთელი ჩვენი ენერგეტიკული განყოფილებაც გვყავდა ჩართული. მაგრამ თამაზმა დაიჩემა, მხოლოდ ჩვენი განყოფილების ენერგეტიკოსებით რატომ უნდა შემოვიფარგლოთ, როცა ქვეყანაში ამ სფეროში მომუშავე ამდენი ინსტიტუტი, კათედრა თუ ცალკეული სპეციალისტიაო... და იქვე შემოგვთავაზა, გამოგვეცხადებინა კონკურსი. ანუ შეგვედ-

გინა კონცეფცია იმ ჰიდროსიმძლავრეთა ჩამონათვალით, რომელთა როგორც რეაბილიტაცია, ისე ელექტროენერგიის მიღება მაქსიმალურად სწრაფად და იაფად იქნებოდა შესაძლებელი.

ამით მინდა ვთქვა, რომ ჩვენთვის მთავარი დეფიციტი არა იმდენად ცოცხალი იდეა და წამოწყებაა, რამდენადაც ეროვნული ინტერესებით მოქმედი ხალხი. თუმცა, კონკრეტულად, ჩვენს აკადემიას ეროვნული ინტერესებით მოქმედი პროფესიონალები რომ არ აკლია, ამის ერთ-ერთი მაგალითი ბატონი თამაზ ჯანელიძეც გახლავთ. სწორედ ამ საგულისხმო პოტენციალზე დაყრდნობით ვასრულებთ საქართველოში საინჟინრო-ტექნიკური პოლიტიკის კოორდინატორის მოვალეობასაც, რომელიც ჯერ კიდევ 1996 წელს დაგვეკისრა, ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით".

ასლან სულაძე (საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწე და გეოლოგიური სამმართველოს უფროსი 1995-2002 წლებში):

„ბატონმა თამაზმა თავისი სახელმწიფო კარიერის მეორე ტალღა რომ მოილია, მუშაობა დაიწყო დირექტორის მოადგილედ ჩვენთან, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში. 1977-78 წლებიდან კი უკვე მისი დირექტორობაც ჩაიბარა და, თავისთავად, ინსტიტუტსაც უამრავი რამ დაატყო გნებავთ, სამეცნიერო კონტაქტების გაფართოებისა და გნებავთ, მისი კეთილმოწყობის თვალსაზრისით.

ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ინსტიტუტის შენობა დღევანდელ კონდიციამდე სწორედ მისი დირექტორობის წლებში მივიდა: დააშენა, მოაპირკეთა, ხალიჩებით გააწყო. ერთი სიტყვით, ყველაფერი გააკეთა, რომ თანამშრომლებს კეთილსასურველი სამუშაო გარემო შექმნოდათ.

ბუნებრივია, რომ დეპარტამენტის თავმჯდომარეობის პირველ ხანებში უამრავი სირთულე შეექმნებოდა, თუნდაც, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ტიპის უწყებაში ადრე არასდროს უმუშავია. ამასთან, ჩვენს დაწესებულებაშიც, ისევე, როგორც სხვაგან არის ხოლმე ასეთ დროს, საკმაოდ სპეციფიკური სიტუაცია დახვდა. მაგრამ ბატონმა თამაზმა თავიდანვე აიღო მკვეთრი სიახლეების კურსი. მაგალითად, მან პროგრამული მართვა და დაფინანსება ჩვენთან ჯერ კიდევ 1995 წელს შემოიტანა. ჩვენ ერთ-ერთი პირველი სამთავრობო დაწესებულება ვიყავით, დიფერენცირებული პროგრამული დაფინანსების ავ-კარგი პრაქტიკულად რომ მოვსინჯეთ.

ბატონი თამაზი ბუნებით უაღრესად ყურადღებიანი ადამიანია

და, რა თქმა უნდა, შესაბამისად, ძალზე ყურადღებიანი დირექტორიც გახლდათ. მოგეხსენებათ, ყველა დაწესებულებაში არიან კმაყოფილი თუ უკმაყოფილო ადამიანები, ზოგიერთი ხელმძღვანელი ამ ნიშნით თანამშრომლებს კიდეც ახარისხებს. მაგრამ ბატონ თამაზთან ასეთ გამორჩევებს ნამდვილად ვერ იგრძნობდი — მისი მზრუნველობა თუ ყურადღება ყველას თანაბრად წვდებოდა. ათასი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მის ყველაზე ცხარე მოწინააღმდეგეს მკურნალობისა თუ სხვა რიგის პრობლემა რომ ჰქონია, მას კი მათ გადასაწყვეტად მაქსიმუმი გაუკეთებია.

მახსენდება ინსტიტუტის 50 წლისთავის იუბილე, 1979 წელს... ამ დროს ბატონი თამაზი უკვე ინსტიტუტის დირექტორია, თუმცა მეცნიერებათა დოქტორი ჯერ კიდევ არ გახლავთ.

მაშინ ჩვენი ინსტიტუტი საკავშირო გეოლოგიის სამინისტროს ექვემდებარებოდა. თბილისის ჭადრაკის სასახლეში დიდებული იუბილე გადავიხადეთ. მთელი კავშირის გეოლოგიური ელიტა გვყავდა სტუმრად. რა თქმა უნდა, კარგად მახსოვს, ბანკეტიც, რომელიც „არაგვში" გაიმართა და რომელსაც როგორც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის თანამშრომელი, მეც ვესწრებოდი.

საკმაოდ წარმომადგენლობითი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მაღალი დონის ღონისძიებები ჩატარდა. ბატონი თამაზი, რა თქმა უნდა, თავის სტიქიაში გახლდათ: ყურადღებიანი, კომუნიკაბელური, მზრუნველი; მთელ ამ გეოლოგიურ ელიტას უთბილესი მასპინძლობა გაუწია. თუმცა, რასაკვირველია, არც მთლად თავისი ჩვეული იმპერატიულობის გარეშე, რომელიც ყველასთვის მისაღები იყო ხოლმე, ვინც ვისაც ახლოს გაიცნობდა და თავის სითბოს აგრძნობინებდა. მაგრამ... თითქოს ახლაც ყურში მიდგას, ვოლკოვს რომ უთხრა (ვლადიმირ ვოლკოვი სსრკ გეოლოგიის მინისტრის მოადგილე გახლდათ), ისე, თითქოს დავალებას აძლევსო: "Вы там передайте коллегии"...

მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ის დაშლამდე ჩვენი ინსტიტუტი საკავშირო დაქვემდებარებისა გახლდათ, ბატონი თამაზი ყველაფერს აკეთებდა, რომ ამ დაწესებულების სახელი შეძლებისდაგვარად, ხშირად გახმოვანებულიყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომებსა თუ მის საინფორმაციო ანგარიშებში.

მახსოვს, ერთხელ, აკადემიის მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა ნიკოლოზ ლანდიამ საგანგებო გამოსვლა მიუძღვნა ჩვენს ინსტიტუტში წარმოებულ სამუშაოებს. ვფიქრობ, ეს იყო სწორი პოლიტი-

კა, რადგან საქართველოში ფუნდამენტურ მეცნიერებათა კოორდინატორი მაინც საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გახლდათ. ამჟამინდელი მდგომარეობით კი, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი სამართლის იურიდიული პირია.

ბატონი თამაზი თავის ქმედებებში ყოველთვის თამამი და უცერემონიო იყო, არავის მოერიდებოდა. ამიტომ კანცელარიის აპარატშიც კი, ვერ ვიტყვი, რომ ყველას ესიმპათიურებოდა. იმიტომ, რომ ყოველთვის ამბობდა იმას, რისი თქმაც საჭიროდ მიაჩნდა, ამით ყველა სხვა უწყების ხელმძღვანელისგან განსხვავდებოდა.

რა თქმა უნდა, ეს კარგიცაა და ცუდიც. შესაძლოა, საქმისთვის ეს ცუდი არ იყოს, მაგრამ ზემდგომ პასუხისმგებელ პირთადმი ისეთი მკაცრი მომთხოვნელობა, ბატონ თამაზს რომ ახასიათებდა, არც ერთ ეპოქაში არ დაფასებულა.

მას კი ჯიუტად მიაჩნდა, რომ მუშაობაში ამგვარი ანგარიშვალდებულება მთავარი იყო, ზედმეტად თავს თვითონაც არ დაივალდებულებდა და არც იმისი მოერიდებოდა, რომ საკუთარი მოვალეობა ზემდგომთათვისაც შეეხსენებინა. ყოველთვის თავისუფალი ადამიანი გახლდათ, მისთვის თავისუფლების ხარისხი ყოველთვის ყველაფერს აღემატებოდა.

განსაკუთრებული იყო მისი გავლენა თუ ავტორიტეტი სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში, რომლის პეტროგრაფიული კომიტეტის პალეოვულკანოლოგიური რუკების მთავარი რედაქტორი თავადაც გახლდათ. პალეოვულკანოლოგიური თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირს მართლაც უმდიდრესი მასალა უგროვდებოდა. თუნდაც, იმიტომ, რომ ამ მიმართულების კვლევები ძალიან ინტენსიურად ტარდებოდა მის ყველა წერტილში.

შესაბამისად, სისტემატურად იმართებოდა სამეცნიერო სიმპოზიუმებიც, რომელთა ერთ-ერთი თაოსანი, როგორც წესი, ბატონი თამაზ ჯანელიძე იყო ხოლმე. მეცნიერთა ეს შეხვედრები სად აღარ გამართულა. მაგალითად, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში და ჩვენს დედაქალაქშიც კი. ბატონი თამაზი ამ მაღალი დონის პროფესიონალური შეხვედრების ორგანიზებისა და მეცნიერული მართვის უბადლო ოსტატი იყო.

ამ კონტექსტში მინდა გავიხსენო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩვენი დარგისა და გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელთა შეხვედრა აჭარელ კოლეგებთან, ბათუმში, 1996 წლის აპრილში.

საქართველოს მინერალური რესურსების საბადოები ვერ არის

დიდი მასშტაბისა, მაგრამ რაც არის, გადაუდებელ შესწავლას საჭიროებს. ამასთან, ჩვენში უმწვავესად დგას საშუალო და მცირე მასშტაბის საბადოთა რაციონალური გამოყენების საკითხიც. ასე რომ, გეოლოგთა იმ ბათუმურ შეხვედრაზე იყო საკმაოდ სერიოზული გამოსვლები, რომელთა შორისაც, თავისი ზომიერებითა და კონსტრუქციულობით, ბატონი თამაზის გამოსვლა ნამდვილად გამოირჩეოდა. საერთოდაც, ბატონ თამაზს არასდროს გაუკეთებია არასწორი რეკლამა ჩვენი ბუნებრივი რესურსებისთვის.

ამ საქმიან შეხვედრას ჰქონდა ძალზე თბილი ადამიანური გაგრძელება, რაც, რა თქმა უნდა, მოდიოდა ამ ღონისძიების უპირველესი მასპინძლისგან — ბატონი ასლან აბაშიძისგან. იგი ჩვეული პატივით შეხვდა ჩვენი პროფესიონალური შეხვედრების ორგანიზატორებს: ბატონ თამაზს, ბატონ მირიან თოფჩიშვილსა და აკადემიკოს ერეკლე გამყრელიძეს.

მათმა საუბარმა საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა. საქმიან განსჯებს მოჰყვა არანაკლებ საინტერესო კულტურული ნაწილიც.

ამ შეხვედრების დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რაც დარგის სხვა დონისა თუ რიგის შეკრებებზეც არაერთხელ მიგრძვნია. ბატონ თამაზს აქვს ერთი დიდი თვისება: მისი ტაქტი თუ მიმართვის მანერა არ სცნობს არავითარ სუბორდინაციულ რევერანსებს! ნებისმიერი რანგის პიროვნებასთან იგი ერთნაირად უბრალო და ადამიანურია. რა თქმა უნდა, ასეთი იყო ასლან აბაშიძესთანაც. თუმცა... მე არაერთხელ მქონია ბედნიერება, მენახა ასეთი უშუალო და ტიტულატურის უგულვებელმყოფელი ბატონი თამაზი".

ვისაც ცხოვრებამ შემახვედრა

ხელმძღვანელ თანამდებობებზე ყოფნისას, თითქმის ყოველ-დღიურად, უამრავი ადამიანის ელემენტარულ ყოფით პრობლე-მებთან მიხდებოდა შეხება. მათ შორის იყვნენ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი, დამსახურებული ადამიანები, რომლებიც, ბედის ირონიით, ხშირად ისეთი ბიუროკრატიული წინაღობების დაძლევა-ზე იხარჯებოდნენ, არც პიროვნულად მათ და არც ჩვენს საზოგა-დოებრივ მორალს რომ არ ეკადრებოდა.

თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვარ. კაბინეტში შემოდის მდივანი გოგონა და მეუბნება, ბატონი ავლიპ ზურაბაშვი-ლი არის თქვენთან მოსულიო. შემობრძანდეს, მე მას პირადად არ ვიცნობდი. შემოვიდა და პირდაპირ სათხოვრით დაიწყო — ბინის პრობლემას შეეწუხებინა: ჩემს შვილს კერძო ბინა აქვს, მე — სა-ხელმწიფო და გვინდა, რომ გავცვალოთო. ახლა ველარ ვიხსენებ, შესაძლოა, პირიქითაც იყო, მაგრამ ეს არ არის არსებითი. რატომ ცვლიდნენ, რა ჩემი საქმე იყო. მთავარი გახლდათ, რომ ამხელა პი-როვნება ერთი შეხედვით, ძალიან ყოფით საქმეზე საკმაოდ განვა-ლებულიყო.

მაგრამ ჯერ ამისი არაფერი ვიცი და როგორც კი დაამთავრა თავისი სათხოვარი, კი, ბატონო, მესმის, შევაგებე. გადაირია კაცი: თქვენ, მგონი, რაღაც ვერ გამიგეთო და დაიწყო მოყოლა თავიდან. ისევ სიტყვა-სიტყვით გამიმეორა თავისი და შვილის ბინების ამბავი. კი, ბატონო, ისევ დავუდასტურე. დავინახე, როგორ აუვიდა თვალე-ბი შუბლზე და ისევ ხელახლა დამიწყო ახსნა იმისა, თუ რატომ შე-მაწუხა. ამ უცნაურ დაჟინებას რომ ვუყურებ, ჩემი მხრივ, მართლა შევწუხდი. დაუსრულებლად ვუმეორებდი, ნუ განიცდით, ბატონო ავლიპ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გნებავთ-მეთქი.

ახლა — რა ხდებოდა!.. კაცმა რომ თქვას, რასაც ითხოვდა, მა-შინდელი ინსტრუქციებითა თუ წესებით დაუშვებელი იყო, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ვიღაცას მაქინაციებისთვის არ გამოეყენებინა და ხალხის პრობლემებზე ფული არ ეკეთებინა. მამა-შვილს შორის კი რა ფულის აღებაზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი. თანაც აქ ავლიპ

ზურაბაშვილია! მაგრამ თურმე, უკვე ხუთი წელიწადია, დადის კაცი ქალაქის საბჭოში ამ საქმეზე, გაკეთებით კი არავინ არაფერს უკეთებს. ხან აქეთ გაუშვებენ, ხან — იქით. მერე შეუტყვია, ახალი თავმჯდომარე დანიშნეს, ვიღაც ჯანელიძეო და უფიქრია, მოდი, ბედს იმასთანაც ვცდიო და მოვიდა ჩემთან.

რომ მიხვდა, ბინების გაცვლის ნებას გვაძლევენო, თავისი კმაყოფილება, ცოტა არ იყოს, უცნაურად გამოხატა: წამოდგა, ხელები მაღლა აღაპყრო და შესძახა, საქართველოს გაუმარჯოსო. გაუმარჯოს-მეთქი, მეც მივუგე, ჯერ არ ვიცი, მოქმედება როგორ განვითარდება, თუმცა, ცოტათი უკვე დაბნეული ვარ, რა თქმა უნდა, მსმენია ამ დიდი მეცნიერის ექსცენტრიულობის ამბავი.

მომიახლოვდა, დიდი ამბით ხელი ჩამომართვა მადლობის ნიშნად — დამემშვიდობა. ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტი საკმაოდ გრძელი ოთახი იყო. სანამ ოთახის შუამდე მიაღწევდა, ისევ შემომიტრიალდა, ისევ გაექცა ხელები მაღლა და საქართველოს გაუმარჯოსო, ისევ მომაძახა. ახლა მეც უფრო თამამად ავყევი — გაუმარჯოს — ვუპასუხე და ამით, ჩემი ჭკუით, ის აკვიატებული მოძახილი გავუადვილე. კარს რომ მიადგა და გამოაღო, ერთი ისევ დაიძახა, საქართველოს გაუმარჯოსო, ისევ აღაპყრო ზეცისკენ ხელები და ასე საკმაოდ ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ დამტოვა.

მოკლედ, ის ბინები გავუცვალეთ. მას შემდეგ ბატონ ავლიპს აღარსად შევხვედრივარ, თუმცა ამ შემთხვევით თავი სამუდამოდ დამამახსოვრა.

გარკვეულ თანამდებობებზე მოხვედრისას მაქსიმალურად ვცდილობდი, რომ გამორჩეული პიროვნებებისთვის გამეწია სამსახური. მიმაჩნდა, რომ თავისი საქმის დიდი პროფესიონალები სრულიად განსაკუთრებული, გამორჩეული ფენაა საზოგადოებისა, ხოლო მათი დახარჯვა ყოფით წვრილმანებზე — ნორმალური და ჯანსაღი საზოგადოებისთვის შუფერებელი საქციელი.

ალბათ, ვერავის გავაკვირვებ, თუ ვაღიარებ, რომ ლადო გუდიაშვილის ერთი რიგითი თაყვანისმცემელი ვარ. ამ საოცარ პიროვნებასთან ურთიერთობა ჩემი წარსული წლების საუკეთესო მოგონებათა შორის დამკვიდრდა.

მოგეხსენებათ, ბატონი ლადოს ოჯახი მრავალი წლის მანძილზე ქართულ ინტელიგენციას თუ მმართველობით ელიტას ყველა საპატიო უცხოელთან ჰყავდა თავმოსაწონ მასპინძლად. თავად ბატონ ლადოს კი, მიუხედავად ხელოვნებისა და ქვეყნის წინაშე ამოდენა

დამსახურებისა, ისეთი საყოფაცხოვრებო დისკომფორტი ჰქონდა, რომელიმე დამწყებ მხატვარს იქნებ არც მოეთმინა. ფერწერის ამ დიდოსტატს კი წლების მანძილზე უსახელოსნოდ უწევდა მუშაობა. ჰქონდა საბინაო ფართთან დაკავშირებული პრობლემები, თუმცა, ცოცხალი თავით, არ უნდოდა იმ ბინის შეცვლა. თავად ამ ბინის დიდ ჰოლში მუშაობდა ხოლმე, მაგრამ, პრინციპში, ოჯახს ფართობი უჭირდა.

მეზობლის ორი ოთახის შემომატებაში დავეხმარე. ის ხალხი ნორმალური ფართობით დავაკმაყოფილეთ და, თავისთავად, ბედნიერება იყო იმის განცდა, რომ ლადომაც თითქოს სული მოითქვა.

გუდიაშვილებს ძველებური პარკეტი ჰქონდათ. სამწუხაროდ, არა მარტო ძველებური, არამედ საჭიროზე მეტად მოძველებულიც. ძალიან მძიმე მდგომარეობაში გახლდათ, ფაქტობრივად, ჩავარდნილი ეთქმოდა. მეორე მხრივ, ძალიან გაჭირდა ისეთივე პარკეტის შოვნა და ბოლოს, ლენინგრადიდან, ერმიტაჟიდან ჩამოტანილი პარკეტის პარტიებს შორის ანალოგიური ეგზემპლარები აღმოვაჩინე, მაგრამ თავად ლადომ, ცოცხალი თავით, მთელ ბინაში არ გამოგვაცვლევინა. ასე გადაარჩინა, მაგალითად, ერთი ოთახის პარკეტი, ამაზე პუშკინს უცეკვიაო. ამ თვალსაზრისით, ის იატაკი მართლაც ისტორიული გახლდათ.

საერთოდ, ალბათ, არ იკმარებს, რომ ვთქვა, რომ გუდიაშვილებთან მისვლა გვიყვარდა. არაერთხელ მივსულვართ მე და ჩემი მეუღლე მასთან ნამუშევრების დასათვალიერებლად. უცხოეთიდან სტუმარი თუ ჩამოგვიდოდა, ამაზე დიდი შთაბეჭდილებით საიდან წავიდოდა.

ბატონი ლადო გასაოცარი ესთეტი გახლდათ, მის ყველა მოძრაობასა თუ ჟესტში გასაოცარი სილამაზე იყო. უზარმაზარი პიროვნება ბრძანდებოდა, ასეთი ბუმბერაზები, სამწუხაროდ, აღარ გვყავს. მისი მეუღლე ნინოც არაჩვეულებრივი ქალბატონი იყო. ისიც — გასაოცარი ესთეტი, როგორც ეს დიდი მხატვრის ცოლსა და ხელოვნებათმცოდნეს ეკადრებოდა. მათ ოჯახში სუფრაც კი ფერწერულ ტილოს ჰგავდა.

არაჩვეულებრივი ძველებური ნივთები ჰქონდათ სახლში, გასაოცარი ძველებური ჭურჭელი. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ნინო უნაკლოდ ერკვეოდა არა მარტო მხატვრობაში, არამედ ამ ძველებურ მინასა თუ ფაიფურშიც.

ძალიან კარგად მახსოვს თბილისში ედვარდ კენედის ჩამოსვლა. სტუმრები გუდიაშვილთან მიუყვანიათ და ლადოს უდიდეს მხატ-

ვრობასთან ერთად, როგორც ქალბატონმა ნინომ გვიმბო, ისინი გაუოგნებია ჭურჭელსაც. გატაცებით ათვალიერებდნენ თურმე და ინტერესდებოდნენ, თუ სადაური მინა ან ფაიფური იყო და თავის დროზე ვის დაემზადებინა. მართლაც უჩვეულო იყო ეს უძვირფასესი ანტიკვარული ჭურჭელი დიდი ლადოს არტისტული ფერწერის ფონზე.

აქ თავს უფლებას მივცემ, გავიხსენო იმ ჩვენი მეგობრული შეხვედრების დროს თავად ქალბატონ ნინო გუდიაშვილისგან მოყოლილი ერთი ასეთი ცოტა მხიარული ამბავიც... ეს ის დროა, როცა შევარდნაძე ცკ-ის პირველ მდივნად ის იყო, დანიშნეს და მთელი თბილისი მასზე დიდ იმედებს ამყარებს.

მისულა გუდიაშვილებთან სტუმრად და თურმე, რაღაც შავი მოკლე ლაბადა აცვია. ქალბატონ ნინოს მოწონებია გარეგნულად და ერთობ ორიგინალური ქათინაური უთქვამს მისთვის: ბატონო ედუარდ, რა ვქნა, მაგრამ ძველ მენშევიკებს მაგონებთ გასაოცრადო. ისეთივე დახვეწილი ხართ, როგორც ისინიო. აი, ასეთი ანტისაბჭოური კომპლიმენტით დაუსაჩუქრებია. თავად ედუარდ შევარდნაძეს კი, ცხადია, ყოველივე ეს მაშინვე გადაუყვანია ხუმრობასა და სიცილში.

ახლა ჩვენს მეორე დიდ მხატვართან — დავით კაკაბაძესთან დაკავშირებით: იყო დაშენების ვარიანტი თვითონ კაკაბაძეების ბინაზე (რომელიც მოსკოვის ქეჩაზე, ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე მდებარეობდა). მახსოვს, მხატვრის მეუღლეს ეს ძალიან უნდოდა, მაგრამ ამასაც ხელი შეეშალა: ვიღაც-ვიღაცებმა წინააღმდეგობა გაგვიწიეს. ამან იჩივლა, იმან იჩივლა, ხომ იცით ხალხის ამბავი, ყველას უნდოდა, რომ ესარგებლა. ასე რომ, ვერ მოხერხდა ამ შესანიშნავი მხატვრის სახლ-მუზეუმის დაარსება. ამაზე ძალიან დამწყდა გული. ახლა არ ვიცი, რა მდგომარეობაა, მაგრამ უკანასკნელ დრომდე, ისე გამიგია, რომ მხატვრის რომელიმე ნამუშევრით დაინტერესებულს ოჯახის წევრები კედელთან მიწყობილ სურათებთან მიიყვანენ და იქიდან ხან ერთ და ხან მეორე ტილოს უჩვენებენ, სანამ მისთვის სასურველს არ იპოვნიან.

მე არც კი ვიცი, ამხელა მხატვრის მემკვიდრეობის მოუვლელობას რა ჰქვია, ან როდის ექნება ქვეყანას საიმისო განწყობა თუ მორალი, რომ ჯეროვნად შეაფასოს საკუთარი კულტურული თუ ინტელექტუალური ფასეულობანი. საწყენია, რომ სწორედ ასეთ რაღაცებში პარადოქსულ უნიკალობას ვიჩენთ ხოლმე. ერევანში ბევრია ნამყოფი და იცის, რომ თუკი ვინმე ჰყავდათ გამოჩენილი

და სახელიანი, ყველას აუშენეს არაჩვეულებრივი სახლები და ისინ
სახლ-მუზეუმებად აქციეს. მთელი ცხოვრება რომ თბილისელი იყ
და თბილისელობდა კიდეც, იმ ფარაჯანოვსაც კი არაფერი დააკ
ლეს... ჩვენთან კი ვერა და ვერ მოხერხდა, რომ დავით კაკაბაძის
ნიჭისა და დიაპაზონის მხატვარი სახლ-მუზეუმის გარეშე არ დაგ
ვეტოვებინა.

უთბილესი მოგონებები მაკავშირებს ჩვენს უდიდეს მხატვარ
ქალბატონთან — ელენე ახვლედიანთან. ქალბატონი ელიჩკა გა
მორჩევით გვიყვარდა, როგორც პიროვნება და მხატვარი. შინ მის
რამდენიმე სურათი გვაქვს. ერთ-ერთს, „ძველი თბილისის კუთხეს"
უკან აწერია: „საზიზღრებო, ეს რა მიყავით, თქვე საყვარლებო! რ
ღმერთი გამიწყრა და შეგაწუხეთ თხოვნით, გაკოცებთ, თქვენ
ელენე ახვლედიანი, 1974 წ.". აი, ამ წარწერის მოკლე ისტორიაც. მა
ჩემი უფროსი სიძე, სოსო ცისკარიშვილი იგონებს:

„ ეს ის დროა, როცა საქართველო ფალსიფიცირებულ ღვინოს მი
აქვს. სანამ ღვინოს შეიძენდი, აუცილებლად ვინმესთან უნდა დაგე
ზუსტებინა მისი წარმოშობა. ერთხელ მაღაზიაში ელენეს შემთხვევი
შევხვდი — კონიაკს კითხულობდა. ცოტა კი მეუცნაურა იქ მისი და
ნახვა, თუმცა ვიცოდი, თუ სტუმარს ელოდა, არავის დაანებებდა სას
მელის შერჩევის სიამოვნებას. ახლაც, რომ დამინახა, დამიძახა, მოდ
ერთი, კონიაკი შემარჩევინე, საღამოს როსტროპოვიჩს ველოდები დ
ბარემ მესტუმრეთ შენცა და შენი სიმამრიცო.

როგორც ჩანს, ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს, რჩევა უკი
თხავს თამაზისთვის, ახლა რომელი ღვინის დალევა შეიძლებაო
ხვანჭკარასიო, დაუფიქრებლად უპასუხია ამას. მაშინ ხვანჭკარ
გამწყდარი იყო, არ იშოვნებოდა არსად. ღვინო კი ელიჩკას თავის
ძველი მეგობრის – XX საუკუნის უდიდესი პიანისტისთვის – რიხ
ტერისთვის უნდოდა. ამ საუბრიდან არ გასულა ნახევარი საათიც
რომ ელიჩკასთვის კარზე მიუკაკუნებიათ და ერთი ყუთი ხვანჭკარ
მიურთმევიათ. რა თქმა უნდა, თამაზისგან! ეს იყო ელენე ახვლე
დიანის იმ უცნაური წარწერის მიზეზი, ჯანელიძეების საოჯახო კო
ლექციის ერთ-ერთ სურათს რომ ამშვენებს.

ქალბატონი ელენე თავისებური ხასიათისა გახლდათ, თავმდაბ
ალიცა და თავმოყვარეც. ერთხელ მასთან, ერთ-ერთი სტუმრობი
სას, სამზარეულოსკენ გასასვლელში, შევამჩნიე პატარა საინტერე
სო სურათი, ადრე რომ არ მენახა. დავინტერესდი და ვკითხე, ახალ
ნამუშევარი ხომ არ იყო. არა, ამას წინათ, მოსკოვში რომ ვიყავი
რიხტერს მოვპარეო. თურმე, თავის დროზე უჩუქებია, მაგრამ რომ

ჩასულა და უნახავს, სამზარეულოში უკიდია, გაბრაზებულა, აქ რა უნდა ჩემს სურათსო, მოუპარავს და თვითონაც ამიტომ დაუკიდია სამზარეულოს შესასვლელში“.

ქალბატონი ელენე არა მარტო უჩვეულოდ მართალი შემოქმედი, არამედ ასეთივე ადამიანიც იყო. სიცრუესა და ორპირობას არაფრით გაპატიებდა. პირდაპირ მოგახლიდა სახეში, თუ რაიმე ჰქონდა სათქმელი. მზე და მთვარე, მაინცადამაინც, არც პარტიულ სტრუქტურებზე ამოსდიოდა. სწორიც იყო. ეს ჩანს იმ ეპიზოდიდანაც, ერთხელ თავადვე რომ გვიამბო მე და ლამარას:

ერთხელ ელენე პავლე გილაშვილთან, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან, მისულა რაღაც სათხოვრით. ეს ის დროა, როცა შევარდნაძე უკვე პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ხელმძღვანელობს, მე კი ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვარ. მდივან გოგონას მოუხსენებია, ელენე ახალგაზრდანია რაღაც სათხოვრით მოსულიო, მაგრამ იმან მაინც ალოდინა თურმე თითქმის მთელი დღე და ბოლოს უთქვამს, ალბათ, ვერ შევძლებ თქვენს მიღებასო.

ამ შემთხვევიდან, მგონი, რამდენიმე დღეში ედუარდ შევარდნაძე მისულა სტუმრად ელენესთან, სახელოსნოში და თან გილაშვილიც მიუყოლებია. ელენეს, რასაკვირველია, არ შეუმჩნევია ის განბილება და ჩვეული კეთილგანწყობით მიუღია ორივე სტუმარი. ბოლოს კი, დამშვიდობების წინ, ჩამოუხსნია კედლიდან თავისი ერთი პატარა სურათი, წაუწერია ზედ რაღაც და მიუწოდებია შევარდნაძისთვის. ამასო, შეუხსენებია ედუარდს და თვალით უნიშნებია პავლეზე. მაგრამ პასუხად ელიჩკას თავისი ჩვეული პირდაპირობით მიუხლია ორივესთვის: ამან მადლობა თქვენ უნდა გითხრათ, რომ თქვენი ხათრით, საერთოდ შემოვუშვი ამ სახლშიო.

მათემატიკოსებთან ახლო კონტაქტებით ვერ დავიკვეხნი, ისე მოხდა, რომ მათ შორის მეგობარი ნაკლებად მყოლია. მით უფრო, ისეთი რანგისა, ასაკზეც რომ არაფერი ვთქვათ, როგორიც ბრძანდებოდა დიდი ნიკო მუსხელიშვილი. რასაკვირველია, არაერთხელ მსმენოდა, რომ ეს იყო არა მარტო უზარმაზარი ერუდიციის, არამედ გამორჩეული ადამიანური და მამაკაცური მომხიბვლელობის მქონე პიროვნებაც, მაგრამ გაგონილი ერთი ყოფილა და სულ სხვა — თვალით ნანახი.

მასთან ჩემი სულ პირველი შეხვედრა მინდა გავიხსენო. საქართველოში მოწვეული იყო კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა დიდი ჯგუფი რუსეთიდან. სტუმრებს მთავრობამ მიღება გაუმართა

ფუნიკულიორის საბანკეტო დარბაზში. მე და პარტიის თბილისის კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი — ემილ სეხნიაშვილი გვერდი-გვერდ ვისხედით და შუაში ულამაზესი რუსი ქალბატონი გვეჯდა. ამ ქალბატონის მოპირდაპირე მხარეს კი ბატონი ნიკო იჯდა. ჰოდა, ეს ორი ახალგაზრდა ერთ ამბავში რომ ვართ და ვითომ „ვაბამთ" სტუმარს აქეთ-იქიდან, ბატონმა ნიკომ, დღესაც არ ვიცი, როგორ, იმ სიშორიდან ხელად აგვაცალა ცხვირწინ ორივეს ის გადასარევი ქალი. ამას რა დამავიწყებს... და თანაც, ეს ისეთი ელეგანტურობითა და მამაკაცური თავდაჯერებით გააკეთა, რომ მარტო ის ქალი კი არა, ჩვენც, თავისზე გაცილებით ახალგაზრდა კონკურენტები, უცებ დაგვიპყრო და მოგვნუსხა.

ამ ლირიკულ ტალღაზე ჩვენი ცნობილი პოეტი და დამსახურებული ადამიანი — ირაკლი აბაშიძეც მინდა გავიხსენო. მე და ირაკლი, ფაქტობრივად, თაობებით დაშორებული ხალხი კი ვიყავით, მაგრამ ნათესავებად ვერგებოდით ერთმანეთს და შესაბამისად, ოჯახური ახლობლობა, მისვლა-მოსვლა და დიდი ძმური სიყვარული გვქონდა. მთელ ჩემს სამეგობროს ჩემზე არანაკლებ უყვარდა, მათ შორის ერთსაც ვერ იპოვი, მისი საინტერესო მონაყოლი, შეხუმრებანი თუ სიმღერა დღემდე რომ არ ახსოვდეს.

ირაკლი ძალიან მიყვარდა, გარდა ოჯახისა, მასთან საზოგადოებრივ ასპარეზზეც მუდმივად გვინევდა ურთიერთობა და ვფიქრობ, ერთად საკმაოდ საინტერესოდ გვიმუშავია კიდეც, „ცისკრის" აღდგენისთვის თუ სხვა საკითხებზე. აქვე გავიხსენებ იმასაც, რომ სწორედ ირაკლის მთავარი რედაქტორობის დროს, გარკვეული წლების მანძილზე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მეცნიერი-რედაქტორიც ვიყავი.

ერთხელ მასთან გვიანობამდე შევრჩი. რაღაც ბედად, შოთა ძიძიგურიც ჰყავდა სტუმრად, ისიც შესანიშნავი მომღერალი. ჰოდა, სიმღერის ტრფიალი ეს სამი კაცი შევყევით ქეიფს და ცალკე ერთად ყოფნის სიხარულითა და ცალკე სიმღერის სიყვარულით, კარგა გვიანობამდე ვერ მოვწყდით სუფრას. ლამარამ კი იცოდა, რომ ირაკლისთან ვიყავი, მაგრამ მეტი დამაჯერებლობისთვის, მასპინძელს ამ ფაქტის საბუთით დამოწმება მოვთხოვე. დაჯდა ირაკლი, გადასწვდა სუფთა ფურცელს და ხელად დაწერა ზედ: „ საბუთქი. მიეცა ეს საბუთქი ამ ბოვშვს, თამაზ ჯანელიძეს, მასზედ, რომ ჩემთან იყო ღამის სამ საათამდე. სახლში რომ მივა, ლამარას წარუდგინოს". დაწერა ეს და მომაწოდა თავისებურად, ეშმაკური სახით.

როგორც იყო, მივაღწიე სახლამდე. ცოლი რომ არ გამეღვიძე-

ბინა, კარს საკუთარი გასაღები მოვარგე, შევედი და საძინებელს მივადექი. ვხედავ, ლამარას არ ძინავს, მელოდება. რასაკვირველია, მივაწოდე ირაკლის გამოტანებული ის ქაღალდი და ბევრი ვიცინეთ.

ირაკლი აბაშიძესთან დაკავშირებით კიდევ ერთი ეპიზოდი მახსენდება: 7 ნოემბერია – ჩემი დაბადების დღე და, რასაკვირველია, ირაკლიც ბრძანდება სუფრასთან, თამადაა და სადღეგრძელოს ასე ამთავრებს: რაც კარგები ვართ, ბესარიონიჩები ვართო. „ჩამოთვალა" – თამაზ ბესარიონოვიჩი, ირაკლი ბესარიონოვიჩი და იოსიფ ბესარიონოვიჩიო.

ეს ის დროა, როცა სტალინის კულტის წინააღმდეგ ქვეყანაში დიდი კამპანიაა გაჩაღებული. ირაკლი უკვე გათავისუფლებულია მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეობიდან, მეც „მორიგი" თანამდებობიდან ახალი მოხსნილი გახლავართ და სტალინი, ნიკიტა ხრუშჩოვის წყალობით, ხომ საერთოდ უარყოფილია და დამსახურებაწაშლილი. ჰოდა, ჩემი ძველი მეგობარი ზურაბ კარგარეთელიც თავისებურად, გონებამახვილურად შეესიტყვა ირაკლის: რა ვიცი, ყველა ბესარიონოვიჩს ერთად კი მოგეხაზათო (აქ ზურამ უფრო მკვეთრი სიტყვა გამოიყენა). ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი და საუბარმაც ხელად ამ თემაზე გადაინაცვლა.

70-იან წლებში, სამხრეთ კავკასიაში მდგომარეობის გართულებასთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის მთავარსარდლად გადმოიყვანეს მარშალი როკოსოვსკი. ბუნებრივია, რეზიდენცია თბილისში ჰქონდა. მახსოვს, ამ დანიშვნასთან დაკავშირებით, რა ხმაური ატეხა უცხოურმა პრესამ, ჩანს, საბჭოთა კავშირი ახლო აღმოსავლეთს, კერძოდ კი, თურქეთს უპირებს დარტყმასო.

კ. როკოსოვსკი ჯერ კიდევ მოსკოვის დაცვის დროს მე-16 არმიის სარდალი იყო და მაშინაც დიდად ისახელა თავი.

შემდგომში იგი ერთ-ერთი ფრონტის სარდალი იყო, ბერლინის აღებასა და გერმანიის დამარცხებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. 1945 წლის 22 ივნისის 370 ბრძანებით კი უმაღლესმა მთავარსარდალმა ი. სტალინმა მოსკოვში მოწყობილი გამარჯვების აღლუმის სარდლად დანიშნა, ხოლო აღლუმის მიღება თავის მოადგილეს – მარშალ გ. ჟუკოვს დაავალა.

კ. როკოსოვსკი იყო მაღალი, თხელი, ულამაზესი კაცი, უაღრესად თავაზიანი და მომხიბვლელი.

ჯერ სულ ახალდანიშნულმა მთავარსარდალმა წერილი გამომიგზავნა, როგორც ქალაქის მერს, რაღაც საკითხში დახმარებას

მთხოვდა. წერილის მიღებისთანავე დავურეკე. ყურმილი მისმა თანაშემწემ აიღო: ახლა აქ არ გახლავთ, როგორც კი მოვა, გადავცემ და დაგირეკავთო. მართლაც, არ გასულა დიდი ხანი და მირეკავს: "Тамаз Висарионович, это говорит Рокосовский"! ვუპასუხე, რომ მზად ვიყავი მასთან დასალაპარაკებლად. ახლავე გეახლებითო. შევცბი: როგორ დავუშვებდი, რომ თავად როკოსოვსკი მე მხლებოდა!.. იგი ხომ მთელი ქვეყნისთვის და ბუნებრივია, ჩვენთვისაც სათაყვანელი სარდალი იყო.

მაშინვე ვეწვიე, მისსავ რეზიდენციაში, რომელიც მერიის გვერდით, ლენინის მოედანზე მდებარეობდა. კართან ერთი ოფიცერი დამხვდა, ორიოდე ნაბიჯში მომეგება მეორეც. შემიყვანეს მის კაბინეტში. ძალიან თბილად შემხვდა. თითქმის იმ ოთახისხელა რელიეფური რუკა ჰქონდა კაბინეტში — ფაქტობრივად, ახლო აღმოსავლეთის მთელი ტერიტორიები ხელისგულზე ედო, თვითმფრინავი რომ აფრენილიყო საიდანღაც, ამას უკვე ხედავდა და შეეძლო რეაგირება. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ხანგრძლივად და საკმაოდ საინტერესოდ ვისაუბრეთ, უჭკვიანესი კაცი რომ იყო, ამ ერთი შეხვედრითაც ვიგრძენი.

როკოსოვსკისთან დაკავშირებით, ერთი ასეთი ამბავიც მახსენდება: სტალინთან უჩივლია ვიღაცას მასზე, მუსუსია, არც ერთ აღებულ ქალაქში ქალი არ გაუშვაო. მეხლისმა, არც აცივა, არც აცხელა და სტალინს მოხსენებითი ბარათი მიართვა ამ საკითხზე, თანაც, პათეტიკურად ჰკითხა: "Что будем делать, товарищ Сталин"? გაცინებია სტალინს, ქალები თუ უჩივიანო. არაო. "Тогда будем завидовать"-ო. ლამაზი მამაკაცი იყო, თანაც — სტალინის უსაყვარლესი მარშალი და როგორც ჩანს, არც მოშურნეები აკლდა...

ეს იყო 9 აპრილის შემდგომ პერიოდში. იმ უბედურების ცხელმა კვალმა მაშინ თბილისში საქართველოს არაერთი მეგობარი ჩამოუყვანა. მათ შორის იყო ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი როალდ საგდეევი და მისი საცოლე (მერე უკვე მეუღლე) სიუზანა ეიზენჰაუერი. მოსკოვშივე დაეკვალიანებინათ: თბილისში სოსო ცისკარიშვილი ნახეთ და ის გაგარკვევთ ყველაფერში, რაც იმ საზარელ ღამეს მოხდაო.

ერთ საღამოს მოსკოვური დელეგაციის წევრები, საგდეევის მეთაურობით, ჩვენც გვეწვივნენ ოჯახში. მახსოვს, კარი ლამარამ გაუღო და საგდეევი რომ დაინახა, ხელი მაღლა ასწია და დაიძახა, Я против-ო. საგდეევი მაშინვე მიუხვდა სათქმელს და კარგ იუმორში ჩამოართვა. ეს მართლაც ძალზე მახვილგონივრული მინიშნება გა-

ხლდათ. საქმე კი შემდეგში იყო:

გორბაჩოვი პროცესების დემოკრატიული მართვისკენ რომ გადაიხარა და იმავდროულად, აქციების დასარბევად, ომონის შექმნა მოიწადინა, სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიაზე, 1989 წელს, დააყენა კიდეც ეს საკითხი, კენჭი ვუყაროთო. ერთადერთი, ვისაც ეს გაუპროტესტებია, იყო საგდეევი, რომელიც მაშინ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო. პირდაპირ აუწევია ხელი და Я против-ო, უყვირია. მერე მოგვიყვა: რომ შემოვბრუნდი და დავინახე, იმხელა დარბაზში მხოლოდ მე გამიჩნდა ამის თქმის სურვილი, ვიფიქრე, რომ ჩვენს დემოკრატიას კარგა ხანს კიდევ არაფერი ეშველება. ლამარამ სწორედ ამ საპროტესტო ჟესტისა და რეპლიკის იმიტირება გააკეთა, ამის შესახებ ჩვენ სოსოსგან ვიცოდით. სოსოს პირად არქივში ამ პროტესტის ამსახველი ფოტოც აქვს შემონახული. რაც შეეხება მაშინდელ განწყობილებას, მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ რუსეთი დემოკრატიისგან მართლაც ძალიან შორს იყო.

აკადემიკოს როალდ საგდეევის ჩამოსვლა 9 აპრილისკვალზე თბილისში საკმაოდ მნიშვნელოვანი მოქალაქეობრივი აქტი იყო. საგდეევი არა მარტო ცნობილი მეცნიერი, ყველა თვალსაზრისით, საკმაოდ პროგრესული ადამიანიცაა. პირველი საფუძვლიანი ინფორმაცია ამ ტრაგედიაზე მან თბილისში მიიღო. 9 აპრილის ტრაგედიის გახმაურებისთანავე თბილისში ბორის ელცინიც ჩამოვიდა და მას სწორედ მარინასა და სოსოს ოჯახმა უმასპინძლა. ჩემი უფროსი სიძე-ქალიშვილი აპრილის იმ მოვლენების ფეხმოუცველელი მონაწილეები იყვნენ. მართლა სასწაული მოხდა, იმ საშინელ ღამეს განგებამ რომ გადაგვარჩინა!..

მინდა გავიხსენო ერთი ამერიკელი მეცნიერის, მსოფლიო ასოციაციის „ჰერლიტი"-ს პრეზიდენტის, ეროვნებით სერბი მოქალაქის პოლ ნიკიტოვიჩის ვიზიტი საქართველოში; მან დაათვალიერა საბჭოთა კავშირის ჰერლიტის ყველა საბადო. მისი მიზანი იყო საბჭოთა კავშირში, კერძოდ საქართველოში მოეწყო ჰერლიტის გადამუშავების ერთობლივი საწარმო, რათა მიგვეღო მსოფლიო სტანდარტის პროდუქცია (საფილტრე ფხვნილი), რომელსაც ფართო გამოყენება აქვს მეურნეობის სხვადასხვა დარგში და დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს.

თბილისში ყოფნის დროს ჩვენ მას სათანადოდ ვუმასპინძლეთ, გავაცანით ჩვენი ოჯახის წევრები. იგი დიდად კმაყოფილი დარჩა. 1991 წელს ამ შეხვედრის ერთერთი მონაწილე, ჩემი შვილიშვილი

ლელაკო იყო ამერიკაში; მე ამის შესახებ ვაცნობე პოლ ნიკიტოვიჩს. იგი ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროდან გაეშურა ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე, მოინახულა და დიდად უმასპინძლა ჩვენს ლელაკოს. ზაფხულშივე მე მისგან მივიღე წერილი, რომელიც მინდა აქ მოვიყვანო:

ძვირფასო ბატონო თამაზ!

სიტყვები ვერ გამოხატავს იმ უდიდეს სიამოვნებას, რაც მე განვიცადე შეხვედრით თქვენთან, ბრწყინვალე ქალბატონ ლამარასთან, სოსოსთან და მარინასთან და თქვენი შესანიშნავი ოჯახის სხვა წევრებთან; განსაკუთრებით თქვენს პატარა ლელაკოსთან, რომელიც ძალიან კარგად იქცეოდა და რომელიც უკვე არის ლამაზი, ჭკვიანი, ახალგაზრდა ლედი. თქვენი სტუმართმოყვარეობის სითბომ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ვილი მაქსზე, ასევე ჩემზე; ჩვენ ძალიან მადლობლები ვართ მთელი ჯანელიძეების საგვარეულოსი, რომლებმაც ჩვენი სტუმრობა აქციეს ასეთ სასიამოვნო, ჭკუის სასწავლებელ და დაუვიწყარ მოგონებად.

ჩემი თხოვნა იქნება გადასცეთ დიდი მადლობა თქვენი ინსტიტუტის თანამშრომლებს, გიორგი ანდრეის-ძე მაღალაშვილს და შალვა ჩალაურს, რომლებმაც ასე გულითადად მიგვიღეს თავიანთ სახლებში.

როცა ვიხსენებთ, რამდენი რამ ვნახეთ და შევიმეცნეთ, ძნელია დაიჯერო, რომ საქართველოში ჩვენ გავატარეთ ოთხ დღეზე ნაკლები. სხვა ბევრ საინტერესო ამბებთან ერთად ჩვენ ვისწავლეთ თქვენგან თამადობის რიტუალი, სოსოსგან კი — როგორ უნდა ვთქვათ მოხდენილი და მახვილგონიერი სადღეგრძელოები, სანამ ავირჩევდით თამადას. თქვენი წყალობით ჩვენ მეტი გავიგეთ საქართველოს მდიდარ ისტორიაზე, მის ანბანზე და ლიტერატურაზე.

ჩვენი სტუმრობის დასასრულს თავი ნახევრად ქართველებად ვიგრძენით.

ოჰ! რომ ყოფილიყო 40 მილიონი ქართველი, მთელი მსოფლიო სხვანაირი იქნებოდა!

გულითადი სურვილებით,

პოლ ნიკიტოვიჩი

თენგიზ აბულაძე

„თამაზ ჯანელიძეს — ძმას, მეგობარს, ნაწილობრივ თანამოაზრესა და მძახალს — დაბადებიდან 80 წელთან დაკავშირებით, ტკბილად მომიგონებდე, თენგიზ აბულაძე. 7/XI-1984 წ“.

ეს სიტყვები ანდრე მორუას წიგნზე ჯერ კიდევ 60 წლისამ წამიწერა. ისე გამოდის, რომ წინასწარ თავი დაიზღვია, იმ შემთხვევისთვის, თუ მიზეზთა გამო, ერთად ვერ მოვახერხებდით ჩემი 80 წლისთავის აღნიშვნას.

მაგრამ მე ვერ დამაზღვია იმისგან, რომ მისი 80 წლისთავი უმისოდ არ აღმენიშნა! თენგიზი 80 წლისა წლეულს შესრულდებოდა — 2004 წლის 31 იანვარს, სწორედ იმ დღეებში გავიდა მისი გარდაცვალებიდან ათი წელიწადიც. ისიც მისგან მოდიოდა, ეს თარიღები უფრო მეტად რომ ვერ ავახმაურეთ! დიდი შემოქმედისგან და არანაკლებ დიდი მოქალაქისგან, რომელმაც სიცოცხლის ბოლოს საკუთარ ქვეყანაში უცხოდ იგრძნო თავი. ეს უთქვამს კიდეც ჩვენთვის, ახლობლებისთვის, ტელევიზიის ალყაშემორტყმულ შენობას შემკრთალი რომ გაჰყურებდა საკუთარი ბინის ფანჯრიდან. ამის მერე მან საკმაოდ მალე დაგვტოვა, თითოეულ ჩვენგანს მოწყდა, როგორც ძალიან ღვიძლი ნაწილი...

თენგიზი ჩვენს ოჯახში ნანამ შემოიყვანა. რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც კინოსარეჟისოროზე ჩაირიცხა და თანაც ისე გაუმართლა, რომ მოხვდა სწორედ თენგიზ აბულაძის შეგირდთა ჯგუფში., რომელშიც თავი მოიყარეს საკმაოდ საინტერესო ახალგაზრდებმა. ესენი იყვნენ: გია მატარაძე, ნანა ჯორჯაძე, გურამ პეტრიაშვილი, ერთი ლეკიც ჰყავდათ — აღსაბა. ნანა მათ შორის ყველაზე უმცროსი იყო.

აქედან დაიწყო თენგიზის ურთიერთობა ნანასთან. მახსოვს, პირველსავე კურსზე მოსკოვში ჰქონდათ პრაქტიკა — მათთვის რაღაც უცხოური ფილმები უნდა ეჩვენებინათ. რამდენადაც ვიცი, სწორედ იმ ხანებში ჩასულა მოსკოვში გია აბულაძეც — თენგიზის ვაჟი. უთუოდ, მაშინ გაიცნეს ერთმანეთი. ლამარასგან დროდადრო მესმოდა, რომ გიამ მოუხშირა ჩვენთან სიარულს. სხვა მხრივ, თა-

ვიანთი ურთიერთობა არაფრით გამოუმჟღავნებიათ. ესეც მახსოვს კარგად, ერთხელ ინსტიტუტში ლამარა საოცრად აღელვებული ჩამოვიდა თავისი ლაბორატორიიდან, ამ წუთში ნანა მომადგა გიასთან ერთად და გამომიცხადა, ვთხოვდებიო.

ეს იყო 1977 წელს რამდენადაც ვიცი, ეს ამბავი აბულაძეებმაც დაგვიანებულზე შეიტყვეს.

ასე იყო, თუ ისე, მახსოვს, იმავე საღამოს, საკმაოდ გვიან, თვითონ თენგიზმა დაგვირეკა და საკმაოდ მორიდებით ითხოვა ჩვენთან მოსვლის ნებართვა. მართლაც, რამდენიმე წუთში მოვიდა, თავის დეიდაშვილთან, ლომერთან ერთად. სწორედ იმ საღამოს თამაზ თევზაძე გვყავდა სტუმრად და ისიც შეესწრო ამ საკმაოდ დელიკატურ სიტუაციას.

გუშინდელივით მახსოვს, სახელდახელოდ გაწყობილ სუფრას რომ ვუსხედით. ასე დავაახლოვდით, მერე და მერე კი ცხოვრებამაც აჩვენა, რომ ეს ჩვენი ურთიერთდაახლოება უჩვეულოდ მყარიც გამოდგა. ალბათ, იმიტომ, რომ გარდა კეთილგანწყობისა თუ ნათესაობისა, აქ იყო დიდი ურთიერთგაგებაც, სულიერებაცა და ცხარე კამათებით გამობრძმედილი შინაგანი თანამოაზრეობაც.

უთუოდ, ამ ყველაფრის გამო, თენგიზი, უპირველეს ყოვლისა, ნანასადმი თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულებით მახსენდება. მარტო უყვარდა-მეთქი, რომ ვთქვა, ალბათ, არ იკმარებს. გასაოცრად ენდობოდა, როგორც მოწაფესა და როგორც ადამიანს. ყოველთვის ითვალისწინებდა მის მოსაზრებას, რადგან ეს მისთვის, უპირველეს ყოვლისა, მომავალი თაობის აზრი იყო. ისინი ყოველთვის ძალიან ბევრს საუბრობდნენ, თათბირობდნენ. ამ მხრივ თენგიზი, საერთოდაც, არაჩვეულებრივი იყო. გამიგონია, რომ სტუდენტებს პრაქტიკებზე ისე ტვირთავდა და ამავე დროს, იმოდენა თავისუფლებას აძლევდა, რომ თითოეული მათგანი, უბრალოდ, იჯერებდა, ამ ფილმს მე ვიღებო. მაგალითად, მისცემდა, თურმე დავალებას ამა თუ იმ კადრთან დაკავშირებით და მერე თითოეულის აზრს ძალზე შემოქმედებითად განიხილავდა და ხშირად იყენებდა კიდეც.

ცალკე თემაა ის, თუ როგორი მოსმენა იცოდა!.. თავისას არადროს მოგახვევდა. გამიგონია, რომ ასეთი იყო სტუდენტებთანაც. სხვისას ვერაფერს გეტყვით, მაგრამ შესანიშნავად მახსოვს ნანას ნამდვილად უჩვეულო შინაგანი დატვირთულობა, როცა თენგიზმა მთელი თავისი ჯგუფი სილნაღში წაიყვანა, „ნატვრის ხის“ გადაღებებზე. გამოვიდა, რომ თითოეულ მათგანს მისცა შანსი, ემუშავა ამ გასაოცარ ფილმზე და მასში თავის წილადაც რაღაც ჩაედო.

ასეთი იყო — ყველას მოსაზრებისა და პოზიციის პატივისცემა იცოდა, მიუხედავად იმისა, შინაგანად ეთანხმებოდა თუ არა. ჩანს, ჩემთანაც ეს უიოლებდა ურთიერთობას, რადგან მიუხედავად დიდი ურთიერთპატივისცემისა თუ სიმპათიისა, ჩვენ მაინც პრინციპულად სხვადასხვა იდეოლოგიურ პოლუსებზე მდგარი პიროვნებები ვიყავით. მაგრამ მე თენგიზისგან ყოველთვის ვგრძნობდი ანგარიშის გაწევას, ნებისმიერ საკითხზე გამოთქმული, თუნდაც მისთვის ყველაზე მიუღებელი ჩემი მოსაზრების პატივისცემას. გასაოცრად თბილი და დიდი შინაგანი ღირსებებით შემკული ადამიანი იყო და, რა თქმა უნდა, რაც გააკეთა, იმას ვერ შეძლებდა, ეს თვისებები რომ არ ჰქონოდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თენგიზის ურთიერთობა ლამარასთან — ჩემს მეუღლესთან. მახსოვს, „მონანიებაზე" მუშაობის პერიოდში, ყოველდღე, უკვე შეგვიანებულზე, ყველა რომ დაიძინებდა, ესენი ერთმანეთს შეეხმიანებოდნენ ტელეფონით. იმას თუ არა, ლამარას უნდა დაერეკა და ეკითხა, აბა, თენგიზ, დღეს რა მოხდა, როგორ ხარ, როგორ გაქვს საქმეო. მან იცოდა, რომ თენგიზს აუცილებლად სჭირდებოდა ამოთქმა იმისა, თუ დღის განმავლობაში რა გააკეთა, რა გამოუვიდა, ან არ გამოუვიდა. და ისიც, თითქოს მის შეკითხვას მთელი საღამო ელოდაო, მომენტალურად იწყებდა მოყოლას, იმ დღეს რა მოხდა გადასაღებ მოედანზე, რა უნდოდა, რომ ყოფილიყო და რა იყო. მე კი, სულ მიკვირდა და ვეკითხებოდი ლამარას, რა აქვს შენთვის ამდენი მოსაყოლი-მეთქი.

ლამარა დარწმუნებული იყო, რომ თენგიზს განსაკუთრებით სჭირდებოდა ამგვარი სულიერი მხარდაჭერა, რომ იგი ასეთ შინაგან საყრდენებს თავადაც ეძებდა თავის ახლობლებში. რა თქმა უნდა, აქ უპირველესი მზია იყო, მზია მისთვის არა მარტო მეუღლე და უახლოესი მეგობარი, არამედ მისი დიდი შემოქმედების უპირველესი შემფასებელიც გახლდათ. თავადაც, არა მარტო ულამაზესი ქალბატონი, იშვიათი ბუნების ადამიანიც იყო. უფაქიზესი, ერთგული, მომსმენი... ჩემს ნანას რომ ჰკითხო, თვითონ საკმაოდ ნიჭიერმა, მთელი თავისი არტისტული კარიერა და, საერთოდაც, ყველაფერი ამქვეყნად, თენგიზს შესწირა. ეს ალბათ, სწორიცაა, როცა ამხელა პიროვნების მეუღლე ხარ, უნდა შეძლო კიდეც მისი დიდი შემოქმედებითი ინტერესებისთვის საკუთარის დამორჩილებაცა და გაწირვაც. მზია ამ მხრივ ალბათ, ბევრისთვის სამაგალითოც შეიძლება იყოს.

მახსენდება, როგორ უყვარდა თენგიზი თავის სიდედრს — შე-

სანიშნავ ქალბატონს, ძალზე საინტერესო პიროვნებას — ქეთევან თოთიბაძეს. ქალბატონი ქეთევანი იაკობ ნიკოლაძის მოწაფე გახლდათ. ეს იყო გასაოცრად სასიამოვნო ქალი, რომელსაც, როგორც შინაურები მაგონებდნენ, რასაკვირველია, როგორც მოქანდაკეს, ჩემი აღნაგობა მოსწონდა. მახსოვს, ამის გამო ერთხელ კარგა მაგრად გამაწითლა...

ოთახში რომ შევედი, ქალბატონი ქეთევანი რაღაცას ყვებოდა, უცებ შეწყვიტა თხრობა, მიუტრიალდა იქვე მისხდარ ქალებსა და თენგიზს, ჩემსკენ მოახედა და გამოაცხადა: "Настоящий Аполон"! მე მომერიდა, თენგიზმა კი შექმნილი სიტუაცია ხელად თავის სასარგებლოდ შეატრიალა და – "А я кто"? — ჰკითხა თავის მოქანდაკე სიდედრს. "А ты Амурчик", — არც იმას აწყენინა ქალბატონმა ქეთევანმა.

ასე იყო, მაგრამ აი, მოხდა უბედურება და თენგიზი ავად გახდა, ეს უკვე 1991 წელია. ისე მახსოვს, რომ მისი ქალიშვილი ქეთინო ახალი ნამშობიარებია და ამის გამო თენგიზსაც ქვიშხეთში წაყვანა გადაუდეს.

ქვიშხეთი განსაკუთრებული თემაა თენგიზის ცხოვრებაში. ძალიან უყვარდა და იქ ოროთახიანი პატარა სააგარაკო სახლიც ჰქონდა, მაგრამ პირველი შვილიშვილი თორნიკე რომ დაებადა, უკეთესზე ფიქრი დაიწყო. მზიამ სცადა წინააღმდეგობის გაწევა, ახლა ეს არ აიტეხოო, მაგრამ მან არა მარტო „აიტეხა", არამედ უჩვეულოდ მოკლე დროში იქ შესანიშნავი სახლიც დადგა. რასაკვირველია, გიას პროექტით, რომელიც სამშენებლო მასალის მოხერხებული მშოვნელიც გამოდგა. მაგალითად, ჩავიდოდა ხაშურში და გადააწყობინებდა საჭირო მასალას — ეს ყველაფერი ლენინური პრემიის ლაურეატ დიდ რეჟისორს, ამა და ამ ფილმების ავტორს, სჭირდებაო, მერე კი ჩვენთან თავს იმართლებდა, აბა, რა მექნა, რამენაირად ხომ უნდა მიმეხვედრებინა, უფულად ხომ არ მაძლევდნენო.

ერთი სიტყვით, ეს ის დროა, თენგიზი ამ თავის ნაამაგევ ქვიშხეთში ჩასვლას რომ ვერ ახერხებს, მე და ლამარა კი უკვე ბალტიისპირეთში ვაპირებთ გამგზავრებას, საიუბილეოდ ბარგს ვკრავთ. ჰოდა, მივიდა ლამარა მზიასთან და ეუბნება, რაკი ამ ზაფხულს ქვიშხეთში ვერ ატარებთ, თენგიზი მე და თამაზს გამოგვაყოლე იუბილეაშიო.

მოკლედ, ავიბარგეთ სამივე ერთად. თენგიზი უკვე შეუძლოდ იყო — პარკინსონის დაავადება ერეოდა და როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იყო იმ საშინელი ავტოკატასტროფის შედეგი, რომელშიც

ერევანში „ნატვრის ხის“ ჩვენების შემდეგ მოყვა, მძღოლთან ერთად. მართლაც ყველასთვის თავზარდამცემი ხიფათი შეემთხვა: მძღოლი ადგილზევე დაეღუპა, ხოლო თვითონ თენგიზი აბოვიანის საავადმყოფოში აღმოჩნდა. რომ გადარჩა, თქვა, ღმერთმა იმიტომ არ მომკლა, რომ კიდევ ერთი ფილმი გადავიღოო. ეს ფილმი გახლდათ „მონანიება“, თავად მიაჩნდა, რომ ეს იყო ძალადობის თემაზე დადგმული მისი ტრილოგიის მესამე ნაწილი და ძალიან ეშურებოდა ამ გადაღებას.

ეს იყო და ეს. ჩანს, ჯანმრთელობა მაშინ შეერყა საბოლოოდ, თუმცა ახლობლებმა ამის შესახებ ჯერ არაფერი ვიცოდით...

ისევ მინდა დავუბრუნდე ჩვენს ბალტიისპირულ მოგზაურობას... მოკლედ, იურმალაში ვართ. თენგიზმა კი, ჩაყვანისთანავე, საკმაოდ შეგვაშინა. ძალიან ცუდად შეიქნა, თან უძილობაც აწუხებდა. ლამარამ დააყარა მკურნალი ექიმის მთელი დანიშნულება, მაგრამ იმას მაინც წამითაც არ ჩაუძინია. მეორე დღესვე ჩავიყვანეთ სანატორიუმის ექიმთან. ლამარამ წინასწარ, შეძლებისდაგვარად, შეამზადა ფსიქოლოგიურად, იქნებ რაიმე საძილეც მოგცეს და უშფოთველად დაგეძინებაო.

ექიმის კაბინეტში ერთი მშვენიერი ქალი იჯდა, შევედით თუ არა, დაიწყო ჩვენი ავადმყოფის ანკეტის შევსება. ჯერ, რა თქმა უნდა, გვარს ეკითხება, თენგიზმა უპასუხა. ახლა სახელი ჰკითხა. შემდეგი გრაფაა პროფესია. აქ, თენგიზმა, ბუნებრივია, უთხრა, კინორეჟისორიო. უცებ ქალმა კალამი გადადო, სამივეს ერთად ამოგვხედა და დააზუსტა: „მონანიება“, არა? შეგახსენებთ, ეს უკვე 1991 წელია, ფილმი კი 1987-ში გამოვიდა, ესე იგი, ნანახი აქვს! ვიფიქრე, როგორც იქნება, გადახარშავს ამ ემოციას და ანკეტის შევსებას გააგრძელებს-მეთქი, მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, საერთოდ წამოხტა სკამიდან და გავარდა დერეფანში ძახილით, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ჩვენთან ვინ ისვენებსო.

ერთი სიტყვით, ამ საერთო ემოციური აფეთქების მერე, უამრავ ქათინაურთან ერთად, მოართვეს თენგიზს ის საჭირო წამლებიც. თუმცა, ნუ იტყვით და, მთავარი სიუპრიზი თურმე, მეორე დილას გველოდა. ეს მოხდა სასადილოში: წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი, ანუ თენგიზის, გამოჩენისთანავე იმ ვეებერთელა დარბაზში მსხდომი მთელი ის საზოგადოება, დიდიან-პატარიანად, ერთი კაცივით წამოუდგა ფეხზე „მონანიების“ ავტორს! რა თქმა უნდა, ცალკე გამოიდო თავი სანატორიუმის დირექტორმაც, მერე რომელიღაც გამომცემლობის წარმომადგენელიც გამოჩნდა, ვიღაც ებრაელი მამაკა-

ცი, თავის მხრივ, მანაც სცადა ინტერვიუზე თენგიზის დათანხმება.

ეს სწორედ აგვისტოს ის დღეებია, როცა ყველასთვის მოულოდნელად, მოსკოვში პუტჩად მონათლული ის ცნობილი მოვლენები განვითარდა. ამ ცნობამ თენგიზი საშინლად დაზაფრა: არ იყო გამორიცხული, რომ პუტჩისტებს გაემარჯვათ და მას, ისევე, როგორც რამდენიმე წლის წინათ, დაპატიმრების საშიშროება შექმნოდა.

რასაკვირველია, დაბრუნებაზე ფიქრი და ბილეთებზე სირბილი დავიწყეთ. ბედად, სანატორიუმის დირექტორმა ვიღაც თავისი ნაცნობი მოლარე დაგვახმარა. თუმცა, იმ ქალმა კარგადაც გვაწვალა — სამი დღე ზედიზედ გვატარა და მხოლოდ მესამე მისვლაზე გამოგვიცხადა, ბილეთები გიშოვნეთო.

მოკლედ, ვეახლეთ ვეებერთელა თაიგულით და იმანაც, თავის მხრივ, როგორც იყო, ჩაგვაბარა ის ჩვენი საოცნებო ბილეთები. მადლობა გადავუხადეთ, ერთი სიტყვით, დავემშვიდობეთ, როგორც წესია და მოვდივართ... თუ შეიძლება, ცოტაც შეიცადეთო... და იცით, როგორი აღსარება გვითხრა? პირველსავე დღეს დავჯავშნე თქვენთვის ბილეთები, მაგრამ მაშინ ეს უდიდესი რეჟისორი ჩემთან მთელი ამ სამი დღის მანძილზე, ხომ არ ივლიდაო.

ეს ის დროა, როცა ედუარდ შევარდნაძე ჯერ კიდევ მოსკოვშია და ყველასთვის ცნობილ როლსაც თამაშობს იქაურ თეთრ სახლთან დაკავშირებულ მოვლენებში. ბარემ აქვე ვიტყვი... თენგიზს შევარდნაძისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. ძალიან უყვარდა, თავის დროზე, „მონანიებისთვის" გაწეული დახმარებისთვის სიცოცხლის ბოლომდე ემადლიერებოდა.

მერე და მერე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ მაგალითად, შევარდნაძის იდეით, მოსკოვს არ უნდა შეეტყო, საქართველოში ასეთი ფილმი რომ იდგმებოდა; იქნებ, ეს დღეს ვიღაცამ არ ირწმუნოს, მაგრამ მაშინ უკვე შეიმჩნეოდა ფილმის საწინააღმდეგო მოძრაობის ნიშნებიც. ეს ის ნიუანსებია, რომლებზეც თენგიზთანაც და ნანასთანაც ძალზე ხშირად მქონია მსჯელობა და, რასაკვირველია, გაზეთებისთვის მიცემული მათი ინტერვიუებიდანაც ბევრი რამ მახსოვს.

ჯგუფმა „მონანიებაზე" მუშაობა დაამთავრა 1984 წლის დეკემბერში. ნანასგან ვიცი, რომ ამის მერე მათ სამად-სამი შენიშვნა მისცეს, რომლებიც უსათუოდ უნდა შესწორებულიყო. პირველი შეეხებოდა ფილმის მთავარ შეკითხვას: „ეს გზა ღვთისმშობლის ტაძრამდე არ მიმიყვანს?" „არა", პასუხობდა ზეიკო ბოცვაძის პერსონაჟი, მე იმას ვიხსენებ, რაც იყო თავდაპირველად. მერე ასე გადააკეთე-

ბინეს: „არა, ეს ვარლამის ქუჩაა, ეს გზა ღვთისმშობლის ტაძრამდე არ მიგიყვანთ“.

მოკლედ, ვარლამის ქუჩა დაამატებინეს და ცხადია, რომ ამან პირიქით უფრო გაამძაფრა ყველაფერი, მაგრამ ნანას რომ ჰკითხოთ, უბრალოდ, ვერ გაიაზრეს, რა ხდებოდა.

მეორე შენიშვნა ეხებოდა იმ ერთ მანქანაში თავმოყრილ ერთი გვარის ხალხს... თავიდან ამილახვრები იყვნენ. ეს გვარი, მართლაც თითქმის განწყვეტილია, ამდენად, დარბაისლებად გადააკეთებინეს.

ამასობაში შევარდნაძე მოსკოვში გადაიყვანეს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად და ფილმის ავტორებს მართლა გაუჩნდათ განცდა, რომ ფილმი უპატრონოდ დარჩა. ჩანს, მსგავსი შეგრძნება სხვასაც გაუჩნდა, რადგან ამასობაში, უშიშროების მინისტრმა, ალექსი ინაურმა, მოსკოვში შეატყობინა, თენგიზ აბულაძე და მისი ვაჟი — გია აბულაძე ამ ფილმის ვიდეოკასეტებს ავრცელებენო. ერთი სიტყვით, ისეთ სურათს ხატავდა, იქმნებოდა უცხოეთში ამ კასეტების მოხვედრის უდიდესი საშიშროება, ეს კი, ინაურის აზრით, რასაკვირველია, დაუშვებელი გახლდათ, „რადგან ფილმი, თავიდან ბოლომდე, საშინელი ცილისწამება იყო საბჭოთა ხალხზე“.

ეს ის პერიოდია, როცა უკვე გადაწყვეტილია, რომ ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავის ზეიმების მერე ქვეყანაში ამ ფილმს გაუშვებენ, რაც შეეხება ვიდეოკასეტებს, ისინი ამ დროს თბილისში მართლა გავრცელდა, თუმცა არავინ იცოდა, ვისი ხელით. ყველაზე შემაშფოთებელი იყო ის, რომ ყველა, ვისაც კი ეს კასეტები აღმოაჩნდა, გაიძახოდა, თენგიზმა მომცაო. არადა, ნანასგან ნამდვილად ვიცოდი, რომ ფილმი რამდენიმე ეგზემპლარად მართლა იყო დაბეჭდილი ვიდეოკასეტებზე, მაგრამ თენგიზი ვიდეოკასეტებს საერთოდ ვერ იტანდა და შესაბამისად, არც ერთი არ ჰქონდა ნანახი. ლაპარაკი იყო ფილმის ძველ ვარიანტებზე...

მოკლედ, ეს ჭორები ერთმანეთზე აიკინძა... ესენი, თავიდან თითქოს არ აქცევდნენ ამ აგორებულ ჭორებს ყურადღებას, რომ ფილმს რა ხანია, უყურებენ სხვადახვა ოჯახებში... მაგრამ ინაურის დასმენის მერე, რომელიც მან თავის უშუალო ზემდგომს, სსრკ უშიშროების მინისტრს — ჩებრიკოვს გაუგზავნა, ალბათ, ამას უკვე სჭირდებოდა ყურადღების მიქცევა. თანაც, ეს ხდება იმ ყველასთვის ცნობილ „პერესტროიკამდე“.

ჩებრიკოვს ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ მოუხსენებია მიხაილ გორბაჩოვისთვის. გორბაჩოვი კი, თავის მხრივ,

ეკითხება შევარდნაძეს, რა ხდება საქართველოში, ეს რა ფილმი გადაგიღიათო. ამას აუხსნია, რომ ეს ჭეშმარიტი კომუნისტი რეჟისორის ფილმია და იგი ნამდვილად დაგვეხმარებაო.

მოკლედ, მთელი თავისი პათოსი ჩაუდია ამ ახსნაში. ამასობაში კი, პარალელურად, ამ საკითხზე ალექსანდრე იაკოვლევი და ელენ კლიმოვიც მუშაობენ. ანუ იმათ აჩვენეს „მონანიება" რაისა გორბაჩოვას, რომელმაც, თავის მხრივ, იგი პოლიტბიუროს წევრთა მეუღლეებს აჩვენა. იმათ კი, საშინელი ვაი-ვაში აუტეხავთ, კინოთეატრებში ამის გაშვება როგორ შეიძლებაო. ამ ხელოვნური აურზაურის დროს ფილმი, ფაქტობრივად, დაპატიმრებული გახლდათ.

ასე გაგრძელდა მთელი ორი წელიწადი. 1986 წლის ნოემბერში კი მათ განწყობაში მეტ-ნაკლები ძვრები გაჩნდა, მომდევნო წლის იანვარში კი „მონანიებას" უკვე კინოეკრანებზე უჩვენებდნენ.

მერე იყო კანი და კიდევ უფრო დიდი აღიარება — თენგიზ აბულაძის ამ მართლაც გენიალურმა ფილმმა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართულმა კინოსურათმა, მთელი მსოფლიო მოიარა. ეს იყო უზარმაზარი წარმატება, რომელიც ძალზე ძნელად მოვიდა. თენგიზისთვის ეს წლები უმძიმესი იყო, თუკი რამ ეგულებოდა, ანტისაბჭოთა ლიტერატურის მაგვარი, ყველაფერი გაიტანა ბინიდან, ფაქტობრივად, ყოველდღე ელოდა დაჭერას.

აქ კიდევ ერთი ნიუანსია: იგი მოსკოვის საზოგადოებისთვის წარედგინათ, "მონანიების" უსაფრთხო გატანა თბილისიდან რეზო ჩხეიძემ ითავა. რეზო მაშინ მარტო კინოსტუდია" ქართული ფილმის" დირექტორი კი არა, ვგონებ, უკვე ლენინური პრემიის ლაურეატიცა და სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატიც იყო. სწორედ მან ამგზავრა მოსკოვამდე უპრობლემოდ ეს ფილმი, გამოაცხადა, „რაიკომის მდივანიაო".

ვფიქრობ, ეს ნამდვილად იყო მოქალაქეობრივი და ზნეობრივი გმირობა, თუმცა, მე, პირადად, ამგვარი რამ მისგან არც გამკვირვებია. რეზო და თენგიზი დიდი მეგობრებიც იყვნენ — „მაგდანას ლურჯადან" და ვგონებ, სკოლიდანაც, ერთად მოდიოდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ჭეშმარიტი, დიდი ხელოვნების სიყვარულიც აკავშირებდათ.

ისევ მინდა დავუბრუნდე დიდი ხნის წინათ ანდრე მორუას წიგნზე გაკეთებულ იმ წარწერას, ნაწილობრივ, თანამოაზრეცო, თენგიზი რომ აზუსტებს... ისე გამოდიოდა, რომ მე უფრო იმ დიდი იმპერიის შვილი ვიყავი, თენგიზი კი საშინელი ანტიკომუნისტი და ანტისტალინისტი გახლდათ და წლებთან ერთად, სულ უფრო უმძაფრდებო-

და ეს შეურიგებლობა.

მაგრამ, მიუხედავად ამ მსოფლმხედველობრივი განსხვავებულობისა, ჩვენ საუკეთესო მეგობრები ვიყავით. სულ კი ვკამათობდით, მაგრამ ჩვენი კამათები, რომლებიც ალბათ, უფრო სახელმწიფო მოღვაწისა და თავისუფალი პიროვნების საუბრები იყო, მეგობრულ ზღვარს არასდროს გასცდენია და მით უმეტეს, პიროვნულ კონფლიქტში არასდროს გადაზრდილა. ჩვენ ორივეს გვქონდა საკუთარი სიმართლე და საკუთარი წყალგაუვალი არგუმენტები, იმიტომ, რომ პრინციპულად განსხვავებული პოზიციებიდან ვპაექრობდით. მაგრამ ჩვენ ერთმანეთის მოყვარული, შინაგანად ახლობელი ადამიანებიც ვიყავით და სწორედ ამიტომ ჩვენს საუბრებში არც სახელმწიფო მოღვაწისა და არც თავისუფალი პიროვნების არც ერთი არგუმენტი არასდროს დაზარალებულა. რადგან თენგიზი ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, დიდი ხელოვანი იყო და მისგანაც ასევე, ყოველთვის ვგრძნობდი, ჩემი განვლილი გზის გამო, გამორჩეულ პატივისცემას.

ერთი ასეთი დეტალიც მინდა გავიხსენო: ეს შეურიგებელი ანტიკომუნისტისთვის რომელიღაც პარტიულ კრებაზე გამოსვლა უთხოვიათ, ამას კი ხელად მიუგია, უპარტიო გახლავართო, მაგას ეშველებაო, შემოუთვალა შევარდნაძემ და პარტიაში მიიღო.

მართალია, თენგიზს ეს ამბავი დიდ არაფრად მიაჩნდა, მაგრამ „მონანიებაზე" ერთი ვაიუშველებელი რომ აუტეხეს, იქ კი ნამდვილად გამოადგა. ფაქტობრივად, ეს ერთადერთი არგუმენტი იყო, რითაც მაშინ ედუარდმა გორბაჩოვი და მთელი მაშინდელი პოლიტბიურო მოუგერია და დაარწმუნა: ეს არის ჭეშმარიტი პარტიული რეჟისორის ფილმი იმ დარღვევებზე, საბჭოთა რეალობას დღემდე რომ ამახინჯებსო. ასე რომ, მიუხედავად შინაგანი გაუცხოებისა, პარტიამ და კომუნისტის პარტბილეთმა გარკვეული სამსახური მაინც გაუწია ჩვენს თენგიზს.

რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძისადმი მის პირად დამოკიდებულებას... მისი სიყვარული და პატივისცემა ამ ადამიანისადმი იმდენად დიდი იყო, რომ შემდგომში, როცა პარლამენტში აირჩიეს, იგი, უკვე მძიმე ავადმყოფი და დაძაბუნებული, პარლამენტის არც ერთ სხდომას არ აცდენდა და დარბაზში თავისი ყოფნით სახელმწიფო მეთაურისადმი ერთგულებას გამოხატავდა.

ამას წინათ ლანა ღოლობერიძის მემუარებს რომ ვკითხულობდი, მესიამოვნა, სწორედ ამ ბოლო წლების თენგიზის ხასიათის ისეთი ცოცხალი სურათი ვნახე, ისე ზუსტად და თბილად აქვს ყველაფერი

აღნერილი, ამ სტრიქონებმა ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა: „ის ყოველთვის მართალი იყო, რადგან ხელოვნების უმაღლეს კანონებს ემორჩილებოდა მხოლოდ. მისი სიკვდილის მერე ქართული კინემატოგრაფიის და, უფრო მეტიც, ქართული სულის სამყაროში დარჩა სიცარიელე, რომელსაც ვერასდროს ვერაფერი ამოავსებს".

ეს ადამიანები რომ არა

ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის ბევრი იყო სიყვარული, სითბო, სიკეთე, თანაგრძნობა, უანგარობა, უღალატობა. ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ წუთებში ყოველთვის მყავდა გვერდით ისინი, ვისაც ვენდობოდი და ვისიც მწამდა. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ეს გახლდათ ჩემი მეუღლე, ადამიანური მოსმენისა თუ გაგების თავისი გასაოცარი უნარით.

უკვე სკოლას ვამთავრებდით, მე და ჩემს თანაკლასელსა და მეგობარს — ნოდარ მგალობლიშვილს ზუსტად ერთნაირი „პრობლემები" რომ გაგვიჩნდა. მაგრამ დაიბადნენ ჩვენი პატარა დაიკოები და კომპლექსიც გაქრა. მეტიც: ბიჭური სოლოდარობით, დაიკოებს სახელიც ერთი — მანანა — შევურჩიეთ და გადავწყვიტეთ, რომ მათაც ჩვენსავით უნდა ემეგობრათ.

ეს უკვე ის დროა, როცა მე და ჩემი მანანა აუცილებლად წყვილად გადავდივართ ხოლმე ოჯახში მგალობლიშვილებთან. შესაბამისად, ისინიც წყვილად გადმოდიან ჩვენთან, დაბადეების დღეებსა თუ ისე სალაპარაკოდ და მოსანახულებლად.

არ დამავიწყდება ჩემი მანანას ერთი დაბადების დღე, მაშინ სამი ან ოთხი წლისა შესრულდებოდა. გვესტუმრა ნოდარი, თავის პატარა მანანასთან ერთად. იმას, თავის მხრივ, ხელში ლამაზად შეფუთული რაღაც საჩუქარი უჭირავს. არ მახსოვს, რა იყო, ალბათ, სათამაშო იქნებოდა. სამაგიეროდ, მახსოვს, შინ რომ მიჰყავდა, რა ამბავი ატეხა: ცოცხალი თავით არ თანხმდებოდა, რომ ის საჩუქარი მანანასთან დაეტოვებინა.

მე ვერც კი შევამჩნიე, თვალსა და ხელს შუა როგორ გადაიზარდა ჩემი დის პატარა გოგოობა ჩემი ქალიშვილების პატარა გოგოობაში. მარინა და ნანა ძალზე ცნობისმოყვარე და მხიარული ბავშვები იყვნენ — ნიჭიერები, მეცადინები; კითხვა, მუსიკა, სპორტი, თეატრი — ეს ყველაფერი სულ პატარაობიდან იზიდავდათ და უყვარდათ. ჩვენთვის განსაკუთრებული პრობლემები არც ერთ ასაკში არ შეუქმნიათ. საოცრად ენაკვიმატი ბავშვები იყვნენ – დღესაც ღიმილს მომგვრის ხოლმე მათი იმდროინდელი

გამონათქვამების გახსენება:

ერთხელ, თურმე, 7 წლის მარინა, თავის 4 წლის დასთან ერთად, ცნობილი მხატვრების ნამუშევართა რეპროდუქციების ალბომს ათვალიერებს. რატომღაც გოიას „შიშველი მახით" უფრო დაინტერესებულა, თან თავისებურად, ნანასაც „ანათლებს". თვალებგაფართოებულ და ლოყებაწითლებულ ნანას კი რამდენიმე წუთში სრულიად საიდუმლოდ გაუნდვია სამზარეულოში მოფუსფუსე ქალბატონი ნინოსთვის: ბები, ბები, იცი, ჩვენი მარინა მგონი, ბოზააო...

იყო ერთი ასეთი შემთხვევაც: ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, ჩემს სიდედრს მეზობლად ჰყავდა ჩვენი 5 წლის ნანას დიდი მეგობარი ასაკოვანი ქალბატონი – ალექსანდრა ფიოდოროვნა. ერთხელაც, თავის 75-ე დაბადების დღეზე მან ისიც მიიპატიჟა. მაგრამ ნანას ცოტა ადრე მოუხდა სტუმრობა და ხედავს – ზის ეს ქალბატონი და ტელევიზორში "Воина и мир"-ის მეოთხე სერიას უყურებს, ბავშვი დაინტერესდა ფილმით და ჰკითხა მასპინძელს, რა ხდებაო. იმან მოკლედ აუხსნა, Ои, детка, это длинная история и долго рассказывать-о. А вы мне расскажите короткометражно, ურჩია ნანამ.

ასევე, დღემდე ღიმილით ვიხსენებთ, თუ როგორ დაარიგა ჩვენმა პატარა მარინამ შინამოსამსახურე: Шура, мама сказала, что под логину тоже надо хветать-о.

ლამარა, როგორც წესი, გაცილებით მომთხოვნი იყო ხოლმე შვილებთან, მუდამ ჩარჩოებში ჰყავდა. მაგალითად, როცა საქმე ამხანაგებში სიარულს შეეხებოდა. ამას გარდა, მიაჩნდა, რომ ჩვენს ქალიშვილებს მუსიკალური განათლება აუცილებლად უნდა მიეღოთ.

მუსიკა ნანასაც ძალიან უყვარდა. სიამოვნებით მეცადინეობდა მუსიკალურ ტექნიკუმში, კონსერვატორიაზეც კი ოცნებობდა. მარინას მუსიკის ამდენ სიყვარულს ვერ დავაბრალებ, მაგრამ ლამარამ, თავისი შეუპოვრობით, მუსიკალური შვიდწლედი იმასაც დაამთავრებინა. ყოველ საღამოს, სამუშაოდან მობრუნებული და დაღლილი საათობით ეჯდა ხოლმე ფორტეპიანოსთან და რაზ, დვა, ტრიო, ენერგიულად უთვლიდა თუ უდირიჟორებდა. მარინასაც, მეტი რა გზა ჰქონდა და სულ ხუთიანები მოჰქონდა მუსიკალური სასწავლებლიდან. ამას წინათ წამოაძახა, იმ „რაზ, დვა, ტრის" რომ მაძალებდი, მეორე და მესამე უცხო ენა მაინც გესწავლებინაო... მაგრამ მე არ მიმაჩნია, რომ ცოტა ვასწავლეთ.

მით უფრო, რომ როცა დასჭირდათ, ენები თვითონაც შეისწავლეს.

მთელი ცხოვრება მწყდებოდა გული, რომ ბიჭის მამა ვერ გავხდი. ეს გულდაწყვეტა სიყრმის შვილიშვილის — ზეზვას დაბადებამ ცოტა ჩამიყუჩა. მაგრამ ჩანს, ამ ჩემი გულდაწყვეტილობით ჩემები მაინც შევანუხე. იმიტომ, რომ ერთხელ მარინამ, ცოტა არ იყოს, გამკენწლა: ერთი ქალიშვილი პროფესორი გყავს, მეორე – კინორეჟისორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და რა იყო, იმ შენს ნაოცნებარ ბიჭებს რით ვეღარ ვაჯობეთო.

ეს მართალია. შვილების სამდურავი ნამდვილად არ მეთქმის. ორივემ იპოვა ცხოვრებაში თავისი საქმე და ადგილი. ვფიქრობ, ცუდი პროფესიონალები არ არიან. მათ მეუღლეებთანაც, გარდა მამაშვილობისა, საკმაოდ საინტერესო ურთიერთობა და მეგობრობა მაკავშირებს.

სხვათა შორის, მე და ჩემმა მეუღლემ მოვახერხეთ, რომ შვილები ხასიათითაც რაღაცნაირად „გაგვენაწილებინა". მაგალითად, მარინა გარეგნობითაც და ხასიათითაც მე უფრო რომ მგავს, ეს ერთი შეხედვითაც ხვდება თვალს. ისეთი პირდაპირია. თუ არ გეთანხმება, ხელად მოგიჭრის, არ მოგერიდება სიტყვაში. ესეც ჩემი აქვს, რომ წყენა დიდხანს არ მიჰყვება. ნანა ბუნებით უფრო ლამარასია — რბილია, არ არის ჩემსავით და მარინასავით მოჩხუბარი. გასაოცარი ტაქტით მოქმედებს და მიზანსაც აღწევს.

ორივე იმ ღირებულებებით ცხოვრობენ, ჩვენ რომ ჩავუნერგეთ. წიგნი, შემეცნება — აი, მათთვის უმთავრესი ფასეულობა. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მიაჩნიათ, რომ ყველაფერი, რაც კი ღირებულია ამქვეყნად, მხოლოდ თავდადებული და პატიოსანი შრომით მოიპოვება და იქმნება. მე მიხარია, რომ ამასვე ასწავლიდნენ და ასწავლიან თავიანთ შვილებსაც — ზეზვადან დაწყებული ნინიკომდე და ახლა ალბათ, უკვე პატარა ნიცა ცისკარიშვილამდე, დაჩი ამაღლობელამდე და ნიკო აბულაძემდე.

ჩემს ოთახში ერთ ზაფხულს წყნეთში გადაღებული მომცრო „კაცური" სურათი დავკიდე. კაცური იმიტომ, რომ მარტო კაცები ვართ: მე და ჩემი სიძეები — სოსო და გია, იმათი ბიჭები — ზეზვა და თორნიკე... საკუთარი პერსონებით და... პანამებით! ახლები გვაკლია, ვინც მაშინ წყნეთში „ვერ ჩამოგვისწრო": ჩემი მარინას ლელას მეუღლე — რატი ამაღლობელი, შესანიშნავი ყმაწვილი და

მშვენიერი პოეტი, მისი დაჩი და თორნიკეს ნიკო, თორემ იმ სურათისთვის აშკარად სამი პანამის შოვნაც დაგვჭირდებოდა!

ასე რომ, კიდევ ერთი სიძით და რძლით გავმდიდრდი. სიძეზე უკვე მოგახსენეთ, რძალი კი ჩვენი თორნიკეს ლამაზი და ჭკვიანი მეუღლეა, ნიჭიერი არქიტექტორი ნანა მეფარიშვილი. მოგეხსენებათ, სიძესიმამრობას რა ხანია, შეჩვეული ვარ, მაგრამ მამამთილობაზე ცოტა უკაცრავად გახლდით, ამ მეორე რძლამდე ჩვენი ზეზვას ცოლმა ანი ჩირაძემ სულ რაღაც ორწლიანი პრაქტიკა გამატარა და ამ თვალსაზრისით, ალბათ, ანი უფრო დავიხვეწები.

რაც შეეხება სიძესიმამრობას, რომ ვთქვა, ამ მხრივ, კლასიკური გიმნაზია მაქვს გავლილი-მეთქი, ალბათ, დამეჯერება, მე ისეთი ხალხის ხელისგულზე ნატარები სიძე ვიყავი.

ლამარას მშობლები, იასონ და ნინო ურიდიები, განსაკუთრებული შინაგანი კულტურის, დიდი ტაქტის ადამიანები იყვნენ; თბილები, სტუმართმოყვარენი, კეთილმოსურნენი, მეგობრულები, შემკულები ყველა იმ სიკეთით, რაც კი ამქვეყნად ადამიანური ნიჭია.

ბატონი იასონი, რომელსაც შინაურულად ჭიჭიკოს ვეძახდით, აბაშელი იყო. თავისი კუთხე, ისევე, როგორც ყველაფერი მეგრული, თავდავიწყებით უყვარდა. სულ დავსდევდი და ვეხვეწებოდი, მეგრული მეც მასწავლე-მეთქი. არ მასწავლა, კაცმა რომ თქვას, რა ენდომებოდა ახლა ამ მეგრულის სწავლას, მაინც იმის უცოდინარი დამტოვა.

ჩემი სიმამრი სახელწიფო სავაჭრო ინსპექციაში მუშაობდა ეკონომისტ-რევიზორად. საკმაოდ წარმატებული მუშაკი იყო, ფაქტობრივად, მთელი რესპუბლიკის ინსპექტირება უხდებოდა. არაჩვეულებრივი კაცი გახლდათ, მრავალ ჭირგადახდილი და ბევრი ტკივილის მნახველი, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ უყვარდა.

სულ მგონია, რომ ჩვენს სიძესიმამრობას მამაშვილობაზე უფრო მეგობრობა, ნაღდი, კაცური მეგობრობა დაერქმეოდა. ძალიან გვიყვარდა შინ ერთად ყოფნა. მასლაათი, ნარდის კამათლების ჩხაკუნი და კიდევ უფრო მეტად — მეგობრულ სუფრასთან თავის შექცევა. იასონი განთქმული მონარდე იყო, ძნელად, რომ წაეგო. თუ მაინცადაინც, ღმერთი გაწყრებოდა და მე მოვუგებდი, არ იქნებოდა, რომ ხუმრობით არ ამეკლო. მაგალითად, ვეტყოდი: მეგრული მე გოჭი და ქალი გამიგია კარგი, თორემ კაცისა რა მცოდნია-მეთქი და ატყდე-

ბოდა ამაზე ერთი ალიაქოთი.

არაჩვეულებრივად მახსენდება მისი მეგობრობა და თითქმის რიტუალური შეხვედრები კონსტანტინე გამსახურდიასთან. ბატონი კონსტანტინეც ხომ აბაშელი იყო. ჩანს, იქიდან ძმაკაცობდნენ. ახლა, რა იყო მაგათი ეს რიტუალი — კვირა დღეს აუცილებლად უნდა წასულიყვნენ სასტუმრო „ორიანტში" (მოგვიანებით, იმ შენობაში მხატვრის სახლი იყო), იქ უნდა ესადილათ და თავიანთი მონატრებული მეგრულით ელაპარაკათ.

ამ სადილებზე კიდევ ერთი თანამეინახე ჰყავდათ ხოლმე — ისიც აბაშელი მეგობარი, გვარად თოფურიძე. ახალგაზრდობაშივე უშიშროების მაღალჩინოსანი, ძალიან დიდი კაცი ყოფილიყო, ორი რომბი ჰქონდა სამხრეულზე. ეს ადამიანიც ძალიან უყვარდა, რამდენადაც ვიცი, 1924 წელს ამ თოფურიძეს ჩემი სიმამრი დახვრეტისგან ჰყავდა დახსნილი. ერთი სიტყვით, ეს სადილები მათთვის წმინდა და ხელშეუხებელი რამ იყო. ყოველ შემთხვევაში, იმისი მოწმე ნამდვილად ვარ, იასონ ივანიჩი ამ შეხვედრებს რამოდენა მნიშვნელობას ანიჭებდა.

ჩემი სიდედრი, ნინო ჟორჟოლიანი, რომელსაც ჩვენ ნინუსიას ვეძახდით, მღვდლის ქალიშვილი გახლდათ, მაგრამ სიძედ, ერთადერთი ქალიშვილის მეუღლედ, კომკავშირულ-პარტიული ლიდერი შეხვდა. მე და მას ყოველთვის სითბოთი და სიყვარულით აღსავსე, გამორჩეული ურთიერთობა გვაკავშირებდა.

მთელი თოთხმეტი წელიწადი ვიცხოვრეთ ერთად მე და ჩემმა ცოლ-შვილმა, ჩემმა სიდედრ-სიმამრმა და სიდედრის დამ — ლეოლინამ. მაგრამ მე მათ, რასაკვირველია, სასტუმრო „თბილისის" უკან მდებარე სახლის პატარა ოროთახიანი ბინიდან ვიცნობდი (ახლახან შევიტყვე, რომ ამ სახლის პატრონს ელენე კუვიაზოვას თავის დროზე რუსეთის იმპერატორის ასული – ანასტასია რომანოვა ჰყოლია შეხიზნული). ეს ის პერიოდია ჩვენი ცხოვრებისა, როცა მათი ჩვენთან ყოფნა აუცილებელი შეიქნა...

ამასობაში გოგონებიც მოგვესწრნენ, სიძეებიც შემოგვემატნენ. ასე რომ, სულადობით არ გვიშავდა, კარგა ხალხმრავალი ოჯახი ვიყავით.

ამასთან დაკავშირებით, ერთი საანეკდოტო შემთხვევა მინდა მოვყვე იმ დროიდან, თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რომ ვიყავი. მოგეხსენებათ, ეს რა სკამია... ძირითადად, საბინაო პრობლემებით შეწუხებული ხალხი სამსახურში და ზოგჯერ შინაც არ გასვენებს. ერთხელაც, დილაა და ახალგაღვიძებულზე

ვიღაც მთხოვნელი პირდაპირ შინ არ მომადგა?! ახალგაღვიძებულს რა უშავდა, მაგრამ ისეთი დროა, ოჯახის ყველა წევრი ჯერ არ წამომდგარა საწოლებიდან. არადა, იმდენი ვართ, ვინ სად ვწევართ, ღმერთმა უწყის...

ერთი სიტყვით, გავუღე კარი და შემოვიდა ის პატიოსანი ადამიანი, მაგრამ რას ხედავს — ყველა ოთახში, ჰოლშიც კი ლოგინებია გაშლილი: ყველაზე უკეთეს საძინებელში, ახლა მე და ლამარა რომ ვართ, სიდედრ-სიმამრი მყავდა მოწყობილი, აქეთ მე და ჩემი ცოლი ვართ, იქით — სოსო და მარინა, იმის იქით — გია და ნანა. კიდევ სადღაც ლამარას დეიდა გვიწევს. უფრო პატარებისას აღარაფერს ვიტყვი, თუმცა ზეზვა მაშინ უკვე ნამდვილად გვყავდა (მოსამსახურეს ჰოლში ჰქონდა ლოგინი გაშლილი).

მოკლედ, შემოსვლით კი შემოვიდა, მაგრამ მიმოიხედა და თვალნინ გადამერია ადამიანი. ხელად გასასვლელისკენ შებრუნდა — არა, ბატონო, ჩვენ მასე არ გვიჭირსო!..

ქალბატონი ნინო უკეთილშობილესი პიროვნება და სათნოებით, ქალური გუმანით, დიდი ადამიანური ტაქტით გამორჩეული, ფუტკარივით მშრომელი ადამიანი გახლდათ. თითქმის ღრმა სიბერემდე შეინარჩუნა განსაცვიფრებლად ახალგაზრდული სულისკვეთება, მთელი სიცოცხლე ერთგულად მხარში ედგა ქალიშვილს. მხოლოდ მისი თავდადება და ხელშეწყობა იყო, თუკი ლამარამ, ჩემი ცხოვრების წესის გადამკიდემ, მეცნიერებაში მუშაობა და თავის დამკვიდრება მოახერხა.

აქ არ შემიძლია, არაფერი ვთქვა ნინოს ერთ დიდ გატაცებაზე — ფეხბურთზე... ერთხელ სოსოს მოსკოველი მეგობარი — „სოვეტსკი სპორტის“ საფეხბურთო კორესპონდენტი ალექსანდრე გორბუნოვი ესტუმრა. ერთმანეთს ჯერ კიდევ ფინეთიდან იცნობდნენ, სადაც ის „ტასის“ კორესპონდენტი იყო. ისე მომხდარა, რომ სწორედ მის სტუმრობას დამთხვევია თბილისის „დინამოს“ თამაშის სატელევიზიო ტრანსლაციაც. ყველანი მისხდომიან ტელევიზორს, ყველაზე საპატიო ადგილას დაუბრძანებიათ ნინო ბები, როგორც ფეხბურთის ყველაზე დიდი გულშემატკივარი. სოსომ გვიამბო, მე პარალელურად, სუფრის თადარიგსაც ვიჭერდი და ტაიმებს შორის ათიოდე წუთით მაღაზიაში მომიხდა ჩასვლაო. ერთი სიტყვით, შებრუნებულა ოთახში და სახტად დარჩენილი დახვედრია ეს თავისი სტუმარი. უთქვამს, გეფიცები, ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა თუ იცოდეს ასე ფეხბურთიო. როგორ წარმოვიდგენდი, რომ ამ ხნის ქალბატონი

ასე პროფესიონალურად ამიხსნიდა თამაშის ნიუანსებს. მარტო ქართული კი არა, საბჭოთა ფეხბურთის განვითარების რა ისტორიები არ იცის, თამაშისთვის არც მიყურებია, ისე გაფაციცებული ვუსმენდიო.

მამა, რომელსაც შვილებისთვის ყველაზე მეტად ეცალა

მარინა: „მე და ჩემი და უბედნიერესი ბავშვები ვიყავით. მამასაც კი, ამქვეყნად ყველაზე მოუცლელ არსებას, ნებისმიერი ჩვენი გატაცებისთვის ეცალა!

მამაჩემის ბიოგრაფიაში გარკვეული თანამდებობრივი ზიგზაგებია, თუმცა ისინი ჩვენს ბავშვურ კეთილდღეობას ოდნავაც არ შეხებია. ჩვენ არ გვახსოვს მისი ბიოგრაფიის პირველი წყვეტილი — პარტიული კარიერის დასასრული. მამა ჭიათურაში რომ გადავიდა, მე მაშინ პირველკლასელი ვიყავი. დღესაც სიამოვნებით ვიგონებ იქ გატარებულ დროს და განსაკუთრებით – სოფელ პერევისაში დასვენებას.

სამაგიეროდ, არაჩვეულებრივად მახსენდება მისი გეოლოგობის ხანაც. ეს იყო ჩვენი ბავშვობის ყველაზე ლაღი წლები, როცა გვეჩვენებოდა, რომ მამა მთლიანად ჩვენ გვეკუთვნოდა. თითქმის მთელ თავის თავისუფალ დროს ჩვენთან ატარებდა, ერთად ვთამაშობდით, ვჭიდაობდით ან ჩავწვებოდით ხოლმე მაღალ ბალახში და ჩვენი ასტრონომიის გაკვეთილებიც იწყებოდა.

მამას საოცრად დიდი ენერგია აქვს დახარჯული ფიგურული სრიალის დამკვიდრებისთვის საქართველოში. ის შენობა თბილისში, რომელსაც, თავის დროზე, შეეფარა სპორტის ეს სახეობა, მამასა და არკადი არხანგელსკის საერთო მოწადინებისა თუ თავგამოდების შედეგია. ვფიქრობ, ჩემი თაობის ადამიანებს უთუოდ, უნდა ახსოვდეთ არკადი არხანგელსკი — ცნობილი სამთო მოთხილამურე და მწვრთნელი, სპორტის ამ სახეობის ფედერაციის თავმჯდომარე, ყოველმხრივ შემკული პიროვნება, რომელიც ჩვენი სახელოვანი მზია ჯუღელის მეუღლე გახლდათ. სწორედ ბატონი არკადის მცდელობით ჩამოყალიბდა ფიგურული სრიალის პირველი ჯგუფი საქართველოში. მე და ჩემი და ამ ჯგუფში გახსნისთანავე მოვხვდით. ანუ ეს ჩვენ ვიყავით როგორც ფიგურული სრიალის მოყვარულთა და ოსტატთა უპირველესი „ქართული“ თაობა.

ეს უკვე 1960 -61 წლებია. მახსოვს, ცნობილი მწვრთნელი ედუ-

არდ პლინერი საგანგებოდ ჩამოგვიყვანეს მოსკოვიდან, რომ გვემეცადინა. მთელი წლის განმავლობაში დარბაზის პირობებში გვავარჯიშებდნენ.

ეს ის პერიოდია, როცა ჩვენს ცხოვრებაში სასწაული ხდება: თბილისში საგასტროლოდ ჩამოდის კიევის ბალეტი ყინულზე, კიროვის ბაღში საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის საციგურაო მოედანს აწყობენ და ეს, ჩვენთვისაც, თბილისელი ცეროდენა მოციგურავეებისთვისაც თავისებური შანსია, სპორტული მომზადების გასაუმჯობესებლად. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენც მოგვცეს მათ მოედანზე ვარჯიშის უფლება, იმ განსხვავებით, რომ ჩვენი ვარჯიშები 9 საათზე დანიშნულ მათ რეპეტიციებზე გაცილებით ადრე იწყებოდა — დილის 7 საათისთვის უკვე ყინულზე ვიდექით.

მამას არასდროს დაზარებია ჩვენი ჩაყვანა კიროვის ბაღში დილასისხამზე, სანამ კიევის ბალეტი თბილისში იმყოფებოდა. მეტიც შემიძლია ვთქვა: ალბათ, უფრო იმიტომ, რომ ჩვენ არ დაგვზარებოდა, თვითონაც დადგა ციგურებზე და ჩვენს გვერდით დაიწყო ვარჯიში.

ვფიქრობ, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი: თამაზი ყოველთვის ყველასგან განსხვავებული, განსაცვიფრებლად პროგრესული მამა იყო, რადგან იმ წლებში, მე რომ ვიხსენებ, სპორტით გატაცებული ქართველი ბავშვები (რა თქმა უნდა, აქ ფეხბურთს არ ვგულისხმობ) საკმაოდ იშვიათი მოვლენა გახლდათ. ცალი ხელის თითებზე ჩამოითვლებოდნენ ჩვენი თანატოლები მთელ თბილისში, ვისაც საერთოდ, სპორტს და მით უმეტეს, მის ასეთ უჩვეულო სახეობებს აკარებდნენ. დაბეჯითებითაც კი შემიძლია ვთქვა, რომ პირველი ექვსი წლის მანძილზე არც ერთ ჩვენს ამხანაგს სპორტისკენ არ გაუხედავს. სპორტულ სექციებში დიდი ეროვნული სიჭრელე იყო. ძირითადად, ვარჯიშობდნენ რუსები და სომხები, რადგან ითვლებოდა, რომ სპორტის ამ სახეობით, როგორც წესი, ქართველი ბავშვები, ნაკლებად ინტერესდებოდნენ.

ვფიქრობ, ეს ყინული მას მერე უფრო გატყდა, რაც არხანგელსკისა და მამაჩემის თავგამოდებით, თბილისს, სპორტის სასახლის მეზობლად, გაუჩნდა საკუთარი საციგურაო სკოლა და მასთან, რა თქმა უნდა, დახურული დარბაზიც. დღეს ამ სკოლის მისამართს თბილისელებიც და არათბილისელებიც გეტყვიან. სამაგიეროდ, საზოგადოებამ უფრო ნაკლები იცის იმ კონკრეტულ ენთუზიასტ ადამიანებზე, ვინც მაშინდელი მთავრობა უბრალოდ დაარწმუნა, რომ შეუძლებელი იყო ამგვარი დაწესებულების გარეშე ჩვენი ახალგაზ-

რდობის დატოვება.

რა თქმა უნდა, ციგურებით გატაცება არაჩვეულებრივი რამ იყო, მაგრამ ჩვენთვის, ახტაჯანა დები ჯანელიძეებისთვის, სპორტთან ურთიერთობა მისით არც დაწყებულა და, რასაკვირველია, არც დამთავრებულა. ვფიქრობ, ველოსიპედში უჩვეულო მაშინაც არაფერი იყო და ამაზე აღარაფერს ვიტყვი, თუმცა ეს იყო ჩემი დის, ვგონებ, ყველაზე დიდი სპორტული გატაცება... მე უფრო სხვა მინდა გავიხსენო: საკმაოდ პატარები ვიყავით, მამამ „როლიკებზე" ან ჩვენებურად, ქართულად, გორგოლაჭებზე რომ შეგვაყენა. მაშინ ლიკანში ვისვენებდით და მახსოვს, რა გულმოდგინედ ვსწავლობდით ორივენი ამ „როლიკებით" სიარულს. ჯერ მარჯვენათი, მერე -მარცხენათი, მერე კი ორივე ფეხით. ამ თითოსაათიან მეცადინეობას დედა ყოველ დილა-საღამოს გვიტარებდა.

ამ თვალსაზრისით, თანატოლთა შორის თვითონ მამაც არანაკლებ გამოირჩეოდა. მაგალითად, უკვე ასაკდატყობილი იყო, ასე 20-25 წლის წინათ, ჩოგბურთზე სიარული რომ დაიწყო — თავის პარტიულ მეგობრებთან ერთად, სანაპიროს კორტებზე ჩადიოდა. რაღაც მამაკაცთა კლუბის მაგვარი ჩამოაყალიბეს. შაბათ-კვირას არ გააცდენდა უჩოგბურთოდ და გარკვეული წარმატებებიც ჰქონდა ასაკოვანი ადამიანის კვალობაზე. ისე ვხვდები, რომ თავად შედარებით გვიან აინაზღაურა ეს დანაკლისი, ცხოვრების ჯანსაღ წესს ვგულისხმობ... სამაგიეროდ, სპორტის დაუთმობლობა პატარაობიდანვე ჩვენ ჩაგვინერგა.

მე და ჩემს დას ბავშვობა, როგორც ასეთი, კვირაობით გვაქვს გატარებული. ეს დღე არ ღამდებოდა უოპეროდ ან ურუსთაველოდ. გამორჩევით, მაინც რუსთაველის თეატრში დავდიოდით, რადგან სწორედ იმხანად, მისი დირექტორი მამას უახლოესი მეგობარი — ძია დორიანი — დორიან კიტია იყო. ასე რომ, მთელი იქაური რეპერტუარი ზეპირად ვიცოდით. მამა დაგვსვამდა ხოლმე პარტერში, თვითონ შევიდოდა კაბინეტში, ძია დორიანთან, სადაც გაუთავებლად თეატრზე ლაპარაკობდნენ და მსჯელობდნენ. თავისუფლად შემიძლია ვამტკიცო, რომ ეს პრობლემები მამამ ძია დორიანზე ნაკლებად არ იცოდა და საკმაოდ ემოციურადაც ეკიდებოდა მათ.

თუ ისე მოხდებოდა, რომ ჩვენი რომელიმე მეგობრის დაბადების დღე იყო, იქაც მამა გვახლდა ხოლმე თან. ამას გარდა, ყველა მშობელმა იცოდა, რომ იმ დაბადების დღის სტუმარი ყველა ბავშვი სახლებში თამაზ ჯანელიძეს უნდა ჩამოერიგებინა. ეს „შეღავათი" სულ ცოტა, ჩემს ხუთ მეგობარ გოგოზე მაინც ვრცელდებოდა და მათ

მშობლებსაც, რა თქმა უნდა, მუდმივად ჰქონდათ თამაზის იმედი. ასე რომ, თამაზის მამობაზე ლეგენდები დადიოდა! სხვათა შორის, ამას აკეთებდა ჩემი გასტუდენტების შემდეგაც, სანამ გავთხოვდებოდი. არ დაიზარებდა და ყველგან მომაკითხავდა ხოლმე.

ამ თვალსაზრისით, მისი ურთიერთობა ჩვენთან, ქალიშვილებთან, არა მარტო ძალზე ბევრი ჩვენი ახლობლისთვის სანიმუშო, არამედ უსაშველოდ დემოკრატიულიც იყო.

საერთოდ, ეს მამას ბუნებაა, იგი ბუნებით მართლაც დემოკრატია და დემოკრატი იყო მაშინაც, როცა პარტიული ნომენკლატურის ქცევის წესები დღევანდელზე გაცილებით მძიმე და ჩარჩოებში ჩასმული იყო. მაგალითად, არასდროს დამავიწყდება, როგორ შეხვდა იგი ჩემს პირველ სიგარეტს... მხოლოდ ეს მითხრა, რაა, რომ ჩაიკეტები, დაჯექი და თუ მოწევა გინდა, ადამიანურად მაინც მოწიეო. თითქმის არ ვიცნობ მამას, ვინც თავის 17 წლის ქალიშვილს ასე მიუდგება. ეს — დღეს, მაშინ კი, ეს ხომ საერთოდაც, გაუგონარი იყო. მაგრამ მამა მართლაც სხვანაირი იყო, მის დამოკიდებულებაში ქალისადმი მართლაც არასდროს არაფერი ყოფილა ფსევდოქართული ან ფსევდოტრადიციული. არავითარი აკრძალვები თუ შეზღუდვები — შარვლის ან სხვა რამის გამო! იმიტომ, რომ ასეთივე დემოკრატი დედ-მამის აღზრდილი იყო და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ დემოკრატიულობასა და შინაგან თავისუფლებასაც, რაც ასევე ძალიან დიდი დოზით ჰქონდა, არაჩვეულებრივად ამყღავნებდა ჩაცმის კულტურაშიც კი.

მამა ყოველთვის ძალზე ექსპრესიული, გამოკვეთილი პოზიციების, ტემპერამენტიანი კაცი იყო. ეს გარეგნულადაც ძალიან ეტყობოდა, რომელიც, საერთო აღიარებით, ნამდვილად არ დაეწუნებოდა. არასდროს დამავიწყდება თეთრჩოხიანი მამა წყნეთში, სარკის წინ რომ ტრიალებდა და თავს ითვალიერებდა. მაშინ ხუთი წლის ვიქნებოდი. ის ჩოხა და მეორეც, შავი ფერისა, მოსაზომებლად ამოუტანეს, მოსკოვის ფესტივალისთვის ემზადებოდნენ. მამამ ჯერ თეთრი მოიზომა, მერე — შავი, მე ამას ვუყურებდი. ძალიან გამხდარი და მაღალი იყო, არ მგონია, ჩოხა ვინმეს უფრო მოხდომოდა.

დისერტაციაზე რომ ვმუშაობდი, ხშირად მიხდებოდა მისვლა მასთან, ინსტიტუტში, მემანქანეს რაღაცებს ვაბეჭდვინებდი. ერთხელაც, ისე მოხდა, რომ თითქმის მთელი სამუშაო დღე მის მისაღებ ოთახში გავატარე და მამას სამუშაო რეჟიმის უნებური მოწმეც გავხდი. უამრავი ადამიანი შემოდიოდა, მე არ ვგულისხმობ მოთათაბირე ხალხს ან კონკრეტული საქმით შემოსულ თანამშრომლებს.

ლაპარაკია იმათზე, ვინც თავისი პირადი პრობლემითა თუ სათხოვრით აწუხებდა.

ეს იყო კომუნისტების დრო, ანუ პერიოდი ჩვენი ცხოვრებისა, როცა ვერ იტყოდი, რომ დღევანდელივით, ყველას რაღაცა უჭირს. მაგრამ სათხოვრებს მართლა ბოლო არ უჩანდა: ერთს ბაღში ბავშვის მოწყობა უნდოდა, მეორეს — საავადმყოფოში დაწოლა, მესამეს — ბინის მიღება. იცით, რამ გამაკვირვა? მთხოვნელს სიტყვაც არ ჰქონდა ხოლმე დამთავრებული, რომ მამა უკვე რეკავდა განათლების მინისტრთან, საავადმყოფოს მთავარ ექიმთან თუ ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან.

მახსოვს, ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად დავიმახსოვრე, რომ მამას თითქმის უნივერსალურად შეეძლო გადაწყვეტილების მიღება. ახლა, რა თქმა უნდა, საკუთარი გამოცდილებითაც ვიცი, რომ ეს ძალიან რთული უნარია: ან შეგიძლია და ან არ შეგიძლია! ამგვარის რამის გაკეთება გარკვეულ ასაკში თითოეულ ჩვენგანს უწევს. მახსოვს, ჯერ კიდევ მოსწავლე ვიყავი, რომ მითხრა, ყველაზე მთავარია გადაწყვეტილების მიღება, თუნდაც ის არასწორი იყოსო.

მამას, ბოლო წლებში, ძირითადად, აფხაზეთში უწევდა ხოლმე გეოლოგიური-საძიებო სამუშაოების ჩატარება. ეს მხარე ძალიან უყვარდა, ფეხით, გოჯი-გოჯ აქვს მოვლილი მთელი მთიანი აფხაზეთი. ამ ათი წლის წინათ, ომი რომ დაიწყო, იტყოდა ხოლმე, ამა და ამ ადგილზე აქედან შეიძლება გადასვლა, იმ ადგილს ხუთი კაციც ეყოფა ჩამკეტადო. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, თავისი გეოლოგიური წარსულიდან იცოდა, ავადხარაში ერთი სანდო ნაცნობი აფხაზი ჰყავდა — ცხენებიც იმას ამოჰყავდა ხოლმე და მეგზურადაც ის დაჰყვებოდა.

ამას წინათ მე და მამამ ერთი იმდროინდელი ეპიზოდი გავიხსენეთ... ავადხარიდან ვბრუნდებოდით გაგრაში ჩვენ, პეტრე ხოტიანოვსკი და დედამისი – ქალბატონი ირინა პეტროვა, ინგლისური ენის ბრწყინვალე სპეციალისტი; თბილისში გამომგზავრებამდე ისინი მთელ დღეს ჩვენს საზოგადოებაში ატარებენ.

ვსადილობთ. სადილის შემდეგ დედა მიმართავს სტუმრებს: "Что вы будете пить – кофе или чай"? "Мне кофе, а маме конечно, чай". – პასუხობს პეტია ხოტიანოვსკი. მაგრამ ამ დროს ქალბატონი ირინას რეპლიკა გვესმის: „დედიშენისა"!.. ყველანი გულიანად ვხარხარებთ. მე კი ვეჩურჩულები დედას, რომელიც სულ მასწავლიდა, რომ, ზრდილობიანად მელაპარაკა.

კიდევ ერთი ნიუანსი: მე არ მინდოდა ექიმობა! ბიოლოგობა უფრო მომწონდა. მამამ, ვითომც სასხვათაშორისოდ, მითხრა, გატყობ, გეშინია სამედიცინოზე ჩაბარების, ან არ იცი, რომ ბიოლოგობას ექიმის დიპლომითაც მშვენივრად შესძლებო. ამან უფრო გამაქეზა, რას მიქვია, მეშინია ჩაბარების-მეთქი.

ახლა ვფიქრობ, რომ განგებ გამომინვია ასე ეშმაკურად. ჩემი ხასიათი მისთვის რა გამოცანა იქნებოდა, თვისებებითაც და გარეგნობითაც გაჭრილი ვაშლივით ვგვავართ ერთმანეთს...

მახასიათებს ისეთივე ახირებული სიმართლის მოყვარეობა, პრინციპულობა, მოურიდებლობა სათქმელში... მაგრამ მე გამიმართლა, ისეთ არაჩვეულებრივ პროფესიასა თუ დაწესებულებაში მოვხვდი, სადაც ამ ყველაფერს სწორად იგებენ. მამაჩემს კი ამ ხასიათმა ძალზე ბევრი პრობლემა შეუქმნა. ვფიქრობ, პარტიული ნომენკლატურა მაინც უფრო ნაკლოვანი და დაკომპლექსებული ხალხის გარემო იყო. ძირითადად, აქ იყვნენ გარკვეული პიროვნული კომპლექსების მატარებელი თუ პროფესიაში ვერშემდგარი ადამიანები, რომლებსაც, ბუნებრივია, გაუჭირდებოდათ ასეთი პირდაპირობისა და სიმკვეთრის მოთმენა.

ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მამაჩემის პირშიმთქმელობა მთელ მის პარტიულ-სამეურნეო კარიერას ექცა ასეთ პრინციპულ დაბრკოლებად. ეს იყო ასპარეზი, რომელზეც ლელოს წარმატებით გატანა, უპირველეს ყოვლისა, ზემდგომთა წინაშე მლიქვნელობითა და ქვემდგომთა მიმართ უხეშობით შეიძლებოდა, მამა კი ბუნებით ყოველთვის ამპარტავანი, ქედმაღალი და ლიდერი იყო. რიგითად არასდროს დარჩენილა. ამიტომაც გაუჭირდა. თუმცა, შეეძლო გაცილებით მეტი გაეკეთებინა, ბოლომდე ამოეწურა ამ სფეროში თავისი შესაძლებლობები, მაგრამ მაინც თავაწეული ცხოვრების, პირუთვნელობის, საკუთარი პოზიციების დაუთმობლობის გზა აირჩია. თანაც, იმ დროში, როცა ძალზე ცოტა აძლევდა თავს უფლებას, რომ თამამად და პრინციპულად ელაპარაკა".

ნანა: „მე არ მცნობია არც ერთი სხვა მამა, რომელსაც შეეძლო, საკუთარი შვილების ცხოვრებით ასე ეცხოვრა. მაგალითად, ჩვენზე მართლაც სასწაულებრივად ზემოქმედებდა მისი შესანიშნავი ახირება, რომ ჩვენ სპორტულები ვყოფილიყავით. სასწაულები კი, დაახლოებით ასეთი ხასიათისა იყო: მაგალითად, ჩვენ არასდროს გვიშლიდნენ აივანზე ჩამობმულ რგოლებზე დაკიდებას. დაუსრულებლად შეგვეძლო გვექანავა მათზე, თუნდაც შიგ ფეხებ ან ხელებ გაყრილებს. მიუხედავად, იმისა, რომ ერთი მოუზომავი მოძრაობა

და შუაგულ ეზოში შეგვრჩებოდა ზღართანი, მაგრამ ეს რატომღაც არავის აშინებდა. ამით რა მინდა ვთქვა: ბავშვობაშიც კი, ჩვენ არავინ გვიშლიდა, რომ ვყოფილიყავით თავისუფლები!

არასდროს დამავიწყდება, 12 წლისას როგორ მასწავლიდა მამა მანქანის მართვას და სულ არ უჭირდა, რომ ამ საქმისთვის ყოველ კვირა დღეს ორ-ორი საათი დაეთმო.

მახსოვს საკუთარი თავი „ზბორებზე". ბაკურიანში მარტოდმარტო გამიშვეს. ხუთი წლისა! ყველაზე პატარა ვიყავი, იქ ყველაფერი რუსულ ენაზე ხდებოდა, მე კი ხეირიანად ვერც კი ვითვლიდი და გათვლისას სულ ვნერვიულობდი რადგან არ ვიცოდი, მერამდენე ვარ, რუსულად როგორ მეთქვა. ეს ყველაფერი კი აბსოლუტურად გამიზნულად კეთდებოდა: ჩემმა მშობლებმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ, რა პრობლემებიც გვექმნებოდა, მაგრამ ასეთ მკაცრ პირობებში შეგნებულად და გააზრებულად გვიშვებდნენ. ამის გამო მაშინ ბევრჯერ მწარედ მიტირია, თუმცა ახლა ის დრო უტკბილესად მახსენდება!

მამასგან სულ თავისუფლება, შეუზღუდაობა მოდიოდა. მაგალითად, მე საშინლად არ მიყვარდა სკოლაში სიარული, სულ ვსიმულანტობდი ხოლმე, თანაც თავხედურად — დაუსრულებლად რაღაც მტკიოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მშობლები ამ კაპრიზებს სწორად მიგებდნენ და სრულიად აუღელვებლად მტოვებდნენ ხოლმე შინ მარტოს — არავითარი დაძალება!

მე გარკვეული შემოქმედებითი გატაცებების მქონე, ცოტათი თავისებური ბავშვი ვიყავი. მაგალითად, მუსიკა მიყვარდა ძალიან და ფორტეპიანოსთან ჯდომა არადროს მბეზრდებოდა. ერთხელ, 12 წლისამ, ერთი პატარა მოთხრობა დავწერე, თქვენ წარმოიდგინეთ, „ ცისკარში" გამომიქვეყნეს! ასეთი რამ მოგვიანებითაც განმეორდა.

რაც შეეხება მუსიკის სიყვარულს, შეიძლება ითქვას, რომ ეს დედაჩემის უშუალო გავლენაა. დედა კარგად უკრავდა. მახსოვს, შტრაუსის ცნობილი ვალსის შესრულება მოგვწონდა ძალიან.

ამ მხრივ გამორჩეული მაინც ჩვენი მშობლების დაბადების დღეები იყო, ფაქტობრივად, ჩვენი „საბენეფისო" დღეები — მათი არაჩვეულებრივი სამეგობროსთვის აუცილებლად კონცერტი უნდა გაგვემართა. მაგალითად, გამოვაცხადებდით: "Выступает Ван Клиберн"! და ვმღეროდით "Подмосковские вечера"-ს. გვქონდა ერთი განსაკუთრებული საცეკვაო ნომერიც... ეს რაღაც განსხვავებული თავისუფლება იყო, რომელიც დაუსრულებლად ხა-

ლისდებოდა, მაგრამ უშნო ფორმაში არასდროს გადაზრდილა.

ჩვენთვის ასეთი დღესასწაულების მოწყობის ტრადიცია მართლაც დაუვიწყარი იყო, ისევე, როგორც მათ დაბადების დღეებზე მთელი მათი სამეგობროს თავშეყრის ტრადიცია, რაც სამწუხაროდ, არც ერთ ქალიშვილს არ გადმოგვყვა.

როცა ჩვენი ბავშვობის არაჩვეულებრივ მოვლენებს ვიგონებ, პირველი, რაც ცოცხლდება მეხსიერებაში, ეს არის ძია დორიანი და ჩვენი თითქმის რიტუალური სტუმრობები რუსთაველის თეატრში. ძია დორიანის კაბინეტი, თეატრის ლოჟა და იქიდან სპექტაკლების ყურება, რეპეტიციები, რომლებზე დასწრების ნებასაც ხანდახან გვაძლევდნენ. მაგალითად, დღემდე უცხადესად მახსოვს «ჭინჭრაქას» რეპეტიცია: მე ძია დორიანის გვერდით ვიჯექი, მსახიობები კი სცენაზე დაუსრულებლად შემოდიოდნენ და გადიოდნენ.

რაკიღა ბავშვობიდანვე რუსთაველს ასეთი ინტენსივობით ვსტუმრობდით, ისე მოხდა, რომ გათხოვებამდე მარჯანიშვილში თითქმის არ მივლია. მარჯანიშვილს აბულაძეებმა შემაჩვიეს, გასაგები მიზეზის გამო: ჩემი დედამთილი — მზია მახვილაძე მარჯანიშვილელი გახლდათ.

ასე რომ, ბავშვობიდან მოყოლებული თეატრი ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მუხტი იყო. მით უმეტეს, რომ იმ თაობების შინაგანი თვითგანცდისთვის სრულიად ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ, მაგალითად, ერთსა და იმავე სპექტაკლზე რამდენჯერმე დასწრება. ამ თვალსაზრისითაც, ძია დორიანთან ჯდომა თუ მასთან შემოსული მსახიობების თვალიერება რაღაცნაირი ჯადოსნური პროცესი იყო. სულ რაღაც წუთების წინ პარტერიდან დანახული ნაცნობ-უცნობი სახეები აქ ჩემს თვალწინ დაუსრულებლად კრთებოდა და სადღაც იქვე აუცილებლად ტრიალებდა მიშა თუმანიშვილიც. ახლა დაბეჯითებითაც შემიძლია ვთქვა, რომ ეს ძალიან გულუბრიყვილო და ბავშვურად პრიმიტიული აღქმები თავის საქმეს ნამდვილად აკეთებდა.

პიროვნული თავისუფლების შეუზღუდველობის კიდევ ერთი მაგალითი ჩემი ბავშვობიდან, რომლის ავტორიც დღემდე უფრო მამა მგონია... 12 წლისამ, ყველასთვის მოულოდნელად, გადავწყვიტე, სკოლაში აღარ ვივლი-მეთქი, მუსიკის მეცადინეობა გაცილებით მიტაცებდა. მოკლედ, იმდენი ვქენი, რომ სრულიად მშვიდად, უკვე 13 წლისა, ღამის სკოლაში გადამიყვანეს.

წარმოიდგინეთ, მეშვიდეკლასელი ვიყავი და ყველა ჩემი თანატოლისგან დიამეტრულად განსხვავებული დღის რეჟიმი მქონდა!

გაკვეთილები გვიან საღამოს მიტარდებოდა, სამაგიეროდ, კითხვისთვის, მეცადინეობისთვის თუ მუზიცირებისთვის მთელი დღე მრჩებოდა გამოთავისუფლებული. თანაკლასელებად მყავდა ასაკოვანი ხალხი, მაგალითად, ვიღაც ხარაზი, ვიღაც მუშა და ისეც მომხდარა, რომ ეს უკანასკნელები მეცადინეობაზე არ მოსულან და გაკვეთილები სულაც გამცდენია.

ის, რაც მაშინ ჩემმა მშობლებმა დაუშვეს, უბრალოდ, გაუგონარი იყო. მაგრამ მამა მოვიდა სკოლაში, ელაპარაკა დირექტორს, მიხვდა, რომ ეს გარემო ჩემთვის რაღაც მარწუხებივით იყო და სრული თავისუფლება მომცა. მაშინ ასეთი რამეები უბრალოდ, არ ხდებოდა. თუ მაინცადამაინც გადაწყვეტდნენ ხოლმე ღამის სკოლაში გადასვლას, ამას მეათე კლასში აკეთებდნენ, რომ უმაღლესი სასწავლებლისთვის მზადება და რეპეტიტორებთან სიარული მოესწროთ. ასე რომ, ამ მხრივაც აბსოლუტური გამონაკლისი ვიყავი.

ჩემი წარსული ცხოვრების, მეტიც, ჩემი პატარა გოგოობის ასეთ დეტალებს რომ ვიხსენებ, ვგონებ, უკვე მეათასედ, ვათვითცნობიერებ, რომ ჩემი მშობლების მხრიდან ეს არამცთუ დაშვებული, არამედ წახალისებული პროცესებიც კი იყო: უბრალოდ, ჩვენ თავისუფალ ადამიანებად გვზრდიდნენ!

ამ შინაგან თავისუფლებასთან დაკავშირებით, უკვე ჩემი სტუდენტობის დროინდელი, ახლა, ალბათ, უფრო ღიმილით მოსაგონებელი ამბავი მახსენდება. პირველი კურსი რომ დავხურე, მიუხედავად იმისა, რომ აბულაძის საყვარელი სტუდენტი ვიყავი, ჩათვალე, რომ კინორეჟისორობისა არაფერი მესმის, პრინციპში, არც მომწონს, და თანაც, მუსიკა უფრო არ მეთმობა და ბატონ თენგიზს... წერილი მივწერე! ახლა რომ ვფიქრობ, ეს ნამდვილად საბედისწერო ახირება იყო! იმიტომ, რომ ეს რიგითი შანსი ნამდვილად არ ყოფილა: ამხელა კინორეჟისორის ჯგუფში რომ მოვხვდი და თანაც მოვახერხე მისი განსაკუთრებული დამოკიდებულების დამსახურება!

ერთი სიტყვით, ახირებული რამ ჩავიდინე და, რასაკვირველია, ამის შესახებ ვაუწყე მშობლებსაც. აქაც გამიმართლა, რომ ისინი მართლა ასეთი ადამიანები იყვნენ და გაიგეს, რომ ზოგჯერ ძალზე წარმატებული ადამიანიც კი აბსოლუტურად არაადეკვატურ სიტუაციებში სრულიად შეგნებულად იგდებს თავს. ასე რომ, მათ ჩემთვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ასე იყო, დავუწერე თენგიზს გულაჩუყებული წერილი და წამოვედი, ჩემებმა კი გამიგეს. მიმაჩნია, რომ ესეც თავისუფალი აზროვნების წყალობა იყო. უბრალოდ, იცოდნენ, რომ ადამიანს ასეთი სუ-

ლიერი მდგომარეობაც შეიძლება შეექმნას!

ეს შინაგანი თავისუფლება, თუკი ასეთი რამ დღემდეც შემომრჩა, კიდევ უფრო მაახლოებს მამასთან. მამაჩემისთვის ღირსეულ ადამიანად დარჩენა, ან თუნდაც შინაგანი თავისუფლების შენარჩუნება, ყოველთვის აჭარბებდა ყველაფერს და მათ შორის, თუნდაც ყველაზე მაღალ სავარძელში ჩაჯდომის სიამოვნებასაც. ეს მისი პარტიულ-სამეურნეო კარიერის არასწორხაზოვნებაშიც საუკეთესოდ გამოჩნდა, მიმაჩნია, რომ გეოლოგიური დეპარტამენტის თავმჯდომარეობიდან მისი დემონსტრაციული წამოსვლაც ამის სანიმუშო მაგალითია.

მამაშიც ყოველთვის ეს შინაგანი თავისუფლება მომწონდა. მაგალითად, ის, რომ ამხელა თანამდებობებმოვლილი კაცი, გეოლოგობის წლებში, სრულიად უკომპლექსოდ მოირგებდა ხოლმე ტყავის ქურთუკს და საკუთარი ხელით აწყობილი „ვილისის" ქვეშ ლამის მთელ დღეებს ატარებდა; ის, რომ არა მარტო არაჩვეულებრივად ერკვეოდა ტექნიკაში, არამედ გასაოცარი ხელმარჯვეც იყო და ხელოსნის მიჭედებულ ლურსმანს ყოველთვის თავისი ერჩივნა.

ამ მიზეზით, ჩვენს ბინაში ხელოსანი არასდროს შემოსულა, ყველაფერს თავისი ხელით აკეთებდა. ისიც მსმენია, ჭიათურიდან რომ გამოუშვეს, თურმე, კიდევ შესთავაზეს რაღაცები, როგორც მაშინ სჩვეოდათ ხოლმე, რომ „თავიანთი კადრი" არ გაენაწყენებინათ და ამით, თუნდაც მარტო მენტალური თვალსაზრისით, საკუთარი პარტიულ-კლანური ერთიანობა ბოლომდე შეენარჩუნებინათ, მაგრამ მამამ ამათ ყალბ რეკომენდაციებს აღარ მოხედა, რაც შესთავაზეს, ყველაფერი შორს დაიჭირა და პატარა ბიჭივით, ხელახლა დაიწყო საკუთარი თავის ძიება და იპოვა სწორედ იქ, სადაც უნდა ეპოვა — გეოლოგიაში. თანაც, ეს ყველაფერი დაიწყო თავიდან... დამეთანხმებით, ეს სათქმელადაც არცთუ ისე იოლია, არამცთუ გასაკეთებლად!

მამა ყოველთვის უკიდურესად თავმოყვარე ადამიანი იყო და ამ შინაგან თუ გარეგნულ თავისუფლებასთან ერთად, გასაოცრად რისკიანიც. მიუხედავად კარიერის ხაზით, დაზარალებისა, ბოლომდე შეინარჩუნა ხასიათის ის სიმჭახეცა თუ პირდაპირობაც. მახსოვს, ერთ ქელეხზე პირდაპირ ხმალშემართული წამოუხტა ჟენია პრიმაკოვს, რომელსაც ქართველებზე ნათქვამი ვერ გამოუვიდა მთლად ლამაზად და თავისი იმერული სიფიცხითაც და სიტყვიერი სისასტიკითაც საშინლად შეაცბუნა.

მაგრამ თენგიზ აბულაძის ოჯახში რომ შევედი, ამას უფრო

სიღრმისეულად მიეხვდი: მამამ ჩვენ მაინც იდეალური სახელმწიფოს რწმენით გაგვზარდა. პირადად, მე ეს განცდა, რა თქმა უნდა, მთლიანად დამიმსხვრია „მონანიების“ სამყაროში მოხვედრამ. აი, მამას კი გაუჭირდა იმის გაგება, რომ ეს იდეალური სახელმწიფო მხოლოდ რწმენაში არსებობდა, რადგან, ასე თუ ისე, მაინც საკმაოდ ამაყობდა იმ მსოფლიო იმპერიით, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სახით, მეორე მსოფლიო იმპერიას ეჭიდებოდა.

ბუნებრივია, რომ ამ თვალთახედვით გვანოდებდა სტალინის ფენომენსაც. ანუ სტალინი, უპირველეს ყოვლისა, იყო ამ მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწე, თანაც ქართველი. მერე და მერე ეს მსოფლმხედველობრივი დაშორებები ჩვენს შორის უამრავი ცხარე დიალოგის, უფრო კამათის, თემადაც იქცა. ეს საუბრები თითქმის მთლიანად აირეკლა „მონანიების“ ორი თაობის — აბელისა და თორნიკეს ფსიქომენტალურ წინააღმდეგობებში. ეს უფრო შორიდან, ბავშვობიდანაც მოდიოდა, რადგან ერთხელ, ვგონებ, 12 წლისას, რაღაცის ახსნისას მახსოვს, მითხრა, რაღაც დიდი რომ გაკეთდეს, თითქმის ყოველთვის პატარა უნდა ემსხვერპლოსო.

ეს იყო თავისებური თაობათაშორისი მენტალური კონფლიქტი, რომელიც ასევე თავისებურად აისახა ფილმში, რომელიც მთლიანობაში მისთვის მაინც მისაღები აღმოჩნდა. „მონანიების“ სცენარში ჩემი ეს პირადი გამოცდილებაც ჩაიდო და მიმაჩნია, რომ სხვაგვარ ოჯახში რომ აღვზრდილიყავი, ალბათ, შესაბამისად, სცენარიც სხვაგვარი გამომივიდოდა. მოგეხსენებათ, არც თუ ბევრი ოჯახია, სადაც, საერთოდ, იცლიან ასეთ თემებზე სასაუბროდ, მაგრამ თამაზს ეს ყველაფერი სისხლხორცეულად აღელვებდა, იგი სახელმწიფო მოღვაწე იყო, მთელი თავისი ბუნებითა და შინაგანი მისწრაფებებით ამ დონისა თუ მასშტაბის აზროვნებისა და ქმედებებისთვის შექმნილი ადამიანი; მიუხედავად იმისა, იმწუთიერი სამსახურებრივი მდგომარეობით ეს მოეკითხებოდა თუ არა, მთელი თავისი განწყობილებებითა და შინაგანი მზაობით, იგი მუდამ იქ იყო, სადაც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საქმეები უნდა გაკეთებულიყო და კიდეც კეთდებოდა.

ბუნებრივია, რომ განწყობილების ეს ნაკადები ჩვენშიც გადმოდიოდა თავისდაუნებურად და იმ საქმისადმი, რასაც ვაკეთებდით, გულშემატკივრობასა და პასუხისმგებლობას გვიათმაგებდა.

ჩვენს ოჯახს ჰქონდა ერთადერთი უნივერსალური ფასეულობა, სახელად განათლება. ეს ის კერპი იყო, რომელსაც ჩემი მშობლები მართლა ეთაყვანებოდნენ. მამა ძალიან განათლებული ადამიანია.

ყოველთვის ბევრს კითხულობდა, პირდაპირ ნთქავდა ლიტერატურას, მთელ მაშინდელ პერიოდიკას, რასაც კი შეიძლებოდა ხელი მისწვდენოდა. არ არსებობდა საბჭოთა კავშირში გამოცემა, ჩვენ რომ არ გვქონოდა გამოწერილი.

დღემდე შენახული გვაქვს უზარმაზარი შეკვრები იმ გამოცემებისა, ჩვენთან რომ ბინას იდებდა. ლაპარაკი მაქვს „იუნოსტზე", „ზნანიე სილაზე","ნაუკა ი ჟიზნზე", „ვაკრუგ სვეტაზე"... ამ არაჩვეულებრივ გამოცემებს გარეკანის პირველიდან ბოლო გვერდამდე სულმოუთქმელად ვყლაპავდით. ამას ემატებოდა, რა თქმა უნდა, „ცისკარი" და „ინასტრანკა", რომელსაც დედა ინახავდა, რომ მერე იქიდან რაღაცები ამოეჭრა და თავისებურ „წიგნებად" ექცია. ამ გამოცემებს შორის, რა თქმა უნდა, იყო „ანგლიაცა" და „ამერიკაც", ამ ყველაფერში ჩვენ დაუსრულებლად ვიქექებოდით და ბუნებრივია, ესეც ძალიან ბევრს იძლეოდა. ამას ემეტებოდა მხატვრული ლიტერატურა, კლასიკოსებიდან დაწყებული, თანამედროვე მწერლებამდე და სათავგადასავლო გამოცემებით დამთავრებული.

მამა, როგორც ეს ბუნებისმეტყველებს ჩვევიათ, წიგნებთან თუ ასეთ პერიოდიკასთან ურთიერთობისას არა მარტო დაუზარელი, არამედ შესაშურად მოწესრიგებულიც გახლდათ. მაგალითად, არასდროს დაიზარებდა ლექსიკონსა თუ ენციკლოპედიაში ჩახედვას, თუკი რაიმე დააინტერესებდა. მისი მიბაძვით, ჩვენც სულ ენციკლოპედიებში ვიქექებოდით, ასეთი სახის უამრავი ლიტერატურა გვქონდა.

მამას ამ საქმეში ერთი საგანგებო მომხმარე ჰყავდა — გიორგი იზრაელიანი, კვირაობით მოდიოდა და თან უამრავი წიგნი თუ კატალოგი მოჰქონდა და ვიყავით ამ წიგნების შერჩევასა თუ გამოწერა-მიღებაში. ეს ყველაფერი ჩვენთან უმაღლეს ადამიანურ ღირებულებად განიხილებოდა.

მეორე საკულტო ღირებულებად ოჯახში გვქონდა მუსიკა. ჩემი მშობლები ამითაც ერთნი იყვნენ: მამას კარგი სმენა და შესანიშნავი ბანი ჰქონდა, თუმცა მხოლოდ მეგობრულ სუფრებზე თუ აძლევდა ხოლმე თავს ამ ნიჭის დემონსტრირების უფლებას; დედას თავის დროზე, გაცილებით სერიოზული გეგმები ჰქონია მუსიკასთან დაკავშირებით, თუმცა, სამწუხაროდ, ცხოვრება ვერ ააწყო ისე, რომ. მუსიკას არ ჩამოცილებოდა.

ჩვენს ოჯახში, უბრალოდ, მუსიკის კულტი იყო, სულ ჟღერდა კლასიკური მუსიკა, განსაკუთრებით, რახმანინოვისა, რომელიც ყველას გამორჩევით გვიყვარდა. ამ სიყვარულმა კი გააკეთა ის,

რომ როგორც კი თავს შინ მარტო დავიგულებდი, ჩავრთავდი მაგნიტოფონს საკმაოდ მაღალ ხმაზე, დავდგებოდი „სადირიჟორო პულტთან“ და მეჩვენებოდა, რომ მთელი ეს საოცრება სწორედ იმ წუთას ჩემი ხელის აქნევისას ისახებოდა და იბადებოდა.

ეს უკვე ჩემი შინაგანი მისწრაფებების დაღვინების პერიოდია — კონსერვატორიაში ჩაბარება მენატრებოდა. ჩემი ბავშვობის ეს უბედნიერესი განცდები მერეც ხშირად მომიგონებია, მუსიკა თავისთავად, არის ზეეროვნული რამ და როცა ოჯახში მისი სახით ასეთი დიდი ფასეულობაა, რომელსაც ზედ სახელმწიფოებრივი აზროვნებაც ემატება, შეუძლებელია, ეს მის წევრთა აზროვნებისა თუ ხედვის მასშტაბებზეც თავისებურ გავლენას არ ახდენდეს.

გავამხილე, რომ კონსერვატორიის სტუდენტობა მენატრებოდა... მაგრამ ჩემმა მშობლებმა, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, გადაწყვიტეს, რომ გაცილებით უკეთესი კინორეჟისორი დავდგებოდი. წარმოიდგინეთ: კინო არ მიყვარდა, თეატრალურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე მხოლოდ დედ-მამის ხათრით გავედი. ბევრი ვერაფერი არგუმენტი მოიმარჯვეს ამ პროფესიის სიკეთეში ჩემს დასარწმუნებლად, მაგრამ, სამაგიეროდ, მე იდეით ასე ანთებული მამა, ჩემი აბითურიენტობის დღეებში რომ იყო, თითქმის არ მინახავს.

კინოსეჟისორო მაშინ სულ ახალგახსნილი ფაკულტეტი იყო თეატრალურ ინსტიტუტში და უსაშველოდ პრესტიჟულად ითვლებოდა. თანაც, ამბობდნენ, ამ წელს ლანა ღოღობერიძე და თენგიზ აბულაძე აპირებენ ჯგუფების აყვანასო. დავიწყე სიარული წინასაგამოცდო კონსულტაციებზე, მაგრამ ამან უფრო დამთრგუნა: ყველანი ისეთი მოწიფულები, განათლებულები, რაღაც იდეებით ანთებულები იყვნენ, მე იქ, საერთოდ რა მინდოდა! მაგალითად, გვკითხეს, პირველად რას გადაიღებდითო და ერთმა თქვა, შექსპირსო, მეორემ რაღაც უფრო გამაოგნებელი გამოაცხადა, მე კი არაფერი ვიცოდი, არაფრის გადაღება არ მინდოდა. ყოველი ასეთი გასაუბრების მერე ვბრუნდებოდი შინ და ცხარე ცრემლით ვტიროდი, მე იქ ვერ ჩავაბარებ, ვერ მოვხვდები, ოროსანი ვარ-მეთქი.

აი, სწორედ მაშინ იყო, დედამ რომ გამომიცხადა: იცი, თუ არა, რომ ოროსანი კი არა, მეტისმეტად განებივრებული ხარო. რაც კი მოიწადინე, ყველაფერი იოლად გამოგივიდა და ვითომ რა მოხდება, რომ ერთხელ ორიანიც მიიღო, როდესმე დამარცხებაც ხომ უნდა ისწავლოო. პრინციპში, ამან შემაგულიანა: წავედი, რომ მესწავლა დამარცხება! მივხვდი, რომ ქვეყანა ნამდვილად არ დაიქცეოდა, თუ

ღმერთი გამინყრებოდა და გამოცდებს ვერ ჩავაბარებდი! თანაც მე მაშინ მუსიკალური ტექნიკუმის მეოთხე კურსზეც ვსწავლობდი. ესეც გულს მიმაგრებდა, თუ კინოსარეჟისოროზე ვერ ჩავირიცხებოდი, კონსერვატორია სად გამექცეოდა? დავამთავრებდი ტექნიკუმს და იქ ჩავაბარებდი.

მაგრამ სასწაული მოხდა: ჩავაბარე! თანაც, წარმატებით. კიდევ ერთი სასწაული — თენგიზმა თავის ჯგუფში ამიყვანა, მაშინ, როცა გამოცხადებული ჰქონდა, სკოლის მერხიდან არავის მივიღებო... ალბათ, ესეც ბედისწერაა! მშობლების დაძალებით, ჩავაბარე იქ, სადაც შევხვდი თენგიზს და მერე, თავისთავად, გიასაც. ბედისწერას ხომ თავისი სვლები აქვს?!

მაგრამ, როცა ჩვენს მამაშვილობაზე ვფიქრობ, გაცილებით მნიშვნელოვანი მგონია ჩვენზე საკუთრივ მისი მსოფლმხედველობრივი გავლენა. ამით არა მარტო იმის თქმას ვცდილობ, რომ მამა ოდესღაც კომკავშირსა თუ პარტიაში მუშაობდა; თავისი შინაგანი ბუნებითა თუ დამოკიდებულებებით, მთელი სიცოცხლის მანძილზე, იგი დარჩა სახელმწიფო მოღვაწედ და შესაბამისად, თავადაც რომ ვერ გრძნობდა, ისე, ამგვარ, ანუ სახელმწიფოებრივ, აზროვნებას ჩვენც გვაჩვევდა.

მე ვთვლი, რომ ჩვენს აზროვნებაში მან რაღაც სხვა მასშტაბი შემოიტანა იმით, რომ არასდროს ჰქონია ვიწრო და განკერძოებული ხედვა. ყოველთვის ქვეყნისა თუ ხალხისთვის პიროვნულ გამოდგომასა და სამსახურზე ჰქონდა ხოლმე ლაპარაკი. ანუ იმაზე, რომ მაღალი თვითშეფასება აუცილებლად უზნეობასთან ასოცირდება. მე რაც ვიცი, ეს მისი ცხოვრებისეული კრედო იყო. ჩვენც ამ პრინციპით გაგვზარდა

ამით რა მინდა ვთქვა... ჩვენს ოჯახში მამამ თავმდაბლურად საქმის კეთების, ჩუმი, თავდადებული შრომის მაღალი ფასეულობა დაამკვიდრა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც, მე მისგან ვერ განვაცალკევებ დედასაც, მაგრამ მამა ყოველთვის მასშტაბების ადამიანი იყო. მუდამ მასშტაბებში აზროვნებდა, მოქმედებდა და ხედავდა და, რა თქმა უნდა, მისი შინაგანი განწყობებისა თუ აზროვნების ეს ნაკადები თავისთავად გადმოგვეცემოდა ჩვენც, შვილებსაც.

ამასთან დაკავშირებით ერთი პატარა შემთხვევა მინდა გავიხსენო. ამ სამიოდე წლის წინათ ერთ-ერთ ჩვენს ნათესავთან უცხო ადამიანს შევხვდი. შემდეგ გავიგე, კოტე ჩხეიძე ყოფილა. ნათესავმა გამაცნო, შინაურულად უთხრა, ეს თამაზის ქალიშვილიაო და ისეთი არაფერი მინახავს, ამ კაცის სახის გამომეტყველებას ერთბაშად

რომ დაემართა. აღმოჩნდა, რომ მამას პირველი მდივნობის დროს მასაც კომკავშირში ემუშავა, რომელიღაც ორგანიზაციის მდივნად. უამრავი თბილი სიტყვა და შეფასება გამაგონა. თამაზმა იმ საზიზღარი პავკა მოროზოვის ორგანიზაცია კაი ყმების ეროვნულ ორგანიზაციად აქციაო; იმ წლებში ვინც კი წესიერი, ინტელიგენტი და თავმოსაწონი ბიჭი იყო, ყველა კომკავშირში მოიყვანა და ეს ორგანიზაცია გააკეთილშობილაო.

ამაზე ჩვენს ოჯახში არასდროს ყოფილა ლაპარაკი. დედაც ასეთია, ვერაფრით ათქმევინებ, ჩემი ეს თუ ის ნაშრომი კარგად შეფასდა და ან საერთოდ, ვინმემ მოიწონაო. ასეთები ვართ ჩვენც. ახლა ვხვდები, ეს ჩვენი მშობლების საჩუქარია. მამას ყოველთვის უჭირდა სხვისი შექების ან კარგი სიტყვის ჩვენამდე მოტანა, თუკი ეს თავად მას ან მის საქმეს ეხებოდა. ეს უკმარისობის გრძნობა, ალბათ, ცუდი არ არის, მაგრამ, ვფიქრობ, აქ, გარკვეულწილად, გაწონასწორებაცაა საჭირო. მით უფრო, რომ ასეთი ფონია — ადამიანების ძალზე დიდი ნაწილი არაფრისგან და არაფრისთვის თავადვე იკეთებს რეკლამას!

არ შემიძლია, არაფერი ვთქვა მამას ურთიერთობაზე მანდილოსნებთან. ეს მას არაჩვეულებრივად ეხერხება და ვფიქრობ, წინა თაობების მამაკაცებისთვის უფრო იყო დამახასიათებელი. შინაგანი სილაღე, ამავე დროს — მოკრძალებული ქათინაურები, იუმორი, გალანტურობა... ეს ყველაფერი მართლაც მომაჯადოებლად მოქმედებდა ქალბატონებზე და მათ სიმპათიებს იწვევდა. ვერ ვიტყვი, რომ ეს დედაჩემს არ მოსწონდა, რადგან ჩემთვის უთქვამს, თუ კაცი ხარ, ესეც უნდა გეხერხებოდესო. დღეს კი ეს ყველაფერი გაქრა, რაც დასანანია.

ამას წინათ ლანა ღოღობერიძის მოგონებების წიგნს ვათვალიერებდი და ისე მოხდა, რომ მასთან თუ ისევ მამას ხასიათთან დაკავშირებული ერთი ასეთი შემთხვევა გამახსენდა... ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდია. მამა მაშინ უზენაესი საბჭოს დეპუტატი გახლდათ. ერთხელაც, აღელვებული მოვიდა და თქვა, რომ ნახა 26 დასაპატიმრებელი ადამიანის სია, რომელშიც ლანა ღოღობერიძის გვარიც იყო მითითებული. მითხრა, იქნებ ახლავე მიხვიდე მასთან, სახლში და გააფრთხილო, მერე გვიანი არ იყოსო.

მაშინ ნინო ოთხი წლის მყავდა, ისე იყო, რომ შინ მარტო ვიყავით. ასე რომ, ჩავისვი ბავშვი მანქანაში და სახლში მივაკითხე ქალბატონ ლანას, რომელსაც, რა თქმა უნდა, კარგად ვიცნობდი, თუმცა მასთან არც ძალიან გაჩვეული ვყოფილვარ. თავიდანვე ისე გავიგე,

რომ ეს არ იყო გადასადები საქმე — გამორიცხული არაფერი იყო, შეეძლოთ, იმავე ღამეს დაეპატიმრებინათ.

როგორც კი კარი გამიღო და რაღაცის თქმა დავაპირე, უკვე შენც შეიტყვეო, შემაწყვეტინა. აგერ, მე და ნუცა ვსხედვართ და ვმუშაობთ, ვუწერ, კიდევ რისი გადაღებაა საჭირო ფილმის დასამთავრებლადო. გამაოგნებლად მამაცი ქალია! უკვე ყველაფერი იცოდა, წუთი-წუთზე ელოდა დაპატიმრებას და თან... მუშაობდა! მე არ ვიცნობ სხვა ქალს, ასეთი გმირობის ჩადენა რომ შეეძლოს!

მერე თქვა, ჩვენმა თაობამ კი გამოიარა ეს ყველაფერი, მაგრამ თქვენც რატომ უნდა გამოიაროთო. მერე, მახსოვს, გაიოზ შარაშიძემ მოაკითხა, მისმა უახლოესმა მეგობარმა, მისთვის დედაჩემს დაერეკა. მოაკითხა თავისმა სიძემაც და მეც, როგორც კი უფრო საიმედო ხალხთან — მამაკაცებთან — დავიგულე, დავემშვიდობე და წამოვედი. ის შთაბეჭდილება კი ძალზე გვიან გამომინელდა: განსაცვიფრებლად გულადი ქალია! დაპატიმრების მოლოდინშიც კი შეეძლო მშვიდად და მობილიზებულად ემუშავა. თავადაც იწერდა და ნუცასაც აწერინებდა ფილმისთვის საგულისხმო დეტალებს. არ ვიცი, ეს ალბათ, რაღაც პროფესიონალიზმზე უფრო მეტია. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია დღესაც და ასე ჩავთვალე მაშინაც, როცა მამაჩემის უჩვეულო დავალების შესრულებით მეტ-ნაკლებად შვებამოპოვებული თუ გულმოცემული გვიანი თბილისის ქუჩებს მოვუყვებოდი“.

სიძესიდედრობაც კი მისგან ვისწავლეთ

სოსო ცისკარიშვილი: „ჩემი სიმამრი თამაზ ჯანელიძე მამაჩემის, პროფესორ ელიზბარ ცისკარიშვილის, სტუდენტი გახლდათ. ჩანს, მამას მოსწონდა, რადგან მისი სახელი ოჯახშიც არაერთხელ უხსენებია.

საკმაოდ კოლორიტულად დამამახსოვრდა თამაზთან ჩემი სულ პირველი, ბავშვობის დროინდელი შეხვედრა. მაშინ კისლოვოდსკში ვისვენებდით. ერთ დღესაც მამა, მისი უახლოესი მეგობარი — აკადემიკოსი არჩილ ძიძიგური და კოლეგა — ივიკო მელქაძე ჟელეზნოვოდსკში სასეირნოდ წავიდნენ და მეც თან გამიყოლეს. იქ კი ქუჩაში, შემთხვევით, თამაზ ჯანელიძე შეგვხვდა. იდგა ეს საკმაოდ მაღალი სამი მამაკაცი, მეოთხე კი, გაცილებით ტანდაბალი — არჩილ ძიძიგური, ერთ წვალებაში იყო, რაკიღა თითოეულის ცქერა ქვევიდან უწევდა. მერე გვითხრა, იმ მწვრთნელის გასაჭირი მადგა, წუთშესვენებებს შორის კალათბურთელებს რომ ჩაუდგება შუაში და ზევით-ზევით ყურებით კისერს იღლისო.

ჯანელიძეების ოჯახში სტუმრობა 17 წლისამ დავიწყე, მარინა, ჩემი ინტერესის საგანი, მაშინ 13 წლის გახლდათ. ამ ვიზიტებს საბაბად ექცა, სწორედ იმხანად, საქართველოში შემოსული მხიარულთა და საზრიანთა კლუბი. ჩვენ, პირველსკოლელები, 53-ელებს უნდა შევხვედროდით. აი, მაშინ არცთუ პირადი დაინტერესების გარეშე, სკოლის ნაკრებში შემოვიმატეთ ერთი მეშვიდეკლასელიც, რაც დიდი იშვიათობა იყო. ეს გახლდათ მარინა ჯანელიძე, ვის ოჯახშიც გარკვეული პერიოდის მანძილზე მთელი გუნდი ვიკრიბებოდით.

ალბათ, არასდროს დამავიწყდება ჩემი პირველი ოფიციალური სტუმრობა ჯანელიძეებთან. 2 იანვარი იყო, ბედობის დღე. მარინა ჯერ კიდევ მოწაფეა; იმ სუფრაზე ჩემს გარდა, კიდევ შვიდი თუ რვა ბიჭია და სულ იმის შიშში ვარ, „ისეთი" არაფერი წამოსცდეთ. მტრისას, ამათი ენა, ისეთი კვიმატი ხალხია!

20 წუთის მიმსხდრები რომ ვართ სუფრას, ხელი მომიხვდა ჭიქაზე და იმ გადასარევი წითელი ღვინით გადაქათქათებული სუფრის უზარმაზარი „ტერიტორია" ერთბაშად არ გადავაფერადე? მაშინ პირველ-

კურსელები ვიყავით, საოცრად გვსიამოვნებდა, თამაზი თანატოლებივით რომ გვმასპინძლობდა და იმ ჭიქის წაქცევას, რასაკვირველია, მიჯობდა, იქვე გავმქრალიყავი.

თამაზმა კი, ეს უხერხული საქციელი, იმავ წამს გამიიოლა, რა მოხდა ასეთი, რა განერვიულებს, სუფრაა, მეტი ხომ არაფერიო. ამის თქმა იყო, რომ წაკრა ხელი ერთ-ერთ გადაპიპინებულ ჭიქას და ის დიდებული სუფრა ახლა იმას არ გადააფერადებინა?

ამ უშუალობამ გამიიოლა თამაზთან დაახლოება. ასე რომ, მე და მარინამ ჩვენი ურთიერთობის სხვა ხარისხში აყვანა რომ დავაპირეთ, ჯანელიძეების ოჯახში მისასვლელად, სავსებით შეგნებულად, ისეთი დრო შევარჩიე, როცა ჩემი სასიდედრო თავის მორიგ შორეულ სამეცნიერო მივლინებაში იმყოფებოდა.

მოკლედ, გავბედე. სამსახურიდან შინ მობრუნებულ თამაზს უკვე იქ დავხვდი და მერე, ჩვეულებისამებრ, ნარდი რომ გავაჩაღეთ, ჩემი სათქმელიც შევაპარე: ბატონო თამაზ, თქვენი რჩევა მჭირდებამეთქი. რა რჩევაო? ამით ვისარგებლე: იქნებ, მითხრათ, ახალგაზრდა ვაუმა ახალგაზრდა მამას როგორ უნდა თხოვოს ახალგაზრდა გოგოს ხელი-მეთქი. აი, მაშინ კი ტენა კარგა ხანს თავისი ჩიბუხი, მერე კი მომიტრიალდა და მითხრა, კაი ციგანი ხარ შენ, სოსოიაო...

მარინას ხელი ვითხოვე. მერე იყო ის, რომ თამაზმა ყველა წესისა და რიგის მიხედვით სცადა ჩვენი ამბის გადაწყვეტა, მაგრამ ვინ აცალა!.. მარინამ, ჩემი წაქეზებით, ისეთი დაჟინება გამოამჟღავნა, რომ მისი არასრულწლოვანების გამო, თავად თამაზს მოუწია საქორწინო ნებართვისთვის სირბილი.

აქედან მოყოლებული, სულ უფრო და უფრო მიადვილდებოდა თამაზთან ურთიერთობა. ასეთივე ურთიერთდამოკიდებულება ჰქონდათ მასა და მის სიმამრსაც. გარკვეული ხნის მანძილზე ჩვენ ერთად ვიცხოვრეთ: მე, ჩემმა სიმამრმა და ჩემი სიმამრის სიმამრმა. ეს გახლდათ მათლაც ეტალონური ურთიერთობა!

ისე კი, მგონია, რომ მთელი სიცოცხლე სიძე-სიმამრის საკმაოდ თანასწორუფლებიან წყვილს წარმოვადგენთ და ეს, უპირველეს ყოვლისა, მისი ბუნებიდან მოდის. თამაზი, თავისი შინაგანი მონაცემებით, დემოკრატია. მიუხედავად იმისა, რომ ისეთი თანამდებობები მოიარა, რომ მართვის ავტორიტარული სტილი თუ ხასიათი მისთვის უფრო ბუნებრივი უნდა ყოფილიყო.

ჩვენი მუდმივი დაპირისპირების საგანია ნარდი, ჭადრაკი და პოლიტიკა. ასეთი პერიოდიც გვქონია, ერთმანეთს ვექიშპებოდით, თუ რომელი ვიყავით უფრო მეტჯერ მოხსნილი. თავიდან, რა თქმა უნ-

და, ბატონი თამაზი მისწრებდა, მაგრამ, მერე, რასაკვირველია, მე ვაჯობე.

ძალიან ბევრჯერ მიფიქრია ამაზე და საჯაროდ მიღიარებია კიდეც, რომ თამაზმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჩემს პიროვნულ ჩამოყალიბებაში. მაგალითად, მიმაჩნია, რომ მარტო სიძესიმამრობა კი არა, სიძესიდედრობაც კი მისგან ვისწავლე. თუმცა, ვაღიარებ, რომ ამ საქმეში თამაზი გაცილებით მჯობდა: იგი მართლაც სანიმუშო სიძე გახლდათ თავისი სიდედრისთვის, რისგანაც მე შედარებით შორსა ვარ. ამ თვალთახედვით, მე ჩემი მოსაზრებები მაქვს. ვფიქრობ, რომ სიდედრისადმი სითბოს გამოჩენა ერთია და მისი მორჩილება კი - სრულიად სხვა. მე თუში ვარ, ჩვენი გია კი იმერელი, მაგრამ სიდედრთან ურთიერთობაში სწორედ რომ სრულიად საპირისპირონი გამოვდექით. ჩემსა და ქალბატონი ლამარას (ლალულას) ურთიერთობას, ალბათ, უფრო მეგობრობა შეიძლება დაერქვას, იქ კი უფრო კლასიკური სიძესიდედრობაა. გია ბუნებით ჩემზე თვინიერია, ასეთივე იყო მამამისიც — ბატონი თენგიზიც, მისი ურთიერთობაც ქალბატონ ქეთევან თოთიბაძესთან ყველა სიძისთვის სანიმუშო გახლდათ.

ამით იმის თქმა მინდა, რომ თითოეული ეს ურთიერთობა, როგორც ცალკეული მაგალითი, საკმაოდ საინტერესოა, იმიტომ, რომ ადამიანები არიან, თავისთავად, საინტერესონი. ამ თემაზე ჩვენმა ნანამ მშვენიერი ფილმიც გადაიღო - „ოჯახი", მასში ჩვენი ოჯახის ამბები და ხასიათები, რა თქმა უნდა, კრებითი ფორმით, საკმაოდ შთამბეჭდავად არის არეკლილი.

ერთ-ერთი პირველი, რამაც თამაზში შეიძლება მოგხიბლოს, ეს მისი მისაწვდომობაა. ერთი ასეთი პერიოდიც გვქონდა: მე ჩემს სიმამრზე მაღალი თანამდებობა მეჭირა და როგორც მას, თავისი კაბინეტების უმრავლესობაში, სამთავრობო ტელეფონიც მედგა. ისე იყო, რომ სახლში მაშინაც გაგანია რემონტი მქონდა, მაგრამ საქმე მიჭიანურდებოდა, ხან რა მაკლდებოდა და ხან — რა, მე კი ამ ყველაფრის საშოვნელად ძნელად ვიცლიდი. თანაც დრო გახლდათ ისეთი, ფაქტობრივად, ყველაფერი დეფიციტური იყო, ყველაფერს „ბლატი" უნდოდა, „ბლატი" კი ნაკლებად მქონდა, ასეთების არასდროს არაფერი მესმოდა. მოკლედ, შემიჩერდა რემონტი — ერთი კვირით, ორი კვირით... რადგან ერევნის წებო, რაღაც "ПВА", რომელიც კაფელის გასაკრავად მჭირდება, უბრალოდ, არ იშოვება, არსად არ არის!

ერთხელაც, ვზივარ ჩემს კაბინეტში და მთავრობის ტელეფონით

ვიღაც მირეკავს. ჩემი სიმამრია. გამომლანძღა, არა გრცხვენია, ამოდენა თანამდებობის პატრონი კაცი ხარ და ცხოვრებაში "ПВА" ვერ გიშოვიაო? ახლავე წადი შინ და მუშებს სამუშაო გააგრძელებინე, უკვე მიტანილია შენი "ПВА"-ო. ერთი სიტყვით, შემარცხვინა, მაგრამ მეც კაი ენის პატრონი ვარ და ვალში რას დავრჩებოდი?! ბატონო თამაზ, მთავარი ცხოვრებაში "ПВА"-ს შოვნა კი არა, სიმამრის შოვნაა-მეთქი. ამ სიტყვებს დღემდე არ მივიწყებს.

სამსახურებრივი დატვირთვის წყალობით, საკმაოდ შეჩვეული ვარ უცხოელთა გამასპინძლებას, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემთვის გაცილებით საინტერესო ხდებოდა, როცა მას ფონად ჰქონდა ჩვენი ოჯახური, საკმაოდ გულწრფელი და ხალისიანი დისკუსიები...

ერთხელაც, თბილისში დიპლომატიის გენერალი ვიქტორ სუხოდცევია სტუმრად ჩამოსული; ძალიან პოპულარული კაცი, რომელიც, ხრუშჩოვიდან გორბაჩოვამდე, ყველა გენერალური მდივნის პირადი თარჯიმანი ყოფილა. ამას წინათ ძალიან საინტერესო წიგნი გამოსცა, სათაურით "Язык—мой друг", მოსკოვში რომ ვცხოვრობდი, მაშინ დავუახლოვდი. ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლამდე, მოვიდა და მითხრა, თბილისში კანადის პრემიერის ტრიუდოს მრჩევლის — აივონ ჰეკის ჩამოყვანა მინდაო. სწორედ იმ დღეებში არდადეგები (მაშინ მოსკოვში ვსწავლობდი) მეწყებოდა და დავპირდი, რომ მეც თბილისში დავხვდებოდი.

სუხოდრევი კი მთხოვს, როგორც კი ჩახვალ, მეცნიერებათა აკადემია გამიფრთხილე, ეგ უნდა იყოს ჩვენი ოფიციალური მიმღებიო. ბევრი არაფერი დაგვჭირდება, ერთი ოჯახი გვინდა ვაჩვენოთ და გოგირდის აბანოები დავათვალიერებინოთო. ამ აბანოებში წაყვანა უცხოელი სტუმრისა, მაშინ თითქმის აუცილებელ რიტუალად იყო ქცეული. თანაც, ასეთი რანგის სტუმრებს, როგორც წესი, საგარეო საქმეთა მინისტრებს გამოაყოლებდნენ ხოლმე. ერთი სიტყვით, განმიმარტა, ამჯერად ჩვენი მიზანია, რომ ვაჩვენოთ, ჩვენთან როგორ იციან ასეთი დონის უცხოელი სტუმრის მიღებაო.

ეს ის პერიოდია, როცა უცხოელის შინ მიყვანა დიდი ამბავია, სხვამ თუ დაგინდო, უშიშროებიდან საქმის გარჩევებს მაინც ვერ გადარჩები. 1976 თუ 1977 წლის ზაფხულია. თამაზმა დარეკა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ მდივანთან, ვიქტორია სირაძესთან, ისინი ჯერ კიდევ კომკავშირიდან ახლობლობდნენ. იმან უთხრა, ბატონო თამაზ, თქვენ სახელმწიფო მოხელე აღარ ხართ, ახლა მეცნიერი ბრძანდებით და ვინც გაგეხარდეთ, ის მოიწვიეთო.

ასე რომ, ის მასპინძელი ოჯახი ჩვენ ვიყავით. შევიკრიბეთ მთე-

ლი ოჯახური წრე — თამაზი და ლამარა, ბატონი იასონი და ქალბატონი ნინო, ჩემი მშობლები და ჩვენ — ახალგაზრდები. უაღრესად საინტერესო საუბარი გაიბა, ცხადია, რუსულ ენაზე. ეს სუხოდრევი შეუდარებელი თარჯიმანია და მისი თარგმანის მოსმენა ხომ, თავისთავად, უდიდესი სიამოვნება იყო. პრაქტიკულად, ფრაზას ფრაზაზე თარგმნიდა და ხედავდი, შენს მიერ წარმოთქმულ თითოეულ წინადადებაზე ეს უცხოენოვანი კაცი მყისიერად რომ რეაგირებდა. შეუძლებელია, პროფესიონალიზმი უფრო შორს მოდიოდეს! ვინც კი სუხოდრევს იცნობდა, ის ასეთებს შეჩვეული იყო, ქვეყანამ იცოდა, უმაღლესი დონის შეხვედრებზე თითქმის ყველა ინგლისურენოვანი პრეზიდენტი საკუთარ თარჯიმანთან მუშაობას მასთან მუშაობას რომ ამჯობინებდა.

ამ საუბარში რომ ვართ, მოულოდნელად სუხოდრევს მოსკოვიდან დაურეკეს და, ბუნებრივია, ისიც გავიდა მეორე ოთახში ტელეფონით სალაპარაკოდ, მაგრამ ამით ჩვენი საუბრის ძაფი არ გაწყვეტილა. საუბარი ბუნებრივად გაგრძელდა ისევ იმ თემასა და ისეთსავე კალაპოტში და ეს გადასვლა ინგლისურენოვან მეტყველებაზე აბსოლუტურად მექანიკურად მოხდა. უბრალოდ, აღმოჩნდა, რომ ეს ენა ყველა იქ მყოფმა იცოდა და ამაში არავის დაუნახავს რაიმე განსაკუთრებული. სამაგიეროდ, ოთახში უკან შემობრუნებული სუხოდრევის რეაქცია იყო ძალიან საინტერესო, განსაკუთრებით, მაშინ, როცა მან საუბარში ისევ ჩართვა დააპირა და ჩვენმა კანადელმა სტუმარმა შეაჩერა, ძალიან გთხოვთ, ამ ადამიანებთან დალაპარაკება მაცალეთო.

ერთი რამაც დარწმუნებით შეიძლება ითქვას: ალბათ, საბჭოთა კავშირს, მთელი თავისი არსებობის მანძილზე, არ ჰყოლია ისეთი ხელოვნების მოყვარული და თითქმის პროფესიონალური აღქმის დონეზე თეატრალი პარტიული ფუნქციონერი, ბატონი თამაზი რომ იყო. არ ვიცი, ვინმემ იქნებ, სუბიექტურობაც დამწამოს, მაგრამ მე მართლა არ მახსენდება თეატრალური პრემიერა, თამაზს რომ გამორჩენოდა ან გამოეტოვებინა.

მთელი ცხოვრების მანძილზე მეგობრობდა ცნობილ ქართველ მხატვრებთან, მუსიკოსებთან თუ მსახიობებთან. ახლობლობდა ლადო გუდიაშვილთან, ელენე ახვლედიანთან, ზურაბ ანჯაფარიძესთან, ჯანო კახიძესთან, რეზო ლაღიძესთან, ვიცი, რომ დღემდე ახლობლობს ბიძინა კვერნაძესა და გოგი თოთიბაძესთან. ეს საოცარი იყო, რადგან პროფესიულად თუ თანამდებობრივად ხელოვნებასთან თითქოს არასდროს არაფერს დაუკავშირებია და თავადაც

ტექნიკურ ინტელიგენციას მიეკუთვნებოდა.

მე არ ვიცნობ თამაზზე მოწესრიგებულ ადამიანს, ყოველ შემთხვევაში, ჩემს თაობაში ასეთი ნაკლებად ვიცი. მის ხელმარჯვეობაზეც რომ არაფერი გაგეგონოთ, უდიდეს სიამოვნებას მოგანიჭებთ მისი გეოლოგიური თუ სახელოსნო ხელსაწყოების ნახვა, ისე აქვს ყველაფერი ჩაკრიალებულ-ჩალაგებული. ჩაქუჩი რომ ჩაქუჩია, ისე გააპრიალებს ხოლმე, თვალს ვერ მოწყვეტ. შინაც ასეთია: გამორიცხულია, რომ მორყეული ჭანჭიკი ან გადამწვარი ნათურა მოითმინოს. უთუოდ, თავად უნდა მივიდეს და გააკეთოს — აუცილებლად საკუთარი ხელით!

შვილიშვილებზე ხომ ყოველთვის უზარმაზარი გავლენა ჰქონდა, მაინც გული მწყდება, რომ ჩემი ზეზვა იმდენადაც ვერ დაემგვანა, რომ შეეძლოს დატრაბახება მოწესრიგებულობის ასეთი ხარისხით. ამას ვერც თორნიკეზე ვიტყვი.

როცა ამაზე ფიქრს ვიწყებ, თვალწინ მიდგება, ჩემი აზრით, საოცარი სურათი: სამი ბაბუა — თენგიზ აბულაძე, თამაზ ჯანელიძე და ელიზბარ ცისკარიშვილი! როგორ დასხდებოდნენ ხოლმე ერთად და ის ნება-ნება საუბარი კამათად გადაექცეოდათ. იმ კამათებში თამაზი ყოველთვის მარტო რჩებოდა, ელიზბარი და თენგიზი კი ხელად შეხმატკბილდებოდნენ ხოლმე, როგორც კი ჯერი მიდგებოდა მიმდინარე მოვლენებისა თუ ისტორიული ფაქტების შეფასებაზე.

ამათ საზოგადოებაში ყოფნა მთელი აკადემია იყო. ენამწარობა უფრო მამაჩემის საქმე იყო, კატეგორიულობა თენგიზსაც კარგად გამოსდიოდა, ყველაზე რბილი ამათში თამაზი გახლდათ. თქმა რად უნდა, რომ უაღრესად შთამბეჭდავი ტრიო იყო სუფრასთანაც და უსუფროდაც! მათ შვილიშვილებსაც მათგან ასაკრეფადაც და დასამახსოვრებლადაც. უდიდესი საზრდო ეძლეოდათ. ეს არაჩვეულებრივი სანახაობა იყო. ამიტომაც ვფიქრობ, რომ დიდებულია, როცა კაცი აქტიურ ცხოვრებას ახერხებ. მაშინ განვლილი ცხოვრება გაცილებით მეტ უფლებას გაძლევს, მაჟორულად ილაპარაკო საკუთარ თავზეც.

რაც ბატონ თამაზს ვიცნობ, მის მაგიდაზე გადაშლილი წიგნი ან გაზეთია. კითხვა მისთვის ყველაზე დიდი სიამოვნებაა, გამუდმებით კითხულობს, ყველა მიმდინარე პროცესისა თუ მოვლენის დაკვირვებული შემფასებელია. როგორც ძალიან მოწესრიგებულ პიროვნებას, მუდმივი ნოსტალგია აქვს იმ წესრიგისა, რაც მეტ-ნაკლებად იყო და აღარ არის. მით უფრო, იგი სამსახურებრივი ურთიერთობების ისეთ სისტემაშია მიჩვეული, ლოგიკა და არგუმენტი,

როგორც წესი, აუცილებლად რომ ჭრიდა.

გულწრფელი თუ ვიქნები, ამ ბოლო დროს ვფიქრობდი, ასაკმა ცოტა ხომ არ მოუჩლუნგა ანალიზის უნარი, მაგრამ იმ დილას აღელვებულმა რომ დამირეკა, გამომიარეო და დამხვდა სამსახურიდან გადადგომის განცხადებით ხელში, მივხვდი, რომ ის თამაზი, რომელსაც მე თავისი შეურიგებლობით ვიცნობდი, ისევ არსებობდა: იგი ჩემს წინ იდგა!

თქვენ წარმოიდგინეთ, ამან მაინც მოახდინა ჩემზე მოსალოდნელზე დიდი შთაბეჭდილება...

ჩანს, შინაგანად მაინც არ ველოდი, საზოგადოებრივი აქტის ჩადენის ამოდენა რესურსი თუ კიდევ ექნებოდა შემონახული. ასეთი პრინციპულობა ამ ასაკში უიშვიათესი მოვლენაა. იმიტომ, რომ კაცნი ვართ, თანაც კონფორმიზმი, გარკვეულწილად, ასაკობრივი მოვლენაც გახლავთ. ის, რასაც ახალგაზრდობაში უფრო ვერ ითმენ, ასაკის მატებასთან ერთად, თანდათან გაჩვევს თავს და ბოლოს შემგუებლობასაც გამოგიმუშავებს. ასაკთან ერთად განცდის სიმწვავის დაჩლუნგებაც ხომ ასეთივე ბუნებრივი პროცესია.

ვფიქრობ, რომ ის, რაც თამაზმა ამ თავისებური პროტესტით გააკეთა, ერთ კაცს ნამდვილად უნდა გაეგო. ვგულისხმობ ქვეყნის მაშინდელ პრეზიდენტს — ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც, რატომღაც, პირში წყალი ჩაიგუბა, რაც, რასაკვირველია, საწყენია. იმიტომ, რომ თამაზისთვის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტისა თუ გეოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ნამდვილად არ ყოფილა რიგითი სამუშაო დატვირთვა; იმიტომ, რომ მთელი მისი აქაური შრომა ერთი დიდი მცდელობა იყო, რომ ამ ბოლო ათწლეულის მოვლენების ფონზე ინსტიტუტისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა, ანუ მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა როგორმე დაეფარა განიავებისგან.

გასულ შემოდგომაზე 79 წლისა შესრულდა, მაგრამ სანამ საიუბილეო თვე მოგვიახლოვდებოდა, მე ჩემებურად გავეხუმრე, ისეთ სოლიდურ ასაკში შედიხარ, ალბათ, ყველასთვის მოსაწონი ერთი საქციელი მაინც უნდა ჩაიდინო-მეთქი. რაო, თავისებურად მკითხა, რაღაც ეშმაკობის მოლოდინით, რადა, უნდა მოინათლო-მეთქი.

23 ივნისს მოვნათლეთ. ნათლიად გვყავდა წყნეთის ეკლესიის მღვდელი, იმან თავად მოიწადინა ამ ქრისტიანული სიკეთის ჩადენა. რომ გითხრათ, ამან ჩემს სიმამრში დიდი მსოფლმხედველობრივი გადატრიალება მოახდინა, ალბათ, მართალი არ ვიქნები, მაგრამ ამ ამბავს ერთი დადებითი შედეგი მაინც მოჰყვა — ჩემი სიდედრი

დამშვიდდა, რაც უნდა იყოს, მღვდლის შვილიშვილია!

ბატონი თამაზის განწყობილებების შეცვლისა კი რა მოგახსენოთ, ეგ არის, დღემდე არ ავიწყდება, როგორ გამხადა ამოდენა კაცს ფეხზე იმ მღვდელმაო"...

ჩემს მონათვლას პატარა წინაისტორიაც ჰქონდა... კარგა ხნის წინათ შემომიჩნდნენ თენგიზ აბულაძე და ჩემი მეუღლე, ლამარა, მოინათლეო. მაშინ ვერ დამიყოლიეს – ყური არ ვათხოვე. ახლა კი, რაკილა ჯერი ჩვენი პირველი შვილთაშვილის გაქრისტიანებაზე მიდგა, ისევ გამომიჩნდნენ შემგულიანებლები, ცალკე ჩემი შვილიშვილი ზეზვა და ცალკე — მისი მეუღლე, ანი, ნიცასთან ერთად მოინათლეო და, მართალი გითხრათ, ამ ცდუნებას ველარ გავუძალიანდი.

რასაკვირველია, ნიცა ჩემთვის უმძიმესი „არტილერია" აღმოჩნდა: მან უპრობლემოდ შეანგრია ჩემი წინააღმდეგობის ციხის ყველა გოდოლი. ასე მომნათლეს.

გია აბულაძე:"პირველი, რითაც თამაზმა ჩემზე უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა, იყო ის, რომ ჯერ კიდევ ჩვენს დაქორწინებამდე, ნანა გამომაყოლა დაღესტანში სამოგზაუროდ. ვერ ვიტყვი, რომ ამ დროს ძალიან კარგად მიცნობდა, ვფიქრობ, უფრო თენგიზის ვაჟს ენდო ჩემში. ოთხნი წავედით ფეხით: მე და ჩემი მეგობარი და ნანა და თავისი დაქალი, მერე სხვებიც შემოგვიერთდნენ. გავედით კახეთიდან. სოფელ გავაზთან არის ახალსოფელი, თვითონ კახელები „დაჩებს" ეძახიან, ამ „დაჩებიდან" გადავედით, მერე, რა თქმა უნდა, ცხენებიც ვიქირავეთ.

კარგა ორი კვირა ვიხეტიალეთ. ულამაზესი ადგილები ვნახეთ, შემოვიარეთ მთელი დაღესტანი და მთელი ეს ხანი ვერ მოვერიე გაკვირვებას, თამაზმა ქალიშვილი ასე იოლად რომ გამომაყოლა. ნანა მაშინ ოცისაც არ იყო და ისიც კი მახსოვს, შინაგანად რა დაძაბული ვიყავი, თამაზთან ამის სათხოვნელად რომ მივედი; როგორ ვუკეთებდი თავს მობილიზებას, რომ რამენაირად დამერწმუნებინა. ახლა, როცა თავადაც ვარ ქალიშვილის მამა, უკეთ მესმის, რა ძნელი უნდა ყოფილიყო მსგავს წინადადებაზე დათანხმება ქართველი მამისთვის, ასეთ საკითხებში რაგინდ პროგრესულობაც უნდა დაეჩემებინა!

მართალია, მაშინ განსაცვიფრებლად გამიგო, მაგრამ სხვა მხრივ, ნამდვილად ვერ დავიჟინებ, რომ მე და ჩემი სიმამრი როდესმე დიდი თანამოაზრენი ვიყავით. თამაზი წლების მანძილზე პარტიულ-სამეურნეო თანამდებობებზე მოღვაწეობდა, მე თავიდანვე უფრო

დისიდენტურად განწყობილი ვიყავი. გაუთავებლად ვკამათობდით, მაგრამ ალბათ, ვერც ერთ შემთხვევას ვერ გავიხსენებ, რომ ეს კამათი პიროვნულ უპატივცემულობასა თუ გაუგებრობაში რომ გადაგვზრდოდა. ნამდვილად სიამოვნებით ვაცხადებ, რომ ჩვენთვის ტაქტს არასდროს უღალატია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შეუთანხმებლობა დაუსრულებელი იყო, იმდენ რაიმეზე გვიჭირდა ერთი აზრის გამოტანა თუ ერთ პოზიციაზე დადგომა.

გაგახსენებთ „მონანიების" კადრებს, რომლებშიც აბელი და თორნიკე კამათობენ და აბელი შვილს ეუბნება, მაშინ სხვა დრო იყო, შენ ამას ასე კი ნუ უყურებო, ეს სულ ჩემი და თამაზის კამათის ტექსტია. ის დღეც კი დეტალურად მახსოვს, როცა ეს ყველაფერი ითქვა: თამაზი ცოტა ნასვამი მოვიდა, მე მანდელშტამის მოგონებებს ვკითხულობდი, ეს კამათიც იმის თქმას მოჰყვა, მის დროს რა იყო და როგორ იყო. ნანამ ჩვენი ის დიალოგი თითქმის მთლიანად ჩაინერა, რადგან სწორედ მაშინ უკვე მუშაობდა „მონანიების" სცენარზე და ძალიან დიდი მონაკვეთები ჩვენი ამ თუ სხვა კამათებისა, ბუნებრივად, აღმოჩნდა ფილმის სცენარში.

ამით იმის თქმა მინდა, რომ მე და თამაზს თავიდანვე ჩამოგვიყალიბდა ღვიძლი მამა-შვილის ურთიერთობა. რა თქმა უნდა, ასაკის გამო, ხასიათზეც რომ არაფერი ვთქვა, მე მასზე გაცილებით კატეგორიული ვიყავი. თუმცა გარკვეული სიახლოვის ზღვარი არასოდეს გადაგვილახავს და ეს, რა თქმა უნდა, თამაზის დამსახურება უფროა, რადგან ამის დარეგულირებას მე მაშინ ალბათ, ძნელად მოვახერხებდი. მაგრამ ახლა უკვე ზუსტად ვიცი, რომ ეს ყველაფერი აუცილებლად თამაზისგან მოდიოდა, სიტუაციას, რა თქმა უნდა, ის მართავდა, მაგრამ ისე ტაქტიანად, რომ ამას უმეტესწილად, ვერ ვგრძნობდი.

ალბათ, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ მე თამაზთან თენგიზის უზარმაზარი გავლენის ქვეშ მყოფი მივედი. მამაჩემის გავლენა ჩემზე განუსაზღვრელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე, მუდმივი მოუცლელობის გამო, ჩემთან ურთიერთობა დროში ქრონიკულად ეზღუდებოდა. მეტიც შეიძლება ითქვას, მე მამასთან არასდროს მქონია ფამილარული ურთიერთობა, მიუხედავად იმ დიდი სიყვარულისა, რასაც იგი ჩემდამი, თავისი ერთადერთი ვაჟისადმი, უდავოდ, განიცდიდა.

ამდენად, მე მთლიანად თენგიზის ფასეულობებსა თუ ორიენტირებზე ვიყავი ჩამოყალიბებული, მაგრამ თამაზთან ურთიერთობა რომ დავიწყე, მივხვდი, რომ აქ სულ სხვა ფასეულობები და ორიენ-

ტირებია. ანუ ის, რაც შეიძლება, არ გაიზიარო, მაგრამ დროთა განმავლობაში იმდენად გიჩვევს, რომ ხანდახან ეჭვიც გიჩნდება, იქნებ მართალიცაა და მერე, კიდევ უფრო რომ ჩაუკვირდები, აღმოაჩენ, თურმე, ორივე მართალია, ორივეს აქვს საკუთარი პოზიცია და ასევე, აქვს როგორც არსებობის, ისე — საკუთარი გზის უფლება.

ეს ძიებები სულ ცოცხლობდა ჩვენში, სანამ ნანა „მონანიების" სცენარზე მუშაობდა. ეს ყველაფერი, პრინციპში, მაინც მერე ჩამოყალიბდა, მთავარი კითხვა, რომელიც „მონანიებაში" ისმება, კი მაინც ისაა, ვისი ტრაგედია იყო ეს ტრაგედია. ჩვენ მაშინ ვამბობდით, რომ ეს არის მცდარ ფასეულობებზე აღზრდილი, მაგრამ შინაგანად პატიოსანი პიროვნებისა თუ ხალხის ტრაგედია! აქ ფასეულობათა ჭიდილია, სხვადასხვა თაობის ადამიანების მსოფლმხედველობისა თუ ღირებულებათა სისტემისა. ამდენად, ეს არ ყოფილა არავიძის ტრაგედია, რომელმაც ერთ ეპოქაში იცხოვრა; ეს არც თორნიკეს ტრაგედიაა, მიუხედავად იმისა, რომ იგი, ფაქტობრივად, თავის მაქსიმალისტურ შეხედულებებს თან გადაჰყვა; არამედ ეს გახლავთ აბელის ტრაგედია, რომელიც, ფაქტობრივად, ამ ორ თაობას შორის გამოისრისა და ეს არ ეპატია!

ეს არის თემა, რაზეც მე და თამაზს ხშირად გვისაუბრია. მომისმენია სინანულით ნათქვამი მისი ფრაზა, ჩვენ სხვა სისტემასა და სხვა ღირებულებულებებზე გავიზარდეთ, თორემ სხვაზე ნაკლები ბიზნესმენი ალბათ, არც მე დავდგებოდიო. მე მჯერა, რომ ეს მართლა ასე იქნებოდა, რადგან ამის თქმის უფლებას მაძლევს მისი განათლება, პროფესიონალიზმი, ორგანიზატორული უნარი თუ ხედვის მასშტაბები. და, საერთოდაც, ალბათ, ყველგან წარმატებული ადამიანი იქნებოდა, რა სფეროშიც იმუშავებდა, ეს, ფაქტობრივად, ასე იყო კიდევაც. ამის მიზეზი კი ისაა, რომ იგი ყოველთვის იყო პიროვნება, რომელსაც ერთი ზედსართავით „განათლებული" უბრალოდ, ვერ დაახასიათებდი. ჩემი ფიქრით, მის განათლებაში დიდი კულტურებია შერწყმული — ქართული, იმერული, მსოფლიო დემოკრატიული და შეიძლება ითქვას, რომ იმპერიულიცა და კომუნისტურიც კი.

ვფიქრობ, ცოტას არ ამბობს ისიც, რომ მოყოლებული ბავშვობიდან, თამაზი თავის მეგობრებში დღემდე ლიდერია და გარკვეულწილად, ყველაზე ახდენს თავის წილ გავლენას, ისევე, როგორც უზარმაზარი გავლენა მოახდინა ჩემსა თუ ჩემი ვაჟიშვილის — თორნიკეს პიროვნულ ჩამოყალიბებაზე. სადაც წავიდოდა, პატარაობიდან, თორნიკეც სულ თან დაჰყავდა — საუნაში, კორტებზე, ტენისსაც კი

კი ერთად თამაშობდნენ. შეიძლება ითქვას, რომ მისი ფრთის ქვეშ ჩამოყალიბდა და ჩემთვის, მამისთვის, ეს განსაკუთრებით სასიამოვნოა იმიტომაც, რომ თამაზის გვერდით რომ ყალიბდება, იმ კაცს შეიძლება ენდო, რა თქმა უნდა, თუ ყველაფერს საჭიროებისამებრ შეითვისებს.

ჯერჯერობით, მგონია, რომ ასეა და ეს მახარებს, რადგან თორნიკეს, მიზეზთა გამო, აშკარად დააკლდა მეორე ბაბუასთან ურთიერთობის ფუფუნება. ამ ურთიერთობის ბედნიერება თვითონ თენგიზს არ დასცალდა! თორნიკემ ვერ მოასწრო გაზრდა... ერთადერთი, რაც მამშვიდებს, ისაა, რომ მძიმე ავადმყოფი ბაბუა არ უნახავს — მაშინ უცხოეთში სწავლობდა.

ალბათ, გულწრფელი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ თამაზის არაფერი მშურს, რადგან ნამდვილად მშურს მისი არაჩვეულებრივი სამეგობროსი, რომლის დანახვა ერთად, მის დაბადების დღეებზე, ჩემზე ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა, იქიდან მოყოლებული, ახალი სიძე რომ ვიყავი. ან რა საზოგადოება შეიკრიბებოდა ხოლმე, ან რა სადღეგრძელოებს იტყოდნენ, ან რა საუბარი და სიმღერა გამოსდიოდათ. მათი დამოკიდებულება რომ ვნახე, მივხვდი, რომ თურმე, არაფერი მცოდნია იმ კულტურისა, ქართული სუფრა რომ ჰქვია სახელად.

ეს ყველაფერი კი იყო და არის ალბათ, იმიტომ, რომ თამაზი უბრალო პიროვნება არასდროს ყოფილა. ყოველთვის გახლდათ მრავალმხრივი ინტერესების ადამიანი, გამაოგნებლად ფართო დიაპაზონის პიროვნება და პროფესიონალი. ამაზე მეტყველებს მისი უნიკალური კავშირები როგორც ხელოვნებისა და კულტურის ცნობილ მოღვაწეებთან, ასევე, ყოფილი კავშირის სამეცნიერო საზოგადოებასთან და ელიტარულ გეოლოგიურ წრეებთან.

ერთად ცხოვრების პერიოდიდან გასაოცრად თბილად მახსენდება ხოლმე ჩვენი საუბრები სამზარეულოში, როცა გვიან საღამოს, ფინჯან ჩაისთან თუ ყავასთან ჩემი სიმამრი თავისი ცხოვრებისეული თავგადასავლების მოყოლას იწყებდა. ეს იყო 1956 წლის მარტისა თუ ცკ-დან მისი გამოშვების ამბები, სახელისუფლებო ინტრიგები თუ სხვა მრავალი. ეს ინტრიგები უთუოდ აკეთებდნენ თავიანთ საქმეს და შესაბამისად, ბევრი ღირსეული ადამიანის სამსახურებრივ კარიერასა თუ საერთოდ, ცხოვრებაში უამრავ, არცთუ ლოგიკურ ზიგზაგს აჩენდნენ.

მე, საერთოდ, დიდ ენაგახსნილობას ვერავინ დამაბრალებს... ასეთი ვარ შინაც. ძალიან ძუნწად ავყვები ხოლმე, იმასაც კი, ვინც

ჩემი საქმეებით საგანგებოდ ინტერესდება. თამაზი კი, როგორც წესი, ყოველთვის ინტერესდება. დამიჯდება ხოლმე გვერდით და დამიწყებს თავისებურ გამოკითხვებს. მე კი, გარდა იმისა, რომ ძუნწი მოლაპარაკე ვარ, უმეტესწილად, მირჩევნია ხოლმე, რომ მოკლე, მარტივი პასუხებით გავიდე ფონს და ზრდილობიანი კაცის მოვალეობა ამით მოვიხადო, რადგან მიმაჩნია, რომ სიღრმეებში ჩაყოლას, უბრალოდ, აზრი არ აქვს. მაგრამ თამაზი სახტად მტოვებს, ამ ჩემი ძუნწი მონაყოლებიდან ისე ამოკრეფს ხოლმე ჩემს წარმატებასა თუ წარუმატებლობას, რომ პრობლემაც უცებ იკვეთება და გაცილებით მიიოლდება მისი დაძლევა. რაც ეს თვისება შევნიშნე, იგი ფაქტობრივად, ჩემი შეუცვლელი მრჩეველია“.

წიაღისეულით, „დერეფნით“, ნავთობსადენით მდიდარი და მაინც ღატაკი საქართველო?!

ვფიქრობ, დაწყებითი კლასის მოწაფეც რომ შეაჩეროთ, გეტყვით, რომ საქართველო წიაღისეულით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. მიწის გულში არსებული ჩვენთვის სასიცოცხლო ამ განძეულის ათვისება კი, ყველა სპეციალისტს მოეხსენება, რამოდენა პრობლემებსაც აწყდება. ჩემი აზრით, ეს სერიოზული ფიქრისა და განსჯისთვის არა მარტო სპეციალისტებს, არამედ ხელისუფლებასაც უნდა განაწყობდეს.

დავიწყოთ იმით, რომ ხანგრძლივმა პოლიციკლიურმა გეოლოგიურმა განვითარებამ საქართველოს ტერიტორიაზე მინერალური ნედლეულის სხვადასხვა სახისა და ტიპის საბადოთა და მადანგამოვლენათა წარმოშობა განაპირობა.

მათ შორისაა: სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, მარგანეცი, დარიშხანი, ფერადი და კეთილშობილი ლითონები, სამთო-ქიმიური ნედლეული, არამადნეული ნედლეული მეტალურგიისთვის, კერამიკული და საფაიფურე ნედლეული, ფერადი ქვები, დიატომიტი, პერლიტი, რიოლიტი, სხვადასხვა სამშენებლო მასალა, ლითოგრაფიული ქვა (ხელოვნური ალმასის წარმოებისთვის), აგრონომიული ნედლეული, მინისქვეშა წყლები და სხვანი.

ფულად გამოსახულებაში ყველა ამ დაძიებული და სახელმწიფო ბალანსზე აყვანილი მინერალური ნედლეულის სამრეწველო მარაგები 50 მილიარდი ამერიკული დოლარის ეკვივალენტია (ზოგი მკვლევარი ორ-სამჯერ უფრო მოზრდილ ციფრსაც ასახელებს). დაძიებული მარაგებიდან ექსპლოატაციაში არის 257 საბადო, ხოლო რეზერვში — 259.

წინა საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში წლიურად მოიპოვებოდა 3 მილიონი ტონა ნავთობი, 3,2 მლნ. ტონა ნახშირი, 5,2 მლნ, ტონა მარგანეცის, 1,5 მლნ. ტონამდე სპილენძისა და 500 ათასი ტონა ბარიტის მადნები. ასევე, ჩერნობილის აეს-ის ავარიის დროს საქართველოდან ძალზე ბევრი ცეოლითური კონცენტრატი იგზავნებოდა.

ამას დაუმატეთ მარგანეცის, სპილენძის, ტყვია-თუთიის კონ-ცენტრატები, ოქრო-ვერცხლშემცველი მადნები, დარიშხანი, ბენ-ტონიტური თიხები, მინერალური წყლები და სხვა. ანუ ის, რაც ჩვენ-გან სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს მიეწოდებოდა.

რასაკვირველია, ეს დღევანდელობაზე ვეღარ ითქმის, ქართული მინერალური ნედლეულის ექსპორტი შემცირებულია, ჩვენი შიდა ბაზრის გაჯერება მინერალური ნედლეულით კი დაბალი ტემპებით მიმდინარეობს.

საქართველოს წიაღის პოტენციალის დასახასიათებლად: 1989 წელს ჩვენთან მოპოვებული იყო 370 მილიონი ამერიკული დოლა-რის ფაქტობრივი ღირებულების ნედლეული, ექსპორტზე კი 180 მილიონი დოლარის ღირებულებისა წავიდა. გავითვალისწინოთ: საქართველოს სამთო-მომპოვებელი დარგისთვის ეს წელი არცთუ წარმატებულია, რადგან მარგანეცის, ნახშირის, ნავთობისა და წია-ღისეულის სხვა ბევრი სახეობის მოპოვების დონე ამ დროისთვის უკვე საგრძნობლად არის დაცემული. ეს სწორედ ის პერიოდია, რო-დესაც სამთო-მომპოვებელ, გადამამუშავებელ და გამომყენებელ დარგებში მრავალწლიანი კრიზისი დაიწყო.

გეოლოგიური მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენში ნამ-დვილად არსებობს მინერალურ-სანედლეულო ბაზის გაფართოე-ბის რეალური შესაძლებლობები და ეს თავის მხრივ, მოგვცემს მო-პოვების, გადამუშავების და სხვადასხვა პროდუქციის გამოსაშვები სიმძლავრეების ზრდის შესაძლებლობასაც.

ამ თვალსაზრისით, ძალზე პერსპექტიულია კეთილშობილ და ფერად ლითონთა ახალი საბადოები, საკმაოდ მნიშვნელოვანია ამ უკანასკნელთა პროგნოზული რესურსები.

აქ მინდა საგანგებოდ გამოვარჩიო ბოლნისის რაიონში გამოვლე-ნილი 6 კომპლექსური საბადო: მადნეულის, საყდრისის, დავით-გა-რეჯის, წითელსოფლის, ქვემო ბოლნისისა და დამლუდკისა, სადაც დაძიებულია C1+C2 კატეგორიის ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და ბარიტული მადნები.

არანაკლებ საყურადღებოა ის გარემოება, რომ რაჭა-სვანეთის მადნეულ რაიონში, სადაც უკვე მუშავდება რეალგარ-აურიპიგმენ-ტის, ოქრო-დარიშხნიანი მადნების ორი საბადო, გამოვლენილია კეთილშობილი ლითონების დიდი რაოდენობით შემცველი დარიშ-ხნიანი მადნების მარაგების სერიოზული პერსპექტივები.

ასეთივე რეალობაა სამხრეთ-აღმოსავლეთით, კვაისის მადნეულ რაიონში ტყვია-თუთიისა და ბარიტული მადნების მარაგების მნიშ-

ვნელოვანი მატებაც. ლაპარაკია ექსპლოატაციაში არსებული კვაისის ტყვია-თუთიისა და ჩორდის ბარიტის საბადოების მიმდებარე ტერიტორიებზე.

ხელსაყრელი პერსპექტივებია კეთილშობილი და ფერადი ლითონების გამოსავლენად აჭარის, გურიის, ძამა-გუჯარეთის მადნეულ კვანძებსა და დიდი კავკასიონის შავფიქლიანი ზოლის ფარგლებშიც.

კასპიისპირეთის უნიკალური ნავთობ-გაზიანი საბადოების ათვისებასთან დაკავშირებით, საქართველოს ბარიტის საბადოები შესაძლოა, როგორც დამამძიმებელი, ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის დროს, ბარიტის წარმოების მხვილ ბაზადაც იქცეს. ბარიტები შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ სხვა მიზნებითაც. მაგალითად, ბარიუმის მარილების, ლითოფონის შემავსებლებისა და განსაკუთრებული ხარისხის ქაღალდის წარმოებებში.

ამდენად, ბარიტის პროდუქციაზე მოთხოვნილება უნდა გაიზარდოს არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო ბაზარზეც, რადგან საქართველოში ეროვნული ნავთობის განვითარების ახალი ეტაპი უკვე დაწყებულია და ექსპერტთა შეფასებითაც, ქვეყანაში ნავთობის რესურსების მნიშვნელოვანი მარაგები მოიპოვება.

სამთამადნო მრეწველობის აღდგენისთვის განსაკუთრებული მოვლენა იყო (ჯერჯერობით, მოკრძალებული მასშტაბებით) ჭიათურის მარგანეცის მოპოვების აღდგენა და მარგანეცის კონცენტრატების გადამუშავება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. კვლავინდებურად, უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება ის, რომ მოპოვებული მარგანეცის კარბონატული და დაჟანგებული მადნები პრაქტიკულად არ გამოიყენება.

შეიძლება მარგანეცის მადნების გამდიდრების ნარჩენების ეფექტურად გამოყენებაც. მაგალითად, სილიკატური საკედლე მასალის, მონოლითური და ნაკრები ლითონის კონსტრუქციების, სხვადასხვა დანიშნულების მინებისა და სხვათა. ვფიქრობ, ძალიან მოვიგებდით ჭიათურის საბადოს ბაზაზე ისეთი საწარმოს ამუშავებით, რომელიც პერსპექტიული კონცენტრატებიდან მიიღებდა მარგანეცის ელექტროლიტურ დიოქსიდს, მისგან კი გალვანური ელემენტების წარმოებას მოაწყობდა.

ძალზე მნიშვნელოვანია შაორის ქვანახშირის საბადოს ათვისება-ექსპლოატაცია და მის ბაზაზე თბოელექტროცენტრალის მშენებლობა, რომელიც ელექტროენერგიით უზრუნველყოფდა ქვეყანას.

ვულკანური შლაკებისა და პერლიტების ჯავახეთის საბადოები შესაძლოა, მსხვილ ბაზად ექცეს ამიერკავკასიის სამშენებლო ინდუსტრიას. ამას ხელს შეუწყობს უშუალოდ სამხრეთი საქართველოს სარკინიგზო ტრასის გასწვრივ ამ საბადოების განლაგებაც. აქ შესაძლებელია სხვადასხვა სამშენებლო მასალის მსხვილი ბაზის შექმნაც. ახალი სატრანსპორტო არტერიების ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად, ალბათ, მნიშვნელოვნად გაიზრდება მასზე მოთხოვნაც. პერლიტების გადამუშავებით შესაძლებელია მაღალხარისხიანი საფილტრე მასალების, თბო და ბგერასაიზოლაციო ნაკეთობების წარმოება. ნავთობპროდუქტებისგან წყლის ზედაპირის გაწმენდისთვის მეტად პერსპექტიულია ორგანული ნივთიერებებით მოდიფიცირებული ჰიდროფობული პერლიტების გამოყენებაც.

დიდი უკუგება შეიძლება მოგვცეს რაციონალური გამოყენების გზით ქისათიბის დიატომიტის საბადოს დამუშავების ეფექტურობის გაზრდამაც. ეს საკითხი საფუძვლიანად არის დამუშავებული კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის შესაბამის ლაბორატორიაში. ქისათიბის დიატომიტი თავისი ნივთიერი შემადგენლობითა და ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით უნიკალურია და ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება მსოფლიოში ცნობილ საბადოებს შორის. შეგვიძლია მედიკამენტების, კვების პროდუქტების, საპოხი ტექნიკური ზეთების, მყარი სარჩულებისა და სხვა მრავალი მასალის წარმოებაში საკმოდ მრავალფეროვნად და მაღალეფექტურად მისი გამოყენებაც.

დეტალური გათვლებით, გარკვეულია, რომ დეფიციტური საფილტრავი ფხვნილების, მყარი სარჩულებისა და შემავსებლების წარმოებაში დიატომიტის გამოყენებამ მკვეთრად უნდა გაზარდოს საბადოს რენტაბელობა, ხოლო წარმოებული პროდუქცია, დიდი მოცულობით, შესაძლოა, საზღვარგარეთაც გაგვატანინოს.

მნიშვნელოვანი დაძიებული მარაგებითა და პროგნოზული რესურსებით საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილია სამშენებლო მასალების 20-ზე მეტი საბადო. დაწყებულია მათი დამუშავება თანამედროვე უცხოური ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც უდავოდ, წაადგება საქართველოს სამთო მრეწველობის აღორძინებასაც.

ქართველ სპეციალისტებს უმარტივესად შეგვიძლია გავუმკლავდეთ საფანჯრე მინის დეფიციტს არა მარტო ჩვენთან, არამედ სამხრეთ რუსეთშიც, თუ ბაჯითის კვარციანი ქვიშების საბადოს კარიერზე მოვაწყობთ უფერული და თეთრი მინის წარმოებას.

«საქგეოლოგიის» სპეციალისტთა მიერ ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ ბენტონიტური თიხების საბადოებზე (ასკანა, გუმბრი) მნიშვნელოვნად შეიძლება გაფართოვდეს გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურა, რაც თავის მხრივ, საკმაოდ გაზრდის საბადოთა ეფექტურობასაც.

დღემდე სრულყოფილად ვერ ვიყენებთ ადგილობრივ კერამიკულ ნედლეულს, რომელიც ციხისუბნის, შროშის, ბექთაკარისა და სხვა საბადოებზე არის დაძიებული, მაშინ, როცა საქართველოს კერამიკული და ფაიფურის ქარხნები, ძირითადად, შემოტანილ ნედლეულზე მუშაობდნენ.

ალბათ, გამორჩეული როლი უნდა შეასრულონ მაღალხარისხოვანმა მტკნარმა სასმელმა, და ასევე, სუფრის, სამკურნალო მინერალურმა წყლებმა. ფაქტობრივად, ეს ქვეყნის უნიკალური საკურორტო კომპლექსების ბაზაა, თანაც რესურსები განახლებადია, რაც მათ უდავოდ, მატებს მიმზიდველობას.

უკანასკნელ წლებში, მიუხედავად, ქვეყანაში არსებული საკმაოდ მძიმე ვითარებისა, «წიაღის შესახებ» კანონის შესაბამისად, გაიცა საბადოების დამუშავების რამდენიმე ასეული ლიცენზია. ლიცენზიების მფლობელები არიან სამთამადნო წარმოებები და ახალი საბადოების დამამუშავებელი ახალი ფირმები და კომპანიები. ლიცენზიები ასევე, გაიცა დამატებით გეოლოგიურ შესწავლაზეც.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ამათგანი კარგად ართმევს თავს ამ სიტუაციას, ენერგიულად მუშაობს და სამთამადნო მრეწველობის აღდგენისთვის მართლაც რეალურად ქმნის საფუძვლებს.

ამრიგად,საქართველოს წიაღის პოტენციალი სერიოზულია და მას მართლაც შეუძლია ქვეყნის მრეწველობის რეაბილიტაციაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება; მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა სიტუაციამ საკმაოდ დააზარალა ჩვენი გეოლოგიური სამსახურის საქმიანობაც და მკვეთრად შემცირებული საბიუჯეტო ასიგნაციების ფონზე, დეპარტამენტიც იძულებული გახდა, რომ მოეძიებინა არასაბიუჯეტო თანხები, ასევე, როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციები.

აქ ერთი ნიუანსია: სამწუხაროდ, გეოლოგია ის დარგია, რომელშიც ინვესტიციების ჩადებას, როგორც წესი, არავინ ჩქარობს, რადგან აქ ეს, სულ ცოტა, 3-5 წლის მანძილზე მაინც, გეოლოგიური სამუშაოების წარმოებას ნიშნავს. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ერთი იმდენი (თუ ეყო) სჭირდება სამთო წარმოების მოწყობასა და პროდუქციის მიღებასაც. ინვესტორებს კი

ურჩევნიათ ხოლმე, რომ ფულის ჩადებიდან მალევე მიიღონ მოგება. ამიტომაცაა, რომ ისინი გაცილებით დიდი სიამოვნებით მიდიან ვაჭრობასა და მსგავს სფეროებში და საერთოდ არ სწყალობენ გეოლოგიას, სამთო დარგს, რაკიღა აქ უკუგება საკმაოდ აგვიანებს.

შედარებით ნაკლებად იხევენ ხოლმე უკან, როცა ოქროს წარმოებაზეა ლაპარაკი, ოქრო მაინც ოქროა და გაღებულ ხარჯებს აუცილებლად ანაზღაურებს.

ასე მოხდა ჩვენთან, ბოლნისშიც. ავსტრალიელებმა ჩადეს ინვესტიციები, მოაწყვეს ოქროს წარმოება, თავადაც კარგად იხეირეს და ჩვენც ჩვენი მოკრძალებული წილი გვარგუნეს. ერთი სიკეთეა, რომ ამ საქმის სპეციალისტები გამოვზარდეთ და ჩვენც ოქროსმწარმოებელი ქვეყნების რიგში ჩავდექით.

აქვე მინდა ვთქვა, რომ გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი კარგა ხნის მანძილზე ამუშავებდა მინერალურ-რესურსული პოლიტიკის კონცეფციას; ნაშრომში მოცემულია ადმინისტრაციული ერთეულების (რეგიონების) მიხედვით წიაღისეული რესურსების გავრცელების სქემა, რაც უზრუნველყოფს წიაღისეულის ათვისებაში ადგილობრივი ხელმძღვანელობის უფრო აქტიურ მონაწილეობას.

.აშენდა ნავთობ და გაზსადენები თურქეთსა და ევროპაში, საქართველოს ტერიტორიის გავლით. ამუშავდა სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც ევროპას აერთებს კავკასიასთან, ყაზახეთთან და შუა აზიასთან. ასევე, აქტუალურია სამხრეთი საქართველოს რკინიგზის შეერთება თურქეთის რკინიგზასთან, ქალაქ ყარსთან, ხმელთაშუა ზღვის პორტებზე გასვლით.

საერთო სიტუაცია რეგიონში ვითარდება იმგვარად, რომ ამიერკავკასია ჩრდილოეთსა და სამხრეთს, თუ შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას შორის მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძად უნდა იქცეს. რეგიონში დაიწყო რიგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და კომერციული პროექტების განხორციელება. ანუ უკვე იქმნება კეთილსაიმედო და მიმზიდველი გარემო ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში ინვესტირებისთვის.

საქართველოში სატრანსპორტო კომპლექსის — სარკინიგზო, საავტომობილო, საპორტო მეურნეობისა და მილსადენი ტრანსპორტის — განვითარების მოსალოდნელი მასშტაბები აუცილებლად ითხოვს ქვეყნის ბუნებრივ, კულტურულ, დემოგრაფიულ თუ სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებზე დერეფნის ზეგავლენის ფაქტორთა პროგნოზირებას.

განსაკუთრებით მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს საქართვე-

ლოსთვის დამახასიათებელ რთულ გეოდინამიკურ პირობებში ბუ-ნებრივი და ტექნოგენური ხასიათის სტიქიური პროცესების ზემოქ-მედებას.

ამ ფუნქციათა რეგულირებისთვის გეოლოგიის სახელმწიფო დე-პარტამენტის ზედამხედველობით, 2000 წელს შეიქმნა საჯარო სა-მართლის იურიდიული პირი - «საშიში გეოლოგიური პროცესების ინჟინრული რეგულირების სამსახური», რომელიც მაღალი კვალი-ფიკაციის გეოლოგიურ, ჰიდრომეტეოროლოგიურ, ჰიდროლოგიურ და სათანადო პროფილის ჰიდროსაინჟინრო პოტენციალზე დაყ-რდნობით, არეგულირებდა ეგზოგენურ მოვლენებს.

მაგრამ მერე მოხდა ისე, რომ ეს სამსახური საერთოდ გააუქმეს. საოცარი წინდაუხედაობაა, თუმცა, რაღა უნდა თქვა... გეოლოგიის დეპარტამენტი, როგორც დამოუკიდებელი სამსახური, გააუქმეს და გარემოს დაცვის სამინისტროს შეუერთეს. ყოვლად დაუშვე-ბელი გაერთიანებაა, ურთიერთსაპირისპირო ინტერესებისა და საქმიანობის მქონე ორგანიზაციებისა.

ერთიც მინდა შევნიშნო: საქართველოს ტერიტორია ნაწილია სეისმურად დიდი და აქტიური იმ რეგიონისა, რომელიც მთელ კავკასიასთან ერთად, ანატოლიისა და ირანის ზეგანსაც მოიცავს და სადაც დღემდე გრძელდება დამანგრეველი მიწისძვრები.

მაღალი ინფორმაციულობით გამოირჩევა ჰიდროგეოდეფორ-მაციულ ველზე დაკვირვების მეთოდი, რომელიც შესაძლებელს ხდის ლითოსფეროში მიმდინარე კუმშვა-გაჭიმვით დეფორმაციულ პროცესებზე რეალურ დროში დაკვირვებასა და გარემოს გეოდინა-მიკური განვითარების კანონზომიერებების შესწავლას.

ამ მიზნით, საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარ-ტამენტთან ჩამოყალიბდა საქვეუწყებო დაწესებულება – სეის-მოჰიდროგეოდეფორმაციული კვლევის ეროვნული ცენტრი, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დაკვირვების სისტემის აღსადგენად კონკრეტული სამუშაოები დაიწყო.

ეს ის სამუშაოებია, რომლებსაც ყოველდღიურად ხელი უნდა შეეწყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაულახავი და შეუქცევადი პროცესების წინაშე აღმოვჩნდებით!

აი, „რამდენი კაცი“ ვიყავი!

შორეული ბავშვობიდან ერთად მოვდივართ თანაკლასელები: ჩემი ბიძაშვილი — ირაკლი ჯანელიძე, ზურაბ კარგარეთელი, ნოდარ მგალობლიშვილი, ნოდარ გრიგორაშვილი, ირაკლი ბაირამაშვილი და მე.

ირაკლისთან, გარდა ნათესაობისა სულ პატარაობიდან მეგობრობა და თანამოაზრეობაც მაკავშირებს. რაც თავი მახსოვს, ისიც მახსენდება. შვილივით უყვარდა მამაჩემს და როცა ამისი დრო დაუდგა, დიდი სიყვარულით გადაუხადა ჩემსაზე არანაკლებ სტუმრიანი ქორწილი.

ზურაც ბავშვობიდან ჩვენი გუნდის გამორჩეული წევრია. იშვიათი მხარში მდგომია საქმეშიცა და მეგობრობაშიც. შემთხვევას ძნელად გაუშვებს, რომ «ტროცკისტის» შვილად არ გაგეცნოს. ახლაც, პატარა ბიჭივით, ხშირად რაღაც საცუღლუტოს წამოიწყებს ხოლმე, ყველა სიტუაციაში სახუმაროს მონახავს და გაგაცინებს.

ნოდარ მგალობლიშვილი, პირველ რიგში, ცნობილი პროფესიონალი, არქიტექტურის დოქტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე და სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო ჩვენი საზოგადოებისთვის. მისი ბიჭური ხასიათისა და რომანტიკულობისა კი ალბათ, ცოტა ვინმეს თუ ეცოდინება. გულსატკენია, რომ ეს ნიჭიერი პიროვნება ასე უდროოდ წავიდა ამქვეყნიდან. მასთან განსაკუთრებული სიყვარული მაკავშირებდა...

ჩვენი მეორე ნოდარი ცნობილი მომღერლის — ბუხუტი გრიგორაშვილის ვაჟი გახლდათ. პუჭურას ვეძახდით. პატარა ბიჭობიდან ჩვენი სამეგობროს სული და გული, ბუნებითაც და გარეგნობითაც გასაოცრად ლაღი და თავისუფალი ადამიანი იყო. სამი მანეთი რომ ჰქონოდა, ორნახევარი აუცილებლად მეგობრებში უნდა დაეხარჯა და დანარჩენი ოჯახისთვის ემყოფინებინა.

ამ ხალხთან ჩემი ცხოვრების ყველაზე ლაღი და სუფთა მოგონებები მაკავშირებს. კარგი ბიჭობის იმ პირველი მცდელობებით დაწყებული, ჩვენი ფრონტული ოცნებებით დამთავრებული.

ეს ის წლებია, როცა თბილისი არა მარტო თბილზე თბილი, არა-

მედ უჩვეულოდ ცოცხალი ინტერესების ქალაქიც გახლდათ. სულ მცირე კულტურული საბაბიც იკმარებდა ხოლმე, მთელ ქართულ ინტელიგენციას თავი ერთად რომ მოეყარა. უბნები სავსე იყო ურთიერთკეთილგანწყობით, სიყვარულითა და შეყვარებულებით, ანუ ლამაზი გოგოებითა და გულზე ყელმობჯენილი, მოჩხუბარი ბიჭებით. პირდაპირ ყალყზე ვდგებოდით, უბანში ვინმეს რაიმე რომ შეშლოდა და მით უფრო, ჩვენი უბნელი გოგოსთვის «სხვანაირად» შეეხედა; თუ ისე მოხდებოდა, რომ მუშტი-კრივი გაიმართებოდა, ეს მართლა მუშტი-კრივი იყო!

ამასობაში გავსტუდენტდით კიდეც. გარდა უმაღლესი სასწავლებელში შესვლისა, სამეგობროში კიდევ კარგა ღონიერი, პლეხანოვური ფრთაც შემოვიმატეთ. ერთმანეთზე უკეთესი ბიჭები დავიძმაკაცეთ: დორიან კიტია, ოთარ ჩარკვიანი, გურამ მირიანაშვილი, ჯიმი ანთელავა... ესენიც ასევე, ბავშვობის მეგობრები და ძმაკაცები!

ერთი სიტყვით, ვერელებისა და პლეხანოველების ორი არაჩვეულებრივი კამპანია შეხვდით ერთმანეთს. განუმეორებელი იყო ჩვენი პირველი ახალი წელიც — 1945 წლის საახალწლო ღამისთევა ღუღუნიშვილების დიდებულ ოჯახში, პასტერის ქუჩაზე. ამ ოჯახის ქალიშვილი, ციალა, ჩვენი ინსტიტუტის ამხანაგი იყო. მამაც ინჟინერი ჰყავდა, უთბილესი კაცი, არ დამავიწყდება, იმ ახალწლებზეც რა სიყვარულით გვიმასპინძლა მთელმა ოჯახმა.

სწორედ მაშინ იყო, ბიჭები ერთმანეთთან პირველად რომ შევმღერდით. დორიანმა გიტარა მოიმარჯვა, ზურაბმა და გურამ მირიანაშვილმა იქით პირველ-მეორე ააწყვეს და მეც აქედან ხელად ბანი მივეცი, რაც, როგორც მაშინ ამბობდნენ, ცუდად არ გამომდიოდა. ამ თვალსაზრისით, სუფრაზე ახლაც არა გვიშავს, რა...

ასე რომ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ერთმანეთის წყალობით, შესაშური სტუდენტობა გვქონდა. თითქმის მთელი პოლიტექნიკური ჩვენი იყო. მე და ნოდარ გრიგორაშვილი ხომ სამთო გეოლოგიურზე ვსწავლობდით, ნოდარ მგალობლიშვილი, გურამ მირიანაშვილი და დორიან კიტია არტიტექტურულზე იყვნენ, ზურაბ კარგარეთელი ჰიდროტექნიკოსი გახლდათ, ირაკლი ჯანელიძე და ირაკლი ბაირამაშვილი — მექანიკოსები, ოთარ ჩარკვიანი – ენერგეტიკოსი. მარტო ჯიმი ანთელავა გვყავდა სამედიცინო ინსტიტუტში, ისიც თავისი დიდი ოჯახური ტრადიციის ერთგულების გამო, თორემ ალბათ, ინჟინრობის ბაცილას ვერც ის გადაურჩებოდა!

ერთი ჩვენი უახლოესი ადამიანიც სწავლობდა მაშინ არქიტექტურულზე, მამაჩემის მეგობრის შვილი — თამაზ თევზაძე, მაგრამ

ის სასწავლებლად მალე მოსკოვში გადავიდა. მიუხედავად ამ ბავშვობის დროინდელი სიახლოვისა, თამაზი ჩემს ცხოვრებაში, ასე მკვიდრად, ალბათ, მაინც უფრო ლამარამ შემოიყვანა, ისა და ჩემი მეუღლე ბავშვობიდან თანშეზრდილები არიან.

თამაზი არა მარტო კარგი არქიტექტორი, არამედ საოცარი ნებისყოფის კაციცაა. მიუხედავად მხედველობის დაკარგვისა, დღემდე რჩება ძალზე შემართულ, საზოგადოებრივად აქტიურ მოქალაქედ, თავის დროზე, იგი თბილისის მთავარი არქიტექტორიც გახლდათ, ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს უთუოდ ეხსომება ეს ამბავი.

რახან თამაზი ვახსენე, ალბათ, ჩემი მეუღლის მხრიდან შემომატებულ სხვა ჩვენს უახლოეს მეგობრებზეც უნდა ვთქვა ორიოდე სიტყვა... მაგალითად, ნიაზ ხოფერიაზე — შესანიშნავ ქიმიკოს-ტექნოლოგზე, რომელიც ერთხანს რუსთავის ქარხანა „აზოტის“ დირექტორადაც მუშაობდა; ცნობილ ფსიქიატრზე – გაიოზ შარაშიძეზე, რომელსაც უყვარს გახუმრება, თქვენ ყველანი ჩემი პაციენტები ხართო; სცენარისტსა და მსახიობზე – გია ბადრიძეზე; ჩვენს ნოდარ ნაკაშიძეზე, თავისი განუმეორებელი სიმღერებით; ნიკა ჩერქეზიშვილზე – საერთაშორისო იურისტსა (არსებობს ასეთი სპეციალობაც) და ღირსეულ სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწეზე, მართალ კაცზე, რომელმაც ერთხანობა საკმაოდ კარგად იჟურნალისტა კიდევაც.

არ შემიძლია, არაფერი ვთქვა რეზო ჩხეტიაზე – ცნობილ დასტაქარსა და საიმედო პიროვნებაზე. მე და რეზოს ქვეყნის მართვასა თუ მის მესვეურებზე მსჯელობისას ყოველთვის დიდი თანამოაზრეობა გვქონდა, ჩვენი შეხედულებები თუ შეფასებანი თითქმის ყოველთვის ემთხვეოდა ერთმანეთს. გავიხსენებ თენგო ბაქრაძესაც – თბილისის ერთ-ერთ კოლორიტს... გული მწყდება, რობ ბევრი მისი მონაყოლი მხოლოდ ზეპირსიტყვაობად დაგვრჩა და ვერ დაიწერა!.. ძალიან თბილად მაგონდება ჩვენი ჟორა გრიგორაშვილი – ექიმი-პოდპოლკოვნიკი.

მინდა, ასევე გამოვარჩიო რევი ჩიქოვანისა და გულიკო გერსამიას შესანიშნავი წყვილი და მართლაც მაღალი საზოგადოებრივი ღირებულების მქონე ოჯახიც. რევი პოლიტიკასა თუ ფეხბურთში უაღრესად კომპეტენტური და უტყუარი შეფასებებით დაგამახსოვრდებოდათ, გამორიცხული იყო, შეცდომა დაეშვა. გულიკოს კი ვინ არ იცნობს – მედიცინაში სახელოვანი ქალია, არ აკლია არც რანგი და არც წოდებები.

ჩვენს სამეგობროს ნამდვილად ჰქონდა ერთი უპირატესობა: მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე არაერთ ჩვენს ამხანაგს უმუშავია სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე, ჩვენს წრეში მოსახვედრად მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა არასდროს ყოფილა ვინმესთვის არც აუცილებელი და არც საკმარისი. ჩვენი სამეგობრო ჩამოყალიბდა მოწაფეობისას და ყმაწვილკაცობისას, სკოლასა თუ ინსტიტუტში, ამიტომაც დავრჩით ბოლომდე ასე შეკრულები.

ცოტა ზემოთ უფრო მამაკაცები ჩამოვთვალე, „სიის„ სისრულისთვის კი, ალბათ, ქალბატონებიც არ უნდა დავივიწყო... იგივე ჩვენი ცხოვრების თანამგზავრები: ნანა ქიქოძე, მაია თოფურიძე, თამუსი ფანცულაია, მანანა ასათიანი, დინარა კემულარია, ტატა მგალობლიშვილი, მარინა ბოკერია, ინგა კარგარეთელი, მარინა მგალობლიშვილი-მირიანაშვილი, ლანა საყვარელიძე-კიტია... უკლებლივ ყველა – სათნო, კეთილშობილი და საქმიანი პიროვნება!

ამას წინათ შევხვდი ჩემს თანაკლასელებს – ლალი ახმეტელს, ჯანიკო სირიას და ლეილა ცერცვაძეს. მათთან გამოსაუბრებამ ისევ სკოლის წლები გამახსენა და დამაბრუნა იმ საოცარ სამყაროში, ბავშვობა რომ ჰქვია!..

ახალგაზრდობა იმიტომაცაა უბედნიერესი ხანა, რომ ძნელად, ურთიერთობის სიხარულისთვის მერე ასე მოიცალო ადამიანმა. იმ დღეს მე და ნიაზმა ჩვენი პირველ-მეორეკურსელობა გავიხსენეთ... ჩვენი ფაკულტეტების მეზობლობა უშანგი ჩხეიძის ქუჩის კუთხის იმ მშვენიერ შენობაში, რომელიც მოგვიანებით პოლიტექნიკურ ტექნიკუმს რომ დაუთმეს; ჩვენი პირველი სტიპენდიები და იერიშები პლეხანოვზე მდებარე ერთ ლუდის ბარზე და კიდევ სხვა მრავალი.

მაგრამ უკვე მეორე კურსზე ინსტიტუტის კომკავშირულმა ხელმძღვანელობამაც მომაგნო და თავისუფალი დრო არასდროს მქონია. მაგრამ ამას მეგობრებთან ჩემი ურთიერთობებისთვის ხელი არ შეუშლია. უფრო პირიქით კი ნამდვილად იყო — ამ ჩემს კომკავშირულ საქმიანობაში, შეძლებისდაგვარად, ისინიც მუდამ გვერდზე მედგნენ.

ამასთან დაკავშირებით ერთი ასეთი შემთხვევა მინდა გავიხსენო. მაშინ ნიაზ ხოფერია ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის წევრი და ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირის მდივანი იყო და ამიტომაც, ბუნებრივია, როგორც ინსტიტუტის კომკავშირის მდივანი, სხვებზე მეტად მას ვტვირთავდი.

ერთხელაც, შევიტყვეთ, რომ დათიკო გამრეკელია თბილისში

ჩამოსული, სასტუმროში გაჩერებულა. დათიკოს სიმღერით აღფრთოვანებელი იყო მთელი მაშინდელი თბილისის საზოგადოება, ახალგაზრდობა პირდაპირ აღმერთებდა. ასე რომ, ამ ამბის გაგებისთანავე, ვაფრინე სასტუმროში სასწრაფოდ ნიაზი და დორიანი, რომ როგორმე ჩვენს სტუდენტობასთან შეხვედრაზე დაეთანხმებინათ.

ხელმოტეხილი დახვედრიათ, თაბაშირით ხელშეფუთნილი, თან თურმე, ვიღაცას ნარდს ეთამაშებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი კაცი დაუზარებლად გამოჰყვა!

ხალხით გადატენილ სააქტო დარბაზში მოვუწყვეთ შეხვედრა. ახალგაზრდობა აღფრთოვანებას ათასგვარად გამოხატავდა. დათიკო მაშინ ძალიან პოპულარული გახლდათ, თანაც მოსკოვში მოღვაწეობდა და ქართველობა მის ნახვასა თუ მოსმენას მუდმივად ვიყავით მონატრებული. თუმცა იმ ჯერზე არ გვიმღერა – ხელმოტეხილი კაცის სიმღერა ვინ ნახაო... მიუხედავად იმისა, თითოეულ ჩვენგანს მაინც პატარა დღესასწაულად დაამახსოვრა ის თავისი სტუმრობა.

დავით გამრეკელის ხსენებამ ერთი ასეთი შემთხვევა გამახსენა... 1974 წლის ზაფხულია და ოჯახთან ერთად ბიჭვინთაში ვისვენებ. ჩვენთან ერთად, ასევე, ოჯახებით, ისვენებენ ჯანსუღ კახიძე, დათიკო გამრეკელი, ზურაბ ანჯაფარიძე და არაერთი სხვა გამოჩენილი პიროვნება მოსკოვიდან თუ ლენინგრადიდან.. ხომ წარმოგიდგენიათ, მათი მონაწილეობით რა არაჩვეულებრივი საღამოები გაიმართებოდა?! იმ დღეების დავიწყება უბრალოდ შეუძლებელია. ეს იყო სიმღერის, ოხუნჯობის, მხიარული სჯა-ბაასის, ურთიერთპატივისცემისა და, სიყვარულის განუმეორებელი ნაზავი. ის საღამოები დღესაც მენატრება!..

მაშინ დედაქალაქის მერობიდან ახალი მოხსნილი ვიყავი და ამ მშვენიერ საზოგადოებაში ყოფნა ჩემთვის ყოველგვარ „ფსიქოთერაპიაზე" ეფექტური აღმოჩნდა. სამწუხაროდ, აღარც ერთი ამ ზემოთ ნახსენებ პიროვნებათაგან დღეს უკვე ცოცხალი აღარ არის...

ბიჭობიდან ერთი კარგი მეგობარი გვყავდა, შედარებით გვიან შემომატებული — გივი ჯანიკაშვილი. ჩვენი დიდი პოეტის ქალიშვილზე — მანანა ასათიანზე იყო შეყვარებული. ერთ დღესაც, ბიჭებს მოგვეჩვენა, რომ გივი სადღაც დაგვეკარგა. გვერდზე აუტყდა ცუნცული. ვაკეში ცხოვრობდა, რიგის ქუჩაზე, არადა, სულ სანაპიროზე, ახლა ყავლაშვილის სახლი რომ ჰქვია, იმ მიდამოებში, ტრიალებდა!

გივის საკუთარი მანქანა ჰყავდა, „ვოლგა". ერთხელ ავაკითხეთ

შინ, რაღაც გეგმები გაგვიჩნდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, კარი დაკეტილი დაგვხვდა — არ გაგვიღო! რასაკვირველია, ჩვენც კარგი ეშმაკები ვიყავით და ოდნავადაც არ დაგვიჯერებია იმ დაკეტილი კარის ამბავი. ვითომ წავიდ-წამოვედისავით, მაგრამ სინამდვილეში, იქვე ჩავუსაფრდით.

მართლაც, გავიდა ხუთიოდე წუთი და გივი გამოვიდა სახლიდან. ისეთი მოპრანჭულია, ავ თვალს არ ენახვება. თავის დღეში ჰალსტუხი რომ არ კეთებია, ლამის თეთრი ხელთათმანები აქვს იდაყვებამდე ამოცმული. წავიდა თავისი მანქანისკენ. ზურამ, მე წავალ და უკანა სავარძლის ქვეშ ჩავუწვები, თქვენ კი აქედან სეირს უყურეთო. ხელად მოიფიქრა რაღაც საეშმაკო, როგორც იცოდა ხოლმე.

მოკლედ, გავიდა გივი ეზოდან თავისი მანქანით ისე, რომ არც ეჭვობს, უკანა სავარძლის ქვეშ რომ ზურაბია. ჩვენც იქვე, შორიახლოდან ვუთვალთვალებთ, რა და როგორ მოხდება.

სადღაც, მე-9 საავადმყოფოსთან, გივიმ შეაჩერა მანქანა და შევიდა მის მოპირდაპირე კაფეში. ორიოდე წუთში ისევ გამოჩნდა, უზარმაზარი ტორტით ხელში! მერე გამოაღო მანქანის კარი, რასაკვირველია, უკან გაუხედავად და დიდი ამბით დააბრძანა ტორტი წინა სავარძელზე. მიუჯდა საჭეს და ის იყო, დაქოქა მანქანა, რომ ზურგიდან უცაბედად მეხივით დაატყდა თავს ეს ჩვენი ზურაბიც. საწყალი, ისე შეაშინა, რომ კაციშვილი ვერ გაარჩევდა, საით საჭე მოექცა და საით — ის მისი სანაქებო ტორტი.

ზურაბმა კი, იმ შეშინებულზევე, არ დაუგვიანა საქმის გარჩევა: ეგ როგორ უნდა გავიგოთ, რომ ასე საკუბოვედ მოპრანჭული, ჩვენთვის ანგარიშის ჩაუბარებლად სადღაც მიბრძანდებიო. ამ დროს მანქანის მეორე კარში ჩადგა ჩვენი პუჭურაც, გრიგორაშვილი. ახლა იმან მოთხოვა ამ საწყალს ანგარიშის ჩაბარება!

ერთი სიტყვით, გასარკვევი ხელად გაარკვიეს: პაემანი ჰქონია დანიშნული, გაგანია საქორწილო სამზადისში ყოფილან...

ასეთი შემთხვევების გახსენება სიამოვნებასთან ერთად ტკივილსაც მგვრის, რადგან ბევრი ჩვენი მეგობარი უდროოდ წავიდა ამქვეყნიდან გივი ჯანიკაშვილი, გურამ მირიანაშვილი, ოთარ ჩარკვიანი, რეზო ჩხეტია, ნოდარ მგალობლიშვილი და ნოდარ გრიგორაშვილი, დორიან კიტია, ჯიმი ანთელავა, რომელიც თავისი ექიმობით, სათითაოდ სულს აქეთ გვიბერავდა, იმქვეყნად კი თავად გაგვასწრო.

მინდა გავიხსენო ზურაბ აბზიანიძე, ჩემი დეიდაშვილი, ჩემს ხელში გაზრდილი და დავაჟკაცებული ლამაზი ახალგაზრდა, სოფ-

ლის მეურნეობის წარჩინებული სპეციალისტი. ცხოვრებისრთულ პერიოდებში ყოველთვის გვერდში მედგა, ძალიან დამწყვიტა გული მისმა უდროოდ გარდაცვალებამ.

არ ვიცი, კიდევ რამდენი წელიწადი უნდა ვიცოცხლო, რომ დავივიწყო მამია მეგრელიშვილი — მეზობელი, უფროსი მეგობარი და პარტიული ამხანაგი, ვისთანაც თითქმის ჭერგაუყოფელი ჭირი და ლხინი მაკავშირებდა. გარკვეულ წლებში, ჩემი კომკავშირული კარიერის აღმავალ ფაზაში, მამია ჩემი უშუალო უფროსიც ყოფილა, მაგრამ ის იყო უფროსი, რომელსაც პატივსაც სცემ და შეკამათებასაც უბედავ. თუმცა, ვინც მიცნობს, იცის, რომ შეკამათებასა თუ პირში შებმას უფროსებთან არ ვიმორცხვებდი.

მაგრამ მამია ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადამიანი გახლდათ. დღემდე მიმაჩნია, რომ სწორედ მისი დამსახურება იყო თავის დროზე კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად ჩემი დაწინაურება. ერთიც მინდა შევნიშნო: მამია ერთადერთი ნომენკლატული მუშაკი იყო, ვისაც „ეძლეოდა უფლება“, მონაწილეობა მიეღო ჩემს არანომენკლატულ მეგობრულ დროსტარებებში.

გეოლოგობის თუ პარტიულ-სამეურნეო საქმიანობის პერიოდებმა არანაკლები მეგობარი და მოკეთე შემძინა. ეს ბედნიერება ნამდვილად მქონდა, რამდენიმე გულისხმიერი მეგობარი ნამდვილად გავიჩინე. როგორც ჩვენთან, საქართველოში, ისე სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და განსაკუთრებით — რუსეთში. მათ შორის არაერთი ცნობილი პოლიტიკოსი და მეცნიერია.

გამორჩევით მინდა ვახსენო გიორგი თვალჭრელიძე, დოდიკა, როგორც მეგობრები ვეძახდით — ბრწყინვალე მეცნიერი და ჩინებული ადამიანი. მასთან ულრმესი პატივისცემა და ძმური სიყვარული მაკავშირებდა.

აქვე, მინდა მოვიგონო ჩემი რუსი მეგობრები — ცნობილი მეცნიერები და უმაღლესი კლასის პროფესიონალები, ვისთანაც თანამშრომლობისა თუ თანამოაზრეობის მრავალი წელი მაკავშირებს.

ეს, უპირველეს ყოვლისა, გახლავთ ნიკოლოზ პავლეს ძე ლავეროვი, არაჩვეულებრივი ადამიანი. მაშინ სსრკ გეოლოგიის სამინისტროში მუშაობდა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების სამმართველოს უფროსად, ახლა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია.

საკმაოდ გულითადი ურთიერთობა მაკავშირებდა ალექსანდრე დიმიტრის ძე შჩეგლოვთან — ბრწყინვალე მეცნიერთან და მადნეული საბადოების დიდ სპეციალისტთან, რომელიც კარგა ხანს სსრკ

გეოლოგიის მინისტრის მოადგილე, შემდგომში კი შორეული აღ-მოსავლეთის სამეცნიერო ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე და გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორიც გახლდათ. ეს იყო არაჩვეულებრივად კეთილმოსურნე, საქმეში მეტად მომთხოვნი და მკაცრი ადამიანი. სამწუხაროდ, უკვე გარდაიცვალა.

ასე მოვდივართ ერთად მე და ჩემი მეგობრები, უკვე ათწლეულებია. მთავარია, რომ ვინც დღემდე ვართ, ერთმანეთი შევინარჩუნეთ! ჩვენი საერთო ბავშვობისა და ბიჭობის ის მოგონებები კი ახლა უკვე ხანდაზმულობას გვილამაზებს.

შემომშველებლები

ერთმანეთისთვის ხელის შეშველება ყოველთვის იყო ჩვენი უმთავრესი ზნეობრივი მაქსიმა და ცხადია, დღესაც ასე ვეხიდებით და ვეშველებით ერთმანეთს. ამ მოგონებების ამბავშიც ასეა - მეშველებიან და ჩემთან ერთად, იგონებენ ჩემი მეგობრებიც...

თამაზ თევზაძე: „თამაზ ჯანელიძე არც ისეთი რბილი და სანტიმენტალური გახლავთ, ვიღაცას რომ შეიძლება მოეჩვენოს, მაგრამ ძალიან დიდი ადამიანური გულის პატრონიცაა. უსაშველოდ ყურადღებიანია ყველას მიმართ: დამხმარე, ხელშემწყობი, გვერდში მდგომი, თუმცა თავის გაკეთებულზე ყურადღებას არასდროს ამახვილებს. ხომ იცის ზოგიერთმა, გაგაგონებს — მე ამას გიკეთებ და იცოდეო.

არასდროს დამავიწყდება წერილი, მამის გარდაცვალების დღეებში, მოსკოვში რომ გამომიგზავნა. მაშინ მეგობრებისგან თანაგრძნობის უამრავი წერილი მომდიოდა. მაგრამ თამაზისა განსაკუთრებული იყო, დღემდე ვინახავ. იცით, როგორი იყო? თითქოს ოფიციალური, საქმიანი... ხომ იცი, რომ ახლა აქ უნდა ჩამოხვიდე, შენი სამსახურის ამბავი უკვე გადაწყვეტილია, დირექტორთან ყველაფერი გავარკვიე და ამ დღეებში გელოდებაო.

თითქოს თანაგრძნობის სიტყვას არ ამბობდა, მაგრამ აქ ყველაფერი იყო, თანაგრძნობაც და თანადგომაც, არა? დედაჩემს ძალიან უყვარდა, ხშირად იტყოდა ხოლმე: "Когда он к нам приходит идаже стены смеются!"

ვერც კი წარმოიდგენთ, ისეთი საინტერესო იყო შემოქმედებით თანამშრომლობაში. 1957 წლის მსოფლიო ფესტივალს წინ უძღოდა რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალები, რომლებიც უნდა ჩაგვეტარებინა. ამ ზეიმებისთვის, სხვასთან ერთად, დედაქალაქის სათანადო გაფორმებაც გახდა საჭირო. შეგვკრიბეს მხატვრები და არქიტექტორები. შუა თათბირზე თამაზმა თქვა, ძალიან საინტერესო იქნება ამ მხრივ მოსკოვის გამოცდილების გათვალისწინებაო და რაკი იცოდა ჩემი იქაური კონტაქტების ამბავი, იქვე დამავალა, რომ ჩვენთვის გამოსადეგი რაიმე მასალა ჩამომეტანა მოსკოვიდან.

ამ იდეამ გაამართლა — მოსკოვიდან უმდიდრესი მასალით ხელ-დამშვენებული დავბრუნდი.

იყო ასეთი მეორე შემთხვევაც, მისი ცკ-ის მდივნობის დროინდელი... საუბარში დაებადა იდეა, ამის კვალად, იქვე ჩამოურეკა სსრკ მსხვილ საპროექტო ინსტიტუტებს და მთელი ჯგუფი ახალგაზრდა თბილისელი არქიტექტორებისა მიგვავლინა საბჭოთა კავშირის უდიდეს ქალაქებში სამოგზაუროდ. სწორედ არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობათა გასაცნობად, რომ წმინდა პროფესიული თვალსაზრისით, გარკვეული შთაბეჭდილება მიგვეღო. ვიყავით ლენინგრადში, მოსკოვში, კიევში, ბალტიისპირეთის ქალაქებში.

რა თქმა უნდა, უმდიდრესი ცოდნა დაგვიგროვდა. ვეზიარეთ გამოცდილებას, რომელიც ჩვენი საქმიანობისთვის შეუფასებელი იყო. თამაზმა კი, ფუნქციონერმა თამაზმა, როგორც მაშინ იცოდნენ ხოლმე თქმა, ეს ჩვენზე, შემოქმედებით მუშაკებზე, არანაკლებ იცოდა!

საერთოდ, იგი თავისი მრავალმხრივი ინტერესებით იმ სფეროში, რომელშიც მოღვაწეობდა, ყოველთვის ყველასგან გამოირჩეოდა. მისი მოწოდება და ასპარეზი ახალგაზრდობიდან ამ დრომდე გახლდათ ხელმძღვანელობა საზოგადოებისა თუ დარგისა. მიმაჩნია, რომ ბუნებით საზოგადო მოღვაწეა და ესეც ერთგვარი ნიჭია. თუმცა, არც საკუთარი პროფესიული მისწრაფებებისთვის უღალატია. ბოლომდე თავდადებითა და დიდი პრინციპულობით ეკიდებოდა და ამ ასპარეზზეც არანაკლები ორგანიზატორული ნიჭი და სახელმწიფოებრივი ხედვა გამოავლინა.

და, რაც მთავარია, ყველაფერი, რაც უკეთებია, უკეთებია ოხვრის გარეშე. მე არ მახსენდება, რომ ეთქვა, დავიღალეო. ყოველთვის შემართული იყო, მიუხედავად იმ გაუთვალისწინებელი დაბრკოლებებისა, რაც სამსახურებრივ ასპარეზზე შეხვედრია.

არც მისი ხელჩამოშვებულობა მინახავს. უფრო პირიქით — თითქოს უსამართლობა კიდევ უფრო მატებდა მობილიზებულობას. სულ ისეთ რაღაცას გააკეთებდა ხოლმე, მისი პიროვნული მნიშვნელობა იკვეთებოდა.

ხასიათიც ხომ თავისებურად განაპირობებს ადამიანის ცხოვრების წესს... ამ ხნის კაცია და დღესაც შინ უსაქმოდ ვერ ნახავ, სულ რაღაცას აკეთებს. წიგნს არ ეშვება. უჭირს მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებათა გამოტოვებაც. სულ ყოველდღიური მოვლენების კურსშია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს პოლიტიკაში ცოტა არ იყოს, ძნელია გარკვევა, თამაზს აქვს თავისი მყარი პოზიციები. ეს

ბუნებრივიცაა, მას ქვეყნის მართვის გამოცდილებაც აქვს და პრეტენზიაც ჰქონია.

ყოველთვის მომწონდა ის, რომ ეხერხებოდა საკუთარი დროის გონივრული დატვირთვა, რომ უნებურად ქმნიდა და ამკვიდრებდა, საერთო კულტურის თვალსაზრისით, ხელმძღვანელობის ნამდვილად განსხვავებულ დონეს.

პროვინციალებს არაფრით გაიკარებდა. არ მინდა, ვინმე შეურაცხვყო, მაგრამ აქ კი ნამდვილად იყო მართალი. პირდაპირობა დღესაც მისი ხასიათია. ვფიქრობ, ამისთვის თანამდებობრივი თვალსაზრისით, საკმაოდ ბევრი რამაც გადაუყოლებია.

რამდენადაც საზოგადოებასა და მით უფრო, სახელმწიფო სტრუქტურებს ვიცნობ, შემტევ ადამიანებს არასდროს სწყალობდნენ. თამაზი კი ისაა, ვისაც უბრალოდ, უჭირს რიგით მაყურებლად თუ მსმენელად დარჩენა. მაგრამ მე ამას მის სიჯიუტეს ვერ დავაბრალებდი, რადგან ვიცი, სხვისი მოსმენა თუ უცხო აზრის მოწონება-მიღება ნამდვილად არ უჭირს.

თამაზში ყოველთვის მომწონდა და მიყვარდა ის, რომ თავის პარტიულობას არასდროს მოგახვევდა. საერთოდაც, მე მიმაჩნია, რომ ქართველი კომუნისტები ამ თვალსაზრისით, ბევრად ჯობდნენ რუსებს — მათგან განსხვავებით, ორთოდოქსები არ ყოფილან! საქართველოში არ ჭირდა პარტიულ თემებზე გახუმრებაც კი. ქართული ღირებულებები მაინც ყოველთვის ყველაფერზე მაღლა იდგა და ეს ბედნიერება იყო.

ერთი ასეთი პატარა დეტალი მახსენდება 1957 წლის მოსკოვის ფესტივალიდან: სუფრაზე ზურაბ ანჯაფარიძემ და დავით გამრეკელმა მრავალჟამიერი დააგუგუნეს. წარმოიდგინეთ, რა მოსასმენი იქნებოდა! მართლაც, ტაშმა და ოვაციამ დააყრუა მთელი პავილიონი. ბუნებრივია, ამ აპლოდისმენტების ხალისით, მათაც ახლა ახალი სიმღერა წამოიწყეს. მაგრამ მე არ დამავიწყდება, თამაზის მაშინდელი რეაქცია — სხვების შეუმჩნევლად ამოუდგა უკან ზურაბს და თითქმის უბრძანა, არ იმღეროო. წარმოიდგინეთ, უკვე იმაზე ფიქრობდა, ხმის იოგები არ დაიზიანოს და გალაკონცერტზე არ შევრცხვეთო".

გოგი თოთიბაძე: „თამაზთან ჩემმა მამიდაშვილმა, ირაკლი ბაირამაშვილმა, დამაახლოვა — ერთად სწავლობდნენ. ვმეგობრობდი ირაკლის სხვა ახლობელთანაც.

თამაზს კი, მოწაფეობის დროსაც ვიცნობდი, გარკვეულ კომკავშირულ დავალებებს მაძლევდა ხოლმე. მერე, ისე მოხდა, რომ მისი

ცკ-ის მდივნობის დროს, მე უკვე სამხატვრო აკადემიის პედაგოგი, მისი ინიციატივით, საფესტივალო დელეგაციაშიც შემიყვანეს. ამ ამბავმა ძალიან გამახარა. რადგან ფესტივალზე უცხოეთიდან მხატვრებიც იქნებოდნენ ჩამოსულები.

ამ პერიოდიდან ჩვენს ურთიერთობას ალბათ, უფრო მეგობრობა უნდა დაერქვას. ხშირად ვხვდებოდით. ჩვენს საერთო მეგობრებთან. თამაზი ამ მხრივ უზადო იყო. მიუხედავად მუდმივი მოუცლელობისა, მეგობრებთან არასდროს არაფერი შეშლია. ასეთი იყო ის მთელი ცხოვრების მანძილზე და ასეთია დღესაც, როცა ჩვენი შეხვედრები კვლავ გრძელდება, თუმცა კი რამდენიმე მეგობარი უკვე დავკარგეთ.

მაგრამ ჩვენი მეგობრული სუფრები ჯერაც ხალხმრავალია. თამადაც უცვლელი გვყავს, რა თქმა უნდა, თამაზი! ჩვენ, ახლობლები ამ ამბავს, ცოტა იუმორითაც ვეკიდებით და გარკვეული ანგარიშის გაწევითაც. რაც უნდა იყოს, კაცი მთელი თავისი დღე და მოსწრება ლიდერი იყო.

ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი მის პრინციპულობას. ეს ისაა, რაც მისთვის მუდამ უმნიშვნელოვანესი იყო, იმდენადაც კი, რომ ამისთვის ძალზე ბევრი რამ გადაუყოლებია. ასეთი იყო, როცა, სულ პირველად, დატოვა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მაღალი თანამდებობრივი მდგომარეობა, ჭიათურის ქალაქკომის პირველი მდივნობა და ასეთია დღესაც, როცა ასე ვაჟკაცურად გამოიხურა საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარის კაბინეტის კარი.

კომკავშირიდან მისი წასვლაც მახსოვს... ჭიათურაში გამგზავრების წინ ჩვენმა საერთო მეგობარმა, თემო ჭყონიამ დიდებული პურ-მარილი გაუშალა, რაღაც გაცილებასავით მოუწყო. თამაზი რამდენიმე თავისი უახლოესი მეგობრით მოვიდა და მაშინ ჩვენს წრეში არცთუ ცნობილი ედუარდ შევარდნაძეც მოიყვანა. და როგორც იცის ხოლმე, თავისებურად წარმოგვიდგინა — ცოტა ქედმაღლურად და ცოტა მფარველური ტონით: მე მივდივარ, მაგრამ აქ გიტოვებთ ამ კაცს, შესანიშნავ ორგანიზატორს, რომელიც ალბათ, კარგ ხელმძღვანელობასაც გაგიწევთო. მე მაშინ სხვებთან შედარებით, კომკავშირიდან ასე თუ ისე, ვიცნობდი ედუარდს, ასე რომ, იმ შეზარხოშებულზე, დიდი პოლიტიკური მომავალიც ვუწინასწარმეტყველე. როგორც უკვე იცით, ეს წინასწარმეტყველება ნამდვილად აუხდა".

ნიაზ ხოფერია: „ჩვენ ერთად მოვდივართ თითქმის ბავშვობიდან.

თუმცა თანაკლასელები და თანაკურსელები არ ვყოფილვართ — სკოლაშიც სხვადასხვა კლასში და ინსტიტუტშიც სხვადასხვა ფაკულტეტზე ვსწავლობდით.

თამაზი ძალიან კოლორიტული ბიჭი იყო. მოწაფეობისას სვანურ ქუდს ატარებდა, სკოლაშიც და ინსტიტუტშიც ფრიადოსანი გახლდათ, ყოველთვის ყველასგან გამოირჩეოდა, ხასიათითაც, გარეგნობითაც და საზოგადოებრივი აქტივობითაც.

ბიჭებს არაფერი გვერჩივნა მასთან შეკრებას. ბაჭია ბიძია უჩვეულოდ თბილი მასპინძელი იყო, სუფრასთან ჩვენს ამხანაგად იქცეოდა ხოლმე. უყვარდა ჩვენთან ყოფნა, თანაც ქეიფს გვასწავლიდა. თითქოს ახლაც ვხედავო, ოთახში ხელს რომ მოატარებდა და იტყოდა, ეს ყველაფერი ჩემი შრომით მაქვს შექმნილიო.

მახსოვს, ჩვენი ზურა, კარგარეთელი, ერთ-ორ ჭიქაზე უკვე მთვრალი იყო ხოლმე და ბაჭია ბიძია ეუბნებოდა, ნუ სვამ, შვილო, თუ არ შეგიძლია, ყურძნად ჭამეო!!!

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ირაკლი აბაშიძის ჩვენთან მოლხენა. ერთი სუფრის ამბავი მინდა გიამბოთ. ჩვენმა სკოლის მეგობარმა, თემო ნაცვლიშვილმა, გიტარა აიღო, თავისებურად, გამაოგნებლად იმღერა და ბატონი ირაკლი ისე მოხიბლა, რომ მან იქვე, ყველას გასაგონად გამოუცხადა, კიდევ კარგი, რომ ქალი არ ვარ, თორემ ამ წუთში დაგნებდებოდიო.

არანაკლები იუმორის გრძნობა აქვს ჩვენს თამაზსაც და ჩვენს ძმობასა და ურთიერთობას ამითაც ძალიან ათბობდა.

სრული ათი წელიწედი ვიცხოვრე რუსეთში. თავის დროზე, განაწილებით წავედი ინსტიტუტიდან და ჩავრჩი ერთ დიდ ქარხანაში. ერთხელაც, თბილისში ვარ, შვებულებით. რა თქმა უნდა, თამაზი ერთ-ერთი პირველი მოვინახულე, მაშინ უკვე რესპუბლიკის კომკავშირს ხელმძღვანელობდა. რაღაც ბედად, სწორედ იმ ხანებში ჩამომაკითხა რუსეთიდან ერთ-ერთმა შეყვარებულმაც. რასაკვირველია, მაშინ მარტოხელა ვიყავი, მაგრამ იმ გოგოს შინ, მშობლებთან ნამდვილად ვერ მივიყვანდი.

ერთი სიტყვით, თამაზს მივადექი თხოვნით, სასტუმროში ნომერი მაშოვნინე-მეთქი. თბილისს გადაჩვეული ვიყავი და აღარავის ვიცნობდი. კი, კაცო, ახლავე გავაკეთებინებ რომან კურატაშვილს, ოღონდ შენი განცხადება მჭირდებაო. რა განცხადება-მეთქი. აბა, როგორ, რეზოლუცია ხომ უნდა დაგიდოო, რაღაც სხვანაირად გამეხუმრა. დავთანხმდი. მივჯექი იქვე და დავუწერე განცხადება თავის სახელზე, მთელი ჩემი გასაჭირი შიგ მქონდა ჩამოწიკწიკებული,

ბოლოს კი სასტუმროს ნომრის დაჯავშნას ვითხოვდი.

დავუდე ეს განცხადება მაგიდაზე. გამოუძახა იმ კურატაშვილს, წაუწერა რეზოლუცია: „ ამხ. რ. კურატაშვილს, დააკმაყოფილეთ ეს წუნკალი. თ. ჯანელიძე". რომანმა გამოართვა ეს ფურცელი და სულ რაღაც ხუთიოდე წუთში ისევ მოგვადგა, ამჯერად — სასტუმრო „თბილისის" ჯავშნით ხელში.

რა თქმა უნდა, იმ განცხადების ასავალ-დასავალს რაღას მოვიკითხავდი. ამ ჩემს ძმაკაცს კი შეუნახავს თურმე და საკმაოდ ხნის მერე, უკვე 38 წლის კაცს, საკუთარ ქორწილში არ ამიფრიალა ცხვირწინ და სახალხოდ არ წამიკითხა?! თან იმ გახურებულ თამადობაში ნიშნის მოგებაც რომ არ დაავიწყდა, აი, ნახეთ, როგორი წუნკალია თქვენი სასიძოო. კინაღამ ჩამიშალა ქორწილი!

თამაზი ყოველთვის ძალიან გამორჩეული, კოლორიტული და კომუნიკაბელური იყო და მართალი გითხრათ, მგონია, რომ ამაში ბუნებით გულისხმიერებაზე არანაკლებ, ეხმარებოდა თავისი კარგი განათლებაც. მაგალითად, ყველას განსხვავებულად დაამახსოვრდა ერთ-ერთი უცხოური დელეგაციის მისეული მიღება მერიაში, სწორედ იმით, რომ თამაზი ინგლისურად გამოელაპარაკა სტუმრებს, რაც მაშინ იმ წრეში საკმაოდ შთამბეჭდავი იშვიათობა გახლდათ.

ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი მის კანონმორჩილებას: რაც მე ვიცი, მოკვდება და უზნეობასა თუ უწესობას არავის აპატიებს.

მეორე უმნიშვნელოვანესი თვისება, თამაზის, როგორც მაღალი თანამდებობის პირისა, გახლდათ მისი გულისხმიერება. მისგან სიკეთემიგებული უამრავი ადამიანი მინახავს. ადამიანებთან უსაშველოდ ყურადღებიანი იყო. ერთხელ მეც მომეცა შესაძლებლობა, ეს გამომეცადა საკუთარ თავზე.

მოხდა ისე, რომ მრავალი წლის მანძილზე ვერ შეველიე სვერდლოვსკსა და მის ქიმიურ ქარხანას, სადაც თავის დროზე, ინსტიტუტიდან გამანაწილეს. ძალიან გამიგრძელდა იქ ყოფნა, მით უმეტეს, რომ თანამდებობრივად უცებ დავწინაურდი. თანაც ცოლ-შვილი არ მაწუხებდა და ალბათ, საქართველოსკენ კიდევ კარგა ხანს აღარც გამოვიხედავდი, თამაზი რომ არა.

ერთ-ერთი ჩემი ჩამოსვლის დროს უთათბირიათ ერთმანეთში თამაზსა და ჩემს ყოფილ პროფესორს, გივი მიქელაძეს, რომელიც მაშინ უკვე მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტს ხელმძღვანელობდა და ჩემი გადმოყვანა უთხოვიათ გივი ჯავახიშვილისთვის, რომელიც იმხანად უკვე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ. თამაზი

ამ დროს უკვე კომკავშირის ცკ-ის მდივანი იყო.

მოკლედ, გამომიძახეს რამდენიმე დღით და ჩამაბარეს ბატონი გივის ხელმოწერით გამაგრებული ოფიციალური საბუთი, რომ საქართველო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში დასასაქმებლად თავის ეროვნულ კადრს ითხოვდა. რა თქმა უნდა, იქ, ქარხანაში წინააღმდეგობას შევხვდი — გამოშვება არ უნდოდათ, მაგრამ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ხელმოწერას ვინ დაუმაგრდებოდა?! ასე გადმოვედი საქართველოში. თამაზის წყალობით, თორემ, ალბათ, ჩავრჩებოდი რუსეთში და დროთა განმავლობაში რუსი ცოლ-შვილიც მეყოლებოდა".

ბიძინა კვერნაძე:"ჩვენს ასაკში განსაკუთრებით საგრძნობია დროთა სვლა, გამოიხედავ და ცხოვრების ეკრანზე თურმე უამრავ პიროვნებასა თუ მოვლენას გადაუქროლია.

ამ გამოცდილებითაც, ვფიქრობ, უფლება მაქვს, თამაზ ჯანელიძეზე დარწმუნებით მოგახსენოთ, რომ ვერანაირმა დრომ და თანამდებობრივმა ცდუნებებმა ვერ შეცვალეს თუ ნაშალეს ეს ღირსეული პიროვნება!

მაღალი, თხელი, პენითა და ჯიშით გამორჩეული, ძლიერი ინტელექტისა და ნებისყოფისა... თავისი დამარწმუნებელი ქცევითა თუ საქმიანობით, იგი ყოველთვის იყო ჭეშმარიტი ინტელიგენტი და გარშემომყოფთა ნდობასა და პატივისცემასაც იმსახურებდა.

სადაც უნდა ყოფილიყო იგი, კომკავშირის ცკ-ის მდივნად, ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ თუ სხვა თანამდებობებზე, ყველგან გამოირჩეოდა მაღალი გონიერებით, ინიციატივიანობით, პრინციპულობით და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საქმიანობის მასშტაბურობით. მთელ მის ქმედებებს ყოველთვის განაპირობებდა მისივე შინაგანი კულტურა და კომპეტენტურობა, რაც მასში, ვფიქრობ, საკმაოდ თვალშისაცემია.

როცა მოგახსენებთ, ინიციატივიანია-მეთქი, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში, არ ამოვდივარ იმ კომკავშირულ თუ პარტიულ მუშაკთა აღგზნებულობიდან, საკუთარი თავის დასამკვიდრებლად მხოლოდ ლოზუნგებს რომ აიფარებდნენ ხოლმე.

კომუნისტური რეჟიმის დროს, თავისი საქმიანობის წყალობით, თამაზს, ბუნებრივია, თითქმის ყველა პროფესიის ადამიანებთან უწევდა ურთიერთობა. მაგრამ, ძალიან მნიშვნელოვანი მგონია, რომ მან ყოველთვის იცოდა, ვისთან და რატომ უნდა ჰქონოდა კავშირი ისეთ სპეციფიკურ სფეროში, როგორიცაა კულტურა და კერძოდ, მუსიკა.

ეს ის იყო, რაშიც გემოვნება თუ გუმანი არასდროს ღალატობდა. მახსოვს, მოსკოვის მსოფლიო ფესტივალის მზადების პერიოდში როგორ გამოიძახა მაშინ სულ ახალგაზრდა, უნიჭიერესი ჯანო კახიძე, რომ რაიმე ანსამბლი შეექმნა უნიკალური ქართული საგუნდო კულტურის წარმოსაჩენად და ასაღორძინებლად.

ასე, მისი ინიციატივისა და ჯანოს გასაოცარი ნიჭის წყალობით, დაიბადა ფანტასტიკური „შვიდკაცა", რომელმაც იმ საფესტივალო გრან-პრის შემდეგ, თავბრუდამხვევად წარმატებული საგასტროლო ტურნეთი მსოფლიოს არაერთი ქვეყანაც მოიარა.

თამაზის თხოვნით დაიწერა ჩვენი რეზო ლაღიძის არაჩვეულებრივი „როცა გვიხმობს პარტია", ქართველ მეყამირეთა ჰიმნი, რომელიც დღესაც გვატყვევებს თავისი ენერგიით, ეროვნული სულითა და ნამდვილი პატრიოტული გზნებით.

ლექსი თავდაპირველად, იკითხებოდა „როცა გვიხმობს სამშობლო". სიტყვა „პარტია" მასში მხოლოდ ცენზურისგან შესანიღბავად ჩააკერეს.

თამაზმა, თავის დროზე, მეც დამაწერინა ერთი ახალგაზრდული სიმღერა, მას ასრულებდა სახელმწიფო კაპელა, ბატონი მიხეილ ხახანაშვილის ხელმძღვანელობით".

მარინა ბოკერია(ჯიმი ანთელავას მეუღლე): „ თამაზს მეგობრები მუდამ თავს ერჩივნა. მუდმივი მოუცლელობის მიუხედავად, მეგობრებთან ურთიერთობა მისთვის ხელშეუხებელი იყო. მათთვის მუდამ ეცალა, რაც უნდა დაკავებული ყოფილიყო. ვერც ერთ სიტუაციას ვერ გავიხსენებ, რომ არ მოვეჯადოებინე თავისი ყურადღებიანობით.

უკვე წლებია, ჯიმი აღარ არის! ის პირველი იყო, ვინც მათ სამეგობროს გამოაკლდა. მაგრამ ეს ხალხი ჯიმის წილ დღესასწაულსა თუ საწუხარს მუდამ ჩემთან ინაწილებდა, თამაზის ცხოვრებაში, ისევე, როგორც სხვებისაში, ჯიმის ადგილი, ბუნებრივად, მე დავიკავე.

ჯიმი 56 წლისა გარდაიცვალა. მისი სიკვდილი მთელი სამეგობროსთვის პირველი ელდა და შოკი გახლდათ. მაშინ ყველა ცოცხალი იყო, ახალგაზრდებიც კი ეთქმოდათ. ჯიმის ყველა თაობის პირად ექიმად და პატრონად თვლიდა და უცებ... პირველი დარტყმა ყველას სწორედ მან მიაყენა!.

და, საერთოდაც, ამ ადამიანებს, მთელი სიცოცხლის მანძილზე, ერთმანეთზე, რომ იტყვიან, მზე და მთვარე ამოსდიოდათ. თამაზის ბავშვობისა და სტუდენტობის მეგობრები ისე იყვნენ ერთმანეთში

გადახლართულნი, რომ ყოველთვის ერთ დიდ შინაგან ერთიანობად აღიქმებოდნენ. ამ ყველას ერთად თვითონ თამაზი კრავდა და ამეგობრებდა, ეს ყველაფერში იგრძნობოდა, სუფრასთანაც და ჩვეულებრივ ადამიანურ სიახლოვეშიც.

თვითონ თამაზი კი, როგორიც მინახავს, ჩემზე ყოველთვის უჩვეულო შთაბეჭდილებას ახდენდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, აღმოვაჩინე, რომ მიუხედავად ჩვენი პროფესიული ნათესაობისა, მე მას, როგორც პროფესიონალს, საერთოდ არ ვიცნობდი.

ერთადერთხელ მოვხვდი დისერტაციის დაცვაზე, რომელზეც ის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობდა. ვგონებ, მაშინ უკვე კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორიც იყო. სრულიად შემთხვევით დავესწარი იმ სხდომას, რომელსაც იგი უძღვებოდა. შეიძლება ითქვას, რომ იქ აბსოლუტურად უცხო თვალი და ყური ვიყავი.

საუცხოო გახლდათ — მჭერმეტყველი, ანალიზური, ძალიან ლოგიკური, მკაცრი, წარმოსადეგი. ეს იყო ჩემთვის სრულიად განსხვავებული შთაბეჭდილება. მიუხედავად იმისა, რომ თამაზის მჭერმეტყველების ამბავი, თუნდაც მისი თამადობის წყალობით, სხვაზე ნაკლებ არც მე ვიცოდი.

აქვე, არ მინდა გამომრჩეს თამაზის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება და სამკაული. ეს გახლავთ მისი არაჩვეულებრივი მეუღლე, ისინი იმდენად ერთნი არიან, რომ ცოდვაცაა მათი ცალ-ცალკე აღქმა თუ მოხსენიება. ქალის ფონი მეუღლისთვის უმნიშვნელოვანესია. ამ თვალსაზრისით, ლამარა უნაკლოა გარეგნულადაც და შინაგანადაც.

ეს წრე, ეს სამეგობრო, თავიდანვე გამორჩეული იყო. ყველანი უკლებლივ საუცხოო ბიჭები იყვნენ — ნიჭიერები, სტუდენტობაშიც, პროფესიებშიცა და პიროვნულადაც ყოველთვის თვალშისაცემები და საამაყონი. შესაბამისად, ცხოვრებაშიც თითოეულმა შესაფერისი ადგილი დაიკავა.

არასდროს დამავიწყდება ამ წრეში ჩემი შესვლა, რა სიყვარულით მიმიღეს... სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო დაბადების დღეების წყალობით, მთელი ცხოვრების მანძილზე, წელიწადში სულ ცოტა, თოთხმეტჯერ მაინც ვხვდებოდით. არაფერი ჯობს მათ საზოგადოებაში მოლხენას და მათი დარბაისლური საუბრების, შეხუმრებების თუ სიმღერის მოსმენას.

ამ ერთად ყოფნებს დღემდე საჩუქარივით აღვიქვამ. თითქოს ჯიმი ისევ მათ შორის იყოს".

ნიკა ჩერქეზიშვილი: „ჩემთვის ყოველთვის მისაღები გახლდათ თამაზი — ჩინოვნიკი, თუმცა, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, თბილისში რომ დაბრუნდი და, როგორც გაზეთ „ზარია ვოსტოკაში გამოქვეყნებული კრიტიკული სტატიის ავტორი (იგი კომკავშირის ცკ-ის პლენუმს ეხებოდა), საქართველოს კომკავშირის ცკ-ის პირველ მდივანთან — თამაზ ჯანელიძესთან დამიბარეს, მაინცადამაინც არ მიყვარს ამ ეპიზოდის გახსენება.

მიუხედავად იმისა, რომ თამაზი მაშინ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ვგონებ, ერთადერთი პირველი მდივანი იყო, ვინც ჩემს შენიშვნებს, მაშინ არც თუ ცნობილი ჟურნალისტის შენიშვნებს, საკმაოდ კონსტრუქციულად მიუდგა.

ამის მერე თამაზი მეგობართა წრეში გავიცანი, შეიძლება ითქვას, რომ ხელახლა. თუმცა, აკი ვთქვი, რომ იმ პირველი შეხვედრითაც თავი საკმაოდ ტაქტიან, კონსტრუქციულად მოაზროვნე და ადამიანურად მისაწვდომ პიროვნებად დამამახსოვრა. მაგრამ ეს უკვე ის წრე იყო, ვინც მიყვარს და ვისთანაც, აგერ უკვე მთელი ცხოვრებაა, მოვდივარ ოჯახებითა თუ სულიერი ნათესაობით და გამოვიდა, რომ მე ამ ჩემი სამეგობროთი თამაზის წრეს როგორლაც ბუნებრივად დავუკავშირდი.

მე თამაზს ვხედავ, როგორც დიდ პიროვნებას, ძალიან გონებაგახსნილ და ნაღდ ადამიანს, ძალზე განათლებულ კაცს, ამ მხრივ სრულიად გამორჩეულს ჩვენს ყოფილ კომკავშირულ თუ პარტიულ ელიტაში. არ დამავიწყდება, როგორი იყო იგი ახალგაზრდობის მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალზე, რომელზეც ის საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა.

ეს იყო თეთრჩოხიანი მაღალი, ლამაზი მამაკაცი, ნამდვილი აპოლონი. დიდებული ორატორი გახლდათ — იქ მყოფებში შესანიშნავი რუსულით გამოირჩეოდა. იმ დღიდან დიამეტრულად შემეცვალა მასზე წარმოდგენა, საქართველომ თავისი ეროვნული თვითმყობადობით, მართლაც გაიბრწყინა იმ ფესტივალზე და ეს ამ აპოლონივით ლამაზი კაცის დამსახურებაც იყო.

ერთი საერთო მეგობარი გვყავდა — ჯიმი ანთელავა. ფაქტობრივად, ერთად გავიზარდეთ. თამაზს მის დაბადების დღეებზეც ვხვდებოდი და ვხედავდი, რომ ამ სუფრებზეც თავის სტიქიაში იყო, იმ ადამიანების გვერდით, რომლებიც ძალიან უყვარდა. ეს იყო უაღრესად საინტერესო შეხვედრები, უმნიშვნელოვანესი საუბრები, რომლებშიც პირადად, ჩემთვის ყოველთვის ყველაზე არსებითი

იყო ხოლმე მისი პოზიცია — ქართველი პატრიოტის პოზიცია.

ძალიან ცოტას ვიცნობ ისეთს, თამაზთან ერთ საფეხურზე რომ დავაყენებდი. იგივე შემიძლია ვთქვა მასზე თვითრეალიზების თვალსაზრისითაც. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობა, პარტიის ჭიათურის ქალაქკომის პირველი მდივნობა, თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეობა... განა ეს რეალიზება არ არის? ყველგან იღვაწა, ყველგან — გარკვეული კვალი დატოვა, რაც ქალაქელ კაცს შეეფერებოდა და შეეძლო, აკეთა.

მაგრამ ერთია საქმის კეთება და მეორე ის, მუშაობას შენთვის რამდენად მისაღებ სიტუაციაში ახერხებ. ამით იმის თქმა მინდა, რომ პიროვნება მაინც იჩაგრებოდა. ეს, ერთი შეხედვით, თამაზზე თითქოს არ ითქმის, მაგრამ მე მაინც მიმაჩნია, რომ ეს ასეა. თუმცა, ვფიქრობ, მას ცოტათი ეშველებოდა ედუარდ შევარდნაძესთან კარგი ურთიერთობა.

ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით ძვირფასი გახდა ჩემთვის და მიუღებლად მეჩვენება დაუსაქმებლად რომ დარჩა. რადგან მიმაჩნია, რომ ეს ის კაცია, ვინც არ უნდა დაიკარგოს. ლაპარაკი მაქვს სახელმწიფო მოღვაწეობის მისეულ გამოცდილებაზე, მით უმეტეს, რომ დღემდე აქტიური ადამიანია და შესანიშნავადაც აზროვნებს. ამდენად, მიმაჩნია, რომ მას კიდევ შეუძლია, რომ გამოადგეს ქვეყანასაც და საზოგადოებასაც“.

მაია თოფურიძე: „თამაზ ჯანელიძის ოჯახთან მეგობრობის 55 წელიწადი მაკავშირებს, რაც ჩემი თანაკლასელი და უახლოესი მეგობარი ლამარა ურიდია მისი მეუღლე გახდა. ეს ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობა, ვფიქრობ, მაძლევს უფლებას, მისი პიროვნული თვისებები შევაფასო.

თამაზი ნამდვილი მეგობარია, თავდადებული, ერთგული, უღალატო. ეს ნახევარი საუკუნეა, ყოველ საოჯახო ზეიმზე გვკრებს თავის უახლოეს მეგობრებს და მიუხედავად თავისი მაღალი თანამდებობრივი მდგომარეობისა, ერთი შემთხვევაც არ დაუშვია, რომ ჩვენთან ერთად, რომელიმე თავისი ნომენკლატურული ამხანაგი მოეპატიჟებინა, მიუხედავად იმისა, რომ მასთან დაახლოებას ცოტა არ ცდილობდა.

თამაზს ჩვენს წრეში გაჭირვების ტალკვესად იცნობენ. ღმერთმა ყველას მისცეს გაჭირვებაში მისნაირი გულშემატკივარი და თანამგრძნობი. ყველა ჩვენგანს ახსოვს ასეთ დროს თამაზის გვერდით დგომა, ისე, როგორც ეს მხოლოდ მას შეუძლია.

ბუნებამ იგი, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზატორად გააჩინა.

ვფიქრობ, ამაში დამეთანხმება ყველა, ვისაც მისი ხელმძღვანელობით უმუშავია. მაგრამ ასე მგონია, რომ აქ უდიდეს როლს ასრულებდა თამაზის მაღალი ინტელექტი და ჩინებული განათლებაც. მე კარგად მახსოვს მისი მერობის დროს ჩვენთან სტუმრად მსოფლიოს ქალთა დელეგაციის ჩამობრძანება. თამაზმა მათ დიდებულად უმასპინძლა, პირდაპირ მოხიბლა თავისი ელეგანტურობითა და კარგი ინგლისურით, რითაც მაშინდელი პარტიულ-სამეურნეო მუშაკები ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდნენ. ამის შესახებ მათ მაშინ კიდეც განაცხადეს პრესაში, ისეთი მერი, თბილისელებს რომ გყავთ, არც ერთ ქალაქში არ შეგვხვედრიაო.

ცალკე თემაა თამაზის პრინციპულობა. ვინც მას იცნობს, ისიც ეცოდინება, რომ ამ საქმეში შეღავათები მან, უბრალოდ არ იცის. ამასთან დაკავშირებით, ერთი ასეთი ამბავი მინდა მოვყვე... ის იყო, ჩემმა მეუღლემ ავტოფარეხის მშენებლობა წამოიწყო, რომ ამგვარი მშენებლობები კანონით საერთოდ აიკრძალა. სწორედ იმ ხანებში ერთი მეგობარი გვესტუმრა და გვითხრა, ის დროა, თქვენი ავტოფარეხი აიღოთო. რატომო, გაკვირვებით ჰკითხა ჩემმა მეუღლემ. რაო, არ გაგიგიათ, რომ ჩვენი თამაზი დღეს ქალაქის მერად დაინიშნაო?

თამაზი გამორჩეული მეოჯახეა, სამსახურებრივი მოუცლელობის მიუხედავად, ყოველთვის ახერხებდა და ასწრებდა ყველასთვის სანიმუშო მამობას. მშვენიერი, ჭკვიანი, თავდაჭერილი და იშვიათი ტაქტის ქალბატონის მეუღლეა, ისა და და ლამარა ურიდია ერთმანეთს ყველა ასაკში საკმაოდ საინტერესოდ ავსებდნენ. მათ ოჯახში ყოველთვის არაჩვეულებრივი ატმოსფერო იყო და ასეა დღესაც.

ერთ-ერთი, რაც ძალიან მომწონს თამაზში, მისი ანალიტიკური აზროვნებაა. ის უბრალოდ არაფერს კითხულობს, უბრალოდ არაფერს უყურებს. ხელოვნების ნაწარმოები იქნება ეს თუ პოლიტიკური რეალიები, მაშინვე იწყებს მოსმენილისა თუ ნანახის ღრმა გაანალიზებასა და საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებას.

მისი ხასიათის ამ მხარეში არაერთხელ დავრწმუნებულვარ. ერთ მაგალითს მოვიყვან: თამაზი ავად იყო, მივედი მის მოსანახულებლად. როგორც ექიმს, მაშინვე მიჩვენა სისხლის ანალიზის პასუხი. არ მოისვენა, სანამ დეტალურად არ გამარჩევინა ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

თამაზი ყველასადმი კეთილგანწყობილი პიროვნებაა, არასოდეს სხვისი მაგინებელი კაცი არ ყოფილა. მაგრამ პირშიმთქმელი კია, რის გამოც არაერთხელ დაზარალებულა. თუმცა თავად ბოლომდე მოახერხა, რომ ამ წვრილმანებზე მაღლა დამდგარიყო.

და, ბოლოს, ჩემი შთაბეჭდილებით, იგი არა მარტო ნიჭიერი, არამედ საკმაოდ მუყაითი კაციცაა. საზოგადოებრივი მოღვაწეობის პარალელურადაც კი ახერხებდა ხოლმე სამეცნიერო მუშაობას, ამის შედეგია მისი ათობით სამეცნიერო სტატია და მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი".

რეზო ჩხეტია: „მე და თამაზი ერთმანეთს თითქმის ქვისლებად ვერგებით — ჩვენი მეუღლეები, ნანა ქიქოძე და ლამარა ურიდია, არა მარტო დედისერთები, ბავშვობიდან დებზე უკეთესი დები არიან. ამასთან, ნანა მარინას ნათლიაცაა.

ჩვენი ძმობა 1954 წლის გაზაფხულიდან დაიწყო, აპრილში, როგორც კი მე და ნანამ ვიქორწინეთ. მერე აღმოჩნდა, რომ მსოფლმხედველობითაც და ადამიანური პოზიციებითაც ერთნი ვიყავით და ერთმანეთი სხვა სიტუაციაშიც რომ გაგვეცნო, მაინც ძმები გავხდებოდით.

საათობით გვისაუბრია. ამ საუბრების უმთავრესი ღირსება ის გახლდათ, რომ ერთმანეთის აზრი ყოველთვის გვაინტერესებდა. რა თქმა უნდა, ცხარედაც გვიკამათია, მაგრამ ყოველთვის — დასაშვების ფარგლებში.

თამაზში ყოველთვის მიზიდავდა ის, რომ იგი იყო არა უბრალოდ განათლებული და ნაკითხი პიროვნება, არამედ სწორედაც რომ წიგნის კაცი. არ მახსოვს, წიგნი დამესახელებინა და მას წაკითხული არ ჰქონოდა. და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი მგონია, იგი არასოდროს ყოფილა დოგმატიკოსი, როგორც იმ სტრუქტურების წარმომადგენელთა უმეტესობა. ყოველთვის ჰქონდა თავისი მიუკერძოებელი პიროვნული პოზიცია და შეეძლო, მოვლენები საკმაოდ შემოქმედებითად შეეფასებინა.

ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენი ბორჯომული საღამოები. მე ადრეც ვმუშაობდი ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, ახლა სამედიცინო აკადემია რომ დაარქვეს. იმ დროს კი, ახლა რომ ვიგონებ, მასალებს ვაგროვებდი სადისერტაციო თემისთვის და თანაც, პარალელურად, ბორჯომის ერთ-ერთ სანატორიუმში ვიყავი ექიმ-კონსულტანტად.

თანაც, ერთი დამსვენებელი მყავდა ჩემს იქაურ იზოლირებულ ბინაში — ჩვენი თამაზი, რომელსაც, სწორედ იმხანად, შვებულება ჰქონდა. მთელი ოცი დღე ერთ ოთახში ვიცხოვრეთ. დღისით, სანამ მე სანატორიუმში ვიყავი, კითხვით კლავდა დროს, საღამოობით კი თავს ჭადრაკითა და ნარდით ვიქცევდით, რა თქმა უნდა, არც კარგი საუბარი და ჯანსაღი კამათი გვაკლდა.

იცით, რა მინდა ვთქვა? თამაზმა მოახერხა, ჩემს წარმოდგენაში დღემდე დარჩენილიყო სრულყოფილ პიროვნებად, მორალური სიწმინდის განსახიერებად, მის პიროვნულ სიწმინდეში ვერავინ გადამარწმუნებს. ყოველთვის შორს იყო მომხვეჭელობისგან. მე, როგორც ახლობელი, უშუალო მოწმე ვარ იმისა, როგორ უცებ გაუჭირდებოდათ ხ̣ოლმე ეკონომიურად, როგორც კი თამაზის რომელიმე სამუშაო ადგილის გარეშე დარჩებოდნენ.

ამით იმის თქმა მინდა, რომ მიუხედავად რიგი თანამდებობრივი პრივილეგიებისა, მუდამ პრობლემებით ცხოვრობდა. ეს ნამდვილად ვიცი, ისევე, როგორც ის, რომ მსგავსი ეკონომიური და ყოფითი სიძნელეებისგან მაშინდელი პარტიულ-სამეურნეო ელიტის უმეტესობა აბსოლუტურად დაზღვეული იყო.

ეს არის თავიდან ბოლომდე მეგობრებისთვის დაბადებული კაცი. ამის ერთგვარი თვალსაჩინოებაა მისი მეგობრული სუფრები, რომლებზეც, რაც მე მახსოვს, არც ერთ მის პარტიულ თუ საუწყებო კოლეგას და ნაცნობს არ გაუჭაჭანებია. ყოველთვის იკრიბებოდა მხოლოდ ერთი და იგივე წრე ადამიანებისა და ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ჩვენ, მისი მეგობრები, მაქსიმალურად გახსნილები ვყოფილიყავით.

სხვაგვარად რომ ვთქვა, თამაზმა მეგობრების მოვლა იცოდა. ამიტომ იყო, რომ იგი სულ იოლად უმეგობრდებოდა თავისი მეგობრების მეგობრებსაც. ერთი რამ ყოველთვის იტაცებდა — საინტერესო ხალხთან შეხვედრა.

გია ნადარეიშვილთან ვმეგობრობდით, ცნობილ საჭადრაკო კომპოზიტორთან. მისი წყალობით, არაერთ მოჭადრაკეს შევხვედრივარ, მათ შორის — ბოტვინიკსაც. ერთხელაც, მახსოვს, მაშინ მიხეილ ტალი იყო ჩამოსული თბილისში, მე და ნანამ თამაზთან და ლამარასთან სტუმრობა გადავწყვიტეთ. მათთან კი სწორედ მიხეილ ტალი არ დაგვხვდა?! სპეციალურად მიეწვიათ შინ სასაუბროდ. მერე თამაზი სულ მეხუმრებოდა, მაშინ ხელი შემიშალეთო.

გუშინდელივით მახსოვს თამაზის პირველი დაბადების დღე, რომელზეც როგორც ახალი სიძე და მეგობარი, მეც მიწვეულთა შორის აღმოვჩნდი. ეს იყო 1954 წელი. ირაკლი აბაშიძე თამადობდა. მაშინ ლამარა და თამაზი ბაჭია ბიძიასთან ცხოვრობდნენ. იმ სუფრიდან თამაზის ერთი გეოლოგი მეგობარიც მახსოვს — მგონი, კუკური დევდარიანი, დევდოს ეძახდნენ. ცოტა მსახიობური ნიჭი ჰქონდა და ბიჭებმა, დიდი ხვეწნით, „ოტელოდან“ ფრაგმენტი წააკითხეს.

მერე, წამოსვლისას, ვნახე, რომ ეს ჩვენი მთვრალი დევდო ვი-

ღაცას ერთ ოთახში ტახტზე მიეწვინა, გულზე ფურცელი დაედო და დაეწერა: „ოტელოს ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა!“ ამ ტექსტის ავტორი ნოდარ გრიგორაშვილი იყო, მას საგანგებოდ დაეთრო დევდო, რომ ეს ოინბაზობა ჩაედინა.

კაცს დამხმარე ნუ დააჭირვოს ღმერთმა, თორემ, ალბათ, ძნელად იშოვის თამაზზე უკეთეს ახლობელსა და ჭირისუფალს. ამ მხრივ, ალბათ, ენაც ვერ გამოთქვამს, ეს ჩვენი მეგობარი იმდენად საიმედო კაცია. ისე მოხდა, რომ ჩემი ორივე ვაჟიშვილის დაბადების დროს მივლინებაში ვიყავი და თამაზმა გაუწია ჩემს მეუღლეს პატრონობაცა და ჭირისუფლობაც. მერე ხუმრობდა ხოლმე, ეს სადაური სამართალია, რომ ჩხეტიამ ბიჭები აკეთოს და სამშობიაროდან მე გამოვიყვანოო.

ერთხელ მანქანის გამოყვანა მოვიწადინე, რიგით კი არა და არ მეღირსა. მაშინ ინსტიტუტში პარტკომის მოადგილე ვიყავი, თამაზი ამ დროს უკვე მერიიდან წამოსულია, მაგრამ ვთხოვე, მომხედე-მეთქი. წავიდა და მირეკავს ბახვა ლობჟანიძის კაბინეტიდან: შენი ამბავი რომ ავუხსენი, ბახვამ მითხრა, რატომ ჟიგული, იქნებ „ვოლგა“ მივცეთო. „ვოლგა“ მაშინ დიდი იშვიათობა იყო, მაგრამ ამათ, ვითომც მაღალხელფასიანი ხარ, თანაც მეცნიერი და არა ვაჭრობის მუშაკი და შენ თუ არ გერგება, ვის ერგებაო. ესეც მაგალითია ჩვენი ურთიერთობისა — მეგობრისთვის ასეთი ინიციატივების დაზარება არ იცოდა“.

ბაბულია შელია (მამია მეგრელიშვილის მეუღლე): „შეიძლება ღვიძლი და-ძმა გყავდეს და ისეთი სიყვარული თუ გაგება არ გქონდეთ ერთმანეთთან, თამაზსა და ჩემს მეუღლეს რომ ჰქონდათ. მე სულ დავცინოდი ხოლმე, ერთმანეთი ასე თუ გიყვართ, იმ ტენისის კორტზე ერთმანეთს ასე რაღატომ ებრძვით-მეთქი.

თამაზი ჩვენზე რამდენიმე წლით უმცროსია.... როდესაც მამია კომკავშირის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი გახდა, მოგეხსენებათ, კარგს ყველა ამჩნევს და მანაც სწორედ იმ წლებიდან დაიმახსოვრა თამაზი — - ძალიან გონიერი ნიჭიერი, კომუნიკაბელური, უაღრესად შემოქმედებითი. რაც მე ვიცი, სულ ასეთი იყო. მაგრამ მე მაინც ვიტყოდი: ის რომ ასეთია, ეს, უპირველეს ყოვლისა, ლამარას დამსახურება გახლავთ, აქ ქალის როლი ძალიან დიდია.

მამიასა და თამაზს ერთად დიდხანს არ უმუშავიათ, თუმცა, ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. მეტი რა სიყვარული გინდათ: ჩვენ ვაჟიშვილი რომ დავაქორწინეთ, თამაზმა ითამადა, მაგათ ქალიშვილი რომ გაათხოვეს — მამიამ. როგორ უნდა უყვარდეს ერთმანეთი ორ

ადამიანს, რომ ყველაზე სანუკვარის — შვილის ქორწილის გაძღოლა ერთმანეთს ჩააბარონ.

ჩვენ ყოველთვის არა მარტო კარგი მეზობლები, ძალიან ახლობლებიც ვიყავით. თამაზი და მამია დღეს არ დააღამებდნენ უერთმანეთოდ. მეც, ჩემდათავად, ისე განვიცადე ჭიათურაში მაგათი გადასვლა, რომ მამია სულ დამცინოდა, კაი, ასე ნუ განიცდი, შენც გადაგიყვანთ ჭიათურაშიო.

ეს გახლავთ არაჩვეულებრივი ცოლ-ქმარი. უჩვეულოდ კარგი და დადებითი პიროვნებები არიან ორივენი. მე, რასაკვირველია, თამაზს არ ვუკარგავ თავის სიკეთეს, მაგრამ, როგორც ქალმა, ვიცი, რომ ამ ყველაფერში ლამარას ლომის წილია!

არ ვიცი, ამქვეყნად კიდევ თუ არსებობენ ასეთი თბილი და კეთილშობილი ადამიანები. მამია რომ დაიღუპა, ყველანაირად მხარში ამომიდგნენ, რა არ გააკეთეს, გვერდიდან წუთითაც არ მომცილებიან.

თამაზმა მამიას სიკვდილი ისე განიცადა, კაცი ისე ალბათ, მარტო მამის სიკვდილს განიცდის. რა თქმა უნდა, ეს არ იყო საჩვენებელი მწუხარება. მას მამია მართლა სისხლხორცეულად უყვარდა.

საერთოდაც, ასეთები არიან — უსაშველოდ ყურადღებიანები. ამ სამი წლის წინათ, იშემიით რომ გავხდი ავად, ორ დღეს ზედიზედ არ გაიყვანდნენ, რომ რომელიმე არ გადმოსულიყო. დახმარება იყო თუ ადამიანური სითბო, არ მოუკლიათ. ვეხვეწებოდი, ნუ მიკეთებთ მაგას, შემიძლია იმდენი, რომ წამალი ვიყიდო-მეთქი, მაგრამ არაფერი გამდიოდა. სამაგიეროდ, მე მინდაო და აკეთებდა. ეს მისი შინაგანი მოთხოვნილება იყო და დამთავრდა... უნდა მიგელო!

სხვა ამ თავის სიკეთეს ქვეყანას დაანახებდა! ესეც ადამიანის ბუნებაზე ლაპარაკობს. ასეთები არიან ორივენი. მე მათ ერთი წუთითაც ვერ დავაშორებ ერთმანეთს, ისინი ერთნი არიან დღემდე და მე, როგორც მათ ახლობელს, ეს ძალიან მახარებს“.

თამაზი და... მორჩა!

ზეზვა ცისკარიშვილის ნაამბობიდან

„თამაზისთვის პაპა ან ბაბუა არასდროს დამიძახია, თამაზი და მორჩა! ალბათ, იმიტომ, რომ რაც თავი მახსოვს, ძმაკაცად და მეგობრად მყავდა. ორივეს ძალიან გვიყვარდა ერთად ყოფნა. თამაზს მე ვეამაყებოდი, რადგან მისთვის არა მარტო სიყრმის შვილიშვილი, არამედ ნანატრი ბიჭიც ვიყავი; მე მეამაყებოდა, რომ თამაზის შვილიშვილი ვარ და მას ყოველთვის ახარებს ჩემს გვერდით ყოფნა.

თამაზს შინ, თავისი სამუშაო კაბინეტის ერთ კედელზე უკიდია ცნობილი კარიკატურისტის — გიგლა ფირცხალავას მეგობრული შარჟი, რომელზეც ერთ დროს მათთვის ტრადიციული საჩოგბურთო შეხვედრების აბსოლუტურად ყველა პერსონაჟი არის გამოსახული. მე მაშინ ასე 10-11 წლის ვიქნებოდი და კარგად მახსოვს, ისა და მისი სამეგობრო ერთ კვირა დღეს არ გადაატარებდნენ „დინამოს“ კორტებზე ჩაუსვლელად.

რა თქმა უნდა, მეც მუდამ თან ვახლდი ხოლმე, ჩემი პატარა ბიჭური თავმოყვარეობისთვის უზარმაზარი პატივი იყო ამ გასაოცარ მამაკაცურ კომპანიაში მოხვედრა. ჩემთვის ეს მთელი რიტუალი გახლდათ: შაბათს მიმიყვანდნენ ხოლმე ბები-ბაბუსთან, რომ ღამით მათთან დავეტოვებინეთ, კვირა დილას კი, ასე 8 საათისთვის, უკვე საჩოგბურთოდ გამოწყობილები ვიყავით.

ჩოგბურთის თამაშს აუცილებლად მოჰყვებოდა ხოლმე მამაკაცური საუნა, რომელიც ცნობილი პიროვნებების თავშეყრას უფრო ჰგავდა. ამ თავშეყრებზე საინტერესო საუბრებს ენაცვლებოდა კიდევ უფრო საინტერესო მოგონებები. ეს ყველაფერი ერთად და ცალ-ცალკე კი, პატარა ბიჭისთვის არა მარტო უჩვეულო შთაბეჭდილებები, არამედ კაცობის დიდი გაკვეთილიც იყო!

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი ურთიერთობის რომელიმე ეტაპზე ბაბუა ჩემდამი განსაკუთრებულ სიმკაცრეს ან მომთხოვნელობას იჩენდა. ამას ალბათ, უფრო განებივრება ერქვა. ყოველთვის ცდი-

ლობდა, რომ ჩემთან ახლოს ყოფილიყო. ძალიან ვუყვარდი და ასე მგონია, რომ ახარებდა ჩემთან ყოფნა. ასეთივე რბილად და დათმობით მექცეოდა ბები ლალულაც, რომელსაც ოჯახში უფრო მკაცრი ადამიანის რეპუტაცია ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, მე მისიც არანაკლები ნებიერა ვიყავი, ამიტომ, სანამ წამოვიზრდებოდი, ღამით მათთან დარჩენა, ბუნებრივია, ყველაფერს მერჩივნა.

მახსენდება თამაზის ერთი დაბადების დღე, მათთან სახლში გაშლილი, მეგობრებით გადაჭედილი სუფრა. თამადად, რა თქმა უნდა, მისი ერთ-ერთი მეგობარი იყო, მოადგილედ კი, რატომღაც, მე დამაყენეს. მაშინ პირველკურსელი გახლდით და, რასაკვირველია, ეს უსაშველოდ მეამაყებოდა.

შევუდექი ჩემი ფუნქციის შესრულებას, როგორც ამას ქართული სუფრის ტრადიცია მოითხოვს. რამდენიმე სადღეგრძელომ ჩამოიარა და ჯერი მიდგა სუფრის წევრი ერთ-ერთი მშვენიერი ქალბატონის დღეგრძელობაზე, რომელიც ბაბუას უახლოესი მეგობრის — ცნობილი ექიმის ჯიმი ანთელავას მეუღლე გახლავთ.

როგორც უკვე ვთქვი, პირველკურსელი ვარ, უნივერსიტეტელი. თანაც, ეს ის დროა, პირველ სემესტრს ვხურავ. ერთი სიტყვით, აქ, სუფრაზე დავაპირე თავის გამოჩენა და ძალიან ავიტაცე ქალბატონი მარინას სადღეგრძელო. რა ქათინაური არ ვუთხარი და მათ შორის, ესეც — ძალიან მიხარია, რომ გაგიცანით და აწი ამ მეგობრულ სუფრებზე ალბათ, ერთმანეთს ხშირად შევხვდებით ხოლმე, მაგრამ უცებ ვიგრძენი, რომ ქალბატონ მარინას გამომეტყველება ცოტათი ნამდვილად შეეცვალა. ყველაზე გამანადგურებელი მაინც მისი რეპლიკა იყო: უკვე სამი თვეა, სტატისტიკის კურსს გიკითხავ და მიხარია, ახლა მაინც რომ გაგიცანიო. რასაკვირველია, ამის მოსმენას მეხის გავარდნა მერჩივნა. გაგიჟდნენ თამაზი და ლამარა. რა თქმა უნდა, იქ, სუფრაზე გაიცინეს სხვებთან ერთად, მაგრამ ამ ამბავს ყურაუწევლად მაინც ვერ გადავურჩი — მოგვიანებით, ძალზე მძიმე საუბარი გვქონდა!

ამ თვალსაზრისით, პატარაობა გაცილებით სახალისო იყო. ლამარასა და თამაზს მოგზაურობა უყვარდათ და მეც, როგორც წესი, ამ მოგზაურობების ყველაზე საპატიო მონაწილე ვიყავი. მაგალითად, მათ შემომატარეს მთელი სვანეთი. ახლაც ყურში მიდგას მათი ხმები, რა სიყვარულით მიყვებოდნენ თითოეულ სიძველესა თუ ადგილზე. დღესაც სიამაყით მახსენდება, როგორი სიყვარულით ხვდებოდნენ იქაურები თამაზს, რა პატივს მიაგებდნენ, ან სიტყვით, ან საქმით როგორ აფასებდნენ.

თუმცა, მაინც... ამ ჩემი ბავშვობის დროინდელი მოგზაურობების გვირგვინია ვლადივოსტოკი, სადაც ასევე, მათთან ერთად ვიმოგზაურე. ეს იყო 1983 წელს. ეს ზუსტად ის წელიწადია, რუსებმა სახალინის თავზე კორეული თვითმფრინავი რომ ჩამოაგდეს. ამ მოგზაურობიდან გამორჩეულად მახსოვს აკადემიკოსი ალექსანდრე დიმიტრის ძე შჩეგლოვი — თამაზის მეგობარი, სამეცნიერო წრეებში ძალიან ავტორიტეტული ფიგურა.

ვისვენებდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის სანატორიუმში, სადაც ზღაპრული პირობები იყო და ძალიან ეგზოტიკურად — ზღვის პროდუქტებით გვიმასპინძლდებოდნენ. ასე რომ, თავისთავად, ეს საუზმე-სადილებიც მიღვივებდა უჩვეულობის განცდას და შთაბეჭდილებებით მტვირთავდა. მაგალითად, მე კარგად მახსოვს, რომ მაშინ გავუსინჯე გემო პირველად კალმარებსა და რვაფეხას.

ერთი სიტყვით, იმდენად ვერ ვერეოდი შთაბეჭდილებებს, რომ ცხოვრებაში პირველად და, ალბათ, უკანასკნელადაც, დღიურების წერა დავიწყე. ნამდვილად ვიცი, რომ ლამარას სადმე აუცილებლად ექნება, როგორც იცის ხოლმე, ისე, სათუთად შემონახული. იმ ორი კვირის თითოეული დღის შთაბეჭდილებები მაქვს დაწვრილებით აღწერილი, იქ რომ გავატარე. ვწერდი და თან ხმამაღლა ვხარხარებდი: სწორედ იმ დღეებში ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებს ვკითხულობდი და, რა თქმა უნდა, ესეც საკმაოდ მამხიარულებდა.

არასდროს დამავიწყდება ჩემი თევზაობა კამბალაზე, რომელიც გული მოგიკვდებათ, ისეთ სისაწყლეს იჩენს — ფაქტობრივად, თვითონ გაჭერინებს თავს: ერთი ანკესის ჩაშვება უნდა, ეგრევე დევს ფსკერზე. ასე რომ, ნამდვილად არ გამჭირვებია — ყოჩაღად დავიჭირე ის ჩემი ერთი კამბალა. მერე შჩეგლოვმა წაგვიყვანა თავის აგარაკზე და გაგვიმასპინძლდა იმ ჩემი კამბალით მომზადებული „უხით", რომელიც, სხვათა შორის, სულაც არ მომწონებია.

ვლადივოსტოკური არდადეგებიდან კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა მახსენდება, ეს უკვე ყვინთვასთან არის დაკავშირებული. ყვინთვა ძალიან მიყვარდა, ვერთობოდისავით. ერთხელაც, ოკეანეში იახტით გამიყვანეს. ჩვეულებისამებრ, გადავხტი წყალში და ვხედავ, ჩემს ცხვირწინ, მთელ გაყოლებაზე უშველებელი ბადეა. ცოტა კიდევ უფრო მივუახლოვდი და მაშინ შევამჩნიე, რომ ერთგან უზარმაზარი ადგილია ამოჭმული, კაცმა არ იცის, როდინდელია. თავზარი დამეცა! ისე პანიკურად შემეშინდა, ეგეთი სისწრაფით ალბათ, არავის უცურავია. ცურვა კი, იცოცხლეთ, მაშინ მართლა კარგი ვიცოდი. ჯერ კიდევ გაგრაში მასწავლა ჟენია პრიმაკოვმა.

თუმცა, ახლა ალბათ, ასეთ სპორტულობაზე თავს ვეღარ დავდებ...

ჩემგან განსხვავებით, თამაზი ყოველთვის შესაშურად სპორტული იყო. ამ ბოლო ხანებში გულთან დაკავშირებით რომ არ გასჩენოდა პრობლემები, ვერც კიბე და ვერც ადამიანი ვერ აჯობებდა. ეს კარგად ჩანდა მისი საძმაკაცოს საჩოგბურთო რიტუალებზეც. მთელი კვირის განმავლობაში დღეებს ვითვლიდი ხოლმე, როდის მოვიდოდა კვირა დღე და შევძლებდი თამაზის საძმაკაცოს ამ შეხვედრაზე მოხვედრას, რომლებზეც ბაბუ განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენიებდა ბატონებს – მამია მეგრელიშვილს, კიტა შავიშვილსა და თეიმურაზ დავითაშვილს.

მე და თამაზი ფეხბურთის ფანატიკოსი გულშემატკივრები ვიყავით, 1981 წელს, თბილისის „დინამომ" თასების თასი რომ აიღო, ამ თამაშს მასთან ვუყურე, მე და თამაზმა მაშინ ძალიან ვიმხიარულეთ, ვიოხუნჯეთ, ერთმანეთს ვეფერეთ და არ დაგვიკლია არაფერი.

მატჩი რომ დამთავრდა, მთელი თბილისი, ერთი კაცივით, ფეხზე დადგა და გამოვიდა ქუჩაში. დინამოსთან დროშების ფრიალი იყო. მახსოვს, თამაზმა არ დაიზარა, ჩამისვა მანქანაში, სტადიონთან წამიყვანა და ის დროშების ფრიალი და ღვინის სმა სხვანაირად დამამახსოვრა. ეს იყო ისეთი რამ, ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი ბაბუა რომ არ გააკეთებდა! ცხრა წლის ბიჭს შუაღამით შინიდან არ გაიყვანდა და იმ გასაოცარ ემოციურ მუხტს არ გადასდებდა, ბედნიერებისგან ერთიანად რომ გადაებრწყინებინა მთელი იმ ღამის თბილისი.

არაჩვეულებრივად მახსოვს 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, სულ რაღაც ექვსი წლისამ ეს მოვლენაც გუშინდელივით დავიმახსოვრე. იმიტომ, რომ იმ ფინალის დღეს, თამაზთან რომ გავატარე, შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილ გულშემატკივრად ჩამოვყალიბდი. ისიც კი მახსოვს, მთელი ჩემი ოჯახი ჰოლანდიას რომ გულშემატკივრობდა, მე კი ჯიუტად, არგენტინისთვის თავს ვიკლავდი. თანაც, თითქოს მათ ჯიბრზეო, არგენტინამ მართლა მოიგო და ჩემი სიხარულით პირდაპირ შევაწუხე ამ ამბით ისედაც დამწუხრებული ეს ამოდენა ხალხი — სულ მოძრაობა, ხტუნვა და ქუჩაში გასვლა მინდოდა...

მაშინ ბაბუამ მითხრა, ახლა ქუჩაში პატარა ბავშვების გარეთ გასვლა არ შეიძლებაო და თუ მაინცადამაინც, გახვალ, მაშინ აუცილებლად მანქანაში უნდა დაიმალო, თორემ მილიცია გაგაჩერებთო. ეს შიში დამრჩა: სახლში რომ წავედით, სულ გული მისკდებო-

და, რომ მილიციას არ გავეჩერებინეთ და არ წავეყვანე.

ძალიან მიყვარდა თამაზთან, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში მისვლა. უცნაურად მიზიდავდა მისი კაბინეტი, თავისი ტელეფონებითა თუ სელექტორით, მომწონდა, თითს რომ დააჭერდა ღილაკს და თანამშრომელს გამოიძახებდა. ამის ცქერა ერთი სიამოვნება იყო ჩემთვის, როცა ძალიან პატარა ვიყავი. მერე, უკვე მოწაფეობის დროს, ლამარას ლაბორატორიაშიც გადავდიოდი ხოლმე, ქიმიაში მამეცადინებდა. ქიმიაში გამოულევლად, სულ პრობლემები მქონდა და ლამარას, რასაკვირველია, თავის პირად შეურაცხყოფად მიაჩნდა, მისი შვილიშვილის განათლებაში სწორედ ამ ხაზით რომ ჩნდებოდა სერიოზული ხარვეზები.

ასე რომ, კვირაში რამდენჯერმე, მათი ინსტიტუტის სტუმარი ვიყავი. ჯერ აუცილებლად თამაზთან უნდა შემერბინა, რადგან იქ ჩემთვის საინტერესო სამყაროს — ქანების, ქვების, მინერალებისა და სხვა ასეთების — თითქოს ნაწილი ვხდებოდი და ეს საოცრად მართობდა. ძალიან მომწონდა ბაბუას თანამშრომელთა ჩემდამი დამოკიდებულებაც. მაამაყებდა ის აზრი, რომ მათ იცოდნენ, რომ ბაბუა მიყვარს და რომ მასაც ასევე ვუყვარვარ. მით უმეტეს, რომ არანაკლებ სითბოსა და სიყვარულს ბაბუასადმი მათგანაც ვგრძნობდი.

ახლაც უყვართ. ეს მიგრძვნია ყოველთვის, როცა კი მიმიყვანია თამაზი მანქანით ინსტიტუტში. ეზოში, ორწუთიანი შეხვედრითაც კი უგრძნობინებიათ, რომ ნამდვილად სითბო და მონატრება აკავშირებთ ამ ადამიანთან. უამრავი პიროვნება ვიცი, ვინც წამოსულა სამსახურიდან და მორჩა, იქაურობის მონახულება კიდეც რომ მოუნდეს, აღარც მიესვლება. მე, რასაკვირველია, ჩემთვის, ვიცოდი, რომ ბაბუას შემთხვევაში ამგვარი რამ გამორიცხული იქნებოდა, მაგრამ ცოცხალი შთაბეჭდილება სულ სხვაა და, რა თქმა უნდა, მე ეს მსიამოვნებს.

მით უფრო, რომ თამაზი ჩემთვის ყოველთვის სამაგალითო იყო. რაც თავი მახსოვს, სულ მშურს მისი მოწესრიგებულობის, ვისურვებდი, რომ თავადაც ნაკლებად მოშვებული ვყოფილიყავი. მთელი ეს წლებია, თამაზი ჩემს განიერ, „ჩაფართხუნებულ“ შარვლებს ემტერება, უნდა, რომ მარტო შინაგანად კი არა, გარეგნულადაც სულ შემართული და პეწიანი ვიყო. იმიტომ, რომ თავად ასეთია — ჩაჩაჩული, მოშვებული, რაიმემორღვეული თამაზი არასდროს არავის უნახავს. იმიტომ, რომ იგი, ასეთი, ბუნებაში უბრალოდ, არ არსებობს! ძალიან აკურატულია. ცხადია, ეს ყველაფერი ბებიაჩემის

დამსახურებაცაა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მისი ხასიათია და ეს მის პირად ნივთებს, სამუშაო ხელსაწყოებს, წიგნებს, უკლებლივ, ყველაფერს ეტყობა. მისი ყველაფერი ყოველთვის გადაპრიალებულია, მაგრამ ეს არ არის პედანტობა, რადგან პედანტობა ალბათ, ადამიანებთან ურთიერთობაში უფრო ვლინდება, ის კი ადამიანებთან ყოველთვის შეძლებისდაგვარად, ღრმა, ღია და პირდაპირია, რასაც მისთვის არაერთხელ ხელიც შეუშლია.

ძალიან მოწესრიგებულია, მაგრამ ეს ალბათ, უფრო იმ ტიპის მოწესრიგებულობაა, მარტო გარეგნულად თვალში საცემი რამეებით რომ არ გამოიხატება. მაგალითად, ბაბუ ნამდვილად არ ჩარეულა ჩემთვის პროფესიის არჩევაში. უბრალოდ, მიიღო ჩემი არჩევანი და პატივი სცა მას. სტუდენტობის დროსაც არც მაინდამაინც შევუწუხებივარ ჩემი სწავლის საქმეებში ჩარევით, მაგრამ, სამაგიეროდ, დიპლომზე რომ მიმიდგა საქმე, მასალებით ისე დამეხმარა, ახლა რომ ვფიქრობ, ნამდვილად გამიჭირდებოდა იმ უყველაფროდ ფონს გასვლა და იქნებ, დიპლომიც ვერ დამეცვა, იმიტომ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მონაცემები წყალქვეშა წყლების, ჰაერის დაბინძურებისა თუ სხვათა შესახებ სწორედ მან მომაწოდა. ძალიან დამეხმარა წიგნებითაც და სხვა მასალებითაც.

ახლა რომ ვუკვირდები, თავისი ენერგიულობითაც და მობილურობითაც, თამაზი ყოველთვის სანიმუშო იყო არა მარტო ჩემთვის. ორიოდე წლის წინათ, საავადმყოფოში რომ დავანვინეთ, ისეთ ხალისიანობას იჩენდა, ექიმები ამბობდნენ, არ გვჯერა, რომ ესაა მისი მაჩვენებლებიო, რადგან ამ კარდიოგრამის მიხედვით, ცოცხალმკვდარი უნდა იყოს, ფაქტობრივად, გადადებული კაციაო. ის კი მაშინაც ყოველდღიურ მოვლენებში იმდენად იყო ჩართული, უგაზეთოდ და ახალი ამბების მოუსმენლად, დღე არ გამოუტოვებია.

დღემდე უზარმაზარი შთაბეჭდილების ქვეშ მამყოფებს თამაზის ურთიერთობა თავის მეგობრებთან. არაჩვეულებრივი ადამიანები არიან, გამორჩეულები. სამწუხაროდ, რამდენიმე უკვე გამოაკლდათ. ერთი-ორჯერ შევესწარი, რა დღეში ჩავარდა, მეგობრის გარდაცვალება რომ შეატყობინეს, დავინახე, რამოდენა დარტყმა მიიღო. მაგალითად, მახსოვს, როგორ ჩაიკეტა თავის კაბინეტში და იქამდე არ გამოსულა, სანამ ამ ცნობას მეტ-ნაკლებად არ გადახარშავდა. ყოველთვის უჭირდა ხოლმე საკუთარი განცდების გამოხატვა, ახლაც ასეთია. არც თავისი ტკივილის სხვისთვის ჩვენება უყვარს.

მეგობრები თამაზისა და ლამარას სისუსტეა! ამაშიც ერთნი

არიან, ამ ადამიანების წყალობით, თავიანთ დაბადების დღეებს ნამდვილ ფოიერვერკებად აქცევენ ხოლმე. ეს მით უფრო ასე იყო მაშინ, როცა თამაზი თავს გაცილებით ჯანმრთელად გრძნობდა. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ასე გახლდათ მისი ინფარქტის დროსაც. იწვა თამაზი თავისთვის საავადმყოფოში, მისი უახლოესი საძმაკაცო კი, რესტორან „ძველ სახლში" ერთად სვამდა მისი დაბადების დღისას, გამოჯანმრთელებისას და დღეგრძელობისას; უკვე იმის აღსანიშნავად, რომ, ყველას ერთად და ცალ-ცალკე, მთავარი საფრთხე უკან გვქონდა მოტოვებული!

ეს იყო მართლაც არაჩვეულებრივი საღამო, მიუხედავად თამაზის იქ არყოფნისა... რადგან იმ ყველაფერს, რაც მაშინ იქ ხდებოდა, მაინც ბაბუაჩემის სულიერი ენერგია, სითბო და სიყვარული ავსებდა.

აი, როგორი კაცია თამაზ ჯანელიძე, აი, როგორი რაღაცები შეუძლია, რომ დაგამახსოვროს და მთელი ცხოვრების მანძილზე გაგაყოლოს შთაბეჭდილებად; ანუ როგორ გეამხანაგოს, როცა მხოლოდ ექვსი წლისა ხარ, ან თუნდაც ოცდაათი წლისა. როგორ გასწავლოს, რომ სიცოცხლე, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ადამიანური ურთიერთობებით არის მშვენიერი და რომ კიდევ უფრო მთავარია, ამ მთავარი რაღაცების ფასი და ყადრი რომ იცოდე.

მთელი ამ ჩემი მონაყოლის ხერხემალი კი, რასაკვირველია, გახლავთ ის, რომ თამაზი ჩემთვის ყოველთვის ბაბუაზე გაცილებით მეტი იყო. რაც თავი მახსოვს, ჩვენ სულ მეგობრები, თანატოლები ვიყავით. დარწმუნებული ვარ, ასეთივე განცდა ექნებათ ჩემს დასა და დეიდაშვილებსაც.

მე მთელი შვიდი წლით უფროსი ვარ თორნიკესა და ლელაზე. ნინო პატარაა, მაგრამ ეს ორი უკვე იმდენად დამეწია, რომ დაოჯახდნენ კიდეც. მე და ჩემი დეიდაშვილი თორნიკე უძმობას არასდროს შევუწუხებივართ. ამის გაფიქრებაც კი შეუძლებლად მეჩვენებოდა ხოლმე. ჩვენ, ფაქტობრივად, ერთად გავიზარდეთ: თამაზის გვერდით, მისი მაგალითითა და გავლენით, დღესაც ძმები ვართ და ეს ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო თავდაჯერებაა.

ჩვენი და თამაზის ურთიერთობა — თბილი, მეგობრული, კაცური ურთიერთობა კი, რასაკვირველია, კვლავ არსებობს და რაც მთავარია, იგი რაღაცით ამეტებს უბრალო ბაბუაშვილიშვილობას.

მაგრამ აი, გავიდა დრო და წლებმა ჩვენს ურთიერთობაში სხვა სიფაქიზეც შემოიტანა — ნიცა, ჩემი პაწია ქალიშვილი, თამაზის თვალში, ალბათ, ჩემი ყველაზე დიდი მეტოქე! წყნეთში სულ რაღაც

სამიოდე თვისა რომ ავიყვანეთ, იქ, ოთხ თვეში ისეთი სასწაულები დაატრიალა — ისე გაიზარდა და ჩამოყალიბდა, რომ მგონი, თამაზის გული საბოლოოდ წაგვართვა მეცა და დანარჩენ შვილიშვილებსაც! ბაბუა ხომ გასაოცრად თბილი ადამიანია?.. მაგრამ მალე საქმე ისე წავიდა, რომ ნიცასაც გაუჩნდა კონკურენტი — დაჩი, ჩემი დის, ლელას ვაჟიშვილი!.. თუმცა ასევე მალე მასაც ჩამოართვეს მთავარი ფავორიტობა და ეს ჩაიდინა ნიკო აბულაძემ! ჯერჯერობით, სანამ მასაც არ ჩამოართმევენ“...

რატომ წამოვედი დეპარტამენტიდან

ცოტა ზემოთ, ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ამ ბოლო დროინდელ გასაჭირებზე რომ ვწერდი, ინსტიტუტს შენობა მაინც შევუნარჩუნეთ-მეთქი, შევნიშნე ერთგვარი სიამოვნებითა და ცოტა სიამაყითაც.

ეს, რასაკვირველია, ფაქტია, მაგრამ როგორც დარგის ყოფილ ხელმძღვანელს, სამწუხაროდ, ალბათ, მაინც გამიჭირდება, რომ ეს განწყობა ჩვენი უწყების სხვა ობიექტებზეც გავავრცელო.

რადგან სხვა შემთხვევაში სიუჟეტი სწორედაც რომ ზემოთ თქმულის საპირისპიროდ, ანუ ჩვენი რეალობისთვის უკვე ტრადიციულად, განვითარდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენს საზოგადოებაში რატომღაც რა ხანია, „დაბალ ღობედ“ აღიქმება ისეთი დაწესებულებები, როგორებიცაა ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები.

2002 წლის 17 მაისს, ღამის ორ საათზე ჩვენი დეპარტამენტის ერთ-ერთი შენობა ე.წ. „ლტოლვილებმა“ იერიშით აიღეს, თანაც ისე ვანდალურად, რომ ამ დარბევის შემსწრე ჩვენმა რამდენიმე დარაჯმა, უბრალოდ, ვერ შეძლო მათთვის წინააღმდეგობის გაწევა.

ლაპარაკია საბურთალოზე, ჯიქიას ქუჩის 8ა-ში მდებარე შენობაზე, რომელშიც გეოლოგიის დეპარტამენტის 5 დიდი საწარმო (ყოფილი ექსპედიციები) იყო განთავსებული.

ბარემ აქვე დავაზუსტებ: ეს შენობა აგებულია გეოლოგიის ყოფილი სამმართველოს სახსრებით. სწორედ აქ გვქონდა თავმოყრილი ძირითადი გეოლოგიური ინფორმაცია: ანგარიშები, პროექტები, გრაფიკული მასალა, საბუღალტრო დოკუმენტაცია და ამ ყველაფერთან ერთად, რასაკვირველია, სათანადო ინვენტარიც.

ვცდილობ, მკითხველი არ გადავღალო ამ ვანდალური აქტის ცალკეული დეტალების აღწერით. ვიტყვი მხოლოდ, რომ მოძალადე ბრბომ უცერემონიოდ „დაიპყრო“ ჩვენი შენობის ოთხივე სართული და ბარბაროსულად გადაქელა იქ დაცული მთელი უძვირფასესი გეოლოგიური მასალა, რომლის ნაწილიც გასათბობად ღუმელებს შეუკეთეს, დანარჩენი კი მიყარ-მოყარეს შენობის სხვენსა თუ სარ-

თულების სველ წერტილებში. ასე რომ, ფაქტობრივად, ერთი ხელის მოსმით, მოისპო და განადგურდა ყველაფერი, რასაც წლების მანძილზე ჩვენ იქ ვინახავდით და ვიცავდით!

რასაკვირველია, შეგვეძლო, რომ ძალისმიერი მეთოდებით გამოგვეყარა ისინი შენობიდან, როგორც ეს არაერთხელ გვიქნია შედარებით მცირემასშტაბიანი, მაგრამ არანაკლებ აგრესიული მათი შტურმებისას, მაგრამ ამჯერად, სხვა ხერხის გამოყენება ვარჩიეთ. რადგან გვინდოდა, რომ ჩხუბი, აყალმაყალი და შესაძლოა, მათთან ხელჩართული დაპირისპირებაც თავიდან აგვეცილებინა. არც ის ვიკადრეთ, რომ მუქთა ბინების შოვნაზე გამეცადინებულ ამ ადამიანებთან საქმის გარჩევებს გადავყოლოდით. მით უმეტეს, რომ ვიცოდით — ლტოლვილი მათ შორის, მართლა თითებზე ჩამოითვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს თითქმის შეურაცხადი კატეგორია ადამიანებისა, მოქმედებდა სწორედ მათი სახელით!

თანაც, აკი სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშენებთო და საქმის განხილვა მივანდეთ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, რომელმაც ეს დავა გადაწყვიტა, რასაკვირველია, შენობის კანონიერ მფლობელთა, ანუ გეოლოგთა სასარგებლოდ. მაგრამ, ლტოლვილებმა გასაჩივრების რაღაც დაუსრულებელი კამპანია წამოიწყეს. ზუსტად ხუთი სასამართლო პროცესი ჩატარდა, თითქმის ყველა დონისა — რაიონულიც, საოლქოცა და უზენაესიც კი.

ყველა ამ სასამართლომ გაიზიარა პირველი გადაწყვეტილების მართებულობა, ანუ ჩვენ, გეოლოგებს დაგვიჭირეს მხარი!

ახლა — როგორი სიტუაცია შეიქმნა: ჩვენ ვცდილობთ, რომ დავიბრუნოთ საკუთარი შენობა და გარეთ გამოყრილი ჩვენი 600 სპეციალისტი რამენაირად ისევ შევაბრუნოთ წაბილწულ თუ წართმეულ თავიანთ სამუშაო ადგილებზე, ისინი კი, რასაკვირველია, არ გვეპუებიან — ლტოლვილის სტატუსს ამოფარებული ადამიანები, რომლებიც, სინამდვილეში, სულაც არ არიან ლტოლვილები! მათი აგრესია არა და არ ცხრება: უნდათ, შენობები ხელში ჩაიგდონ და მერე გაყიდონ! მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებაც ჩვენს უფლებებზე ლაპარაკობს, პოლიციაც მხარში გვიდგას და საცაა, შენობასაც მთლიანად დავიბრუნებთ.

მაგრამ... არავინ თქვას, ამ მოძალადე კატეგორიას ვიღაცის ძლიერი ხელი არ მფარველობსო! რადგან... ამ შუა განამაწიაში, სრულიად მოულოდნელად, წამოგვეწია პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ყოვლად უპრეცედენტო გადაწყვეტილება. რომ დაგვკავშირებოდა და საქმის ნამდვილი არსი შეეტყო, ყველაფერი უმ-

ტკივნეულოდ მოგვარდებოდა და აღარც ჩვენ, პროფესიონალები დავრჩებოდით ამ უმართებულო ვერდიქტით გულნატკენები და შეურაცხყოფილები.

მაგრამ, იმას, რაც უკვე მოხდა, ალბათ, აღარაფერი ეშველება... მხოლოდ ამ ჩავლილი ამბების ერთი საგაზეთო კომენტარი მინდა შემოგთავაზოთ. ანუ ის, რითაც გამოეხმაურა ჩვენს დეპარტამენტში შექმნილ სიტუაციასა და მასთან დაკავშირებულ ქვეყნის პრეზიდენტის რეაქციას გაზეთი „24 საათი“:

„2003 წლის 14 მაისს იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო დეპარტამენტის ნიღბიანმა თანამშრომლებმა გეოლოგიის დეპარტამენტში თვითნებურად შესახლებული ლტოლვილები ძალის გამოყენებით გამოყარეს. ეს იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის აღსრულების დროსაც შეხლა-შემოხლაში ორი ლტოლვილი დაშავდა. ატეხილ აჟიოტაჟს ოპერატიულად გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც ერთი ხელნაწერი განკარგულებით ლტოლვილები შენობაში დააბრუნა, რასაც გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის თამაზ ჯანელიძის პროტესტი მოჰყვა“.

აქვე გავეცნოთ პრეზიდენტის განკარგულების ტექსტსაც: „ბ-ნ როლანდ გილიგაშვილს, გეოლოგიის დეპარტამენტის ბალანსზე მყოფი შენობიდან გამოსახლებული დევნილები დაუყოვნებლივ შესახლდნენ შენობაში; მოხსენით პოსტებიდან თქვენი აღმასრულებლები, დანარჩენს მოაგვარებს ბ-ნი ლონდერ ცაავა, რომელსაც ვავალებ, ჩემი განკარგულების შესახებ აცნობოს დევნილებსა და გეოლოგიის დეპარტამენტს. პასუხისმგებლობას მე ვიღებ ჩემს თავზე. ამ დღეებში მოვითათბიროთ სხვა საკითხებზე.

დევნილებს ბოდიშს ვუხდი ამ მოუფიქრებელი გადაწყვეტილებისთვის. ე. შევარდნაძე“.

როგორც ჩანს, იმდენად აღელვებული იყო, რომ თარიღის დასმაც დაავიწყდა... ჩვენ დავადგინეთ, რომ პრეზიდენტის ეს განკარგულება ხელმოწერილია 14. 05. 03.

ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო, რომ ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ყოველთვის არა მარტო უმაღლეს, არამედ ყველაზე ავტორიტეტულ ხელმძღვანელადაც მესახებოდა, ასე მოუფიქრებლად დაუდგებოდა გვერდით უსინდისო და მომხვეჭელ ადამიანებს, ისე, რომ მომხდარის არსითაც არ დაინტერესდებოდა! თანაც, იცოდა, რომ ამ საქმეში მე ვიყავი გარეული! პიროვნულად მიცნობს ძალიან კარგად, იცოდა, რომ უსამართლობისა თუ უსინდისობის ჩა-

დენას ვერასდროს ვერავინ დამაბრალებდა!

გაოგნებული დავრჩი... ბევრი რამ გამახსენდა, ბევრიც ამოუხსნელი დამრჩა... ერთი პატარა დეტალიც მომაგონდა... ერთხელ, რომელიღაც მისმა გადაწყვეტილებამ ჩვენი საერთო მოწონება დაიმსახურა და მე ასეთი რამ ვუთხარი: „ბატონო ედუარდ, ახალგაზრდობაში დაახლოებით ერთნაირად ვმსჯელობდით, გადაწყვეტილებებსაც შეთახმებულად ვიღებდით და ურთიერთობაც თითქმის 50:50-ზე გვქონდა, დღეს კი თქვენ 98%-იანი ხართ,მე კი მხოლოდ 2%-იანი-მეთქი. საკმაოდ საინტერესო პასუხი გამცა: ეს ყველაფერი გამოცდილების ბრალია და სხვა არაფერიო; მას შემდეგ შენც ჩემნაირი გზა რომ გაგეევლო, ჩემსავით იქნებოდიო.

აქვე მინდა შემოგთავაზოთ ერთი პატარა ამონარიდი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული ჩემი წერილიდან (სტატიის სათაურია „მთავარია ეკონომიკური აღორძინება"), რომელსაც მაშინ, 1992 წელს, ხელს ალბათ, მთელი საქართველო მოაწერდა, რადგან მართლაც ასეთი იყო შინაგანი განწყობა სრულიად საქართველოსი...

აი, ეს ამონარიდიც:

„როდესაც უშიშროების საბჭოს შემადგენლობის გაზრდაზე ვლაპარაკობ, მე ვგულიხმობ ე. შევარდნაძეს.

დღეს იგი მსოფლიოში უმაღლესი რანგის ცნობილი და სახელმოხვეჭილი მოღვაწეა. მთელი მსოფლიო მას აღიარებს, როგორც უდიდეს პოლიტიკოსს, ინტელიგენციის დიდ მფარველს, დემოკრატიული ძალების ერთ-ერთ ლიდერს. ამას თუ დავუმატებთ მის მრავალმხრივ ორგანიზატორულ ტალანტს, ცხადი გახდება, რომ ჩვენს ბედკრულ ქვეყანას ის დღეს დიდად სჭირდება. ისიც მესმის, რომ საზოგადოების ერთ ნაწილში არსებობს მისადმი ზოგჯერ საფუძვლიანი, ზოგჯერ უსაფუძვლო – ნეგატიური დამოკიდებულება. მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენ უნდა ავმაღლდეთ ჩვენს პირად დამოკიდებულებებზე და ვთხოვოთ მას, მიიღოს უშუალო მონაწილეობა ახალი საქართველოს შენებაში.

საქართველოში მისი ჩამოსვლა და მოღვაწეობა, თავისთავად, უზრუნველყოფს დიდი ინვესტიციების მოზიდვას ჩვენს ეკონომიკაში (ურომლისოდაც ჩვენ ვერაფერს გავხდებით), მეორე მხრივ, საქართველო მოექცევა ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ორბიტაზე მსოფლიოში, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. არც ერთი სხვა ერი არ დაუშვებდა, რომ ასეთი რანგის მოღვაწე თავისი ქვეყნის სამსახურში არ ჩაეყენებინა".

მაშინ თითქმის მთელი საზოგადოება ასეთი შეხედულებისა იყო შევარდნაძეზე.

ამ შემთხვევაში კი, ასე უსამართლოდ პატივაყრილსა და შეურაცხყოფილს, არავითარი სურვილი აღარ მქონდა ასეთ ხელმძღვანელთან მუშაობისა. როცა აღარ გენდობიან, უნდა წახვიდე.

დავწერე განცხადება და გავუგზავნე პრეზიდენტს გაზეთების - „საქართველოს რესპუბლიკისა" და „24 საათის" მეშვეობით. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ არ ჩაეფარცხათ ეს ჩემი გადაწყვეტილება.

„24 საათმა" მეორე დღესვე გამოაქვეყნა ჩემი ნერილი, რომელსაც, სრული სახით, ქვემოთ გთავაზობთ:

„საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის თამაზ ჯანელიძის

განცხადება

კომკავშირული ასაკიდან მოყოლებული, კანონმორჩილება ჩვენთვის, ორივესთვის, შეუვალი და უღალატო ღირებულება იყო. დღემდე ვცდილობდი, ამ ღირებულების ჭეშმარიტებაში ეჭვი არ შემეტანა. ა.წ. 14 მაისს თქვენმა ხელნაწერმა განკარგულებამ იუსტიციის მინისტრის მიმართ, რომლითაც აბუჩად იქნა აგდებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება (რომლის აღსრულების ფორმა ჩემთვისაც მიუღებელია), საბოლოოდ შეარყია ჩემი რწმენა, რომ სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშენებთ. თქვენი განკარგულების ემოციური საფუძველი ჩემთვის გასაგებია (აკი გასულ წლებში, საკუთარი ინიციატივით, გეოლოგიის დეპარტამენტმაც გამოყო საცხოვრებელი ფართი 3000 ლტოლვილის განსათავსებლად). მაგრამ 600 შეურაცხყოფილი, სამსახურიდან გამოყრილი გეოლოგის მიერ ხანგრძლივი სამართლებრივი გზით მოპოვებული უფლება — განეგრძოთ მუშაობა — თქვენ არაფრად ჩააგდეთ და არც ბოდიშის ღირსად ჩათვალეთ ქუჩაში ძალადობით გაყრილი პროფესიონალები.

შექმნილ სიტუაციაში, როდესაც აღშფოთებული თანამშრომლების დასაოკებლად არ არსებობს ლოგიკური და სამართლებრივი არგუმენტები, ვთვლი, რომ აღარ მაქვს უფლება, ვუხელმძღვანელო დარგს. ამიტომ დღეიდან ვიხსნი გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობას და მადლობას მოგახსენებთ მრავალწლიანი თანამშრომლობისთვის. პატივისცემით, თამაზ ჯანელიძე".

ასე გამოვიხურე გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავ-

მჯდომარის კაბინეტის — ჩემი სამუშაო კაბინეტის — კარი! საქართველოს პრეზიდენტმა კი ერთი თვის თავზე მოაწერა ხელი ჩემს გათავისუფლებას. აქვე, გთავაზობთ ამ ტექსტსაც:

„საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, თამაზ ჯანელიძე გათავისუფლდა საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე. 17.06.03".

არ დამირეკა, არ დამელაპარაკა! თუმცა, როგორ დამირეკავდა ან დამიძახებდა, როცა თვითონაც კარგად იცოდა, რომ უღირსად მომექცა, თან, ბოდიშიც, ჩვენ კი არა, იმ ვითომ ლტოლვილებს რომ მოუხადა?!

სხვათა შორის, ასეთმა აღვირახსნილობამ ერთხანობა ჩვენში თავი ძალიან იჩინა. ორი წლის წინათ, ინსტიტუტშიც შემოგვეჭრნენ ამგვარი „ლტოლვილები" — ბინებს ეძებდნენ და, რასაკვირველია, მოეწონათ ჩვენი არცთუ დასაწუნი შენობა. მაგრამ მაშინ ჩვენ მათი ლოკალიზება ვესტიბიულშივე მოვახერხეთ. მართალია, არც სასამართლოებში სირბილი და ალიაქოთი დაგვკლებია, მაგრამ, რასაკვირველია, სასამართლოსა და პოლიციის დახმარებით, ერთ თვეში მაინც გავაძევეთ ეს მოძალადე, ეგზალტირებული ადამიანები.

იცით, რაა ყველაზე შეურაცხმყოფელი? შენობაში რომ შემოგეჭრებიან ვიღაც ვიგინდარები და სასამართლოში წანწალითა თუ ფულის ხარჯვით, ნერვები ისევ შენ რომ უნდა გიშალონ! სადაური სამართალია ეს? ვინ ან რატომ მოიგონა? მეჭრება ვიღაც მოძალადე? კეთილი ინებოს პოლიციამ ან სხვა ძალამ და დაუყოვნებლივ გამომიდევნოს იქიდან და პასუხისგებაში მისცეს!

არ ვიცი, ასეთ რამეებზე დაფიქრებასა და ქვეყანაში წესრიგის დამყარებას ამდენი ფილოსოფია რატომ სჭირდება?! ვერავინ დამარწმუნებს, რომ რომელიმე ქვეყანაში ამას პარლამენტი და პრეზიდენტი აკეთებს! უბრალოდ, ქვეყნისა და საზოგადოების მინიმალური მოწესრიგებულობაა საჭირო! არადა, ვინ მოთვლის, ასეთი „აქციებით" რამდენმა მოითბო ხელი, ანუ რამდენი პატიოსანი მშრომელი ადამიანი ანერვიულა და სამუშაო ადგილის გარეშე დატოვა!

აქ სხვა მომენტიცაა: თუ ხელისუფლებას ლტოლვილთა შესახლება-გასახლების პრობლემის მოგვარება უნდოდა, ეს უფრო მარტივადაც შეეძლო გაეკეთებინა. მაგალითად, დაევალებინა ყველა სამინისტროსა და უწყებისათვის ასე 200-250 კაცისთვის თავშე-

საფრის მიცემა. დარწმუნებული ვარ, ამ დავალებას ყველა მათგანი გაართმევდა თავს. ჩვენმა დეპარტამენტმა ხომ შეიფარა თავის დროზე 3000 ლტოლვილი, თანაც საკუთარი ინიციატივით, ისე, რომ ამ ადამიანების პრობლემებზე ზრუნვა არც არავის შეუხსენებია და არც დაუვალებია?!

ასე წამოვედი გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტიდან! ვერ ვიტყვი, რომ გულისტკენის გარეშე, მაგრამ ვერ ავიტანე ვილაც აღვირახსნილი ადამიანების ეს უღირსი საქციელი და რაც მთავარია, ქვეყნის პრეზიდენტის მხრიდან მათდამი გამოსარჩლება. რადგან მწამდა, რომ პრეზიდენტის ეს ქმედება საქმის ინტერესებთან ყველაზე ნაკლებად გახლდათ დაკავშირებული.

ბოლოთქმის მაგიერ

მთავრდება ჩემი მოგონებების წიგნი. ვეჭვობ, რომ უთქმელი მეტი დამრჩა. ბევრი საინტერესო ამბავი და მოვლენა, ჩემსა თუ სხვის თავს გადახდილი, დავიწყების ნისლმა დაბურა.

მთელმა ჩემმა ცხოვრებამ გაწამაწიასა და ინტერესთა ჭიდილში ჩაიარა, მაგრამ ახლა აღარ ვჩქარობ, აღარც დიამეტრულად საწინააღმდეგო ინტერესთა შორის ვიყოფი, ძველებურად, კაბინეტის კართან აღარც მთხოვნელთა რიგი მიდგას.

ახლა ჩემი შინიდან გასვლები უფრო კულტურული ხასიათისაა: ხან თეატრი მომენატრება, ხან ჩემი ნანას რომელიმე ახალი ნამუშევრის სანახავად გავალ, ხანაც — პერიოდულად ორგანიზებულ წიგნის ბაზრობებზე, ახალი წიგნების შესაძენად.

შიგადაშიგ ჩვენი საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმის სხდომებსა და სხვა საქმიან შეკრებებზეც მიწევს ხოლმე გამოჩენა, როგორც აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს; ასევე, ჩემთვის უკვე მშობლიურ კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტშიც, რომლის თანამშრომლადაც დღემდე ვრჩები.

ახლა ჩემი უმთავრესი დრო კითხვასა და წაკითხულის გააზრებას მიაქვს, ოჯახთან ურთიურთობებს, შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების დახვედრასა თუ გაცილებას და სატელეფონო საუბრებს მეგობრებთან, რომელთა ყოველი ერთად დანახვა ჩემთვის უკვე ბედის საჩუქარია. კიდევ უფრო დიდ საჩუქრად მეჩვენება სულ პაწაწინების განუმეორებელი ღიმილი და საოცარი გამოხედვა...

ახლა საღამოა. ვფიქრობ, უკვე გავაკეთე, რაც დღეისათვის მქონდა გასაკეთებელი თუ მოსასწრები. მაგრამ კარზე რეკავენ. ლამარას თვალებით ვეკითხები, ნეტავ, ვინ უნდა იყოს? თითქოს არავის უნდა ველოდეთ.

ლამარა კარს აღებს... ჩვენი ნინოა, გამოცდიდან შემოგვიარა. პირდაპირ ჩემთან შემორბის და წინ რაღაც ფურცლებს მიფრიალებს: თავისუფალი თემა დავწერე და ნაწერის შავი პირი მოგიტანეთ, დამაფასეთ, დამაფასეთო, თვალებგაბრწყინებული გვეუბ-

ნება.

ხელნაწერს ვართმევ და ყურადღებით ვიწყებ მის კითხვას:

„პრივეტ, საკო.

გუშინ, როგორც იქნა, მოვრჩით ჩვენს ორწლიან სამუშაოს, დავამთავრეთ ზარზმის რესტავრაცია.

ფრანსუა კმაყოფილია.

ჩვენც.

ავითვისეთ ახალი ტექნოლოგიები და დგას ახლა ზარზმა განახლებული, ამაყი. თითქოს საუკუნეები არ შეხებია.

გახსოვს?

„... შენი დიდების მომღერალია
ოშკი და ზარზმა,
ბებერი ტაო.."

გუშინ დავბრუნდით და გადავწყვიტე თურქეთში არსებულ სხვა ტაძრებზე მენახა მასალები. როდესაც ენციკლოპედიების გადმოლაგება დავიწყე, უცებ ბებიაჩემის დედის – ლენიკოს დღიურს ნავაწყდი, 2003 წლით არის დათარიღებული. ჩემზე ერთი წლით უფროსი იქნებოდა მაშინ.

გახსოვს ცვეტაევა? "Юная бабушка, кто вы"?

დღიურს რაღაც ფურცლები აკლია, სიძველისგან სულ გაყვითლებულია და ყოველი ფურცლის გადაშლისას, მეშინოდა, არ დაშლილიყო. საინტერესო დღიურია. არის ცნობილი ადამიანების გამონათქვამები, ლენიკოს საყვარელი ფრაზები, ლექსები და რაღაც ამბები.

ყველაზე საკვირველი ის არის, რომ მას ის მოვლენები აქვს აღწერილი, „ვარდების რევოლუცია" რომ ჰქვია. ისეთი წარმოუდგენელია, რომ არ გამეკითხა და ამ რევოლუციის დამადასტურებელი უძველესი კასეტა არ მეპოვნა, არ დავიჯერებდი. წარმოგიდგენია, ათასობით კაცი, წვიმის ქვეშ, სანთლებით ხელში... დიდი, პატარა, ყველა იქ იყო!

„... დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი..."

ბები –რევოლუციონერი!!!

თითქოს ისტორიის სახელმძღვანელოს ვკითხულობდი. წლობით უშუქოდ ცხოვრება. ბავშვები, სიცივის გამო სკოლაში რომ ვერ დადიან. მშიერი მოხუცები, უმუშევარი ახალგაზრდობა. ყაჩაღობა, ადამიანების გატაცება... ეს ხომ ჩვენთვის წარმოუდგენელია. არადა, სწორედ ასეთი ცხოვრებაა აღწერილი ამ დღიურში.

ეს ყველაფერი რომ არ მომხდარიყო, ალბათ, ჩვენც ასეთივე ცხოვრებით ვიცხოვრებდით. რა არის ჩვენი ცხოვრება, თუ არა საქმე კეთილი...

მოედანზე გამოსული ხალხი ცეკვავს, თან ერთი და ორი კი არა, ყველა. ეს არც ცეკვაა, არც დროსტარება, უფრო – პროტესტი.

იცი, რა გამახსენდა? ძველი ფილმი რომ არის, მე და შენ ერთად ვნახეთ არქივში. მგონი, „ელისო" ჰქვია. სწორედ იქ არის: მთიულები კაზაკებს წინააღმდეგობას ცეკვით უწევენ.

ეს ქართული ცეკვაც როგორია, თითქოს ცეცხლის მზე ტრიალებს...

საკო, უნდა ნახო, რა კადრებია ამ კასეტაზე. ეტყობა, მთელი საქართველო წამოვიდა თბილისისკენ. საოცარი სანახავია: შუაღამით უამრავი მანქანა. ანთებული ფარებით, მოდის. ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ცეცხლის ჯვარი მოგორავს...

ლენიკო თურმე, ჟურნალისტი ყოფილა, რომელიღაც სატელევიზიო არხზე... ეს კასეტა მისი რეპორტაჟია...

იქ, მოედანზე, წვიმს. ალბათ, შიათ და სცივათ. სახლიდან შორს არიან, დგანან, იცავენ...

რას?

ღირსებას.

უცებ ვიღაცა მოვარდება ცხელი შოთებით. ხალხს ურიგებს. მორიდებულად იღებენ, ხელებს ითბობენ პურით. ილუკმებიან, იცინიან...

აუ, საკო, ჩვენ რატომ არ ვიყავით მაშინ?

წვიმს, წვიმს, წვიმს...

არავინ იძვრის ადგილიდან.

მოაქვთ ცელოფანები, ერთმანეთს აწვდიან, თავებს იფარავენ, ჭიმავენ და თითქოს მთელი მოედანი შუშის კარვებით იფარება. ამ კარვებში კი ხალხი დგას ანთებული სანთლებით და გალობს!

ცა თქეშად მოდის, მაგრამ თურმე...

„ ... შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,

შენ ისე ღრმა ხარ..."

ჯარს კი ჩვენი ტოლები ია-ვარდებს ჩუქნიან. ჯარი ხალხს შეუერთდა.

ამონაწერი ლენიკოს დღიურიდან: „2002 წლის 22 ნოემბერი, დილის 8 საათი. სახლში დავბრუნდი. სამი დღე-ღამე პირდაპირი ჩართვები მქონდა მოედნიდან, ძალიან დავიღალე. რომ ვბრუნდებოდი, ხვალინდელი დღის მეშინოდა. სახლში შესვლისას უკან მოვიხედე.

ჩემი აივნიდან მთელი ქალაქი ჩანდა:

თბილისს ციდან სვეტებად დაშვებული შვიდი ცისარტყელა ადგა... ხვალ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება... – გავიფიქრე".

მერე ისევ ფირი, რომელიც წყდება. არაფერი ჩანს და უცებ საოცარი კადრი: მოედანზე ქალები შეყრილან, რაღაცაზე წუხან, აღშფოთებას გამოხატავენ. საიდანღაც სახანძრო მანქანა ჩნდება და ამ უსუსურ, დაუცველ ქალებს წყლის ჭავლს მიუშვერს.

შეშინებული ქალები აქეთ-იქით გარბიან, ტირიან...

„შეშლილი სახით კიოდა ქუჩა"... და უცებ, ამ ჭავლს გაშლილი დროშით ახალგაზრდა ბიჭი და მოხუცი კაცი გადაეფარებიან. წყლის ჭავლი მთელი ძალით ურტყამს დროშას. ბიჭი და მოხუცი სულ გალუმპულები არიან, მაგრამ შეუპოვრად დგანან და თავიანთი სხეულებითა და დროშით იცავენ

რას?

ღირსებას.

მეც მინდა იქ ყოფნა...

მოკლედ, ეგეთი რევოლუციონერი ბებია მყავდა...

ერთ კვირაში ოშკის რესტავრაციას ვიწყებთ.

კასეტის ბოლოს უცნაური ჩანაწერია. გამოდის დიქტორი და აცხადებს: დღეს 2004 წლის 2 ივნისია, მთელ საქართველოში ქართულ წერაში გამოცდა ტარდება. გამოცხადებულია შემდეგი თემები:

1. ვაჟა-ფშაველას კაი ყმა

2. გადაგვარებული აზნაურობა დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში

3. რა არის ჩვენი ცხოვრება, თუ არა საქმე კეთილი

საკო, შენ ასეთ თემას დაწერდი როდესმე?

წავედი. ოშკი მელოდება...

რა არის ჩვენი ცხოვრება, თუ არა საქმე კეთილი...

სტამბოლი

2070 წელი, ენკენისთვე".

ესეც სასიამოვნო სიურპრიზი... 16 წლის შვილიშვილის შემოქმედებითი წარმატება! თითქმის იდეალური დასასრული ნებისმიერი ბაბუის ნებისმიერი წიგნისთვის!

2004 წელი

ბაბუა სიმონ ჯანელიძე

ბებია ეკატერინე მხეიძე

თ. ჯანელიძე დედასთან ერთად

ძმაკაცები ნ. მგალობლიშვილი
თ. ჯანელიძე

დედა და მამა



თამაზი, რაიკომის მდივანი 1952 წ.

მეუღლე ლამარა
1952 წ.

ჩემი ქალბატონები

მარინა მარცხნიდან პირველი, ნანა მარჯვნიდან მეორე.
საციგურაო მოედანზე.

პირველი მაისის დემონსტრაცია. 1957 წ.

ი. აბაშიძე, დ. ჩხიკვიშვილი, კ. სიმონოვი და თ. ჯანელიძე საგურამოში 1955 წ.

მეგობრები. დგანან მარცხნიდან: ზ. კარგარეთელი, ნ. ჯანბერიძე, რ. ჩიქოვანი, ნ. ბაქრაძე, ი. ჯანიკაშვილი, ი. ბაირამაშვილი, ჯ. ანთელავა. სხედან: თ. ჯანელიძე, ნ. გრიგორაშვილი, ო. ჩარკვიანი.

ედუარდ შევარდნაძე, ნიკოლაი პესეცკი და თამაზ ჯანელიძე 1957 წ

102 წლის გერასიმე ბოლქვაძე, ოთარ მხეიძე, ჯემალ კიკნაველიძე, თამადა თამაზ ჯანელიძე. 1957 წ. მოსკოვში გამართულ ქორწილზე.

მოსკოვი 1956 წ. კრემლის ეზოში, მივდივართ უმაღლესი საბჭოს სესიაზე. თ. ჯანელიძე და ი. აბაშიძე

საპირველმაისო დღესასწაული. თბილისი 1973. ჟ მარტავა, თ. ჯანელიძე.

თბილისი 1973 წ. მაიაკოვსკის ძეგლის გახსნა. კ. სიმონოვი, გ. აბაშიძე, თ. ჯანელიძე

ჩემი თბილისის აღმასკომის თავმჯდომარედ დანიშვნისას ეახტანგ ხურციძემ „ნოპემ" იხუმრა „დაინიშნოს!"

სიკეირის მეუღლითურთ მერიაში.

მრენველი სვოროვსკი, ინსბრუკის მერი ლუგერი. (ავსტრიის დელეგაცია) თამაზ ჯანელიძესთან მერიაში.

ჩემი მეცნიერ ხელმძღვანელები. აკადემიკოსები იგორ ლუჩიცკი და გიორგი ძონენიძე.

თ. ჯანელიძე, ი. ილუჩიცკი.

V საკავშირო ვულკანოლოგიური თათბირი. თბილისი 1980 წ. მარჯვნიდან: ვლადიმერ ვლოდაევეცი, თამაზ ჯანელიძე, სერგეი ფედოტოვი, გიორგი თვალჭრელიძე.

ოთარ მდივნიშვილი, თამაზ ჯანელიძე



კომკავშირის ცკ ის პირველი მდივნები:
მარცხნიდან: ჯანელიძე, ვ. ლიფარიქიფეხიძე, ბ. ზიდელავა, ბ. ბალაგაძე.

თბილისი. „მაგრმი"-ს V კონფერენცია. 1982 წ.
მარცხნიდან: ბ. გოგიშვილი, გ. თეალჭრელიძე, ლ. ოვჩინიკოვი, ს. ფორსტერი,
თ. ჯანელიძე; მთარგმნელი: ჯ. რიჯი, ვ. ბუაძე.

მთაში.

გ. ზარიძესთან ერთად ბაიკალზე

მძახლები: ელიზბარ ცისკარიშვილი, თენგიზ აბულაძე, თამაზ ჯანელიძე, ირაკლი მანაგაძე.

ე. ანჯაფარიძე, თ. აბულაძე, თ. ჯანელიძე. ფილმი „ოჯახი"-ს პრემიერის შემდეგ

შვილისშვილი ზეზვა თაკის შვილთან ნიკასთან.

ლელაკო, რატი ამაღლობელი
და დაჩი

ნიკო აბულაძე



საბარათველოს სახელმწიფოებრივი
დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი